ბორის სანსწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული

№3

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

უაკ(UDC) 378(479.22)(066)
გ - 716

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2012 წლის 22 თებერვალს ჩატარებულ ა(ა)იპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“
თავმჯდომარე: აკაკი ტოლიაშვილი
წევრი: ნოდარ მირაზანაშვილი

სექცია „ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“
თავმჯდომარე: ზურაბ ზერაკიძე
წევრები: ზურაბ ტიელიძე, ნელი გოგინაშვილი, ლელა ალექსიძე

სექცია „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: ლეილა მამულაშვილი
წევრები: ხათუნა ბებნაძე, ნანა ახალაია, გიული გიგუაშვილი, მაკა სოსანიძე, ნათია ჟოჟუაშვილი

სექცია „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“
თავმჯდომარე: გიორგი გიორგაძე
წევრები: კლარა ელჩიბეგაშვილი, მალხაზ ლომსაძე

სექცია „ლიტერატურა“
თავმჯდომარე: შოთა ქურდაძე
წევრები: თამარ გოგოლაძე, მარინა ცერცვაძე, ნათელა ხინჩაგაშვილი

სექცია „ლინგვისტიკა“
თავმჯდომარე: ელენე ხოჯევანიშვილი
წევრები: მარიამ კობერიძე, ნიკოლოზ ოთინაშვილი

სექცია „ისტორია“
თავმჯდომარე: მამუკა ჯოლბორდი
წევრები: ელდარ მამისთვალიშვილი, ვაჟა ჩოჩია

ISSN 2233-3320

შ ი ნ ა ა რ ს ი

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ბაწაშვილი თინა, ბუჩუკური შორენა, ზუბაშვილი ეკა, ჯინისიან ნაირა, ბურჯანაძე მაყვალა - *ინგლისური ენის სწავლება დაწყებით კლასებში – 7*

გოხელაშვილი ნათია - *იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტი და თანამედროვე ამერიკული პედაგოგიკა – 13*

დოლიაშვილი ნანა - *პროექტი „კომპიუტერი პირველკლასელებისთვის“ - მიზნები და მოლოდინები – 14*

თამლიანი გიორგი - *თავისუფალი ჭიდაობის საშეჯიბრო მოღვაწეობის ტექნიკური მოქმედების რეგისტრაცია და ანალიზი სტენოგრაფირების მეთოდის საშუალებით – 17*

იაშვილი გიორგი - *რეკომენდაციები VII-XII კლასებში ფეხბურთის სწავლების შესახებ – 19*

ლომიძე ნინო, მუჯრიშვილი მარი, კვენიაშვილი მაია - *წიგნიერება დაწყებით კლასებში – 21*

მწითურიძე ქეთევან - *განათლება, როგორც მეცნიერება – 25*

ნასყიდაშვილი ანი, ბერუაშვილი სოფიკო, იორამაშვილი თინათინ, აკოფაშვილი ნანა, ხურციძე ნანა - *ბუნების სწავლება დაწყებით კლასებში – 27*

ხარაიშვილი ანა, სომხიშვილი ნინო, კაპანაძე ანნა, ტოროშელიძე ლელა - *ინკლუზიური განათლება დაწყებით საფეხურზე – 31*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

ბერიკაშვილი თეონა, განჯელაშვილი ლენა - *დროითი მწკრივის პროგნოზირება და მისი ცდომილებების დადგენა – 36*

ბერუაშვილი ნინო, გოგიაშვილი ფიქრია - *ვაზი, როგორც ცივილიზაციის საზრდო და თანამგზავრი – 38*

ბექაური ოლია - *თანამედროვე სოციალური ქსელები – 41*

თურმანიძე ელენე - *საქართველოს ლითონური რესურსები და მათი მოპოვებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები – 44*

კახნიაშვილი თამარ - *მჟავე წვიმები და მოსალოდნელი შედეგები – 48*

კახნიაშვილი მარიამ - *კლიმატის გლობალური პრობლემები – 50*

კიკნაძე მარიამ - *ბუნებრივი რესურსების გამოყენების ზოგიერთი ასპექტი გორის რაიონში – 54*

მინდიაშვილი თამარ - *საქართველოში ხორბლის წარმოების ზოგიერთი საკითხის შესახებ – 57*

ოქროშიაშვილი გიორგი - *მზის ენერგიის როლი საქართველოს ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მდგრად განვითარებაში – 61*

ტერუნაშვილი მერი - *ელექტროენერგიის გამოყენება ყოფა-ცხოვრებაში (მოკლე ისტორიული მიმოხილვა) – 66*

ჩილინდრიშვილი გიორგი - *გლობალური დათბობა და მისი გამომწვევი მიზეზები – 70*

ბიზნესი და მართვა

ადუაშვილი ნუნუ - *ქართული ფული დღეს და მისი სამომავლო პერსპექტივები – 73*

არჩუაძე ნათია, დარბაიძე ხატია, ცერცვაძე თინათინ - *ქსელური ბიზნესი თუ აფიორა – 76*

ბედოშვილი თამარ, დათებაშვილი ნინო - *სტრუქტურული უმუშევრობის პრობლემა საქართველოში – 80*

ბერიკაშვილი თეონა, განჯელაშვილი ლენა - *მცირე მეწარმოება საბაზრო რეფორმების სისტემაში – 83*

ბერუაშვილი ნათია, გოგოსაშვილი თამარ - *საქართველოს ეროვნული ბანკი - პრობლემები, პერსპექტივები – 85*

გაგნიძე მანანა, ტერტერაშვილი ლიკა - *სამედიცინო დაზღვევის აქტუალური საკითხები – 88*

გიგუაშვილი მთვარისა - *ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში – 91*

გოგიაშვილი რევაზ, გიორგაშვილი თეონა - *საქართველოს საზღვაო პორტების მდგომარეობა, პერსპექტივა და მათი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში – 95*

დათუნაშვილი ნინო, ფერაძე მარინე, ოქროპირიძე ვლადიმერ - *საბანკო ინოვაციების სახეები თანამედროვე საბანკო სფეროში – ფულის თანამედროვე სახეები – 98*

დემეტრაშვილი დემეტრე, დემეტრაშვილი თორნიკე - *ევროზონისა და ევროკავშირის მოსალოდნელი ფინანსური საფრთხეები და ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია – 101*

დემურავი მარიამ, ნასყიდაშვილი ნათია - *წარმატებული ბიზნეს-კომპანიების ათეული საქართველოში – 105*

დურული მარიკა, ხაჩიძე ქსენია - *გაყიდვების ხელოვნება – პარტიზანული და ვირუსული მეთოდები – 109*

ედიშერაშვილი მარიამ, სულეიმანაშვილი ანა - *საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე – 112*

ილურიძე ნათია - *მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და მისი დაძლევის გზები – 116*

კაკაშვილი თეონა - *სააქციო საზოგადოება „მადნეული“ – 118*

კაპანაძე თამთა - *კონიაკური კონიაკი და და მისი წარმატების საიდუმლო – 121*

კაძილოვი მარი, ბედოშვილი თამარ - *ოჯახი – ადამიანური კაპიტალის ფორმირების საშუალება – 123*

მაისურაძე მაია, კილასონია ეკა - *მანდატური და მისი ადგილი სკოლის მენეჯმენტში – 125*

მამაცაშვილი ავთანდილ, მახათაძე მარიამ - *WAYS AND OPPORTUNITIES FOR TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA – 128*

მანძულაშვილი გიორგი - *დამატებული ღირებულების გადასახადის როლი საქართველოს ბიუჯეტის შევსების საქმეში – 132*

მანძულაშვილი გიორგი - *ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის შედარებითი დახასიათების მნიშვნელობა – 134*

მარღიშვილი ზურაბ - *სიღარიბე საქართველოში და მისი გამომწვევი მიზეზები – 136*

მეზვრიშვილი ეკა, ნასუაშვილი ნათია, ხეტაშვილი ნინო, ტუსიაშვილი სოფიო - *შტრიხ კოდი – 139*

მინდიაშვილი ნათია, შავშიშვილი ნანა, ეცადაშვილი ინა - *უმუშევრობის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები საქართველოში – 142*

მუზაშვილი სოფიო - *ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური ანალიზი – 145*

ნადირაძე თამარ, მიჩიტაშვილი ლალი - *მცირე ბიზნესი – მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში – 148*

საათაშვილი მაკა, პოღოზაშვილი რუსუდან - *სამომხმარებლო კალათა და მისი გამოთვლის გზები – 151*

სოსიაშვილი ნინო, მაზმიშვილი ნინო - *ევრო – ერთიანი ევროპული ვალუტა – 153*

ტერტერაშვილი ნინო - *ტურიზმი – ქართული ეკონომიკის პრიორიტეტი – 156*

ტერტერაშვილი ნინო, შუბითიძე მარიამ - *მეფუტკრეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში – 159*

ტრამაკიძე ნინო, გუგუტიშვილი თათია - *ინტეგრაციის თანამედროვე ასპექტები ტურიზმში – 161*

ფარეხელაშვილი თამთა, ღარიბაშვილი ნინო - *პიარის არსი და ისტორია – 165*

ფაცინაშვილი ქეთევან, ბერუაშვილი ლია - *Rular tourism–ის განვითარება საქართველოში – 168*

ღერკენაშვილი ნათია, დოთიაშვილი ელისო - *XXI საუკუნე და ქართული ტურიზმის პერსპექტივები – 172*

ჩადუნელი თეონა, დათაშვილი ნინო - *სამუშაო ძალის მიგრაციის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე – 176*

ჩუხრუკიძე თამარ, შერმადინი ვერიკო - *მიგრაცია - მწვავე პრობლემა საქართველოში – 180*

ციცაგი ვლადიმერ, ხაბაზიშვილი ამირან - *სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და ძირითადი პრიორიტეტები საქართველოში – 184*

წიქარიშვილი ქეთევან - *კონკურენციის ძირითადი ფორმები ქართულ ბიზნესში – 187*

ჯანგიშერაშვილი ანიკო, მიღრიჯანაშვილი თამარ - *ინტერნეტ რეკლამა და მისი განვითარების პერსპექტივები – 189*

ჯოჯიშვილი ეკა, გალეგაშვილი ნათია - *დოლარი – მსოფლიოს წამყვანი ვალუტა – 192*

ჯღირაძე მარიამ - *არამატერიალური აქტივების გამოყენება პრაქტიკაში – 194*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ბერუაშვილი სოფიკო - *მფლობელობა სანივთო სამართალში – 197*

ეცადაშვილი თამარ - *თანხმობა გარიგებებში – 200*

ოქროშიაშვილი თამარ - *საქართველოს პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური – 203*

ტერმაკოზაშვილი ირინე - *ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლში – 206*

ტოროშელიძე ზურაბ - *საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებები – 209*

ხარაიშვილი თამარ - *ადამიანის ძირითადი უფლებები 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით – 212*

ლინგვისტიკა

ბაციკაძე ნათელა, გელაშვილი თამარ - *ონომასტიკური ეტიმოლოგიები ფრონეს ხეობიდან – 215*

ბერიანიძე თეონა, ქისიშვილი გიული - *სოფელ უფლისციხის მცხოვრებთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება – 218*

ბერიძე ლიკა, ყულიაშვილი მერი - *ძველი ქართული ანთროპონიმები – 219*

მახათაძე ნინო - *სოფელ მეჯვრისხევის გვარსახელები – 222*

ოქროპირიძე მარიამ, თარაშვილი ეველინა - *ლაპიდარულ წარწერებში ფიქსირებული პირის საკუთარი სახელები – 224*

სომხიშვილი ნათელა - *მსაზღვრელის როლი ვასილ ბარნოვის პროზაში – 226*

ტეტუნაშვილი ხატია - *ვაჟა-ფშაველას პერსონაჟთა მეტყველება – 230*

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

არდემანაშვილი ოლია - *მარიამ დედოფალი – ისტორიული პირი და მხატვრული პერსონაჟი კ. გამსახურდიას რომან "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის" მიხედვით – 233*

გომარელი ნინო - *ზვიად კვარაცხელია - XXI საუკუნის მწერალი – 238*

ელიზბარაშვილი მანონი - *გრიგოლ რობაქიძე - საქართველოს ჭირისუფალი ევროპაში – 241*

იორამაშვილი ეკა - *გალაკტიონის ორი ლექსის თანამედროვე ინტერპრეტაცია – 244*

მარქაროვი ნინო - *Литературные кафе Санкт-Петербурга начала XX века – "Летучая мышь" – 246*

ნადირაშვილი მარიამ, ვარდანაშვილი მაკა - *Шотландские предки М.Ю. Лермонтова – 249*

სოზიაშვილი ნინო - *ჰუმანიზმი „ვეფხისტყაოსანში" – 252*

ქურთაული თეონა - *უსამშობლობის განცდა (როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია „თვითმკვლელობა გარდაუვალი მოვალეობა" და ედუარდ ჰეილის მოთხრობა „უსამშობლო კაცი") – 255*

შატაკიშვილი მარიამი - *აშოტის სახე, დანახული ოთარ ჩხეიძის მიერ (პიესა "მეფე აშოტ დიდი კურაპალატი", რომანი და ისტორია - „ვასილ ბარნოვი") – 258*

ცერაძე თამარ - *სიყვარული და გმირული მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში" – 260*

ხანიშვილი სოფიო, ნოზაძე სოფიო - *Литературные кафе Санкт-Петербурга начала XX века – "Бродячая собака" – 263*

ხარიბეგაშვილი მარიამი - *კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა" - მოდერნისტული თუ რეალისტური – 267*

ი ს ტ ო რ ი ა

ბალიაშვილი მარიკა - *საბჭოთა კავშირის დანალექი – ადამიანთა საბჭოური აზროვნება – 269*

გელაშვილი თამარ - *ბერად აღკვეცილი ქართველი მეფეები – 272*

მარნაძე რეზო - *„ქაჯეთი", „ქაჯნი" „ვეფხისტყაოსანში" და ისტორია – 276*

მახათაძე თინათინ - *სურამის ციხე და გივი ამილახვრის აჯანყება (1742-1745 წწ.) – 281*

ტეტუნაშვილი ხატია, ღულუნაძე ციცინო - *მესხების ისტორიისათვის – 285*

უმეკაშვილი თათია, შავლოხაშვილი თეონა - *ქვეყნიერების შვიდი საოცრება – 289*

ფარჯიანი მეგი - *ზემო სვანეთში გავრცელებული გვარების ისტორიიდან (სოფ. ლატალის მაგალითებზე) – 292*

ფსუტური ანა - *რიჩარდ III - მითი და რეალობა – 296*

ღვინიაშვილი ხატია - *რომაული კულტურა – 301*

ხორგუაშვილი სოფიო - *თინათინ დი–ძიბა – 305*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ინგლისური ენის სწავლება დაწყებით კლასებში

<u>პრაქტიკული კვლევის თემა:</u> ინგლისური ენის სწავლება დაწყებით კლასებში, №12 - საჯარო სკოლა, III კლასი

კვლევის ჯგუფის წევრები: **თინა ბაწაშვილი, ნაირა ჯინისიან, შორენა ბუჩუკური, ეკა ზუბაშვილი, მაყვალა ბურჯანაძე**

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები

კვლევის ხელმძღვანელი: **ბერიკა შუკაკიძე**

უცხოური ენის სწავლა ნიშნავს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენას, განსხვავებული ღირებულებების, მენტალობის გაგებას.

საქართველო როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. ამიტომაც, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან მეტი უცხო ენის სწავლებას ითვალისწინებს.

უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო დიპლომების მოპოვების ხელშესაწყობად სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სასკოლო სტანდარტის შესაბამისობა ევროსაბჭოს მიერ დადგენილ დონეებთან და მითითებულია, სწავლების რომელი საფეხური შეესატყვისება ევროსტანდარტის ამა თუ იმ დონეს.

უცხოური ენა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება - ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. [1: გვ. 1]

განათლების სამინისტროს მიზანია მოსწავლეს მისცეს ისეთი განათლება, რომ მან შეძლოს:

- ორ ან სამ უცხოურ ენაზე მეტყველება;
- წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან;
- განსხვავებული კულტურული კონტექსტების და ტექსტების გაგება;
- ნებისმიერი ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასება და პატივისცემა;
- თანამოღვაწეობა სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტურობის მქონე მოქალაქეებთან;
- ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება და გამდიდრება ენობრივი თუ კულტურული თვალსაზრისით;
- სხვა უცხოური ენების დამოუკიდებლად შესწავლა.

ამ მიზნების მიღწევა 3 ტიპის ამოცანის გადაჭრას გულისხმობს:

1. მოსწავლემ უნდა აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
2. მოსწავლემ უნდა შეიძინოს სხვადასხვა კატეგორიის უნარ-ჩვევა: სამეტყველო უნარ-ჩვევები (მოსმენა, ლაპარაკი, წერა, კითხვა).

- უცხო კულტურის გაგების უნარი;
- უცხოური ენის სწავლების უნარ-ჩვევები (სწავლის სწავლა);
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა და სხვა);

3. მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება:

- ინდივიდუალურ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა;
- ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;
- მშობლიური კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა;

● პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა;
● ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ;
● უცხოური ენების სწავლების სურვილი. [2: გვ. 1]

ერთდროულად რამდენიმე ენაზე სწავლება მოსწავლეებში ლინგვისტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ბილინგვური ან მულტილინგვური განათლება ბავშვებს ენის საფუძვლიანად შესწავლასა და ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევს.

ინგლისური ენის სწავლების მიზნები და ამოცანები

ინგლისური ენის სწავლებას სკოლის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მიზნები აქვს. დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლების აღმზრდელობითი მიზანია მოზარდის მომზადება მომდევნო - საბაზო საფეხურზე წარმატებული სწავლისათვის.უცხოური საგნის პროგრამა და მათ შორის ინგლისური ენა სამი კომპონენტისაგან შედგება: შესავალი, სტანდარტი და პროგრამის შინაარსი.

დაწყებითი საფეხურის სტანდარტის დონეები და ასევე მათზე დაფუძნებით შედგენილი სახელმძღვანელოები შინაარსობრივი და პედაგოგიური თვალსაზრისით მიესადაგება ამ საფეხურის მოსწავლეთა ფსიქიკური განვითარების თავისებურებებს. ამდენად, დაწყებითი საფეხურის დონეები და მათ მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოები არ გამოდგება საბაზო-საშუალო საფეხურების მოსწავლეთათვის და, პირიქით, საბაზო-საშუალო საფეხურის სტანდარტის დონეები და მათ მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოები არ გამოდგება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის.

დონეების მიხედვით დაყოფა უცხოური ენების სასწავლო გეგმას უფრო მოქნილს ხდის და მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს კონკრეტული კლასის მოთხოვნების მიხედვით შეარჩიოს სახელმძღვანელო. მაგალითად, პირველი დონის ინგლისური ენის სახელმძღვანელო შეიძლება შეიტანოს მან მეშვიდე კლასშიც, თუ მოსწავლეები ამ ეტაპზე იწყებენ ინგლისურის შეაწავლას, და მეათე კლასშიც, თუკი ისინი ამ ეტაპზე დაიწყებენ ინგლისურის სწავლას. დონეების სისტემის დანერგვის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელმა კლასში არსებული რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე იმოქმედოს და ამა თუ იმ კლასში შეიტანოს იმ დონის სახელმძღვანელო, რომელიც მოსწავლეთა მოთხოვნებს შეესაბამება. ასე რომ, მასწავლებლის პრეროგატივაა აირჩიოს, თუ რომელ კლასში რომელი დონის სახელმძვანელოს შეიტანს. [1: გვ. 5] დასახული მიზნების უზრუნველსაყოფად ინგლისური ენის სწავლება რამდენიმე მიმართულებით იშლება, ესენია: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, სწავლის-სწავლა, კულტურათა დიალოგი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.

ინგლისური ენის სწავლას პირველი კლასიდან გამოუჩნდა როგორც ბევრი მომხრე ასევე მოწინააღმდეგე. ფილოლოგების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ინგლისური ენის სწავლა მოსწავლეებმა მოგვიანებით უნდა დაიწყონ, მას შემდეგ, რაც მშობლიურს კარგად აითვისებენ. ამ მოსაზრებას კი იაკობ გოგებაშვილის ნააზრევით ანმტკიცებენ. „ყოველი ევროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურ ენასა და მხოლოდ მისუკან შეუდგება ხოლმე უცხო ენების ცოდნის შემენას“.

თუმცა ინგლისური ენის პირველი კლასიდან შესწავლას ჰყავს უამრავი მომხრე, რომლებიც ფიქრობენ რომ ორი ენის ერთად ათვისება მოსწავლეს არ უშლის ხელს ქართულის ათვისებაში, რადგან ბავშვი ერთდროულად არ სწავლობს ორ ენას, ის სკოლაში ქართულად მოლაპარაკე მიდის ანუ ის სწავლობს ინგლისურს ქართულის მეშვეობით. მაგალითად ბატონი კახა ბენდუქიძე ჟურნალ „ტაბულაში“, სტატიაში „რატომ დაგვღუპავს ინგლისური ენის სწავლა პირველი კლასიდან“, წერს: „ეს საკითხი საკმაოდ ბევრი მსჯელობის და შესწავლის საგანი იყო - დაწყებული ჰუმბოლდტის ჰიპოთეზიდან, რომ ორენოვანობა ცუდია, და დამთავრებული დღევანდელი კვლევებით. აქ მე არ მოგაცდენთ იმის აღწერით, რანაირად ზომავდა ორენოვნობის ეფექტს ოციან წლებში საერი უელსში და ბიალისტოკი დღეს კანადაში ვისაც უნდა თვითონ მოძებნოს და წაიკითხოს. მოკლედ რომ ვთქვათ, შედეგი ასეთია - ორენოვნობას არ მოაქვს სიშტერე და დაბნეულობა, პირიქით, როგორც წესი, ორენოვანი ბავშვების და დიდებიც უფრო სხარტები არიან. მაშ თუ ორი ენის თანაბრად ცოდნას (მათ შორის ერთი წლის ასაკიდან) არ მოაქვს ცუდი არაფერი, სკოლაში ქართულად უკვე მოლაპარაკე ბავშვის მიერ ინგლისურის კანტიკუნტად შესწავლას რატომ უნდა მოჰყვეს? ასობით მილიონი ადამიანი ორენოვანია: ბელგიელები, სინგაპურელები, ჰონკონგელები კანადელების და ინდოელების დიდი ნაწილი [3:№18.10.2010].

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის სრულყოფის მიზნით, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო ახალი პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ (“Teach and Learn with Georgia”) განხორციელება, რომელიც საქართველოში ინგლისური ენის სწავლების განვითარებასა და ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროექტის წარმატებით განხორციელება ძალიან

მნიშვნელოვანია მომავალი თაობისთვის, რადგან ისინი ინგლისური ენის უკეთ დაუფლების კვალდაკვალ, აქტიურად გაეცნობიან და ეზიარებიან ევროპულ და დასავლურ ღირებულებებსა და კულტურას.

პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის დასავლური და ევროპული კულტურის, ფასეულობების და ევროპული კულტურის წამომადგენლებთან უშუალო ურთიერთობის გზით. ეს მათ მომავალში დაეხმარებათ მეტი წარმატების მიღწევაში, სამშობლოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობისას. ამ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საერთაშორისო დონორების ხელშეწყობით, 2010-2011 სასწავლო წლებში ჩამოიყვანა 1000 მოხალისე, რომელთა მშობლიურ სასაუბრო ენას წარმოადგენს ინგლისური. თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, ინგლისური ენის შესწავლის მრავალი ხერხი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექნოლოგიების უპირატესობებს ვაღიარებთ და მათი პრაქტიკაში დანერგვისკენ მივისწრაფვით, მიგვაჩნია, რომ ადამიანური ფაქტორი და პირადი კონტაქტი შეუცვლელი რესურსია, რადგან ამ ფორმით სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნება გაცილებით ეფექტურია, ვიდრე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

მოხალისე მასწავლებლების მთავარი მოვალეობაა, მშობლიური ენის, ინგლისურის, სწავლება ქართველი მოსწავლეებისათვის, ინტერაქტიული გაკვეთილებისა და ყოველდღიური კომუნიკაციის მეშვეობით.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მათ შეექმნათ ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ საქართველოს ახალგაზრდებს შეასწავლონ ინგლისური ენა. [4. გვ. 13-14].

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას მაღალი გონებრივი უნარები (მათ შორის ენობრივი) ერთდროულად რამდენიმე სფეროში გააჩნიათ. სწორედ ამიტომ დაუშვებელია მოსწავლის ერთი ინტელექტის სფეროში კლასიფიცირება. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ისეთ საწავლო აქტივობას მიმართოს, რომელიც ბავშვის უნარებს არამხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს. ამით თავიდან ავირიდებთ ბავშვთა დისკრიმინაციას და ხელს შევუწყობთ მათ მრავალმხრივ განვითარებას. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის წინაპირობას ბავშვის კარგად გაცნობა და მისი შედარებით განვითარებული თუ გასავითარებელი უნარების გათვალისწინება წარმოადგენს. [5: გვ. 139]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ჩავატარეთ კვლევა და შევეცადეთ, არსებული მდგომარეობა დაგვენახებინა როგორც ზოგადი პედაგოგიური, ასევე სპეციფიკური საგნის სწავლების მეთოდიკის კუთხით. ინგლისური ენის შესწავლა დღევანდელ ცხოვრებაში აუცილებლობას წარმოადგენს, ამდენად ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რა მდგომარეობაა დაწყებით კლასებში, ინგლისურ ენის სწავლებასთან დაკავშირებით.

მოცემულ კვლევაში კვლევის ავტორთა მიერ, გამოკითხულ იქნა: III კლასის 18 მოსწავლე, 16 მშობელი, ინგლისური ენის პედაგოგი და ასევე ფოკუს ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა: 10 მშობელი, კლასის დამრიგებლი, ხუთი ინგლისურის მასწავლებელი და კათედრის გამგე.

რაც შეეხება კვლევის ინტრუმენტებს, კვლევის ავტორთა მიერ, გამოყენებული იქნა კითხვარები როგორც მოსწავლეთათვის, ისე მასწავლებელისა და მშობელთათვის, ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. ჩვენ გთავაზობთ აღნიშნული კვლევის შედეგებს.

გთავაზობთ აღნიშნული კვლევის მოკლე ანალიზს:

მოსწავლე

სასწავლო პროცესი

1. რამდენად საინტერესოდ გაწვდით მასწავლებელი ახალ მასალას



2. რამდენად გასაგებად გაწვდით მასწავლებელი ახალ მასალას?



3. რამდენად ხშირად იმეორებთ განვლილ მასალას?



4. რამდენად აქტიურები ხართ გაკვეთილის მსვლელობის დროს?



5. რამდენად ხშირად ამოწმებთ საშინაო დავალებას კლასში?



ოჯახური გარემო

1. გაქვთ თუ არა სახლში საორგანიზაციო კუთხე?



2. გაქვთ თუ არა სასწავლო წიგნები?



3. გეხმარებათ თუ არა მშობელი დავალების შესრულებაში?



4. ემზადებით თუ არა რეპეტიტორთან?



5.რა დროს უნდებით საშინაო დავალების შესრულებას?



მშობელი

1. რა განწყობა აქვს თქვენს შვილს ინგლისური ენის მიმართ?



2. მოგწონთ თუ არა, რომ თქვენი შვილი დაწყებითი კლასიდანვე ეუფლება ინგლისურ ენას?



კვლევის ჯგუფი იკვლევდა საკითხს - ინგლისური ენის სწავლებას დაწყებით კლასებში. მონაცემთა ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ მოსწავლეები და მშობლები კეთილგანწყობილნი არიან როგორც მასწავლებლის, ასევე საგნის მიმართ. კვლევის ჯგუფის აზრით, მასწავლებელი ეფექტურად მართავს საგაკვეთილო პროცესს, ამიტომ აღნიშნულ ჯგუფს არ აქვს რამე კონკრეტული რჩევა საგაკვეთილო პროცესთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ინგლისური ენის სწავლებას, კვლევამ აჩვენა, რომ მშობელთა უმრავლესობა ემხრობა ინგლისურის სწავლებას დაწყებით კლასებში, კონკრეტულად კი პირველი კლასიდან. თუმცა მათ სურთ, რომ მეორე უცხო ენა (რუსული) ისწავლებოდეს მესამე ან მეხუთე კლასიდან. მკვლევართა ჯგუფმა მშობელთა და ფოკუს ჯგუფთან ინტერვიუს შემდგომი ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ სასურველია

ინგლისური ენის სწავლების საათები გაიზარდოს სკოლაში. აღნიშნული ჯგუფს არ შეხვედრია სკოლაში რამე დაბრკოლება, რისთვისაც მადლობას უხდის დირექციას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უცხოური ენა, 2009.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დაწყებითი საფეხურის უცხოური ენის სტანდარტი, 2010.
3. კახა ბენდუქიძე, რატომ დაგვღუპავს ინგლისური ენის სწავლა პირველი კლასიდან, ჟურნალი ტაბულა, (18.10.2010).
4. ნატო ინგოროყვა, ჟურნალი „მასწავლებელი“, №2, 2010.
5. ნათია ჯანაშია, ნათელა იმედაძე, სოფიო გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები, 2008.
6. იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, sites.google.com/site/literaturulitsre/kartuli.../iakob-gogebashvili
7. www.naec.ge - უცხოური ენა, 2009.

იოჰან ფრიდრიჰ ჰერბარტი და თანამედროვე ამერიკული პედაგოგიკა

ნათია გოხელაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **აკაკი ტოლიაშვილი**, სრული პროფესორი

XVIII საუკუნის ევროპულმა პედაგოგიკამ, კერძოდ ჰერბარტის შეხედულებებმა, გარკვეული ასახვა ჰპოვა თანამედროვე ამერიკულ პედაგოგიკაში. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ჰერბარტის შეხედულებების ზოგიერთი საკითხი, რაც თვალში საცემია, ამ ურთიერობებსა და გავლენების წყალობით გარკვეულწილად დამკვიდრებულ ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო განათლების სისტემაში.

იოჰან ფრიდრიჰ ჰერბარტი (1776–1841 წ) ერთ–ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება გერმანული პედაგოგიური აზროვნების აღორძინებასა და განვითარებაში. იგი დაიბადა გერმანიაში რომელიც იმ დროს დაქუცმაცებული ქვეყანა იყო. მან განათლება მიიღო ჯერ ლათინურ სკოლაში, შემდეგ კი იენის უნივერსიტეტში. იგი იყო ფიხტეს მოწაფე იენაში, შემდეგ პროფესორი კენიგსბერგსა და გოტინგენში, იქვე გარდაიცვალა.

ჰერბარტი სისტემატიკოსი იყო, რაც ზოგადად ახასიათებს გერმანულ ფილოსოფიას, თუმცა მან დიად კონსტრუქციათა შექმნას ჩვენი შემეცნების წინაშე რეალობის უფლებებსა და გამოცდილებაზე დაკვირვება ამჯობინა. ჰერბარტს მეთოდისადმი ყურადღება და ზომიერება ახასიათებს. ამით აიხსნება მისი ღრმა ინტერესი პედაგოგიური პრობლემებისადმი. მან პედაგოგიური მეცნიერების მთელი რიგი საკითხები ღრმა მეცნიერული თვალთახედვით განიხილა და დაამუშავა.

ადამიანის პიროვნებად ფორმირება ჰერბარტს სამ განყოფილებად აქვს წარმოდგენილი: მართვა, ზნეობრივი აღზრდა და სწავლა. მათგან განსაკუთრებულად გამოყოფს ბავშვის მართვას. იგი განიხილავს მართვის საკითხებს, ხოლო მართვაში განიხილავს დისციპლინის საკითხებს, თვითონ დისციპლინაში იგი გულისხმობს ნებისყოფის დათრგუნვას, მაგრამ ამას განიხილავს არა მომავლის თვალსაზრისით, არამედ თანამედროვეობასთან კონტექსტში, ონტოგენიზმში. თანამედროვე ამერიკული პედაგოგიკის ასეთი მიმართულება ნათლად ჩანს მთელ რიგ პროგრამებში.ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ ქენთერი 1976 წ., ბროფი 1996 წ.

ჰერბარტის აზრით მართვის საშუალებით შესაძლებელია დამყარდეს მხოლოდ გარეგნული წესრიგი და მისი აზრით მართვა არა აღზრდის საშუალებაა, არამედ აღზრდის ერთ–ერთი პირობაა.

მართვის საშუალებად ჰერბარტი გარკვეულ საკითხებს ეყრდნობა, ეს საშუალებებია: მუქარა, თვალყურის დევნება, აკრძალვა, კარცერში ჩასმა, ფიზიკური დასჯა. მის მიერ შემუშავებული დასჯის ხერხები გამოიყენეს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის მეფის რუსეთშიც. ამის ანალოგიაა ამერიკულ პედაგოგიკაში დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული არაერთი პროგრამა, რომელსაც ვხვდებით ბროფის 1996 წ., ნელსონის, მართელა და განდელის 1996 წ., ბეარის 1998 წ. შემუშავებულ პროგრამებში. მაგალითად: „ფიქრის დრო არის კარგად სტრუქტურირებული პროგრამა, რომელიც კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ამცირებს დისციპლინის დარღვევის შედეგებს

მოსწავლეებში და ზრდის მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცეში. იხილეთ რეგო და ქოლვინი 1996 წ. სადაც მოცემულია ამ პროგრამასთან დაკავშირებული კვლევის ანალიზი“

თუ ჰერბარტი ბავშვის აღზრდის პროცეში მოითხოვს კარცერში ჩასმას და ფიზიკურ დასჯას, რაც მის აზრით ბავშვი უნდა შეაკავოს ცუდი საქციელისაგან, მისივე ანალოგიაა ამერიკულ პროგრამაში „ფიქრის დრო“ და დამახასიათებელი „ფიქრის ოთახი“. ეს უკანასკნელი ამერიკულ პროგრამაში წარმოადგენს სპეციალურ საკლასო ოთახს, რომელშიც მასწავლებლები დაუმორჩილებელ მოსწავლეს გზავნიან. “თუ მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევის აღკვეთა ჩვეულებრივ კლასში ვერ ხერხდება, მასწავლებელი მას ფიქრის ოთახში გზავნის.“ [2. გვ. 37] (კლასის მართვა, კვლევაზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებელთათვის – რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი.)

ჰერბარტი მკაცრად მოითხოვს, იმ შემთხვევაში, თუ საჭირო შედეგი ვერ მიიღო, ეს პროცესი დასრულდეს დასჯით. ამერიკული პროგრამით ფიქრის ოთახში „მოსწავლე უნდა დაუფიქრდეს ჩადენილ საქციელს და გაანალიზოს ის, მოსწავლე არ უბრუნდება ჩვეულებრივ საქმიანობას მანამ, სანამ არ დაადასტურებს, რომ კარგად გააცნობიერა საკუთარი საქციელის არსი და მიზეზები იმისა, თუ რატომ გაამწესეს ფიქრის ოთახში.“ [1. გვ. 117]

ამრიგად, მოცემული საკითხების თანხვედრა ჰერბარტის შეხედულებებსა და თანამედროვე ამერიკის პედაგოგიურ აზროვნებაში გვაფიქრებინებს იმას, რომ გერმანული პედაგოგიკის მთელი რიგი შეხედულებები რაციონალურად არის გამოყენებული გასული საუკუნეებისა და თანამედროვე ამერიკული განათლების სისტემაში. ჰერბარტი და არა ერთი ამერიკელი მკვლევარი უშუალოდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. მაგ.: ამერიკელი მკვლევარი ჯონ დუი იყო ჰერბარტის განათლების ეროვნული საზოგადოების წევრი. ეს პარალელები გვაფიქრებინებს (რომელიც რამოდენიმე ფორმით წარმოგიდგინეთ) იმას, რომ ამერიკული პედაგოგიკა საინტერესოდ იყენებს არა მარტო გერმანულ პედაგოგიკას, არამედ მსოფლიო კლასიკური პედაგოგიური აზროვნების მიღწევებს.

ლიტერატურა:

1. „პედაგოგიკის ისტორია“, ნათელა ვასაძის რედაქტორობით, თბ., 1998
2. რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, „კლასის მართვა“, პირველი ქართული გამოცემა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
3. http://ka.wikipedia.org/wiki/პედაგოგიკა

პროექტი „კომპიუტერი პირველკლასელებისთვის“ – მიზნები და მოლოდინები

ნანა დოლიაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **თამარ მაკასარაშვილი,** სრული პროფესორი

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით 2010 წლიდან პირველკლასელებს სახელმწიფომ ნეტბუქები დაურიგა.

ნეტბუქი, თანამედროვე საბავშვო კომპიუტერი, რომელიც თავდაპირველად კომპანია INTEL-თან თანამშრომლობის შედეგად, 3000 ცალი სპეციალურად საქართველოს სკოლებისთვის დამზადდა, პროექტის ფარგლებში საჩუქრად გადაეცათ პირველკლასელებს. ეს კომპიუტერები შექმნილია საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე. იმისათვის, რომ ნეტბუქი ბავშვისთვის ადვილად გამოსაყენებელი ყოფილიყო მსოფლიოს მასშტაბით არაერთი კომპეტენტური სპეციალისტი მუშაობდა. ნეტბუქების შეტანა სკოლებში არ გულისხმობს სახელმძღვანელოების ხმარებიდან ამოღებას, კომპიუტერი იქნება მხოლოდ ინფორმაციის მიღების დამატებითი წყარო. ნეტბუკი მსოფლიოს წამყვანი კომპანიების, ექსპერტებისა და ფსიქოლოგების ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა. კომპიუტერში

გათვალისწინებულია ბავშვის ფსიქოლოგია და მისი უნარ-ჩვევები, რომელსაც ნეტბუკი მოსწავლეს კიდევ უფრო უვითარებს.[1]

თანამედროვე საბავშვო კომპიუტერში ჩატვირთულია სასწავლო პროგრამები უცხო ენაში, ქართულში, მათემატიკასა და ლოგიკაში, აგრეთვე, სხვა კლასგარეშე სახელმძღვანელოებიც და სასწავლო-შემეცნებითი თამაშები. ნეტბუქში ჩატვირთულია სრულფასოვანი ოპერაციული სისტემა. მოსწავლეებს, გარდა შეთავაზებული პროდუქციისა, შესაძლებლობა ექნებათ თვითონაც ჩატვირთონ მასში პროგრამები, თამაშები და სახელმძღვანელოები. ნეტბუქებს აქვთ უკაბელო ინტერნეტის ფუნქცია და მოსწავლეებს სკოლაში უფასოდ შეეძლებათ ინტერნეტით სარგებლობა. ნეტბუკის ძირითადი დანიშნულება შეძენილი ცოდნის გაღრმავებაა. "ბუკებში" ჩატვირთულია კომპიუტერული პროგრამები, რომლის მეშვეობითაც ხდება მოსწავლეებისთვის თვალსაჩინოების ჩვენება. განსაკუთრებულად საინტერესო ხდება ნეტბუკის დახმარებით ახსნილი ბუნებისა და ხელოვნების გაკვეთილები.

ნეტბუქები დაურიგდათ პედაგოგებსაც და მათ აგვისტოში სპეციალური გადამზადების ერთთვიანი კურსი გაიარეს. სკოლებში სიტემატურად მიმდინარეობს ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით პედაგოგთა და მოსწავლეთა მომზადების პროცესი. რამდენიმე წელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგების პროგრამას ახორციელებენ. შედეგად, ახალი სასწავლო წლიდან ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში უფრო ინტენსიური გახდება.

თანამედროვე ტექნოლოგიების, კომპიუტერიზაციის და ინტერნეტის სამყაროში აუცილებელია ბავშვს სწორი განვითრებისთვის და მომავალში სრულყოფილი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებთან ურთიერთობა თავიდანვე ჰქონდეს. ხოლო, თუ ეს შერწყმული იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სასკოლო პროგრამებთან, უფრო დიდი ალბათობაა ბავშვმა თავისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება-მოძიებისთვის გამოიყენოს კომპიუტერი და ინტერნეტი. სწორედ ამიტომ, პირველკლასელებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე გადაწყვიტა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ელემენტების შემოტანა სწავლების პირველივე წლიდან ნეტბუკების სახით. კომპიუტერი ბავშვებისთვის რომ უფრო ადვილად აღსაქმელი და სახალისო ყოფილიყო, მას პირობითად **"ბუკი"** დაერქვა.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში საგნობრივი დისციპლინების სწავლება მათ შორის მჭიდრო ინტეგრაციით არის მოაზრებული როგორც ინფორმაციული, ასევე ზოგადი უნარ-ჩვევების თვალსაზრისით. თუკი თითოეული საგანი სპეციფიკურ უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებას უვითარებს მოსწავლეებს, ინტეგრაციის დანიშნულება არის იმ ზოგადი უნარ-ჩვევების გამოკვეთა, რომლებიც ამ საგნებს ერთმანეთთან აახლოვებს. ეროვნული სასწავლო გეგმა გულისხმობს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობის ერთიანობასაც. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში ინტეგრაცია მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის შემდეგი ზოგადი უნარ-ჩვევებისა და აზროვნების ტიპების განვითარებას, რომელთაც ჩვენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) კუთხით განვიხილავთ.[2]

- გაგების უნარი: გულისხმობს ისტ-ის საშუალებების და მათი ფუნქციონირების შესახებ ფაქტების, ცნებების და იდეების ცოდნას; მათი დანიშნულების ინტერპრეტირებას და შედარებას.
- კომუნიკაციის უნარი: ისტ-ის საშუალებების გამოყენებას ინფორმაციის მიღების, მოპოვებისა და გაცვლის მიზნით.
- ანალიტიკური აზროვნების უნარი: გულისხმობს ისტ-ის საშუალებათა შეფასებას, უკვე მოცემულ ან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით; მათ შორის კანონზომიერებების დადგენას, შემადგენელი კომპონენტების ამოცნობას, ფრაგმენტების ორგანიზებას.
- სინთეზური აზროვნების უნარი: გულისხმობს ისტ-ის საშუალებებით ინფორმაციის დიდი მოცულობიდან საჭირო ფრაგმენტების ამორჩევის, მათი მიზნობრივად დაკავშირების უნარს. ისე, რომ მიღებული შედეგი გამოყენებადი და გასაგები იყოს როგორც თავად მოსწავლისთვის, ასევე სხვებისთვისაც.

1. www.ganatleba.org
2. www.tpdc.ge

– შემოქმედებითი აზროვნება: გულისხმობს ისტ-ის საშუალებების გამოყენებით, რეალობიდან მომდინარე პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზების პოვნას, ახალი კითხვების დასმას და მათზე პასუხის ძიებას.
– კრიტიკული აზროვნების უნარი: გულისხმობს უკვე მოცემული, ან მოპოვებული ინფორმაციის შეფასებას შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, მისი გამოყენების საზღვრების დადგენას.

ბუკებზე სამუშაოდ მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები, რათა უკეთ მართონ კლასი. მოსწავლეები ბუკებს იყენებენ სხვადასხვა ინფორმაციის საძიებლად და თვითგანვითარებისთვის. ბუკი პირველკლასელებს უვითარებს შემდეგ უნარებს:

- იყენებენ შეტანისა (თაგვი, კლავიატურა) და გამოტანის მოწყობილობებს (მონიტორი, პრინტერი) ბუკის წარმატებით ფუნქციონირებისთვის;
- იყენებენ ბუკს მასწავლებლის მიერ ჩატარებული ან დამოუკიდებელი სასწავლო აქტივობისას;
- ამოიცნობენ და ასახელებენ სხვადასხვა ისტ-საშუალებებს და მათზე საუბრისას ასაკის შესაბამისად იყენებს სწორ ტერმინოლოგიას;
- იყენებენ ინტერნეტში ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამის არსებულ რესურსებს (მაგ., საგანმანათლებლო პროგრამები, ინტერაქტიური წიგნები, ნახატები და სხვა) სწავლების პროცესში.

როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ბუკების წარმატებით მუშაობის პროცესში მხოლოდ ქსელის აპარატი ქმნის პრობლემებს, რადგან ხშირად წყდება კავშირი და მასწავლებელი ვერ ახერხებს დაკავშირებას მოსწავლეებთან. ამიტომ მასწავლებლები ყოველ გაკვეთილზე წიგნის დამხმარედ, თვალსაჩინოებისთვის ვერ იყენებენ ბუკებს დანიშნულებისამებრ.

გაცილებით უკეთესი შედეგების მიღწევა იქნება შესაძლებელი, თუ ამ აპარატის სიმძლავრე და საიმედოობა მოიმატებს, ან სრულიად შეიცვლება სხვა სისტემით, რომელიც უფრო კარგად უზრუნველყოფს ბუკების ფუნქციონირებას. გაკვეთილებიც უფრო შედეგიანი გახდება და თავდაპირველი მიზანი, რომელიც განათლების სამინისტრომ დაისახა, მიღწეული იქნება.

გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ასევე საჭიროა მასწავლებლების ტრენინგების ხანგრძლივობის გაზრდა, რადგან მოცემული დროის განმავლობაში ისინი სრულად ვერ ახერხებენ ყველა შესაძლო პრობლემის მოგვარებისათვის მომზადებას. მეცადინეობისას ისინი ხშირად აწყდებიან პრობლემებს, რომლის გადასაჭრელად მზად არ არიან, ან საერთოდ არ იციან თუ როგორ გადაჭრან ისინი.

მოგეხსენებათ, რომ ამ ასაკის ბავშვებისთვის მასწავლებელი ეტალონია, მასწავლებლებმა ყველაფერი იციან და უჭირთ იმის გაგება, რომ მასწვლებელმაც შეიძლება რაღაც არ იცოდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვები ამჩნევენ, რომ მათმა მასწავლებელმა რაღაც არ იცის, ეს მასწავლებელი ავტორიტეტს კარგავს მათ თვალში, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესზე.

ისტ გამოყენება ძირეულად ცვლის სასწავლო პროცესს, ერთიან შემეცნებით პროცესში აერთიანებს სწავლების ელემენტებს, გამოკვლევის ელემენტებს, ტექნიკურ საშუალებებსა და ინფორმაციის ანალიზის პროცესს. იცვლება მასწავლებლის ფუნქციებიც. მასწავლებლისაგან მოითხოვება სასწავლო პროცესის ოპტიმალური მართვის უზრუნველყოფა, ისტ, როგორც უნივერსალური სწავლების საშუალების მუშაობის ყველა შესაძლო ფუნქციის ცალსახად წარმოდგენა.

ამდენად, სასწავლი და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, მნიშვნელოვანია მოქნილი პოზიციის გამონახვა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ ტექნოლოგიური პროგრესი საგანმანათლებლო გარემოს გამდიდრებისათვის, რათა აღიზარდოს თაობა, რომელიც თავის მხრივ განავითარებს საზოგადოებას.

ლიტერატურა:

1. www.tpdc.ge
2. პ. პაპავა და სხვ., ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, თბ., 2011.
3. http://www.science.org/Documents/koncefcia/koncefcia.pdf

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვარი №2 დადგენილების დანართი (საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კონცეფცია 2000 – 2015 წლებში))

4. Гершунский Б. С. Компьютеризация в сфере образования: Проблемы и перспективы. М.,2005
5. http://conference.ge
6. http://education.ge

7. www.ganatleba.org
8. www.buki.ge

თავისუფალი ჭიდაობის საშეჯიბრო მოღვაწეობის ტექნიკური მოქმედებების რეგისტრაცია და ანალიზი სტენოგრაფირების მეთოდის საშუალებით

გიორგი თამლიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი მძინარაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

ჭიდაობა სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა, რომელიც გამოირჩევა თავისი სანახაობრიობით და ილეთების მრავალფეროვნებით. საერთაშორისო არენაზე აღიარებულია ჭიდაობის ოთხი სახეობა: თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭიდაობა ძიუდო და სამბო.

მოჭიდავე უნდა იყოს ყოველმხრივ მომზადებული. გარდა იმისა, რომ კარგად უნდა ასრულებდეს ილეთებს, ამასთან ერთად ფიზიკურად ძლიერი და უშიშარი უნდა იყოს.

სულ ცოტა ხნის წინ, საერთაშორისო არენაზე, ჭიდაობის ოთხი სახეობიდან, ჯამურ ჩათვლაში, შედეგების მიხედვით ჭიდაობაში სხვა, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან შედარებით, ქართველი ფალავნები ლიდერობდნენ.

როგორც ასეთი, თავისუფალი ჭიდაობა წარმოიშვა ინგლისის, აშშ-ის, თურქეთის და ირანის ქვეყნების ჭიდაობების სინთეზით.

დიდი როლი შეასრულა თავისუფალი ჭიდაობის არსენალის გალამაზებაში და მრავალფეროვნებაში ჩვენმა ეროვნულმა ქართულმა ჭიდაობამ.

ქართველი ფალავნები ქართული ჭიდაობის ლამაზი და ეფექტური ილეთების გამოყენებით, აღწევდნენ და აღწევენ დიდ წარმატებებს როგორც თავისუფალ ჭიდაობაში, ასევე ძიუდოსა და სამბოში. აღსანიშნავია ის, რომ პირველი ოლიმპიური ოქრო 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე, ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მოიპოვა თავისუფალი სტილით მოჭიდავემ – ქართველმა ფალავანმა დავით (ამურ) ციმაკურიძემ.

თავისუფალი ჭიდაობის გორის სკოლას დიდი ტრადიციები და ისტორია აქვს. საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებზე შვიდ წონით კატეგორიაში 3-4 გორელი მოჭიდავე ავსებს საქართველოს დიდებისა და ახალგაზრდულ ნაკრებებს.

დღევანდელი დიდების ნაკრებს წარმოადგენენ ჩვენი უძლიერესი ფალავნები: ბესიკ გუჩაშვილი, ლადო ხინჩეგაშვილი, ოთარ თუშიშვილი, გიორგი გოგშელიძე.

მიუხედავად ამისა, სასურველია იმ ეფექტური და რაციონალური გზების ძიება, რომლებიც მეტად აამაღლებს საქართველოში ჭიდაობის დონეს და კიდევ მოგვიტანს ბევრ სასურველ წარმატებას.

საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდური ლიტერატურისა და წამყვანი სპეციალისტების ანკეტირების ანალიზი თავისუფალ ჭიდაობაში გვიჩვენებს, რომ შეჯიბრებებზე (საქართველოს პირველობებსა და სხვა რანგის ჩემპიონატებზე) გამოყენების თვალსაზრისით, ტექნიკურ არსენალში დომინირებს ილეთები, რომლებიც დაკავშირებულია ერთი ან ორი ფეხის მოვლების შემდეგ მოწინააღმდეგის ჩოქბჯენში გადაყვანასთან. ეს მიუთითებს რთულად კოორდინირებული ილეთების ნაკლებობაზე, საბოლოოდ, უარყოფით გავლენას ახდენს შეჯიბრებების სანახაობრიობაზე, მომზადებულობასა და თვით სპორტულ შედეგებზეც.

თავისუფალი ჭიდაობის სწავლების პროგრამასა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა რეალურ საშეჯიბრო გამოსვლებში ვლინდება შეუსაბამობა შესასწავლ და გამოყენებულ ტექნიკურ ილეთებს შორის. ამასთან ერთად, ჩვენთვის მისაწვდომ სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის განხილვისას იგრძნობა იმის საჭიროება, რომ მოჭიდავის ოსტატობის ჩამოყალიბებისათვის, საწყის ეტაპზე, სასწავლო-საწვრთნო პროცესი უნდა აეგოს თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, გავაკეთეთ საშეჯიბრო მოღვაწეობის ანალიზი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სტენოგრაფირების მეთოდის გამოყენებით, სულ გამოვყავით ოთხი ასაკობრივი ჯგუფი: 1; 2; 3; 4.

1) მოჭიდავეები 1997-1998 წლებში დაბადებული (I ჯგ.);

2) მოჭიდავეები 1995-1996 წლებში დაბადებული (II ჯგ.);
3) მოჭიდავეები 1993-1994 წლებში დაბადებული (III ჯგ.);
4) უფროსი ასაკის მოჭიდავეები (IV ჯგ.).

როგორც პირველი ნახაზიდან ჩანს, ყველა ასაკობრივ ჯგუფში დგომის ტექნიკური მოქმედებებიდან მოჭიდავეები ყველაზე ხშირად იყენებენ გადაყვანებს და გდებებს ერთი და ორი ფეხის მოვლებით. ასაკის ზრდასთან ერთად ერთი ფეხის მოვლებით გადაყვანების და გდებების გამოყენება მატულობს და დიდების ჯგუფში ეს ილეთი მოჭიდავეთა შეჯიბრებებში მთავარი ხდება.

ნახ. 1

მოჭიდავეთა მიერ შესრულებული დგომის ტექნიკური მოქმედებების საშუალო მაჩვენებელი (%)
(I–1997-98 დ. წ.; II–1995-96 დ. წ.; III–1993-1994 დ. წ.; IV–უფროსი ასაკის მოჭიდავეები)



რაც შეეხება გადაყვანებს და გდებებს ორი ფეხის მოვლებით, ასაკთან ერთად ამ ილეთის გამოყენება მცირდება და მინიმალურ სიდიდეს აღწევს უფროსი ასაკის მოჭიდავეთა შეჯიბრებებზე (27%).

ჩოქბჯენის ტექნიკური მოქმედებების განხილვისას, მე-2 ნახაზზე, შეიძლება ითქვას შემდეგი: მოჭიდავეები ყველა ასაკობრივ ჯგუფში ჩოქბჯენის ტექნიკური მოქმედებებიდან უფრო ხშირად იყენებენ გადატრიალებებს შემორბენით. გამოყენების მიხედვით, შემდეგ ილეთებად წარმოდგენილია გადატრიალებები გრეხვით, ტრიალით, წინკოტრიალით, ნახევარტრიალით და გადახრით.

ნახ. 2

მოჭიდავეთა მიერ შესრულებული ჩოქბჯენის ტექნიკური მოქმედებების საშუალო მაჩვენებელი (%)
(I–1997-98 დ. წ.; II–1995-96 დ. წ.; III–1993-1994 დ. წ.; IV–უფროსი ასაკის მოჭიდავეები)



ჩატარებული დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ასაკის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საშეჯიბრო მოღვაწეობაში გამოვლენილი ტექნიკური მოქმედებების არსენალი არის შეზღუდული. ილეთების ძირითად მოცულობას ყველა ასაკში იკავებენ ნაკლებად ეფექტური ილეთები როგორც დგომში, ასევე ჩოქბჯენში. ეს, რა თქმა უნდა, ცუდ გავლენას ახდენს შეჯიბრებების სანახაობასა და სილამაზეზე.

მიუხედავად ეტაპობრივი ცვლილებებისა, თავისუფალი ჭიდაობის წესებში საერთაშორისო ჭიდაობის ფედერაციის მიერ, ეს საკმარისი არ არის. ჩვენი აზრით აუცილებელია გარკვეული ცვლილებების შეტანა სასწავლო-საწვრთნო პროცესში სწავლებისა და მომზადების მეთოდიკაში.

ლიტერატურა:

1. Демин В.А., Методологические вопросы исследования спорта в аспекте теории деятельности. Автореф. на соиск. учен. степ. канд. пед. наук., М., 1974, с. 20.
2. Морозов А.К., Совершенствование техники в спортивной борьбе. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1977, с. 38-40.
3. Юсупов Х.М., Попов А.Н. Вопросы оценки тактико-технического мастерства самбистов. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1978, с. 48-51.
4. Ленц А.Н., Ведущие элементы в сложных технико-тактических действиях. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1979, с. 19-20.
5. Демин В.А., Пилоян Р.А., Седлов В.С. Деятельностный анализ борцовского поединка. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1979, с. 60-65.
6. Еганов А.В., Сиротин О.А., Каплин В.Н., Курашкин А.И. Структура показателей спортивного мастерства дзюдоистов. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1982, с. 12-14.
7. Горбунов А.В., Орлов В.В. Соревновательная деятельность борцов, как фактор целенаправленного совершенствования технико-тактической подготовки сотрудников ОВД. «Теория и практика физической культуры», 1998, №7, с. 6.
8. Чумаков Е.М., Масштабы соревновательной деятельности борьца. «Теория и практика физической культуры», 1999, №2, с. 16-20.

რეკომენდაციები VII-XII კლასებში ფეხბურთის სწავლების შესახებ

გიორგი იაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი**, სრული პროფესორი

სპორტი ის სოციალურ-ეკონომიკური ფენომენია, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სფეროში დასახული სტრატეგიული მიზნების განვითარების საქმეში.

სპორტის მეშვეობით გამოვლენილი ადამიანთა ღირებულებები საფუძველს ქმნის განათლების, მოტივაციის, უნარებისა და პიროვნული მზადყოფნის განვითარებისათვის.

სპორტმა თავისი ისტორიის მანძილზე შეინარჩუნა თვითმყოფადობა და ცივილიზაციასთან წილნაყარი ღირებულება. ის წარმოადგენს გარკვეული ცხოვრების წესს, საკუთარი თავის პოვნისა და როგორც მთლიანად სახელმწიფოების, ისე პიროვნებათა თვითდამკვიდრების საშუალებას.

სპორტი ქვეყნის კულტურულ-სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამიტომ სახელმწიფო ხელს უწყობს მის განვითარებას.

სპორტმა დღეს საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა და თავისი მრავალმხრივი მნიშვნელობით საზოგადოებრივ მოვლენად იქცა. მას მრავალი ფუნქცია აკისრია: ჯანმრთელობის განმტკიცება, სიცოცხლისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების ფორმირება და სრულყოფა, რაციონალური ტანადობის ჩამოყალიბება, პიროვნული თვისებების აღზრდა, სპორტში დამოუკიდებელი მეცადინეობისადმი ინტერესებისა და ჩვევების ფორმირება.

2010 წლიდან საჯარო სკოლებში დაინერგა სპორტის გაკვეთილები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მათ შორის ფეხბურთში. სანამ ფეხბურთის სწავლების საკითხებს შევეხებოდეთ, აუცილებელია გარკვეული წარმოდგენა შევუქმნათ მოსწავლეებს ფეხბურთის შესახებ.

ფეხბურთი არის მოსახლეობის ფენების ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების თვალსაზრისით სპორტის სხვა სახეობათა შორის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი საშუალება.

ფეხბურთის თამაშის არსი - ესაა ბრძოლა ორ გუნდს შორის, რომელთა მოთამაშეებს აერთიანებთ საერთო მიზანი - გამარჯვების მოპოვება. გამარჯვებისაკენ სწრაფვა ავითარებს კოლექტიურ მოქმედებებში მონაწილეობის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, ურთიერთდამხარებისა და მეგობრობის გრძნობას.

ფეხბურთში მეცადინეობა იწყება VII კლასიდან და გრძელდება XII კლასამდე. სასწავლო პროგრამის მიხედვით ფეხბურთის სწავლება გულისხმობს: ტექნიკურ, ტაქტიკურ და ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიურ მომზადებას.

ტექნიკური მომზადებისათვის აუცილებელია შესწავლილ იქნას გადაადგილების ტექნიკა უბურთოდ, რომელიც მოიცავს რბენას სხვადასხვა მიმართულებით, ხტომებს ზევით-მარჯვნივ, ზევით-მარცხნივ, გამორბენიდან ცალ ფეხზე არეკნით, რბენის დროს გაჩერებებს. გარდა ამისა აუცილებელია თამაშის ისეთი ტექნიკური ელემენტების შესწავლა, როგორიცაა: ბურთის მიღების ხერხები, ბურთის გაჩერების ხერხები, ბურთის გადაცემები, ბურთის დარტყმები მარჯვენა ფეხით, ბურთის დარტყმები მარცხენა ფეხით, ბურთის დარტყმები თავით, ცრუ მოძრაობები და ბურთის წართმევის ხერხები.

ტაქტიკური მომზადების დროს მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ: თავდასხმაში ინდივიდუალური გადაადგილება ბურთით, ბურთის დარტყმების ყველაზე რაციონალური ხერხების გამოყენება, ბურთის ტარება, ბურთის გაჩერება, ინდივიდუალური მოქმედებები უბურთოდ და გუნდური მოქმედებები.

დაცვაში თამაშის ტაქტიკა კი გულისხმობს: მოთამაშის ინდივიდუალური და ჯგუფური მოქმედების შესწავლას ბურთის წართმევის მიზნით, ამავე დროს ხელსაყრელი პოზიციის შერჩევას თავდასხმაში გადასასვლელად.

მოსწავლეთა ინტელექტუალური მომზადების შინაარსს წარმოადგენს სწავლების პროცესში მოსწავლე დაეუფლოს სპეციალურ ცოდნას ფეხბურთის თამაშის ტექნიკის, ტაქტიკის, სპორტული წვრთნისა და თამაშის წესების შესახებ.

ფეხბურთელის ფსიქოლოგიური მომზადება გულისხმობს თამაშის წინ გამარჯვებისადმი მკვეთრად გამოხატულ მისწრაფებას. ასეთი განწყობილების შექმნა შესაძელებელია საკუთარი ძალებისადმი რწმენის საფუძველზე.

სკოლაში ფეხბურთის სწავლების პროცესში სასწავლო პროცესი შემდეგნაირად უნდა დაიგეგმოს:

VII კლასში მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ:

1. ბურთის გაჩერებებისა და დარტყმების ძირითადი ხერხები;
2. უძრავ და მოძრავ ბურთებზე სხვადასხვა ხერხით დარტყმები;
3. ცრუ მოძრაობები;
4. ბურთის გაჩერების ტექნიკის სხვადასხვა ხერხები;
5. ბურთის კენწვლა.

VIII კლასში შესწავლილი უნდა იქნას:

1. ბურთის ტარება ფეხის წვერით;
2. ბურთის ტარება სიარულსა და რბენაში ფეხის შენაცვლებით;
3. ბურთის დაბალი გადაცემები სხვადასხვა ხერხით;
4. არეკნილი ბურთის ტერფის ძირით და ტერფის შემაღლების შუა ნაწილით გაჩერება;
5. ბურთის დარტყმა და გაჩერება.

IX კლასის მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ:

1. ბურთის დაბალი გადაცემები წყვილებში, წინასწარი გაჩერებით;
2. ბურთის ტარება ზიგზაგისებურად ნელ ტემპში და აჩქარებით;
3. ბურთის მოედნის განსაზღვრულ, მოძრაობის მიმართულების ცვლით;
4. ბურთის ტარება წრეზე, შუალედური აჩქარებებით;
5. ბურთის შემოტანა აუტიდან და კურთხურების მოწოდება.

X კლასში საჭიროა მოსწავლეებმა შეისწავლონ:

1. პარტნიორის მიერ გამოგორებული ბურთის დარტყმა კარებში;
2. ბურთის თავით დარტყმა შუბლის შუა ნაწილით, პარტნიორის მიერ მარჯვნიდან და მარცხნიდან გამოგორებული ბურთის დარტყმა კარების მიმართულებით;
3. ცრუ მოძრაობების შესრულება სხვადასხვა ტემპში;

4. ბურთის ჩაჭრა და შეტევის წამოწყება.

XI კლასში კი მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ:

1. წინ მდგომი პარტნიორის მიერ მოწოდებულ ბურთზე დარტყმა გამორბენიდან კარში სიზუსტეზე;
2. ბურთის წართმევა ფეხიდან;
3. წყვილებს შორის ბურთის გადაცემა ერთი შეხებით;
4. ბურთის გადაცემა „კვადრატში“ ერთი შეხებით;
5. ცრუ მოძრაობების სრულყოფა.

XII კლასის მოსწავლეებმა, რომლებსაც უკვე შესწავლილი აქვთ თამაშის ტექნიკის და ტაქტიკის ელემენტები, საჭიროა სასწავლო პროცესში დაეუფლონ შემდეგ ელემენტებს:

1. ბურთის წართმევა, მოწინააღმდეგის მხარში მხრის გაკვრით;
2. ადგილზე და მოძრაობაში პარტნიორებს შორის ბურთის გადაცემა ერთი შეხებით;
3. ბურთის წართმევა ფეხიდან გაგდებინებით და ვარდნით;
4. ბურთის ტანით დაფარვა;
5. დაცვითი და შეტევითი თამაშის ტექნიკის შესწავლა.

იმისათვის, რომ მიღწეული იქნას სასურველი შედეგი, ჩვენი აზრით, საჭიროა სწავლების პროცესში გათვალისწინებული იქნას შემდეგი ფაქტორები:

1. სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც აირჩიეს ფეხბურთი, საჭიროა რეგულარულად მეცადინეობდნენ სპორტის არჩეულ სახეობაში;
2. მოზარდის ორგანიზმზე ეფექტური ზემოქმედების მიზნით მოქმედებები უნდა იქნეს შერჩეული და გამოყენებული ფიზიკური სრულყოფისაკენ;
3. პედაგოგმა უნდა იზრუნოს თითოეულ გაკვეთილზე მოსწავლეთა აქტიურობაზე, დამოუკიდებლობასა და შემოქმედებით ინიციატივაზე;
4. აუცილებელია თითოეული მეცადინეობის პროცესში გათვალისწინებულ იქნას ვარჯიშისა და დასვენების ურთიერთკავშირი;
5. ნებისმიერი კლასის მოსწავლეებთან სწავლების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას ინდივიდუალური, ჯგუფური და წყვილი მეთოდები.

ლიტერატურა:

1. სპორტის თეორია, მესამე ნაწილი, თბ., 2007.
2. გზამკვლევების კრებული სპორტის სახეობებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (VII-XII კლასები), თბ., 2010.
3. საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, თბ., 2011.
4. www.sportandyouth.ge

წიგნიერება დაწყებით კლასებში

ნინო ლომიძე, მაია კვენიაშვილი, მარი მუჯრიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ბერიკა შუკაკიძე**, მოწვეული სპეციალისტი

ყოველი მეცნიერება სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს იკვლევს. პედაგოგიკა იკვლევს ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბების, უმწეო ახალშობილის სრულფასოვან მოქალაქედ განვითარების პროცესს. მაშასადამე, პედადოგიკა არის მეცნიერება ადამიანის პიროვნების განვითარების შესახებ. პიროვნების განვითარებას კი მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის წამყვანი მნიშვნელობა აღზრდა-განათლებას ენიჭება.

”აღრზდა არსებითად არის, უმცროსი თაობის მიერ მოზარდი თაობისათვის იმ გამოცდილების გადაცემა, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე დაუგროვებია. [შ. მალაზონია, 2001].

იგი მიზანმიმართული პროცესია, სწორედ აღზრდაზეა დამოკიდებული ბავშვის შემდგომი განვითარება და მისი ინტელექტუალიზმი. ბავშვისა და მოზარდის აღზრდის ერთ-ერთი უნივერსალური

საზომი წიგნიერების დონეცაა, რომელიც გულისხმობს წერისა და კითხვის უნარებს ასევე გამართულად საუბრის, დასაბუთებული მსჯელობისა და პრობლემური ამოცანების გადაჭრის უნარებსაც, რაც ადამიანს საზოგადოებაში თანაარსებობისათვის და ყოველდღიურ ცხოვრებაში თვითრეალიზაციისათვის სჭირდება. ამიტომაც ქართული საგანმანათლებლო სფეროს გამოწვევად კვლავაც რჩება წიგნიერების დონის ამაღლების საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებში.

არსებობს სტატია, სადაც აღწერილია საქართველოში არსებული დონე წიგნიერების შესახებ.

საქართველოში განათლების დონე უკვე კატასტროფულად დაეცა, მარტო კითხვის დონის მაჩვენებელი უტოლდება არაბეთის, ირანისა და აფრიკის ქვეყნებსაც კი. **მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილ 45 ქვეყნის რეიტინგულ სიაში საქართველო 27-ე ადგილზეა.** ქართველი ბავშვების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნებს. დღესდღეობით კითხვის საერთაშორისო შეფასების კვლევაში 41 ქვეყანა მონაწილეობდა.

კითხვის უნარების დონით საქართველო 36-ე ადგილზეა, ეს ნიშნავს, რომ 9-10 წლის ბავშვები სხვა 35 ქვეყნის მოსწავლეებთან შედარებით ცუდად კითხულობენ. [http://liberali.ge/tsigniereba-sakartveloshi]

ისევ კითხვები ტრიალებს ჩვენს გარემოში: რატომ არ ვკითხულობთ წიგნებს? რატომ მივეჯაჭვეთ კომპიუტერებს და წიგნისკენ გახედვაც არ გვინდა? რატომ გვანან დღევანდელი ბავშვები რობოტებს? იცით რობოტებს მაშინ დაემსგავსა ახალგაზრდა თაობა, როცა სკოლაში ლექსების დაზუთხვა მოსთხოვეს და საპატიო სტუმარს იმითი უმასპინძლდებოდნენ, რომ სტრიქონები რაც შეიძლება გამოთქმით წაეკითხათ. კომპიუტერს იმიტომ მივეჯაჭვეთ, რომ იქ მეტი ინფორმაციაა. კომპიუტერი ცუდი არ არის, გააჩნია როგორ გამოიყენებ.

იმისთვის, რომ ბავშვმა წაიკითხოს წიგნი, ჯერ კარგად უნდა გაიაზროს მისი დანიშნულება არსებობს ჰერლის გამონათქვამიც: "წიგნის დანიშნულება ის კი არ არის, რომ ვინმეზე ჭკვიანი გამოვჩდეთ, არამედ ის, რომ გავიგოთ რას გვეუბნება იგი " (ჟურნალი მასწავლებელი, N3).

ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, რომელიც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა ითვალისწინებს ბავშვთა ამ უფლების დაცვას. მასწავლებლის მოვალეობაა, დაექვემდებაროს ამ კანონებს, რომლებიც გულისხმობს თითოეული ბავშვის უზრუნველყოფას სრული, ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლებით.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს უფლება 6 წლის ასაკიდან მიიღოს ზოგადი განათლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. საქართველოში ზოგადი განათლება, რომელიც 12 წელს მოიცავს, სამსაფეხურიანია:

- დაწყებითი - 6 წელი;
- საბაზო - 3 წელი;
- საშუალო - 3 წელი.

მოზარდი თაობის აღზრდა–განათლებას მრავალი დაწესებულება ემსახურება: საბავშვო ბაგა–ბაღები, სხვადასხვა ტიპის სკოლები, ამ დაწესებულებათა ერთობლიობას განათლების სისტემას უწოდებენ (შოთა მალაზონია, 2001).

ქართულის საგანში, დაწყებით საფეხურზე, განსაკუთრებით პირველი კლასის სახელმძღვანელოებში, დგება მასალებისა და აქტივობების უპირობო ოპტიმიზაციის საკითხი. არაერთი ფილოლოგი მიიჩნევს, რომ მოსწავლეთა ლექსიკური ფონდის შევსება იყო იაკობ გოგებაშვილის ,,დედაენაში“ (მაგ. მაყალო ორშიმო, მაშა და სხვა) მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ პირველ ,,დედაენაში“ სწორედ პრაქტიკული მოსაზრებით იყო გამართლებული ნებისმიერი მასალის არსებობა – ის უკავშირდებოდა წიგნის ბენეფიციარების ყოველდღიურობას. ,,დედაენის“ ავტორის გამოწვევად კი რჩებოდა ყოველი დროისთვის აქტუალური პრიორიტეტი – მოსწავლეთა პირადი გამოცდილების დაკავშირება სასწავლო პროცესთან. იაკობ გოგებაშვილი არაერთ პუბლიკაციაში აღნიშნავდა, რომ კითხვა მოსწავლისათვის არა მხოლოდ მექანიკურ პროცესთან – გრაფების სინთეზთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული, არამედ შემეცნებასთანაც. შესაბამისად ,,დედაენაში“ არც ერთი თემატური ერთეული და ტექსტური თუ ვიზუალური მასალა მოზარდთა ემპირიულ გარემოს მოწყვეტილი არ ყოფილა, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია მართებულად, რომ თანამედროვე მოსწავლეებსაც ჰქონდეთ საშუალება შეძლონ შესწავლილი მასალებისა და საკუთარ გამოცდილებათა სინთეზი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იკითხონ ტექსტი, რომელიც არ იქნება მოწყვეტილი მათ ყოველდღიურ სინამდვილეს. ამას ადასტურებს 2010 წლის ეროვნული სტანდარტი.

მოსწავლე გააზრებულად კითხულობს და ადეკვატურად იგებს სხვადასხვა ტიპის ტექსტებს, შედეგი თვალსაჩინოა, როცა მოსწავლე:

- დამოუკიდებლად კითხულობს ვრცელ ტექსტებს და თავისი სიტყვებით გადმოსცემს მათ შინაარსს;
- სხვადასხვა საშუალებით (კონტაქტი, კითხვის დასმა, ლექსიკონი) ცდილობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობის გარკვევას;

- განარჩევს ფაქტსა და დამოკიდებულებას ერთმანეთისაგან;
- კითხულობს და იგებს ასაკის შესაფერის სათავგადასავლო ისტორიულ–ეთნოგრაფიულ ტექსტებს, შემეცნებით და იუმორის რუბრიკაში მთავსებულ სტატიებს;
- ამოიცნობს სტატიის მთავარ თემას;
- წაკითხულის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს.

მოსწავლე ავლენს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საწყის უნარს, შედეგი თვალსაჩინოა, როცა მოსწავლე:

- ასახელებს ნაწარმოების თემას;
- ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;
- მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთრ პოზიციას;
- აფასებს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;
- ამოიცნობს და ასახელებს მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს.

მოსწავლე ამოიცნობს სხვადასხვა ხასიათის ტექსტის ენობრივ თავისებურებებს, შედეგი თვალსაჩინოა, როცა მოსწავლე:

- ამოიცნობს და ასახელებს ამა თუ იმ მიზნობრივი ტექსტისთვის დამახასითებელ ენობრივ–სტილურ საშუალებებს (ხშირად გამოყენებული გრამატიკული ფორმები, ლექსიკა) მაგ. ამჩნევს, რომ მოძრაობის წესებისა თუ აუცილებლად შესასრულებელი მოთხოვნების ტექსტში სჭარბობს ბრძანებითი კილოს ფორმები, როგორებიცაა: შეჩერდით, ნუ გადახვალთ დაუკვირდით, დაელოდეთ, შესაბამისად იმპერატიული შინაარსისაა, ამაგვარ ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული ზმნებიც: უნდა, საჭიროა, აუცილებელია და ა.შ);
- ამოიცნობს ტექსტში ძირითად მოდალობებს და განმარტავს მათ;
- ადარებს სიტყვებს მორფოლოგიური აგებულების მიხედვით (სახელი, ბრუნვის ფორმები, სახელური სიტყვაწარმოების ძირითადი წესები და სხვა);
- ამოიცნობს არსებით, ზედსართავ რიცხვით სახელებს, ჩაანაცვლებს მათ შესაბამისი ნაცვალსახელებით (კაცი – ის, მაღალი – ასეთი, ექვსი – ამდენი და სხვა);
- განარჩევს ზმნის უმთავრეს კატეგორიებს(პირი, რიცხვი, დრო, კილო);
- განარჩევს არაწესიერი წარმოების (ქონა–ყოლისა და გრძნობა–აღქმის) ზმნათა ფორმებს.

სარგებლობს ბიბლიოთეკით და დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესების შესაბამისად ირჩევს ლიტერატურას (კითხვა, ეროვნული სტანდარტი, 2010).

საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობად მომზადდა "კითხვის ეფექტური მეთოდები", რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს: სასწავლო-მეთოდურ ფილმსა და მის გზამკვლევს. წარმოდგენილი გზამკვლევისა და თანდართული ფილმის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებლებს წიგნიერებაზე ორიენტირებული საკლასო გარემოსა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, რაც თავის მხრივ, თითოეული მოსწავლის აკადემიური წარმატების ყველაზე მყარი საფუძველია ნებისმიერ საგანში მასალა მოიცავს კითხვის სწავლებისა და სწავლის საუკეთესო მრავალგზის აპრობირებულ მეთოდებს, რომელთა გამოყენებაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მოსწავლეთა კითხვით უნარ-ჩვევებს მოცემული მეთოდები მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა და მათი სასწავლო პროცესში დანერგვა იძლევა სასურველ შედეგს. არის რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია, რომელიც გაადვილებს წარმოდგენილი მეთოდების დანერგვას სასწვლო პრაქტიკაში:

- სასურველია, მასწავლებელმა დაამუშაოს გზამკვლევის შესავალი, სადაც განხილულია ის საკითხები, რომელიც ექვსივე მეთოდის საფუძველსა და იდეურ საყრდენს წარმოადგენს.
- წარმოდგენილ მასალას მასწავლებელი შესაძლებელია გაეცნოს კოლეგებთან ერთად. თუმცა მნიშვნელოვანი იქნება თუ შეირჩევა სამუშაო ფორმატი, რომელიც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს ურთიერგაზრების. ამგვარი რეჟიმი ხელს შეუწყობს როგორც ზოგადად, შინაარსის სიღრმისეულ გათავისებას, ასევე მეთოდების მიზანმიმართულ განხორციელებას;
- მეთოდების დანერგვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა კოლეგების თანამშრომლობასა და ურთიერთსწავლებას ენიჭება;
- მეთოდების დანერგვის პროცესში არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება მეთოდების თანმიმდევრობას. მასწავლებელს შეუძლია, უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე კონკრეტულ მეთოდს, თუ კითხვის რომელ ასპექტზე სურს მუშაობა მოცემულ ეტაპზე;
- მასწავლებლებს შეუძლიათ, შემოქმედებითად მიუდგნენ თითოეულ მეთოდს, მთავარია, შენარჩუნდეს მეთოდის იდეა და ძირითადი ფაზები.
- ეს მეთოდებია: დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა, ორიენტირებული კითხვა, მკითხველთა თეატრი, დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე, მნიშვნელოვანი სიტყვები, ურთიერთსწავლება. (ნათია ნაცვლიშვილი, ჟურნალი მასწავლებელი, N5, 2010).

კითხვისა და წერის მეთოდების მიმართულებასთან დაკავშირებით დებატები ყოველთვის არსებობდა. განხილვის საკითხად დღესაც რჩება ის, თუ რა უნდა ისწავლებოდეს წიგნიერების პროგრამის ფარგლებში და რომელი მეთოდები თუ მიდგომებია მართებული. ბოლო პერიოდში "ახალ მეთოდოლოგიის" აქტუალურ ფორმას "სიტყვების დამახსოვრებით კითხვა წარმოადგენდა. თუმცა 1990-იანი წლების შუა პერიოდში კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მეთოდმა პოპულარობა დაკარგა და კრიტიკის სამიზნე გახდა. თუმცა სინამდვილეში მხოლოდ ეს მეთოდი იყო დადებითი ცვლილებების მომტანი და წერა-კითხვის ცოდნის საფუძველი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. წიგნიერების და პედაგოგიკის ისტორიის მიმოხილვა, ნათლად აჩვენებს, რატომ არის წიგნიერების დონე მუდმივი მღელვარების საგანი.

გამოიყოფა კითხვის ოთხი ეპოქა:

1. გაშიფვრის;
2. მნიშვნელობის მინიჭების ეპოქა;
3. კითხვისა და წერის დაკავშირების ეპოქა;
4. სოციალური მიზნებისთვის ეპოქა.

გაშიფვრის ეპოქა: ეს პერიოდი დაახლოებით,1950-იან წლებიდან გრძელდებოდა ადრეუ ეტაპზე კითხვის სწავლებაში ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობოდა ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა ვიზუალური გარჩევა. კითხვა რამდენიმე გაკვეთილად იყოფოდა: ბარათებით ვარჯიში, მნიშვნელობის აღქმა. კითხვის ამ მეთოდით სწავლება იმ პერიოდის გარემოებებს შეესაბამებოდა.

მნიშვნელობის მინიჭების ეპოქა: კითხვის უნარ-ჩვევების სწავლებამ დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა. ამ მეთოდის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მკითხველი ბეჭდით მასალას ყოველთვის გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ გზით იმახსოვრებდა ინფორმაციას.

კითხვისა და წერის დაკავშირების ეპოქა: ეს პერიოდი განათლების სისტემაში დიდი ოპტიმიზმით ხასიათდებოდა. სწორედ ამ დროს დაინერგა კომპიუტერული ტექნოლოგიები.

სოციალური მიზნებისათვის კითხვის ეპოქა: ბოლო ეპოქა, რომელიც ყველაზე დიდი ინტენსივობით გამოირჩეოდა, 1990-იან წლებში დაიწყო. სასკოლო განათლების მთავარი მიზანი იყო წიგნიერების დონის უზრუნველყოფა ყველა მოსწავლისათვის, რათა მათ შემდეგ უკეთესი შესაძლებლობები ქონოდათ.

დავესწარით გორის X საშუალო საჯარო სკოლის III კლასის ქართული ლიტერატურის გაკვეთილს. გაკვეთილი მიმდინარეობდა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, იყო აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, გაჯერებული იყო სხვადასხვა თვალსაჩინოებებით. მთლიანობაში გაკვეთილი იყო საინტერესო და დადებითად დამუხტული, თუმცა ამ ყოველივესთან ერთად იყო უარყოფითი მხარეებიც.

სასწავლო პროცესი დაიწყო მასწავლებლის კლასში შემოსვლით, იგი მიესალმა მოსწავლეებს, ამოიკითხა სია და ამის შემდეგ გადავიდა თითოეული მოსწავლის მოკითხვაზე, თუ ვინ როგორ დაისვენა (ვინაიდან ისინი ზამთრის არდადეგებზე იმყოფებოდნენ). ამის შემდეგ გადავიდა განვლილი მასალის გამოკითხვასა და კითხვებით მის განმტკიცებაზე. მოსწავლეებს დავალებული ჰქონდათ წაკითხული ლიტერატურიდან მოკლე შინაარსის ამოღება, რასაც ძალიან კარგად გაართვეს თავი.

მოსწავლეები აქტიურად ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში, გადმოსცემდნენ არდადეგებზე დაგროვილ ემოციებს, ყვებოდნენ განვლილ მასალას, სვამდნენ კითხვებს და მსჯელობდნენ მის გარშემო. ამის შემდეგ მასწავლებელი გადავიდა ახალი მასალის ახსნაზე, მან ჯერ თვითონ, გამომეტყველებით წაიკითხა ახალი მასალა და ამის შემდეგ იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ აკითხებდა მოსწავლეებს, ხსნიდა თითოეულ, მათთვის გაუგებარ სიტყვებს, რაც ეფექტური საშუალებაა მასალის უკეთ ათვისებასა და გაგებისათვის. ამავდროულად, უზრუნველყოფს მოსწავლეების სრულ ჩართულობას.

გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელს შექმნილი ჰქონდა მშვიდი და კეთილგანწყობილი გარემო. ახალი მასალის ახსნის აპროცესში აქტიურად დადიოდა მერხებს შორის, მიდიოდა თითოეულ მოსწავლესთან და ალერსიანად სთხოვდა ყურადღებასა და მობილიზებას. ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებელმა მისცა საშინაო დავალება და მისი შეესრულების ინსტრუქციები.

ყოველივე ამის შემდეგ მასწავლებელმა კიდევ ერთხელ იკითხა, თუ რა იყო გაუგებარი ახალ მასალაში, აუხსნა მათთვის გაუგებარი სიტყვები, მადლობა უთხრა თითოეულ მოსწავლეს წარმატებული გაკვეთილისათვის და დაემშვიდობა.

ლიტერატურა:
1. შ. მალაზონია, "პედაგოგიკა", თბ., 2001.
2. გ. რამიშვილი "ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები", გამომცემლობა "განათლება", თბ., 1976.
3. ჟურნალი „მასწავლებელი" (მასწ. პროფ. განვითარების ეროვნული ცენტრი), №3, 2011.
4. ჟურნალი „მასწავლებელი" (მასწ. პროფ. განვითარების ეროვნული ცენტრი), №4, 2011.
5. ჟურნალი „მასწავლებელი" (მასწ. პროფ. განვითარების ეროვნული ცენტრი), №1, 2008.
6. ჟურნალი „მასწავლებელი" (მასწ. პროფ. განვითარების ეროვნული ცენტრი), №5, 2010.
7. ი. გოგებაშვილი, "ბუნების კარი", თბ., 1912.
8. განათლების ეროვნული სტანდარტი, 2010.

განათლება, როგორც მეცნიერება

ქეთევან მწითურიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი**, ასოცირებული პროფესორი

განათლება - სოციალური მეცნიერება, შეისწავლის და ნერგავს იმ ქმედებათა პროცესს, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან. განათლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითგანათლებას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ-შრომით საქმიანობაში მონაწილეობას. განათლების საერთო და სპეციალური (პროფესიული) დონე განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის, წარმოების მოთხოვნებით.

მეცნიერება — ადამიანის საქმიანობის სფერო, რომლის მიზანია გარემომცველი სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის მიღება, დამუშავება და სისტემატიზაცია. მეცნიერული ცოდნის დაგროვება ხდება ბუნების, საზოგადოების ან სხვა ობიექტის სამეცნიერო მეთოდის საშუალებით შესწავლის შედეგად. ამავე დროს მეცნიერება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ–ერთი ფორმას წარმოადგენს (სამყაროს მეცნიერული სურათი). მეცნიერებათა კლასიფიკაციას მიეძღვნა უამრავი გამოკვლევა და ნაშრომი, მაგრამ ამ თემაზე რაიმე საერთო თვალთახედვა არ არსებობს. კლასიფიკაციის კრიტერიუმის შესაბამისად, შესაძლებელია ესა თუ ის მეცნიერება განხილულ იქნეს როგორც ცოდნის განცალკევებული სფერო ან როგორც სხვა მეცნიერების დარგი, შტო. უკანასკნელ ათწლეულებში მრავალი ახალი დარგი ჩამოყალიბდა მეცნიერებათა მიჯნაზე, როგორებიცაა მაგალითად: მათემატიკური ლინგვისტიკა, სოფლის მეურნეობის გეოგრაფია, ბიოქიმია, გეოფიზიკა და ა.შ. მეცნიერება ანტიკურ ხანაში წარმოიშვა საზოგადოების პრაქტიკული მოთხოვნილებების გამო, მაგრამ ჩამოყალიბდა მე–16-17 საუკუნეებში. ამ დროიდან სამეცნიერო საქმიანობის (აღმოჩენების, სამეცნიერო ინფორმაციის, მეცნიერთა რიცხოვნობის) მოცულობა ყოველ 10-15 წელში ორმაგდებოდა. მეცნიერების განვითარების პროცესში ერთმანეთს ენაცვლებოდა ექსტენსიური და რევოლუციური პერიოდები. სამეცნიერო–ტექნიკური რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი სისტემა „მეცნიერება – ტექნიკა – წარმოება", რომელშიც წამყვანი როლი მეცნიერებას ეკუთვნის. ისტორიული განვითარების პროცესში მეცნიერება მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტი გახდა და დიდი გავლენა მოიპოვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. მეცნიერება მჭიდროდაა დაკავშირებული ფილოსოფიასთან, იდეოლოგიასთან და პოლიტიკასთან, რაც განსაზღვრავს მის საზოგადოებრივ როლს. ისტორიული განვითარების პროცესში მეცნიერება მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტი გახდა და დიდი გავლენა მოიპოვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. მეცნიერება დაკავშირებულია ფილოსოფიასთან.

ტექნიკა (ძვ. ბერძნ. τεχνικός სიტყვიდან τέχνη — ხელოვნება, ხელოსნობა, სიმარჯვე) — ზოგადი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს სხვადასხვა მოწყობილობებს, მექანიზმებსა და ხელსაწყოებს, რომლებიც ბუნებრივად არ არსებობს და შექმნილია ადამიანის მიერ. სიტყვა "ტექნიკა" ასევე ნიშნავს "რაიმეს შექმნის

გზას, საშუალებას" - მაგ., ფერწერის ტექნიკა, ხორბლის მოყვანის ტექნიკა და მისთ. განათლების თაობაზე ისტორიულად ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ ბავშვებისთვისა და ახალგაზდებისთვის ამ პროცესს ორგანიზებას უკეთებს ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი და ა.შ. მათი მოვალეობაა ბეჯითად შეისწავლონ ყველაფერი. XX საუკუნიდან დაიწყო იმის გაცნობიერება, რომ წარმატებული სწავლისათვის გადამწყვეტი ფაქტორია შინაგანი მოტივაცია. თუმცა ამ ტენდენციებს ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა, რომელთა აზრით ზედმეტმა თავისუფლებამ ჩამოაყალიბა სამომხმარებლო მიდგომა განათლების პროცესისადმი. გლობალიზაციის პროცესი კაცობრიობას სტიმულს აძლევს, რათა ხელახლა იქნეს გააზრებული აღზრდისა და განათლების მთელი სისტემა.

სკოლა, ზოგადად, არის დაწესებულება, სადაც მოსწავლეები სწავლობენ მასწავლებლებისგან. უფრო კონკრეტულად სკოლა შეიძლება აღნიშნავდეს საშუალო სკოლას, ასევე რაიმე სპეციალიზირებულ სასწავლო დაწესებულებას, ან უმაღლეს სასწავლებელს. სხვა მნიშვნელობით სკოლა არის მეცნიერული, სასწავლო საგანმანათლებლო, ან შემოქმედებითი მოღვაწეობის, საშუალებების, რესურსების ერთობლიობა. მაგ,. საბჭოთა კავშირის ფიზიკის სკოლა, ან გერმანული ექსპრესიონიზმის სკოლა. უნივერსიტეტი არის უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაწესებულება. IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა სკოლების გახსნა.

გელათის აკადემია, ძველი ქართული სასულიერო სასწავლებელი, დაარსდა 1106 წელს გელათის მონასტერთან დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით. დავითმა გელათის აკადემიაში სამოღვაწოდ შეკრიბა სწავლული ქართველები, რომელთა შორის იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. თანამედროვენი გელათის აკადემიას „ასუად ათინად“, „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად“ იხსენიებდნენ. აკადემიის სათავეში იდგა მოძღვართ-მოძღვარი. სასწავლო პროგრამა ძირითადად ტრივიუმის (გეომეტრია - „ქვეყნის საზომლოჲ“, „არითმეტიკა“ - „რიცხუნი“, მუსიკა - „სამოსოჲ“) და კვადრიუმის (ფილოსოფია სამი სახის - „საქმეთი, მხედველობითი და განმსიტყუელობითი“, რიტორიკა სამი სახის - „თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“, გრამატიკა და ასტრონომია - „ვარსკვლავთმრიცხველობაჲ“) ციკლის საგანთა შესწავლას ითვალისწინებდა. გელათის აკადემიაში უთარგმნია არსენ იყალთოელს „სჯულისკანონი“, იოანე პეტრიწს - ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათჳს კაცისა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძნული ენიდან თარგმნილი იოანე ქსიფილინოსის ჰაგიოგრაფიული კრებული, რომლის ორიგინალი დაკარგულია. სამეცნიერო-მთარგმნელობითი მოღვაწეობა გელათის აკადემიაში მომდევნო საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა, თუმცა საგრძნობლად შენელდა. XIII საუკუნეში აქ მოღვაწეობდნენ ჰიმნოგრაფი არსენ ბულმაისიმისძე, ფილოსოფოსი და რიტორი პეტრე გელათელი. XIV საუკუნეში გელათში შეიქმნა მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლი „გარიგება ჴელმწიფის კარისა“ და საისტორიო წყარო „გელათური ქორონიკონი“.

იყალთოს აკადემია უმაღლესი სასწავლებელია XI-XII საუკუნებში საქართველოში. ამას ადასტურებს მონასტრის ეზოში შემორჩენილი შენობის ნანგრევები, რომელიც საერო დანიშნულების ნაგებობას უფრო ჰგავს, ვიდრე სამონასტროსი. ნანგრევებში ჩანს კათედრის ფუძე, დამახასიათებელი თახჩა-ფანჯრები. შენობა მონუმენტური უნდა ყოფილიყო, გელათის აკადემიის შენობის მსგავსი, იმ განსხვავებით, რომ იყალთოს აკადემიის შენობა ორსართულიანია. იყალთოს აკადემიის პირველი რექტორი იყო არსენ იყალთოელი, რომელიც აქ გელათიდან გადმოსულა. ქართული აკადემიებში, კერძოდ, იყალთოს აკადემიაშიც სწავლება ძირითადად ტრივიუმ-კვადრივიუმის ციკლის საგნებს ითვალისწინებდა, ანუ ღვთისმეტყველება, რიტორიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, გეოგრაფია, გეომეტრია, გალობა და ა.შ. ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“) და მევენახეობა-მეღვინეობა. ზენონი მონასტრის მარჯვენა მხარეს არის დაკრძალული, აკადემიის სიგრძე 73 მეტრია, აქედან 15,22 მ. საწნახელია. მას აქვს ძველი და ახალი ნაწილი, სულ ორი საწნახელი იყო და შემდგომში მიაშენეს მესამეც. ერთი ოთახის იატაკში თერთმეტი ქვევრია ჩაფლული, მეორე უფრო განიერი ოთახია. ყველაზე მეტად შენობის ჩრდილოეთი ფასადი არის დაზიანებული, არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქ აღმოჩენილ იქნა ფირუზის ფერი კრამიტები, ასეთები მხოლოდ ეკლესია მონასტრებთან გვხვდება. იყო ასევე საჭურჭლე ქარხანაც, რომელიც მონასტრის გარეთაა. 1938 წელს შენობის გაწმენდის დროს აღმოაჩინეს ბუხარი, რომლის წინა ოთახი სამჭედლო ყოფილა. 1876 წელს გაიხსნა გორის საოსტატო სემინარია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა არა მარტო საქართველოს არამედ მთელი ამიერკავკასიის პედაგოგთა კადრების მომზადებაში. ქართველი პედაგოგიკის მამათავარი იაკობ გოგებაშვილი მთელ თავის ძალასა და გონებას ახმარდა სახალხო განათლების საქმეს და მოზარდი თაობის გაზრდას ხალხურობისა და დემოკრატიზმის პრინციპებზე. 1921 წლის აპრილში საქართველოს რევკომის დადგენილებით შეიქმნა განათლების სახალხო კომისარიატი. ლენინური კულტურული რევოლუციის პირველი რიგის ამოცანად იქცა წერა-კითხვის უცოდინრობის

აღმოფხვრა და სახალხო განათლების მთელი საქმის ძირეული გარდაქმნა სოციალურ საფუძველზე.

ტერმინის **„დაწყებითი განათლება“** სათანადო განმარტების მიზნით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი ხელმძღვანელობს მსოფლიო დეკლარაციით - განათლება ყველასათვის, რომელიც აცხადებს: "დაწყებითი სასკოლო განათლება არის ოჯახის გარეთ ბავშვებისათვის საბაზო განათლების უზრუნველყოფის ძირითადი სისტემა. დაწყებითი განათლება უნდა იყოს საყოველთაო და ითვალისწინებდეს საზოგადოების კულტურას, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. გაეროს ბავშვთა ფონდის პოზიცია ასეთია, რომ: "დაწყებითი განათლება საბაზისო განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია"

ფიზიკა არის საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბუნების უმარტივეს და ამავე დროს ყველაზე უზოგადეს კანონზომიერებებს, იკვლევს მატერიის აგებულებასა და თვისებებს, სივრცესა და დროში მის მოძრაობის ზოგად ფორმებს. ფიზიკა სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან ერთად შეისწავლის გარემომცველ სამყაროს ობიექტურ თვისებებს. ფიზიკაში ერთ-ერთ ცენტრალურ თემას წარმოადგენს მატერიის აგებულების შესწავლა. ის მოიცავს ფიზიკაში ცნობილ ორ მატერიის სახეს: ნივთიერებასა და ველს. ყველა მატერიალური ობიექტი განიცდის ცვლილებას. მოძრაობა მატერიის შინაგანი თვისებაა. პედაგოგიკა არის მეცნიერება ადამიანის აღზრდისა და განათლების შესახებ. ამ ტერმინში თავდაპირველად მხოლოდ ბავშვთა აღზრდა იგულისხმებოდა. იგი შეისწავლის აღზრდის არსს, მიზნებს, კანონზომიერებებს და ამოცანებს, მის როლს საზოგადოების ცხოვრებასა და ადამიანის განვითარებაში, განათლებისა და სწავლების პროცესს. თანამედროვე პედაგოგიკაში განათლების პრობლემები წყდება ადამიანის ფილოსოფიური კონცეფციების, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ფსიქო-ფიზიოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://ka.wikipedia.org/wiki/მეცნიერება
2. http://ka.wikipedia.org/wiki/ტექნიკა
3. http:ka.wikipedia.org/wiki/გლობალიზაცია
4. http://ka.wikipedia.org/wiki/არსენ_იყალთოელი

ბუნების სწავლება დაწყებით კლასებში

ანი ნასყიდაშვილი, სოფიკო ბერუაშვილი, ნანა აკოფაშვილი,
თინათინ იორამაშვილი, ნანა ხურციძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ბერიკა შუკაკიძე**, მოწვეული სპეციალისტი

დღეისათვის მსოფლიოს წინაშე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა დგას. ესაა ბუნების, მისი ყოველი რგოლის: მიწის, წიაღის, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ატმოსფეროს ეფექტური დაცვა და გონივრულად გამოყენება.

ბუნება არის გარეგანი მატერიალური სამყარო. იგი ქმნის გარემოს, სადაც წარმოიშვა, განვითარდა და ცხოვრობს ადამიანი.

თვით ადამიანი ბუნების ნაწილია და, როგორც ცოცხალი არსება, მასთან მჭიდრო კავშირშია. თავისი არსებობისათვის ადამიანი ბუნებისაგან ღებულობს ყველაფერს: ჟანგბადს, წყალს, საკვებს, მასალას და სხვა. ბუნება არის კაცობრიობის მატერიალური კულტურის წყარო, ამიტომ ადამიანს ბუნების მიმართ უნდა ჩამოუყალიბდეს სუბიექტური დამოკიდებულება, რაც მტკიცედ დამკვიდრდა ადამიანის გააზრებულ და ადეკვატურ ქცევაში ბუნებასთან მიმართებაში.

სამყაროს შემეცნების, ჭვრეტის კრიტიკული აზროვნებისა და თაობათა ბეჯითი, შემოქმედებითი შრომის შედეგია სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესი. ყოველი მომდევნო თაობა ეყრდნობა წინა თაობების

უდიდეს გამოცდილებას, საკუთარი ძალების რწმენასა და ითვისებს სამყაროს საიდუმლოებებით აღსავსე ახალ–ახალ სფეროებს, ხვეწს თავის წარმოდგენებს მასზე და ქმნის თანამედროვე ტექნოლოგიებს.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს აქვს თავისი მეორე, უფრო ნეგატიური მხარეც, რაც ძირითადად დედამიწაზე წარმოშობილი მრავალი პრობლემით გამოიხატება. ამას, არც თუ იშვიათად ემატება, ჩვენი – ადამიანების მომხმარებლური დამოკიდებულება ბუნებისადმი. ეს კი საკმარისი მოტივაციაა იმისათვის, რომ მოვახდინოთ ამ დამოკიდებულებების რევიზია ანუ შევიგნოთ ბუნებისადმი ეკოლოგიური მიდგომის საჭიროება, აუცილებლობა, რაც უკვე დროის ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური მოთხოვნაა და ჩვენ მიერ წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული კურსის პრინციპულ პოზიციისაც გულისხმობს. ერთ–ერთი უმთავრესი მიზანია დაწყებითი სასკოლო ასაკიდან მოსწავლეებში ეკოლოგიური კულტურის აღზრდა, ეკოლოგიური შეგნების ჩამოყალიბება, მით უმეტეს, რომ მთელს მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში არსებული უმძიმესი ეკოლოგიური სიტუაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ეკოლოგიური გაუნათლებლობითა და შეგნების დაბალი დონით.

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელს საპასუხისმგებლო მისია აკისრია, რადგან სწორედ ამ დროს დგამს ბავშვი მნიშვნელოვან ნაბიჯს გარემომცველ სამყაროს შეცნობისაკენ [1. გვ. 4].

ჯერ კიდევ 1912 წელს საუბრობდა იაკობ გოგებაშვილი ბუნებისმეტყველების სწავლების პრობლემებზე. იგი ამბობდა: „საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალ-ფეროვანი, რომ ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც არ მოვა. მაგრამ ჩვენ ამ მდიდარის ბუნებისა არაფერი გაგვეგება, უკუღმართი აღზრდის წყალობით. ამის გამო ჩვენს ბუნებას ეპატრონებიან უცხოელნი, შეიარაღებულნი რეალური ცოდნით, იძენენ აუარებელს ქონებას და ჩვენ კი ხახა–მშრალები ვრჩებით“ [2. გვ. 5].

მასწავლებელს შეუძლია ბავშვის ხალასი გონება იმ მიზნისკენ მიმართოს, რომ მას ჩამოუყალიბდეს გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა, შეიძინოს ბუნებაზე ზრუნვის ჩვევები და დაეუფლოს ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესებს. საჭიროა შეიქმნას ისეთი სასწავლო პირობები და გარემო, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების პიროვნული თვისებებისა და მიდრეკილებების გამოვლენა-განვითარება: ინფორმაციის მოპოვებისა და გააზრების იმ უნარ– ჩვევების ჩამოყალიბება–განვითარება, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდება.

მოსწავლემ, დაწყებითი საფეხურის ასაკიდანვე უნდა გააცნობიეროს, რომ სამყარო, რომელშიც ცხოვრობს, მრავალფეროვანია, ერთმანეთთან მჭიდრო და დინამიკურ ურთიერთკავშირში მყოფი ცოცხალი და არაცოცხალი კომპონენტებისაგან შედგება. მნიშვნელოვანია ერთ მხრივ აღიქვას მოსწავლემ ცოცხალი ბუნების მრავალფეროვნება, გაიცნოს ორგანიზმების აგებულება და ცხოვრების თავისებურებები, ორგანიზმების ძირითადი ჯგუფები და მათი მახასიათებლები, ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებები. მეორე მხრივ კი სწორი წარმოდგენა შექმნას ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ, გაითავისოს რა სასარგებლო თუ საზიანო ცვლილებები შეუძლია მოიტანოს ადამიანმა გარემომცველ სამყაროში, გაეცნოს გარემოს დაცვის უმთავრეს პრინციპებს და გაიაზროს ადამიანის როლი გარემოში. ბავშვის მსოფლმხედველობის საწყის ეტაპზევე პრიორიტეტული გახდეს ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესების დაცვა.

თუ გვინდა, რომ მოსწავლე ბუნებისმეტყველებით დაინტერესდეს, სასურველია იგი აქტიურად ჩაერთოს შესასწავლი საკითხის კვლევა–ძიებაში და არ შევიზღუდოთ მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნისა და მზა მასალის მიწოდებით. უნდა ვეცადოთ ბავშვების ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილდეს ინფორმაციის მოძიების, თვალსაჩინოებებზე, მეცადინეობებზე და ინტერაქტიული სწავლების გზით. მას ადრეული ასაკიდანვე უნდა ჩამოუყალიბდეს ის სპეციფიკური უნარ–ჩვევები, რომლებიც გარემოს კვლევას უკავშირდება, კერძოდ: გარემოზე დაკვირვება; ბუნებრივი მოვლენების ამოცნობა და მარტივი პროცესების აღწერა; მონაცემების შეგროვება საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით, მარტივი ცდითა და ექსპერიმენტით; ობიექტების კლასიფიკაცია მახასიათებლების მიხედვით, რაოდენობრივი მონაცემების აღრიცხვა, მათი ორგანიზება და სხვადასხვა საშუალებით წარმოდგენა, გარემოზე ზრუნვა და უსაფრთხოების წესების დაცვა.

იმისთვის, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლამ აღნიშნული კრიტერიუმები დააკმაყოფილოს, საჭიროა მოსწავლეს:

• გაუჩნდეს ინტერესი გარემომცველი სამყაროს კვლევის, სიახლეების აღმოჩენისა და შეცნობის მიმართ;
• განუვითარდეს ბუნებისმეტყველებისათვის საჭირო ელემენტარული უნარ–ჩვევები და შეძლოს მათი სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება;
• ჩამოუყალიბდეს გარემომცველ სამყაროზე ზრუნვის უნარ–ჩვევები;
• გამოუმუშავდეს კრიტიკული აზროვნების და კომუნიკაციის უნარი;
• განუვითარდეს თვითშეფასებისა და თვითკონტროლის, განსხვავებული აზრის მოსმენისა და შეფასების უნარი; შეძლოს საზოგადოებაში თავისი ადგილის განსაზღვრა;

• მიეცეს ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაუფლების შესაძლებლობა;

ბუნების შესწავლა საინტერესო და სახალისო უნდა იყოს. როდესაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ბუნების სწავლაში, ისინი ბევრად მეტს იძენენ. მიეცით საშუალება მათ, რომ თავად აღმოაჩინონ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზები.

ბუნებისმეტყველებაში შესაძლებელია მასწავლებელმა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის:

• ჯგუფური მუშაობა;
• ექსკურსია/ექსპედიცია;
• ცდა/ექსპერიმენტი;
• დაკვირვება;
• დისკუსია;
• როლური თამაში;
• რუკაზე მუშაობა.

ჯგუფური მუშაობა – ჯგუფური მუშაობა, მისი ბევრი დადებითი მხარის მიუხედავად, ჩვენს რეალობაში საკმაოდ იშვიათად გამოიყენება. ის მასწავლებლებიც კი, რომლებიც თეორიულად იწონებენ საკლასო ორგანიზაციის ამ მოდელს, პრაქტიკულად იშვიათად მიმართავენ მას. ამის მიზეზი კი ალბათ ისაა რომ:

ა) მათ არ იციან, როგორ დაყონ მოსწავლეები ჯგუფებად;
ბ) პირველივე მცდელობისას აწყდებიან მოსწავლეთა უარყოფით რეაქციას;
გ) არ იციან, რა ტიპის დავალებების შესრულებისთვისაა უმჯობესი ჯგუფური მუშაობის გამოყენება;
დ) თვლიან, რომ ვერ შეძლებენ რამდენიმე ჯგუფის ერთდროულად გაკონტროლებას.

ექსკურსია/ექსპედიცია – დაწყებით კლასებში ბუნებისმეტყველების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს ექსკურსიასა და თემატურ ექსპედიციებს, მოსწავლეებს ეხმარება გაცილებით ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ ბუნების ობიექტებისა და მოვლენების მრავალფეროვნება, დაადგინონ ორგანიზმებისა და გარემო–პირობებს შორის არსებული კავშირი. სწორედ ექსკურსიებისა და ექსპედიციების დროს უვითარდებათ მოსწავლეებს ემოციურად პოზიტიური დამოკიდებულება გარემოს მიმართ და შესაძლებლობა ეძლევათ გაკვეთილზე ნასწავლი უშუალოდ დააკავშირონ რეალობასთან. აღიქვან გარემომცველი სამყარო, როგორც ერთი მთლიანობა, რომელშიც ყველა კომპონენტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

ცდებს, ექსპერიმენტებს და სხვა სახის პრაქტიკულ სამუშაოებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველების შესწავლისას. ცდები და ექსპერიმენტები საშუალებას იძლევა საკლასო ოთახის პირობებში ხელოვნურად წარმოვადგინოთ ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენა, შევამოწმოთ მოსწავლეთა მიერ გამოთქმული ვარაუდი. მოსწავლეთა მიერ ჩატარებული ცდები და ექსპერიმენტები წინაპირობაა საიმისოდ, რომ მათ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებით გამოიყენონ.

დაკვირვება ბუნებისმეტყველების შესწავლის ერთ–ერთი ძირითადი მეთოდია და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამ მეთოდის გამოყენებას დაწყებით კლასებში აქვს, რადგან სწორედ ამ ასაკის მოსწავლეს, ბუნებაზე უშუალო დაკვირვებისას და შესწავლის შედეგად, უყალიბდებათ გარემომცველ სამყაროზე კონკრეტული წარმოდგენა.

როლური თამაში – დაწყებით საფეხურზე მოსწავლის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სასწავლო თამაშები, მათ შორის როლური თამაშები. ისინი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გააქტიურებას, შეძენილი ცოდნის მრავალმხრივ გააზრებას, განმტკიცებასა და შემოწმებას.

როლური თამაშის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ შემდეგი უნარ–ჩვევები:

• კომუნიკაცია;
• თანამშრომლობა;
• ისტორიული დროის გაგება და ეპოქის განცდა;
• შემოქმედებითობა;
• მოდელირება.

როლური თამაშის ეტაპებია: 1. სცენარის შექმნა; 2. როლების განაწილება; 3. რეპეტიცია; 4. გათამაშება; 5. განხილვა და 6. შეჯამება.

მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზანს ვერ მიაღწევს, თუ არ გაითვალისწინებს სასკოლო გარემოს და ისეთ ასპექტებს, როგორიცაა მოსწავლეების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, მოლოდინები, მოტივაცია. მასწავლებელი სრულად ვერ გამორიცხავს კლასში არასასურველი სოციალური თუ ეთნიკური ნორმების დანერგვას, მაგრამ მას შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლეების სწორი სოციალური და აკადემიური უნარების განვითარებას. მან უნდა

გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის თავისებურებები, სასწავლო ჯგუფის ფორმირებისას კი ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსწავლეების შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და ქცევის ნორმებზე [3. გვ. 46].

ბუნებისმეტყველების სასკოლო კურსი დაყოფილია მიმართულებებად, თითოეული მათგანი წარმოაჩენს თუ რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე პირველ კლასში. მიმართულბები ერთმანეთთან მჭირო კავშირშია და ემსახურება სამყაროს ერთიანობის შეცნობას. დაწყებით საფეხურზე საგანი „ბუნებისმეტყველება“ პირობითად დაყოფილია ოთხ მიმართულებად:

1. ცოცხალი სამყარო (ბიოლოგიის ელემენტები);
2. სხეულები და მოვლენები (ფიზიკისა და ქიმიის ელემენტები);
3. დედამიწა და გარესამყარო (გეოგრაფიისა და ასტრონომიის ელემენტები);
4. ადამიანი და გარესამყარო (სამოქალაქო განათლების ელემენტები).

,,ცოცხალი სამყაროს'' შესწავლისას მოსწავლე დაწყებით საფეხურზე ეცნობა: ცოცხალი ბუნების მრავალფეროვნებას, ორგანიზმების აგებულებასა და ცხოველმყოფელობის თავისებურებებს, ორგანიზმების ჯირითად ჯგუფებს და მათ მახასიათებლებს, ძირითადად სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, სასიცოცხლო ციკლებს. მოსწავლე აგროვებს ინფორმაციას იმ გარემო პირობების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს ორგანიზმების ზრდასა და განვითარებას; ეცნობა ორგანიზმების გარემოსთან შეგუების ფორმებს. მოსწავლე აცნობიერებს, რომ გარემო მრავალფეროვანი და დინამიკურია, შედგება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცოცხალი და არაცოცხალი კომპონენტებისაგან. მოსწავლე გარემომცველ სამყაროს შეიცნობს დაკვირვების (შეგრძნების ორგანოებით და მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით), აღწერისა და კლასიფიკაციის გზით.

მიმართულებების ,,სხეულები და მოვლენები'' დაწყებით საფეხურზე სწავლების მიზანია, მოსწავლეს დაანახოს კავშირი მის ირგვლივ არსებულ საგნებს, ბუნებრივ მოვლენებს შორის.

მარტივი ექსპერიმენტების ჩატარებით მოსწავლე ეჩვევა ხელსაწყოებთან მუშაობას, მათ სწორად, დანიშნულების მიხედვით გამოყენებას და უსაფრთხოების წესების დაცვას.

,,დედამიწა და გარესამყაროს'' დაწყებით საფეხურზე შესწავლისას მოსწავლე ეცნობა დედამიწის, მზის სისტემისა და სამყაროს შესახებ შეხედულებების განვითარებას. მას უყალიბდება სწორი წარმოდგენა დროისა და სივრცის შესახებ. მოსწავლე შეისწავლის ბუნებაში მიმდინარე ციკლურ პროცესებს, დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის აუცილებელ რესურსებს, იკვლევს მათი გამოყენების გზებსა და საშუალებებს.

,,ადამიანი და გარესამყაროს'' მიმართულების ფარგლებში დაწყებით საფეხურზე მოსწავლე ეცნობა ადამიანსა და გარემოს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას, აგროვებს ინფორმაციას, თუ როგორ მოქმედებს გარემო ადამიანის ცხოვრების ნირზე და პირიქით, როგორ იცვლება გარესამყარო ადამიანის ზემოქმედების შედეგად; ეცნობა ბუნებრივი სიმდიდრეების მრავალფეროვნებას, მათი რაციონალურად გამოყენების გზებს და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სწორი უტილიზაციის მეთოდებს [4. გვ. 24].

სწავლების ამ საფეხურზე მოსწავლეს უყალიბდება პირადი და ჯგუფური პასუხისმგებლობა და ის აქტიურად ერთვება ლოგიკური გარემოს დაცვის საქმეში. ეცნობა ჯანმრთელი და უსაფრთხო ცხოვრების წესებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერება ცოცხალი საგანია, რომელიც ბევრ საზროვნო ჩვევას მოითხოვს, ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე მას შემოქმედებითად მიუდგეს. რაც უფრო ადრე იწყებს მოსწავლე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლას, მით უფრო უკეთ ამუშავდება მისი მხედველობითი, სმენითი შეგრძნებები და დამოუკიდებელი აზროვნება, დაკვირვების უნარის სიზუსტე.

ბუნების შესწავლა საინტერესო და სახალისო უნდა იყოს. როდესაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ბუნების შესწავლაში, ისინი ბევრად მეტს იძენენ. ამიტომ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ მაქსიმალური დამოუკიდებლობა, რომ თავად აღმოაჩინონ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის გზები, იგრძნონ თავი მკვლევარებად.

ბუნებისმეტყველების შესწავლა უნდა ეფუძნებოდეს იმ პრაქტიკულ მოქმედებებს, რომლებიც მოსწავლისაგან კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვს. მოსწავლე ცოდნის პასიურ მიმღებად კი არ უნდა დარჩეს, არამედ აქტიურ შემმეცნებლად უნდა ჩამოყალიბდეს. მას უნდა შეეძლოს მიღებული ცოდნა გამოიყენოს როგორც პროფესიული წარმატებებისათვის, ასევე საზოგადოების სასიკეთოდ.

როდესაც მასწავლებელს სურს დაინტერესოს მოსწავლეები მეცნიერებით და ძირითადად ბუნებისმცოდნეობით, მათ უნდა წარუდგინოს თანამედროვე, წარმატებული მეცნიერების მიღწევები და მუშაობის შედეგები. აუხსნას მოსწავლეებს სად და როგორ მუშაობენ ისინი ყოველდღიურად და რა სფეროს ეხება მათი მიღწევები [5. გვ. 9].

ლიტერატურა:
1. ლ. შალვაშვილი, მ. მაჭავარიანი, ნ. ტაბიძე, ჩემი გარემო, 4 კლასი მასწავლებლის წიგნი, თბ., 2011.
2. ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, თბ., 1912.
3. ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი, ნ. გოგიჩაძე, თ. ლოდია, სასწავლო და პროფესიული გარემო, III ნაწილი, 2008.
4. ე. სლოვინსკაია, მ. კაპანაძე, ზ. ხიდაშელი და სხვ. ბუნებისმეტყველება: 1–6 კლასები: გზამკვლევი მასწავლებლებისათვის 2011–2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, თბ, 2011.
5. რ. შცესნი, ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილი, 2011.

ინკლუზიური განათლება დაწყებით საფეხურზე

ანა ხარაიშვილი, ნინო სომხიშვილი,
ანნა კაპანაძე, ლელა ტოროშელიძე
განათლების,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ბერიკა შუკაკიძე**, მოწვეული სპეციალისტი

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა.

სწავლისას ყველა ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება ექმნებოდეთ ნიჭიერ ბავშვებსაც.

ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც ცდილობს სკოლის ყველა ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა და სირთულეებისა სწავლის პროცესში.

ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია ყველა ბავშვისათვის თანაბარ პირობებში განათლების, ცოდნის მიცემა, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა. სწორედ ამიტომ ინკლუზიური განათლება გულისხმობს როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე ნიჭიერი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, უსახლკარო და სოციალური პრობლემების მქონე ბავშვების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. ყველა ეს მოსწავლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ ითვლება.

ინკლუზიური განათლების მიზანია ყველა ბავშვს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. (სასწავლო რესურსი).

შეზღუდული შესაძლებლობის (შშ) მქონე ბავშვს აღენიშნება განვითარების ერთი ან რამდენიმე შეფერხება (მათთან დაკავშირებით, სიტყვა „ინვალიდი“ 1995 წლიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, ამოღებულია ხმარებიდან და ჩანაცვლებულია ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“). [1. გვ. 151]

1994 წელს 7–10 ივლისს ესპანეთში, სალამანკაში, ერთმანეთს შეხვდა 92 მთავრობისა და 25 საერთაშორისო ორგანიზაციის 300–ზე მეტი მონაწილე, რათა ხელი შეეწყოთ "განათლება ყველასთვის" – მიზნისა და ინკლუზიური განათლების მიდგომის წინსვლისათვის, საჭირო ფუნდამენტური პოლიტიკური ხერხების განხილვის გზით. კერძოდ, სკოლებისათვის იმ შესაძლებლობების მინიჭებით, რომელიც საშუალებას მისცემს მოემსახურონ ყველა ბავშვს, მეტადრე მათ, ვისაც გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. [2. გვ. 7]

სასკოლო მუშაობა შეიძლება აღვწეროთ როგორც "დადაქტიკური შეხვედრა" ადამიანებსა და დისციპლინებს შორის. ადამიანები და საგნები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. არსებობს კავშირი ამ შეხვედრის ხარისხსა და იმ დონეებს შორის, რომლებსაც მოსწავლეები აღწევენ. სკოლის უმაღლესი მიზანია ყავდეს კომპეტენტური პიროვნება, ვისაც შეუძლია მოერგოს არა მხოლოდ სკოლას, არამედ

შემდგომ ისეთი საზოგადოება განავითაროს, რომელიც ჰუმანისტურ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული.

დიდაქტიკური შეხვედრის წარმატებულობა, სასწავლო პროცესის ეფექტური წარმართვა დამოკიდებულია მოსწავლეთა ჩართულობასა და მათ შესაძლებლობებზე. გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის არსებობს დაავადებები, რომელნიც ხელისშემშლელ ფაქტორად ითვლება მოსწავლეთა წინსვლისათვის მაგ.: ცერებრალური დამბლა, გონებრივი შეზგუდვა, ეპილეფსია, მხედველობის დარღვევა და სხვა. აუცილებელია აღნიშნული დაავადების მქონე ბავშვთა ჩართვა სასწავლო პროცესში, მათი მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, რასაც უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლება.

როგორც ყველა ორგანიზაცია, სკოლაც მუდმივად უნდა მუშაობდეს, იმ განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც ის იძლევა და რომელიც დაინტერესებულია მოსწავლის აკადემიური განათლებით, სოციალური და პიროვნული განვითარებით.

დღეისათვის ქ. გორში არსებობს 2 დაწესებულება, სადაც გაერთიანებულნი არიან შშ მქონე ბავშვები. იქიდან გამომდინარე, რომ ინკლუზიური განათლება არის ახალი სისტემა განათლების სფეროში, ადგილი აქვს გარკვეულ დაბრკოლებებს, რაც გამოწვეულია სკოლების მოუმზადებლობით შშ მქონე მოსწავლეთა მისაღებად. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ სკოლა არ არის აღჭურვილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნების შესაბამისად, მშობლების, მასწავლებლების, მთლიანად საზოგადოების მოუმზადებლობით.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრა ხელს შეუწყობს ინკლუზიური განათლების ყველა სკოლაში დანერგვას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებას.

ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების (სსს) მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში; სკოლაში მიმდინარე აკადემიურ (მაგ. წერა, კითხვა) და არა აკადემიურ (მაგ., დასვენებებზე თანატოლებთან თამაში) პროცესებში.

ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სსს მქონე ბავშვის ზოგად საგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია, მოსწავლეების სპეციალიზირებულ სკოლებსა და კლასებში განაწილება უნდა ხდებოდეს გამონაკლის შემთხვევებში და რეკომენდირებულია მხოლოდ მაშინ, როცა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანმანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს, ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისთვის.

რამდენადაც ინკლუზიური განათლების მოდელი ეხება სკოლის ცხოვრებაში მონაწილე ყველა პირს, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. შესაბამისად, უხვადაა ამ იდეის როგორც მომხრე, ასევე მისი საწინააღმდეგო არგუმენტებიც.

ინკლუზიური განათლების მომხრენი თვლიან, რომ:

- სეგრეგაციული სპეციალური განათლება ძვირი ჯდება;
- ბავშვებს დაბალი მოტივაცია აქვთ სეგრეგაციული სწავლების პირობებში;
- ინკლუზიურ გარემოში ბავშვის სოციალური ინტეგრაცია, მეტყველება, ქცევა უმჯობესდება და მაღლდება თვითშეფასება;
- ჯანმრთელი ბავშვი ეჩვევა განსხვავების მიღებას და პატივისცემას;
- ბავშვებს უყალიბდებათ ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის განწყობა და უფრო ემპათიურები ხდებიან.

ინკლუზიური განათლების მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ :

- განვითარების დარღვევის მქონე ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან "ჯანმრთელი" თანატოლებისაგან – "ნორმისაგან" და ამიტომ სპეციალიზებულ გარემოსა და მომსახურებას საჭიროებენ;
- ასეთ ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომა და სწავლება უფრო ადეკვატური და შესაძლებელია მცირერიცხოვან კლასში, რაც შეუძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში;
- სურვილისა და მზაობის შემთხვევაშიც, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებს არა აქვთ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლების ცოდნა და ჩვევები;
- ერთ კლასში შესაძლებლობებისა და უნარების დიაპაზონი იმდენად დიდია და ბავშვები იმდენად განსხვავებულნი არიან, რომ ერთი მასწავლებელი ვერ შეძლებს მათ ადეკვატურ სწავლებას;

- შშ მქონე ბავშვები მასწავლებლის მთელს დროსა და რესურსებს იკავებენ, კლასში უწესრიგო გარემოს ქმნიან, რაც სხვა ბავშვების სწავლის ხარისხზე მოქმედებს.

მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ იმ კრიტიკული დამოკიდებულების ცოდნა, რაც აქვთ როგორც შშ მქონე ბავშვების მშობლებს ასევე მათ საწინააღმდეგო სფეროს წარმომადგენელ ბავშვებთა მშობლებს. როგორც წესი, მშობლების ასეთი დამოკიდებულება აბრკოლებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში. შშ მქონე ბავშვების მშობლები ხშირად თვლიან, რომ:

- მათი შვილი ჩვეულებრივ კლასში თავს ვერ იგრძნობს უსაფრთხოდ და დაცულად, ვერ მოხერხდება მისი განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- მათ შვილს დასცინებენ და ვერ გაუგებენ ჯანმრთელი ბავშვები; ჯანმრთელი ბავშვების მშობლები ხშირად თვლიან, რომ მათ შვილს ხელი შეეშლება ცოდნის ათვისებაში, რადგან მასწავლებლის ყურადღება, ძირითადად, შშ მქონე ბავშვებისკენ იქნება მიმართული.
- მათი შვილი ვერ შეძლებს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას და მისი განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად დაიწევს, რადგან კლასში შშ მქონე ბავშვების სწავლება არ მისცემს მას სასწავლო პროგრამის სრულად ათვისების საშუალებას [3. გვ31, 32, 33].

გორის №4 სკოლაში დღეისათვის სწავლობს (ირიცხება) 28 შშ და სსს მქონე ბავშვი. მათ შორის არის 16 დაწყებითი კლასის მოსწავლე. ჩვენი კვლევითი ჯგუფი დაინტერესდა იმით, თუ რამდენად ჰქონდათ ბავშვებს შექმნილი კეთილგანწყობილი გარემო თავის შესაძლებლობების რეალიზებისთვის. ამ და ბევრ სხვა კითხვაზე პასუხის მისაღებად შევადგინეთ კითხვები როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. გვქონდა ასევე ინტერვიუ მასწავლებლებთან და მშობლებთან რომლებმაც განაცხადეს, რომ შშ მქონე ბავშვთა ინტეგრირება სკოლებში აუცილებელია, რათა მათ თავი არ იგრძნონ გარიყულად, მაგრამ აღნიშნეს ისიც, რომ ეს საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა. მას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ შშ მქონე მოსწავლეთა ინტეგრირება მოხდა. შეინიშნება პროგრესი სწავლაში. დასახულ მიზანთა მინიმუმის მიღწევა ყველა შემთხვევაშია შესაძლებელი. რესპოდენტებმა ერთხმად განაცხადეს, რომ სკოლის პედაგოგიურმა პერსონალმა სრული შემადგენლობით გაიარა გადამზადების პროგრამა, მონაწილეობა მიიღეს განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტრენინგებში, რაც გაუადვილებთ მათ შშ მქონე პირებთან ურთიერთობას. ისინი მზად არიან შშ და სსს მქომე ბავშვთა მისაღებად.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა მასწავლებელთა გამოკითხვამ აჩვენა:





კვლევაში მონაწილე ბავშვებმა აღნიშნეს:





ინტერვიუში მონაწილე მშობელთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მათი შვილების სასწავლო პროცესში ჩართვა, მათი შესაძლებლობების რიალიზება. ეს ხელს შეუწყობს ბავშვების ჩაკეტილი, საზოგადოებისგან იზოლირებული ადამიანის მდგომარეობიდან გამოსვლას.

რესპოდენტმა მშობლებმა ისაუბრეს შშ და სსს მქონე პირთა სკოლებში ინტეგრირების დიდ მნიშვნელობაზე. კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვებზე მშობლებმა შემდეგი პასუხები შემოგვთავაზეს:





შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები მრავალი წლის მანძილზე პრაქტიკულად იზოლირებულები იყვნენ თანატოლებისაგან. დღეისათვის ისინი საპილოტე სკოლებში რეალურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებმა უნდა მიიღონ გარკვეული სახის დამატებითი მხარდაჭერა, რომელიც შესაძლოა დასჭირდეთ მათ ეფექტიანი განათლების უზრუნველსაყოფად. ინკლუზიური სწავლება არის ყველაზე ეფექტიანი საშუალება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისა და მათ თანატოლებს შორის ერთსულოვნების, სოლიდარობის შესაქმნელად. კვლევის ჯგუფმა დაინახა, რომ მოსწავლეებს შორის იყო კეთილგანწყობილი, მეგობრული გარემო, ამიტომ ბავშვების სპეციალურ სკოლებში ან განაყოფებში განაწილება უნდა იყოს გამონაკლისის სახით და რეკომენდირებული მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა აშკარადაა გამოხატული, რომ ჩვეულებრივ კლასში განათლება ვერანაირად ვერ ეთანხმება ბავშვის საგანმანათლებლო ან სოციალურ საჭიროებებს, ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისთვის. შესაბამისად შშ მქონე მოსწავლეების განცალკევება გამორიცხულია, პირიქით, ,მისასალმებელი იქნება ის ფაქტი, თუ მომავალში არსებულზე მეტ სკოლაში დაინერგება ინკლუზიური განათლება.

ლიტერატურა :

1. რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, ქ. თოფაძე, თ. პაჭკორია, თ. ბუწაშვილი, “სწავლება და შეფასება”, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.
2. თ. პაჭკორია, “ვისწავლოთ ერთად. ინკლუზიური განათლება”, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2008.
3. თ. გაგოშიძე, თ. ჭინჭარაული, ქ. ფილაური, მ. ბაგრატიონი, ”ინკლუზიური განათლების პრინციპები”, 2008.

დროითი მწკრივის პროგნოზირება და მისი ცდომილებების დადგენა

თეონა ბერიკაშვილი, ლენა განჯელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **კარლო ცერცვაძე**, სრული პროფესორი

მეცნიერული კვლევის ეფექტურობა მჭიდროდაა დაკავშირებული კვლევის პროცესში "სწორი" მეთოდის გამოყენებაზე. საყოველთაოდ ცნობილია, მეთოდი ნიშნავს შემეცნების გზას, თეორიას. ფართო გაგებით მეთოდი არის მიზნის მიღწევის საშუალება, გარკვეული სახით მოწესრიგებული საქმიანობა ამ მიზნის მისაღწევად. კვლევის პროცესში ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისას პირველ რიგში უნდა დადგინდეს რამდენად მიზანშეწონილია აღებულ სიტუაციაში ამ მეთოდის გამოყენება. მრავალი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, როდესაც იყენებენ "რაღაც" მეთოდს, სასურველ შედეგს კი ვერ იღებენ.

ჩვენ ქვემოთ შევეხებით პროგნოზის ამოცანას, განვიხილავთ პროგნოზირების ერთ-ერთ მეთოდს, მივუთითებთ იმ კლასს, როდესაც შეიძლება ამ მეთოდის გამოყენება და პროგნოზის რა სიზუსტის მიღწევაა შესაძლებელი ამ მეთოდის გამოყენების შედეგად.

პროგნოზი - მომავლის წინასწარგანჭვრეტა, წინასწარმეტყველებაა, ხოლო პროგნოზირების მეთოდი - პროგნოზის დადგენაა. არსებობს პროგნოზირების მრავალი მეთოდი დაწყებული პროგნოზირების მეთოდით.

ძნელად მოიძებნება ადამიანის საქმიანობის ისეთი სფერო, სადაც ამა თუ იმ სახით არ გამოიყენებოდეს "პროგნოზი". ჩვენ არ დავაკონკრეტებთ სფეროს, რომლისათვისაც განვიხილავთ "პროგნოზის" ამოცანას, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ დავეყრდნობით "წარსულს" ინფორმაციას და ამასთანავე ამ ინფორმაციას ექნება რაოდენობრივი ხასიათი ე.ი. იქმნება რიცხვითი მიმდევრობა ან რიცხვითი ფუნქცია, ორთავე შემთხვევაში, როგორც საზოგადოდაა მიღებული, იგი დროის ფუნქციაა და პროცესს ვუწოდებთ, აღნიშნული პროცესის კვლევისას გამოვიყენებთ მხოლოდ მათემატიკურ მეთოდებს.

მათემატიკურად პროგნოზის ამოცანა ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: ვთქვათ

$X(t)=(X1(t),X2(t),\ldots,Xm(t))$ (1)

t - დროის ფუნქციაა. ცნობილია ამ პროცესის მიმდინარეობა (ე.ი. ცნობილია რეალიზაცია) როცა $S<t$, ამ მონაცემების საფუძველზე უნდა ვიპოვოთ $X(t+T)$-ს მნიშვნელობა $t>O$. ამ მნიშვნელობას ეწოდება $X(t)$ პროცესის პროგნოზი t- ბიჯით და ავღნიშნავთ $\hat{X}(t+t)$. სხვაობას $\Delta t=X(t+t)-\hat{X}(t+t)$. (2)

პროგნოზის ცდომილებას ვუწოდებთ t – ბიჯისას. თუ $X(t)$ დეტერმინირებული პროცესია, მაშინ პროგნოზი $\hat{X}(t+t)$. ემთხვევა მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას $X(t+T)$ ეს შემთხვევა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ პრაქტიკულად უმეტეს შემთხვევაში $X(t)$ – პროცესს აქვს შემთხვევითი ხასიათი. ჩვენ განვიხილავთ იმ შემთხვევას, როდესაც $X(t)$ სტაციონალური შემთხვევითი მიმდევრობაა. დაუშვათ

$X(t-1), X(t-2), \ldots, X(t-n)$ (3)

დაკვირვებებია სტაციონალურ შემთხვევით მიმდევრობაზე (t-k) მომენტისათვის $K=42, \ldots, n$. ამ მონაცემების საფუძველზე უნდა შევაფასოთ $X(t+T)$, $T>O$. და იგი ავღნიშნოთ $\hat{X}(t+t)$. ცხადია უკანასკნელი წარმოადგენს (3) დაკვირვების რაღაც g ფუნქციას.

$\hat{X}(t+t).=g[x(t-1),X(t-2),\ldots,X(t-n)]$. (4)

(4)-ს ვუწოდებთ პროგნოზის ფორმულას, ჩვენი მიზანია ამ ფორმულაში g ფუნქციას შევარჩიოთ ისეთნაირად, რომ

$n^2(t)=M[X(t+T) - \hat{X}(t+T)].^2$

იყვეს მინიმალური ე.ი.

n^2(T)=min[x(t=T) – g(X(t-1), X(t-2), . . .X(t-n)] $.^2$ (5)

განვიხილოთ შემთხვევა როდესაც g არის წრფივი ფუნქცია ე.ი.

$\hat{X}$(t+T).=a_1(t-1)+a_2X(t-2)+ . .+anX(t-n) (6)

წრფივი პროგნოზის ცდომილება მიიღებს შემდეგ სახეს

σ^2(t)=M[X(t+T)-$\sum_{k=1}^{n}\sum_{e=1}^{n}$ a_k d_e B(k-e) (7)

სადაც B(T)=M[X(t+T)]

წრფივ პროგნოზებს შორის ის იქნება საუკეთესო, რომლისთვისაც σ^2(t) იქნება მინიმალური ე.ი. უნდა ვიპოვოთ a_1, a_2, a_n, ისეთნაირად, რომ (7) იყვეს მინიმალური. როგორც ვიცით მრავალი ცვლადის ფუნქციის მინიმუმის მოსაძებნად საჭიროა ამოიხსნას შემდეგი განტოლებათა სისტემა.

$\frac{\partial S(T)}{\partial ak}$ =BB(t+k)= $\sum_{e=1}^{n} ae$ B(k-e)= 0 (8)

პროგნოზირების ამოცანას ჩათვლით გადაწყვეტილად თუ ამოვხსნით (8) განტოლებათა სისტემას. როგორც ვიცით ამისათვის საკმარისია სისტემის ძირითადი დეტერმინანტი განსხვავდებოდეს ნულისაგან.

პროგნოზირების ამოცანას აქვს მარტივი გეომეტრიული აზრი. ვთქვათ H_n(t) არის სასრულო განზომიალებიანი წრფივი სივრცე, რომელიც წარმოქმნილია X(t-1) X(t-2), X(t-n) ვექტორებით, რომელიც შეიცავს (6) სახის ყველა ვექტორს, ე.ი.

$\hat{X}$(t+T) წარმოადგენს Hn(t) სივრცის ვექტორს, ხოლო X(t+T) კი ეკუთვნის Hn(t+T) სივრცეს. (7) გამოსახულება წარმოადგენს მანძილის კვადრატს X(t=m) წერტილიდან Hn(t) სირცის $\hat{X}$(t+T) წერტილამდე. ამგვარად საუკეთესო წრფივი პროგნოზის პოვნა დაიყვანება ამოცანაზე ვიპოვოთ ისეთი წერტილი Hn(t) სივრცეში.

$\hat{X}$(t+T)=α_1x(t-1)+ α_2X(t-2)+ . . . .+(t-n) როგორც ყველაზე ახლოსაა X(t-T) წერტილიდან ე.ი. X(t-T) წერტილიდან უნდა დაუშვათ პერპენდიკულარი Hn(t) სივრცეზე. როგორც ცნობილია ამ პერპენდიკულაციის ფუძე იქნება საძიებელი პროგნოზი, რომელიც დააკმაყოფილებს ცდომილების მინიმუმის მოთხოვნას, თვით ეს პერპენდიკულარი იქნება. (X(t+T)- $\hat{X}$(t+T)) (9)

რომელიც ორთოგონალურია საბაზისო სექტორებისა

X(t-1), X(t-2), ---X(t-n)

შესაბამისი ორთოგნალიზმის პირობა დგინდება შემდეგნაირად

(X(t+T)-($\alpha_1 x_1$(t-1)+$\alpha_2 x_2$(t-2)+- - - +αn(X(t-n)), X(t-k))=O

k=1, 2, 3, n, (10)

სადაც (•, •) სკალარულ ნამრავლს განვმარტავთ შემდეგნაირად

(X(t), X(S)=M(X(S))=B(t-S) მაშინ (10) გამოსახულება დაემთხვა (8) გამოსახულებას.

პროგნოზის გეომეტრიული ინტერპრეტაციიდან დავასკვნით, რომ (8) განტოლებათა სისტემას X(t=T) წერტილიდან ყოველთვის შეიძლება დავუშვათ პერპენდიკულარი და ეს ამონახსენი იქნება ვექტორები X(t-1), X(t-2), ---X(t-n) წრფივად დამოკიდებული ვექტორებია ე.ი წარმოადგენს ბაზისს თავისი წრფივი გარსის ამ შემთხვევაში პროგნოზის საშუალო კვარტალური ცდომილება (X(t+T) წერტილიდან Hn(t) სივრცეში დაშვებული პერპენდიკულარის სიგრძის კვადრატი არის

σ^2(t)=II X(t+T) - $\sum_{k=1}^{n}$$a_k$ X(t-k)II^2

=B(O)-2 $\sum_{k=1}^{n}$ a_kB(T+k)+ $\sum_{k=1}^{n}\sum_{e=1}^{n}$$a_k a_e$ B(k-e) (11)

თუ უკანასკნელში გავითვალისწინებთ (8) მივიღებთ

σ^2(t)= B(O)- $\sum_{k=1}^{n}$ a_kB(T+k) =B(O)- $\sum_{k=1}^{n}\sum_{e=1}^{n}$$a_k a_e$ B(k-e) (12)

სადაც a_k k=1,2,---n (8) განტოლებათა ამონახსნია.

როგორც ვხედავთ საუკეთესო წრფივი პროგნოზის მოსაძებნად აუცილებელია (8) განტოლებათა სისტემის ამოხსნა, რომელსაც გააჩნია ერთადერთი ამონახსნი იმ შემთხვევაში როდესაც (1) მიმდევრობა არის წრფივად დამოუკიდებელი ე.ი. წარმოადგენს ბაზისს თავისი წრფივი გარსის ჩატევაში. ჩვენს მიერ ნაპოვნია ის პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს (1) მიმდევრობის სპექტრალური სიმკვრივე, რომ იგი იყვეს ბაზისი თავისი წრფივი გარსის ჩატევაში. (იხილეთ[1]) ძირითადი სიძნელე, რომელიც წარმოიქმნება პროგნოზირების ამოცანის გადაწყვეტისას, როგორც (8) და (12)-დან ჩანს, არის სპეციალური დეტერმინანტისა და კვადრატული ფორმის ცხადის სახით ამოწერა, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ვიხილავთ ვექტორული სტაციონარულ მიმდევრობებს. [2]-ში ნაპოვნია ტეპლიცის

დეტერმინაციის ასიმპტოტური თვისებები და იგი შეცვლილია საკმაოდ მარტივი გამოსახულებით, ხოლო [3]-ში გამოკლებულია კვადრატული ფორმის აპროქსიმაცია.

ლიტერატურა:

1. Солев В.Н., Церцвадзе К.А., «условие вагиносности для стащионфрноя векторноя вектонои последовательности, Зап. Нагр. Сем. Лами 1986 ст.133.
2. Церцвадзе К.А., Информационнои оператор и асимтотическое поведения теплицева определителя, Зап. Нагр. Сем. Лами 1988 ст. 166.
3. ნ. ლაზარიევა, მ. მანია, გ. მირზაშვილი თ. ტორონჯაძე, ო. ღლონტი, დ. ჯამბურია, ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები, თბ., 1999.

ვაზი, როგორც ცივილიზაციის საზრდო და თანამგზავრი

ნინო ბერუაშვილი, ფიქრია გოგიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და მნიშვნელოვანი დარგია. ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. ჩვენი ერის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი გამოიხატა ქართულ კულტურაში, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში და ხელოვნების სხვა დარგებში.

ვაზის კულტურის წარმოშობის შესწავლისას მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ვაზი რამოდენიმე ათასეული წლით ხნიერია კაცობრიობაზე, ხოლო ვაზის კულტურისა და მეღვინეობის განვითარების ისტორია, უშუალოდ დაკავშირებულია კაცობრიობის განვითარების ისტორიასთან.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ყურძნის წიპწები, რომელიც ძვ.წ VII-VI ათასწლეულებს განეკუთვნება და ენეოლითური პერიოდით თარიღდება. VI-V ათასწლეულებით ჩვენს ერამდე დათარიღდა ანაკლიის დიხა-გუძუბაში აღმოჩენილი წიპწები, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის დროს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იცნობდნენ ვაზის კულტურას და მას საკმაოდ დიდი როლი ეკავა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. ასევე ნაპოვნია კულტურული ვაზის უშუალო წინაპარი, გარეული ვაზი - კრიკინა (უზურვაზი), რომელიც დღეს წითელ წიგნშია შეტანილი. ეს კი იმის მაჩვენებელიც არის, რომ გარდა ვაზის კულტურისა, მევენახეობის კულტურამ აქ ყველა მისთვის დამახასიათებელი საფეხური გაიარა.

როგორც ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პალეობოტანიკოსი ნანა რუსიშვილი ამბობს, მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, წიპწების უმეტესობა ვაზის კულტურულ სახეობას, VitisVinifera-ს ეკუთვნის. „მიკროსკოპის საშუალებით ჩვენ ვსწავლობთ მის ფორმას, როგორია ხალაზას მდებარეობა და ფუძე, რომელსაც ნისკარტი ჰქვია. ამ ნიშნით შეგვიძლია დავადგინოთ ვაზი კულტურულია თუ ველური. მონაპოვარი დაახლოებით 3 ათასი წლით უსწრებს მთელ ცივილიზაციას. ამიტომ ჩვენ გვაქვს უფლება საქართველოს ვუწოდოთ ღვინის სამშობლო“.

თუ რამდენად სცემდნენ პატივს ძველად ვაზის კულტურას, იქიდან ჩანს, რომ ღმერთადაც კი აღიარებდნენ იმ პირს, ვინც ხალხის წარმოდგენით პირველად ვაზი გააშენა და ადამიანს ვაზის კულტურა შეასწავლა.

ვაზი ისეთ სათაყვანებელ საგანს წარმოადგენდა საქართველოში, რომ ქრისტიანობის გავრცელებაც კი ვაზთანაა დაკავშირებული. ”როცა წმინდა ნინომ, საკუთარი თმით ვაზისაგან შეკრა ჯვარი და იმით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. საფიქრებელია, რომ ჯვარი წარმართულ საქართველოშიც ღვთაებრივ სიმბოლოდ, საიდუმლოს ზიარად ითვლებოდა, რის ჯვარად ქცევაც ერის სულიერების უმაღლეს ცოდნასთან ზიარების ნიშანი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, არცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს ,,ვაზის ჯვრის კულტი“.

ქართველების ვაზისადმი სიყვარული მტრისთვისაც იმდენად კარგად იყო ცნობილი, რომ თემურ-ლენგმა საქართველოში თავისი მეხუთე ლაშქრობის დროს, ვაზის ამოძირკვა მთლიანად ერის

განადგურებასთან გააიგივა. ამიტომ აწარმოა „ეკონომიკური ომი“ საქართველოსთან და კახეთში ვაზი თავის ჯარს მთლიანად გააჩეხინა, თუმცა მიზანი განუხორციელებელი დარჩა და უდიდესი ზიანის მიუხედავად, ქართველმა გლეხმა არათუ აღადგინა ვაზის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ ყველა ვაზის ჯიშის გადარჩენაც შესძლო. როგორც ამბობენ ქართველი კაცის ბედნიერება ღვინის გარეშე არ არსებობსო.

მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ შაჰ-აბასის დროს კახეთიდან ირანში ღვინო ხარკის სახით გაჰქონდათ, ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა იმ ეპოქისათვის და შაჰის კარზე ქართლ-კახური ღვინო ,,ედემის სითხედ“ იწოდებოდა.

საქართველო ითვლება მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების ზონად მსოფლიოში, რასაც ადასტურებს გარეული და კულტურული აბორიგენული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება.

მსოფლიოში ცნობილია ვაზის 4000-მდე ჯიში. საქართველოში ვაზის 450-მდე ადგილობრივი ჯიშია, რომელთაგან სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილი 62 ჯიში, მათ შორის 29 საღვინე და 9 სუფრის.

გამორჩეული მაღალხარისხოვანი ქართული საღვინე ჯიშებია: რქაწითელი, მწვანე ხიხვი, ჩინური, გორული მწვანე, საფერავი, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური და სხვა.

საქართველოში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია მარნები, მიწაში ჩაფლული ქვევრებით და სასმისებით, რომლებიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე - ათასწლეულებით თარიღდება.

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შექმნა ვაზის და ღვინის მოხმარების კულტურა და ტრადიცია, შეიმუშავა სუფრის მშრალი, ბუნებრივად ტკბილი და ნახევრად ტკბილი, სადესერტო და ცქრიალა, კახური და იმერული ტიპის ღვინოების დამზადების ტექნოლოგიური ხერხები.

პროკოფი კესარიელის ცნობით ძველ მესხებს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული მეზობელ ქვეყნებთან და ადგილობრივი პროდუქტი ექსპორტზე იგზავნებოდა. გარდა ამისა, ღვინო ერთ-ერთი ყველაზე რთული გადასაადგილებელი პროდუქტია და თუ სათანადოდ არ მოეპყარი მას, გაფუჭდება. აქედან გამომდინარე, გაკვირვებას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოში თერმოსის ტიპის ქვევრები არსებობდა და შესაძლოა მათი მეშვეობითაც ხდებოდა მსგავსი ტიპის ექსპორტიზაციაც.

ქართლი ცნობილია კლასიკური ევროპული ტიპის ხარისხოვანი სუფრისა და მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოებით. ვენახები გაშენებულია მდინარეების - მტკვრისა და მისი შენაკადების, ლიახვისა და ქსნის ვრცელ აუზებში, ზღვის დონიდან 450-700 მეტრ სიმაღლეზე, მდელოს ყავისფერ, მდელოს ალუვიურ, რუხ ყავისფერ (წაბლა) და ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე.

XX საუკუნის 30-იან წლებიდან საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი შიდა ქართლში სისტემატურად აწარმოებს სპეციალურ გამოკვლევებს. ეს მხარე მეტად მნიშვნელოვანია ხარისხოვანი მეღვინეობის წარმოების თვალსაზრისით. აქ გავრცელებულია ჩინური და გორული მწვანე, რომლებიც იძლევიან საკმაოდ ნაზ, მსუბუქ და ხალისიანი მჟავიანობის ღვინო მასალებს: სუფრის თეთრი ღვინისა და შამპანურის წარმოებისათვის.

80-იან წლებში საქართველოში ვენახების ფართობი 150 ათას ჰა მეტი იყო, ღვინის ქარხნები წლიურად 500-700 ათას ტონა ყურძენს ამზადებდნენ, მიღებული ღვინოპროდუქცია ძირითადად საზღვარგარეთის ბაზრებზე იყიდებოდა. 90-იან წლებში შექმნილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა ამ დარგის პოტენციალი მნიშვნელოვნად შეამცირა. საბედნიეროდ ეს პერიოდი მეღვინეობის დარგში ხანმოკლე აღმოჩნდა. უკანასკნელ პერიოდში დარგის განვითარებისათვის ქვეყანაში შეიქმნილია საკანონმდებლო ბაზა, რამაც ხელი შეუწყო ქართული და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. გაშენდა ახალი ვენახები, ღვინის მრეწველობა აღიჭურვა მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, განახლდა უნიკალური ქართული ღვინოების წარმოება.

ღვინო კვებითი პროდუქტია და ამავე დროს ის გემოვნურ სასმელს წარმოადგენს. ღვინის მოხმარება სასიამოვნო უნდა იყოს და ამასთან ორგანიზმისთვის სასარგებლოც, ამიტომ მთელი ყურადღება ღვინის დაყენების ყველა ეტაპისკენ უნდა იყვეს მიმართული.

ღვინოს ცოცხალ ორგანიზმს ადარებენ, რადგან მისი წარმოშობა-განვითარება და ბოლოს დაშლა ანუ სიკვდილი ხდება ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად. ღვინოში მიმდინარე გარდაქმნების მთელ ციკლს ხუთ მთავარ სტადიად ყოფენ: 1) წარმოშობის, 2) დაღვინების 3) დამწიფებისა და 5) დაშლის ანუ სიკვდილის.

ზემოხსენებულ სტადიებს შორის ზუსტი საზღვრების დადგენა მეტად ძნელია, რადგან ტკბილის ალკოჰოლური დუღილიდან მზა პროდუქტის დამზადებამდე და შემდგომშიც ღვინის სიკვდილამდე ანუ დაშლამდე მიმდინარეობს ქიმიური და ფიზიკური გარდაქმნები. ამ სტადიებსა და ქიმიურ პროცესებში უკეთ გასარკვევად ჩვენ შევისწავლეთ საწარმოსა და ოჯახის პირობებში წარმოებული ღვინის ტექნოლოგიური პროცესები.

ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა შეგვესწავლა შ.პ.ს. ,,ქართული ღვინის სახლი“ და აგვეღწერა იქ მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები. მთავარი ტექნოლოგის, სოფლის მეურნეობათა აკადემიური დოქტორის, ქალბატონი დარეჯან ქვლივიძის დახმარებით გავეცანით საწარმოში მიმდინარე პროცესებს.

„ქართული ღვინის სახლში“ იწარმოება შემდეგი სახის ღვინოები:

1) წითელი ალაზნის ველი;

2) საფერავი;

3) ამირანი;

4) გამარჯობა;

5) მწირი და ა.შ

ადგილწარმოშობის ღვინოებიდან იწარმოება:

1) ქინძმარაული;

2) ახაშენი;

3) მუკუზანი;

4) ხვანჭკარა;

5) წინანდალი.

ეს ღვინოები რეალიზდება: ჩეხეთში, ჩინეთში, პოლონეთში, ისრაელში, ამერიკაში, საბერძნეთში, გერმანიაში და ა.შ.

საწარმოში ხდება ღვინის ქიმიური და ორგანოლეპტიკური დახასიათება:

1) ალკოჰოლი %, 2) სიმჟავე, 3) ექსტრაქტი, 4) ხვედრითი წონა, 5) რკინა, 6) ღვინის მდგრადობა, 7) ყურძნის ტკბილის შაქრიანობა, 8) ღვინის ასაკი.

ჩვენ შევეცადეთ ადგილზე ჩაგვეტარებინა ერთ-ერთი ღვინის, კერძოდ ახაშენის ორგანოლეპტიკური ანალიზი, საიდანაც ვარკვევთ, რომ ახაშენი - ადგილდასახელების წითელი, ნახევრად ტკბილი ღვინოა. იგი მზადდება ახაშნის, მუკუზნის, ჩუმლაყის საფერავისაგან. ხასიათდება მუქი ლალისფრით და ჯიშური ბუკეტით, არის სადესერტო, გემო - ჰარმონიული, სრული, ხავერდოვანი. არ ძველდება.

ქალბატონ დარეჯანისაგან შევიტყვეთ, რომ ღვინის გაყინვა და ადუღება ყოვლად დაუშვებელია. საწარმოს პირობებში ღვინის დადუღებას სჭირდება 21 დღე, რის შედეგადაც ხდება მისი გაფილტვრა, დამუშავება.

მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე პარალელი გავავლეთ ოჯახის პირობებში წარმოებულ ტექნოლოგიურ პროცედურებთან.

ჩვეულებრივ პირობებშიც ღვინოს დადუღებას სჭირდება 21 დღე, მაგრამ ამ პროცედურებს შორის არსებობს მთელი რიგი განსხვავებები, რომელთაგან ერთ-ერთია გაფილტვრა. საწარმოსაგან განსხვავებით ქვევრში დაყენებულ ღვინოს არ სჭირდება გაფილტვრა, ვინაიდან ქვევრი თვითონვე ასრულებს ფილტრის როლს.

ქვევრი ღვინის დაყენებისა და შენახვისათვის გამოიყენება, იგი მზადდება თიხისაგან, რომელიც სპეციალურ წვასა და დამუშავებას გადის, ღვინის ტემპერატურის შესანარჩუნებლად, დამზადებული ქვევრი მიწაში ეფლობა. მასში ჩასხმული ყურძნის წვენი ღვინის საბოლოო დაყენებამდე ჰერმეტულად ილუქება, მას მხოლოდ მორევისას და ჭაჭის მოსახდელად ხსნიან. დღესდღეისობით ღვინოს ქვევრში იშვიათად აყენებენ, მას მხოლოდ ღვინის შესანახი ფუნქცია აქვს. არქეოლოგიური გათხრებისას ქვევრის კულტურა უძველეს ფენებშია აღმოჩენილი. არსებობდა აგრეთვე ქვევრის ეკლესიისადმი შეწირვის ტრადიცია. ეკლესია-მონასტრებში დღესაც შეხვდებით ძველისძველ ქვევრებს.

ვაზისა და ღვინისადმი განსაკუთრებული სიყვარული ქართველ ხალხს ხატოვნად აუსახავს ქართულ კულტურაში, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში, ორნამენტში, ჭედურობაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში. ხელოვნების ნიმუშია ქართული მარანიც და მასთან დაკავშირებული თითოეული ნივთი. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მარანი ინდივიდუალური დიზაინით გამოირჩევა. მცხეთის, თრიალეთის, კახეთის, შიდა ქართლის, ვანისა და სხვა არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია უძველესი მარნები მიწაში ჩაფლული ქვევრებით, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, თიხის სასმისებით, რომლებიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე III-II ათასწლეულებით თარიღდება.

დღეს საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღვინის ტურებს. ღვინის ტურიზმი საუკეთესო საშუალებაა ჩვენი ქვეყნის გასაცნობად. ყოველწლიურად იზრდება ღვინის ტურიზმში მონაწილე ქვეყნების სია, სადაც საქართველოც აქტიურად მონაწილეობს. ღვინოს თითქმის ყველა ქვეყანა აწარმოებს, მაგრამ საქართველოში არსებობს ღვინოები, რომელთა გამო ნამდვილად ღირს ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორემდე მისვლა. ჩვენთან შეიძლება ღვინის დაგემოვნება იქ, სადაც ის დაიწურა და დაღვინდა. ღვინის მცოდნეებმა კარგად იციან, რომ ღვინოს მგზავრობა და ტრანსპორტირება არ უყვარს,

რადგან ამ დროს იგი ”ილახება”, ”იღლება”. ნამგზავრ ღვინოს ოდითგანვე ჩვენი წინაპრებიც ასვენებდნენ და მხოლოდ დასვენებულ დამჯდარ ღვინოს მიირთმევდნენ. ასეთ ღვინოს ფრანგებიც ”გალახუს ღვინოს” უწოდებენ და რამდენიმე თვე ასვენებენ. ექსპერტთა თქმით კი, რაც უფრო შორს იყიდება ღვინო თავისი დედა კასრიდან, ანუ იმ ჭურჭლიდან, სადაც ის ინახებოდა, მით უფრო არ შეესაბამება ორიგინალს და ხარისხიც ნაკლები აქვს, სხეული - შეთხელებული აქვს, ფერიც და გემოც - შეცვლილი. თუ ნამდვილ ღვინოსთან ზიარება გინდა, მიდიხარ იქ, სადაც მტევანი მზეს ეფიცხება, სადაც დაიწურა და სადაც მშვიდად თვლემს ღვინო. ამიტომ ბევრი გურმანი სპეციალურად მიემგზავრება იმ ქვეყანაში და კონკრეტულად იმ ადგილას, სადაც ღვინო ”ცხოვრობს”. ღვინის ტურიზმის მთელი ხიბლი კომპლექსურობაშია - ღვინოსთან ერთად რომ გაიცნობ გეოგრაფიულ ადგილს, ისტორიას, კულტურას, ხალხს, ტრადიციებს, ნახავ ვენახს, მარანს, გასინჯავ კონკრეტული ქვეყნის, კუთხის ტრადიციულ საკვებს, გაიცნობ ადამიანებს, რომლებმაც ეს ღვინო დაწურეს.

დასასრულ: „ვენახის განცდა და გააზრება როგორც სიცოცხლის ხისა, როგორც სიცოცხლის მარადიული სიმბოლო, დაუკავშირდა ეპითეტის სახით მარიამ ღვთისმშობელს და ამის საფუძველი არის შემდეგი: ფიგურალურად რომ ვთქვათ, ვაზი არის მშობელი ღვინისა. ღვინო კი არის ის საკრალური სითხე, რომელიც მაცხოვრის სისხლადაა გაცხადებული, ხოლო ღვთისმშობელი არის მაცხოვრის მშობელი და მაცხოვარი თავადაა მარადიული სიცოცხლის მომტანი კაცობრიობისათვის. ეს ყველაფერი ქმნის იმ მისტიკურ საფუძველს, რომელიც „შენ ხარ ვენახის“ სახით საგალობელში იქნა განივთებული“.

ლიტერატურა:

1. კ. მოდებაძე, მეღვინეობა, თბ., 1948.
2. ნ. გელაშვილი, მეღვინეობა, თბ., 1961.
3. ივ. ჯავახიშვილი, „ქართული ერის ისტორია“, თბ., 1965.
4. ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბ., 1974.
5. ა. სირბილაძე, ყურძნის ალკოჰოლურ პროდუქტთა ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი საშუალებანი, თბ., 1977.
6. www.gwtc.ge/view_cat.php?cat=3
7. www.radiotavisupleba.ge/content/article

თანამედროვე სოციალური ქსელები

ოლია ბექაური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თინათინ მშვიდობაძე**, ასოცირებული პროფესორი

სოციალური ქსელი ინტერნეტში 1995 წელს შეიქმნა. სოციალური ქსელი არის ურთიერთობათა არხი, სადაც მეტად ურბანულ გარემოს მეტად ინტენსიური ურთიერთობათა ქსელი ახასიათებს. დღესდღეობით სოციალური ქსელები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მათ რამდენიმე მილიონი მომხმარებელი ჰყავთ. ყველაზე გავრცელებული სოციალური ქსელია facebook.com, რომლის შექმნაც ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტის მარკ ცუკერბერგის სახელს უკავშირდება.

სოციალური ქსელი – Facebook, მსოფლიოს 213 ქვეყანაში 800 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. მიზნობრივი მომხმარებლების ზუსტი იდენტიფიკაციისა და მათზე პოზიცირების შესაძლებლობის წყალობით, Facebook პლატფორმა მომხმარებლებთან კომუნიკაციის ყველაზე ეფექტიან საშუალებად იქცა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ facebook-ში თავისი კუთხე 2012 წლის მდგომარეობით უკვე 710 მილიონზე მეტ ადამიანს აქვს.



ნახ 1. სოციალური ქსელი დღეისათვის

სოციალური ქსელი, ფორუმიც და ბლოგიც საკომუნიკაციო მიზნებისათვის შეიქმნა. სამივეს საფუძველში კი ტექნოლოგიაა, რომელიც უსწრაფესად ვითარდება.

90-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა **ფორუმი.** თუმცა სოციალური ქსელების გამოჩენის პარალელურად დაიწყო ფორუმების განვითარების შენელება, ამას მოჰყვა შეჩერება და დაიწყო ვარდნა, რომელიც დღემდე გრძელდება. წმინდა საკომუნიკაციო თვალსაზრისით ფორუმი აშკარად ჩამოუვარდება სოციალურ ქსელს. აუდიტორია შეზღუდულია, ზრდის ტემპიც დაბალია და, რაც მთავარია, სოციალური ქსელის სახით მძიმეწონიანი კონკურენტი ჰყავს.

ახლა უკვე გამოჩნდა ბლოგების სისტემა, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძია გამოთქვას თავისი აზრი ან დაარსოს ელექტრონული ჟურნალი და გაავრცელოს ინტერნეტ სფეროში.

ბლოგი თავიდან ჩაფიქრებული იყო როგორც პირადი ონლაინ დღიური, თუმცა მისი გამოყენება გაცილებით მრავალმხრივი შეიძლება იყოს. ესეც Web 2.0-ის პირმშოა, თუმცა საკომუნიკაციო თვალსაზრისით პირველ ორთან შედარებით შეზღუდული ფუნქციებით და უფრო შეზღუდული გამოყენებითაც. ბლოგის ავტორი წერს, მკითხველი კი კითხულობს და იშვიათ შემთხვევაში აკეთებს კომენტარს. სისტემურად შეზღუდულია ორმხრივი კომუნიკაცია და აუდიტორიის ჩართულობა, რაც ამცირებს როგორც ავტორთა, ასევე მკითხველთა მოტივაციას, რომ ბლოგის არსებობა შეინარჩუნონ გრძელვადიან პერსპექტივაში.

უკვე კარგა ხანია აქტიურად მიმდინარეობს სოციალური ქსელების ათვისება ბიზნეს კომპანიათა მხრიდან. Facebook-ის გამოყენებით კომპანიებს, ორგანიზაციებსა და ინდივიდებს შესაძლებლობა აქვთ პირდაპირი კონტაქტი დაამყარონ მიზნობრივ მომხმარებლებთან, გაზარდონ ბრენდის ცნობადობა, გაუწიონ რეკლამა პროდუქტებსა და სერვისებს, მიიღონ უკუკავშირი მომხმარებლებისგან და უზრუნველყონ სწრაფი რეაგირება მათ მოთხოვნებზე.

მსოფლიოს მასშტაბით Facebook პლატფორმას ყველა ცნობილი ბრენდი იყენებს სხვადასხვა სახის კამპანიების განსახორციელებლად. მომხმარებლებისთვის ბრენდირებული, ორიგინალური Facebook აპლიკაციების შეთავაზებით, კომპანიებმა საკუთარი ბრენდების, პროდუქტებისა და სერვისების მიმართ მომხმარებელთა ლოიალობის ზრდას მიაღწიეს. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ადგილობრივ მომხმარებელთა რიცხვი 700 000 ადამიანს აღწევს და ეს მაჩვენებელი პროგრესულად იზრდება. მომხმარებელთა დიდი რაოდენობის, მათი ჩართულობის მაღალი ხარისხისა და რეკლამირების დაბალი დანახარჯების გათვალისწინებით, Facebook დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება ქართველ მარკეტერებს შორის.

Facebook Fan გვერდის საშუალებით შესაძლებელია:

- ✓ მოიზიდოთ მომხმარებლების („ფანების“) დიდი რაოდენობა;
- ✓ შექმნათ საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური საშუალება;

- ✓ გაუწიოთ რეკლამა თქვენს პროდუქტებსა და სერვისებს;
- ✓ გაზარდოთ კომპანიის, ბრენდის, პიროვნების ცნობადობა.
- ✓ გაზარდოთ კომპანიის/ბრენდის/ინდივიდის ცნობადობა;
- ✓ დაამყაროთ უშუალო კომუნიკაცია მიზნობრივ მომხმარებლებთან;
- ✓ გაზარდოთ არსებული მომხმარებლების ლოიალობის ხარისხი.

იმისათვის, რომ web რესურსი ადვილად მოძებნადი იყოს, სისტემებისათვის კეთდება ოპტიმიზირება. SE მეგობრული web გვერდი საიტს სტუმართა უფასო ნაკადით უზრუნველყოფს.

ყველა ის შინაარსი, რომელიც სოციალურ ქსელში user და pass-ის მიღმა ძევს, დაფარულია საძიებო სისტემებისათვის. საძიებო სისტემების [Google, Yahoo, Bing] ბოტები ვერ აღწევენ user და pass-ის მიღმა. შესაბამისად შინაარსი ვერ ინდექსირდება, რაც გამორიცხავს "გარედან" სტუმრის შეღწევას. კომპანიის/პროექტის facebook გვერდი გამონაკლისია. იგი ჩვეულებრივ ღიაა და ინდექსირდება საძიებო სისტემების მიერ, თუმცა მისი განვითარება მეტწილად ისევ facebook-ის აუდიტორიის ხარჯზე ხდება. სოციალური ქსელის სისტემა ჩვეულებრივ უზრუნველყოფს ზოგიერთი ინფორმაციის "გატანას" შეზღუდული და საჯაროდ ხილვადი პროფილის სახით.

ფორუმი უკვე დიდი ხანია გადაიქცა SEO & SE მეგობრულ ინსტრუმენტად. ოპტიმიზირებული ფორუმი დიდი ძალაა. ფორუმები დიდი ხანია, რაც დამატებითი მოდიფიკაციების მეშვეობით გადაიქცნენ საძიებო სისტემებისადმი უაღრესად მეგობრულ რესურსებად.

ბლოგი კიდევ უფრო მეტად ოპტიმიზირებულია, ვიდრე ფორუმები და საიდუმლო თვით ბლოგის სტრუქტურასა და დანიშნულებაშია. ისეთი ძრავები, როგორიცაა Wordpress.com და მრავალი სხვა იდეალურ შესაძლებლობებს გვთავაზობენ საიტის აუდიტორიის საძიებო სისტემებიდან მოზიდვის კუთხით. ბლოგის მთავარი საიდუმლო ორიგინალური შინაარსის მქონე უნიკალური გვერდების დიდი რაოდენობაა, რაც უკეთ ოპტიმიზირების გასაღებია.

სოციალურ ქსელში აუდიტორიის უდიდესი უმრავლესობა თავისი რეალური ID ინფორმაციით არის წარმოდგენილი. საუბარი მეგობრებისათვის ღიაა, კონფიდენციალური საუბრისათვის კი არის PM.

ფორუმში ინდივიდი თავისი ავატარის მიღმა იმალება და ხშირად ეს ანონიმურობა ბევრისთვის კომფორტულია. ადამიანი ამ დროს უფრო გახსნილად და კრიტიკულად საუბრობს. საუბარი ღიაა, კონფიდენციალური საუბრისათვის კი არის PM.

ბლოგში მხოლოდ უშუალოდ ბლოგერის ინფორმაციაა წარმოდგენილი. კომენტარის გამკეთებელი ხშირ შემთხვევაში ანონიმური რჩება.

სოციალური ქსელი პრაქტიკულად არ გაძლევს შემოსავლის გაკეთების საშუალებას საკუთარი პროფილიდან ან facebook გვერდიდან. პროფილის ან გვერდის მფლობელს უფლება არ აქვს იქ რეკლამა გაყიდოს.

აქტიურ ფორუმზე და ბლოგზე კი მფლობელს მონეტიზაციის მრავალნაირი მოდელი შეუძლია აირჩიოს იქნება ეს Google Adsense-ის განთავსება, თუ რომელიმე კომპანიის ბანერის განთავსება. ეს კი რესურსის გადარჩენის წყაროს უზრუნველყოფს. მეტიც, შეიძლება თავად რესურსი არ იყოს მომგებიანი ფულადი თავალსაზრისით, მაგრამ ფორუმის ან ბლოგის ავტორი საიტზე შეიძლება თავის პროდუქტს არეკლამებდეს და ირიბად ღებულობდეს შემოსავალს. არამატერიალური შემოსავლებიდან აღსანიშნავია მაგალითად ცნობადობა, იმიჯი, რომლებიც პროფესიონალისათვის ახალი კლიენტების მოზიდვის საშუალება შეიძლება გახდეს. ამ მხრივ სოციალური ქსელიც კარგად შეიძლება იყოს გამოყენებული ისევე, როგორც ფორუმიც და ბლოგიც.

ამგვარად, ყველა ჩამოთვლილი კრიტერიუმის მიხედვით სოციალური ქსელი აშკარა და გამოკვეთილი ლიდერია თავისი შესაძლებლობებით და მასშტაბებით როგორც ინდივიდუალური, ასევე ბიზნეს მიზნებისათვის. იგი ფორუმს და ბლოგს ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუნარჩუნებს შეუცვლელ როლს შეზღუდული, მაგრამ ექსკლუზიური ინდივიდუალური თუ ორგანიზაციული მიზნების მიღწევის კუთხით.

ლიტერატურა:

1. http://www.conference.ge/topic/9318--სოციალური-ქსელი-vs-ფორუმი-vs-ბლოგი-ნ
2. pragenti.wordpress.com

საქართველოს ლითონური რესურსები და მისი მოპოვებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები

ელენე თურმანიძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე**, დოქტორი

საქართველოს ბუნებრივი რესურსები შეიძლება გავაერთიანოთ ტრადიციულ და არატრადიციულ რესურსებად. ტრადიციულია ისინი, რომლებიც ადრეც იყო ცნობილი, მოიპოვებოდა ან მოიპოვება ამჟამადაც, მათ შორისაა ლითონური წიაღისეული რესურსები, კერძოდ შავი ლითონები – რკინა, მანგანუმი; ფერადი ლითონები – სპილენძი, ტყვია, თუთია; ძვირფასი ლითონები – ოქრო, ვერცხლი და ა.შ.

საქართველოს შავი ლითონები ძირითადად წარმოდგება რკინისა და მანგანუმის საბადოებით, მაგრამ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რკინის საბადოები ძალზე მცირეა. საქართველოში რკინის მადნის გამოვლენის 60 ადგილია ცნობილი, მაგრამ რამდენადმე მნიშვნელოვანია მხოლოდ ფოლადაურისა (ბოლნისის რაიონი), ძამის საბადო (კასპის რაიონი) და ურეკის რკინის ქვიშები. ყველაზე მთავარია ფოლადაურის საბადო. აქ რკინის ფენა 1–3 მეტრია, სიღრმე 150 მეტრამდეა. რკინის შემცველობა კი 40%–ია. საბადო ჯერ–ჯერობით არაა ათვისებული და დეტალურად შესწავლილი. შავიზღვისპირა (ურეკის) მაგნეტიტური ქვიშები თითქმის უწყვეტ ზოლად გასდევს შავი ზღვის სანაპიროს 250 კმ. მანძილზე. აქ რკინის შემცველობა 1–16%–ია და მისი მარაგი 150–200 მლნ. ტონით განისაზღვრება. რკინის საკმაო მარაგით გამოირჩევა ძამის საბადო, სადაც რკინის შემცველობა მადანში 40–60% შორის მერყეობს (საშუალოზე მაღალი ლითონშემცველობა) და მისი მარაგი 20 მლნ. ტონას აღწევს.

ძველ დროში საქართველოში, კერძოდ კი რაჭაში, სოფ. წედისში (არის რეალური ვერსია, რომ რაჭის ზედისი გორის რაიონის სოფ. წედისიდან გადმოსახლებულების მიერ დაარსებულა) აქაური მაცხოვრებლების – წედურების ძირითად საქმიანობას თურმე შეადგენდა მეტალურგობა. მათ ჰქონდათ საკუთარი რკინის საბადო ველუანთას "ქვაწითელას" სახელწოდებით. ადგილობრივი მოსახლეობა რკინის ამ მადნებს ოდითგანვე ამუშავებდა. ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რკინის მწარმოებელ მთელ ხეობას "სარკინეთი" ეწოდებოდა, ხოლო მეწარმეთ "რკინის კაცები."

საქართველოში პირველად იქნა გამოყენებული წედისის მანგანუმიანი რკინის მადანი მაღალხარისხოვანი ფოლადის დასამზადებლად. საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ათეული წლების მანძილზე ამშვენებდა წედისიდან ჩამოტანილი რკინის სადნობი ქურის მოდელი წარწერით: "დაუბერდა უღუღუნე საბერველი არჩვისაო, ძნოებო ნალოპრისაო, მიწავო ნჭეურისაო, ქვაო ველუინთასაო, ძალავ დიდი გორისაო, დაუბერდა უღუღუნე ჩაწურეს არხელისაო. კლდეში ქვაწითელს ნაპოვნო, ჩაწნულო სანთელისაო. საქვეყნოდ გამოფენილო, ნაწრთობო ქვედრულისაო. ნაშრომო ნაამაგარო წედურთა წინაპრისაო". წედისის მჭედლობის გაუქმების თავარი მიზეზი მოსკოვიდან შემოტანილი რკინის ნაწარმის კონკურენცია იყო. მაგრამ წედისის მჭედლობის ფესვები ღრმადაა გაწვდილი საუკუნეთა სიღრმეში. დიდებული და სახელგანთქმული ტრადიცია მიყუჩებულია და წარსულის კუთვნილებად ქცეულა. რკინის მადნის ამოღება შეწყდა იმის გამოც, რომ ლავა ჩამოწვა და ცხრა ვაჟკაცი მაღაროელი მოყვა შიგ. ამის შესახებ წედურები ასე საუბრობენ: «ცხრა მაღაროელს, ძლიერ ვაჟკაცებს უმუშავნიათ მადნის მონგრევა ამოღებაზე. მადანს პრიმიტიული ხელსაწყოებით ანგრევდნენ. მადნის ამოტანა მაღაროდან თოთხმეტ საფეხურიან კიბეზე ზურგით წარმოებდა. ამოტანილი მადანი ზედაპირზე ხარურმით მოჰქონდათ დამუშავების ადგილზე. მაღაროს განათება ხდებოდა კეცზეანთებული კვარით. კვარის შუქზე წლების მანძილზე იღებდნენ მადანს.

1897 წელს თავის ნაწერებში აკაკი წერეთელი მიუთითებდა: "დღესაც არის ჩვენში, რაჭის მაზრაში ერთი მთა. გული რკინის მადნისა აქვს და უხსოვარი დროიდან ირგვლივ მცხოვრებნი მჭედლობის მეტს არას აკეთებენ. ამ მთას ჰქვია წედისი ანუ "ჭედისი" (აკ. წერეთლის კრებული, 1897).

უცხოელი მოგზაური – გიულდენშტედტი წედისის შესახებ წერს: "ჩვეულებრივ შემოდგომასა და ზამთარში ამტვრევენ მსხვილ წითელ რკინაქვას. სამმაგი გამოდნობის შემდეგ ღებულობდნენ რკინას, რომლისაგან აკეთებდნენ ნალებს, ნამგლებს, ნაჯახებს, გუთნის სახნისს, ბუხრის ჯაჭვებს ქვაბებისათვის. რკინის დამუშავება სპეციალურ ქურებში ხდებოდა. 1820 წლისათვის წედისში 20 ასეთი ქურა იდგა. თვით სოფლის სახელიც - წედისი - რკინის მეტალურგიასთან არის დაკავშირებული."

მანგანუმის (მძიმე მოვერცხლისფრო–მოთეთრო ლითონი) არსებობა საქართველოში დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. იგი რკინის სახესხვაობადაც კი მიაჩნდათ და წარმატებით იყენებდნენ რკინის შენადნობად. მანგანუმი ძვირფასი ლითონია, რომელსაც შეუძლია მრავალ ლითონთან წარმოქმნას შენადნობი. მანგანუმს იყენებენ შავ მეტალურგიაში გალვანური ელემენტების დასამზადებლად,ქიმიურ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და სხვა. მანგანუმის საბადოები არსებობს ძირულას კრისტალურ მასივზე, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ცალკეულ მონაკვეთებსა და აჭარა–თრიალეთის ქედზე. ძირულას მასივზე მანგანუმის გამოვლინებები არის როგორც ზედაპირული (ჭიათურა, ჩხარი–აჯამეთის), ასევე სიღრმითი (გოდინაული, ზესტაფონის რაიონი). მანგანუმი ბაღდადის მიდამოებშიცაა აღმოჩენილი, თუმცა მას არ აქვს სამრეწველო მნიშვნელობა. გარკვეული მარაგი არის სამეგრელოს, რაჭა–ლეჩხუმისა და გურიის ტერიტორიაზეც. მანგანუმი ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ელემენტია, იგი დედამიწის 0.3% შეადგენს. მანგანუმის მადანი - პიროლუზიტის- MnO2-სახით ძველთაგან არის ცნობილი, მაგრამ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუამდე პიროლუზიტს რკინის მადნად თვლიდნენ. მანგანუმის მადნების უდიდესი საბადოებია: საქართველოში (ჭიათურა), უკრაინაში (ნიკოპოლი) ინდოეთში, ბრაზილიაში და სხვ.

ჭიათურის მანგანუმის საბადოზე პირველი ცნობა 1854 წელს ჟურნალ ”Горное Дело”–ში დაბეჭდა ინჟინერმა კომაროვმა, 1858 წელს კი იმავე ჟურნალში ჭიათურის მანგანუმზე უფრო დაწვრილებით ცნობები გამოაქვეყნა კავკასიის გეოლოგიის ფუძემდებელმა ჰერმან აბიხმა, რომელმაც აღნიშნა საბადოს სამრეწველო მნიშვნელობა, მაგრამ ჭიათურის საბადოს პოპულარიზაციის საქმეში ყველაზე დიდი წვლილი მაინც აკაკი წერეთელს მიუძღვის.

ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება 1879 წლიდან დაიწყო. საბადო ქ. ზესტაფონს საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით უკავშირდება. მდ. ყვირილა საბადოს 2 ნაწილად ყოფს. ფენის სიმძლავრე 20 მეტრამდეა და განლაგებულია 0–200 მეტრ სიღრმეზე. მარაგი 200 მლნ. ტონამდეა. 1987 წელს მოიპოვეს 5 მლნ. ტონა მანგანუმი.

საქართველოში მანგანუმი დაზვერილია ასევე ჩხარი–აჯამეთის საბადოში, რომელიც ქუთაისისა და თერჯოლის მიდამოებშია. ფენის სიმძლავრეა 2,5 მეტრი, მარაგი – 5 მლნ. ტონა. იგი პერსპექტიული საბადოა.

შქერის საბადო (ონის რაიონი) ზ.დ. 2000 მერტ სიმაღლეზეა განლაგებული. ფენის სიმძლავრე 1–2 მეტრამდეა. იგი საკმაოდ ღრმადაა განლაგებული (0–4000 მ.), მადანი 6 მლნ. ტონამდეა შეფასებული. აგარის საბადოს სავარაუდო მარაგი 30 მლნ. ტონაა, ხოლო ჯავისა - 20 მლნ. ტონა. სულ საქართველოს მანგანუმის სავარაუდო მარაგი ნახევარ მილიარდ ტონამდე აღწევს.

ფერადი ლითონების საბადოები საქართველოში ძველი დროიდანაა ცნობილი. ისინი იშვიათ და კეთილშობილ ლითონებთან ერთად მოიპოვებოდა. მათი პოტენციური მარაგი არასრულადაა შესწავლილი.

საქართველოში ცნობილია ფერადი ლითონების პოლიმეტალური საბადოებიდან **სპილენძ–ტყვია–თუთიის** (მადნეულის საბადო) და **ტყვია–თუთიის** (კვაისა). კვაისაში საბადოს ათვისება–დამუშავება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაიწყო. იგი სამი უბნისაგან შედგება: ქვემო კვაისა, ზემო კვაისა და ნადარბაზევის საბადო.

საქართველოს სპილენძის საბადოები 3 ფორმაციას მიეკუთვნება: სპილენძ-თუთია-კოლჩედანურს, სპილენძ-პირონიტულს და ძარღვულ სპილენძ-პოლიმეტალურს. პირველი, გენეტურად და გავრცელებით, დაკავშირებულია ართვინ-ბოლნისის ბელტის ზედა ცარცული ასაკის ვულკანოგენურ წყებასთან; მეორე - კავკასიონის სამხრეთი ფერდის ქვედა იურული ასაკის ფიქლების წყებასთან; მესამე გვხვდება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემაში და დაკავშირებულია ზედა ეოცენური ასაკის სიენიტ-დიორიტულ ინტრუზივებთან. აღნიშნულთაგან უმნიშვნელოვანესია მადნეულის სპილენძ-ტყვია-თუთიის საბადო, რომლის ბაზაზე მუშაობს მადნეულის სამთამადნო კომბინატი. ბოლნისის რაიონში არის ამ ტიპის შედარებით მცირე საბადოებიც - წითერსოფლის, ქვემობოლნისის, თამარისის, დავით გარეჯის და სხვ. კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემაში რეგიონული სარტყლის გასწვრივ ცნობილია სპილენძ-პირონიტული მადნების მრავალრიცხოვანი გამოვლინება. ზოგიერთი მათგანი პერსპექტიულად შეიძლება ჩაითვალოს. მიმდინარეობს ინტენსიური შესწავლა აფხაზეთსა და კახეთში. ძარღვული სპილენძ-პოლიმეტალური საბადოები უმთავრესად კონცენტრირებულია აჭარის მადნეულ რაიონში. გამოვლინებული მარაგის სიმცირის გამო მათი დამუშავება მიზანშეწონილი არ არის.

მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალის საბადო მდებარეობს ბოლნისის რაიონში, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 80 კმ-ის დაშორებით. მადნეულის საბადოს შესწავლა გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. 1956 წელს საბადო დამტკიცდა, ხოლო 1959 წელს საქართველოში დაიწყო ფერადი ლითონების ერთ-ერთი უდიდესი - მადნეულის კომბინატის მშენებლობა. კომბინატის მშენებლობასთან დაკავშირებით, სრულიად უკაცრიელ ტერიტორიაზე წარმოიშვა დიდი სამრეწველო

დასახლება – დაბა კაზრეთი. 1975 წელს ექსპლუატაციაში შესული კომბინატი ახორციელებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მოპოვებული სპილენძის და ბარიტის მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებასა და მიღებული პროდუქტის რეალიზაციას.

სპილენძის მადნის მოპოვება წარმოებს სამთო სამუშაოების მაღაროზე ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით. კარიერიდან ამოღებული მადანი ტრანსპორტირდება გამამდიდრებელ ფაბრიკაში შემდგომი გადამუშავებისათვის. ფაბრიკიდან სპილენძის კონცენტრატი სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით მიეწოდება მომხმარებელს, წარმოების ნარჩენი მასა, ე.წ. "კუდები" გადაიზიდება სპეციალურ სანაყაროზე, კუდსაცავზე. საწარმოს დღეისათვის გააჩნია ოთხი სანაყარო (საერთო ფართობი 239,7 ჰა). საწარმოს სამთომინაკუთვნი მოიცავს 1 039 ჰექტარ ტერიტორიას. საწარმო მუშაობს უწყვეტი რეჟიმით.

ტყვია - ქიმიური ელემენტი, რომელიც აღინიშნება სიმბოლოთი Pb (ლათ. Plumbum - სახელწოდების წარმოშობა უცნობია). იგი რბილი და ძლიერ პლასტიკური მძიმე ლითონია. მყარ მდგომარეობაში მონაცრისფრო-მოცისფრო ფერი აქვს, გამდნარი ტყვია ელვარებს მოვერცხლისფრო-ქრომისფრად, ხოლო აირად მდგომარეობაში გადასვლისას იგი ბუნდოვან ნაცრისფერ ნისლად იქცევა. ტყვიას ფართო გამოყენება აქვს სხვადასხვა სფეროში. მისგან მზადდება აკუმულატორები, ვაზნები, გირები, ტოლჩები და სხვა. გამომდინარე იქიდან, რომ ტყვია რადიაციას არ ატარებს, მისგან მზადდება რადიაციასაწინააღმდეგო ფენები. კალისა და ტყვიის შენადნობი ადვილად ლღვება დაბალ ტემპერატურაზე და გამოიყენება სადენების ერთმანეთზე მისარჩილავად.

ტყვია კაცობრიობისათვის უძველესი დროიდანაა ცნობილი. პუნიკური ომების დროს (ახ.წ. 1ს.) ესპანეთში ბევრი მაღარო ყოფილა, საიდანაც ტყვიის მადანს იღებდნენ. პომპეუსის გათხრებში კი (ეს ქალაქი ახ.წ. 79 წ. დაფარა ვულკანმა ვეზუვმა) იპოვეს ტყვიის წყალსადენი მილები, სხვადასხვა ნაკეთობანი, აგრეთვე საღებავი - ტყვიისთეთრა.

საქართველოში ტყვიის გამოყენების კვალი უკვე ნეოლითიდან შეიმჩნევა. ქ. სოხუმთან ახლოს, ნეოლითური ხანის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ტყვიის ზოდები და ტყვიის წიდა. ადრებრინჯაოს ხანის საწყის პერიოდს განეკუთვნება ტყვიის მრავალხვიასაკიდები ახალციხის და შიდა ქართლის ნამოსახლარებიდან. ცნობილია, რომ ანტიკური დროის მცხეთაში შენობა-ნაგებობების საშენ ქვებს ტყვიის გამირებით ამაგრებდნენ. ეს ასე კეთდებოდა: ქვათლილთა ქვედა პირველ, წყებას სვამდნენ კლდეში ამოკვეთილ ფოსოებში, მომდევნო რიგები კი ერთიმეორესთან უწყვეტით - გამირებით იყო გადაბმული: რკინის კაცს ორთავ მხარეზე სათანადო ბუდეში ტყვიით ამაგრებდნენ. ასე საგულდაგულოდ ნაწყობ და გამაგრებულ საძირკველზე და, საერთოდ, ქვედანაწილზე, ალიზ-აგურის ზღუდე-გალავნები, კოშკები და ბურჯები ამოჰყავდათ.

ძველ ქართულში ტყვიას ბრპენი ან პრპენი ეწოდებოდა, თუმცა ცნობილი იყო მისი დღევანდელი სახელწოდებაც ("გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისა" - ამბობს შოთა რუსთაველი).

მე-18 საუკუნის ცნობილი მოგზაური გიულდენშტედტი გვამცნობს, რომ მეფე ერეკლეს "რკინის, სპილენძის, ტყვიისა და ვერცხლის სადნობი ქარხნები" ჰქონდა, რომ "სვანეთში, მაღალ მთებში, ტყვიას ადნობენ"; ცხენისწყლის ხეობაში, სოფელ ლაშხეთთანარის "ტყვიის კრიალა, რომელიც ლბათ ვერცხლს შეიცავს", "შიდა ქართლში, სოფელ ძაღინის მიდამოებში არის ალმადანიანი ტყვიის კრიალას მადანი". დამბლუთთან გიულდენშტედტს უნახავს "ტყვიის კრიალას ძარღვი, რომელთანაც არეულია ცოტა ვერცხლის მქრქალი მადანი". მდ. ფინეზაურის ხეობაშიც მიუთითებს იგი ძველ სამთოგამონამუშევრებს, სადაც მაშინაც მოიპოვებდნენ ტყვიას ("გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში").

აფხაზეთში ძიშრას ტყვია-თუთიის საბადო უძველესი დროიდანაა ცნობილი. აფხაზთა მთავრები ძიშრას მთაზე ვერცხლსაც მოიპოვებდნენ. ასევე ძველთაგანვეა ცნობილი ხიცმის ტყვიის საბადო, რომელიც 1867 წ. მოინახულა ქართველმა გეოლოგმა გ. წულუკიძემ.

ჯერ კიდევ 1805 წ. ინგლისელი ინჟინერი მაჟევენი უპატაკებდა კავკასიის მთავარმართებელს პ. ციციანოვს, სვანეთის მთებში ტყვიის მდიდარი მადნებია, სადაც, ჩანს, ძველთაგანვე მოიპოვებდნენ ტყვიასო.

ტყვიას მოიპოვებდნენ რაჭაში (ლუხუნისწყალზე ადგილი მოკიბულა, სოფ. ურავთან), ხევსურეთში (მუცოსთან), თუშეთში (სოფ. არდოთის პირდაპირ ციცაბო მთაზე, ომალოსთან) და სხვ.

ტყვია-თუთიის მადნების გამოვლინება ცნობილია საქართველოს ყველა გეოტექტონიკურ ზონაში. სამრეწველო მნიშვნელობა მხოლოდ კვაისის ტყვია-თუთიის საბადოს აქვს. საბადოს მახლობლად გამოვლინებულია ორი მადნიანი სხეული, რომელიც მადნის მოპოვების შემდგომი გადიდების საშუალებას იძლევა. ბოლნისის მადნეულ რაიონში ტყვია-თუთიის სამრეწველო გამადნება დაკავშირებულია სპილენძის გამადნებასთან (მადნეულის სპილენძ-ტყვია-თუთიის საბადო). ცნობილია ტყვიის სხვა მეტ-ნაკლები მნიშვნელობის საბადოებიც (აფხაზეთში, აჭარაში, სვანეთში, რაჭაში და სხვ).

დარიშხანი უძველესი დროიდანაა ხალხისთვის ცნობილი. ამ მინერალს იყენებდნენ საღებავებისა და წამლების დასამზადებლად. ცნობილია მისი სამი ალოტროპიული სახესხვაობა მეტალური რუხი, ყვითელი და შავი დარიშხანი. დარიშხანი პირველად მოიხსენიება ა. მაგნუსის მიერ 1250 წელს. დარიშხანი არის ძლიერი საწამლავი. იგი არსებობს მრავალი ალოტროპიული სახით, თუმცა მხოლოდ მისი რუხი ფორმაა მნიშვნელოვანი. დარიშხანი და მისი ნაერთები ძირითადად გამოიყენება, როგორც შემალღობელი აგენტი ტყვიის ბატარეებში, მაგრამ ისტორიულად იგი ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც პესტიციდი, ჰერბიციდი, ინსექტიციდი, თუმცა ამ მიმართულებით მისი გამოყენება თანდათან მცირდება. მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში პრობლემატურია დარიშხანის არსებობა სასმელ წყლებში. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში "arsenic" (დარიშხანის თეთრი ტრიოქსიდი) შეურიეს ძმართან და ცარცთან და ამ ნაერთს იყენებდნენ ქალები სახის ფერის გასაუმჯობესებლად, ასევე მკლავების შესაზელად, მაგრამ "arsenic" - ის საკვებზე დამატებამ 1858 წ-ს გამოიწვია მოწამვლა და დაახლოებით 20 ადამიანი დაიღუპა. საქართველოში კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემაში ცნობილია დარიშხანის საბადოები. მათ შორის უმთავრესია ცანის საბადო (ქვემო სვანეთი) და ლუხუნის დარიშხანის საბადო (ზემო რაჭა). ამ ბოლო ხანებში ამბროლაურის რაიონში გაცემულია ლიცენზია ლუხუნის დარიშხანის საბადოზე. ლიცენზიით გათვალისწინებულია 9 534 ტონა დარიშხანის მოპოვება.

ოქროს დამუშავება დაიწყო ქვის ხანის დასასრულს შუმერში, ბაბილონში, ასურეთში, ინდოეთსა და ჩინეთში, მაგრამ პირველად იგი ათვისებული იქნა ეგვიპტეში. მეცნიერთა აზრით ეს მოხდა დაახლოებით 4500 წელს ჩვენს ერამდე. უკვე ძველი ეგვიპტელი ფარაონები ფლობდნენ ოქროს კოლოსალურ რაოდენობას. ასევე ალექსანდრე მაკედონელის მფლობელობაში იყო უზარმაზარი რაოდენობის ოქრო, ხოლო იულიუს ცეზარის დროს რომი ფლობდა დაახლოებით 1500 ტონა ოქროს.

ჩვ.წ. აღ. 3000 წლით ადრე ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში ცნობილი იყო ოქროს დამუშავების ხელოვნება. ამ ქვეყნებთან ერთად საქართველოც უნდა ავღნიშნოთ, თუნდაც ლეგენდა არგონავტებზე. ფიქრობდნენ, რომ ოქროს საწმისზე დაწერილი იყო ოქროს მოპოვების საიდუმლო, თუმცა ცხვრის ტყავი სინამდვილეში აკავებდა მდინარის წყლის მიერ ჩამოტანილ ოქროს ქვიშას.

ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოდროინდელი ოქროს ნივთები ნაპოვნია თრიალეთის, ალაზნის და მესხეთის ყორღანულ სამარხებში: გულსაბმელები, ფირფიტები, ყელსაბამები, სამაჯურები, ლომის პატარა ფიგურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქროს თასი, რომელიც შემკულია ძვირფასი ქვებით და ხელოვნების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს.

დღეისათვის საქართველოში ოქროსშემცველი ქანები კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების სახით არსებობს მადნეულში. აქ ხდება მისი მოპოვება და გადამუშავება, რადგან სპილენძის, ბარიტის, ვერცხლის ელემენტებთან ერთად ეს ქანები ოქროსაც შეიცავენ.

ლითონური წიაღისეულის მოპოვებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები

ჭიათურის რეგიონში ძალიან მწვავედ დგას მანგანუმის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები. მაღაროებისა და კარიერების უმრავლესობა მოძველებულია, აფეთქებების გამო ხშირად ხდება გრუნტის წყლების დაბინძურება მავნე ნივთიერებებით, ფაქტიურად არ წარმოებს გაუქმებული კარიერების რეკულტივაცია და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მანგანუმის მოპოვების დროს გამოყენებული წყლები პირდაპირ ჩაედინება მდინარე ყვირილაში, რაც იწვევს მდინარის საგანგაშო დაბინძურებას.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში მდებარე მაღალმთიან სოფელ ურავში, სადაც საბჭოთა პერიოდში დარიშხანის მაღარო და ტოქსიკური ნივთიერების გადამამუშავებელი საკავშირო მნიშვნელობის საწარმო იყო, ხოლო სსრკ-ს დაშლის შემდეგ საწარმომ მუშაობა შეწყვიტა, განადგურდა და გაპარტახდა მისი ინფრასტრუქტურა, დარიშხანი კი გაიფანტა მიწასა და წყალში. უპატრონოდ მიტოვებული დარიშხანის სამარხი, დღესაც ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის მიმდებარე გარემოს.

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში სპილენძის მადნის მოპოვება წარმოებს სამთო სამუშაოების მაღაროზე ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით, რაც დაკავშირებულია მთელ რიგ ეკოლოგიურ პრობლემებთან. კერძოდ, 2003 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურებში აღმოჩნდა რადიონუკლიდებისა და მძიმე მეტალების შემცველობა. ასე მაგალითად: მდ. მაშავერას ხეობაში აღმოჩნდა, რომ სოფ. რკიანეთში დათესილი ხორბალი დასაშვებზე მეტი რაოდენობით შეიცავდა სხვადასხვა რადიონუკლიდს, მათ შორის: კადმიუმს (Cs109), ბისმუტს (Bi211), თორიუმსა (Th234) და ნიკელს (Ni237). ასევე კაზრეთის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქარხნიდან 200 მეტრი) მარადმწვანე მცენარეების წიწვებში აღმოჩნდა იგივე რადიონუკლიდები.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ საკითხად ადგილობრივი მოსახლეობისათვის რჩება წლების განმავლობაში მოუგვარებელი გარემოსდაცვითი პრობლემები, რომელმაც მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. როგორც მოსახლეობა, ასევე ადგილობრივი

სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები საუბრობენ რაიონში სიმსივნური დაავადებების განსაკუთრებულ ზრდაზე. დაავადებების მკურნალობა ხშირად მართალია ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ბოლნისის გამგეობამ რაიონში სპეციალისტები მოიწვია და 706 ბოლნისელი შეამოწმა. სარძევე ჯირკვლის დაავადების ფიბროზული და ფიბროზულდისკოზური მასტოპათია 253 პაციენტს აღმოაჩნდა, რაც საგანგაშო მდგომარეობად უნდა იქნას მიჩნეული.

ლიტერატურა:

1. გიორგი მელიქაძე, „საქართველოს ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი და სივრცულ-დროითი მოდელირება ეკოლოგიური და სეისმური პრობლემის გადაწყვეტი მიზნით“, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2006.
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, 2003.
3. საქართველოს გეოგრაფია, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ზ. ტატაშიძის რედაქტორობით, თბ., 2003.
4. საქართველოს გეოგრაფია, სოხუმის უნივერსიტეტი, ა. მელორიძის რედაქციით, თბ., 1999.

ინტერნეტ-რესურსები:

www.gida.org.ge
http://www.humanrights.ge/
http://moe.gov.ge/

მჟავე წვიმები და მოსალოდნელი შედეგები

თამარ კახნიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი**, სრული პროფესორი

მჟავე წვიმები კლიმატის და ოზონოსფეროს მოსალოდნელ ტრანსფორმაციასთან ერთად თანამედროვეობის უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემაა. ტერმინი „მჟავე წვიმა“ პირველად რ. სმიტმა გამოიყენა 1872 წელს გამოცემულ წიგნში „ჰაერი და წვიმა - ქიმიური ეკოლოგიის საწყისები“.

რა იგულისხმება ტერმინში „მჟავე წვიმა“, რა არის მისი გამომწვევი მიზეზი და რა შედეგებია მოსალოდნელი?

ხსნარის მჟავიანობის შესაფასებლად გამოყენებულია წყალბადიონების კონცენტრაციის მაჩვენებელი P^H. წყალხსნარებში P^H 0-14 ფარგლებში იცვლება. რაც უფრო მჟავაა ხსნარი, მით უფრო დაბალია P^H.

მჟავე წვიმები, მჟავე თოვლი, ნისლი, ცვარი ქიმიური გარდაქმნების პროდუქტია ნახშირორჟანგის (CO_2), აზოტის მონოქსიდის (NO) და დიოქსიდის (NO_2), გოგირდის დიოქსიდის (SO_2) და სხვათა მონაწილეობით. ამ აირების ძირითადი წყაროებია სათბობის და ბიომასის წვა, მეტალურგია, ავტოტრანსპორტი.

ატმოსფეროში SO_2 იჟანგება SO_3-მდე, რომელიც წყლის ორთქლთან რეაქციაში გოგირდმჟავას წარმოქმნის:



$$2SO_2 + O_2 \rightarrow 2SO_3$$



$$SO_3 + H_2O \rightarrow H_2SO_4$$

ასევე იჟანგება აზოტის ოქსიდები დიოქსიდებად. ეს უკანასკნელნი იხსნებიან წყლის წვეთებში და წარმოქმნიან აზოტმჟავას:



$$2NO + O_2 \rightarrow 2NO_3$$



$$4NO_2 + 2H_2O + O_2 \rightarrow 4HNO_3$$

ბოლო 100 წლის მანძილზე ბიოსფეროში ნალექების მჟავიანობამ საგრძნობლად მოიმატა. ასე მაგალითად, აშშ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1900 წლიდან თითქმის 4-ჯერ გაიზარდა და აღმოჩნდა, რომ ეს პროცესი პირდაპირ კორელაციურ კავშირშია ამ ტერიტორიაზე CO_2-ის და NO_X-ის გამონაბოლქვის ზრდასთან.

მსოფლიოს მრავალ რეგიონში ატმოსფერული ნალექების P^H < 3,5. ასეთი ნალექები მიეკუთვნება მჟავა ნალექებს (საქართველოს ატმოსფერული ნალექების P^H 5,4-6,2-ის ტოლია). მაღაროს წყლებთან ერთად ისინი ბუნებაში ყველაზე მჟავა ხსნარებია. მაღალი მჟავიანობით გამოირჩევა სხვა ატმოსფერული წყლებიც. აშშ ინდუსტრიულ რეგიონებში (კალიფორნია, ნიუპორტი და სხვა) ნისლისა და ღრუბლების წყლის P^H 1,68-2,25-მდე ჩამოდის. ასეთ ხსნარებში ადვილად იხსნება რკინა, მისი შენადნობები, კირქვა და სხვა. ნიადაგებში იზრდება მძიმე ლოთონების მოძრავი, ბიოლოგიურად აქტიური ფორმების კონცენტრაცია, ადვილად ირეცხება ბიოგენური ელემენტები, იშლება საკვების ტრანსპორტირების სისტემა და ა.შ.

ნიადაგებზე მჟავე წვიმების უარყოფითი გავლენა მით მეტია, რაც უფრო მაღალია მათი ბუნებრივი მჟავიანობა და ნაკლებია კარბონატების შემცველობა. მჟავე წვიმების გავლენით იცვლება ნიადაგის სტრუქტურა, მცირდება მისი პროდუქტიულობა და ბიომასის დაკარგვის სიჩქარე, ხოლო თუ P^H<3, ნიადაგი უნაყოფო ხდება, რომლის ძირითადი მიზეზი ნიადაგის მიკროფლორის დეგრადაციაა. დადგენილია, რომ ნიადაგის ხსნარის P^H შეცვლით 5,6-დან 5,0-მდე ბაქტერიების საერთო რაოდენობა 2,5-3-ჯერ მცირდება, აზოტმაფიქსირებელი ბაქტერიები კი იღუპებიან. ამ დროს ხსნად მდგომარეობაში გადადის ნიადაგში შერეული ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც ადვილად შეითვისება მცენარის მიერ და კვებითი ჯაჭვის საშუალებით ადვილად ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში, გროვდებიან ძვლოვან ქსოვილებში და იწვევენ მთელ რიგ სერიოზულ დაავადებებს. გამჟავებული ნიადაგების „მკურნალობის“ ეფექტური საშუალებაა მასში კირქვის ან მცენარეული ნაცრის შეტანა.

მჟავური ნალექები მეტად უარყოფით ზეგავლენას ახდენს ეკოსისტემაზე. მათი ზემოქმედებით მნიშვნელოვნად მოიმატა წყალსატევების მჟავიანობამ სკანდინავიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსაველეთ კანადაში, რის შედეგადაც აქ მნიშვნელოვნად შემცირდა ჰიდრობიონტების სახეობრივი მრავალფეროვნება და ცალკეულ სახეობათა პოპულაციების რიცხოვნება.

1975 წლის მონაცემებით აშშ-ის ტბების ნახევარზე მეტში P^H 5-ზე ნაკლები იყო. ამ ტბების 90%-ში თევზი პრაქტიკულად არ ბინადრობდა. ვარაუდეობენ, რომ ასეთი წყალი პირველ რიგში სპობს ქვირითს და ფიტოპლანქტონს, რომლითაც თევზი იკვებება. თევზის გაჩანაგებამ ხელი შეუწყო თევზით მკვებავი მრავალი ცხოველის (ბატასინის, თოლიების, წაულას, წავის და სხვ.) მოსპობას.

განსაკუთრებით საზიანოა წყალსატევებისათვის ე.წ. „გაზაფხულის მჟავური შოკი“. გაზაფხულზე, როდესაც თოვლი სწრაფად დნება, მჟავური ნალექები დიდი რაოდენობით ჩაედინება წყალსატევებში. ეს არის გამრავლების პერიოდი თევზებისათვის. P^H-ის სწრაფი შემცირება აზიანებს ქვირითს, ახალდაბადებულ ორგანიზმებს, რითაც ირღვევა ბიოლოგიური თანაფარდობა ცალკეულ სახეობებში. გარდა ამისა, წყალში წარმოქმნილი გოგირდმჟავის ზეგავლენით თევზის ორგანიზმიდან გამოირეცხება მნიშვნელოვანი მინერალური ელემენტები, რაც იწვევს რეპროდუქციის მნიშვნელოვნად დაქვეითებას.

მჟავურმა წვიმებმა შეამცირა შვეიცარიის 2500 ტბის პროდუქტიულობა. ნორვეგიაში ზედაპირული წყლების თითქმის ნახევარს აქვს მომატებული მჟავიანობა და 5000-დან 1750 ტბაში გაქრა თევზი. ამის ძირითადი მიზეზია ჰიდრობიონტების ზემგრძნობელობა წყლის მჟავიანობის მიმართ. ჰიდრობიოლოგები თვლიან, რომ თუ P^H<6 ითრგუნება პლანქტონი, ხოლო თუ P^H<5 - ნელდება ბაქტერიების აქტივობა. უფრო დაბალ P^H-ზე (4-4,2) იღუპება თევზები და სხვა.

მჟავე წვიმები წყალსატევების ფსკერიდან გამორეცხავენ მაღალტოქსიკურ მძიმე ლითონებს (Ag, Hg, Cd და სხვ.), რომლებიც აღწევენ თევზის ორგანიზმში და მათი მინიმალური დოზაც კი სასიკვდილოა თევზებისათვის. აღნიშნული ტოქსიკანტები კვებითი ჯაჭვის საშუალებით ადვილად ხვდება ადამიანის ორგანიზმში და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას.

მჟავე წვიმები ყველაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ტყეებზე. მათი გავლენით იშლება ფოთლის დამცავი აპკი - ეპიდერმისი, რაც აადვილებს მცენარის დაავადებას. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ხე-მცენარეებში სერიოზული დაავადება აღინიშნება, რომელიც ფოთლების მასობრივი ცვენით, ფესვთა სისტემის ლპობით და მცენარეთა ზრდის შენელებით გამოიხატება. როგორც გაირკვა, მიზეზი - მჟავე წვიმებია. პირველად ეს მოვლენა სკანდინავიაში აღინიშნა, მოგვიანებით ცენტრალურ ევროპაში და ჩრდ. ამერიკაში. 90-იან წლებში დაავადებული ტყეების საერთო ფართი იყო გერმანიაში 50%, ნიდერლანდებში - 50%, შვეიცარიაში - 35%, ავსტრიაში - 30%, პოლონეთში - 26%, მილიონ ჰა-ზე მეტი ჩეხეთში იღუპება, ხოლო რუსეთში ამ დაავადების გამო დაახლოებით 600 000 ჰა განადგურების პირამდეა მისული.

მჟავე წვიმები ტექნიკური ხასიათის სირთულეებსაც ქმნიან. მათი გავლენით n·10 - n·100-ჯერ იზრდება ლითონების კოროზიის სიჩქარე. არანაკლებ სერიოზულია მეორე პრობლემაც - ხელოვნების ნიმუშების, მარმარილოსაგან ნაგები შენობებისა და ნაკეთობების დაზიანება; დაცვის მიზნით ფიქრობდნენ მათ დაფარვას გამჭვირვალე პოლიმერული აპკებით ან სახურავქვეშ მოქცევას. სპეციალისტების აზრით, ორივე გზა მიუღებელია. რჩება ერთადერთი გონივრული, თუმცა რთული და

ძვირადღირებული გზა, მაგრამ არსებობს რადიკალური გამოსავალი - მაქსიმალურად უნდა შემცირდეს მჟავური ოქსიდების ემისია ატმოსფეროში.

ატმოსფეროში მოხვედრილი ანთროპოგენური მჟავური ოქსიდები ჰაერის ნაკადებით ათასობით კმ-ზე მიგრირდება. ამის გამო პრობლემამ პლანეტარული ხასიათი მიიღო. ექსპერტთა აზრით, კანადაში ჩამოდენილი მჟავების 85-90% მოტანილია აშშ-დან. სკანდინავიის ქვეყნების მჟავური წვიმების 65% ფორმირებულია ცენტრალურ ევროპაში. ამავე რეგიონიდან ყოფილი სსრკ ტერიტორიაზე წლიურად შემოდიოდა 5-10 მლნ ტ. გოგირდის ნაერთები. დადგენილია მჟავური ოქსიდების მიგრაციის უფრო შორეული მარშრუტებიც (მაგ., აშშ - ევროპა). მჟავე წვიმები ტროპიკებშიც აღინიშნება, სადაც სამრეწველო ობიექტები პრაქტიკულად არ არის. როგორც ჩანს, ეს დაკავშირებულია ბიომასის გადამეტებულ წვასთან.

მჟავაწარმომქმნელი ნარჩენებით ჰაერის დაბინძურება უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. პირველ რიგში აზიანებს სასუნთქ სისტემას, იწვევს ასთმურ მოვლენებს, მშრალ ხველას, თვალის, ცხვირის, ყელის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას, ხელს უწყობს ქსოვილებში ჟანგბადის ტრანსპორტირებას და სხვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება, რათა თავიდან ავიცილოთ ატმოსფეროს დაბინძურება აზოტისა და გოგირდის ოქსიდებით (სხვა ნივთიერებებთან ერთად), შესაბამისად ავიცილოთ მჟავე წვიმები, რაც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ბიოსფეროს სისუფთავის და ადამიანთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

ლიტერატურა:

1. გ. ქაჯაია, ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები), თბ., 1999.
2. გ. სუპატაშვილი, გ. ქაჯაია, გარემო და ადამიანი, თსუ, თბ., 2001.
3. ც. ჟორჟოლიანი, სამედიცინო ეკოლოგია, თბ., 2005.
4. გ. ქაჯაია, გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, თბ., ინტელექტი, 2008.
5. ნ. გოგინაშვილი, ქ. გოგინაშვილი, ნიტრატული აზოტის შემცველობა შიდა ქართლის ზედაპირულ წყლებში, საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 9(4), 2009.

კლიმატის გლობალური პრობლემები

მარიამ კახნიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე**, დოქტორი

კაცობრიობის ისტორიაში დაფიქსირებული კლიმატის გლობალური ცვლილების ყველა პერიოდისაგან განსხვავებით თანამედროვე ცვლილება გამოწვეულია ადამიანის საწარმო საქმიანობით და დაკავშირებულია ინტენსიურ ინდუსტრიალიზაციასთან. კლიმატის ცვლილების ამჟამინდელი ფენომენი ცნობილი გახდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა აღინიშნა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდის ტენდენცია და გახშირებული კლიმატური კატასტროფები, დღეისათვის უკვე მეცნიერულად დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მასშტაბით ნამდვილად ხდება. ფაქტორებს, რომლებიც კლიმატის ფორმირებაში იღებენ მონაწილეობას, კლიმატის განმსაზღვრელი კომპონენტები ეწოდება და მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორებიცაა მზის რადიაცია, დედამიწის ორბიტის გადახრა, დრეიფი და დინებები, ,,სათბურის აირების“ კონცენტრაციის ზრდა ატმოსფეროში, ატმოსფეროს გამჭირვალობის ცვლა და სხვა. ასეთი ფაქტორები ამცირებენ ან აძლიერებენ კლიმატის ზეგავლენას გარემოზე, კლიმატის შემადგენელი ზოგიერთი კომპონენტი, როგორიცაა ოკეანეები და ყინულის საფარი, ნელა პასუხობს ასეთ ცვლილებებს. კლიმატის ცვლილება განპირობებულია ,,სათბურის აირების” მაღალი და მუდმივად მზარდი კონცენტრაციით, რომელიც გამოიყოფა ადამიანის საწარმო საქმიანობის დროს და დედამიწის გარშემო ქმნის ,,ღრუბელს“, რითაც ახდენს ,,სათბურის ეფექტს’’. ეს ეფექტი, თავის მხრივ, იწვევს კლიმატის ცვლილებას და გამოიხატება საშუალო ტემპერატურის აწევით, ნალექების გახშირებით, რაც მრავალი, უკიდურესად უარყოფითი ფორმით აისახება ექტრემალური მოვლენების სიხშირეზე... ადამიანის გავლენა კლიმატის ცვლილებებზე უდიდესია, მრავალი წელი დაობდნენ ადამიანის ჩარევით გამოწვეულ კლიმატურ ცვლილებებზე, იყო

უამრავი ჰიპოთეზა. უკანასკნელ წლებში კი მეცნიერთა ვარაუდი შეჩერდა ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორზე, რომ ადამიანი ყველაზე მეტად თავისი საქმიანობით ახდენს გავლენას გლობალური საშუალო ტემპერატურის სწრაფ ზრდაზე. პრევენციული და აღმომფხვრელი ღონისძიებებიც სწორედ იქითკენაა მიმართული, რომ მოხდეს უკვე არსებულ ცვლილებებთან შეგუება და პროცესის შენელება, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა, რქოსანი პირუტყვის, საწვავის მაღაროების საძოვრების მოხმარება დაახლოებით 30%-ით ზრდის მეთანის გამოყოფას ატმოსფეროში, ფერტილიზაცია და სხვა ქიმიური დანამატის გამოყენება ზრდის აზოტის ოქსიდის გამოყოფას გარემოში, მართალია, რომელიც 10%-ით უფრო მეტად მოქმედებს კლიმატის დათბობაზე, მართალია, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს, მაგრამ შედარებით ნაკლები და უმნიშვნელოა კლიმატის ცვლილებებზე ბირთვული იარაღის, აეროზოლების, კოსმოსური პროგრამებისა და ტოქსიკური ნარჩენების როლი... კლიმატის ცვლილება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მკვეთრად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი შეეგუოს კლიმატის კომპონენტების ცვლილებას, თუმცა ადაპტაციის პროცესი არც ისე მარტივია და ხშირად საკმაოდ სერიოზული ძვრების ფონზე მიმდინარეობს. იმატა სიღარიბის დონემ, ხშირია კონფლიქტები, ეკონომიკური კრიზისული პერიოდები, მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვადასხვა რისკი.

,,კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენცია, ანუ რიოს კონვენცია, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ და რომელსაც 189 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც შეუერთდა, აყალიბებს საერთაშორისო ქმედებების მთავარ პრინციპებს, რომ ქვეყნები წინ უნდა აღუდგნენ კლიმატის ცვლილების პრობლემას, მათი ვალდებულებების და შესაძლებლობების შესაბამისად და განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ მთავარი როლი ამ პრობლემების გადაწყვეტაში. ყოველწლიურად მილიონობით ტონა ყინულს კარგავს გრელანდია და ანტარქტიდა, მყინვარებს ყინული ყოველწლიურად საშუალოდ 2-3 მეტრით აკლდება, მსოფლიოს 85 დიდი მდინარე და ტბა იწყებს დაშრობას, მათ შორის მსოფლიოს ყველაზე გრძელი ნილოსი და უზარმაზარი ტბა ვიქტორია, უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში კი მთლიანად გაქრა ერთ-ერთი უდიდესი ტბა ჩადი აფრიკაში. მეცნიერების ვარაუდით 2020 წლისათვის ყოველწლიურად მსოფლიოში 500 ათასი ადამიანი დაიღუპება გლობალური დათბობის გამო.

კლიმატის თანამედროვე დათბობა უპირველესად გამოიხატა დედამიწის ზედაპირზე ჰაერის საშუალო ტემპერატურის ზრდით (ბოლო წლებში $0,5^0$ C მოიმატა). ტემპერატურის ზრდა გამოიწვევს არქტიკის, ანტრაქტიდის და მთის მყინვარების დნობას, რასაც დაბლობი ტერიტორიების დატბორვა, ფლორისა და ფაუნის ცალკეული სახეობის გადაშენება-გადაგვარება, თანამედროვე გამყინვარების ფართობის შემცირება, ადამიანის საცხოვრებელი გარემოს შეცვლა მოჰყვება.

გეოლოგიური წელთაღრიცხვით მესამეულ პერიოდში საქართველოს ჰავა ეხლანდელთან შედარებით გაცილებით თბილი იყო, იგი ტროპიკულ ხასიათს ატარებდა (საშუალო ტემპერატურა $7\text{-}8^0$-ით აღემატებოდა დღევანდელს). ამიტომ დაბა ადგილებში თავისუფლად ხარობდა სითბოს მოყვარული ისეთი მცენარეები, როგორიცაა პალმა, ქაფურის ხე.

საქართველოს ტერიტორიის ფართობი 70 ათას $კმ^2$ უდრის, მაგრამ მიუხედავად ამისა ტერიტორია კლიმატის მრავალფეროვნებით ხასიათდება. გვხვდება დედამიწის ზედაპირზე გავრცელებული თითქმის ყველა სახის კლიმატი (გარდა სავანების და ტროპიკული ტყეების კლიმატებისა) დაწყებული კავკასიონის მაღალი მთის მარად თოვლის და ყინვარების კლიმატიდან შავი ზღვის სანაპიროს ნოტიო სუბტროპიკული და აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის მშრალ კონტინენტურ კლიმატამდე. კლიმატის ასეთი მრავალფეროვნება აისახება ნაწილობრივ საქართველოს მდებარეობით სუბტროპიკული ზონის ჩრდილო საზღვარზე, სადაც ადგილი აქვს როგორც საკუთრივ სუბტროპიკულის, ისე ზომიერ და ზოგჯერ მაღალი განედის დამახასიათებელ ატმოსფეროს პროცესებს. მეორე მიზეზად შეიძლება ითქვას მისი რთული რეგიონალური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, დასავლეთით საქართველოს ეკვრის შავი ზღვა, ჩრდილოეთით კავკასიონის მაღალი ქედი, სამხრეთით სამხრეთ მთიანეთი და სამხრეთ აღმოსავლეთით აზერბაიჯანის მშრალი ველები: ქვეყნის შიდა ტერიტორიაც დასერილია სხვადასხვა სიმაღლის და მიმართულების მთაგრეხილებით, რომელთაგან კლიმატის ფორმირების საქმეში დიდი როლი ენიჭება ლიხის (სურამის) არსიანის, ჯავახეთის, კახეთის, რაჭის და სვანეთის ქედებს, ახლა უშუალოდ რაც შეეხება მზის რადიაციას. მზის რადიაცია ყველა ქვეყნის კლიმატის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ელემენტს საქართველოსთვის, რომელიც სუბტროპიკული ზონის ჩრდილო საზღვარზე მდებარეობს და ამავე დროს უშუალოდ ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრისაგან კავკასიონის მაღალი მთაგრეხილებითაა დაცული.

საქართველოს კლიმატი თბილი და სასიამოვნოა. ქვეყნის ჰავის ფორმირებაზე გავლენას ახდენს შავი ზღვა და დიდი კავკასიონის მთები, რომლებიც ერთგვარ ბარიერს წარმოადგენენ და ქვეყანას ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან იცავენ. ქვეყნის კლიმატი უაღრესად მრავალფეროვანია. ძირითადად აქ ორი კლიმატური ზონაა. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატი ერთმანეთისაგან მკვეთრად

განსხვავდება. დიდი კავკასიონის ქედი დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ჰავის ფორმირებაზე და ქვეყანას იცავს ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასების შემოდინებისაგან. მცირე კავკასიონი კი ნაწილობრივ აკავებს სამხრეთის მშრალი და ცხელი ჰაერის მასებს.

დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ნოტიო სუბტროპიკული ჰავით ხასიათდება, წლიური ნალექი 1000-4000 მმ-ს აღწევს. კლიმატი ზღვის დონის მატებასთან ერთად მკვეთრად იცვლება. დაბლობში ჰავა თბილი და სასიამოვნოა, მთის კლიმატი კი - მკაცრი. ზაფხული ჭარბტენიანობით ხასიათდება, ზამთარში კი თოვლის საფარი ხანდახან 2 მეტრს აჭარბებს.

აჭარა კავკასიონის ყველაზე უხვტენიანი რეგიონია. მთა მტირალა, ქობულეთის აღმოსავლეთით, წლის განმავლობაში 4500მმ-მდე ნალექს იღებს, დასავლეთ საქართველოში ზამთრის საშუალო ტემპერატურა $+5^0$, ხოლო წლიური საშუალო $+22^0$. დასავლეთ სუბტროპიკული, აღმოსავლეთით-გარდამავალი, ზომიერად სუბტროპიკული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კლიმატური განლაგება გართულებულია მთების ზეგავლენით, მაგრამ ქედების უმეტესი ნაწილი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიემართება, ყველაზე განცალკევებულ ნაწილებშიც კი შესამჩნევია შავი ზღვის თბილი ჰაერის მასების ზეგავლენა.

მთელი წლის განმავლობაში ნალექი თანაბრად მოდის. შემოდგომასა და ზამთარში უფრო ჭარბად, იმერეთსა და აჭარაში წელიწადში 1000-დან 2800 მმ-მდე ნალექი მოდის, კახეთსა და ჯავახეთში - 300-600 მმ. მთიან რაიონებში თოვლი ნოემბერში მოდის და მარტ-აპრილამდე ჩერდება.

წლის ყველაზე ცივი თვე არის იანვარი, ყველაზე თბილი თვე კი აგვისტო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $+3^0$ c-დან (დასავლეთ საქართველო), -2^0 c-მდე (აღმოსავლეთ საქართველო). აგვისტოს საშუალო ტემპერატურა არის $23\text{-}26^0$ c.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია წარმოადგენს აზიის კონტინეტური სუბტროპიკული კლიმატური ზონის დასავლეთ განაპირა უბანს და უკანასკნელიდან ძირითადად განსხვავდება ნალექის რამდენადმე მეტი რაოდენობით, შედარებით მაღალი შეფარდებითი სინოტივით და ტემპერატურის ნაკლები წლიური ამპლიტუდით. შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე გაბატონებულია კონტინენტური და ტრანსფორმირების სტადიაში მყოფი ზღვის შუა განედის ჰაერის მასები, ზაფხულში - კონტინენტური შუა განედის ჰაერის მასების ტროპიკულ ჰაერად თითქმის ტრანსფორმირებულია.

აღმოსავლეთ საქართველო ხასიათდება გარდამავალი ჰავით ნოტიო სუბტროპიკულიდან კონტინენტურამდე. რეგიონის ჰავას განსაზღვრავს ცენტრალური აზიიდან შემოდინებული მშრალი და შავი ზღვის ნოტიო ჰაერის მასები. აღმოსავლეთ საქართველოს წლიური ნალექიანობა მკვეთრად ჩამორჩება დასავლეთისას და ის 400-დან 1600 მმ. მერყეობს.

საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატურ განსხვავებას ქმნის მეორეხარისხოვანი ორთოგრაფიული ბარიერებიც, ესენია: სვანეთის, ბზიფის, ლეჩხუმის, ეგრისის, რაჭის, მესხეთის ქედები. ისინი აკავებენ ნოტიო ჰაერის მასებს. ამიტომ მათი ფერდობები უხვნალექიანია, ხოლო ქარგუზა ფერდობები, მიმდებარე ხეობები და ქვაბულები - მცირე ნალექიანი. ამით იქმნება საკმაოდ მნიშვნელოვანი კლიმატური კონტრასტები. ანტიკავკასიონიც საკმაოდ მნიშვნელოვან ორთოგრაფიულ ბარიერს წარმოადგენს. იგი ერთგვარად ანელებს სამხრეთიდან მომავალი ცხელი ჰაერის მასების ზეგავლენას. რომ არა ეს ორთოგრაფიული ბარიერი, საქართველოში წლის თბილ პერიოდში შედარებით უფრო ცხელი და მშრალი ჰავა იქნებოდა, ამიერკავკასიის მთათაშორისი ბარი ხელს უწყობს ჰაერის მასების თავისუფალ გადაადგილებას და ვენტილაციას, რის გამოც კლიმატოლოგებმა მას ,,ამიერკავკასიის დერეფანი“ უწოდეს.

რელიეფის დასერილობის და ანტიციკლონური მდგომარეობის გაბატონების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ქარების სიჩქარე საერთოდ ზომიერია, ქარების საშუალო წლიური სიჩქარე ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მერყეობს 2-3 მ/წმ ფარგლებში, გაშლილ ადგილებსა და გაბატონებულ ქარების გასწვრივ მიმართულ ხეობაში. ქარი უფრო ძლიერია გორში, მუხრანში, კრწანისში, მისი საშუალო წლიური სიჩქარე 3,5-4 მ/წმ უდრის. განსაკუთრებით ძლიერი ქარი იცის ვაზიანის მიდამოებში, მამისონის უღელტეხილზე და მაღალი ქედების თხემებზე - ყაზბეგსა და იალბუზზე. ამ ადგილებში ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 6-8 მ/წმ უდრის, ხოლო ცალკეული ქროლვის დროს 35-40 მ/წმ აღწევს.

წლის განმავლობაში ყველაზე უფრო ქარიანია მარტი და აპრილი, შედარებით წყნარია შემოდგომა და ზამთარი მაგალითად თბილისში, მარტში და აპრილში ქარის საშუალო სიჩქარე 7,7 მ/წმ უდრის, ნოემბერში - 2,5 მ/წმ და იანვარში - 2,9 მ/წმ.

კლიმატი განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: მზის რადიაციის რეჟიმი, ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციური პროცესები, ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა, ზღვიდან და ოკეანიდან დაშორება და მიკრორელიეფი, ასე რომ მიკროკლიმატის ცვლილებას იწვევს მხოლოდ მზის რადიაციის რეჟიმის ანდა დედამიწის სახის ცვლილება. კლიმატზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობა, მას შეუძლია შეცვალოს დედამიწის ზედაპირის ფიზიკური თვისებები (ტყის გაჩეხვა, ან კიდევ მისი გაშენება, ჭაობების

ამოშრობა, სარწყავი არხის გაყვანა). უკანასკნელ ხანაში მეცნიერება ისეთი სწრაფი ტემპით ვითარდება, რომ არც ისე შორეულ მომავალში მოსალოდნელია ადამიანმა შეძლოს თავის სასარგებლოდ გარდაქმნას მთელი ქვეყნის მიკროკლიმატი.

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა არაერთი შრომა, სადაც განხილული საკითხი ატმოსფეროს და, შესაბამისად, ჰავის თანამედროვე დათბობის შესახებ, დამუშავებულია პროგნოზებიც. მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ ამჟამად მიმდინარე კლიმატის გლობალური დათბობა ადამიანის აქტიური სამეურნეო საქმიანობითაა განპირობებული. კლიმატის დათბობის პროცესი დაიწყო დაახლოებით ერთი საუკუნის წინ და იგი დღესაც გრძელდება, ზოგიერთი მოსაზრებით, დათბობის პროცესი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენებს მსოფლიოს მოსახლეობას და ორგანულ სამყაროს, კლიმატის თანამედროვე დათბობა სხვადასხვა მიზეზით აიხსნება; ყველაზე მნიშვნელოვანია ატმოსფეროს შემადგენელი მინარევების რაოდენობისა და გაბინძურების მაჩვენებლების ზრდა (განსაკუთრებით ნახშირორჟანგის).

კლიმატის თანამედროვე დათბობის მიზეზები ატმოსფეროს გაბინძურებაშიც უნდა ვეძებოთ; დედამიწის ზედაპირზე იქმნება (ნახშირჟანგის- co) სხვადასხვა შენაერთის ფენა, რომელიც ,,აბსოლუტური შავი სხეულის“ ოპტიკურ თვისებებს უახლოვდება შედეგადაც იზრდება დედამიწის ზედაპირის მიერ შთანთქმული სხივური ენერგიის რაოდენობა, ასეთი დასკვნები ექსპერიმენტულ კვლევას ეფუძვნება, რაც პირველად საქართველოში განხორციელდა აკადემიკოს თ. დავითაიას ხელმძღვანელობით.

კავკასიონის ერთ-ერთ მყინვარზე განისაზღვრა ყინულის შიდა შრეებში წლების განმავლობაში (XVIII) დაგროვილი მტვრის რაოდენობა, დადგინდა რომ მტვრის ნაწილაკების ზრდა ემთხვევა კლიმატის დათბობის პერიოდს, მტვრის ნაწილაკების დიდი რაოდენობა აღინიშნება მოსახლეობისა და სამრეწველო საწარმოთა კონცენტრაციის არეალებში. ამის გამო ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების თავზე წარმოიქმნება სითბური ,,გუმბათები“, არადა საქართველოს ყველა დიდ სამრეწველო ცენტრში მტვრის ნაწილაკების საშუალო კონცენტრაცია მაღალია და აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

საქართველოს ცალკეული მხარის კლიმატის შესახებ წერლობითი ცნობები მოცემულია ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის გეოგრაფებისა და ისტორიკოსების მიერ.

ისტორიკოსი ჰეროდოტე (მე-5 საუკ. ძვ. წ. აღ.) ჰიპოკრატე (მე-4 საუკ. ძვ. წ. აღ.) გეოგრაფი სტაბონი (I საუკუნი ახ. წელთაღრიცხვ) ახასიათებენ კოლხეთის დაბლობის კლიმატს, როგორც ზამთარში თბილს და ზაფხულში ცხელს, უხვნალექიანს და ნესტიანს.

სტრაბონი აღნიშნავს, რომ იბერიაში ჰავა შედარებით მშრალია და ნიადაგი არა ნოტიო, ის აწერს იბერიას, როგორც კურთხეულს და საცხოვრებლად მეტად სასიამოვნოს, მისი სიტყვით ,,მტკვრის და არაქსის სანაპირო, დაბლობები უკეთ ირწყვის, ვიდრე ბაბილონის და ეგვიპტის დაბლობები მდინარეებით და სხვა წყლით; ამიტომ აქ მშვენიერი საძოვრებია, ამას ემატება უკეთესი ჰაერი, ვიდრე სხვა ქვეყნებს დაბლობებშია.

საშუალო საუკუნის საქართველოს მატიანეებშიც მოცემულია რიგი საკმაოდ სწორი ცნობები საქართველოს ცალკე რაიონების კლიმატის შესახებ.

კოლხეთის დაბლობების შესახებ, მაგალითად, გიორგი მერჩულე წერს ,,ქვეყანა ეს ხორშავეული არის“, მაგრამ მისივე სიტყვით ზამთარში თბილი და საღი ჰაერის გამო აქ ,,დაზამთრდება“ და კარგად დასვენება შეიძლება.

აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატს მემატიანეები ახასიათებენ, როგორც მშრალს და ჯანმრთელს, მაგრამ აქაც გამოყოფენ არაჯანმრთელ ადგილებს, მაგალითად ჰერეთის აღმოსავლეთ ნაწილს (თანამედროვე საინგილოს და ალაზნის ქვემო წელს) იაკობ ხუცესი ახასიათებს, როგორც მეტად ნაყოფიერს და მდიდარს, მაგრამ ძლიერ ცხელს ნოტიოს და ჯანმრთელობისათვის მავნე ჰავიანს.

თბილისიდან ბარდავამდე და მდ. იორის სანაპირო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აღწერით, მშვენიერი საზამთრო ადგილია, რადგანაც ზამთარი აქ არ იცის, ის უფრო გაზაფხულს წააგავს, სამაგიეროდ ზაფხული მეტად ცხელი და არაჯანმრთელია.

მესხეთი და შავშეთ-კლარჯეთში, გრიგოლ ხანძთელის აღწერით განირჩევა მშვენიერი ბუნებით და ჰავით. ამ რაიონის ჰავა ,,არის კეთილად შეზავებული მზისაგან და ჰაერისაგან“.

საქართველოს კლიმატის ზემოთ მოყვანილი თავისებურებები, რომლებიც აღნიშნული იყო ჯერ კიდევ ანტიკური ქვეყნების გეოგრაფების და ისტორიკოსების მიერ, არსებითად აქამდე არ შეცვლილა.

მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის ცვლილებებთან ერთად შესამჩნევად იცვლებოდა ადგილობრივი კლიმატის ზოგიერთი მაჩვენებლები, მაგალითად ჰიპოკრატეს დროს (454-376 ძვ. წ. აღ.), როდესაც კოლხეთში მიმოსვლა და საერთოდ აღებ-მიცემა იყო განვითარებული, მისი სიტყვით ხშირად ჰქონდა აღმოსავლეთის ძლიერი და მშრალი ქარი, რომელიც აშრობდა ქვეყანას; იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, კოლხეთის აღწერის დროს, ხაზგასმით აღნიშნავს ჰაერის

ზედმეტ სინოტივეს და ატმოსფერული ნალექების სიუხვეს ,,უხვი ნალექის შემდეგ - წერს იგი - მდინარეების კალაპოტიდან გადასული წყალი ისე ღრმად და ფართოდ ფარავს სანაპირო ტერიტორიას, რომ სოფლებს შორის მიმოსვლა ხდება ნავებით.“

მე-18 საუკუნეში როგორც გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტის ცნობებიდან ჩანს, კოლხეთის ჰავა ისე ზედმეტად ნოტიო იყო, როგორც მე-17 საუკუნეში, აღმოსავლეთის ქარზე ვახუშტი არაფერს ამბობს, პირიქით ოდიშის (სამეგრელოს) შესახებ იგი წერს ,,ზამთარი თბილი, არამედ ზაფხულიცაა სველი და ნამიანი და ნოტიო, გარნა უწყინარი, უქარო და უყინვო“.

იმერეთის აღწერისას იგი აღნიშნავს ,,გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფოს სიცხე, ვინაიდან ძნიად იძვრის ქარნი“ ,,ტყის გამო თვინიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ უკეთუ დახედო მაღლის მთიდა იხილავ სრულიად იმერეთს ტყედ და არასადა შენობასა“

მე-19 საუკუნეში ფეოდალური, ჩაკეტილი ცხოვრების დარღვევამ და კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია ტყეების ინტენსიური გაჩეხა, გზების გაყვანა-აღდგენა, რის შედეგად კლიმატიც შეიცვალა; აღმოსავლეთის ქარის სიხშირე და სიძლიერე გადიდდა და ჰავაც შედარებით უფრო მშრალი გახდა. ციმერმანი 1833 წ. ქუთაისის და რედუდკალეს ორი წლის დაკვირვებაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში მეტად ხშირია მშრალი და ძლიერი არმოსავლეთის ქარიო, ამავე დროს აჯამეთის ტყე უკვე ძალზე გაჩეხილი იყო, ჰაერის სინოტივე ამ საუკუნეშიც მაღალი იყო...

იბერიაში ანტიკური ხანის ზომიერად ნოტიო კლიმატი რამდენადმე შეიცვალა, შემოსული მტრების მიერ სარწყავი არხების და ტყეების განადგურებამ გამოიწვია კლიმატის კონტინენტობის გაძლიერება და აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსვლეთ ნაწილებში მშრალი სტეპები და ნახევრად უდაბნოები გაჩნდა.

ქვემო ქართლში ბევრი ადგილი, ვახუშტის დახასიათებით, ,,გაუძლისი“ გახდა. საქართველოს კლიმატის მეცნიერული შესწავლა დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ყველა კლიმატური ზონა და რაიონი ერთნაირი სისრულით არ არის გაშუქებული, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ ზოგიერთ ზონას და მით უფრო რაიონს არა აქვს საკმაო დაკვირვებითი მონაცემები; არის ისეთი რაიონებიც, რომელთა ტერიტორიაზე მეტეოროლოგიური დაკვირვება თითქმის სრულებით არ წარმოებულა.

კლიმატის გლობალური პრობლემები და მთლიანად ის საკითხები თუ პრობლემები, რომელიც მოცემული სფეროს უკავშირდება, მნიშვნელოვანი და აქტუალურია არა მარტო ჩვენს საზოგადოებაში, არამედ მთელ მსოფლიოში, საჭიროა მომწიფდეს მოსალოდნელი მოვლენების რეალური განჭვრეტა და ადამიანებს საბოლოოდ ეყოთ გონიერება პლანეტის და ცივილიზაციის გადასარჩენად.

ლიტერატურა:

1. მ. კორმახია, საქართველოს ჰავა, თბ., 1961.
2. მ. გიგინეიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი, ვ. როდონაია, ძველი ქართული ლიტერატურა ქრესტომათია, თბ., 1999.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.geofans.worjpress.com
2. www.kibooks.org

ბუნებრივი რესურსების გამოყენების ზოგიერთი ასპექტი გორის რაიონში

მარიამ კიკნაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე**, დოქტორი

კლიმატური თავისებურებებით შიდა ქართლი განსხვავებულია სხვა რეგიონებისაგან, რაზედაც გავლენას ახდენს მერიდიანული მკაცრი კლიმატი. გორი ქართლის გულია, მისი რაიონი ხასიათდება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. ნალექების რაოდენობა, თბილ პერიოდში, ტირიფონის ვაკეზე მერყეობს 300-350 მმ შორის, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის

არასაკმარისია და ამიტომაც ისინი დამატებით მორწყვებს საჭიროებენ. ამავე პერიოდში ნალექების რაოდენობა ქ. გორიდან სამხრეთისაკენ იზრდება და თრიალეთის ქედის თხემურ ნაწილზე, ჯამჯამას მწვერვალთან, 500-600 მმ აღწევს.

წლის ცივ პერიოდში ნალექების რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა. ტირიფონის ვაკეზე 125-150 მმ-მდე, ხოლო თრიალეთის თხემზე 250 მმ არ აღემატება. აშკარაა, რომ ნალექების საჭიროზე ნაკლებ ოდენობას ღებულობს საქართველოს ერთ-ერთი აქტიური სასოფლო-სამეურნეო რეგიონი ტირიფონის ვაკე, რაც დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ნალექების ძირითადი ნაწილი, როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან შემოჭრის დროს რჩება შიდა ქართლის შემომფარგვლელ ლიხისა და ქართლის ქედების კალთებზე. მიუხედევად ამისა გორის რაიონი უფრო მეტადაა დანესტიანებული, ვიდრე კახეთისა და ქვემო ქართლის ბარის რაიონები.

ჰერის საშუალო დღეღამურ 10 გრადუსზე მეტი დადებით ტემპერატურათა ჯამი ტირიფონის ვაკეზე 3000 გრადუსამდეა, ხოლო თრიალეთის ქედისაკენ იგი ეცემა 2000 გრადუსამდე. იგივე მაჩვენებელი კოლხეთის დაბლობზე 4400 გრადუსს აღწევს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მინდვრის მარცვლოვანი კულტურებისათვის ოპტიმალურია 1400-2700, ბოსტნეულისათვის 1800-2700, ვაზისათვის 2500-2800 გრადუსი, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად ხელსაყრელია გორის რაიონის დაბლობი ზონა ზემოთ აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად. ქ. გორის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში ზამთრის სეზონზეც კი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) შეიძლება წარმოებულ იქნას ღია გრუნტის ბოსტნეული კულტურები, რასაც გვთავაზობდა აკადემიკოსი თ. დავითაია. საშუალო წლიური ტემპერატურები გორის, სკრის, მეჯვრისხევის, ცხინვალის მეტეორიტული სადგურის მონაცემებით ცვალებადობს 12-13 გრადუსიდან (დაბლობი ზონა) 9-10 გრადუსებს შორის (რაიონის შემაღლებულ კიდეებზე).

უცივესი თვის საშუალო ტემპერატურები ცვალებადობს შესაბამისად +1-დან +2 - +3 გრადუსამდე. ტემპერატურათა წლიური ამპლიტუდა შეადგენს 18-24 გრადუსს. აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ჰაერის ტემპერატურათა საშუალო ამპლიტუდური მინიმუმ გორის რაიონში მერყეობს 14-18 გრადუსებს შორის. აბსოლუტური მინიმუმები კი ზოგჯერ 25 გრადუსამდეც ეცემა, რაც აზიანებს ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო კულტურას.

აბსოლუტური მაქსიმუმები ტირიფონის ვაკეზე +34 გრადუსამდეა, რაც თრიალეთის ქედის მიმართულებით თანდათან კლებულობს და ჩამოდის +26 გრადუსამდე. ზოგიერთ წლებში აბსოლუტური მაქსიმუმები გორის რაიონში + 40 გრადუსამდეც ასულა, რასაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება მოყოლია, განსაკუთრებით კი გვალვიან წლებში სარწყავი წყლის უკმარისობისას.

გორის რაიონის ფარგლებში ადგილი აქვს წაყინვებს. ყველაზე უადრესი გაზაფხულის წაყინვა დაფიქსირებულია 18 მარტს, უგვიანესი კი 28 აპრილს. შემოდგომის პირველი წაყინვა 20 სექტემბერს, უგვიანესი 27 ნოემბერს.

გაზაფხულის საგვიანო და შემოდგომის საადრეო წაყინვები ხშირად აზიანებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, რაც წინასწარ გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის მუშაკთა მხრიდან.

ბუნებრივი მოვლენებიდან რაიონის ფარგლებში, განსაკუთრებით ტირიფონის ვაკეზე ხშირია ქარები. მაგალითად წელიწადში 1460 დაკვირვებიდან უქარო დღეთა რიცხვი ქ. გორში საშუალოდ 286 დღეა, თბილისში 467, ქუთაისში 416, ფოთში 214.

ქარები ხშირად უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე, აზიანებს ნორჩ ყლორტებს (განსაკუთრებით ვაზის), ხელს უშლის დამტვერიანების ნორმალურად წარმართვას, აცვივნებს ნაყოფს, ზედმეტად აშრობს ნიადაგს, ავითარებს ქარისმიერ ეროზიულ პროცესს და ა.შ.

ქარების უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნით გორის რაიონში გასული საუკუნის მეორე ნახევარში გაშენებულ იქნა ქარსაფარი სატყეო ზოლები, რომლებიც მასიურად განადგურდა ბრაკონიერთა მიერ 90-იან წლებში. არადა ქარსაფარი ზოლები ამცირებს ქარის მოქმედებასა და ჰაერის ტემპერატურას, ზრდის ჰაერის ტენიანობას და საერთო ჯამში ამაღლებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას. მაგალითად, ტექნიკური კულტურების 12-15%-ით, სიმინდისა 14-32%-ით და ა.შ. მომავალში აუცილებელია ქარსაფარი ზოლების გაშენება და დაცვის ღონისძიებათა გატარება შესაბამისი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უარყოფითად იმოქმედებს და მოქმედებს კიდეც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე, დაბლა დაწევს მეურნეობის აღნიშნული დარგის ეფექტიანობას.

დანესტიანების ხარისხის მიხედვით გორის რაიონში შეიმჩნევა შიდა ტერიტორიული სხვაობანი. კერძოდ, ტირიფონის ვაკის ჩრდილო პერიფერიული ნაწილი, ასევე თრიალეთის მთისწინეთი მიეკუთვნება ზომიერი დანესტიანების ზონას, სადაც ჰიდროთერმული დანესტიანების კოეფიციენტი 0.6-1,0 აღწევს, ე.ი. მოსული ნალექთა ჯამი აღემატება აორთქლებას.

რაც შეეხება ქალაქ გორსა და მდინარე მტკვრის ხეობას, ისინი მიეკუთვნებიან არასაკმაო დანესტიანების ზონას (აორთქლება და მოსულ ნალექთა ჯამი დაახლოებით თანატოლია).

საკვლევ რაიონში ბუნებრივ-სტიქიური მოვლენებიდან ადგილი აქვს სეტყვის შემთხვევებსაც. სეტყვიან დღეთა რიცხვი ტირიფონის ველზე წელიწადში საშუალოდ შეადგენს 1-2 დღეს (ქ. გურჯაანში 2-4 დღეა).

გორის რაიონის წყალსამეურნეო პოტენციალი შედგება მდინარეებისაგან, ტბებისაგან, ჭაობებისაგან, მიწისქვეშა წყლებისაგან, რომელთა ნაწილი სამკურნალო თერმიული თვისებებისაა.

გორის რაიონის ყველა მდინარე მიეკუთვნება მტკვრის აუზს, თვით მდინარე მტკვარი კი კასპიის ზღვაში ჩაედინება. შიდა ქართლის ტერიტორიაზე მტკვრის სიგრძე 175,7 კმ-ია. მისი საშუალო წლიური ჩამონადენი ქ. გორთან 145,0 მ. კუბია წამში. მტკვრის მარცხენა შენაკადია მდ. ლიახვი, რომელიც წარმოიქმნება დიდი და პატარა ლიახვების შეერთებით. ქ. გორში მდ. ლიახვს უერთდება მდ. მეჯუდა. გორის რაიონის მდინარეთა ქსელს ქმნიან ასევე მდინარეები ბერშოულა, ამურა, ტორტლა, ძამა. ჭაობის ნაწრეტი წყლებისაგან წარმოიქმნება წმინდაწყალი. მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადია მდ. ტანა.

გორის რაიონის მდინარეთა ქსელი ძირითადად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, მათი ენერგეტიკული დანიშნულება შედარებით მოკრძალებულია. განსაკუთრებით დიდია დიდი და პატარა ლიახვების სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა. დიდი ლიახვიდან გამოედინება სარწყავი არხები ტირიფონის, კეხვის, სალთვისის, რომლებითაც ირწყვის დაახლოებით 55 ათასი ჰექტარი. მდინარე პატარა ლიახვი სათავეს აძლევს ვანათისა და კარბი-მერეთის სარწყავ სისტემას, როველთა მეშვეობით 6 ათას ჰექტარზე მეტი მიწა ირწყვის.

გორის რაიონში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით შექმნილია ნადარბაზევისა და ზონკარის (მდ. პატარა ლიახვზე) წყალსაცავები, რომლებიც დაგროვილი წყლის მარაგით ზაფხულის გვალვიან პერიოდში ემსახურებიან რაიონის სასოფლო-სამეურნეო მიწის მორწყვას.

ტბების რაოდენობა გორის რაიონში არაა ბევრი. აღსანიშნავია ნადარბაზევის ტბა, რომელიც გამტკნარებულ იქნა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გარდა გააჩნია სარეწაო და რეკრეაციული მნიშვნელობა. დღეისათვის წყალსატევი პრივატიზებულია და მისი გამოყენების ეფექტურობა არც თუ ისე მაღალია.

ნაჭარმაგევის ხელოვნური წყალსაცავი ძირითადად გამოიყენება თევზის მოსაშენებლად და რეკრეაციული მიზნებისათვის არც თუ მაღალი კეთილმოწყობის ფონზე.

საკვლევი რაიონის ტირიფონის მასივის ცალკეულ უბნებზე, აქ არსებული სარწყავი არხების არასწორი ექსპლუატაციის გამო, გაჩნდა ჭაობები, რამაც გაამწვავა ეკოლოგიური პირობები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სამეურნეო ბრუნვიდან გამოსვლით.

გორის რაიონი საკმაოდ მდიდარია მიწისქვეშა წყლებით. გასული საუკუნის 80-იან წლებში სოციალური ელექტრო სატუმბი ძრავების საშუალებით ამოქაჩული მიწისქვეშა წყლებით ირწყვოდა სოფლების ზერტის, კვარხეთის, მეჯვრისხევის, ხელთუბნისა და სხვა დასახლებული პუნქტების სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. 90-იან წლებში შექმნილი არასტაბილური ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარების გამო აღნიშნული წყალსამეურნეო სისტემები მოიშალა და დღეისათვის ადგილი აქვს მიწისქვეშა წყლების არარაციონალურ გამოყენებას. წყლები იღვრება უყაირათოდ, უმიზეზოდ, განსაკუთრებით წლის ცივ პერიოდში.

აღნიშნული სისტემების აღდგენა დიდ თანხებს მოითხოვს, რაც ინვესტორთა გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

რაიონში გვხვდება სამკურნალო თერმული წყლებიც. აღსანიშნავია გორიჯვრისა და ბიისის წყაროები, რომელთა გამოყენება დღეისათვის არაეფექტურად მიმდინარეობს, რაც ასევე დიდ ინვესტიციებს მოითხოვს.

ჰიდრორესურსების ეკოლოგიური პრობლემები ძირითადში გამოიხატება მათ დაბინძურებაში, რასაც ადგილი აქვს განსაკუთრებით მდ. მტკვარსა და ლიახვზე.

წყალსატევების გაბინძურებისაგან დაცვის მიზნით აუცილებლობად მიგვაჩნია დამაბინძურებელ საწარმოებსა და ორგანიზაციებში წყალგამფილტრავი მოწყობილობების დაყენება, საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენებული წყლების მდინარეებში გაუწმენდავად ჩაშვებისა და ნაგვის მდინარეთა ნაპირებზე დაყრის აღკვეთა და ა.შ.

გაზაფხულის წყალდიდობების დროს ადგილი აქვს მდინარეთა კალაპოტიდან გადმოსვლას, რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვასა და მათ სამეურნეო ბრუნვიდან გამოსვლას, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მდინარეებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, რადგან წყლის რესურსების გამოყენების პრობლემების გადაჭრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით მომარაგების საქმეში.

ლიტერატურა:

1. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწილი II, თბ., 1970.
2. საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, ფიზიკური გეოგრაფია (ზ. ტატაშიძის რედაქტორობით), თბ., 2000.
3. კორძახია მ., საქართველოს ჰავა, თბ., 1961.
4. უკლება ნ.ლ., საერთო ჰიდროლოგია, თბ., 1967.
5. მუმლაძე დ., საქართველოს კლიმატის თანამედროვე ცვლილება, თბ., 1991.
6. ტიელიძე ზ., გარემოს მდგრადი განვითარების საკითხები გორის რაიონში კლიმატისა და ჰიდრორესურსების გამოყენების ფონზე, სუხიშვილის უნივერსიტეტი: მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "თანამედროვე აქტუალური სამეცნიერო საკითხები", გორი, 2010.

საქართველოში ხორბლის წარმოების ზოგიერთი საკითხის შესახებ

თამარ მინდიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე**, დოქტორი

ამბობენ, რომ ქართველი კაცი სხვასთან შედარებით ბევრ პურს მოიხმარს. საკუთარი ხორბალი არ გვყოფნის და დიდი რაოდენობით ხდება ხორბლის იმპორტი. ნებისმიერი პროდუქციის ნაკლებობას ეგუება ქართველი კაცი, მაგრამ პურის უქონლობას ვერა. პურის უქონლობა - შიმშილობაა. ისმება კითხვა, რატომ ვართ დამოკიდებული იმპორტულ ხორბალზე? რატომ არ გვაქვს საკმარისი რაოდენობით საკუთარი ხორბალი? შევეცდები ამ კითხვებზე პასუხი ამ თემის საშუალებით დავასაბუთო.

ხორბლის, როგორც სასურსათე პროდუქტის მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. პურის საგანგებო მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს განსაკუთრებული გაჭირვების დროს შეუძლია თავისი არსებობა მარტო პურის საშუალებითაც შეინარჩუნოს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მარცვლის გადამუშავების შედეგად მიიღება კვების მრავალნაირი პროდუქტი (საკონდიტრო ნაწარმები, მაკარონი, ვერმიშელი, სხვადასხვა ბურღული და ა.შ) და ნაირგვარი საკვები მეცხოველეობისათვის. ამიტომ ხორბალს ადამიანისათვის საჭირო სასურსათე პროდუქტებს შორის ყველაზე გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ხორბალი, რომლის ისტორია იწყება 20 საუკუნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დიდად გავრცელებული კულტურაა მსოფლიოში. საქართველოში ხორბალი 5-4 ათასი წლის წინათ ჰქონიათ. აღრიცხულია ხორბლის 14 ბუნებრივი სახეობა და 150-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიში. ამავე დროს, საქართველო ცნობილია იმუნური ხორბლის და ისეთი ენდემური ჯიშების სამშობლოდ, როგორიცაა დოლის პური, დედა, ზანდური, აისი, თავთუხი, დიკა. ხორბალი ძირითადად კახეთსა და ქართლში, აგრეთვე სამცხე-ჯავახეთში მოჰყავთ. უპირატესად გავრცელებულია საშემოდგომო ხორბალი.

ხანდაზმული ხალხი იხსენებს, რომ ძველად ხორბლის მოსავლის აღება თავისებური ზეიმი იყო სოფელში. ქალი, ბავშვი და კაცი ყველა მინდორში გადიოდა სამუშაოდ. კაცები ყანას თიბავდნენ ცელით, თან მღეროდნენ, შემახილებით ამხნევებდნენ ერთმანეთს. ქალები მომკილ ყანას აგროვებდნენ ხის თითებიანი ფოცხებითა და სამთითებით, დგამდნენ ბულულებად და ურმებით მიჰქონდათ სპეციალურად გამოყოფილ, გლუვად მოსწორებულ ადგილზე - წრის სახით, რასაც კალო ერქვა. კალოზე შლიდნენ ხორბლის თავთავებს ნახევარ მეტრის სიმაღლეზე. ზედ დააწყობდნენ 4-5 კევრს, რომლებსაც ძირის მხარეს ჩაბეჭდილები ჰქონდა კოხის ქვები. კევრში შეაბამდნენ ხარებს, კევრზე დადგებოდა ერთი კაცი და ატარებდა კალოს გარშემო მანამ, სანამ თავთავებიდან მარცვლები არ გამოცვივდებოდა. შემდეგ გალეწილი ხორბალი გამოჰქონდათ კაბდოს საშუალებით კალოს გარეთ. ნიჩბებით ანიავებდნენ,

მარცვალს ათავსებდნენ ტომრებში და მიჰქონდათ ბეღელში. ბავშვები კი დარჩენილ თავთავებს აგროვებდნენ.

თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მე-20 საუკუნეში ჰყოფნიდა საკუთარი ხორბლის მარაგი, მაშინ იმპორტული საქონლის საჭიროების მიზეზი ნათესების შემცირებასა და მოსვლიანობის განუხრელ შემცირებას უნდა მივაწეროთ. 1940 წელს ხორბალსა და ქერს 366 ათასი ჰა ეკავა, შემდგომ წლებში მოხდა ნათესებისა და მოსავლის შემცირება; ამ მხრივ გამოირჩეოდა 1995 წელი(95ათ.ჰა). მომდევნო პერიოდში ხორბლის ნათესების ზრდის ტენდენცია აღინიშნა. თუ მხედველობაში მივიღებთ ხორბლის საკმაოდ დაბალ მოსავლიანობას (1998 წ.- 11ც/ჰ. იმ დროს, როცა დიდ ბრიტანეთშია 79,7 ც/ჰა, საფრანგეთში 76ც/ჰა, იუგოსლავიაში-36,9 ც/ჰა, პოლონეთში - 36,2 ც/ჰა და ა.შ), ცხადია, რომ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება პურზე მინიმალურადაც ვერ კმაყოფილდება და ამიტომ იძულებული ვხდებით ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ხორბალი და ფქვილი შემოვიტანოთ (უმეტესად იტალიიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, აშშ-დან).



შენიშვნა: 2010 წელს მხოლოდ ხორბლის ნათესი შეადგენდა 48 ათას ჰექტარს

მარტივი მათემატიკური გამოთვლებით დავიანგარიშე საშუალოდ რამდენი ტონა ხორბალი გვჭირდება ყოველწლიურად და მივიღე შემდეგი სურათი:

ჩავთვალოთ, რომ 2010 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 4,5 მილიონ კაცს. ხორბლის ნათესები შეადგენდა 48400 ჰექტარს, იწარმოა 48,4 ათასი ტონა ხორბალი. ამავე წელს საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენდა 1 ტონას. ერთი ადამიანი დღე-ღამეში საშუალოდ მოიხმარს 0.5 კილოგრამ პურ-ფუნთუშეულს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხორბალი დაფქვისას კარგავს 30 %-ს. ის გადადის ქატოში. ფქვილი მოზელისას იმატებს თავისი მასის 25 %-ს.

1. რამდენ კგ პურ-ფუნთუშეულს მოიხმარს 1 ადამიანი ერთ წელიწადში?

   365დღე*0.5კგ=182,5კგ

2. რამდენ კგ პურ-ფუნთუშეულს მოიხმარს 4,5 მილიონი ადამიანი ერთ წელიწადში?

   4500000*182,5=821250000კგ=821250ტ

3. რამდენი ტონა ფქვილია საჭირო 821250ტ გამომცხვარი პურ-ფუნთუშეულის მისაღებად?

   (100%-25%=75%=0.75)
   821250*0.75=615937,5ტ

4. რამდენი ტონა ხორბალია საჭირო ამ რაოდენობის ფქვილის მისაღებად?

$$\frac{x*70}{100} = 615937.5$$

X=879910.7

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობის გამოსაკვებად ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 879911 ტონა ხორბალია საჭირო, ხოლო 2010 წელს მხოლოდ 48400 ტონა მოსავალი მოვიდა, დანარჩენი გვრჩება დეფიციტი, იმიტომაც ვხდებით იმპორტზე დამოკიდებული.

თემის დაწერამდე ვფიქრობდი რომ ჩვენს ქვეყანაში შეგვიძლია იმდენი ხორბლის წარმოება რომ იმპორტულ საქონელზე არ ვიყოთ დამოკიდებული, მაგრამ გამოსავლის პოვნა ამ სიტუაციიდან არც თუ ისე ადვილი ყოფილა. ვფიქრობდი,რომ თუ გავზრდიდით ნათესების ფართობს, მაშინ პრობლემაც გადაიჭრებოდა, მაგრამ სამწუხაროდ იმედები გამიცრუვდა, როდესაც გადავხედე საქართველოს მიწის ფონდს.

საქართველოს მიწის ფონდი მისი ფართობის ტოლია. თუმცა ჩვენს ქვეყანას ტერიტორიის ფარგლებს გარეთ 60 ათასი ჰექტარი მიწა აქვს, ხოლო სხვა ქვეყნები საქართველოში 400 ჰექტარ მიწას იყენებენ.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიის 43%-ზე სავარგულებია წარმოდგენილი, 37%-ზე ტყეები, ხოლო დანარჩენი 20% - დასახლებულ პუნქტებს, ჭაობებსა და ბუჩქნარებს, დაცულ ტერიტორიებს, წყალსატევებს, მეურნეობისა და თავდაცვის ობიექტებს უკავია.



ამჟამად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: სახნავი- 26%, მრავალწლიანი ნარგავები - 9%, სათიბი - 5%, საძოვრები - 60%.



როგორც ვხედავთ სახნავ ნაწილს არც თუ ისე დიდი ფართობი უკავია. ამიტომ ხორბლის მოსავალს ვერ გავზრდით სახნავი ფართობის გადიდებით, რამეთუ შეუძლებელია გავანადგუროთ მრავალწლიანი ნერგები ან შევამციროთ სათიბებისა და საძოვრების ფართობი ხორბლის ნათესების გაზრდის ხარჯზე.

ერთადერთი გზა ხორბლის მოსავლის გასაუმჯობესებლად გვრჩება ის, რომ ვიზრუნოთ საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდაზე, რომ ის იყოს საშუალოდ 6 ტონა ერთ ჰექტარზე და არა ერთი ტონა, როგორც ეს 2010 წელს იყო.

საჰექტარო მოსავლიანობა 6 ტონა რომ ყოფილიყო 2010 წელს 48400 ტონის მაგივრად 290400 ტონა მოსავალი მოვიდოდა. მართალია ხორბლის მოცემული რაოდენობა სრულად ვერ დააკმაყოფილებდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, მაგრამ საკმაოდ დიდ შეღავათს მოგვცემდა.

კითხვას, სჭირდება თუ არა ჩვენს ქვეყანას იმპორტული ხორბალი, პასუხი ერთი აქვს - სჭირდება, მაგრამ არა იმ რაოდენობის, რა რაოდენობითაც იგი შემოდის, ვინაიდან ჩვენს ქართულ მიწას აქვს იმის პოტენციალი, რომ საჰექტარო მოსავლიანობა იყოს ბევრად მეტი, ვიდრე ერთი ტონაა. საქართველოს მიწის ფონდი ხომ ნაირგვაროვნებითა და რეგიონული სხვადასხვაობით ხასიათდება. საქართველოში ბევრია ნიადაგი, რომლებიც მაღალნაყოფიერებით გამირჩევიან. ეს განსაკუთრებით ეხება სუბტროპიკულ წითელმიწებსა და ყვითელმიწებს, მთისა და ველის შავმიწებსა და სხვა.

მართალია იმპორტული ხორბლის შემოტანა გვჭირდება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ხორბლის მოსავლის გაზრდა. სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყნის და ხალხის მიზანს უნდა წარმოადგენდეს საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდაზე და ნათესების შენარჩუნებაზე ზრუნვა.

ლიტერატურა:

1. „მემცენარეობა“, პროფესორ ნ. ჩხენკელის რედაქციით, თბ., 1953.
2. აგრონომ-მემინდვრის ცნობარი, ო. ცინცაძის რედაქციით, თბ., 1987.
3. ქართული ენციკლოპედია, 1984.
4. ნ. ელიზბარაშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 2003
5. საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი მე-2, ზ. ტატაშიძის რედაქციით, თბ., 2000.
6. http://www.geostat.ge/

მზის ენერგიის როლი საქართველოს ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მდგრად განვითარებაში

გიორგი ოქროშიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

დედამიწაზე არსებული ენერგორესურსების მარაგი დროთა განმავლობაში მცირდება და აღდგენას არ ექვემდებარება. ეს განსაკუთრებით ეხება ენერგიის არაგანახლებად წყაროებს (ნავთობი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი). მიუხედავად იმისა, რომ ენერგიის არაგანახლებადი წყაროების მარაგის ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ქვანახშირის მარაგი ადამიანებს კიდევ ეყოფათ 225 წლის განმავლობაში, ბუნებრივი აირის მარაგი - 60 წლის განმავლობაში, ნავთობის მარაგი კი მხოლიდ 50 წლის განმავლობაში.

გლობალური დათბობა, რისი გამომწვევი ძირითადი მიზეზი არაგანახლებადი ენერგიის წყაროების ინტენსიური გამოყენების შედეგად ატმოსფეროში ნახშირორჟანგის (CO_2) დიდი რაოდენობით დაგროვებაა, დღევანდელი მსოფლიო საზოგადოების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს. ორგანული სათბობის წვის შედეგად ყოველ წელს მსოფლიოში დაახლოებით 6 მილიარდი ტონა ნახშირორჟანგი გამოიყოფა, რომლის ნახევარზე მეტი არ შთაინთქმება ბიოსფეროთი და ოკეანის ზედაპირით და ატმოსფეროში ილექება. ატმოსფეროში დალექილი CO_2-ის ჭარბი რაოდენობა ქმნის ,,გარსს" ატმოსფეროში, რაც, თავის მხრივ, სათბურის ეფექტს და, შესაბამისად, გლობალურ დათბობას იწვევს დედამიწაზე. ბოლო 50 წლის მანძილზე CO_2 -ის კონცენტრაცია ატმოსფეროში ყოველწლიურად 1,7 ppm-ით იზრდება (ppm - ერთ მილიონზე მოსული წილი, ანუ ერთ მილიონ ლიტრ ატმოსფერულ ჰაერში ყოველწლიურად CO_2 - ის რაოდენობა იმატებს 1,7 ლიტრით) და ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის 500 ppm-ს გადააჭარბებენ. შედეგად პლანეტაზე ტემპერატურა სავარაუდოდ კიდევ 1-3,5 გრადუსით აიწევს.

მდგომარეობის გამოსასწორებლად მეცნიერებმა მრავალი ღონისძიება დასახეს. ევროკავშირის გადაწყვეტილებით, 2020 წლისათვის მისი ქვეყნების ენერგომოხმარების 20% განახლებადი ენერგიის წყაროებს ეფუძნებოდეს. ქვეყნები თავად ირჩევენ რომელს მიანიჭონ უპირატესობა: ჰიდრორესურსებს, მზისა თუ ქარის ენერგიას, გეოთერმულ რესურსებსა თუ სხვას. საქართველოში, ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, 20%-იანი ბარიერი დიდი ხანია გადალახული გვაქვს, ჩვენს ქვეყანაში წარმოებული და მოხმარებული ენერგიის დაახლოებით 85-90% სწორედ ადგილობრივ ჰიდრორესურსებზე მოდის. ამასთან, ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მზის ენერგიის გამოყენების პერსპექტივა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მზის ეფექტური და ხანგრძლივი გამოსხივება საკმაოდ მაღალია. საქართველოს უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს, რაც წელიწადში დღის ხანგრძლივობის მიხედვით, დაახლოებით 1900-2200 საათს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე მზის წლიური ჯამური რადიაცია რეგიონების მიხედვით მერყეობს 1250-1800 კვტ. სთ/მ2 დიაპაზონში, ხოლო მზის საშუალო რადიაცია უტოლდება 4,2 კვტ.სთ/მ2 დღეში. მზის ენერგიის სრული წლიური პოტენციალი საქართველოში შეფასებულია 108 მვტ-ით, რაც წლიურად 34 ათასი ტ. პირობითი სათბობის ეკვივალენტურია. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთი საქართველო გაცილებით მზიანია, ვიდრე დასავლეთი.

ჩვენ მოვიძიეთ 1992 წელს შედგენილი რუკა, რომელზეც აღნიშნულია საქართველოში უღრუბლო ცის მაქსიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში. ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების მრავალწლიანი მონაცემების საფუძველზე მაქსიმალური მოწმენდილი ცის დღეებით (82 დღემდე წელიწადში) ხასიათდება ჯავის, პოღას და საიშის რაიონები. 63-68 მოწმენდილი დღე წლის განმავლობაში მოდის საქარისა და სკრის მიდამოებში. მზის რადიაციის მაქსიმუმიც ამავე რეგიონებშია.



ფრჩხილებში აღნიშნულია უღრუბლო ცის მაქსიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში.

მზე დაახლოებით 4.6 მილიარდი წლისაა. ის დედამიწისგან 150 მილიონი კილომეტრით არის დაშორებული და ენერგიის ამოუწურავი წყაროა. მზის ენერგია არის მზის მიერ გამოსხივებული ენერგია, რომელიც ელექტრომაგნიტური გამოსხივების სახით აღწევს დედამიწამდე. მზის ენერგიის ინტენსივობა ატმოსფეროს საზღვართან დაახლოებით 1,367 კვტ./მ^2 -ის ტოლია. ამ სიდიდეს მზის მუდმივას უწოდებენ. სივრცეში მზე ყველა მიმართულებით რადიალურად ასხივებს. 4.10^{26} ვატს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ზედაპირის ყოველი კვადრატული მეტრი 6.10^7 ვატი სიმძლავრის წყაროს წარმოადგენს. დედამიწაზე მოდის მზიდან გამოსხივებული ენერგიის მხოლოდ 1:2 000 000 000 ნაწილი. გამოსხივებული ენერგიის ნაწილს აირეკლავენ ატმოსფეროს შემადგენელი მყარი, თხევადი და გაზის ფორმის ნაწილაკები, მეორე ნაწილი შთაინთქმება ატმოსფეროს შემადგენელი ნაწილაკების მიერ და გარდაიქმნება სითბოდ. მესამე ნაწილი კი ატმოსფეროს გავლით აღწევს დედამიწის ზედაპირს. დედამიწის ზედაპირამდე მოღწეული მზის ენერგიის სიმძლავრე, მის მიმართ ვერტიკალურად მიმართულ ზედაპირზე დაახლოებით 0,8-1 კვტ/მ^2-ის ტოლია. (დამოკიდებულია განედზე, სიმაღლესა და ამინდზე).

რაოდენობრივად ყველაზე დიდ გამოყენებას მზის ენერგია ჰპოვებს დედამიწის გათბობაში, რითაც გარანტირებულია მიწის ისეთ დონეზე გათბობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს სიცოცხლის იმ ფორმების არსებობა, რაც დედამიწაზეა. ფოტოსინთეზი მცენარეებში მზის ენერგიის გამოყენების მხრივ მეორე ადგილზეა. ორგანიზმების უმრავლესობა, ადამიანების ჩათვლით, პირდაპირ (მცენარეები) და არაპირდაპირ (ხორცისმჭამელები) საზრდოობენ მზის ენერგიით. სხვა მნიშვნელოვანი გამოყენების სფეროა ატმოსფერული წნევის სხვადასხვაობის წარმოქმნა, რასაც ქარების წარმოქმნა მოჰყვება. წყლის ცირკულაცია დედამიწაზე ასევე მზის ენერგიითაა განპირობებული. ამ ,,ბუნებრივი“ ეფექტების გვერდით არსებობს მზის ენერგიის ტექნიკური გამოყენება, უპირველესად ენერგიით მომარაგების მიზნით.

მზის ენერგიის გამოყენება ყველაზე უსაფრთხო ალტერნატივაა. მისგან სპეციალური დანადგარებით იღებენ ელექტრულ ენერგიას, რომელიც არ აჭუჭყიანებს გარემოს. ვიდრე 1953 წელს აშშ-ის აეროკოსმოსურ სააგენტოში მზის ენერგიის ელექტროენერგიად გარდამქმნელ მოწყობილობას შექმნიდნენ, მსოფლიოს უძველეს ხალხებს მზის სისტემის მთავარი პლანეტის ენერგიის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების არაერთი მცდელობა ჰქონდათ. *ჯერ კიდევ ძვ.წ. 400 წელს ძველმა ბერძნებმა შეძლეს ცეცხლის მოპოვება მზის სხივისა და წყლით სავსე მინის ჭურჭლის დახმარებით. ძვ.წ.200 წლისათვის იმავე ბერძნებმა ჩინელებთან ერთად დაიწყეს სფერული სარკის გამოყენება მზის სხივების ფოკუსირებისათვის.* მზის ენერგიის სხვა სახის ენერგიად გარდაქმნა პირველად განხორციელდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფოტოგრაფიის გამოგონებით. აქ, ფოტოგრაფიის შემთხვევაში, მზის ენერგია გარდაიქმნება ქიმიურ ენერგიად. 1839-1876 წლებში ფრანგი და ამერიკელი მკვლევარების (ბეკერელი, სმიტი, ადამსი) მიერ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა მზის ელემენტების შესაქმნელად, მაგრამ მზის ენერგიის აქტიურად გამოყენება მსოფლიომ მაინც XXI საუკუნეში დაიწყო. პირველ წარმატებულ სახელმწიფო პროგრამას, რომელსაც ერქვა ”1000 მზის სახურავი” გერმანიაში, მოჰყვა პროგრამები – ”70 000 მზის სახურავი” იაპონიაში და ”1 000 000 მზის სახურავი” აშშ-სა და ევროკავშირში.

დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მზის ენერგია უკვე ფართოდ გამოიყენება როგორც შენობების ცხელი წყლით მოსამარაგებლად, ასევე გასათბობად.

გერმანიაში, ფრაიბურგში როლფ დიშის მიერ აშენებული ,,ცალფეხა“ ნაგებობა, ჯერჯერობით, მსოფლიოში ,,ყველაზე ეკოლოგიურ სახლად არის აღიარებული“. სახლზე, რომელსაც სახელად ,,ჰელიოთროპი“ (ანუ მზის მოყვარული) ჰქვია, მზის ბატარეები სახურავის დამრეც ზედაპირზეა განლაგებული, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სახლი საკუთარი ღერძის გარშემო ნელ-ნელა ისე ბრუნავს მზის მოძრაობის შესაბამისად, რომ მისი ბატარეები მუდამ მაქსიმალურად იმუხტება.

საკუთარი სახლის გარდა, გერმანელმა გამომგონებელმა ფრაიბურგის სამხრეთ-დასავლეთით მთელი ,,მზის კვარტალი“ შექმნა. აქ განლაგებული 58 საცხოვრებელი სახლისა და საოფისე ნაგებობების უნიკალურობა ისაა, რომ იმაზე მეტ ენერგიას გამოიმუშავებენ, ვიდრე თავად მოიხმარენ. ამ კვარტალს ,,ევროპის ენერგეტიკულად ყველაზე თანამედროვე დასახლების“ ტიტული მიანიჭეს. დასახლებაში ყველა სახლი ხისგანაა აგებული და სპეციალური საიზოლაციო ფენითაა დაფარული. ამგვარი სახლის პატრონს კომპიუტერით დროის ნებისმიერ მომენტში შეუძლია გამოთვალოს რამდენი ენერგია ,,გამოიმუშავა“ მისმა სახლმა და რამდენი დახარჯა. მზის დანადგარების მწარმოებელთა გერმანული ასოციაციის შეფასებით, 2030 წლისათვის სახლებში მზის ენერგიით გათბობის სრული უზრუნველყოფა სტანდარტულ გადაწყვეტად იქცევა.

სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მზის ენერგიაზე მომუშავე ავტომობილები. 2008 წლის 23 დეკემბერს, საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს, რომ ლუის პალმერმა მზის ენერგიაზე მომუშავე მანქანით შემოიარა მსოფლიო.

მზისგან მიღებული ენერგია ეკოლოგიურად სუფთაა და არავითარ ზიანს არ აყენებს გარემოს. მისი გამოყენებით შესაძლებელია დიდი რაოდენობის სითბოს გაზოგვა. მზის ენერგიას იყენებენ ელექტროენერგიის მისაღებად, წყლისა და შენობების გასათბობად.



1. **მზის გამათბობელი (ბატარეა)**
2. ჰაერის გამწოვი
3. კოლექტორის მრიცხველი
4. მზის კოლექტორების მართვის მოდული ШM1
5. მზის კოლექტორების საქაჩავების სექცია
6. მზის კოლექტორების ავზის მრიცხველი

7. სისტემის დაცლის და შევსების სარქველი
8. ორმაგი შემგროვებელი ავზი ШED-750/250
9. შემზავებლის წრედის მართვის მოდული MM
10. შემგროვებელი ავზის მრიცხველი PF
11. 3-განშტოებიანი სარქველი ძრავით
12. ტემპერატურის მრიცხველი გამომავალ ხაზში RLF
13. ავზის ტემპერატურის მრიცხველი
14. საქვაბე დანადგარი მარეგულირებელი მოწყობილობით R2
15. თერმოსტატიკური შემზავებელი
16. შემზავებლის წრედის მიწოდების ხაზის მრიცხველი VF
17. შემზავებლის ხაზის საქაჩავი
18. 3-განშტოებიანი სარქველი ძრავით
19. საქვაბე ავზის შემავსებელი საქაჩავი

წყარო: http://www.eltalis.lt/index.php?id=250

საქართველოში, ყოველ კვადრატულ მეტრზე, წელიწადში 1300 კვტ/სთ მზის ენერგია ხვდება, რაც დაახლოებით 120 ლიტრ დიზელის საწვავს ან 130 კუბ. მეტრ ბუნებრივ აირს უტოლდება. საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის ცხელი წყლის მისაღებად და შესანარჩუნებლად იყენებენ კოლექტორებს, რომლებიც მზის ენერგიას გარდაქმნიან თბურ ენერგიად.

ჰელიოსისტემის მწარმოებლურობა დამოკიდებულია საქართველოს კონკრეტულ რეგიონში მზის გამოსხივების პარამეტრებსა და სისტემის მოხმარების ინტენსივობაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მზის კოლექტორის სისტემის მოწყობის ღირებულება მეტია თბომომარაგების ტრადიციულ სისტემებთან შედარებით. სისტემის მწარმოებლურობა დამოკიდებულია საქართველოს კონკრეტულ რეგიონში მზის გამოსხივების პარამეტრებსა და სისტემის მოხმარების ინტენსივობაზე. ფაქტობრივად, არჩეული მოწყობილობის ტიპისა და მახასიათებლის შესაბამისად, კაპიტალდაბანდების ამოგება ხდება 2-5 წლის განმავლობაში, ხოლო სისტემის შემდგომი გამოყენება შესაძლებელს ხდის მზის დანადგარის მიერ გამომუშავებული ენერგიის უფასოდ მიღებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დღეს უკვე რეალურია დავიწყოთ ენერგოდანახარჯების შემცირება. კვლევები გვიჩვენებს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილი, რომელსაც საქართველო მოიხმარს ენერგიის სახით, სამჯერ აღემატება ევროპის ქვეყნების იმავე მაჩვენებელს. ენერგიის არაეფექტური მოხმარება უშუალო ზემოქმედებას ახდენს ქართული ბიზნესის საწარმოო ხარჯებზე და არახელსაყრელ პირობებში აყენებს მათ მზარდ კონკურენტულ გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ეხმარება მთელ რიგ ქვეყნებს ენერგიის ხარჯვის შემცირებაში. ამ მიზნით EBRD-იმ ადგილობრივ ბანკებს გამოუყო 35 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი მოსახლეობის დასახმარებლად, რათა ენერგოეფექტურ მოწყობილობებში ინვესტიციების განხორციელებით მიიღონ მაქსიმალური სარგებელი, ასევე დაზოგონ თანხები და ენერგია.

საქართველოსთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მზის ენერგიის გამოყენება გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგებისათვის. წინასწარი შეფასებით საქართველოში ერთი 3-5 სულიანი ოჯახის ცხელი წყლით მომარაგების სიმძლავრე შეადგენს საშუალოდ 1,5 კვტ-ს, ხოლო უწყვეტი მუშაობის ხანგრძლივობა - 1300-500 სთ/წელიწადში. მზის დანადგარის სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენს 35-60%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მზის ენერგიის პოტენციალი ცხელი წყლით მომარაგებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი წლის განმავლობაში.

მზის სისტემის წყლის გამაცხელებლების ფასები 850 ლარიდან 16800 ლარამდე ფარგლებში მერყეობს. ისინი წყალს როგორც მზიან ამინდში, ასევე ცვალებადი მოღრუბლულობის დროსაც აცხელებენ, ხოლო ღრუბლიან ან წვიმიან ამინდში ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიშველებაა საჭირო, თუმცა წლის განმავლობაში ეს დიდ ხარჯს არ შეადგენს. ოჯახები, რომლებიც ელექტროენერგიის გადასახადის 25%-ს წყლის გათბობაზე ხარჯავენ, შეძენილი ნივთის საფასურს საშუალოდ 1-1,5 წელიწადში ამოიღებენ.

ცხელი წყლით მომარაგების მიზნით საქართველოში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სტანდარტული ჰელიოსისტემები 200-300 ლიტრი ტევადობის რეზერვუარებით და 2,8-5,6 $მ^2$ ზედაპირის ფართობის მქონე კოლექტორებით, რომელთა ფასები შესაბამისად 3000-4000 ლარია.

რაც შეეხება გათბობას, საქართველოში გათბობის სეზონის ხანგრძლივობის გათვალისწინებით (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი) ჰელიოსისტემის კოლექტორების ზედაპირის ფართობი უნდა შეადგენდეს 16-25 $მ^2$-ს საშუალო ოჯახისათვის. ასეთი პირობების

დასაკმაყოფილებლად 2-3 სტანდარტული ჰელიოსისტემის ერთდროული გამოყენებაა საჭირო, რაც მნიშვნელოვნად აძვირებს სითბური ენერგიის თვითღირებულებას.

საქართველოში მზის ენერგიაზე მომუშავე სადგურების ჯამური სიმძლავრე 1,5 კილოვატიანია. 20-მდე დანადგარი დაყენებულია მონასტრებში, 25 - მაღალმთიან სოფლებში, 50-მდე - კერძო სექტორში.

საქართველოში ელექტროენერგიაზე ამჟამად არსებული ტარიფებისა და სითბური ენერგიის მიღების შესაძლო ფასების პირობებში, ჰელიოსისტემის კონკურენტიანობა, დაბალია გენერაციის სხვა საშუალებებთან შედარებით, თუმცა სავარაუდოა, რომ მომავალში მზის ენერგიის გამოყენების პოტენციალი მკვეთრად გაიზარდოს. მზის ენერგიის გამოყენება, პირველ რიგში, მიუდგომელი, მაღალმთიანი ადგილებისათვის არის მოსახერხებელი.

მომხმარებლის დაინტერესებას უმთავრესად კომერციული სტრუქტურები ცდილობენ, მაგრამ დარგის განვითარებას სახელმწიფო ხელშეწყობაც სჭირდება. ამ ბიზნესს რომ ხელი შეეწყოს და ეს ტექნოლოგია დაინერგოს, პირველ რიგში, საჭიროა ინფორმაციულ დონეზე ბაზრის შესწავლა. მომხმარებელს უნდა ავუხსნათ, რა დაუჯდება, რამდენს დაზოგავს და რამდენად არის მომგებიანი. წყალგამაცხელებელი ფუფუნება კი არა, ეკონომიურია. ამას ისიც ემატება, რომ ჩვენ არა გვაქვს ადგილობრივი გაზი და ნავთობპროდუქტები, დამოკიდებული ვართ გარე რესურსებზე, ჰიდრორესურსი კი დიდი გვაქვს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი – მთლიანი ენერგომოხმარების წილში დაახლოებით 20% უჭირავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო ლიბერალური ეკონომიკის გზას ადგას და განსაკუთრებულად არც ერთ სფეროს არ ლობირებს, განახლებადი ენერგიების გამოყენება ჩვენი ქვეყნის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა, ჰიდროენერგეტიკა ჩვენი პრიორიტეტია. მზის ენერგიის გამოყენება ორი მიზნით შეიძლება – შეგვიძლია ამ ენერგიით გავათბოთ წყალი და მივიღოთ ელექტროენერგია. მეორე ძვირი ფუფუნებაა და მას თავისი კონკრეტული მომხმარებელი ჰყავს. მარტივი ჰელიოსისტემის გაკეთება, მონდომების შემთხვევაში, პლასტმასის ბოთლებისგანაც კი შესაძლებელია. თუმცა არსებობს მზა მოწყობილობები, რომელთა ფასი ქართულ ბაზარზე 800 ლარიდან იწყება და 2000 ლარამდე ადის. ასეთი სისტემა ოთხსულიან ოჯახზეა გათვლილი და 120 ლიტრ წყალს აცხელებს. მზის წყალგამაცხელებელი სისტემა 75-84%-ით ფარავს მომხმარებლის წლიურ მოთხოვნას ცხელ წყალზე. შესაბამისად, იკლებს წყლის გაცხელებაზე არსებული დანახარჯებიც.

ამრიგად, საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ მზის ენერგიის გამოყენების როგორც დადებითი მხარეები, ასევე პრობლემები:

<u>მზის ენერგიის გამოყენების დადებითი მხარეები შემდეგი სახისაა:</u>

1. მზის ენერგია განახლებადი წყაროა;
2. მზის ენერგიის სხვა სახის ენერგიად გარდაქმნისას არ ხდება გარემოს დაბინძურება;
3. მზის სადგურის დაყენების შემდეგ, მისი ღირებულება 5-დან 20 წლამდე ვადაში ანაზღაურდება, ამის შემდეგ მიღებული ენერგია უფასოა.

<u>მზის ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები:</u>

1. მზის პანელების მაღალი თვითღირებულება და, შესაბამისად, მაღალი ფასი;
2. ელექტროენერგიის წარმოება მხოლოდ დღის სინათლეზეა შესაძლებელი;
3. მზის ენერგიიდან სხვადასხვა ფორმის ენერგიის მიღების ეფექტურობა დამოკიდებულია ამინდზე.

ეჭვგარეშეა, რომ მიუხედავად არსებული პრობლემებისა, მზის ენერგიის გამოყენება წარმოადგენს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთ საუკეთესო პოტენციალს.

ლიტერატურა:

1. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, №9-10, 1992. გვ. 18
2. ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროები, ორჰუსის ცენტრი საქართველოში, 2008. გვ. 3-6
3. Zeitung fur Solarwoirme. 2007 jahr
4. www.waerme-von-der sonne.ge
5. http://www.eltalis.lt/ge/solar-energy

ელექტრო ენერგიის გამოყენება ყოფა-ცხოვრებაში (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

მერი ტერუნაშვილი
განათლების, ზუსტდასაბუნებისმეტყველომეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე,** სრული პროფესორი

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ცივილიზაციის განვითარება შეიძლება დაიყოს გარკვეულ ეტაპებად იმის მიხედვით, თუ რა ენერგიებს იყენებს ადამიანი ყოფა-ცხოვრებაში. ამ მოსაზრების მიხედვით ადამიანის ცივილიზაციის ბოლო ეტაპი იქნება, როდესაც ის თავის ყოფა-ცხოვრებაში ყველგან გამოიყენებს ატომურ და ბირთულ ენერგიებს, ხოლო ამ ეტაპის წინა ეტაპია ელექტრული ენერგიის გამოყენება ადამიანის ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში, რომელშიც დღეს ვიმყოფებით.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ელექტრული ენერგიის როლი უდიდესია. ყველა სხვა სახის ენერგიათა შორის ელექტრულ ენერგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში. ელექტრული ენერგიის გამომუშავება სამრეწველო სიხშირის ცვლადი სამფაზა დენის სახით ატომურ, ჰიდრო და თბოელექტროსადგურებში ხდება.

თანამედროვე მოძღვრება ელექტრული მოვლენების შესახებ სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის მეცნიერთა ხანგრძლივი და შეუპოვარი შრომის შედეგია. ელექტრულ მოვლენათა შესახებ მეცნიერული ცოდნის გამდიდრების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: მ. ვ. ლომონოსოვი, ე. ქ. ლენცი, ბ. ს. იაკობი, ვ. ვ. პეტროვი, მ. ფარადეი, ა. ამპერი, მ. ფრანკლინი, გეორგ ვილჰელმ რიჰმანი, პ. ნ. იაბლოჩკოვი, ი. ვ. უსაგინი და სხვები.

ელექტრონიკა თავის ისტორიულ სათავეებს უხსოვარი დროიდან იღებს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2000 წლის წინ ბერძენი ფილოსოფოსი თალესი აკვირდებოდა ელექტრულ მოვლენებს, რომლებიც ახასიათებდნენ ზოგიერთ საგნებს, მაგრამ ელექტროტექნიკის მეცნიერების საწყისად მაინც ითვლება 1600 წელი, როდესაც გამოქვეყნდა ინგლისელი ექიმის ვილჰელმ ჯილბერტის (1540–1603) ელექტრული და მაგნიტური მოვლენების პირველი თეორიული დასაბუთებანი. მასვე ეკუთვნის „ელექტრობის“ ტერმინის შემოღება, რომელიც წარმოებულია ბერძნული სიტყვიდან „ელექტრონი“, რაც ქარვას ნიშნავს. პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ელექტროტექნიკაში გადაიდგა მხოლოდ XVIII საუკუნეში. ლომონოსოვისა და რიჰმანის გამოკვლევებმა, ინგლისელი ბენჟამინ ფრანკლინის (1706–1790) გამოკვლევებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ატმოსფერული ელექტრობის შესწავლას და შესამჩნევი ბიძგი მიეცა ელექტროტექნიკის განვითარებას. მეტად მნიშვნელოვანია ის წვლილი, რომელიც XIX საუკუნის 70–იან წლებში ელექტროტექნიკისა და კერძოდ, ელექტრული განათების საქმეში შეიტანეს რუსმა გამომგონებლებმა პ. ნ. იაბლოჩკოვმა (1847–1894) და ა. ნ. ლოდიგინმა (1847–1923).

ელექტრული ენერგიის ერთ დიდ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელია მისი გადაცემა შორ მანძილზე, მაგრამ ასეთი ოპერაცია დაკავშირებულია ენერგიის დანაკარგებთან, სითბოს გამოყოფის სახით სადენებიდან. ჯოულ–ლენცის კანონი **$Q=0.24\ I^2Rt$** გვიჩვენებს, რომ სითბური დანაკარგები შეიძლება შემცირდეს ან გაყვანილობის წინაღობის შემცირებით ან დენის სიდიდის დაკლებით. შორ მანძილზე გაყვანილობის წინაღობის შემცირება არახელსაყრელია ეკონომიურად და უხერხულია ტექნიკური თვალსაზრისით, ამიტომ მიმართავენ გადასაცემი დენის სიდიდის შემცირებას. ამასთან, ენერგიის მუდმივობის კანონის თანახმად შესაბამისად იზრდება ძაბვა, ჯოულ–ლენცის კანონიდან აგრეთვე ჩანს, რომ დენის შემცირება n-ჯერ სითბურ დანაკარგებს n^2-ჯერ ამცირებს.

იქ, სადაც ელექტროენერგიის მიღება ხდება, ზრდიან ძაბვას და ამცირებენ დენს. ელექტროენერგიის მომხმარებელთან კი ამცირებენ ძაბვას და ზრდიან დენს, რის გამოც ელექტროსადგურებში გამომუშავებული სიმძლავრე (P=IU) უმნიშვნელო დანაკარგებით აღწევს მომხმარებლამდე. დანადგარს, რომლის მეშვეობითაც ერთი ძაბვის ცვლადი დენი გარდაიქმნება მეორე ძაბვის ცვლად დენად ტრანსფორმატორი ჰქვია. ტრანსფორმატორი (ლათინური transformo - გარდამქმნელი) არის სტატიკური ელექტრომაგნიტური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ელექტრომაგნიტური ინდუქციის საშუალებით ცვლადი დენის წრედში ერთი ძაბვის მეორე ძაბვად გარდაქმნისთვის, სიხშირის შეუცვლელად და მცირე სიმძლავრის დანაკარგებით.

ტრანსფორმატორის იდეა პირველად ჩაისახა რუსეთში და იგი ეკუთვნის „რუსული შუქის“ გამომგონებელს პ. ნ. იაბლოჩკოვს. ამ იდეის შემდგომი დამუშავება ეკუთვნის მოსკოვის უნივერსიტეტის

ასისტენტს ი. ფ. უსაგინს, რომელმაც ააგო პირველი ტრანსფორმატორი და 1882 წელს აჩვენა იგი მოსკოვში სამრეწველო გამოფენაზე.

ტრანსფორმატორი შედგება ერთი ან რამდენიმე კოჭისაგან, რომელზეც დახვეულია იზოლირებული გამტარები და მოქცეულია ერთიან მაგნიტურ ველში. ეს გამტარები დახვეულია მაგნიტურ გულარზე, რომელიც დამზადებულია ფერომაგნიტური მასალისაგან.

ტრანსფორმატორის მუშაობას საფუძვლად უდევს ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენა. ტექნიკური ტრანსფორმატორის გულარი შედგება ფოლადის ცალკეული ფირფიტებისაგან, რომლებიც შეკრულია ამა თუ იმ ფორმის ჩაკეტილი ჩარჩოს სახით. გულარზე დახვეულია ორი გრაგნილი ხვეულების სხვადასხვა რიცხვით. გრაგნილებს აქვთ მცირე წინაღობა და დიდი ინდუქციურობა. ერთ–ერთი გრაგნილის ბოლოებს (ამ გრაგნილს პირველადი ვუწოდოთ) მოვდოთ ცვლადი U_1 ძაბვა (ქსელიდან ან გენერატორიდან) გრაგნილში გაივლის ცვლადი I დენი, რომელიც დაამაგნიტებს გულარის ფოლადს და მასში წარმოშობს ცვლად მაგნიტურ ნაკადს. ამ დენის დამამაგნიტებელი მოქმედება ამპერ–ხვეულების რიცხვის (IW_1) პროპორციულია.

ტრანსფორმატორის პირველადი გრაგნილის ბოლოთა შორის ძაბვის სიდიდე ისე შეეფარდება მეორეული გრაგნილის ბოლოთა შორის ძაბვის სიდიდეს, როგორც პირველადი გრაგნილის ხვეულების რიცხვი მეორეული გრაგნილის ხვეულების რიცხვს: $\frac{U_1}{U_2} = \frac{W_1}{W_2} = K$

მუდმივ K სიდიდეს ტრანსფორმატორის ტრანსფორმაციის კოეფიციენტი ეწოდება. დენი პირველად კოჭაში იმდენჯერ ნაკლებია (ან მეტია) დენზე მეორეულ კოჭაში, რამდენჯერაც ძაბვა მეორეულ კოჭაში მეტია (ან ნაკლებია) ძაბვაზე პირველად კოჭაში $\frac{I_1}{I_2} = \frac{U_2}{U_1}$.

იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ძაბვის ამაღლება, მეორეული გრაგნილი უნდა შეიცავდეს ხვეულების დიდ რიცხვს (სამაღლებელი ტრანსფორმატორი); იმ შემთხვევაში კი, როდესაც საჭიროა ძაბვის დადაბლება, ტრანსფორმატორის მეორეული გრაგნილი უნდა შეიცავდეს ხვეულების მცირე რიცხვს (სადაბლებელი ტრანსფორმატორი).

ენერგიის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონის თანახმად მეორეულ წრედში დენის სიმძლავრე პირველადი წრედის სიმძლავრის ტოლია. ამრიგად, ადგილი უნდა ჰქონდეს შემდეგ ტოლობას:

$$I_1U_1 = I_2U_2$$

სინამდვილეში ეს ტოლობა ირღვევა, ვინაიდან ტრანსფორმატორის მუშაობის დროს ენერგია იხარჯება ტრანსფორმატორის გრაგნილების გათბობაზე, გულარში გრიგალური დენების აღძვრაზე და გულარის გადამაგნიტებაზე. მაგრამ ეს დანაკარგები მცირეა.

ტრანსფორმატორი მიეკუთვნება ენერგიის სრულყოფილ გარდამქმნელთა რიცხვს. თანამედროვე მძლავრი ტრანსფორმატორის მარგი ქმედების კოეფიციენტი აღწევს 94–99%–ს.

ისე, როგორც წყალსადენიდან მეტი ან ნაკლები წყლის დენის მოშვებისათვის სათანადოდ შემოვაბრუნებთ ონკანს, რითაც ან ვამცირებთ ანდა ვადიდებთ წინაღობას წყლის გამოდინებისათვის, ელექტრულ წრედშიც დენის სასურველი მიმართულებით შეცვლისათვის იხმარება ხელსაწყო, რომელიც ელექტრულ წრედში „ონკანის“ როლს ასრულებს. ასეთ ხელსაწყოს რეოსტატი ეწოდება. რეოსტატი წარმოადგენს ხელსაწყოს, რომლის საშუალებით შეიძლება წრედში დენის ძალის ცვლა უცვლელი ძაბვის დროს. რეოსტატი საშუალებას გვაძლევს წრედში ჩავრთოთ ამა თუ იმ წინაღობის გამტარი, რათა მივიღოთ ჩვენთვის სასურველი დენი. რეოსტატი პირველად შექმნა რუსმა მეცნიერმა იაკობიმ 1841 წელს. არსებობს სხვადასხვა სახის რეოსტატები: ბერკეტიანი, მოსრიალე კონტაქტიანი და სხვა. სახელურიანი რეოსტატით წინაღობის ცვლილება ნახტომებით ხდება. თუ გვსურს, რომ წინაღობა, მაშასადამე დენის სიდიდეც თანდათანობით ე.ი. მდოვრედ იცვლებოდეს, უნდა გამოვიყენოთ ე.წ. რეოსტატი მოსრიალე კონტაქტით. ამ თვისების გამო ხშირი გამოყენება აქვს ამ რეოსტატს. თუ წრედში ჩართული წინაღობა იზრდება, ე.ი. მცირდება დენის სიდიდე. რეოსტატს დიდი გამოყენება აქვს სხვადასხვა სამართავ ელექტრო მოწყობილობებში (ტელევიზორი, რადიომიმღები), კვლევით ლაბორატორიებში და სხვა.

თანამედროვე ტექნიკაში ძირითადად ნახევარგამტარულ დიოდებს იყენებენ, ისინი ფართოდ არიან გამოყენებული ცვლადი დენის გასამართავად. მათ ამზადებენ ძირითადად გერმანიუმისაგან, ან სილიციუმისაგან. გერმანიუმის დიოდი დამზადებულია გერმანიუმის მონოკრისტალისაგან, რომლის n გამტარობის გაზრდისათვის მინარევებს (ინდიუმი, დარიშხანი, სტიბიუმი და სხვა) უმატებენ. დანიშნულების მიხედვით დიოდი არსებობს სხვადასხვა სახის: გამმართველი დიოდი, გვირაბული დიოდი, შუქდიოდი, ფოტოდიოდი და სხვა.

ტრანსფორმატორი, რეოსტატი, დიოდი, ეს არ არის იმ ელექტროხელსაწყოების სრული ჩამონათვალი, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს. ბევრმა ჩვენგანმა არ იცის რისი მეშვეობით ციმციმებს საახალწლო ნათურები, რისი გამოყენებით ვსარგებლობთ რადიოს მრავალი

სხვადასხვა არხით და სხვა, ამ თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ სინამდვილეში ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტენ ისეთი ელექტროხელსაწყოები, როგორებიც არიან: გერკონი, სტარტიორი, კონდენსატორი, დროსელი და სხვა.

გერკონი – ნიშნავს გერმეტიულ კონტაქტებს, რომელიც მოთავსებულია შუშაში ანუ შუშით დაცული კონტაქტებია. მასში მოთავსებულია 2 კონტაქტი ერთმანეთისაგან მოცილებული. ბუნებრივი მაგნიტის მიახლოებისას ხდება ამ ორი კონტაქტის ერთმანეთთან ჩართვა. დიდი გამოყენება აქვს ავტომატიკაში.

სტარტიორი – შუშის ბალონი, რომლიდანაც ჰაერი გამოტუმბულია. მასში მოთავსებულია 2 კონტაქტი, ერთი ბიმეტალური ფირფიტა ღუნვადია, რომელიც დენის გავლის შემთხვევაში განიცდის დეფორმაციას და ეხება მეორე კონტაქტს. იგი გამოიყენება ლუმინისცენციური ნათურის ანთებისათვის, საახალწლო ნათურების ციმციმისათვის.

სისტემას, რომელიც შედგება გარკვეული ფორმის მქონე გამტარებისა და მათ შორის მოთავსებული დიელექტრიკისაგან, კონდენსატორი ჰქვია, კონდენსატორი არის ორი გამტარი, რომლებსაც ერთმანეთისაგან გამოყოფს დიელექტრიკი, რომლის ზომებიც გამტართა ზომებთან შედარებით მცირეა.

იმის მიხედვით, თუ როგორია გამტართა ფორმა და დიელექტრიკის სახე, ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა კონდენსატორთან. არსებობს ბრტყელი, ცილინდრული, სფერული, ელექტროლიტური და სხვა სახის კონდენსატორები. უფრო ხშირად გვხვდება ბრტყელი კონდენსატორები. ბრტყელი კონდენსატორი წარმოადგენს დიელექტრიკით განცალკევებული ლითონის ორბრტყელპარალელურ ფირფიტას, რომელიც დამუხტულია სიდიდით ტოლი და საწინააღმდეგო ნიშნის მუხტებით. ფირფიტებს შორის მოთავსებული დიელექტრიკის სისქის ცვლილება აგრეთვე ცვლის გამტარის ტევადობას, ელექტროტევადობა მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო თხელი იქნება ფირფიტებს შორის მოქცეული დიელექტრიკის ფენა. კონდენსატორი გამოიყენება გარკვეული ტევადობის მისაღებად სხვადასხვა ელექტრულ მოწყობილობებში. მისი დანიშნულებაა ელექტრული ველის ენერგიის დაგროვება. ის პასიური ელექტრონული კონპონენტია.

კონდენსატორის ელექტრული ველი ფირფიტებს შორის არის მოთავსებული, ამიტომ გარე სხეულები კონდენსატორის ტევადობაზე გავლენას ვერ ახდენენ. კონდენსატორის ტევადობა ელექტრულ სქემებში ძირითადად მითითებულია მიკროფარადებში (მკფ), თუმცა არსებობს სხვა ერთეულებიც. მაგალითად: ფარადი, ნანოფარადი და ა.შ. კონდენსატორის დამუხტვა შეიძლება აკუმულატორით დაძაბვის სხვა წყაროს მეშვეობით, რისთვისაც კონდენსატორის ერთ–ერთ ფირფიტას მიაერთებენ ძაბვის დადებით პოლუსთან, მეორე ფირფიტას კი ძაბვის უარყოფით პოლუსთან.

კონდენსატორებს ფართო გამოყენება აქვს კავშირგაბმულობის ტექნიკაში, რადიოტექნიკაში და აგრეთვე ცვლადი დენის წრედში. თავისი დანიშნულების მიხედვით არსებობს მუდმივი და ცვლადი ტევადობის კონდენსატორები. რადიოტექნიკაში ფართოდ გამოიყენება ე.წ. ცვალებადი ტევადობის კონდენსატორი, რომელიც შედგება ერთიმეორისაგან იზოლირებული ფირფიტების ორი სისტემისაგან უძრავისა და მოძრავისაგან. მოძრავი ფირფიტების გარკვეული კუთხით შემობრუნებით შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ ისინი გადაიფარონ უძრავი ფირფიტებით ან მთლიანად ან ნაწილობრივ, რაც მისი ტევადობის ცვალებადობას იწვევს. არსებობს ე.წ. ელექტროლიტური კონდენსატორი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მუდმივი ძაბვებისათვის, სხვა კონდენსატორებისგან განსხვავებით მას ახასიათებს პოლარულობა. მისი ტევადობა რამდენიმე ათას მიკროფარადს აღწევს.

ელექტრო ტექნიკურ და რადიო მოწყობილებებში, ფართო გამოყენება ჰპოვა დროსელმა. იგი წარმოადგენს რკინის გულარს, რომელზეც დახვეულია მხოლოდ ერთი კოჭი. დროსელი წარმოადგენს ცვლადი დენის მიმართ ინდუქციურ წინააღმდეგობას. მას გამოიყენებენ გაზმნათ ნათურებში დენის შეზღუდვისათვის. ცვლადი დენიდან რომ მივიღოთ ზუსტი ხარისხიანი მუდმივი დენი, ამისათვის საჭიროა დიოდების შემდეგ მიღებული დენი გაიფილტროს ელექტროლიტური კონდენსატორითა და დროსელით.

ელექტრობა მჭიდროდაა დაკავშირებული მაგნეტიზმთან. ამის მიზეზი ისაა, რომ ორივე ელექტრონების ქცევაზეა დამოკიდებული. რომ არა მაგნეტიზმი, ბევრი, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივი ნივთი არ იარსებებდა. ყველა ელექტროხელსაწყო, რომელსაც ოჯახში ვიყენებთ, დენზე მუშაობს. ელექტრულ დენს კი გენერატორები უზარმაზარი მაგნიტების საშუალებით გამოიმუშავებენ. მაგნეტიზმი ბუნებაში არსებული ძალაა, რომელსაც ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ იცნობდნენ. სანამ მეცნიერები მაგნეტიზმის პრინციპებს აღმოაჩენდნენ, ის მაგიურ ძალად ითვლებოდა. მაგნეტიზმს მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება შეუძლია. სხეული შეიძლება მაგნიტი იყოს თუ მისი ელექტრონები ერთი მიმართულებით ბრუნავს. როცა მავთულში ელექტრული დენი გადის მის გარშემო მაგნიტური ველი ჩნდება. მეორე მხრივ, მაგნიტურ ველში მავთულის მოძრაობის შედეგად მავთულში დენი ჩნდება. ორივე ეს მოვლენა ბევრ თანამედროვე ელექტრულ მოწყობილობაში გამოიყენება. მაგალითად

ტელევიზორის ეკრანზე გამოსახულება მილაკში მოთავსებული მაგნიტების მეშვეობით იცვლება. ელექტრობასა და მაგნეტიზმს შორის მჭიდრო კავშირის არსებობა პირველად 1820 წელს დანიელი მეცნიერის, ჰანს ქრისტიან ერსტედის, მიერ იქნა შემჩნეული, მან შეამჩნია, რომ როდესაც მავთულში დენი გადიოდა, მასთან ახლოს მოტანილი კომპასის ისარი იხრებოდა. მოგვიანებით, საფრანგეთში, ანდრე ამპერმა აღმოაჩინა, რომ სადენებს, რომლებშიც ელექტრული დენი გადიოდა, მაგნიტებივით შეეძლოთ ერთმანეთის მიზიდვა და განზიდვა. დღეისათვის ეს პრინციპი ძლიერი მაგნიტის დასამზადებლად გამოიყენება, რომლებსაც ელექტრომაგნიტები ეწოდება.

ელექტრომაგნიტი რკინის გულარზე დახვეული მავთულის კოჭაში დენის გატარებით მიიღება და დენის გამორთვისთანავე მაგნიტურობას კარგავს. რაც მეტია კოჭას ხვიათა რიცხვი მოცემული დენის ძალისათვის, მით მეტია მისი მაგნიტური მოქმედება და რაც მეტი დენი გაივლის კოჭაში უცვლელი ხვიათა რიცხვის შემთხვევაში, მით მეტია კოჭას მაგნიტური ველი, ე.ი. დენიანი კოჭას მაგნიტური ველის გაძლიერება შეიძლება, მისი ხვიათა რიცხვის ან მასში დენის ძალის გაზრდით. დენიან კოჭაში რკინის ან ფოლადის გულარის მოთავსება რამდენჯერმე ზრდის კოჭას მაგნიტურ ველს. ელექტრომაგნიტის მაგნიტური ველი შეიძლება გაცილებით ძლიერი იყოს მუდმივ მაგნიტის მაგნიტურ ველზე. ელექტრომაგნიტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ასევე მაგნიტური ველის სიძლიერით და დანიშნულებითაც. დანიშნულების მიხედვით ელექტრომაგნიტებს ამზადებენ სხვადასხვა ზომისა და ფორმისას.

ელექტრომაგნიტს დიდი გამოყენება აქვს პრაქტიკაში. მაგალითად იგი გამოიყენება ელექტროზარში. ელექტროზარს აქვს ნალისებრი ელექტრომაგნიტი. მისი პოლუსების წინ ფოლადის ზამბარაზე დამაგრებულია რკინის ფირფიტა – ღუზა, ღუზაზე კი – ჩაქუჩი, რომელიც რხევის დროს არტყამს ზარის ფინჯანს. ღუზაზე დამაგრებულია საკონტაქტო ზამბარა, რომელიც ეხება ხრახნს. ელექტრულ წრედში ზარი ჩაირთვება ორი მომჭერით. ელექტრულ წრედში ელექტროზარის ჩართვისას დამაგნიტდება ელექტრომაგნიტის გულარი და ღუზას მიიზიდავს, რის შედეგადაც საკონტაქტო ზამბარა მოსცილდება ხრახნს და წრედი განირთვება. ელექტრომაგნიტის გულარი განმაგნიტდება და ზამბარა ღუზას ძველ მდებარეობაში დააბრუნებს, წრედი კვლავ შეიკვრება, გულარი დამაგნიტდება, მიიზიდავს ღუზას და ყველაფერი თავიდან განმეორდება, სანამ ზარი ჩართულია დენის წყაროსთან, წრედი ავტომატურად ხან განირთვება, ხან ჩაირთვება, ღუზა ირხევა ელექტრომაგნიტის მოქმედებით და შესაბამისად პერიოდულობით ჩაქუჩი არტყამს ფინჯანს და ზარი განუწყვეტლივ რეკავს. ზარი ელექტრული წრედიდან ამოირთვება სპეციალური ღილაკით. ელექტრო ზარებს იყენებენ მრეწველობაში ავტომატური სიგნალიზაციის სისტემაში, რკინიგზაზე, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის ხაზებში, ყოფა-ცხოვრებაში და სხვა.

სოფლის მეურნეობისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ავტომატიკაში, ფართოდ არის გამოყენებული ელექტრომაგნიტური ხელსაწყო, რომელსაც რელე ჰქვია. რელე ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ხელახლა შებმას. ყოველგვარი რელეს ძირითადი ნაწილია ელექტრომაგნიტი. ელექტრომაგნიტური რელე წარმოადგენს ელექტრომაგნიტურ ხელსაწყოს, რომელიც მუშაობს სუსტი დენით. რელე ფართოდ არის გამოყენებული ტექნიკის ყველა დარგში – ავტომატურ რეგულირებაში, წარმოების ავტომატიზაციაში და ა.შ. რელეს ფართო გამოყენება განპირობებულია მისი ძირითადი თვისებით – მომუშავე ელექტროწრედებში საკმაოდ მძლავრი პროცესების მართვის შესაძლებლობა სუსტი დენების მეშვეობით. რელეს ასამოქმედებლად საკმარისი დენი ბევრად უფრო ნაკლებია იმ დენზე, რომლითაც ძრავა იკვებება. ამიტომ მართვის პულტიდან რელემდე გაყვანილი სადენები შეიძლება მცირე კვეთისა იყოს. რელეს საშუალებით ქალაქის ერთი ცენტრალური პულტიდან ყოველდღიურად ჩართავენ და ამორთავენ ქუჩის განათებას. მრავალ მოწყობილობაში რელეს პირველადი წრედი ადამიანის გარეშე ჩაირთვება და ამოირთვება – ავტომატურად; ასეა მოწყობილი მაგალითად, ავტომატური სახანძრო სიგნალიზაცია, ინკუბატორები, სადაც ხდება ტემპერატურის ავტომატურად რეგულირება და სხვა.

სატელეფონო კავშირის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის ცხოვრება თანამედროვე საზოგადოებაში. ყველასთვის კარგადაა ცნობილი ტელეფონის მილი, რომელიც ტელეფონით ლაპარაკის დროს უჭირავთ ხელში. მილის ზედა ნაწილში, რომელიც ყურზე აქვთ მიდებული, მოთავსებულია საკუთრივ ტელეფონი (ტელეფონი ბერძნული სიტყვაა, „ტელე“ ნიშნავს შორს, „ფონე“ ბგერას), ხოლო ქვედაში – მიკროფონი (მიკროფონი ბერძნული სიტყვაა, „მიკრო“ ნიშნავს – მცირეს, „ფონე“ – ბგერას), რომელიც აითვისებს ადამიანის ხმის ბგერებს და იწვევს წრედში დენის სათანადო ცვლილებას. მიკროფონი და ტელეფონი შეერთებულია საერთო წრედით ასეთივე ხელსაწყოსთან, რომელიც მოთავსებულია სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოში. მთლიანად ტელეფონის სისტემა კი ჩართულია დენის წყაროსთან.

ბგერის გადაცემა მანძილზე არის რხევითი მოძრაობის გადაცემა მანძილზე. გადაცემისას ბგერა რომ არ დამახინჯდეს, საჭიროა გადაცემული რხევის სიხშირის შენარჩუნება. მიკროფონს აქვს ლითონის

პატარა კოლოფი, რომელშიც კორპუსიდან იზოლირებულად დამაგრებულია ნახშირის ხუნდი. მას აქვს ჩაღრმავებული ადგილები, რომლებშიც ჩაყრილია ნახშირის ფხვნილი. ზემოდან კოლოფი დახურულია ნახშირის თხელი ფირფიტით – მემბრანით. ელექტრული დენი გადის ლითონის ხრახნისა და კორპუსის საშუალებით, როდესაც მიკროფონის მემბრანაზე არ ეცემა ბგერითი ტალღები, ნახშირის ფხვნილის წინაღობა არ იცვლება და დენი წრედში მუდმივი რჩება. მიკროფონის მემბრანაზე დაცემული ბგერითი ტალღები იწვევენ მის რხევებს. მემბრანის რხევა იწვევს ფხვნილის ცალკეულ მარცვლებს შორის კონტაქტის სიმკვრივის ცვლილებას. ამის გამო მიკროფონში ფხვნილის წინაღობა იცვლება, რაც იწვევს წრედში დენის ცვლილებას და ეს ცვლილება მემბრანის რხევების შესაბამისად წარმოებს. მიკროფონის წრედში ელექტრო დენი პულსაციას განიცდის. ამრიგად მიკროფონში ბგერითი ტალღები იწვევს იმ ელექტროდენის ცვლილებას, რომელიც გამტარების საშუალებით ტელეფონს გადაეცემა. ტელეფონში არის ორი პატარა ელექტრომაგნიტი წვრილი იზოლირებული მავთულის გრაგნილებით. ელექტრომაგნიტის გულარები მოთავსებულია ფოლადის მაგნიტის პოლუსებზე და ამიტომ იგი ყოველთვის დამაგნიტებულია. ელექტრომაგნიტების წინ მოთავსებულია რკინის თხელი მემბრანა, რომელსაც იზიდავს გულარები და ამიტომ იგი ოდნავ ჩაღუნულია. მემბრანას ადევს დახურულ ხვრელებიანი სახურავი, რომელსაც ყურზე იდებენ ტელეფონთან საუბრის დროს, როდესაც ტელეფონის ელექტრომაგნიტის გრაგნილებში გაივლის მიკროფონში აღძრული ბგერის სიხშირის შესაბამისი ცვლადი დენი, მემბრანა სხვადასხვანაირად მიიზიდება. ის ხან მეტად ჩაიღუნება, ხან რამდენადმე სწორდება, მაშასადამე ირხევა და რხევის სიხშირე მიკროფონის მემბრანის რხევის სიხშირეს უდრის, ამიტომ ტელეფონი იმავე ბგერებს გამოსცემს, რომელებიც წარმოითქმის მიკროფონის წინ.

და ბოლოს, ელექტრობა არა მარტო ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, არამედ ჩვენს სხეულებშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან ჩვენი სხეულები სავსეა ელექტრული მუხტებით. ჩვენი ტვინის 10 მილიარდი უჯრედი ერთმანეთს ელექტრული იმპულსებით სხვადასხვა სიგნალებს უგზავნის. ამ ნაშრომის წაკითხვა ასობით ასეთ იმპულსს გამოიწვევს, როცა თქვენი თვალები ტვინს სიგნალებს გადასცემს.

ლიტერატურა:

1. ა. ვ. პერიშკინი, ფიზიკის კურსი, თბ., 1972.
2. ჯ. ბენდელიანი, დენის ნახევარგამტარული გარდამქმნელები, თბ., 1976.
3. გ. ანანიაშვილი, ზოგადი ელექტროტექნიკის კურსი, ნაწილი I, თბ., 1974.
4. ვ. ვაშაყმაძე, ფიზიკა, თბ., 1985.
5. ფ. ხუციშვილი, ფიზიკა, თბ., 1978.
6. ოქსფორდის ილუსტრირებული სამეცნიერო ენციკლოპედია, გია ქარჩხაძის გამომცემლობა, 2005.
7. ვლ. ჯაფარიძე, ფიზიკის კურსი, მეორე ნაწილი, 1966.

ინტერნეტ–რესურსი:

http://ka.wikipedia.org/wiki/დიოდი
http://ka.wikipedia.org/wiki/ტრანსფორმატორი
http://www.ieeetsu.ge/wp-content/uploads/2010/12/tevadoba.pdf
http://shalva.ucoz.org/index/k_ondensat_ori/0-17
http://www.ccig.org.ge/fforum/lofiversion/index.php/t16.html

გლობალური დათბობა და მისი გამომწვევი მიზეზები

გიორგი ჩილინდრიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი**, სრული პროფესორი

XXI საუკუნის თაობას მრავალი გლობალური პრობლემის გადაწყვეტა მოუწევს, რომელთა უმრავლესობა ეკოლოგიურ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მათგან ერთ-ერთი საშიში მოვლენაა გლობალური დათბობა „სათბურის ეფექტი“, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ატმოსფეროში

სხვადასხვა აირების (CO_2, CH_4, NO, NO_2, NO_3, N_2O, SO_2, ფრეონები), უმთავრესად კი ნახშირორჟანგის კონცენტრაციის მომატებასთან.

ატმოსფეროში CO_2-ის კონცენტრაცია პირველად კოლენდარმა შეამჩნია. აღნიშნული აირის ატმოსფეროში განაწილების შესახებ ექსპერიმენტული მონაცემების დაგროვება დაიწყო 1860 წლიდან. განსაკუთრებით მდიდარი ინფორმაცია დაგროვდა საერთაშორისო გეოფიზიკური ათწლეულის პერიოდში (1960-1969 წ.წ.). ატმოსფეროში CO_2-ის კონცენტრაციის შესახებ უნიკალური მონაცემები მიიღეს გრენლანდიის და ანტარქტიდის ყინულის კვერნების (სპეციალური ბურღით მყინვარების სიღრმიდან ამოღებული სინჯი) აირბუშტუკების ქიმიური და იზოტოპური ანალიზებით. კერძოდ, საუკუნის მანძილზე (1860-1960 წ.წ.) ატმოსფეროში CO_2-ის კონცენტრაცია 20%-ით გაიზარდა, ხოლო მისი რაოდენობის საშუალო წლიური ნამატი 0,2-0,4%-ს აღწევს. 1969 წლის მონაცემებით CO_2-ის საშუალო კონცენტრაცია ტროპოსფეროში $350 \cdot 10^{-4}$ %-ია. მისი მაქსიმალური შემცველობა აღინიშნება ზამთარში, მინიმალური - ზაფხულში. CO_2-ის საერთო შემცველობა ატმოსფეროში შეფასებულია $2,3\text{-}2,6 \cdot 10^{12}$ ტონის ოდენობით. ოკეანეში გახსნილი CO_2-ის საშუალო კონცენტრაცია 1,5 მგ/ლ შეადგენს. ასი წლის შემდეგ CO_2-ის შემცველობის ნამატი დღევანდელ დონესთან შედარებით იქნება 50-60%, ხოლო 1860 წელთან - 90%. სურათი 1 გვიჩვენებს CO_2-ის კონცენტრაციის ზრდას XX საუკუნის II ნახევარში.



სურ. 1. **CO_2-ის კონცენტრაციის ცვლილება ატმოსფეროში**
(ჰავაის კუნძულების ერთ-ერთი ობსერვატორიის მონაცემები, გ. ქაჯაია, 2008)

როგორც განხილული მონაცემებიდან ჩანს, ინტენსიური ხარჯვის (ფოტოსინთეზის პროცესი, დანალექი ქანების ფორმირება) მიუხედავად, CO_2-ის კონცენტრაცია ატმოსფეროში თანდათან მატულობს, რაც მისი ბუნებრივი და ანთროპოგენური წყაროების მრავალფეროვნებით აიხსნება. CO_2-ის ბუნებრივი წყაროებიდან მასშტაბურობით გამოირჩევა ცოცხალი ორგანიზმები (სუნთქვა), ტყის ხანძრები, ბიომასის დაჟანგვა, მანტიის დეგაზაცია და სხვა. CO_2-ის საშუალო წლიური ბუნებრივი ემისია $7 \cdot 10^{10}$ ტონით არის შეფასებული. მისი ძირითადი ანთროპოგენური წყაროა სათბობის წვა, რომელიც წლიურად დაახლოებით $1,8 \cdot 10^{10}$ ტ CO_2-ს იძლევა. ვარაუდობენ, რომ წიაღისეული სათბობის მოპოვება და გამოყენება თუ ასეთივე ტემპით გაგრძელდა, 2020 წლისათვის CO_2-ის ემისია რამდენიმე მილიარდ ტონამდე გაიზრდება.

რა კავშირია ატმოსფეროს ტემპერატურასა და მის ქიმიურ შედგენილობას შორის? ან რატომ დაერქვა ამ მოვლენას „სათბურის ეფექტი“?

სათბურის გადახურვის ანალოგიურად ზემოთ აღნიშნული გაზები და, უპირველეს ყოვლისა, CO_2, თავისუფლად ატარებენ მზის მოკლეტალღიან სხივებს, მაგრამ აკავებს დედამიწიდან არეკლილ თბურ გამოსხივებას, რის შედეგადაც ატმოსფეროს ქვედა ფენები თბება. ეს მოვლენა „სათბურის ეფექტის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

XX საუკუნის მონაცემებზე დაყრდნობით ზოგიერთი მეცნიერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ტემპერატურის გლობალური მატება უკვე ხორციელდება. თუ 1890 წელს დედამიწაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა $14,5^0$ C-ს შეადგენდა, 1990 წელს იგი $15,1^0$ C-ს მიუახლოვდა. (სურ.2). XX საუკუნის უკანასკნელი 12 წელი ყველაზე თბილი იყო.



სურ. 2. საშუალო ტემპერატურის ცვლილების გლობალური ტენდენცია
XX საუკუნის II ნახევარში, აკიმოვის და სხვ. (2001) მიხედვით

კლიმატოლოგების საერთაშორისო კონვენციის (ავსტრია, 1988) პროგნოზით, 2030-2050 წლებში ჰაერის ტემპერატურამ შესაძლოა 1,5-2^0 C-ით მოიმატოს.

რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სათბურის ეფექტს? ვარაუდობენ, რომ შეიცვლება კლიმატი - გაიზრდება გვალვიანი დღეების რიცხვი, გაძლიერდება უდაბნოს შემოტევა, გაიზრდება მტკნარი წლის მინერალიზაცია, მოხდება არქტიკისა და ანტარქტიდის მყინვარების ინტენსიური დნობა და ოკეანის დონის აწევა ჯერ 0,3-1,4 მ-ით, შემდეგ კი 10-20 მ-ით და ოკეანისპირა ქვეყნების წყლით დატბორვა.

ზოგი ბიოგეოგრაფი ვარაუდობს, რომ გლობალური დათბობა ახლო მომავალში 1 კმ/წმ სიჩქარით გავრცელდება. ასეთ შემთხვევაში მრავალი სახეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ეს განსაკუთრებით მცენარეებს ეხება, რადგან მათი განსახლების შესაძლებლობა ბევრად ჩამორჩება ცხოველებისას. ასე მაგალითად, ზოგიერთი ნაძვის განსახლების ტემპი საუკუნის მანძილზე მხოლოდ 10-20 კმ-ს შეადგენს. ამერიკელი ეკოლოგის მ. დევისის აზრით ჩრდ. ამერიკის ფლორის სამი წარმომადგენელი - ყვითელი არყი, წიფელი და ნეკერჩხალი გლობალური დათბობის საპასუხოდ „იძულებული იქნება“ 500-1000 კმ-ით გადაინაცვლოს ჩრდილოეთისაკენ. ცხადია, არეალის ანალოგიური შეცვლა ათასობით სხვა სახეობის მცენარესაც მოუწევს. რამდენი სახეობა შეეგუება ახალ პირობებს და რამდენი დაიღუპება - ამის თქმა ამჟამად შეუძლებელია.

როგორი ეჭვითაც არ უნდა ვუყურებდეთ პროგნოზის შედეგებს, აღნიშნავს გ. ქაჯაია (2008), ცხადია, CO_2-ის კონცენტრაცია ატმოსფეროში პერმანენტულად მატულობს. კლიმატური კატაკლიზმები გარდაუვალია, საკამათოა მხოლოდ მათი დაწყების დრო და განვითარების ტემპები.

ლიტერატურა:

1. ნ. ალექსიძე, ეკოლოგიური კატასტროფები, თბ., 1997.
2. ნ. ალექსიძე, ეკოლოგიური ბიოქიმიის საფუძვლები, თბ., 1999.
3. გ. სუპატაშვილი, გ. ქაჯაია, გარემო და ადამიანი, თბ., თსუ, 2001.
4. გ. ქაჯაია, გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, თბ., 2008.
5. Т.А. Акимова и др., Экология, Природа-Человек-Техника, М., 2001.

ქართული ფული დღეს და მისი სამომავლო პერსპექტივები

ნუნუ ადუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

1995 წლის ოქტომბრიდან საქართველოში ეროვნული ვალუტაა ლარი. მას შემდეგ, რაც ლარი ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა, ერთიანად გაჩნდა შიშიც და იმედებიც მისი მყიდველობითი უნარის, დოლართან მისი ურთიერთობების გამო. 1995 წლიდან 1998 წლამდე, მთელი სამი წლის განმავლობაში, მისი ნომინალური კურსი დოლართან მიმართებაში 5 პუნქტით შემცირდა. ლარის კურსი დოლართან ყოველთვის ცვალებადი იყო, დოლარი კი ის ვალუტაა, რომელიც საქართველოს ეკონომიკაში არსებით როლს თამაშობს. საქართველოს ახასიათებს დოლარიზაციის მაღალი ხარისხი, რომელიც გამოიხატება უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების შეფარდებაში დეპოზიტების მთლიან მოცულობასთან. დოლარიზაციის კოეფიციენტმა 2003 წელს თავის მაქსიამალურ ნიშნულს - 86 პროცენტს მიაღწია, თუმცა დღეს იგი 65 პროცენტს უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ კოეფიციენტი მნიშვნელოვნად დაეცა, იგი კვლავ მაღალი რჩება, კომერციული ოპერაციების დიდი ნაწილი საქართველოში დოლარში ხორციელდება, დოლარიზებულ ეკონომიკაში კი გაცვლის კურსის მნიშვნელობა დიდია. იმპორტირებული და ექსპორტირებული ფასების მეშვეობით, გაცვლის კურსი ბევრწილად განსაზღვრავს ფასების დონეს. დოლარიზაცია აძლიერებს საქართველოს დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან. შესაბამისად, დოლარის დევალვაცია უარყოფითად მოქმედებს ეროვნულ ეკონომიკაზე.

2003 წლამდე ლარის კურსი მუდმივად ეცემოდა და უფასურდებოდა საქართველოში მოქმედი ძირითადი უცხოური ვალუტის - დოლარის მიმართ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამწვავებამდე იგი განუწყვეტლივ იზრდებოდა და მყარდებოდა. ბოლო წლების განმავლობაში აშშ დოლარი საქართველოში დევალვაციას განიცდიდა. ეს მსოფლიოში მისი ცვლილებების ტენდენციას შეესაბამებოდა. პარალელურად, მყარდებოდა ევრო.

ფულადი დანაზოგების ღირებულება, რომელსაც მოსახლეობა დოლარულ გამოხატულებაში ინახავს, შემცირდა. თუ 2003 წელს ანაბრები უცხოურ ვალუტაში თითქმის 6-ჯერ აღემატებოდა ანაბრებს ეროვნულ ვალუტაში, დღეს ეს პროპორცია თითქმის 3-ჯერ შემცირდა.

რა თქმა უნდა, არც ლარის გამყარდება და არც დოლარის დევალვაცია არ არის სახარბიელო, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლარის კურსი დღევანდელი მდგომარეობის რეფლექსური ასახვა და ეკონომიკაში არსებული პრობლემების სარკეა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ვითარდება ეკონომიკა, ისევე ,,იცვლება" ლარიც. იგი იცვლება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან ერთად, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება საქონლისა და მომსახურების ფასები, ქვეყნებს შორის სავაჭრო და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს არასდროს ჰქონია ზრდის ისეთი მაღალი ტემპი, როგორიც ბოლო წლებში. ქვეყანაში არასდროს შემოსულა იმდენი უცხოური ინვესტიცია, რამდენიც 2004-2007 წლებში შემოვიდა. არასდროს გვქონია ისეთი დიდი სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორიც ამ სამი წლის განმავლობაში.

ამის საპირისპიროდ, საქართველოს არასდროს ჰქონია მიმდინარე ანგარიშის ისეთი ღრმა დეფიციტი, როგორც 2006-2007 წლებში ჰქონდა: არასდროს ჰქონია ისეთი ბარიერები ექსპორტში, როგორც 2006 წლიდან, რუსეთის, როგორც მთავარი სავაჭრო პარტნიორის მიერ გამოცხადებული ემბარგოს გამო.

დღევანდელი ეკონომიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც სწრაფი განვითარება ზომიერად მაღალი ინფლაციით, უცხოური ინვესტიციების მოწოლითა და ექსპორტის დაბალი შესაძლებლობებით. ეს ეროვნული ვალუტისათვის ნიშნავს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც მასზე მოთხოვნის ზრდასა და კურსის გამყარებას განაპირობებს.

ყოველივე ამას თავისი ახსნა აქვს. ამჟამად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია პრივატიზება და სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა ეკონომიკაში. ყოველწლიურად, პრივატიზების შედეგად, ქვეყანაში დიდი რაოდენობით ინვესტიციები შემოდის. ძირითადად ეს არის უცხოური ვალუტა, რომლის კონვერტაცია ხდება ლარებში და ამით (მასზე მოთხოვნის ზრდის გამო) ლარის კურსიც მყარდება. ამას ემატება ლეგალიზაცია ფულისა, რომელსაც წინა წლებში აგროვებდნენ, რომელიც, ძირითადად, ლარის გაუფასურებასთან ერთად ილექებოდა ,,დოლარულ" გამოხატულებაში. ამის შედეგად იზრდებოდა ეკონომიკის ,,დოლარიზაცია". დღეს მოვლენებმა ინვესტიციური ხასიათი შეიძინა, განხორციელდა კაპიტალდაბანდებები სხვადასხვა სექტორებში, ძირითადად, მშენებლობებში, საფინანსო საქმიანობაში, კომუნიკაციებში და სხვა, რაც შესაბამისად აისახა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე.

ლარის გამყარების პროცესს ხელი შეუწყო მსოფლიოში მიმდინარე დოლარის გაუფასურებამაც. ემპირიულადაც კი ადვილი დასანახია, რომ დღეს ხანგრძლივი ვადით დოლარის ფლობა და დაგროვება მომგებიანი არ არის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი თანამემამულეების ტრანსფერტები უცხოეთიდან. მარტო 2007 წლის მე-2 კვარტალში უცხოურმა ტრანსფერტებმა 2,7-ჯერ გადააჭარბა 2002 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. საქართველოში გადმორიცხული უცხოური ვალუტის კონვერტაცია ხდება ეროვნულ ვალუტაში.

ლარის კურსის ცვლილების მნიშვნელოვანი ფაქტორია საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილება. ინფლაცია საქართველოში ზომიერად მაღალია.

ქვეყნის მონეტარული ხელისუფლება დილემის წინაშე დგას: ან უნდა უზრუნველყოს უცხოური ვალუტის კონვერტაცია ლარებში, რაც ბრუნვაში ეროვნული ვალუტის მასის გაზრდას გულისხმობს, ან უნდა შეამციროს ეროვნული ვალუტის მიწოდება. დღეს იგი ყიდულობს დიდი რაოდენობით უცხოურ ვალუტას იმისათვის, რომ ლარი კიდევ უფრო მეტად არ გამყარდეს, მაგრამ საპირისპიროდ ახდენს ბრუნვიდან ზედმეტი ლარის ამოღებას იმისათვის, რომ შეამციროს ინფლაცია, ერთი სახის ღონისძიება გამორიცხავს მეორეს. ლარის მიწოდება ზრდის ინფლაციას, ხოლო მისი ბრუნვიდან ამოღება კიდევ უფრო ამყარებს ლარის კურსს.

რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდება, იგი დღევანდელი მდგომარეობისთვის არის დამახასიათებელი. შეუძლებელი იქნება უსასრულოდ პრივატიზების განხორციელება და პირდაპირი ინვესტიციების ზრდის ასეთი მაღალი ტემპის შენარჩუნება. ამათან, შეიცვლება საექსპორტო შესაძლებლობებიც. დღეს დაბანდებული ინვესტიციები კი, უახლოეს მომავალში უკუგების მოცემას დაიწყებს. ამდენად, საგარეო ფაქტორების ზეწოლა ლარის კურსზე განეიტრალდება და მონეტარულ ხელისუფლებას მიეცემა შესაძლებლობა ორიენტაცია აიღოს ისეთ პოლიტიკაზე, რომელიც მას ბანკთაშორის ბირჟაზე ინტერვენციებისაგან გაათავისუფლებს და გაცვლის კურსიც მისი ჩარევის გარეშე ჩამოყალიბდება.

დღეს მსოფლიოში ბევრს კამათობენ იმის შესახებ, თუ რომელი გაცვლის რეჟიმია უკეთესი ქვეყნისათვის. ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს შორის ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია, რადგან ის რაც ერთ ქვეყანაში ამართლებს, ვერ ამართლებს მეორეში. ყველა ქვეყანას აქვს განვითარების მისთვის დამახასიათებელი ნიუანსები. ზოგიერთმა ქვეყანამ კარგად გამოიყენა ფიქსირებული გაცვლის კურსის რეჟიმის ვარიაციები. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთი ეროვნული ვალუტა იმ ქვეყნის ვალუტას ,,მიაბეს", რომელთანაც უპირატესად არიან ინტეგრირებულნი. მეტი წილი ქვეყნისთვის ასეთი ვალუტა აღმოჩნდა ამერიკული დოლარი, ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისათვის - ევრო. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი ჰიპერინფლაცია და ცენტრალური ბანკების მიერ მთავრობის ბიუჯეტის დაფინანსების არასახარბიელო პრაქტიკა. ამ მდგომარეობიდან თავის გამოყვანის მიზნით, მათ კანონით გამოაცხადეს ფიქსირებული კურსი.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს ეროვნული ვალუტის ღირებულება იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება ,,ღუზა" ვალუტის კურსი. მაგალითად, თუ დოლარის კურსი გაუფასურდა ევროსთან მიმართებაში, მაშინ იმავე პროპორციით უფასურდება იმ ქვეყნების ეროვნული ვალუტაც, რომლებსაც თავიანთი ვალუტა დოლარზე აქვთ ,,მიბმული".

დღევანდელი განვითარების პირობებში, საქართველოში ფიქსირებული კურსის შემოღების შემთხვევაში ახალი პრობლემები წარმოიშობა. იგი მხოლოდ შექმნის იმის ილუზიას, რომ ლარის კურსი სხვა ვალუტასთან მიმართებაში სტაბილურია, მაგრამ სანაცვლოდ, კიდევ უფრო გაიზრდება ინფლაცია, რადგან უახლოეს პერიოდში ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციებისა და უცხოური ვალუტის ზეწოლის გაგრძელებაა მოსალოდნელი. ,,ჰოლანდიური ავადმყოფობა", ანუ ისეთი შემოსავლები, რომელიც არ არის გამომუშავებული ქვეყნის ეკონომიკაში, რომლის წყაროა არაეკონომიკური ხასიათის შემოსავლები - გრანტებიდან, პრივატიზებიდან, ბუნებრივი რესურსების ექსპორტიდან შემოსული უცხოური

ინვესტიციები, და ა.შ., კვლავ გაზრდის მოთხოვნას ლარის კონვერტაციაზე. შედეგად, ბრუნვაში მისი რაოდენობა გაიზრდება, მისი სტაბილიზაციის ღონისძიებებზე უარის თქმა კი ფასებს კიდევ უფრო აამაღლებს.

ფიქსირებული კურსის რეჟიმებით ქვეყნები უარს აცხადებენ თავიანთ დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაზე, დამოკიდებული ხდებიან ,,ღუზა" ვალუტის მქონე ქვეყნების მიერ წარმოებულ პოლიტიკაზე, რაც მტკივნეულად ვლინდება სავაჭრო ურთიერთობებში.

საერთაშორისო სწავლებისა და სტრატეგიული კვლევების ფონდის ანალიზის თანახმად, 2004 წლიდან მოყოლებული 2008 წლის პირველ ნახევრის ჩათვლით საქართველო, ფაქტობრივად, დაავადებული იყო სენით, რომელსაც ეკონომიკურ თეორიაში ,,ჰოლანდიური დაავადება" ჰქვია, რაც ქვეყანაში დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის შემოდინებაში გამოიხატება. სწორედ ეს გახდა ჩვენი ეროვნული ვალუტის გამყარების მიზეზი. ლარი ბუნებრივად გამყარდა იმ ვალუტასთან მიმართებაში, რომელიც ყველაზე დიდი რაოდენობით იყო ქართულ ბაზარზე. ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი. ლარი მყარდებოდა დოლართან მიმართებაში, რადგან დოლარის მასა იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ლარისა. მით უმეტეს ისეთ პირობებში, როცა იმპორტი ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე ექსპორტი და, შესაბამისად, დოლარი ვაჭრობით გადიოდა ქვეყნიდან იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე შემოდიოდა? ლარის გამყარება გამოწვეული იყო ორი ძირითადი მომენტით: უცხოური ინვესტიციებითა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ გამოგზავნილი ფულით. ერთიც და მეორეც ძირითადად შემოდიოდა დოლარებში.

ეროვნული ბანკი მონაწილეობდა ამ პროცესში, რომ ლარი უფრო სწრაფად არ გამყარებულიყო, არ ყოფილიყო ნახტომები, რათა ვითარება დამანგრეველი არ გამხდარიყო მთლიანად საქართველოს ეკონომიკისთვის. ეროვნული ბანკი ყიდულობდა დიდი ოდენობით შემოსულ დოლარს და არეზერვებდა. შესაბამისად, ყიდდა ლარს. უფრო მეტი დოლარი რომ ეყიდა, ლარი უფრო ნაკლებად გამყარდებოდა, მაგრამ დიდი ოდენობით ლარი რომ გაეყიდა, უფრო მეტ ინფლაციას შეუწყობდა ხელს. ბანკი იდგა ასეთი ამოცანის წინაშე - ლარის გამყარებას ვერ აიცილებდა თავიდან, სამაგიეროდ, რეალობა უნდა გამოეყენებინა იმისთვის, რომ რეზერვები შეექმნა, თან იმდენადაც არ უნდა შეეფერხებინა ლარის გამყარება, რომ ამას ჰიპერინფლაცია გამოეწვია. ეს არის ჩვეულებრივი პროცესი იმ ქვეყნებში, რომლებიც დაავადებულნი არიან ,,ჰოლანდიური დაავადებით". ეროვნული ბანკი მეტ-ნაკლებად წარმატებით ართმევდა თავს ამ პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლიდან მოყოლებული, ლარი მყარდებოდა, ნახტომები ამ გამყარებაში არ ყოფილა. ეს იყო ტენდენცია მცოცავი, პროგნოზირებადი, რასაც მეწარმეები, კერძო პირები შეეგუვნენ, მოახერხეს ადაპტირება. შესაბამისად, პრობლემებიც ნაკლები იყო.

რა მოხდა 2008 წლის მეორე ნახევარში? ორი რამ: პირველი - გლობალური ფინანსური კრიზისი, როცა ფული ჭირს და ჭირს ინვესტიციებისთვისაც. დავუმატოთ ამას აგრესია, რომელიც რუსეთმა ჩვენს წინააღმდეგ განახორციელა, თუკი ინვესტორს მაინც უნდა გლობალური კრიზისებისას ფული სადმე ჩადოს, ჩადებს ყველაზე ნაკლები რისკის მქონე ქვეყანაში და არა, ვთქვათ, საქართველოში, სადაც რუსეთის აგრესია ჯერაც არ დასრულებულა. შესაბამისად, უცხო ვალუტის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო, რომელიც უცხოურ ინვესტიციებთან იყო დაკავშირებული, შემცირდება.

შემცირდა ფულადი გზავნილებიც. თუ კრიზისია, სადაც უნდა ცხოვრობდეს ჩვენი თანამოქალაქე მსოფლიოში, მისი შემოსავლებიც ხომ შემცირდა? სამაგიეროდ, არ შეცვლილა სავაჭრო ბალანსი, ძირითადი საქონელი საქართველოში ისევ არის იმპორტული, იმპორტზე ისევ ვხარჯავთ ოთხჯერ მეტს, ვიდრე ვიღებთ ექსპორტიდან. ერთი სიტყვით, დოლარის მასის შემცირება დაიწყო. ლარის მასა დოლარიდან მიმართებაში სწრაფი ტემპით იზრდება. წავიდა უკუპროცესი - დოლარის გამყარება ლართან მიმართებაში.

ამ პროცესს ხელი შეუწყო კიდევ ერთმა ფაქტორმა - რუსეთის აგრესიის შედეგად, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართული ბანკები. ხალხმა იქიდან დეპოზიტების გატანა დაიწყო - დაიკარგა ნახევარი მილიარდი დოლარის დეპოზიტები. მომდევნო ერთ თვეში 30%-მდე თუ აღდგა თანხები, შესაბამისად, დავდექით სერიოზული საბანკო კრიზისის წინაშე. ეროვნულმა ბანკმა დაიწყო რეფინანსირების პროცესი, მისცა ბანკებს შედარებით იაფი კრედიტები, შეამცირა აუცილებელი რეზერვების დონე, საბოლოო ჯამში კი ხელი შეუწყო ფულის მასის ზრდას. ფაქტობრივად, ხელი შეუწყო ინფლაციას, მაგრამ სწორედ მოიქცა თუ არა? სწორედ მოიქცა, რადგან საბანკო სექტორის კრიზისი დამანგრეველი იქნებოდა მთელი ეკონომიკისთვის, რადგან ყველა იმ ადამიანის გაკოტრებასაც გამოიწვევდა, ვისაც ბანკში ჰქონდა ფული.

ასეთი ვითარების ფონზე, შემოდგომისთვის დადაგა დრო, განხორციელებულიყო ლარის მცოცავი დევალვაცია. ეს ობიექტური პროცესი იქნებოდა და მასში ასევე გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა ეროვნულ ბანკს. მაგრამ აქ ეროვნულმა ბანკმა მთლად თანმიმდევრულად ვერ იმოქმედა, შეცდომა დაუშვა. უკვე სექტემბრის ბოლოდან ჩანდა, რომ კომერციულ ბანკებს ჰქონდათ მხოლოდ

მოთხოვნა დოლარზე და არ იყო მიწოდება, ერთადერთი მიმწოდებელი იყო ეროვნული ბანკი. 40 დღეში მან 300 მილიონი დოლარი დახარჯა რეზერვებიდან, ლარის დევალვაცია კი მოხდა მხოლოდ 2,5%-ით. ეს შეუმჩნეველი დევალვაციაა, ამაზე გაწეული 300 მილიონი დოლარი კი - ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ დიდი თანხაა.

ამის შემდეგ იყო უკვე მეორე, საკმაოდ ცუდი 7 ნოემბერი თანამედროვე საქართველოში. ეროვნულმა ბანკმა პარასკევ დღეს შეწყვიტა საბირჟო ვაჭრობა და არანაირი ახსნა-განმარტება არ გააკეთა. ამას მოჰყვა პანიკა ბანკებში, მათ კლიენტებში. შაბათ-კვირა არასამუშაო დღეები იყო, ბანკები, ფაქტობრივად, არ მუშაობდა, არ მუშაობდა სავალუტო ბირჟაც. ამ პერიოდში დაცარიელდა ბანკომატები, გადამცვლელი ჯიხურები, ავარდა კურსი. მხოლოდ ორშაბათს მისცა ეროვნულმა ბანკმა განმარტება. ეს იყო უდიდესი შეცდომა. ჯობდა, ის 300 მილიონი, რომელიც იქამდე დაიხარჯა, ისე დახარჯულიყო, რომ გაუფასურება ყოფილიყო უფრო თვალშისაცემი - არა 2,5%, არამედ 10-12%, მაშინ 7 ნოემბერის მოწყობა არ იქნებოდა საჭირო, რაც იმ დღეს გაკეთდა, პრაქტიკულად, იყო ლარის მორიგი ,,დამარცხება" დოლართან მიმართებაში. ამ დღეს ექსპერტებმა ,,მწვანე პარასკევი" უწოდეს.

ამის შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა განაცხადა, ახალ წონასწორულ მდგომარეობაში გადავედითო, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს. წონასწორულია მდგომარეობა, როცა ეროვნული ბანკი აღარ ერევა საბირჟო ვაჭრობაში და თვითონ ბანკები აბალანსებენ ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ასე არ ხდება, უფრო მეტიც, პრაქტიკულად, 19 ნოემბრიდან მოყოლებული, კომერციულ ბანკებს აქვთ მოთხოვნა დოლარზე, დოლარის გამყიდველი კი არავინაა. ეროვნულმა ბანკმა ერთ თვეში დაკარგა 130 მილიონი დოლარი თავისი რეზერვებიდან, მაგრამ კურსი შეინარჩუნა 1,65-ზე.

ეს არის შეცდომა. ეკონომიკური საფუძველი იმისა, რომ ლარის კურსი იყოს უცვლელი, დღეს არ არსებობს. დღეს არის სწორედ იმის ეკონომიკური საფუძველი, რომ ხდებოდეს ლარის დევალვაცია. გვექნება თუ არა, ამის გამო, სავალუტო კრიზისი? გვაქვს ყველა საშუალება, რომ კრიზისი თავიდან ავიცილოთ, ჯერ ერთი, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები მილიარდ დოლარზე მეტია, მეორე ის, რომ 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ევროკავშირიდან, ამერიკიდან, იაპონიიდან, სხვა დონორი ქვეყნებიდან საქართველომ, ჯამში, უნდა მიიღოს 4,5 მილიარდი დოლარის დახმარება. უცხოური ვალუტის შემოდინება იქნება, თანაც ჩვენი თანამემამულეებიც, ასე თუ ისე, რაღაცას აგზავნიან, რომელიღაც ინვესტორი მაინც შემოვა, ფული შემოდის, მაგრამ სავალუტო კრიზისის მოლოდინი ქვეყანაში მაინც არის.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმიას, რომ ,,მწვანე პარასკევი" არ განმეორდება. ახლა, პრაქტიკულად, ხელახლა ხდება კურსის შენარჩუნება, თუმცა, აშკარაა ტენდენცია, რომ იყოს დევალვაცია. როდემდე გააჩერებს ამ კურსს ეროვნული ბანკი, როდემდე მოახერხებს მის უზრუნველყოფას რეზერვების ხარჯზე, პროგნოზირება შეუძლებელია.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.netexpo.ge
2. www.gbc.ge
3. www.bcng.ge-Business Consulting Network Georgia
4. www.factiva.com. ru
5. www.securities.com
6. www.e-info.ge

ქსელური ბიზნესი თუ აფიორა

ნათია არჩუაძე, ხატია დარბაიძე, თინათინ ცერცვაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე**, ასოცირებული პროფესორი

ქსელური ბიზნესის ისტორიას პირდაპირი კავშირი აქვს ამერიკელ კარლ რენბორგთან (1887-1973), რომლის იდეების რეალიზებამ შექმნა 500 მილიარდიანი ინდუსტრია. რენბორგი თორმეტი წლის განმავლობაში ჩინეთში, ამერიკულ კომპანიებში მუშაობდა და უკვე მაშინ ფიქრობდა ვიტამინების როლზე ადამიანის ჯანმრთელი კვების პროცესში. 20-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც ის მოხვდა

ციხეში, ზუსტად ამ დროს მან პრაქტიკაში დიეტების გამოყენება დაიწყო, რადგან ციხის საჭმელი უვარგისი და მავნე იყო ჯანმრთელობისთვის. მაგრამ სად უნდა აეღო ორგანიზმისთვის აუცილებელი ელემენტები? მაგალითად, რკინა? კარლმა იპოვა გამოსავალი - პირველი საკვები გახლდათ დაჟანგული ლურსმნები! მათ პატარა ნაწილაკებს ის ამატებდა ციხის საკვებში. შემდეგ მოელაპარაკა დარაჯს, რომ მას მიეტანა მისთვის ნაირ-ნაირი ბალახი. კარლ რენბორგმა და მათ, ვინც მიჰყვებოდნენ მის მაგალითს, შესძლეს არამც თუ გადარჩენა, არამედ სამშობლოში დაბრუნებაც.

1927 წელს რენბორგი აღმოჩნდა აშშ-ში, სადაც იგი გულმოდგინედ შეუდგა სხვადასხვა საკვები დანამატების შექმნას, რომელიც შეიცავს მრავალ ვიტამინსა და მინერალს, ცილებს და სხვა სასარგებლო კომპონენტს. სასარგებლო დანამატებზე ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა. ადამიანები რენბორგს სთხოვდნენ შეხვედრების მოწყობას, რომ მეტი გაეგოთ ახალი პროდუქტის შესახებ. ყოველი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, კარლს არ შეეძლო. სწორედ მაშინ მას მოუვიდა გენიალური იდეა.

რენბორგმა შესთავაზა მეგობრებს, რომ მათ საკვები დანამატების შესახებ ინფორმაცია მათსავე მეგობრებისთვის მიეცათ. ყიდვის შემთხვევაში კი ისინი საკომისიოს მიიღებდნენ. ასევე გადაწყვიტა გადაეხადა მათთვისაც, ვინც გააგრძელებდა პროდუქციის მოხმარებას და თავისი კავშირების გამოყენებით მის რეალიზებას.

ასე დაიბადა ქსელური ბიზნესი. 1934 წელს რენბორგმა ჩამოაყალიბა კომპანია „California Vitamins", სადაც თანამშრომლები თავისით იწვევდნენ ახალბედებს სამუშაოდ, აძლევდნენ მათ აუცილებელ ინფორმაციას პროდუქციაზე და სთავაზობდნენ საკუთარი ქსელის აწყობის იდეას. კომპანია თავის ყოველ დისტრიბუტორს უნაზღაურებდა არა მხოლოდ გაყიდული პროდუქციის მიხედვით, არამედ მათ მიერ მოწვეული დისტრიბუტორების ყოველი გაყიდვიდანაც.

კომპანიის სავაჭრო წარმომადგენელი, რომელსაც ეწოდება "სპონსორი", იწვევდა ახალ თანამშრომელს და იღებდა ვალდებულებას, რომ ასწავლიდა მას მუშაობის პრინციპებს და ამით დაეხმარებოდა გაყიდვების გაზრდაში, რაზეც იყო დამოკიდებული მისი საკუთარი შემოსავალი. აგრეთვე, ჯგუფური გაყიდვების მოცულობა შეიძლება ყოფილიყო გაცილებით მეტი, ვიდრე საკუთარი გაყიდვები. ასეთი ხერხით რენბორგმა კლასიკურ ბიზნესში შეიტანა „ერთსაფეხურიანი ბიზნესის" პრინციპი. ისტორიის განვითარების შემდეგი ნაწილი უკავშირდება ისეთ პარტნიორებს, როგორებიც არიან რიჩ დევოსა და ჯეი ვან ანდელას, რომლებმაც ათწლიანი წარმატებული ბიზნესის მართვის შემდეგ, შექმნეს თავიანთი საკუთარი კომპანია "American Way Corporation", შემოკლებით AMWAY (ამერიკული გზა), რომელიც დღეს გახლავთ ერთ-ერთი ძლიერი ქსელური კომპანია, 8 მილიარდიანი საქონელბრუნვით წელიწადში. ამ ადამიანების დამსახურება ის არის, რომ ისინი გამოვიდნენ მხოლოდ ერთი პროდუქციის ხაზის ჩარჩოდან. მათ თავიანთ ასორტიმენტში საკვები დანამატების გარდა ჩასვეს საყოფაცხოვრებო მომსახურების საქონელიც, დღეს მათ პრაის-ლისტში არის 3000-ზე მეტი დასახელების პროდუქტი. ამავე დროს, მათ დაიწყეს მრავალსაფეხურიანი ბიზნეს-გეგმის გამოყენება, რაც ნიშნავს, რომ ანაზღაურების გაცემა ხდება ორგანიზაციის საქონელბრუნვის მთლიანი მოცულობიდან და არა მხოლოდ პირადად მოწვეული პირველი თაობის დისტრიბუტორების საქონელბრუნვიდან. ამან გამოიწვია კომპანიის სწრაფი ზრდა და ინტერესი არა მხოლოდ აშშ-ი, არამედ კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებშიც. დღეს AMWAY-ს შეიძლება მსოფლიოს 24 ქვეყანაში შეხვდეთ. მან მილიონობით ადამიანს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება მისცა.

ინდუსტრიის ისტორიას ახსოვს რთული პერიოდიც. 1975 წელს აშშ-ი დაიწყო ფინანსური პირამიდების დევნა. ვაჭრობის კომისიის ფედერალურ განყოფილებაში აღმოჩდნენ ჩინოვნიკები, რომლებმაც სცადეს ეღიარებინათ კომპანია AMWAY ფინანსურ პირამიდად. ოთხი წელი გრძელდებოდა კომპანიის საქმიანობის გამოკვლევა. სასამართლოს გადაწყვეტილებამ აღიარა, რომ ქსელური ბიზნესი არის მომსახურების და პროდუქციის რეალიზაციის კანონიერი გზა. ფედერალური კომისიის ამ აღიარებას მხარი დაუჭირა თითქმის ყველა შტატმა და ის ლეგიტიმურად აღიარეს.

1980 წელს დაარსებულმა კომპანია Herbalife-მა, მისი მოღვაწეობიდან 20 წლის შემდეგ, 2000 წელს, მიაღწია ასტრონომიულ ციფრს - 2, 3 მილიარდი დოლარის საქონელბრუნვას. Herbalif-ს დღეს აქვს ოფიციალური წარმომადგენლობა მსოფლიოს 52 ქვეყანაში. ის შეტანილი გახლავთ გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე სწრაფად განვითარებადი კომპანია ქსელური ბიზნესის ისტორიაში.

დაიწყო MLM-ის ნამდვილი ბუმი. ათასობით კომპანია გადავიდა ამ ბიზნეს-მოდელის გამოყენებაზე. ის განსაკუთრებით პოპულარული გახდა პატარა კომპანიებისთვის, რომელთაც რეკლამისთვის არ გააჩნდათ უზარმაზარი თანხები. საუკეთესო რეკლამა იყო თვით დისტრიბუტორი, რომელიც იყენებდა პროდუქციას და ჰქონდა შედეგი. მათ ასორტიმენტში აღმოჩნდა უამრავი პროდუქტი: სადაზღვევო პოლისი, საყოფაცხოვრებო ნივთი, პლასტიკური ბარათი, სამკაული, ჭურჭელი, კომპიუტერი, მინი-ტრაქტორი და მრავალი სხვა.

უდიდესმა კომპანიებმა, როგორებიცაა: Ford, Colgate, Canon, Lipton, Coca-Cola, ასევე ბიზნესის სხვა ფლაგმანებმა დაიწყეს ქსელური ბიზნესის გამოყენება. დისტრიბუტორთა პრაქტიკაში მყარად შევიდა თანამედროვე ბიზნეს-ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაცია და გაყიდვების პროცესის კომპიუტერულ-პროგრამული უზრუნველყოფა. მათი საქონელბრუნვა ყოველწლიურად 20-30%-ით იზრდება, ხოლო დისტრიბუტორთა რიცხვი 30 მილიონ ადამიანს მიუახლოვდა. აშშ-ი ყოველ მეხუთე ოჯახში შეიძლება აღმოაჩინოთ დისტრიბუტორი. ყოველწლიურად 100 მილიონზე მეტი ამერიკელი ყიდულობს თუნდაც ერთ პროდუქტს MLM ინდუსტრიიდან.

ბევრ ქვეყანაში მიიღეს კანონები, რომლებმაც „მწვანე შუქი“ აუნთეს ამ სახის ბიზნეს-მოდელს. დღეს კი ქსელური ბიზნესი აყვავებულია მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, 125 ქვეყანაში. იაპონიაში 2 მილიონ ადამიანზე მეტია დაკავებული ამ ინდუსტრიით და მათი საქონელბრუნვა წელიწადში 30 მილიარდს შეადგენს. ტაივანში ყოველი მეთორმეტე მცხოვრები ქსელური ბიზნესის სპეციალისტია. ტაივანსა და ჩინეთში ყოველწლიური საქონელბრუნვა 2 მილიარდ დოლარს აღწევს. 1998 წელს მალაიზიაში მილიონამდე სპეციალისტმა, საქონელბრუნვა 1 მილიარდ დოლარამდე გაზარდა. ავსტრალიაში კი, საქონელბრუნვამ წელიწადში 1,8 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სპეციალურ ტრენინგებსა და სემინარებზე მოსახვედრად ავსტრალიელები მხოლოდ გზას 7-9 საათს ანდომებენ.

ევროპის ქვეყნებში (გერმანია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი) საქონელბრუნვამ 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბა წელიწადში, ხოლო დიდ ბრიტანეთში - 1 მილიარდ დოლარს. ქსელური ბიზნესის სწრაფი განვითარება აღინიშნება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. რუმინეთში, ჩეხეთში, სლოვენიაში, პოლონეთსა და უნგრეთშიც შეინიშნება სწრაფი განვითარება. მხოლოდ ესპანეთში წლიური საქონელბრუნვა შეადგენს 1,2 მილიარდ დოლარს, ავსტრიაში 450 მილიონ დოლარს, შვეიცარიაში 300 მილიონ დოლარს, ასეული მილიონი დოლარის საქონელბრუნვაა შვეციაში, ნორვეგიასა და ფინეთში. ბრაზილიაში მოქმედებს 1,5 მილიონი დისტრიბუტორი, რომელთა საქონელბრუნვა წელიწადში 3 მილიარდ დოლარზე მეტია.

დღეისთვის ქსელურ ბიზნესში ცნობილია 4000 კომპანია, რომელთა საქონელბრუნვა წელიწადში 500 მილიარდ დოლარს შეადგენს. აშშ-ში დღეს მუშაობს 2500-მდე მსხვილი კომპანია და პროდუქციის 65%, სწორედ ამ მეთოდით იყიდება. ამ საქმით დაკავებულია მოსახლეობის 20%, ე.ი. ყოველი მეხუთე ადამიანი. სწორედ ქსელური ბიზნესიდან დაახლოებით 600 ათასი ადამიანი გახდა მილიონერი.

იაპონიაში პროდუქციის 90%-ის რეალიზაცია ხდება ქსელური სისტემით, რაც აისახება მათი ეკონომიკის სწრაფ განვითარებაზეც. ევროპაში მუშაობს 700-ზე მეტი ქსელური კომპანია, მცირე აზიის ქვეყნებში - 800-ზე მეტი, რუსეთში კი მხოლოდ 70.

მსოფლიოში ყოველდღიურად 100 ათასი ადამიანი ხდება ქსელური ბიზნესის დამოუკიდებელი დისტრიბუტორი. როგორც ანალიტიკოსები და ეკონომიკის ექსპერტები ვარაუდობენ, 21-ე საუკუნეში მსოფლიო პროდუქციის დაახლოებით 80% გაიყიდება ქსელური სისტემით, რაც უკვე მკვეთრად შეინიშნება.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ქსელური ბიზნესი დაიწყო კერძო მოხმარების საგნებიდან: ვიტამინები, მინერალები, ჰიგიენა. 80-იანი წლებიდან იზრდება ტელეკომუნიკაციების წილიც. ასეთ მომსახურებას შეიძლება მივაკუთვნოთ: საკრედიტო ბარათები, ფინანსური მომსახურება, დაზღვევა და ტურისტული ბიუროები. თუ ყურადღებას მივაქცევთ კომუნალური სფეროს დეცენტრალიზაციას, MLM სისტემაზე გადასვლის პროცესი უახლოესი მომავლის საქმეა.

თვალნათლივი მაგალითი იმისა, რომ ქსელური ბიზნესი უკვე ფორმირებულია როგორც საუკეთესო მოდელი, გახლავთ ის, რომ დღეს მსოფლიოს სააქციონერო და ნიუ-იორკის ფონდების ბაზრებზე მოქმედებს 20 ძლიერი კომპანიის აქციები. არის კიდევ მრავალი კომპანია, რომელიც მზადაა გასცეს თავისი აქციები, რადგანაც ქსელური კომპანიების ფინანსური მხარე გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ტრადიციული ბიზნესის მაჩვენებელი და სწორედ ეს იწვევს ინვესტორთა დიდ ყურადღებას.

მრავალდონიანი ბიზნესის არნახული წარმატებების ანალიზისას, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. სავაჭრო ფირმა, რომელიც ორგანიზებას უკეთებს მრავალდონიან ბიზნესს, ფაქტიურად ღებულობს თითქმის უფასო სამუშაო ძალას. ჩვეულებრივ სავაჭრო საწარმოებთან შედარებით წარმოქმნილი დამატებითი მოგება ფირმას შეუძლია გამოიყენოს ინტენსიურ რეკლამაში, საუკეთესო მუშაკების სწავლებასა და საგრძნობ წახალისებაში;

2. გამოიყენება პროდუქტის რეკლამირების ყველაზე ძლიერი, მიზანმიმართული და დამაჯერებელი ფორმა – პირადი კონტაქტი მყიდველთან (როგორც წესი, შინაური გარემო), პირადი მაგალითი (შემომხედე, როგორ გამოვიყურები "Oriflame"-ის კოსმეტიკის გამოყენებიდან ერთი კვირის შემდეგ);

3. პოტენციური მონაწილეებისათვის ფრიად მიმზიდველია ის ფაქტი, რომ არ არის არანაირი შეზღუდვა ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, განათლების, სამუშაო გამოცდილების მიხედვით. ვაჭრობის ამ ფორმით საქმიანობა შეიძლება თავისუფალ დროს, ძირითადი სამუშაოსგან მოუწყვეტლივ, ოჯახის სხვა წევრებისგან დახმარების პირობებში. ამ პირობებში, სავაჭრო ფირმას შეუძლია მსურველთა მასიდან ამოარჩიოს ფრიად გერგილიანი მუშაკები;

4. მრავალდონიანი ბიზნესი ჭკვიანურად იყენებს ადამიანთათვის დამახასიათებელ სწრაფი გამდიდრების, მცირე ძალისხმევით მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების იმედს. არ არის საჭირო სამსახურში სიარული, სამსახურეობრივი შინაგანაწესისა და მკაცრი უფროსების მორჩილება, მონოტონური საწარმოო ოპერაციებისა და უინტერესო დავალებების შესრულება. „ადამიანები მუშაობენ საკუთარი თავისთვის, მათ აქვთ ცხოვრებით ტკბობის საშუალება“ („ქსელური ბიზნესის“ სარეკლამო პროსპექტიდან). ყველაფერი ეს ქმნის ინიციატივიანი მუშაობის ფრიად სერიოზულ მოტივაციას;

5. იერარქიის უმაღლესი წევრების ანაზღაურება შეადგენს ათეულობით ათას დოლარს, რაც დანარჩენ პერსონალს ახლო მომავალში სრულიად მისაღწევად ეჩვენება;

6. სისტემა ისეა მოწყობილი, რომ თუ ერთხელ მოხვდი მასში, არც თუ ისე ადვილია მისგან თავის დაღწევა. თითოეული მონაწილე ვალდებულია მიიზიდოს არა ნაკლებ ორი ადამიანი. თუ ამას ვერ შეძლებს, ის განიცდის მატერიალურ დანაკარგებს. გარდა ამისა, ორგანიზაციის წევრებს უჩნდებათ ვალდებულებები ერთმანეთის მიმართაც. მთელ რიგ შემთხვევებში ეს ვალდებულებები მატერიალურია: ორგანიზაციაში შესვლისას საჭირო ხდება განსაზღვრული შენატანის გადახდა, საქონლის ყიდვა და სხვა.

მრავალდონიანი ბიზნესი ფართოდ გამოიყენებს „პირამიდის“ ეფექტს. სადაც „პირამიდების მშენებლები“ აგებენ თავიანთ მახეს. ის მონაწილეები, რომლებიც ბოლოში მოხვდნენ, ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს და განიცდიან საგრძნობ დანაკარგებს. მათ ხარჯზე ხდება პირამიდის ზედა იარუსებზე მყოფი, უფრო იღბლიანი კოლეგების წარმატებების დაფინანსება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, ადრე თუ გვიან, რესურსების ამოწურვისა და მოსახლეობის ნდობის დაკარგვის შემდეგ, მრავალდონიანი სისტემები იშლებიან, ამდიდრებენ რა ადამიანთა მცირე ჯგუფს და დიდ ზარალს აყენებენ მილიონობით მიმნდობ ადამიანებს. ეს ბედი ეწია მრავალ ცნობილ ფირმას.

დღეისათვის საქართველოში რამდენიმე კომპანიაა, რომელთა მუშაობა მრავალდონიან ბიზნესს მიეკუთვნება. მაგალითად, MLM technology, BBS holding, Winalite და სხვა პატარ-პატარა კომპანიები. მათში მოხვედრა და მუშაობა, ერთი შეხედვით, მარტივია, ვინაიდან არაა საჭირო, იყო კვალიფიციური და გრაფიკიც მოქნილია. მთავარია იყო ენერგიული, კომუნიკაბელური და 18-35 წლამდე. სამსახურში მიღება რამდენიმე ეტაპს მოიცავს: გასაუბრება, ტრენინგი, რომლის ფასიც 20-30 ლარის ფარგლებში მერყეობს, შემდგომ სამსახურის დასაწყებად საჭიროა 600 ლარის საქონელი გაასაღო, მნიშვნელობა არ აქვს, ნათესავებს მიჰყიდი, თუ შენთვის დაიტოვებ. მთავარია, კომპანიას შედეგი ანახო. ამის შემდეგ აფორმებ ხელშეკრულებას და ხდები თანამშრომელი, თუმცა ორი თვის შემდეგ დასაქმებულთა უმეტესობა გამორბის, ვინაიდან ვერ ახერხებს პროდუქტის რეალიზებას, მისი სიძვირის გამო.

საქართველოში ქსელურმა ბიზნესმა ერთგვარი მუტაცია განიცადა და მისტერიულ სექტას დაემსგავსა. გასაუბრებაზე მისულებს დაახლოებით ერთსაათიან უფასო ლექციას უტარებენ, უყვებიან რომელიმე ჩინელის ან ამერიკელის გამილიონერების შესახებ. რაც მთავარია საუბარი არ უნდა შეაწყვეტინო და არც კითხვაზე პასუხის მიღების იმედი გექნებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგემშვიდობებიან. ბოლოს 25-30 ლარს მოგთხოვენ ერთკვირიანი სემინარებისათვის და თუ ამ თანხასაც გადაიხდი და სემინარებსაც დაესწრები გარკვეული პროდუქციის რეალიზაციას დაგავალებენ.

და მაინც, საინტერესოა, მიმართავს თუ არა ხალხი აღნიშნულ ვაკანსიებს, სწორედ ამიტომ ნეტგაზეთის მიერ ჩატარდა გამოკითხვა 19-25 წლამდე სტუდენტებში (ვინაიდან ეს თემა უფრო აქტუალური სტუდენტებშია). ნეტგაზეთის მიერ გამოკითხული 200 ადამიანის აზრით, ქსელურმა მარკეტინგმა დღეს საქართველოში პოპულარობა დაკარგა, 77%-ს არ სჯერა მრავალდონიან მარკეტინგში დასაქმების, 5%-ს არ სმენია მსგავსი დასაქმების შესახებ, ხოლო 18%-ს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ქსელური მარკეტინგი უმოკლესი გზაა გამდიდრებისკენ.

ლიტერატურა:

1. მ. თეთრუაშვილი, ზ. თეთრუაშვილი ი. თეთრუაშვილი, ,,საკუთარი ბიზნესი: როგორ ვიმოქმედოთ ბაზარზე'', 2008.
2. http://.marketer.ge
3. http://biziideebi.ge
4. http://netgazeti.ge

სტრუქტურული უმუშევრობის პრობლემა საქართველოში

თამარ ბედოშვილი, ნინო დათებაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლია ბიბილაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

მასმედიით ახალი ამბების მოსმენის, ინტერნეტში „მოგზაურობის“ თუ უბრალოდ ახლობლებთან საუბრის დროს ხშირად ვმსჯელობთ ეკონომიკურ საკითხებზე. ვაწყდებით ეკონომიკურ პრობლემებს და ვდგებით გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის წინაშე. ეკონომიკა მუდამ ჩვენს გარშემოა და მუდმივად იჭრება თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი თანამედროვე ყოფის მამოძრავებელი ძალაა. ნებისმიერი ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს ეკონომიკა. განვითარებული ეკონომიკის შემთხვევაში მოსახლეობა ბედნიერი და თავისუფალია, და, პირიქით, სუსტი ეკონომიკის შემთხვევაში ღარიბი და სხვაზე დამოკიდებული. არაჯანსაღი ეკონომიკა იწვევს მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც უშუალოდ აისახება მოსახლეობაზე.

საქართველოს უმწვავესი პრობლემაა სიღარიბე. მისი გამომწვევი მიზეზი უმუშევრობა და მოსახლეობის მცირე შემოსავალია. უმუშევრობა მაკროეკონომიკური პრობლემაა. ვინაიდან მისი წარმოშობის მიზეზი მთელი ქვეყნის ეკონომიკაა და თავადაც ახდენს გავლენას მთელ ქვეყანაზე. იგი ქვეყნის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ძირითადი ინდიკატორია. შეიძლება ვთქვათ, რომ საბაზრო ეკონომიკის თანდაყოლილი უარყოფითი თვისებაა, რაზეც მეტყველებს საბაზრო ეკონომიკის განვითარების ისტორია.

საერთაშორისო რეიტინგებით №1 რეფორმატორი ქვეყანა ვართ, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობს და წლების მანძილზე უშედეგოდ ეძებს სამსახურს. დასაქმების პრობლემა, მოგვარების ნაცვლად, ყოველწლიურად მწვავდება და სულ უფრო მეტი ადამიანი იძულებული ხდება თავი თვითდასაქმებით ირჩინოს. საქართველოში, დასაქმებულებად რეგისტრირებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულია. მათი შემოსავალი კი ხშირად ძალიან მწირია და არსებობისთვის არასაკმარისი. ეს კატეგორია ძირითადად კონცენტრირებულია სოფლის მეურნეობაში. სოფლად უმუშევრობის დონე 7.9%-ს შეადგენს, ქალაქებში კი 27.2%-ს აღწევს.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 16161 გამოკითხულისგან რესპონდენტების 67% თავს უმუშევრად მიიჩნევს. ეს მონაცემი არააქტიურ მუშახელსაც მოიცავს და ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც სამუშაოს არ ეძებენ. 2011 წლის სექტემბერში გამოვლენილი შედეგის მიხედვით, მოსახლეობის 62%-ს „სამუშაო“ ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად მიაჩნია. უმუშევრობაზე საუბრისას კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ეკონომისტები ყურადღებას აქცევენ, შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დონეა. 2010 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშის თანახმად, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. უმუშევართა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, მაგრამ ეს სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს ან არ შეესაბამება სათანადო სტანდარტებს და რეალურად განათლებულ ადამიანთა რიცხვი საკმაოდ მცირეა. მსოფლიო კონკურენტულობის ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალაა, ანუ ქვეყანა განიცდის ე.წ. „სტრუქტურულ უმუშევრობას“. ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ უმუშევრობის სწორედ ეს სახე, ვინაიდან დღეისათვის იგი საკმაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. სტრუქტურული უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან. ზოგიერთ ბაზარზე მას წარმოშობს სამუშაო ადგილების სიმცირე სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობასთან შედარებით. სტრუქტურული უმუშევრობის დროს ხელფასი წონასწორულ დონეზე მაღალია, რის გამოც სამუშაო ძალის მიწოდება მოთხოვნას აჭარბებს. იგი განპირობებულია ძველი დარგებიდან ახალში, ღარიბი რეგიონებიდან კი მდიდარ რეგიონებში შრომითი რესურსების გადასვლით. დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურასა და ტექნოლოგიაში ხდება ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ, ცვლიან სამუშაო ძალაზე ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას. ასეთ ცვლილებათა შედეგად მოთხოვნა პროფესიათა ზოგიერთ სახეობაზე (რომლებიც ადრე არ არსებობდა) იზრდება. მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობა წარმოიშობა იმიტომ, რომ სამუშაო ძალა სრულად ვერ პასუხობს ახალ ცვლილებებს სამუშაო ადგილების სტრუქტურაში. ზოგიერთი მომუშავე დაინახავს, რომ ის პროფესიული ჩვევები, რომლებიც მათ ახლა გააჩნიათ, უკვე აღარ

შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს: მათი გამოცდილება და უნარი მოძველდა და გამოუსადეგარი გახდა ტექნოლოგიების და სამომხმარებლო მოთხოვნის ცვლილებათა გამო.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული საწარმოები, დარგები და პროფესიები გამუდმებით იცვლება და ქრება, ამ დროს კი სხვები ჩნდება, იზრდება და ვითარდება. ტექნოლოგიური პროგრესის გამო ცვლილებები სწრაფად ხდება, საწარმოები ახლებური და მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების და ცოდნის მუშაკებს მუდმივად მოითხოვენ. მუშაკებს ისეთი პროფესიონალური უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეთ, რომელიც მათ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში მონაწილეობის საშუალებას მისცემს. დღეს ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე ათი წლის წინ, შეხვდებით ისეთ მუშაკებს, რომლებიც არა მარტო სამსახურს, არამედ მთელ კარიერასაც იცვლიან, რათა შრომის ბაზრის მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

ბიზნესგაერთიანება "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია" რეგიონებში შრომის ბაზარს იკვლევს. აღმასრულებელმა დირექტორმა კოტე ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სამეგრელოს რეგიონი გამოიკვლიეს. განსაზღვრეს პრიორიტეტული სექტორები: მშენებლობა, აგრონომია, სოფლის მეურნეობა, ინფორმატიკა, ტურიზმის სექტორი. გასულ წელს ეს პროექტი უფრო ფართო იყო, რადგან შრომის ბაზარი შეისწავლეს კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, რაჭაში, გამოიკვლიეს ქუთაისის ადმინისტრაციული ზონა და გამოავლინეს სამი ყველაზე მოთხოვნადი პროფესია. ესენია სამშენებლო პროფესიები: დურგალი, მემონტაჟე, მომპირკეთებელი. შრომის ბაზარი საზოგადოების სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი სფეროა, სადაც ხდება სამუშაო ძალის შეფასება და გაცვლა ხელფასზე - შრომის ანაზღაურებაზე. აქ განისაზღვრება დაქირავების პირობები, ხელფასის მოცულობა, განათლებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობები.

საქართველოს შრომის ბაზარი დროის მოთხოვნებს ჩამორჩება. ბაზრის სტრუქტურის შემადგენელი მთავარი ნაწილები - შრომის კანონმდებლობა, კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურები, პროფკავშირული გაერთიანებები, სამუშაო ძალა - სუსტად არის განვითარებული. ქვეყანაში ისევ კომუნისტების დროინდელი შრომის კანონმდებლობა მოქმედებს. მის შესაცვლელად მომზადებული კანონპროექტი განხილვის პროცესშია. სამუშაო ძალა ვერ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს, რადგან სპეციალისტების გადამზადების სახელმწიფო სამსახურები უმოქმედოა. ბაზარზე მოქმედ კერძო კომპანიებს უჭირთ ყველა იმ სფეროს ათვისება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალის ცვლილების მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში 2 მილიონი შრომისუნარიანი ადამიანია. 2 მილიონიდან კონტრაქტით დასაქმებული იყო 750 ათასი ადამიანი. აქედან, 300 ათასი სახელმწიფო სექტორში მუშაობდა. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა, თუმცა მათი დასაქმების ალტერნატივა არ ჩანს.

გასულ წელს, საქმიანობის ცალკეული სახეების მიხედვით რეგისტრირებული თავისუფალი სამუშაო ადგილებიდან კომუნალურ, სოციალურ და პერსონალურ მომსახურებაზე 37 პროცენტი მოდის, საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე, ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი ნივთების რემონტზე - 18,4, განათლებაზე - 8,1, ოპერაციებზე უძრავი ქონებით, იჯარასა და სხვა კომერციულ საქმიანობაზე - 7,7, ტრანსპორტზე, სასაწყობე მეურნეობასა და კავშირგაბმულობაზე - 7,5, მრეწველობაზე - 7,3, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე - 5,0 პროცენტი.

მოთხოვნასა და მიწოდებას თუ გავითვალისწინებთ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლებს განსხვავებული ხელფასი აქვთ. ცოდნა, პროფესიული უნარ-ჩვევები, განათლება და გამოცდილება გავლენას ახდენს მოთხოვნასა და მიწოდებაზე შრომის ბაზრებზე. ამის შედეგად ზოგის ხელფასი იზრდება, ზოგის კი მცირდება. ამით საბაზრო ეკონომიკა მუშაკებს მნიშვნელოვან ინფორმაციას და სტიმულებს აძლევს. ამ ფასისმიერი სიგნალების საფუძველზე მეტი მუშაკი მიედინება მზარდ, მომავლის დარგებსა და პროფესიებში, სხვები კი ტოვებენ ჩამორჩენილ დარგებს. მუშაკები აფართოებენ ინვესტირებას იმგვარ უნარ-ჩვევებს, განათლებასა და გამოცდილებაში, რომლებიც შრომის ბაზარზე სულ უფრო მეტად ფასობს. ბიზნესგაერთიანება "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორი კოტე ნანობაშვილი ამბობს, რომ საქართველოს შრომის ბაზრის მთავარი პრობლემა კვალიფიკაციის დეფიციტია. "საზოგადოება კვალიფიკაციის ასამაღლებლად და პროფესიების შესაცვლელად მზად არ არის. არის კიდევ ერთი საკითხი - არაინფორმირებულობა. ინფორმაციის დეფიციტს არა მხოლოდ უმუშევარი ადამიანი, არამედ ბევრი კომპანია განიცდის. მეწარმეები ხშირად ამბობენ: კანდიდატის მონაცემებს ვკითხულობთ, კარგი მონაცემებია, მაგრამ პირისპირ შეხვედრისას მისი დონე არ გვაკმაყოფილებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეწარმე უფრო მაღალგანვითარებულია, უბრალოდ, კანდიდატს ხშირად ის ცოდნა და გამოცდილება არ აქვს, რაც მეწარმეს სჭირდება."

აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში მცირეა იმ კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ სერტიფიცირებას ემსახურება.

კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი ცდილობს დასავლური სტანდარტებით იმუშაოს. საკუთარი მუშაკების კვალიფიკაციის დონის ასამაღლებლად ძირითადად ზრუნავენ საბანკო სისტემაში, ჯანადაცვაში, საყოფაცხოვრებო და კვების სექტორში მოქმედი კერძო კომპანიები.

ნავთობსადენის - "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მშენებლობის დროს კომპანია "ბი-პი"-მ მილების შემდუღებლებიც კი უცხოეთიდან ჩამოიყვანა, რადგან ადგილობრივ სპეციალისტებს სათანადო პროფესიული გამოცდილება არ ჰქონდათ. ასეთი ფაქტები ქვეყანაში ხშირია და ვფიქრობთ სასირცხვილოა. მით უმეტეს ისეთი ამაყი და თავმომწონე ერისთვის, როგორიცაა ქართველი. სწორედ ამიტომ, თანდათან ჩნდება კომპანიები, რომლებიც ზრუნავენ მუშაკთა განათლების ხარისხის ამაღლებაზე. ერთ-ერთი მათგანია სამშენებლო ფედერაციასთან არსებული სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ემსახურება შემდუღებლების, დეფექტოსკოპიის, მასალათმცოდნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, ტესტირებას და სერტიფიცირებას. ტესტინგის და ტრენინგის ცენტრი გახლავთ კომპანია "აი-თი-თექნოლოჯი"-ც, რომლის საერთაშორისო დონის სერტიფიცირებულ სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა, რადგან სერტიფიკატი მაღალ კვლიფიკაციას ადასტურებს. ამჟამად კომპანიას თანამედროვე დონის სასწავლო პროგრამით უცხოელი პარტნიორები უზრუნველყოფენ.

როგორ დავადგეთ ნამდვილი „ტაძრისკენ“ მიმავალ გზას? საბაზრო ეკონომიკა რთული და წინააღმდეგობრივია. ის უშუალოდ თავისუფლებას უკავშირდება, მაგრამ თავისუფლება, როგორც შეუფასებელი სოციალური ფასეულობა მოიცავს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ტენდენციებს. თანამედროვე გამოკვლევებით განვითარებულ ქვეყნებში, მეცნიერულად აღიარებულია და პრაქტიკით დადასტურებული, რომ მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და განათლებაზე დახარჯულ წლებსა და სახსრებს შორის არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება. სწორედ ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებას. ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდობა ქვეყნის მნიშვნელოვან სიმდიდრეს წარმოადგენს. საწარმოთა მესაკუთრეები ახდენენ ინვესტირებას თავიანთ საწარმოებში, მუშები კი ინვესტირებას ახდენენ თავიანთ პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და ცოდნაში. ეს დიდად მნიშვნელოვანია დღეს, რადგან ცოდნა, იდეები და "ტვინის ძალა" სულ უფრო და უფრო დიდი როლს თამაშობს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში.

სტატისტიკური თუ სოციოლოგიური გამოკითხვებით, უმუშევრობა საქართველოში, მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხების ნუსხაში, პირველ ადგილს იკავებს. სამუშაო ძალის ზოგიერთ ბაზარზე არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა საკმარისი არ არის ყველა მსურველის დასაკმაყოფილებლად. ზოგადად კი პიროვნებისთვის სამუშაოს დაკარგვა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე შემოსავლის დაკარგვა. იგი შეიძლება ამოვარდეს საერთოდ ცხოვრების რიტმიდან. ამდენად, დასაქმებას უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

იმისათვის, რომ საქართველოში უმუშევრობამ იკლოს, ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა განახორციელოს ცვლილებები. უნდა შეიქმნას სამსახური, რომელიც დაკავდება უმუშევართა რეგისტრაციითა და აღრიცხვით, ცვლილებები უნდა განხორციელდეს კანონით, სასწავლო დაწესებულებები ხარისხზე ორიენტირებული უნდა გახდეს. დიპლომები და სერტიფიკატები არ უნდა წარმოადგენდნენ მხოლოდ ფარატინა ქაღალდს. ისინი პიროვნების რეალურ ცოდნას უნდა ადასტურებდნენ. ამ მხრივ, ვფიქრობთ მისასალმებელია მასწავლებელთა გადამზადებისა და სერტიფიცირების პროგრამა. ამას გარდა ქვეყანაში უმუშევრობის დასაძლევად საჭიროა გადასახადების შემცირება, ბიზნესის ზეწოლისგან დაცვა, სასამართლო სისტემის გაძლიერება, საკუთრების უფლებების დაცვა და, რაც მთავარია, სამუშაო ადგილების შექმნა, რათა იმ მომავალ თაობას, რომელიც უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებს, ჰქონდეს საშუალება იმუშაოს, თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში და სურვილის შემთხვევაში შეეძლოს პროფესიული დონის კიდევ და კიდევ ამაღლება. ყოველივე ამისათვის კი აუცილებელია მოტივაციაც. XIX საუკუნეში დიდ ილია მოძღვრავდა ახალგაზრდებს ცოდნის აუცილებლობის შესახებ, რომ ცოდნა „ანთებულ სანთელს“ ჰგავს და რაც არ უნდა ბევრს დაურიგო, გაუნაწილო შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. მოტივაცია ახალგაზრდებს და მით უმეტეს მოსწავლეებსა და სტუდენტებს თავად სასწავლო დაწესებულებში უნდა შეექმნათ. ლექტორები თუ მასწავლებლები მუდმივად უნდა ცდილობდნენ დააინტერესონ სტუდენტი (მოსწავლე) და მისცენ სწავლის სტიმული. ახალგაზრდა შეგნებულად უნდა იაზრებდეს ცოდნის მნიშვნელობას და უნდა ხვდებოდეს თუ რაოდენ დიდი ძალა აქვს მას, „ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, მუდამ მასთანა მყოფელი“, მცოდნე ადამიანის თვალსაწიერი ფართოა. თუმცა ცოდნის მიღება და გაღრმავება უნდა ხდებოდეს თანამედროვეობის, სტრუქტურული და ტექნიკური ცვლილებების პარალელურად.

ლიტერატურა:
1. რ. ოთინაშვილი, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2010.
2. მ. გველესიანი, ეკონომიკსი, თბ., 2000.
3. http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/109/id/59
4. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14734
5. www.voanews.com/georgian/news/--135745848.html
6. http://www.kvirispalitra.ge/economic/10244-dasaqmebulebis-17-dgheshi-1-dolarad-ckhovrobs.html
7. http://24saati.ge/index.php/category/business/2011-02-27/14415

მცირე მეწარმეობა საბაზრო რეფორმების სისტემაში

თეონა ბერიკაშვილი, ლენა განჯელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე**, ასოცირებული პროფესორი

მცირე ბიზნესის განვითარება ითვლება საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად. ეკონომიკის ეს სექტორი უფრო დინამიურად რეაგირებს კონიუნქტურის შეცვლაზე, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს საშუალო კლასის ფორმირებას, ე.ი. აფართოებს გასატარებელი რეფორმების სოციალურ ბაზას. ასეთი სოციალური ბაზის საყრდენის გარეშე საბაზრო რეფორმები განწირულია, ხოლო საკითხი მათი შეუქცევადობის შესახებ მუდამ ეჭვის ქვეშ იქნება.

მოცემული მდგომარეობის ჭეშმარიტებას ამაგრებს საზღვარგარეთის საბაზრო ქვეყნების გამოცდილება, სადაც მცირე ბიზნესი ფაქტიურად ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა. მაგ., აშშ-ში მის წილზე მოდის საერთო პროდუქტის 40%.

მცირე და საშუალო მრეწველობის პროდუქციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბევრი ქვეყნის ექსპორტში. მათ წილად მოდის სასაქონლო ექსპორტის 40% ისეთი ქვეყნებისა, როგორიცაა გერმანია, იტალია, იაპონია, მათ ოდნავ ჩამორჩება საფრანგეთი და ჰოლანდია. იზრდება მცირე ბიზნესის წილი აშშ-ს ექსპორტშიც.

საქართველოში ინფლაციის სიმწვავემ, საგადასახადო არასტაბილურობამ, მასალისა და ნედლეულის ბაზრის უქონლობამ, დამწყებ საწარმოებს უბიძგა ქუჩურ-საკარვო ვაჭრობისკენ. ვაჭრობის ძირითად წყაროდ იქცა იმპორტული შესყიდვები, აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობის საქონელი კვების პროდუქტების ჩათვლით.

ადმინისტრაციული მმართველობის მოშლამ, ეკონომიკურმა ქაოსმა და საკანონმდებლო გაურკვევლობამ გამოიწვია ის, რომ კანონის მიმყოლი მეწარმეები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ძლიერი საგადასახადო წნეხის ქვეშ და განიცდიდდნენ სახელმწიფო და არასახელმწიფო რეკეტის საფრთხეს.

როგორც საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, მცირე ბიზნესის განვითარებაში წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყოველმხრივი და სტაბილური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ფორმით. პირველ რიგში საგადასახადო შეღავათები, დოტაციები, შეღავათიანი საბანკო კრედიტები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონმდებლობის მიღება და მისი დაცვა. მცირე მეწარმეობის განვითარების კორექტური კომპლექსური პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

დღეს მთავრობამ დაიწყო მცირე მეწარმეობის სერიოზული სისტემური მხარდაჭერა, ახალი პროგრესირებადი გადასახადები დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ წარმატებაზე.

დავიწყოთ დამატებითი ღირებულების გადასახადიდან. ეს მრავალმიზნიანი გადასახადია, რომელიც მიყოლებულია წარმოების საშუამავლო ოპერაციებისთვის. ამჟამად დამატებითი ღირებულების გადასახადიდან დანარიცხი დიფერენცირებულია 20%-დან ქვემოთ. რიგ სოციალურ მნიშვნელობის საქონელზე ის ტოლია არა 20, არამედ 10%-ის. ზოგიერთი საქონელი საერთოდ მისგან გათავისუფლებულია. დამატებითი ღირებულების გადასახადის გარდა, მოქმედებს სხვა სახის გადასახადებიც.

ქვეყანაში გატარებული საგადასახადო პოლიტიკა არა მარტო ეფექტიანია, არამედ ეკონომიკურად და პოლიტიკურად სასურველიცაა. ის კვეთს მსოფლიოს პრაქტიკითა და თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებით დამკვიდრებულ ეკონომიკის განვითარებას. არც თუ ისე მაღალი დაბეგვრა ხელს უწყობს ქვეყანაში მცირე მეწარმეობის განვითიარებას.

საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის საერთო მიმართულებაა გადასახადების მასტიმულირებელი როლის გაძლიერება წარმოების განვითარებაში. მცირე საწარმო უნდა გათავისუფლდეს დაბეგვრისგან ინვეტიციებით შემოტანილ ტექნოლოგიებზე და შეღავათები გადასახადებზე წარმოებას ფეხზე დააყენებს. სრულიად აშკარაა საჭიროება დიფერენცირებული საგადასახადო მიდგომისა სხვადასხვა პროფილით მომუშავე საწარმოებისათვის. უფრო მცირე გადასახადები უნდა გამოიყენებოდეს საჭირო პრიორიტეტული წარმოებისთვის.

ფირმების დაბეგვრის დიფერენცირებული სისტემა დამახასიათებელია დასავლეთის ქვეყნებისთვის, რომელთაც უკავიათ მოწინავე პოზიციები თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური საწარმოების ფუნქციონირებისთვის. აშშ-ში მაგალითად, მცირე ინოვაციურ ფირმებისთვის იყენებენ საგადასახადო დოტაციებს, შეღავათიან კრედიტებს სარისკო კაპიტალის ინვესტიციისათვის, რომლებიც წარმოდგენილია სპეციალური ფონდებით აქციების ნაწილზე გაცვლით. ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს ბევრ ახალგაზრდა ფირმას გახდეს ლიდერი ახალ წარმოებაში, მაგალითად, კომპიუტერულ ბიზნესში.

საქართველოში არსებული, გარდაქმნის სტადიაში მყოფი, საგადასახადო სისტემა დღეს საკმაოდ დახვეწილია. ეკონომიკა და ფინანსური მდგომარეობა განსაკუთრებულ ზრუნვას აღარ საჭიროებს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში გაკეთდა მეტი, ვიდრე წარმოიდგენენ საზღვარგარეთელი ექსპერტებიც კი. ქვეყანა თავს აღწევს კრიზისს და იმის ფონზე, რაც იყო უახლოეს წარსულში, მისი მაგალითი ნამდვილად შთამბეჭდავია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ჩაწერილია იმპერატიული თეზა: გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე, რომლის გადაუხდელობა არავის ეპატიება.

საქართველოში არ არის შექმნილი ისეთი გარემო, როცა ბიუჯეტთან ანგარიშწორება სამეწარმეო საქმიანობის თანმდევი და განუყოფელი პროცესი იქნება. პირიქით, გადამხდელთა ერთი ნაწილი, მხედველობაში გვაქვს „ურჩი გადამხდელები“, ყველა შესაძლო ხერხსა და მეთოდს იყენებს იმისთვის, რომ თავი აარიდონ საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულებას.

ქვეყანაში ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა, საბიუჯეტო ვალდებულებების შეუსრულებლობა მკაცრი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმდებლობით უნდა ისჯებოდეს. ეს ფინანსური წესრიგის განმტკიცების, ბიუჯეტის აღსრულების, გადამხდელსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის რეგულირების ყველაზე მძლავრ ბერკეტად არის მიჩნეული.

სახელმწიფოს მიერ მცირე მეწარმეობის თანადგომის ღონისძიებების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცირე საწარმოების დაკრედიტების სისტემის სრულყოფას. ქვეყანაში, სადაც მცირე მეწარმეობა უკვე განვითარებულია, მათი განვითარებისათვის დამატებითი კაპიტალის წყარო შეიძლება იყოს ან საკუთარი დანაზოგები, ანდა თვით მცირე მეწარმეების დროებით თავისუფალი სახსრები.

პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბანკების როლი, პირველ რიგში კომერციულ ბანკებისა, უნდა გაძლიერდეს. იმის გათვალისწინებით, რომ მცირე ბიზნესის დაკრედიტება ობიექტურად დაკავშირებულია ბანკებისათვის დიდ რისკთან და იწვევს დამატებით ხარჯებს მრავალ პატარა კლიენტის მომსახურებაზე, აუცილებელია შემუშავებული იქნეს სახელმწიფოს მხრივ ბანკების მასტიმულირებელი ღონისძიებათა სისტემა. მიზანშეწოლილია შეიქმნას სპეციალიზებული ფონდი მცირე ბიზნესის დაკრედიტირებისათვის, რომელიც კრედიტების გარანტიას მოგვცემდა და აიღებდა თავის თავზე მაღალ რისკს.

ქვეყანაში მცირე მეწარმეობაზე აქტუალური სახელმწიფო ზემოქმედების ბერკეტები შეიძლება გახდეს სახელმწიფო თანადგომის პროგრამა და მცირე მეწარმეობის განვითარება. მათში უნდა გამოიხატებოდეს ფულადსაკრედიტო, საგადასახადო და ფასების პოლიტიკის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მექანიზმი, ოფიციალური გარანტიების სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას, სამეწარმეო მოღვაწეობის განვითარებაში.

პროგრამაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს საბაზო ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ინსტიტუტების - ბაზრის და ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო და სარისკო მეწარმეობის, საკონსულტაციო და აუდიტორული მოღვაწეობის ფორმირება, აგრეთვე მეწარმეობის თანადგომის კომპლექსური სახელმწიფო-საზოგადოებრივი სისტემის შექმნა, სამეწარმეო კადრების მომზადების და გადამზადების ჩათვლით, ამ სფეროში მოსახლეობის სოციალურად აქტიური ფენების მოზიდვა. უნდა

განისაზღვროს აგრეთვე შიგაეკონომიკური მოღვაწეობისა და მეწარმეობის განვითარებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები.

პროგრამაში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სამაწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ რეგულირებას, ღონისძიებათა რიცხვში გათვალისწინებულია სამეწარმეო სექტორის მიერ საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა: ახალი საკრედიტო დაწესებულების ორგანიზაციისთვის პირობების შექმნა, სავალუტო ამონაგების სავალდებულო გაყიდვის მინიმალური ნორმატივების დადგენა მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებისთვის, რომლებიც აძლევენ კრედიტს მცირე საწარმოებს საწარმოო მიზნებისთვის, უპირველესად პროექტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე მეწარმეობის პრიორიტეტულ განვითარებას.

როგორც აღინიშნა, განსაკუთრებული როლი მცირე მეწარმეობის თანადგომაში ეკუთვნის საგადასახადო სისტემას. ამასთან დაკავშირებით პროგრამაში უნდა მოიძებნოს გადასახადების თანდათანობით შემცირების პოლიტიკის ღონისძიებები, უპირველესად, პრიორიტეტულ მიმართულებით მომუშავეთათვის. ასეთი სისტემა უნდა შეიცავდეს: საკუთარი წარმოების და სოციალური ბაზის განვითარებისთვის დროის გარკვეულ პერიოდში დაგროვილი და გამოყენებული საშემოსავლო თანხებიდან გადასახადზე განთავისუფლებას, მცირე საწარმოების მოგებაზე შეღავათიანი გადასახადების დადგენას მათი რეგისტრაციიდან მუშაობის მესამე და მეოთხე წელს. დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) შემცირებას, მცირე წარმოებებზე საგადასახადო შეღავათების შენარჩუნებას და სხვა.

ლიტერატურა:

1. გ. ერქომაიშვილი, მეწარმეობის ფორმირება და განვითარების თავისებურებანი საქართველოში, თსუ, თბ., 2004.
2. რ. კოტერი, ე. რიდი, რ. სმითი, კომერციული ბანკები და საბანკო საქმე, თბ., 2000.
3. მ. გოგოხია, საბანკო საქმე თბ., 2007.
4. ლ. ქოქიაური, საბანკო საქმიანობის საფუძვლები, თბ., 2004.

საქართველოს ეროვნული ბანკი - პრობლემები, პერსპექტივები

ნათია ბერუაშვილი, თამარ გოგოსაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** სრული პროფესორი

1990 წლამდე საქართველოს ფაქტობრივად არ გააჩნდა საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა და არც პოლიტიკა, ამიტომ ახალ, არაორდინალურ პირობებში მათი ჩამოყალიბება განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა გახლდათ. დაშვებული შეცდომების შედეგად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სპონტანურად ჩამოყალიბება მოხდა. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის გარეშე ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა, რომლის პირველ საფეხურზე ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა. მის ფუნქციონირებას საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“, აღნიშნულმა კანონმა იმოქმედა მხოლოდ 1995 წლამდე. 1995 წლის 23 ივნისს მიღებულ იქნა „საქართველოს ეროვნული ბანკის კანონი“, რომელიც სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ბანკის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. მას უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება, დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი მონეტარული და

საზედამხედველო ფუნქციები. ეროვნული ბანკის ქონება საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაა, მას აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობისა და მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, რომელიც ორიენტირებულია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე, ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

- ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- საბანკო საქმიანობისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირება და ზედამხედველობა;
- ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ფლობა, შენახვა და განკარგვა;
- არის საქართველოს მთავრობის ბანკირი, მრჩეველი და ფისკალური აგენტი;
- საქართველოში საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- საიმედო და მდგრადი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში ხელის შეწყობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზანია ეროვნული ეკონომიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა წარმოების საერთო დონის ამაღლებაში, რომლის საბოლოო მიზანია წარმოების ზრდის ტემპების მიღწევა, სრული დასაქმებისა და ინფლაციის მინიმალური დონის შენარჩუნება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იწვევს ფულის მიწოდების გადიდებას დაქვეითების შემთხვევაში დანახაჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის დროს, პირიქით, ზღუდავს ფულის მიწოდებას დანახარჯების შესაკვეცად. დამოუკიდებელ საქართველოში საბაზრო ურთიერთობების და მისი შესაბამისი ეკონომიკური სისტემის ფორმირება-განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ფულად სისტემაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

- ფულმა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, უნდა უზრუნველყოს მისი მფლობელის უფლებები და იგი საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს;
- საკუთრების და მეურნეობრიობის მრავალფეროვნებაზე აგებული სამეწარმეო ურთიერთობათა სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ფულის სიმტკიცეზე, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის საკრედიტო სისტემის ქმედითუნარიანობის წინაპირობა და საფუძველთა საფუძველია;
- ფულის ფლობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების შესაძლო პოტენციალი მოითხოვს მიმოქცევაში ფულის გამოშვებაზე სათანადო კონტროლის დაწესებას და მისი განხორციელებების ოპტიმალური მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ეროვნული ბანკი საქართველოს წარმოადგენს ყველა საერთაშორისო თათბირზე, ყველა საბჭოსა და ორგანიზაციაში, რომლებიც დასაქმებულნი არიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხებით, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის ლიცენზიების გაცემის და მათი საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების საკითხებით, აგრეთვე ეროვნული ბანკის კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხებით. ეროვნულ ბანკს შეუძლია საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნების მთავრობებს, ცენტრალურ ბანკებსა და ფულად-საკრედიტო ორგანოებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა წევრიც არის თვითონ ან საქართველო. ეროვნულ ბანკს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გზით ხელი შეუწყონ ფულად-საკრედიტო სფეროში ეკონომიკურ სტაბილურობას. როგორც საქართველოს წარმომადგენელს, ეროვნულ ბანკს შეუძლია იკისროს ვალდებულებანი და განახორციელოს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ეროვნული ბანკი ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა, იგი განსაზღვრავს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესებს. ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო 9 წევრის შემადგენლობით. საბჭო შეიმუშავებს საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას და ზედამხედველობას უწევს მის განხორციელებას კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები, ცნობილი, პატიოსნებით აღიარებული პროფესიონალები. ეროვნული ბანკის თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში საბჭოს თავმჯდომარის გარდა შედიან ეროვნული ბანკის სამი ვიცე-პრეზიდენტი და ხუთი სხვა წევრი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით

შვიდი წლის ვადით, პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

ეროვნული ბანკის განცხადებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 15 000 000 (თხუთმეტ მილიონ) ლარს, მასში ცვლილებების შეტანა შეიძლება ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგენის საფუძველზე პარლამენტის გადაწყვეტილებებით. საწესდებო კაპიტალის მთელი ეს თანხა არ ექვემდებარება გადაცემას და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის სახით. ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალი იქმნება გადაფასების რეზერვებში გადარიცხვების შემდეგ დარჩენილი წმინდა შემოსავლიდან 25%-იანი ანარიცხების ხარჯზე. ამასთან ანარიცხები საწესდებო კაპიტალში წყდება მისი მოცულობის დადგენილ ოდენობამდე მიღწევისთანავე. თუ ეროვნული ბანკის ბალანსში აქტივების ღირებულება მისი ვალდებულებების ხელუხლებელი კაპიტალისა და სარეზერვო ფონდის თანხაზე ნაკლებია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არსებული დეფიციტის დასაფარავად ეროვნულ ბანკს საკმარისი მოცულობით მისცემს ამავე სამინისტროს მიერ გამოშვებულ სავალო ვალდებულებებს წარმომდგენზე იმ ვადითა და პირობებით, რომლებიც სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ანალოგიური იქნება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ფასიანი ქაღალდები უნდა გამოუშვას ეროვნული ბანკის საფინანსო წლის დამთავრებიდან 3 თვის განმავლობაში, ეს ფასიანი ქაღალდები უნდა აისახოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ყოველი საფინანსო წლისათვის ეროვნული ბანკის წმინდა შემოსავალი გამოიანგარიშება როგორც წმინდა საოპერაციო მოგების ან ზარალის და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგების ან ზარალის ჯამი. წმინდა საოპერაციო მოგება ან ზარალი მიიღება საანგარიშგებო წლის შემოსავლის თანხიდან ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების გამოქვითვისა და რეზერვების იმ ფონდებში გადარიცხვების შემდეგ, რომლებიც გამოიყენება:

- ამოუღებელი და საეჭვო სესხების დასაფარავად, ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის, თანამშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევისათვის;
- ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების დაფარვისათვის.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს ოპერაციები ღია ბაზარზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა და ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ჩვეულებრივი შეძენის ან გაყიდვის გზით სპოტური და ფორვარდული ოპერაციებით, ან შემდგომში გამოსყიდვის შეთანხმების გზით. ამ მიზნით სხვა ფასიანი ქაღალდების გამოყენება აკრძალულია. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებებისას ეროვნული ბანკი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ყველა კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის აწესებს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს, რომლებიც განისაზღვრება მოზიდულ სახსრებთან პროცენტული თანაფარდობით და ექვემდებარება ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ოდენობისა და მისი გაანგარიშების წესს ეროვნული ბანკი ადგენს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარების შესაბამისად. ეროვნულ ბანკს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების თანხაზე პროცენტების გადახდის შესახებ. ეროვნულ ბანკში არსებულ თავისუფალ რეზერვებზე პროცენტები არ წესდება.

საქართველოს ფულის ერთეულია ლარი. იგი არის ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე. ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ლარის გადაცვლის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ. თუ ეროვნული ბანკი არ გამოაცხადებს ლარის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ კურსი განისაზღვრება ბაზარზე თავისუფალი მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე. ლარი უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვეყნების სავალუტო კრედიტებითა და ეროვნული ბანკის აქტივებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს საერთაშორისო რეზერვების იმ დონეზე შესანარჩუნებლად, რომელსაც იგი საკმარისად მიიჩნევს საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებისა და საერთაშორისო ოპერაციების მიხედვით დროული ანგარიშსწორებისათვის. საერთაშორისო რეზერვების დონის დაქვეითების ან ეროვნული ბანკის აზრით მათი დონის ისეთი დაქვეითების საშიშროების შექმნისას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო ანგარიშსწორების შესაძლებლობას, ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგენს მოხსენებას საერთაშორისო რეზერვების მდგომარეობისა და იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც

გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს მათი შემცირება და შესთავაზებს შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების ღონისძიებებს.

ეროვნული ბანკი ასრულებს საქართველოს მთავრობის ბანკირის, მრჩეველის და საფინანსო აგენტის როლს. მისი მოვალეობაა ქვეყნის პრეზიდენტისა და ფინანსთა მინისტრისათვის საკონსულტაციო დახმარების გაწევა ეროვნული ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან მისი კომპეტენციის სფეროში შემავალ ყველა საკითხში. ფინანსთა მინისტრი ყოველწლიურად იღებს კონსულტაციას ეროვნულ ბაკში სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის საკითხებზე. ეროვნული ბანკი ვალდებულია ფინანსთა მინისტრს წარუდგინოს წერილობითი მოხსენება ამ პროცესთან დაკავშირებულ ეკონომიკურ და საფინანსო საკითხებზე. საქართველოს ფინანსთა მინისტრი სახელმწიფო სექტორისათვის გასაცემი კრედიტების საკითხებზე კონსულტაციებს ატარებს ეროვნულ ბანკთან მომდევნო საფინანსო წლისათვის სახელმწიფო სექტორისათვის საშინაო და საგარეო სესხების მიღების გეგმებთან დაკავშირებით, მათ შორის საკრედიტო სახსრების მოცულობის შეთანხმების, მათი მიღების, განაწილების მოსალოდნელი პირობების საკითხებზე.

საქართველოს ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ კომერციულ ბანკებს, არასადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობას. იგი მოიცავს ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, ნებისმიერი სახის შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების დროებით ადმინისტრაციულ მართვასა და ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს უცხოეთის სახელმწიფოთა საბანკო ზედამხედველობის ნებისმიერ ორგანოებთან ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საქმიანობას ზედამხედველობის სფეროში, რომლებიც ფუნქციონირებენ ორივეს იურისდიქციის ფარგლებში.

ყოველწლიურად საქართველოს ეროვნული ბანკი ,,ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს" აქვეყნებს. გამოცემა მიზნად ისახავს ქვეყნის მაკროეკონომიკურ და საფინანსო სისტემაში არსებულ თუ მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რეზიდენტი და არარეზიდენტი ეკონომიკური სუბიექტებისა და საფინანსო სისტემით დაინტერესებული საზოგადოების საქმიანობის ეფექტიან წარმართვას და პროგნოზირებას საშუალოვადიანი პერიოდისათვის. ანგარიში მოიცავს საქართველოს ფინანსური სტაბილურობის მაკროეკონომიკური ასპექტების და საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის ანალიზს.

ლიტერატურა:

1. ლ. ქოქიაური, ,,საბანკო საქმიანობის საფუძვლები“, I ტომი, თბ., 2004.
2. მ. გოგოხია, ,,საბანკო საქმე“, თბ., 2008.
3. www.nbg.gov.ge;
4. laws.codexserver.com;
5. financial.ge;
6. www.forms.ge/sakartvelos-organuli-kanoni-sakartvelos-erovnuli-**ban**;
7. www.csb.gov.ge;

სამედიცინო დაზღვევის აქტუალური საკითხები

მანანა გაგნიძე, ლიკა ტერტერაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **დავით ჭიოტაშვილი**, სრული პროფესორი

თემის პრობლემატიკა მნიშვნელოვანია მისი უდიდესი ფინანსური, ეკონომიკური და სოციალური დატვირთვის გამო, როგორც ცალკეული დაზღვეულის, ასევე მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის. კერძოდ: ადამიანი, რომელიც სადაზღვევო ორგანიზაციისაგან ყიდულობს

სამედიცინო დაზღვევის მომსახურებას, ყიდულობს იმის გარანტიას, რომ სადაზღვევო შემთხვევისას - სხეულის დაზიანების, ჯანმრთელობის გაუარესების დროს ეს არ იქნება მისთვის ფინანსურად და ფსიქოლოგიურად კატასტროფული მოვლენა, რომ მას ექნება შესაძლებლობა იმკურნალოს და აღიდგინოს ჯანმრთელობა, შეინარჩუნოს შრომისუნარიანობა.

სადაზღვევო კომპანიათა მიერ სამედიცინო დაზღვევის გაყიდვებით მიღებულმა შემოსავლებმა 2008 წელს შეადგინა დაახლოებით 160 მლნ ლარი (მთლიანი სადაზღვევო პრემიის დაახლოებით 60%), ხოლო 2010 წელს შეადგინა 162 მლნ ლარი. 2008 წელთან შედარებით 2 მლნ ლარით გაიზარდა. 2011 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით გაყიდვებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით 164 677 211 ანუ 2010 წელთან შედარებით 2 მლნ ლარზე მეტით გაიზარდა ანუ სადაზღვევო კომპანიათა მიერ სამედიცინო დაზღვევის გაყიდვები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამას ხელი შეუწყო სამედიცინო დაზღვევის სამმა პროგრამამ. ეს პროგრამებია: I – „იაფი დაზღვევა"; II – „პედაგოგთა დაზღვევა" და III – „უმწეოთა დაზღვევა".

2009 წლის სრული მონაცემებით საქართველოში სამედიცინო დაზღვევით პოლისის მფლობელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 1 300 000, 2010 წლის მონაცემებით - 1 497 000, 2009 წელთან შედარებით სამედიცინო დაზღვევის პოლისის მფლობელთა რაოდენობა 497 000-ით გაიზარდა.

სამედიცინო დაზღვევის ბაზრის წილი შეადგენს 30,27%-ს, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბაზრის წილისა უკავია სამოქალაქო პასუხისმგელობის დაზღვევას - 30,98%.

პრობლემის გავლენას თითოეულ დაზღვეულზე და დაზღვეულთა საზოგადოებაზე კიდევ უფრო ამძაფრებს კრიზისული ეკონომიკური და სოციალური გარემო. სწორედ ეს განასხვავებს სამედიცინო დაზღვევას სხვა კომერციული დაზღვევისაგან თავისი სოციალური დატვირთვით.

პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ სადაზღვევო ურთიერთობებში პროფესიონალია მხოლოდ სადაზღვევო კომპანია, რომელმაც შეიძლება არასათანადო ყურადღება მიაქციოს დაზღვეულთა სერვისის დონეს (საკუთარი მოვალეობებისა და დაზღვეულთა უფლებათა დაცვის თვალსაზრისით), ხოლო დაზღვეულს არ ყოფნის კომპეტენცია საკუთარი უფლებების მტკიცედ, პრინციპულად და გონივრულად დაცვისათვის. დღეისათვის საქართველოში დაბალი სადაზღვევო კულტურა და დაბალი ფინანსური კულტურაა. პრობლემა შესაძლებელია სხვადასხვა სახით გამოიხატოს, ძირითადად ესენია: ა) პრობლემა, გამოწვეული სადაზღვევო ორგანიზაციების მიზეზით: სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის დაგვიანება, მის გაცემაზე უარის განცხადება უსაფუძვლოდ, ბ) პრობლემა, გამოწვეული დაზღვეულის მიზეზით: დოკუმენტაციის წარდგენის დაგვიანება, არასრული დოკუმენტაციის წარდგენა, პრეტენზიის გაგრძელებაზე უარის თქმა; საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმების არცოდნა. ამის გადაჭრის ერთ-ერთი ქმედითი გზა სწორედ დაზღვეულთა ხარისხიანი საინფორმაციო უზრუნველყოფაა.

რატომ არის აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის ქონა?

პირველ რიგში ავადმყოფობის შემთხვევაში ის ფარავს მკურნალობის ხარჯებს. დაზღვევა ასევე იხდის პროფილაქტიკის მიზნით ყველა შემოწმებას და ვიზიტს ექიმთან. დაზღვევა ასევე ფარავს შემდეგ სამედიცინო მომსახურებას:

ვიზიტი ექიმთან;

სტომატოლოგიური დახმარება;

მხედველობის შემოწმება;

აცრები;

რეცეპტის მიხედვით წამლების გაცემა;

საავადმყოფოში მკურნალობა;

დახმარება ფსიქიკური აშლილობის შემთხვევაში და ა.შ.

სამედიცინო დაზღვევის განმახორციელებელთა მიერ მოხდა საქართველოს რამდენიმე სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელთა ინტერვიუირება. ასევე სხვადასხვა დროს სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებთან სისტემატური პირადი და საქმიანი ურთიერთობებით მიღებული ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა სადაზღვევო კომპანიათა ძირითადი პრობლემები, დაკავშირებული სამედიცინო დაზღვევის განხორციელებასთან. გამოიკვეთა სადაზღვევო კომპანიათა პრობლემური საკითხების სიტუაციების გამოხატვის შემდეგი შესაძლო ფორმები და მექანიზმები:

ა) პრობლემები, წარმოშობილი დაზღვეულთა მხრიდან.

ბ) პრობლემები, წარმოშობილი პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან.

დაზღვეულთა მხრიდან წარმოშობილი პრობლემები

დაზღვეულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის სადაზღვევო ხელშეკრულებით და კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებები და მოვალეობები, პროცედურული საკითხები და საკუთარი უფლებების დაცვის გზები. სადაზღვევო კომპანიათა პრობლემატიკა შემდეგი ფორმებით გამოიხატება:

- დაზღვეულთა გარკვეული კატეგორიის მიერ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სადაზღვევო პრეტენზიის წარდგენა სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მიზნით;
- სადაზღვევო ანაზღაურების თაღლითური გზით მიღების მცდელობა;
- დაზღვეულის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის პირობების მხოლოდ საკუთარი ინტერესების ჭრილში ინტერპრეტაცია.

პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან წარმოშობილი პრობლემები

- სადაზღვევო შემთხვევის კლასიფიკაციის შეცვლა სადაზღვევო ანაზღაურების მიღების ან მისი გადამეტებული სიდიდით მიღების მიზნით;
- სამედიცინო პრეპარატების რაოდენობის ფასის ხელოვნურად გაზრდა;
- რეალურად გაწეული სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალის ზრდა, ხელოვნურად „გაბერვა“;
- პროვაიდერი სამედიცინო ორგანიზაციის მიერ სადაზღვევო კომპანიისთვის ზარალის შესახებ „პრობლემატური“ ფორმატით მიწოდება, არასრულად მიწოდება, დაგვიანებით მიწოდება.

დაზღვეულის სადაზღვევო უფლებების და დარღვევის პრევენციისა და კონტროლისათვის, ასევე კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილებისათვის აუცილებელი რეკომენდაციები სადაზღვევო კომპანიებისათვის:

- სადაზღვევო კომპანიის მიერ ზარალის რეგულირების პროცესი მიმდინარეობდეს კორექტულად, დაზარალებულის ინდივიდუალური სიტუაციის გათვალისწინებით;
- მზღვეველისა და დაზღვეულის ურთიერთობები იყოს ურთიერთშეთანხმებული;
- ემყარებოდეს უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპს, ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ნდობას.

სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო პროდუქტების ანალიზის სუსტი და ძლიერი მხარეები:

სუსტი მხარეები:

საინფორმაციო უზრუნველყოფა - პროდუქტის ბაზარზე შემოტანის და გაყიდვების არცერთ ეტაპზე აქცენტი არ გაკეთებულა დაზღვეულთათვის სადაზღვევო პროდუქტის, დაფარვების, უფლება-მოვალეობების და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების შესახებ;

შეტყობინების ვალდებულება - დაზღვეული და ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო კომპანიას 24 საათის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ;

თანამონაწილეობა - სტაციონალური ხარჯების ნაწილში სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებს ზარალის მხოლოდ 50%-ს, რაც შეიძლება დაზღვეულის მიერ საკუთარი წილის ვერგადახდის მიზეზი გახდეს;

ვიწრო სეგმენტირება - ფარავს მხოლოდ გადაუდებელ და უბედურ შემთხვევებს, რაც სამედიცინო დაზღვევას პრინციპულად ამსგავსებს უბედური შემთხვევისაგან დაზღვევას;

ძლიერი მხარეები:

- მხარეთა უფლებების და ვალდებულებების განსაზღვრა - ნათლად და სრულად არის განსაზღვრული სადაზღვევო კომპანიისა და დაზღვეულის უფლება-მოვალეობები;
- დაზღვეულთა უფლებების დაცვა - დაზღვეულთა ძირითადი სადაზღვევო უფლებების დაცულობის ხარისხი საკმაოდ მაღალია;
- დოკუმენტაცია და პროცედურები - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულის მიერ განსახორციელებელი პროცედურები და წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი სრულად და მკაფიოდაა განსაზღვრული;
- დაზღვეულთა სეგმენტი - მკაფიოდაა განსაზღვრული დაზღვეულთა შერჩევის კრიტერიუმი სოციალური ჯგუფების მიხედვით და ეს სეგმენტი მოიცავს იმ დაბალშემოსავლიან ფენებს, რომლებიც არ არიან მოქცეული სხვა სახელმწიფო სოციალური პროგრამების დაცვის ქვეშ;
- ფასი/ხარისხის თანაფარდობა - ფასი კორექტირებადია გონივრულობის ფარგლებში, ხოლო პროდუქტი იძლევა მისი ხარისხის უკეთესობისაკენ ცვლის შესაძლებლობას მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

– არჩევანის თავისუფლება - არსებობს დაზღვეულის მიერ სადაზღვევო კომპანიისა და პროვაიდერი სამედიცინო ორგანიზაციების თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა და ა.შ.

პრეზიდენტისა და მთავრობის ინიციატივით 2012 წლის სექტემბრიდან პენსიის ზრდასთან ერთად განხორციელდება თითოეული პენსიონერის სადაზღვევო უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოს ეს ინიციატივა მომგებიანი იქნება როგორც პენსიონერებისათვის, ასევე სადაზღვევო კომპანიებისათვის. საქართველოს სადაზღვევო სფეროში მიღებული წარმატებების მიუხედავად სადაზღვევო ბაზარი და, კერძოდ, სამედიცინო დაზღვევა მოითხოვს კიდევ უფრო დახვეწასა და განვითარებას.

ლიტერატურა:

1. http://www.gii.ge/PDF/GICIDFInceRight Project.pdh
2. http://www.nbg.gov.ge//index.php?m=306

ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მთვარისა გიგუაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ტურიზმი ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას უზრუნველყოფს. საქართველოში ტურიზმი პრიორიტეტულ სფეროდაა აღიარებული და მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

თანამედროვე ეტაპზე ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ტენდენციას გლობალიზაცია წარმოადგენს, რომელმაც საქართველოს ტურისტულ ორიენტაციაზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა. ისტორიული და გეოპოლიტიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ძირითადი ფაქტორი არის TRACECA-ს და „დიდი აბრეშუმის გზის“ - ევრაზიის დერეფნის პროექტი, რომლის რეალიზაცია ხელს უწყობს ამ დერეფანში ჩართული ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული კომუნიკაციის განვითარებასა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობაში ინტეგრაციას.

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვანი და დინამიკურად განვითარებადი დარგია. მასზე მოდის მსოფლიოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 1/10, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის დაახლოებით 1/3, ინვესტიციების დაახლოებით 7%, საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 5%. ამ სფეროში დასაქმებულია 250 მლნ. ადამიანზე მეტი. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 2007 წელს საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობამ 898 მილიონს მიაღწია. 2005 წელს მსოფლიოში აღირიცხა 803 მლნ. ტურისტი, 2000 წელს - 681 მლნ., 1995 წელს - 441 მლნ. 2010 წელს მათი რიცხვი 1006 მლნ შეადგენს, ხოლო 2020 წელს კი საპროგნოზო მაჩვენებლით - 1561 მლნ. მიაღწევს. შესაბამისად, თანამედროვე ტურიზმისათვის სისტემური ზრდის ტენდენციაა დამახასიათებელი.

მსოფლიო ტურისტულ ინდუსტრიაში წამყვან როლს ევროპა თამაშობს, თუმცა მისი წილი ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე სისტემატურად მცირდება. 1995 წელს მის წილად მოდიოდა 59,4% 2012 წლისთვის კი იგი 45,9%-მდე შემცირდა. შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა ამერიკის რეგიონის წილი: 1995 წლის 19,3% -დან 2012 წლის 18,1%-მდე. სამაგიეროდ 14,4 -დან 25,4%-მდე გაიზრდება აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანეთის რეგიონის წილი. ასევე ზრდის ტენდენციაა დამახასიათებელი აფრიკის (3,6-დან 5,0%-მდე), შუა აღმოსავლეთის (2,2-დან 4,4%-მდე) და სამხრეთ აზიის (0,7%-დან 1,2%-მდე) რეგიონებისათვის. 2007 წელს მსოფლიოში ტურიზმისაგან მიღებულმა შემოსავლებმა 856 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ევროპაზე მოდიოდა 51%, აზიისა და წყნარი ოკეანეთის რეგიონზე - 4% . 1950-2007 წლებში ტურიზმის სფეროს ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 7% შეადგინა, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული წლიური შემოსავლები კი საშუალოდ 12%-ით იზრდებოდა. საერთაშორისო ტურისტთა ნახევარზე მეტი დასვენების მიზნით მოგზაურობდა.

ტურისტული მომსახურების მსოფლიო ბაზრისთვის დამახასიათებელია გლობალიზაციის გაღრმავების ტენდენცია, რის შედეგად ტურიზმმა გლობალური ხასიათი შეიძინა. გლობალური ბაზრის ფორმირება ხორციელდება ტრანსნაციონალიზაციის პროცესების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს კერძო კაპიტალის საერთაშორისო გადახლართვას, სხვადასხვა ქვეყნის მონოპოლიების კავშირების განმტკიცებასა და სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბებას, ტრანსნაციონალური კომპანიების ფორმირებასა და მათ ფართო გავრცელებას ტურიზმის სფეროში. აღნიშნულის შედეგად იზრდება წარმოების და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის დონე, ფართოდ ვრცელდება ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები. კონცენტრაცია ტურისტულ ინდუსტრიაში ხორციელდება ორი მიმართულებით - შიდა და გარე გზებით. პირველ შემთხვევაში კონცენტრაცია ხდება ცალკეული სამეურნეო ერთეულის ჩარჩოში და ამისთვის ზრდის შიდა რეზერვები (კომპანიის მოგება) გამოიყენება. მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს სხვადასხვა კომპანიების კოოპერაციას (თანამშრომლობას), ან მათ გაერთიანებასა და შერწყმას. კონცენტრაციასთან ერთად ადგილი აქვს სპეციალიზაციის გაღრმავების ტენდენციას. სპეციალიზაცია დამახასიათებელია ტურისტული მომსახურების ბაზრის ცალკეული სეგმენტებისთვის.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების სხვა ტენდენციებიდან აღსანიშნავია: კონკურენციის გამძაფრება ტურისტული მომსახურების მსოფლიო ბაზრებზე, სერიოზული ცვლილებები ტურისტულ მოხმარებაში, ასაკოვანი ადამიანების ტურისტული მოთხოვნის გაფართოება, დასვენების სტილისა და ინდივიდუალური მოთხოვნების დივერსიფიკაცია, ახალი ფასეულობების დამკვიდრება ადამიანის ფსიქოლოგიაში და ა.შ.

თანამედროვე ტურიზმისათვის დამახასიათებელია ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, რის შედეგად მოკლე დროში შესაძლებელი გახდა ცალკეული სამუშაო ოპერაციების ავტომატიზაცია და მსოფლიო მასშტაბის ელექტრონული სადისტრიბუციო სისტემების შექმნა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეზერვირების გლობალური კომპიუტერული ქსელები, რომელთა მეშვეობით ავიაკომპანიების სისტემები დაკავშირებულია სასტუმროების, ტურისტული სააგენტოების, ავტომობილების გამქირავებელი ფირმების და ტურისტული ინდუსტრიის სხვა კომპანიების კომპიუტერულ ქსელებთან. ამან გააფართოვა ტურისტული მომსახურების პოტენციალი, გაამარტივა საბოლოო მომხმარებლამდე ტურისტული პროდუქციის დაყვანის პროცესი.

საქართველო მცირე ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება. მისი ფართობი 69,7 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობამ 2009 წელს 4615,8 ათასი კაცი შეადგინა. მოსახლეობის რიცხოვნობით საქართველო მსოფლიოში 118-ე ადგილზეა, ქვეყნის ფართობის ზომით - 120-ეზე, მყიდველთუნარიანობის პარიტეტით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით საქართველო მსოფლიო 122-ე ეკონომიკაა, ხოლო მისი ზრდის ტემპით მე-200 ადგილი. საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 4400 აშშ დოლარი და ამ მაჩვენებლით იგი 149 ადგილზეა. სამუშაო ძალით ქვეყანას მსოფლიოში 122-ე ადგილი უკავია, ხოლო ინფლაციის მაჩვენებლით - 52-ე. სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპით საქართველო 133-ე ადგილზეა, ექსპორტის მოცულობით - 144-ეზე, იმპორტის მოცულობთ - 144-ეზე, ოქროსა და უცხოური ვალუტის რეზერვებით - 107-ე, საგარეო ვალის მოცულობით -113-ეზე. [1]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უმჯობესდება ბიზნესგარემო, რაც ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონესთან ერთად, ქვეყანაში ტურიზმის განვითარების კარგ პირობებს ქმნის.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას, უპირველესად მისი მდიდარი ტურისტული პოტენციალი უწყობს ხელს. საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილია უძველესი ადამიანის სამარხი. ჩვ. წ-მდე VI საუკუნეში შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა პირველი ქართული სახელმწიფო კოლხეთი (ეგრისი), საქართველოს ტერიტორიაზე იკვეთებოდა უძველესი სავაჭრო გზები და ა. შ. საქართველოსთვის დამახასიათებელია ლანდშაფტისა და ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება: 330 კმ. შავი ზღვის სუბტროპიკულ სანაპიროს უკავია. ქვეყნის ტერიტორიის 38.6% ტყით დაფარული მასივებია. საქართველოში არის 19 ნაკრძალი, 860 ტბა, მრავალი ჩანჩქერი და 25 ათასზე მეტი მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 54768 კმ-ს უტოლდება, ალპური მდელოები და მთები, რომელთაგან სიმაღლით აღსანიშნავია შხარა (5198 კმ) და ყაზბეგი (5048 კმ). გარდა ამისა საქართველოში 12 ათასი ისტორიული ძეგლი და 150 მუზეუმია. ჩვ.წ-მდე VI-V საუკუნეებით თარიღდება უამრავი საკათედრო ტაძარი, ეკლესია-მონასტერი და სხვა ისტორიული ძეგლი. 1994 წელს იუნესკოს მიერ მსოფლიო კულტურულ ფასეულობათა სიაშია ჩართულია: მცხეთა, როგორც ქალაქი-მუზეუმი, გელათის მონასტერის კომპლექსი (XII საუკუნე), ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (XI საუკუნე), უშგულის არქიტექტურული ანსამბლეა. ეს ისტორიული-ცივილიზაციური რესურსები თვალწარმტაც ბუნებასა და კლიმატურ პირობებთან, ისტორიულ ძეგლებთან, კლდეში ნაკვეთ ქალაქებთან, უამრავ კურორტთან და მინერალურ წყალთან, ტრადიციულ ქართულ სტუმართმოყვარეობასთან, ქართულ

ღვინოებთან, სამზარეულოსთან და სხვა რესურსებთან შეხამებული, ტურიზმის ყველა სახეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს ტურიზმის სფეროს მიმზიდველობასა და განვითარების დონეზე წარმოდგენას იძლევა მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის რეიტინგი, რომელიც ეფუძნება მოგზაურობასა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსს-Travel Turizm Cometitiveness Index (TTCI). მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებულ მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის რეიტიგში საქართველოს 3,83 ქულით 72-ე ადგილი უკავია. მას შედარებით კარგი მდგომარეობა აქვს მოგზაურობისა და ტურიზმის მარეგულირებელ სტრუქტურაში - 46-ე ადგილი და 4,84 ქულა. მაგრამ არასახარბიელო სიტუაციაა მოგზაურობისა და ტურიზმის ბიზნესის გარემოსა და ინფრასტრუქტურის მხრივ - 94 ადგილი და 2,95 ქულა. ამ სუბინდექსის ფაქტორებიდან კი ყველაზე ცუდი შეფასება აქვს საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურას -105-ე ადგილი და 2,33 ქულა. საქართველოს ყველაზე დაბალი რანგი აქვს ბუნებრივი რესურსების ფაქტორში - 116-ე ადგილი (2,22 ქულა). მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ტურიზმის სფეროს პრიორიტეტულობის მიუხედავად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საკმაოდ დაბალია და მდგომარეობის გამოსასწორებლად სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი. [2]

ტურიზმის მიმართ ჩამოყალიბებული რეალისტური მიდგომით ამ სფეროს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სახელმწიფოს მიერ ტურიზმის პრიორიტეტულ სფეროდ აღიარებისა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების შედეგად უკანასკნელ წლებში მისი განვითარების დინამიკა არსებითად იცვლება. ამჟამად საქართველოს შეუძლია ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს უმასპინძლოს. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით "2013 წელს ტურისტების რაოდენობა საქართველოს მოსახლეობას გაუტოლდება".

საქართველოს 2008 წელს სტუმრობდა 1290134 ადამიანი, რაც 2000 წელთან შედარებით 3,5-ჯერ მეტია. უცხოელ ტურისტთა ძირითადი ნაწილი (96.4%) ევროპის ქვეყნებიდანაა ჩამოსული. 2000 _ 2008 წლებში ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტების რიცხვი 3,6-ჯერ გაიზარდა. 2009 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს ესტუმრა 1353655 ტურისტი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 178489 ადამიანით ანუ 15.2%-ით მეტია. ჩამოსულთა რაოდენობამ 1305145 ადამიანი შეადგინა (მატება 15.4%), ხოლო დსთ-დან 851401 ადამიანი (მატება 20%). 2003 წლიდან საქართველოსათვის უცხოელი ტურისტების რიცხვის ზრდის ტენდენციაა დამახასიათებელი. 2008 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში ჩამოსულთა 39%-ის მიზანი იყო ბიზნესი და პროფესიული აქტივობა, 26%-ის მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, 20%-ის - დასვენება, 4%-ის - ტრანზიტი, 2%-ის - დასაქმება საერთაშორისო ორგანიზაციებში, 2%-ის - განათლება და ტრეინინგები, 2%-ის - მკურნალობა და 2%-ის - სხვა მიზნები. 2008 წელს საქართველოში ჩამოსულ ვიზიტორთა რაოდენობით პირველ ადგილზეა თურქეთი - 351410 ადამიანი. ამ წელს დსთ-ს ქვეყნებიდან ჩამოვიდა 784511 სტუმარი, რაც 3,5-ჯერ აღემატება 2000 წლის მონაცემს.

სასაზღვრო პოლიციის მონაცემებით, 2000 წელს საქართველოს საზღვარი 387258 კაცმა გადმოკვეთა, 2010 წელს - 2031717-მა, 2011 წელს კი - 2820185-მა. ტურიზმის ეროვნულ სააგენტოს ინფორმაციით კი - 2011 წელს ვიზიტორების რიცხვი რეკორდულია და სულ 1 მლნ 800 ათას ტურისტს შეადგენს. გარდა ამისა, ამას დაემატება შემოდგომაზე და ზამთრის სეზონზე ჩამოსული ტურისტები მესტიაში, რაჭაში, ხევსურეთსა და ყაზბეგში. [3]

საქართველოში ტურიზმის განვითარების მომავალი მის ინფრასტრუქტურაზეა დამოკიდებული. ქვეყანა ყოველწლიურად მილიონობით ტურისტის მასპინძლობას მხოლოდ მისი სრულყოფისა და განვითარების შედეგად შეძლებს. ტურიზმის ინფრასტრუქტურაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი სასტუმრო მეურნეობას უკავია. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე აღირიცხებოდა 353 სასტუმრო, რომელთა საერთო ფართმა 2485.3 ათასი კვ. მეტრი შეადგინა, ხოლო ნომრების რაოდენობამ - 8582 ერთეული. ნომრების მთლიან რაოდენობაში ლუქსების წილად მოდიოდა 8.4%, ერთ ადგილიანებზე - 15.1%, ორ ადგილიანებზე - 59.7%, სამ და მეტ ადგილიანებზე - 16.8%. სასტუმროებში სტუმართა საერთო რაოდენობამ 2008 წელს 266.3 ათასი კაცი შეადგინა. აქედან არარეზიდენტია 103.7 ათასი კაცი ანუ მთლიანი რაოდენობის 38.9%. სტუმართა საერთო რაოდენობა 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, 16.1 ათასი კაცით შემცირდა. 2007 წლის დეკლარირებული მონაცემებით, 35 სასტუმრო ემსახურებოდა იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებშიც განთავსებული იყო 8191 კაცი, ამ სასტუმროებიდან მხოლოდ 10-მა ერთეულმა მიიღო 11253 სტუმარი, 25 კი მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირებს ემსახურებოდა.

ცხრილში მოცემულია საქართველოს ტურიზმის სფეროს SWOT-ანალიზის მატრიცა. ამ მატრიციდან ჩანს, რომ ქვეყანას ტურიზმის სფეროს განვითარებისათვის აქვს საკმაოდ დიდი შესაძლებლობები, მაგრამ მათ გამოყენებას აფერხებს მთელი რიგი სუსტი მხარეები და საშიშროებები.

საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები, უპირველესად, ამ უარყოფითი მხარეების დაძლევასთანაა დაკავშირებული. ამისათვის კი საჭიროა საქართველოს ტურისტული მიმზიდველობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე გამიზნული სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული მომსახურების მსოფლიო ბაზარზე ღირსეული ადგილის დამკვიდრებასა და ქვეყანაში არსებული ტურისტული რესურსის რაციონალურ გამოყენებას.

საქართველოს ტურიზმის სფეროს SWOT-ანალიზის მატრიცა

ძლიერი მხარეები (s)	შესაძლებლობები (o)
• მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა; • ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები; • მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა; • ისტორიულ-კულტურული ძეგლების დიდი რაოდენობა; • მრავალფეროვანი რეკრეციული რესურსები; • თვითმყოფადი კულტურა და ეროვნული ტრადიციები; • იაფი სამუშაო ძალა; • ღია ეკონომიკა და ლიბერალური ბიზნეს-გარემო; • საკმაოდ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა; • ტურიზმის განვითარების პროგრამების სახელმწიფო მხარდაჭერა.	• ეკონომიკის სწრაფი ზრდა; • უცხოელი ტურისტების ინტერესი საქართველოსადმი; • ქვეყნის მთავრობის ინტერესი ტურიზმის შემდგომში განვითარებისადმი; • ტურიზმის სფეროში მოქმედი კერძო სექტორის ზრდა; • ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღდგენა და რეკონსტრუქცია; • მეზობელი ქვეყნების ინტერესი ტურიზმის სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელებისადმი.
სუსტი მხარეები (W)	**საშიშროებები (T)**
• პოლიტიკური არასტაბილურობა, დაკარგული ტერიტორიები და გეოპოლიტიკური რისკების მაღალი დონე; • არასრულყოფილი ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმები ტურისტული საქმიანობის სტიმულირებისათვის; • ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე; • მენეჯმენტის დაბალი დონე; • არასასურველი საინვესტიციო გარემო; • ინფორმაციული უზრუნველყოფის დაბალი დონე; • პირდაპირი საერთაშორისო რეისების ნაკლებობა; • მომსახურე პერსონალის დაბალი პროფესიული დონე და კულტურა; • მოსახლეობის დაბალი შემოსავლები; • მაღალი ფასები მომსახურებაზე.	• ბიზნესის წარმოების ხარჯების ზრდა; • ინფლაციის ზრდა; • უსაფრთხოების პრობლემა; • უცხოელთა მიერ ქვეყნის ტურისტული ბაზრის ძირითადი სეგმენტების დაკავება; • ბიუჯეტის კრიზისი; • სუსტი ორგანიზაცია ტურისტული პროდუქტის ხარისხზე; • ტურისტული პროდუქტების რეკლამის არასაკმარისობა; • ტურისტული სააგენტოების ორიენტაცია უცხოეთში გამგზავრებაზე და არა ტურისტთა შემოყვანაზე; • ენის პრობლემა.

საქართველოს, როგორც უძველესი ცივილიზაციის ქვეყანას, მდიდარი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. სახელმწიფოს მიერ ტურიზმის პრიორიტეტულ სფეროდ აღიარებისა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების შედეგად უკანასკნელ წლებში მისი განვითარების დინამიკა არსებითად შეიცვალა და 2003 წლიდან მას ზრდის ტენდენცია ახასიათებს. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ეროვნულ ეკონომიკაზე ამ სფეროს გავლენა ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო საჭიროებს ქვეყნის ტურისტული მიმზიდველობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე გამიზნულ სტრატეგიას, რომლის რეალიზაცია ტურისტული რესურსის რაციონალურ გამოყენებას შეუწყობს ხელს.

ინტერნეტ-რესურსები:

1. https/ www.cia gov/library/ publications/the-world-factbook/index.htm
2. htt/www.weform. org/en/inifataives/geg/TravelandTourismReport/index.him
3. http://www.gnta.ge/

საქართველოს საზღვაო პორტების მდგომარეობა, პერსპექტივა და მათი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

რევაზ გოგიაშვილი, თეონა გიორგაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა,ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის უმაღლესი
პროფესიული პროგრამების სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია არა მარტო სამხრეთ კავკასიაში,არამედ მსოფლიოშიც. საქართველოზე გადის ევროპა–აზიის, განსაკუთრებით ევროპისა და შუა აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, ამავე დროს საქართველოს გავლით ყველაზე მოხერხებულად და უმოკლესი გზით შესაძლებელია აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დაკავშირება თურქეთთან, ერაყთან, მცირე აზიის სახელმწიფოებთან. ასეთი მდებარეობის რაციონალური გამოყენება ქვეყნის ეკონომიკის მომავალი განვითარების ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა.

ჯერჯერობით პოლიტიკური სიტუაციის გამო ჩრდილო–სამხრეთის მიმართულების სატრანსპორტო დერეფანი ვერ ფუნქციონირებს, თუ არ ჩავთვლით რუსეთ–სომხეთის გზის საქართველოს მონაკვეთს, წარმოდგენილს მაგისტრალური გაზსადენით და საავტომობილო გზით, ხოლო რაც შეეხება დასავლეთ–აღმოსავლეთის მიმართულებას, იგი წარმატებით ფუნქციონირებს და მომავალში მოსალოდნელია მისი დატვირთვის საგრძნობი ზრდა,რასაც არსებული სიმძლავრეები ვერ დააკმაყოფილებს. საქართველოზე გადის რამდენიმე მილსადენი, როგორც ნავთობის, ისე გაზის. იგეგმება კიდევ ერთი მილსადენის (ნაბუქო) მშენებლობაც, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ერთ–ერთი ყველაზე პრიორიტეტულია საქართველოზე გამავალი სარკინიგზო და საავტომობილო გზები საზღვაო– სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან კომპლექსში.

საქართველოს პორტებიდან დღეისათვის ხორციელდება ტრანსპორტირება ისეთი მნიშვნელოვანი ტვირთებისა, როგორებიცაა ნავთობი, მარგანეცი, ნახშირი, ლითონები (მათ შორის ჯართი), ავტომობილები, ხორბალი და სხვა სასურსათო პროდუქცია, ბამბა, ხილი და ა. შ. ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანებიდან ერთ–ერთი ყველაზე პრიორიტეტული უნდა გახდეს აღმოსავლეთ– დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნის გაფართოება და მიმზიდველი გარემოს შექმნა ტვირთების უსაფრთხოდ, სწრაფად და, რაც მთავარია, იაფად ტრანსპორტირებისათვის. აღნიშნულის სარეალიზაციოდ რკინიგზასა და საავტომობილო გზების განვითარებასთან კომპლექსში აუცილებელია საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტით დღეისათვის უპირატესად ტვირთების გადატანა ხდება და გადატანილი ტვირთების მოცულობა კრიტიკულად დაბალია, რასაც ადასტურებს მონაცემებიც. კერძოდ 1990 წელს სულ ტვირთების გადაზიდვის მოცულობა 79937,6 ათასი ტონა იყო, საიდანაც უმეტესი ნაწილი – 61854,9 ატასი ტონა საზღვაო ტრანსპორტზე მოდიოდა ანუ 77,4 %, რკინიგზის ტრანსპორტზე– 15476,7 ათასი ტონა, ანუ 19,4%, მხოლოდ დანარჩენ 13%–ს ინაწილებდა ტრანსპორტის სხვა სახეობები. 1990 წლიდან მოყოლებული ტვირთების გადაზიდვის მოცულობა შემცირდა 79937,6 ათასი ტონიდან 7163,8 ათას ტონამდე 2008 წლისათვის. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის მხრივ. იგი 1990 წლის 61854,9 ათასი ტონიდან შემცირდა 45,4 ათას ტონამდე 2008 წლისთვის, რაც 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 0,074%–ია. ასეთი სიტუაცია გამოიწვია საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის განადგურებამ. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მფლობელობაში იყო 85 ერთეული საოკეანო–შორეული ნაოსნობის ხომალდი, რომლებიც ამ წლების განმავლობაში მთლიანად განადგურდა, ისინი უმეტესად სიმბოლურ ფასად გაიყიდა უცხოელებზე, რაშიც ბრალი მიუძღვის როგორც ქვეყნის, ისე აჭარის ა/რ–ის ხელმძღვანელობას. საქართველო, რა თქმა უნდა, საზღვაო ქვეყანაა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ციფრობრივი მონაცემები ამ სახელწოდებასაც კი ეჭვქვეშ აყენებს.

ტვირთების გადაზიდვის შემცირება იმ დონით, რაც განიცადა საზღვაო ტრანსპორტმა, სხვა არცერთი სახეობის ტრანსპორტზე არ მომხდარა, ასე მაგალითად, რკინიგზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა 1990 წლისათვის 15476,7 ათასი ტონიდან შემცირდა 2008 წლისათვის 6515,7 ათას ტონამდე (შეადგენს 42%–ს), საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთები დროის იგივე პერიოდისათვის 2577,6 ათასი ტონიდან შემცირდა 600,8 ათას ტონამდე (23,3%), საჰაერო ტრანსპორტზე კი 28,4 ათასი ტონიდან შემცირდა 1,9 ათას ტონამდე (6,7%). აქედან გამომდინარე საქართველოსათვის პრიორიტეტული უნდა იყოს საზღვაო პორტების განვითარება, რომ უცხოური გემებისა და ტანკერების მომსახურება მაინც შევძლოთ.

საქართველოში ორი მოქმედი პორტია – ბათუმისა და ფოთის, ამასთან იგეგმება ანაკლიაში პორტის და ყულევში ტერმინალის მშენებლობა, ხოლო სუფსის ტერმინალი 1994 წლიდან ახორციელებს ნავთობის დასაწყობებას და მის ჩატვირთვას ტანკერებში. თუმცა თავისი მნიშვნელობით ძირითადი მაინც ბათუმისა და ფოთის პორტებია.

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის ისტორია ჯერ კიდევ რომის იმპერიიდან იღებს სათავეს, რაც განაპირობა მისმა გეოსტრატეგიულმა და ბუნებრივმა უპირატესობებმა. კერძოდ:

– ნავსადგური მდებარეობს ბუნებრივ ღრმაწყლიან უბეში, რაც იძლევა დიდტონაჟიანი გემების მიღების საშუალებას;

– კარგადაა დაცული სანაპიროდან;

– ნავსადგურში შემოსასვლელად არ არის საჭირო არხის გავლა, რაც ათავისუფლებს გემთმფლობელს არხის მოსაკრებლის გადასახადისაგან.

მე–19 საუკუნის მეორე ნახევრიდან,კერძოდ 1878–1885 წლებში ბათუმს ჰქონდა „პორტო–ფრანკოს" (თავისუფალი პორტი) სტატუსი. იგი ამ პერიოდისათვის ემსახურებოდა მშრალი ტვირთების ტრანსპორტირებას არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ ირანშიც. შემდეგ კი შესაძლებელი გახდა ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირებაც.

ბათუმის ნავსადგურს გააჩნია შესაძლებლობა დააკმაყოფილოს კლიენტების მოთხოვნილებები სხვადასხვა გემებთან მიმართებაში, მას გააჩნია 5 ტერმინალი: ნავთობტერმინალი, მშრალი ტვირთების ტერმინალი, საკონტეინერო ტერმინალი, სარკინიგზო–საბორნე გადასასვლელი და სამგზავრო ტერმინალი. ნავსადგური ფლობს ISO 9001–2000 ხარისხის შესაბამისობის საერთაშორისო სერთიფიკატს.

ბათუმის პორტის ტექნიკური პარამეტრები ძირითადად სტაბილურია, თუმცა 2004 წელს ტვირთბრუნვა შემცირდა თითქმის 2,4 მლნ. ტონით, რაც მნიშვნელოვანწილად გამოიწვია ნავთობგადატვირთვის შემცირებამ. ბოლო ორ წელიწადში ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის და მგზავრთა გადაყვანის მონაცემები კიდევ უფრო გაუარესდა, რაც მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისით აიხსნება.

ბსნ-ის ფინანსური მაჩვენებლები 2009-2011 წწ. (ლარში)



2010 წელთან შედარებით 2011 წელს დაფიქსირდა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის (ბსნ) მოგების ზრდა 18,3%-ით. ნავსადგურის ინფრასტრუქტურის აქტიურმა განვითარებამ გამოიწვია ხარჯის ზრდა 28,8%-ით, წინა წელთან შედარებით.

ბათუმის ნავსადგურში მშრალი ტვირთების ტერმინალის ტვირთბრუნვა 2001-2011 წწ. (ათას. ტონა)



თავისი მნიშვნელობით ბათუმზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ფოთის ნავსადგური. ფოთში, რიონის ზღვასთან შეერთების ადგილას, საზღვაო პორტის მშენებლობაზე საუბარი მე–19 საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობდა, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები 1858 წლიდან გადაიდგა, ხოლო 1889 წლიდან მშენებლობის ინტენსივობა იზრდება, რასაც ხელი შეუწყო ფოთში რკინიგზის ხაზის გაყვანამ. ასევე ეტაპობრივ განვითარებადაა მიჩნეული ფოთის პორტის გაფართოება ნ. ნიკოლაძის მერად მუშაობის პერიოდში 1901–1907 წლებში. დღეისათვის ფოთის პორტი მრავალმხრივ განვითარებულია, იგი ისე, როგორც ბათუმი, ფლობს ISO 9001–2000 ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატს.

ფოთის პორტში ტვირთბრუნვა 2000 წლიდან მოყოლებული იზრდებოდა 2008 წლამდე, ხოლო 2009 წლისათვის ტვირთბრუნვა 2 მლნ. ტონით შემცირდა. მსგავსი სიტუაციაა ტვირთნაკადების მიხედვითაც.

საქართველოს პორტებში ტვირთბრუნვის მოცულობის გაზრდისათვის აუცილებელია საერთო–ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება – გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. თუმცა გლობალურად ეკონომიკურ სიტუაციაზე მეტად აუცილებელია საქართველოს ეკონომიკური განვითარება. დღეისათვის საქართველოს პორტებში დამუშავებული ტვირთების უმეტესობა სატრანზიტო ხასიათისაა და მასში საქართველოს ეკონომიკისათვის განკუთვნილი ტვირთები ძალზე მცირე ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი.

მდგომარეობის გამოსასწორებლად მიზანშეწონილად გვესახება საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, რაც ცალკე მსჯელობის საკითხია. საქმეს ნაკლებად უშველის თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნაც ტერიტორიის მცირე მონაკვეთებზე, აქ საჭიროა საერთოდ გაუმჯობესდეს სამეწარმეო გარემო.

ლიტერატურა:

1. ჟურნალი „ეკონომიკა“, №7–9, 2010.
2. www.pirweli.com.ge
3.www.economy.ge
4. www.batumiport.com/
5.www.potiseaport.com

საბანკო ინოვაციების სახეები თანამედროვე საბანკო სფეროში - ფულის თანამედროვე სახეები

ნინო დათუნაშვილი, მარინე ფერაძე, ვლადიმერ ოქროპირიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ფულს ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციას. საუკუნეების სვლასთან ერთად ფულადი ერთეულებიც მუდმივად იცვლებოდა. მას ცალკეულ ქვეყანაში თავისი ისტორია აქვს და თითოეული თავისთავად უნიკალურია. თავდაპირველად ეს იყო უბრალოდ ნატურალური გაცვლა. ადამიანების პირველყოფილი საქმიანობის ნადირობისა და შემგროვებლობის, უფრო ეფექტური საქმიანობით ჩანაცვლებამ განაპირობა გაცვლის საჭიროება ერთი საქონლისა მეორეზე, რომელიც დღემდე "ბარტერის" სახელით შემოინახა.

გასაცვლელი საქონლის სახეობების ზრდამ, მისმა მალფუჭებადობამ და დროითმა დანაკარგებმა განაპირობეს ნატურალური გაცვლითი ოპერაციების გართულება. კომპანიონის მოსაძებნად, რომელსაც აწყობდა შემოთავაზებული საქონლის თავისაში გაცვლა, იკარგებოდა დიდი დრო. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ადამიანებს ვეღარ აკმაყოფილებდათ საქონლის ნატურალური გაცვლა ანუ ბარტერი და გადაწყვიტეს მოეფიქრებინათ ისეთი უნივერსალური გადახდის საშუალება, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელი იქნებოდა მიეღოთ ნებისმიერი სახის საქონელი და მომსახურება. მოიფიქრეს და განახორციელეს კიდეც. ეს საშუალება იყო - **ფული.**

ფული, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი კატეგორია, ვლინდება საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ფული გაცვლის უნივერსალური საშუალება, განსაკუთრებული საქონელია, რომელსაც გააჩნია საყოველთაო ექვივალენტის თვისება, რომლის მეშვეობითაც გამოიხატება ყველა სხვა დანარჩენი საქონლის ღირებულება.

ფულის პირველადი სახე იყო მონეტა, რომელიც მეტად კონვერტირებადი, იოლად გადაზიდვადი და უფრო ხანგრძლივად მოხმარებადი გაცვლის საშუალება იყო.

პირველი მონეტები გაჩნდა ლიდიაში, მცირე აზიაში ძვ. წ. VII ს-ში. ეს იმით აიხსნება, რომ ლიდიაზე გადიოდა სავაჭრო გზები საბერძნეთსა და აღმოსავლეთ ქვეყნებში. აქ ადრე გახდა საჭირო სავაჭრო საქმეების გამარტივება, ხშირად ძნელი საცნობია მცირე, უფორმო ნატეხის მონეტა. მაგრამ მასში იყო მთავარი – ჰქონდა ნიშანი მისი გამომშვები ქალაქისა, რომელიც მონეტის წონის გარანტიას იძლეოდა

საქართველოში კი ჩვ.წ.აღ-მდე VI საუკუნეში მოიჭრა კოლხური თეთრები. მონეტები არაპრაქტიკული და მოუხერხებელი აღმოჩნდა გამოყენებისას, ამიტომ დროთა განმავლობაში გაფუჭებული ფულის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ოქრო და ვერცხლი საერთოდ ამოეღოთ ხმარებიდან და შეეცვალათ ისინი ფულის ნიშნებით - ქაღალდის ფულით.

პირველი ქაღალდის ფულის პროტოტიპი შეიქმნა ჩინეთში ჯერ კიდევ IX საუკუნის დასაწყისში. დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები დიდ თანხებს მოითხოვდა, ამიტომ იმპერატორმა დააბეჭდინა მაღალი ხარისხის ქაღალდი, რომელზეც დატანილი ნიშნებით იგი 10000 სპილენძის მონეტის მაგივრობას სწევდა, ხოლო მასიურად ბანკნოტების ბეჭვდა დაიწყო 1024 წელს.

რაც შეეხება საქართველოს, აქ ქაღალდის ფული შემოდის რუსული მმართველობის პერიოდში. ეს უკვე ბონისტიკაა. ბონისტიკა ფრანგული სიტყვაა. იგი ისტორიის ერთ-ერთი დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ხმარებიდან გამოსულ ქაღალდის ფულსა და ბონებს, რომლებიც ისტორიულ ობიექტურ დოკუმენტებს წარმოადგენენ, გარდა ამისა ასახავენ თანადროულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს (ომებს, პარტიათა ბრძოლას, ხელისუფალთა შეცვლას, მმართველი კლასების იდეოლოგიას და სხვ.). ბონი კაპიტალისტურ ქვეყნებში აღნიშნავს საკრედიტო დოკუმენტს, რომლითაც მის მფლობელს შეუძლია მიიღოს გარკვეული თანხა დათქმულ ვადაში. იგი ასევე არის დროებითი ქაღალდის ფულის ნიშანი, ან ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული, რომელსაც აგროვებენ კოლექციისათვის.

ქაღალდის ფულში იგულისხმებოდა 0,8 გრამი ოქრო, რომელიც ნაციონალურ სარეზერვო ბანკში ინახებოდა. ხოლო თანამედროვე სახელწოდება „ლარი“ ქართული ფულის ერთეულის დასახელებად 1991 წელს წამოაყენა აკადემიკოსმა ვ. ჩანტლაძემ მინისტრთა კაბინეტისათვის შედგენილ პროექტში და იგი გადახდის ერთადერთ კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, 1995 წლის 2 ოქტომბრიდან გახდა.

ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე მიმოიქცევა სამი ტიპის ფული: ხურდა ფული ანუ წვრილი მონეტა, ქაღალდის ფული, რომელიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და საკრედიტო ფული ანუ საბანკო დეპოზიტები, რომელიც XXI საუკუნის ინოვაციურ ფულად ითვლება, რომელსაც მიეკუთვნება ეროვნულ ეკონომიკაში გამოყენებული ფულის დიდი მასა. აგრეთვე აღვნიშნავთ ციფრული ფულის სახეს. ციფრული ფული (digital cash) ნაღდი ფულის ელექტრონული ანალოგია.

საბანკო ანგარიშებზე ფულის შენახვა ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ეკონომიკურად მოწინავე ქვენებში. იგი გამოირჩევა საიმედოობითა და მოხერხებულობით. ესაა ბანკებში დეპონირებული თანხები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება გამოიწეროს ჩეკი. ისინი ფინანსურ სამყაროში ცნობილია, როგორც „უვადო ანაბრები და სხვა საჩეკო დეპოზიტები“. დეპოზიტებმაც შეიძლება ფულის როლი შეასრულოს. ჩეკის გამოწერით ხომ დასაშვებია ბაზარზე შეძენილი საქონლის ფასის გადახდა.

საკრედიტო ფული წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტების ვალდებულებებს, ისეთს როგორიცაა დეპოზიტები მოთხოვნამდე, რომლებიც კომერციული ბანკების ვალდებულებებია, რომელიც ვალდებულებას ღებულობს აანაზღაუროს ეს დეპოზიტები მეანაბრის პირველი მოთხოვნისთანავე.

დღესდღეობით, მიმდინარე პერიოდში არსებობს ფულის გადახდის სხვადასხვა საშუალებები, ესენია: **პლასტიკური ბარათები, ბანკომატები, ელექტრონული კომერციის საბანკო მომსახურება, სუპერსმარტ ბარათები, დისტანციური საბანკო მომსახურება, საბანკო ბარათები, მობილ-ბანკი, ტელეფონ-ბანკი, ბანკი-კლიენტი, და თითოეული ბანკისათვის ინდივიდუალურად დამახასიათებელი სხვადასხვა გადახდის საშუალებები.**

პლასტიკური ბარათები - იგი მოიცავს ბანკომატების მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებს, სავაჭრო ორგანიზაციების, მოსახლეობის ანგარიშსწორების ელექტრონულ სისტემებს, ასევე კლიენტების საბანკო მომსახურების სისტემებს ბინაზე და სამუშაო ადგილზე.

ამჟამად, საკრედიტო ბარათების საფუძველზე, საბანკო მომსახურებას ახორციელებს ორასზე მეტი ქვეყანა, ხოლო საქონლისა და მომსახურების უნაღდო ანაზღაურება მრავალი ქვეყნის მთელი ფულადი ოპერაციების სტრუქტურაში 90%-ს აღწევს.

ბანკომატები - ბანკის სალარო-ავტომატი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დროის ნებისმიერ მონაკვეთში საკრედიტო ბარათის კლასის შესაბამისი ოდენობის ნაღდი ფულის გამოტანა.

ელექტრონულ კომერციად, ფართო გაგებით, გულისხმობენ ბიზნესის სხვადასხვა სახეობას ინტერნეტ–მომსახურებათა ჩათვლით (საიტების შემუშავება, პროვაიდერული მომსახურება და ა.შ), ხოლო ვიწრო გაგებით, ელექტრონულ კომერციაში იგულისხმება საქონლისა და მომსახურებათა გაყიდვა ინტერნეტით. ელექტრონული კომერციის საბანკო მომსახურება ვიწრო გაგებით არის მყიდველსა და გამყიდველს შორის უნაღდო.

სუპერსმარტ-ბარათი მისი ნიმუშია ფირმა Toshiba-ს მრავალმიზნობრივი ბარათი, გამოყენებულია “VISA”-ს სისტემაში. მას დამატებით გააჩნია პატარა დისპლეი და მონაცემების შესაყვანი დამხმარე კლავიატურა. ეს ბარათი აერთიანებს საკრედიტო და სადებეტო ბარათებს. ასევე ასრულებს საათის, კალენდრის, კალკულატორის ფუნქციებს, ახორციელებს ვალუტის კონვერტაციის გაანგარიშებებს. სუპერსმარტ-ბარათები დღეს ფართოდ არაა გავრცელებული
სიძვირის გამო .

დისტანციური საბანკო მომსახურება, რომელიც კლიენტებს აძლევს საშუალებას, განახორციელონ საბანკო ოპერაციები ბანკში მიუსვლელად, ტელეკომუნიკაციების სხვადასხვა არხის გამოყენებით.

გადახდის გავრცელებული ინსტრუმენტი ინტერნეტ ქსელში არის **საბანკო ბარათები**. უმსხვილესი საერთაშორისო საგადასახდელო სისტემები (VISA და MASTER CARD) აქტიურად ავითარებენ პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების საკუთარ სისტემებს ინტერნეტში.

ტელეფონ-ბანკის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ბანკთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მიღება, როგორიცაა: ანგარიშზე არსებული ნაშთი, ბრუნვა და განხორციელებული ოპერაციები; ვალუტის კურსები; არსებული ანაბრის ვადა, დარიცხული პროცენტებისა და თანხის სიდიდე; არსებული სესხის დაფარვის გრაფიკი; ამონაწერების მიღება; პლასტიკური ბარათის დაბლოკვა/ბლოკის მოხსნა; ბანკის ცხელ ხაზზე ინფორმაციის დაფიქსირება. ფიზიკურ პირებს, ასევე შეუძლიათ ტელეფონით განახორციელონ ისეთი ოპერაციები, როგორიცაა: საკუთარ ანგარიშებს შორის ულიმიტო გადარიცხვები (ბანკის შიგნით და ბანკის გარეთ); კომუნალური გადასახადების გადახდა; საკუთარ ანგარიშებს შორის კონვერტაცია; სესხის დაფარვა და ა.შ.

მობილ–ბანკი, როგორც მნიშვნელოვანი საბანკო პროდუქტი, შედარებით ახალია ზემოთ ჩამოთვლილ სხვა პროდუქტებთან შედარებით. იგი ბანკსა და კლიენტს შორის მობილურ ტელეფონზე დაფუძნებული ურთიერთობის ფორმაა. მობილ-ბანკი საშუალებას აძლევს კლიენტს მთელი 24 საათის განმავლობაში მიიღოს ინფორმაცია მის ანგარიშებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ასევე

განახორციელოს სხვადასხვა სახის ტრანზაქციები, გადაიხადოს კომუნალური და საკომუნიკაციო გადასახდელები.

მობილ-ბანკის საშუალებით კლიენტებს შეუძლიათ: შეიტყონ ინფორმაცია ანგარიშების შესახებ და მიიღონ ბანკის ამონაწერი მათ ანგარიშებზე მომხდარი ოპერაციების თაობაზე; განახორციელონ გადარიცხვები საკუთარ ანგარიშებს შორის; გადაიხადონ კომუნალური გადასახდელები და შეავსონ მობილური ტელეფონის ბალანსი; ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დაბლოკონ საკუთარი პლასტიკური ბარათი.

ბანკი-კლიენტი წარმოადგენს თანამედროვე კომპიუტერულ-პროგრამულ სისტემას, რომლის მეშვეობითაც კლიენტებს შეუძლიათ აწარმოონ საბანკო ოპერაციები, მართონ თავიანთი ანგარიშები ოფისიდან/სახლიდან გაუსვლელად. კერძოდ, პროგრამა "ბანკი-კლიენტი საშუალებას გვაძლევს: გადავრიცხოთ ეროვნული ვალუტა საქართველოს ტერიტორიაზე და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში; შევასრულოთ კონვერტაციის ოპერაციები; ვაწარმოოთ საბიუჯეტო გადარიცხვები; შევამოწმოთ ანგარიში, ნაშთი და ა.შ.

საქართველოში არსებული ბანკები გვთავაზობენ თანამედროვე გადახდის მარტივ საშუალებებს, რომელიც ყოველი ბანკისათვის ინდივიდუალურია. მაგალითად: **პრივატ ბანკი** გთავაზობთ კომფორტულ სერვისს. შეავსოთ საკუთარი ან ახლობლის მობილურის ბალანსი მარტივად და სწარაფად, ნებისმიერ დროს. უნდა გააგზავნოთ "SMS"-ი ნომერზე 3377. საკუთარი ბალანსის შესავსებად აკრიფოთ PAYთანხა+თქვენი ბარათის ბოლო ოთხი ციფრი (PAY5+4546), ახლობლის ბალანსის შესავსებად PAYთანხა+თქვენი ბარათის ბოლო ოთხი ციფრი+ტელეფონის ნომერი. (PAY5+4546+995 XXX XXX XXX)

ამჟამად **ლიბერთი ბანკი** გვთვაზობს მომსახურების შემდეგ სერვისებს: კომუნალური გადასახადები; კომუნიკაცია, ინტერნეტი, საკაბელო და ციფრული ტელევიზია, მობილური ოპერატორები, სახელმწიფო მოსაკრებელი, ქველმოქმედება, ინტერნეტ შოპინგი.

რაც შეეხება **საქართველოს ბანკს**, იგი ახორციელებს შემდეგ ოპერაციებს: ფულადი გზავნილები, გზავნილები ბანკომატით, გზავნილები ტელეფონით, ვესტერნ იუნიონი, ანელიკი, ელვა, კონტაქტი, მანიგრამი, რია, უნისტრიმი, ინტერექსპრესი, ბისტრაია პოჩტა, ლიდერი.

ბანკმა "**რესპუბლიკამ**" გახსნა ახალი ტიპის ბანკომატი, რომლითაც სარგებლობა მომხმარებელს მანქანიდან გადმოსვლის გარეშე შეეძლება. ასეთი ტიპის ბანკომატი სრულიად ახალია საქართველოს საბანკო ბაზარზე, რაც კიდევ უფრო კომფორტულს გახდის ბანკის მომსახურებას. ბანკი "რესპუბლიკა" ზრუნავს კლიენტებზე და ქმნის ახალ, მათზე საგანგებოდ მორგებულ პროდუქტებსა და მომსახურებას. ახალი "ეითიემ" დრაივის საშუალებით კიდევ უფრო გამარტივდება ნებისმიერი ტრანზაქციის განხორციელება ყველაზე საქმიანი ადამიანისთვისაც კი.

თიბისი ბანკი გთავაზობთ სრულიად ახალ მომსახურებას საქართველოს საბანკო სივრცეში: ესქრო ანგარიშს. რა არის ესქრო ანგარიში? ესქრო ანგარიში არის ყიდვა-გაყიდვისას არსებული გადახდის და საკუთრების უფლების გადაცემის რისკის დაზღვევის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას, წილების ყიდვა-გაყიდვისას და სატრანსპორტო საშუალებების ყიდვა-გაყიდვის, ასევე უძრავ ქონებაზე საშუამავლო გარიგების დროს.

დღეისათვის საბანკო ინოვაციები ყოველდღიურად იზრდება, ინოვაციები თანამედროვე ცხოვრების ნაწილია. ჩვენს მიერ განხილულ თემაში საუბარი გვქონდა ზოგადად ფულის თანამედროვე სახეებზე და საბანკო ინოვაციებზე, კერძოდ საქართველოს კომერციული ბანკების მაგალითზე. ბანკი შერწყმულია ფულთან, ფული კი აჯადოებს ადამიანებს, მისთვის იტანჯებიან და შრომობენ, იგონებენ მისი შოვნისა და დახარჯვის კარგად გაწაფულ ხერხებს. ფული ერთადერთი საქონელია, რომლის გამოყენებაც მისგან განთავისუფლების გარეშე შეუძლებელია.

ლიტერატურა:

1. რ. კაკულია, გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2003, გვ.13-36
2. Commersant.geGeoeconomic.com
3. businesscafe.wordpress.com
4. http://www.commersant.ge/index.php?id=239
5. http://www.open.ge/index.php?m=12&y=2011&art=3731
6. http://www.civil.ge/geo/article.php?id=20498
7. http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/110/id/84/print/true

ევროზონისა და ევროკავშირის მოსალოდნელი ფინანსური საფრთხეები და ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია

დემეტრე დემეტრაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის
მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

თორნიკე დემეტრაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ევროპის კავშირი (შემოკლებით „ევროკავშირი“) - ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. მისი წევრია ევროპის 27 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 3.892 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა - 455 მლნ. ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-ის და იაპონიას.

ევროზონა ეს არის რეგიონი, რომელიც მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

ევრო, როგორც ერთიანი ვალუტა შემოღებული იქნა 2002 წელს. ევროკავშირი გახდა ყველაზე დიდი სავაჭრო ზონა და სულ მალე ევრო დოლარის ძლიერ მეტოქედ იქცა. მაგრამ პირველი დეკადის ბოლოს მაიური ბიუჯეტის დეფიციტმა მთელ რიგ პერიფერიულ ქვეყნებში ევროზონის სიმყარე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა და შექმნა ევროზონის სახელმწიფო ვალის კრიზისი.

დღევანდელ მსოფლიოში ბრძოლის შედეგი წყდება ეკონომიკის საომარ ველზე და არა სამხედრო შეჯახებების თეატრში. 21-ე საუკუნე იმ ერების იქნება, რომელთაც ეცოდინებათ თუ როგორ წარმართონ ეკონომიკური ბრძოლები. ამიტომ, თანამედროვე ერებს ესაჭიროებათ არა იმდენად სამხედრო გენერლები, არამედ უფრო მეტად ეკონომიკის გენერლები და მხედართმთავრები.

დღეს საუბარი მიდის ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისზე, ევროზონის საკრედიტო კრიზისზე, ეკონომიკურ რეცესიაზე ანუ ეკონომიკის განვითარების ზრდის ტემპის დაცემაზე და ეკონომიკის შემცირებაზე. ეკონომიკური რეცესიები ქარიშხლებს წააგავს, ქარიშხლებივით სხვადასხვა შკალიანია და ჩვეულებრივიდან კატასტროფულამდე მერყეობენ თავისი ამპლიტუდით.

ევროპას ახალმა წელმა ძველი კრიზისი ვერ მოაშორა – კვლავ მწვავეა სავალო კრიზისი და ევროს მომავალი ბუნდოვანია. ანალიტიკოსების მოსაზრებები, რომ გასული წლის მიწურულს უკვე გამოჩნდებოდა პრობლემების მოგვარების გზები, მოსაზრებებად რჩება.

ევროკავშირის პრობლემები შეიძლება ახალი, ძალიან სერიოზული კრიზისის საფუძველი გახდეს. ბევრი პროფესიონალი, მათ შორის, საინვესტიციო ფონდისა და ღია საზოგადოების თავმჯდომარე, ჯორჯ სოროსი მიიჩნევს, რომ ეს 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისზე უფრო მძიმე იქნება. ამ შეფასებას ისიც ამყარებს, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში დეფოლტის საფრთხე გერმანიისა და საფრანგეთის საბანკო სისტემის გიგანტებსაც შეეხო. ამ ქვეყნებმა, 2011 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკური ზრდა ფაქტობრივად შეწყვიტეს.

ევროკავშირის ყველაზე პრობლემური ქვეყნებისთვის, რომელთაც პრესაში PI(I)GS-ად (Portugal, Italy, Ireland, Greece, Spain) მოიხსენიებენ, უკანასკნელი იმედის კრედიტორი ძლიერი ეკონომიკის მქონე გერმანიაა. თუმცა გერმანელებს დანარჩენი ქვეყნების გადარჩენისთვის საკუთარი ფასი აქვთ: ანგელა მერკელი სულ უფრო ხშირად საუბრობს ევროზონის საერთო ფისკალური კონტროლის შესახებ. გერმანია დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოყოფს, თუ მის მოთხოვნას – საპენსიო ასაკის აწევას, საჯარო მოხელეების ხელფასებისა და ზოგადად, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას – დააკმაყოფილებენ. ბერლინს სურს ევროზონის ქვეყნები უფრო „გერმანულად” აქციოს.

გერმანიისა და საფრანგეთის ბანკების გამართულ მუშაობას, გლობალური ფინანსური სისტემის ფუნქციონირებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ ქვეყნების წამყვანი ბანკები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ამერიკელ პარტნიორებთან, რაც ვითარებას კიდევ უფრო ართულებს: ამერიკული ფინანსური ინსტიტუტები ცდილობენ მზარდი რისკებისგან თავი დაიცვან, ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში,

ახალი მოკლევადიანი სესხის გაცემისგან და ევროპელ პარტნიორებთან ბიზნესის წარმოებისგან თავს იკავებენ.

საერთაშორისო ორგანიზაციის – The Institute of Internationsl Finance – მონაცემებით, ევროპულ ბანკებს დაკრედიტება აშშ-ს ათმა უმსხვილესმა საინვესტიციო ბანკმა – ივლისში 9%-ით ანუ 30 მილიარდი აშშ დოლარით – შეუმცირა. ეს უკვე მეორე შემცირებაა ივნისის შემდეგ. ამ თვეში აშშ-ის საინვესტიციო ბანკებისგან ევროპულმა ბანკებმა 20%-ით ნაკლები ფული მიიღეს. სხვადასხვა გათვლით, ევროპულ ბანკებს, სულ მცირე, 150 მილიარდი ევროს ოდენობის ახალი კაპიტალის მოზიდვა სჭირდებათ. ევროპაში სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ ევროპული ბანკების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ობლიგაციების ღირებულება შეიძლება მკვეთრად შემცირდეს, თუკი ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყნები თავიანთ ვალს ვერ დაფარავენ. ამ შემთხვევაში ბანკები კიდევ უფრო მეტ ფულს დაკარგავენ. ევროპის სახელმწიფო საკრედიტო კრიზისი მას შემდეგ დაიწყო, რაც 2009 წელს საბერძნეთის პრემიერმინისტრად არჩეულმა გეორგიოს პაპანდრეუმ გამოააშკარავა, რომ მისი წინამორბედი საბერძნეთის საბიუჯეტო დეფიციტის რეალურ მოცულობას მალავდა. აღმოჩნდა, რომ დეფიციტი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი – დეკლარირებული 6%-ის ნაცვლად 2.5-ჯერ მეტი – მშპ-ს 15.4% იყო. 2010 წლის გაზაფხულზე საბერძნეთმა ევროკავშირისგან 110 მილიარდი ევროს დახმარება მიიღო. 2010 წლის მაისში ევროპის ფინანსური სტაბილურობის ფონდი შეიქმნა, რომელსაც 750 მილიარდი ევრო უმაგრებდა ზურგს. ამას ინვესტორები უნდა დაემშვიდებინა. თუმცა 2011 წლის ზაფხულისთვის ცხადი გახდა, რომ საბერძნეთს დახმარება კიდევ ერთხელ დასჭირდებოდა. ივლისში ევროკავშირის ქვეყნები 109 მილიარდი ევროს ახალი დახმარების პაკეტის შექმნას დათანხმდნენ იმ პირობით, რომ საბერძნეთი კიდევ უფრო მკაცრ ზომებს მიიღებდა ბიუჯეტის დასაბალანსებლად და 72 მილიარდი ევროს ღირებულების სახელმწიფო აქტივების პრივატიზაციას გააკეთებდა. ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი ცვლილებები საშუალო სტატისტიკურ ბერძენს არ მოსწონს. ამ დრომდე ბერძენი პოლიტიკოსები დიპლომატიურად ცდილობდნენ პრობლემის შერბილებას: ხმამაღალ გამოსვლებში ისინი რეფორმირებას უჭერდნენ მხარს, თუმცა ყველაზე მტკივნეულ რეფორმებს აჭიანურებდნენ.

როგორც ჩანს, ეს სტრატეგია აღარ ამართლებს: იმისთვის, რომ საბერძნეთმა ევროკავშირისგან ფული ისევ მიიღოს, მთავრობამ, მომდევნო კვირების განმავლობაში, ათობით ათასი საჯარო მოხელე უნდა შეამციროს. ქვეყნისთვის, სადაც ყოველი მეათე ადამიანი სახელმწიფო სამსახურში იყო დასაქმებული, ეს ძალიან „არაბერძნული“ ნაბიჯი იქნება.

მოცემული სიტუაციის ფონზე არც იტალიას და ესპანეთს აქვთ სახარბიელო მდგომარეობა. აგვისტოს პირველ ნახევარში, იტალიისა და ესპანეთის სახელმწიფო ობლიგაციებზე შემოსავლიანობამაც რეკორდულ 6%-ს გადააჭარბა. ამას ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ფინანსურ ბაზარზე უპრეცედენტო ინტერვენციით უპასუხა და 22 მილიარდი ევროს ღირებულების იტალიისა და ესპანეთის 10-წლიანი სახელმწიფო ობლიგაციები შეიძინა – მათი შემოსავლიანობის დასაწევად და ფინანსური ბაზრების სტაბილიზაციისთვის.

ევროპის ცენტრალური ბანკის ქმედებამ შედეგი სწრაფად გამოიღო. იტალიისა და ესპანეთის მიმართ ინვესტორების ნდობა გაიზარდა და 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციებზე შემოსავლიანობამ 4.9%-მდე დაიწია. თუმცა, როგორც ჩანს, ეს დროებითი ეფექტი იყო. იტალიაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 45.5 მილიარდი ევროთი შემცირების პაკეტის მიღება კვლავ ჩავარდა და ობლიგაციებზე შემოსავლიანობამ 5.28%-მდე აიწია.

შემოსავლიანობამ ესპანურ ობლიგაციებზეც 5.04%-მდე მოიმატა, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის კონსტიტუციაში ბიუჯეტის დეფიციტის გამაკონტროლებელი ცვლილებების მიღება თითქმის დასრულდა.

ფინანსურ ბაზრებზე მატულობს შიში, რომ იტალია და ესპანეთი, რომლებიც ერთად ევროზონის ეკონომიკის 30%-ს შეადგენენ, ვერ შეძლებენ სახელმწიფო ვალის დაფარვას. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა მძიმე დავალება გასცა, რომელსაც ბანკები, სავარაუდოდ, ვერ შეასრულებენ. 2012 წლის შუა პერიოდში ევროპის ბანკებში კაპიტალის საერთო მოცულობა 270 მილიარდი ევროთი უნდა გაიზარდოს. ამ მარეგულირებელ ღონისძიებას ბევრი ეკონომისტი პესიმისტურად შეხვდა და გააკრიტიკა. ამ ეტაპზე, ევროპის საბანკო ასოციაციის გათვლებით, ევროპაში ბანკების კაპიტალიზაციის ნაკლებობა 115 მილიარდ ევროს შეადგენს. აქედან, ბერძნულ ბანკებზე - 30 მილიარდი ევრო, ესპანურზე - 26 მილიარდი ევრო, იტალიურზე 15 მილიარდი ევრო მოდის. ასოციაციისთვის ნამდვილი სიურპრიზი გერმანიის მონაცემები გახდა. ოქტომბერში გერმანულ ბანკებში კაპიტალიზაციის ნაკლებობა 5 მილიარდი ევრო იყო. ეს მაჩვენებელი დეკემბერში 13 მილიარდ ევრომდე გაიზარდა.

სხვადასხვა ეკონომიკური სიძლიერის სახელმწიფოების ერთი ვალუტის ქვეშ გაერთიანებამ ევროზონის თითოეულ წევრს განსხვავებული შედეგი მოუტანა: ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რომელთაც ქრონიკულად დადებითი სავაჭრო ბალანსი და მრავალტონიანი ოქროს რეზერვი აქვთ, ევრომ

ექსპორტის სტიმულირება გამოიწვია. თუმცა შედარებით სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ევრომ საპირისპირო შედეგი გამოიღო: რომ არა ევრო, ამ ქვეყნების ვალუტა უფრო სუსტი იქნებოდა, რაც ექსპორტზე დადებითად აისახებოდა. მეორე მხრივ, ევროზონაში გაერთიანებით, შედარებით სუსტი ეკონომიკის ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ იმავე პირობებში მოეზიდათ კრედიტი, რითაც მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე ქვეყნები სარგებლობდნენ. ამიტომ სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა, საჭიროა თუ არა ევროზონის ნებისმიერ ფასად შენარჩუნება. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი 1%-მდე ჩამოიყვანა. გერმანულ-ფრანგული გეგმა ითვალისწინებს შემდეგ შესწორებებს: 1) ევროპულ კომისიას მიენიჭოს უფლება, დააჯარიმოს ის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც გადააჭარბებენ დაშვებულ ბიუჯეტის დეფიციტის ნორმას; 2) ევროზონის ყველა 17-ვე წევრმა შეიტანოს საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილება და მოითხოვოს დაბალანსებული ბიუჯეტი; 3) ევროზონის ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ერთიანი კორპორაციული და საფინანსო სექტორის საგადასახადო სისტემა, რათა აღარ დარჩეს განსხვავება მათ შორის გადასახადებში. მოკლედ, ისინი მოითხოვენ უფრო ღრმა ინტეგრაციას.

ბრიტანელები, რომლებიც ევროზონას თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდნენ, მის დაშლას ელიან. ევროზონის შესაძლო დაშლა დაასახელა 2012 წლის მთავარ გეოპოლიტიკურ რისკად და კოშმარად იაპონურმა საინვესტიციო ბანკმა "ნომურამ". გერმანია და საფრანგეთი ცდილობენ ევროკავშირის ქვეყნები მათ მიერ შეთავაზებულ საბიუჯეტო დისციპლინაზე დაიყოლიონ და ევროზონა გადაარჩინონ.

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი ნურიელ რუბინი, რომელმაც 2008 წლის ფინანსური კრიზისი იწინასწარმეტყველა, დარწმუნებულია, რომ ევროზონას ღრმა რეცესია ელოდება და მისი დაშლის ალბათობა უახლოეს 3-5 წელიწადში 50 პროცენტს შეადგენს. ევროზონას პირველი დატოვებს საბერძნეთი - ეს 12 თვის განმავლობაში მოხდება, შემდეგი შეიძლება, პორტუგალია გახდეს, - ვარაუდობს რუბინი და დასძენს,- სხვა ქვეყნებსაც არა აქვთ დიდი შესაძლებლობები.

ევროპული ვალის კრიზისის შედეგები საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს, არცერთ ეკონომიკას არა აქვს "იმუნიტეტი", - აღნიშნავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი კრისტინ ლაგარდი. "ევროზონის ქვეყნებმა აუცილებლად უნდა შეიმუშაონ ნათელი, მარტივი სქემა, რომელიც კრიზისის გავრცელებას შეაჩერებს," - აცხადებს ლაგარდი. წინა დღეს იგივე აზრი გამოთქვა აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ტიმოთი გაიტნერმა: "ევროპის ერთადერთი გამოსავალია, ყველაფერი გააკეთოს, რათა სავალუტო კავშირმა იმუშაოს - ეს არის ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომლებიც დიდი ფინანსური რესურსების გამოყოფას საჭიროებს". გაიტნერის თქმით, სანამ ევროპული მთავრობები პირველები არ დაიწყებენ მოქმედებას, აშშ ევროზონას მეტ მხარდაჭერას აღარ გაუწევს.

ევროკავშირმა გადაწყვიტა დაიწყოს მოლაპარაკებები საქართველოსა და მოლდავეთთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გარშემო და უკვე ცნობილია, რომ პროცესი მომავალი წლის პირველ კვირებში დაიწყება. პერსპექტივას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლების დიდი იმედი უკავშირდება, საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ ლიბერალური ეკონომიკის მტკიცე მხარდამჭერები. როგორია მოლოდინი? რა დადებითი და უარყოფითი შეფასებები უკავშირდება საქართველოს სურვილს - გახდეს ევროპის ერთიანი სავაჭრო სივრცის ნაწილი?

მოლდავეთმა და საქართველომ მიაღწიეს საკმარის პროგრესს აუცილებელი რეფორმების გატარების კუთხით და შეასრულეს მთელი რიგი წინაპირობები იმისათვის, რომ წავიდნენ წინ ევროკავშირის შიდა ბაზართან ეტაპობრივი ინტეგრაციის პროცესში, საქართველო ამისთვის უკვე დიდი ხანია ემზადება. დაახლოებით 3 წელიწადია, რაც ქვეყანა დიდი მონდომებით ასრულებს ევროკომისიის მიერ მოწოდებული, აუცილებლად შესასრულებელი წინაპიროებების გრძელ სიას. ბევრი პრობლემა გადაწყვეტილია და, შედეგად, მოლაპარაკებებიც დაწყებულია.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დაწყებას დიდი იმედით უყურებს თბილისი. ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ხშირად გვესმის, რომ ეს შეთანხმება საშუალებას მისცემს საქართველოში წარმოებულ პროდუქციას შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე, სადაც მას 500 მილიონი მომხმარებელი დახვდება, ქვეყანა მოიზიდავს მეტ ინვესტიციას და შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს. თუმცა ასეთი პერსპექტივები დამოკიდებულია მოლაპარაკებებების წარმატებაზე, რაც საქართველოსთვის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების ახალ ვალდებულებებსაც ნიშნავს.

ევროზონა კრიზისიდან მას შემდეგ გამოვა, რაც მთელი რეგიონი მოახდენს ეკონომიკის აღდგენის დემონსტრირებას. მოკლევადიანი ნეგატიური ეკონომიკური პროგნოზები, ასევე ევროზონის ქვეყნების განსხვავებული მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკა მათ უფრო დაუცველს ხდის ფინანსური შოკის წინაშე. ამ ფონზე ეს ქვეყნები ვერ შეინარჩუნებენ ევროს, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის სტატუსს. უცხოელი ექსპერტების აზრით, სახელმწიფო ობლიგაციების შემენის შედეგად, ინფლაციის საშუ-

ალო დონის მაჩვენებელი 2%-ით მოიმატებს, ევრო კი გაუფასურდება, ასევე ყველაზე დამანგრეველ და ცუდ სცენარად შეიძლება ჩაითვალოს ევროს კოლაფსი, რომელიც უმძიმეს შედეგებს მოუტანს მსოფლიო ეკონომიკას. ამ პროცესებიდან თავის დაღწევის მიზნით საჭიროა ევროპამ ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა შეიმუშავოს.

ქართველი ექსპერტის, პროფესორ ნოდარ ხადურის თქმით „ევრო პოლიტიკური პროექტია და მის შესანარჩუნებლად გერმანია და საფრანგეთი ყველაფერს გააკეთებენ“. მის პოზიციას იზიარებენ სხვა ქართველი ექსპერტებიც.

თუ ევროზონაში ცუდი ვითარება იქნება, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ექსპორტისა და იმპორტის თვალსაზრისით პრობლემები შეგვექმნება. ჩვენი ექსპორტის 25% ევროპაში გადის, თუ იქ პრობლემები იქნება, ევროპაში ექსპორტი შემცირდება, რაც ჩვენს მთლიან შიდა პროდუქტს შეამცირებს. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, შემცირდება ფულადი გზავნილები საბერძნეთიდან და იტალიიდან.

ევროკავშირში მიმდინარე დაძაბული ფინანსური კრიზისის ფონზე საქართველოში სარისკოდ მიგვაჩნია დანაზოგის შენახვა ევროს ვალუტაში. სჯობს დეპოზიტებზე თანხის განთავსება ეროვნულ ვალუტაში მოხდეს, მით უმეტეს, რომ შარშანდელი ეკონომიკური ანალიზის შედეგად დსთ-ის სივრცეში ის ერთ-ერთ ყველაზე მყარ ვალუტად დაასახელეს.

საქართველოსთვის საზიანოდ მიიჩნევს პროფესორი ნოდარ ხადური ევროკავშირის მიერ წამოყენებული წინაპირობების უპირობო შესრულებას, მით უმეტეს იმის გათვალიწინებით, რომ ახლა ევროკავშირი მძიმე ეკონომიკურ კრიზისს სწორედ საკუთარი შეცდომების გამო განიცდის.

საქართველოსთვის ევროპის კრიზისის შედეგი შეიძლება იყოს ევროპული ბანკებისგან დაფინანსებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება.

საბერძნეთის და იტალიაში არსებული კრიზისი მნიშვნელოვნად იმოქმედებს ქართველ არალეგალებზე, რომლებიც ძირითადად ამ ქვეყნებში იმყოფებიან და იქ მუშაობენ, ეს პრობლემას შექმნის, რადგან თუ ასე გაგრძელდა არალეგალებს ადგილობრივი უმუშევრები ჩაანაცვლებენ და გაიზრდება ქართველ უმუშევართა რიცხვი და საქართველოში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ევროზონაში არსებული ძლიერი სოციალურ-ეკონომიკური კრიზიის ფონზე, საქართველომ პაუზა უნდა აიღოს ევროატლანტიკური სივრცისაკენ სწრაფვის პროცესში, ვინაიდან სრულიად შესაძლებელია ევროკავშირსა და ევროზონაში არსებული დაძაბულობების გართულებამ ევროზონასთან ერთად ჩვენც სერიოზულად დაგვაზიანოს.

ლიტერატურა:

1. www.ambebi.ge;
2. www.kvirispalitra.ge;
3. www.banksandfinance.ge;
4. www.24saati.ge;
5. www.commersant.ge;
6. www.economists.ge;
7. www.ncib.ge;
8. www.geostat.ge;
9. www.bizzone.info;
10. www.netgazeti.ge;
11. www.onlinenews.ge;
12. „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი - (CIESR) 2011.

წარმატებული ბიზნეს-კომპანიების ათეული საქართველოში

მარიამ დემუროვი, ნათია ნასყიდაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

ქართული ბიზნეს-კომპანიები 2011 წლის სარეიტინგო მონაცემებით შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

1. კომპანია ,,ნიკორა''
2. ,,გომის სპირტისა და არყის კომპანია''
3. სს ,,წყალ მარგებელს'' ბრენდისათვის ,,ნაბეღლავი''
4. ფარმაცევტული კომპანია ,,პე-ეს-პე ჯგუფი''
5. ,,პოულტრი ჯორჯია'' ბრენდისათვის ,,კოდა''
6. საკონდიტრო ფაბრიკა ,,ტკბილი ქვეყანა''
7. კომპანია ,,დემასი''
8. ტურისტულ კომპანია ,,N ტური''
9. ,,ბათოილი'' ბრენდისათვის ,,მზიური''
10. ,,გურჯაანის ნაყინი''.

კომპანია ,,ნიკორა''. სააქციო საზოგადოება "ნიკორა," რომელიც 10 წელია კვების პროდუქტების ადგილობრივ ბაზარზე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს, ქართული კაპიტალით დაფუძნდა. ხორცპროდუქტების წარმოებით დაწყებული საქმე მალე რამდენიმე მიმართულებით გაფართოვდა. ამჟამად ჰოლდინგში გაერთიანებულია ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, გაყინული საკონდიტრო ნაწარმის, უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელებისა და ღვინის საწარმოები. ერთ-ერთი შვილობილი კომპანია იმპორტირებული კვების პროდუქტებისა და სასმელების ექსკლუზური წარმომადგენელია საქართველოში. ამასთანავე, კომპანიას აქვს საკუთარი სავაჭრო-სადისტრიბუციო ქსელი, რეგიონული საწარმო ფოთში, სადისტრიბუციო ქსელის იმერეთის წარმომადგენლობა, საკალმახე მეურნეობა ოზურგეთში, ფერმა გარდაბნის რაიონში. საქართველოს მასშტაბით საფირმო მაღაზიათა რაოდენობა 70-ს აღემატება. 2009 წლის ბოლოს ჰოლდინგმა შემოიერთა 7 სუპერმარკეტი თბილისში. ქუთაისში გაიხსნა პირველი სუპერმარკეტი "ნიკორა." დაარსებიდან დღემდე სს "ნიკორა" თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო მომწოდებლებთან. კომპანიაში დანერგილი ხარისხის მართვის ინტეგრირებული სისტემა ხელს უწყობს მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება-რეალიზებას, ასევე ჰორიზონტალური იერარქიის პრინციპით გაერთიანებული ბრენდების კოორდინირებულ მუშაობას. გრძელვადიან პერსპექტივაში ჰოლდინგ "ნიკორას" მიზანია კვების პროდუქტთა ადგილობრივ ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება და ინოვაციური გზით განვითარება. საწარმოო სიმძლავრეების გაზრდასა და ასორტიმენტის გაფართოებასთან ერთად კომპანიის ხელმძღვანელობა სამომავლო პერსპექტივად საექსპორტო პოტენციალის განვითარებას მიიჩნევს. მენეჯმენტი უპირატესობას მომხმარებელზე ორიენტირებულ სტრატეგიას ანიჭებს და ნებისმიერ სიახლეს სამომხმარებელო მოთხოვნების გათვალისწინებით ნერგავს.

,,გომის სპირტისა და არყის კომპანია''. სს "გომის სპირტის და არყის და კომპანია" არის გომის სპირტის ქარხნის სამართალმემკვიდრე, რომელიც ფუნქციონირებდა 1903 წლიდან. ქარხანა განთავსებულია ხაშურის რაიონში, სოფელ გომში. თავდაპირველად წარმოება იყენებდა შემდეგ ნედლეულს: ხორბალი, პური, სიმინდი და შვრია. წარმოების სიმძლავრეები არ აღემატებოდა 150-200 დეკალიტრს დღე-ღამის განმავლობაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქარხანამ სპირტის წარმოებაში დაიწყო შაქრის ჭარხლის ბადაგის (მელასა) გამოყენება და საწარმოო სიმძლავრეებმა 500 დეკალიტრს გადააჭარბა. მომდევნო წელს წარმადობა კიდევ უფრო გაიზარდა და 24 საათში 1500 დეკალიტრს მიაღწია. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, 1997 წლამდე ქარხანა მხოლოდ ამუშავებდა სპირტ-რექტიფიკატად შაქრის ჭარხლის ბადაგსა და ჭაჭის ნედლ სპირტს. დღეისათვის კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების არყებს, ჭაჭას და ლიქიორებს. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზნით ქარხანას გააჩნია 500 ჰა მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ფართობზე გაშენებულია ქართული და ფრანგული უნიკალური ვაზის ჯიშები: საფერავი, რქაწითელი, კაბერნე, შავი ბურგუნდიული, პინო, იმერეთში: ციცქა,

ცოლიკაური, კრახუნა. მოსავლის მისაღებად და გადასამუშავებლად ქარხანას გააჩნია მიმღები და გადამამუშავებელი განყოფილებები. წარმოების საუკუნოვანმა ტრადიციამ, ახალი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკური სიახლეების დანერგვის მუდმივმა პროცესმა, პროდუქციის ხარისხის უმკაცრესმა კონტროლმა ტექნოლოგიური პროცესის ყველა ეტაპზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სპეციალურად მომზადებული უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების დაუღალავმა შრომამ შესაძლებელი გახადა არაერთგზის აღნიშნულიყო ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის უმაღლესი ხარისხი, რაც გამოიხატა სხვადასხვა დონის სპეციალურ კონკურსებსა და გამოფენებზე ოქროსა და ვერცხლის მედლებისა და სიგელების მინიჭებით. ქარხანაში ეტაპობრივად განხორციელდა სრული რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება. ჩატარდა დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. კაპიტალურად გარემონტდა უწყვეტი მოქმედების ორი სპირტ-სახდელი ოთხკოლონიანი აპარატი, თითოეული დღეღამეში 1500 დალ-ის წარმადობით, რომლის მართვაც თანამედროვე ავტომატიკის დანერგვით, კომპიუტერის მეშვეობით გადაყვანილი იქნა მუშაობის სრულ ავტომატურ რეჟიმში. სპირტის წარმოების დარგში ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების მოწინავე ქარხნების გამოცდილების გათვალისწინებით, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიური სქემა, რამაც ქარხანას საშუალება მისცა გადასულიყო ხორბლისაგან უმაღლესი ხარისხის ლუქსის კლასის სპირტის გამომუშავებაზე. 2005 წლის სექტემბრიდან ექსპლუატაციაში შევიდა ახალი, თანამედროვე ჩამოსხმის საამქრო, თავისი ავტონომიურად განთავსებული დამხმარე ობიექტებით (საკუპაჟე, ფილტრაციის და დარბილების განყოფილებით, ტარისა და მზა პროდუქციის სასაწყობე მეურნეობით). წარმოებას აქვს ორი ჩამოსასხმელი ხაზი:

გერმანული, ზეიცის 6000 ბთ/სთ და იტალიური, ფიმერის 3500 ბთ/სთ წარმადობებით. სს „გომის სპირტის და არყის კომპანია“ საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი პროდუქციის დისტრიბუციას ახორციელებს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნული ორგანიზაციების სამოქმედო არეალი წინასწარ არის განსაზღვრული და დაფიქსირებულია სს „გომის სპირტის და არყის კომპანია“-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ტერიტორიები შესაბამისობაშია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპთან.

სს „წყალი მარგებელი“. „წყალი მარგებელი“ ინტერესთა სფეროს აფართოვებს და მინერალური წყლის და საკონსერვო წარმოების შემდეგ აქცენტს მეცხოველეობის დარგზე აკეთებს. როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა, ავთანდილ სვიმონიშვილმა, განაცხადა, რომ აუქციონზე თბილისთან ახლოს, თელეთში ძველი საბჭოთა დროინდელი ფერმა შეიძინეს, სადაც მეცხოველეობის მასშტაბური კომპლექსის გაკეთება და შვეიცარიიდან ჯიშიანი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჩამოყვანა იგეგმება. ამჟამად მიმდინარეობს თელეთის ფერმის აღდგენა, რომელიც ერთ-ერთი სამაგალითო იყო საბჭოთა კავშირის დროს. დღეს კი გაპარტახებულია. მოლაპარაკება შვეიცარიულ მხარესთან უკვე დაწყებულია და ხორციელდება პირუტყვის შერჩევა. „ჩვენ კულტურული ჯიშების გამრავლება გვინდა. დღეს ჯიშიც დაკარგულია და შესაბამისად შედეგიც. ჩვენი ბუნებრივი პირობები ყველანაირად შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომ მეცხოველეობის დარგში თუნდაც მეორე შვეიცარია გავხდეთ“ – აცხადებს სვიმონიშვილი. მისი ინფორმაციით, თელეთის კომპლექსში თავდაპირველად რძის და რძის პროდუქტების, შემდეგ კი ხორცის წარმოებაც დაიწყება. ნაბეღლავის მინერალური წყლების საბადო 3,025 მილიონ ლარად „წყალი მარგებელმა“ შეიძინა. ჩოხატაურის რაიონში არსებული ნაბეღლავის მინერალური წყლების საბადო 3,025 მილიონ ლარად სააქციო საზოგადოება „წყალი მარგებელმა“ შეიძინა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში დღეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით მორიგი აუქციონი გაიმართა. აუქციონზე ჩოხატაურის რაიონში არსებული ნაბეღლავის მინერალური წყლების საბადოს სრული მარაგი იყო გამოტანილი. აუქციონში მხოლოდ ერთი კომპანია - „წყალი მარგებელი“ მონაწილეობდა. გამარჯვებულ ფირმას იგი 25-წლიანი სარგებლობის უფლებით გადაეცა. საბადოს საწყისი ფასი 2,750 მლნ ლარი იყო.

„პე-ეს-პე ჯგუფი“. კომპანიის სახელწოდება PSP, ლათინური გამონათქვამის "Paulatim Summa Petuntur" აბრევიატურას წარმოადგენს და ქართულად ნიშნავს "ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალისკენ-წარმატებისკენ". კომპანია პე-ეს-პე 1995 წლის 3 მაისიდან მუშაობს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე. თავდაპირველად პე-ეს-პეს დანერგვის ცენტრი ანუ სადისტრიბუციო კომპანია შეიქმნა, რომელიც საქართველოში ევროპული მედიკამენტების პირველი ოფიციალური დისტრიბუტორი გახდა. პე-ეს-პე ქართული კაპიტალით არის შექმნილი და მისი დამაარსებლებიც ქართველი ექიმები - კახა ოქრიაშვილი და გოჩა გოგილაშვილი არიან. კომპანიის ჩამოყალიბება ომისშემდგომ ნახევრად დანგრეულ საქართველოში, სრულიად ახალგაზრდებმა, საწყისი კაპიტალის გარეშე დაიწყეს. იყო საქმის კეთების დიდი სურვილი და ბრძოლისუნარიანობა. დღეისთვის, მათ პე-ეს-პე მსხვილ, ავტორიტეტულ და სოლიდურ კომპანიად აქციეს. 1996-1997 წლებში დაიდო ხელშეკრულებები დსთ-ს სივრცეში ყველაზე ცნობილ უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიებთან, როგორიცაა "გედეონ რიხტერი", "ეგისი", "კრკა", "ლეკი",

”ბიოგალი”, ”ხინოინი”, ”ავედე”, ”ორიონი”. მომდევნო პერიოდში ხელშეკრულებები დაიდო მსოფლიოს 100-მდე წამყვან ფარმაცევტულ ქარხანასთან. საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში პე-ეს-პე იყო პირველი კომპანია, რომელმაც უცხოეთთან დაამყარა ურთიერთობა და ამ ურთიერთობებში წამყვანი საქართველოს მოსახლეობის ინტერესი გახლდათ. 1999 წელს პე-ეს-პეს მიერ დაარსდა პირველი ქართული ფარმაცევტული საწარმო ”ჯი-ემ-პი”, რომელიც ორიენტირებულია საერთაშორისო ფარმაცევტულ სტანდარტზე. პე-ეს-პე ჯგუფი 1995 წლიდან წარმატებით ახორციელებს მედიკამენტების დისტრიბუციას საქართველოს ბაზარზე. პე-ეს-პე ჯგუფი 100-ზე მეტი წამყვანი მწარმოებელი ფარმაცევტული კომპანიის მედიკამენტების იმპორტიორია. კომპანიის მუშაობა სადისტრიბუციო ფირმის სათანადო სტანდარტით (GDP – Good Distribution Practice) ხორციელდება, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს სააფთიაქო ქსელში უხარისხო მედიკამენტების მოხვედრას. 2006 წლის საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, PSP-ს წილი საქართველოს მთლიანი ფარმაცევტული ბაზრის 30%-ზე მეტს შეადგენს, რაც, თავისთავად, კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე მეტყველებს. პე-ეს-პე ჯგუფს გააჩნია საკუთარი სააფთიაქო ქსელი, რომელიც უკვე 2007 წლისთვის მოიცავს 100-ზე მეტ აფთიაქს.

პირველი პე-ეს-პე აფთიაქი 2002 წლის სექტემბრიდან გაიცნო მომხმარებელმა. დღეს საქართველოს მასშტაბით 140-მდე პე-ეს-პე აფთიაქი საქართველოს თითოეული მოსახლისთვის ”ჩემი ოჯახის აფთიაქი” გახდა. პე-ეს-პე აფთიაქი უზრუნველყოფს მომხმარებელს საჭირო გარანტირებული ხარისხის მედიკამენტების, მოზრდილთა და ბავშვთა კოსმეტიკისა და ჰიგიენის საგნებით, ბავშვთა კვებით, სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკით, ორსულებისა და მეძუძური დედის მოვლის საგნებით, სამედიცინო და ავადმყოფის მოვლის საშუალებებით, საკვები დანამატებით, სამკურნალო მცენარეებითა და სხვა სამედიცინო პროდუქციის ფართო ასორტიმენტით. პე-ეს-პე აფთიაქი მომხმარებელს სთავაზობს მაღალკვალიფიციური ფარმაცევტების უმაღლესი ხარისხის მომსახურებას არა მარტო გარანტირებული ხარისხის პროდუქტის შეთავაზებით, არამედ ოპერატიულ მომსახურებას და ნებისმიერ პროდუქტზე სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდებას აფთიაქში და ტელეფონით პე-ეს-პე-ს საინფორმაციო სამსახურის 911101-ის საშუალებით; პე-ეს-პე-ს ბოლო ნოვაცია ევროპული ტიპის ფარმა-მარკეტებია, რომელიც ჰიგიენისა და კოსმეტიკის გაცილებით დიდ ასორტიმენტსა და სრულიად ახალი ტიპის მომსახურებას სთავაზობს მომხამრებელს; პე-ეს-პე აფთიქის ჰიგიენისა და კოსმეტიკის კვალიფიციური კონსულტანტები უზრუნველყოფენ მომხმარებლის არა მარტო კვალიფიციური კონსულტაციასა და პროდუქციის არჩევაში დახმარებას, არამედ მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში სპეციალური აპარატის საშუალებით საზღვრავენ კანისა და თმის ტიპს; პე-ეს-პე-ს კიდევ ერთი ბოლოდროინდელი ნოვაცია - ინტერნეტ-აფთიაქი საშუალებას აძლევს მომხმარებელს სახლიდან და სამსახურიდან გაუსვლელად შეიძინონ ან გაუგზავნონ ახლობლებს სასურველ მისამართზე საჭირო მედიკამენტები, ჰიგიენისა და კოსმეტიკის საშუალებები.

შ.პ.ს. “ტკბილი ქვეყანა”

შ.პ.ს. “ტკბილი ქვეყანა” 2005 წლის დეკემბერში დაარსდა. კომპანიამ ფუნქციონირება 2006 წლის მარტიდან დაიწყო. საწარმომ უმოკლეს დროში შეძლო საქართველოს ბაზარზე გამორჩეული ადგილის დამკვიდრება. მისი წარმატება განაპირობა არამარტო მაღალკვალიფიციურმა პერსონალმა, არამედ უახლესმა ტექნოლოგიებმაც, რომლის შემოტანა ქარხანამ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებიდან (გერმანია, საფრანგეთი, იტალია) განახორციელა.

ფაბრიკა დღეისათვის მომხმარებელს ტკბილეულის უამრავ სახეობას სთავაზობს, რომელიც გარდა მრავალფეროვნებისა შესანიშნავი გემოთი, მაღალი ხარისხითა და კვებითი ღირებულებებით გამოირჩევა. მის შემადგენლობაში შემავალი ნატურალური დანამატები იცავს ადამიანის ორგანიზმს მავნე ნივთიერებების ზემოქმედებისგან. ასეთი დახვეწილი გემოვნებისა და ხარისხის მქონე ტკბილეული (ზეფირი, მარმელადი, ვაფლი, კანფეტი და სხვ.), თამამად გაუწევს მეტოქეობას მსოფლიოში არსებულ ნებისმიერი სახეობის ნუგბარს. “ტკბილმა ქვეყანამ”, დიდი ხანია, მომხმარებლისგან დამსახურებულად მოიპოვა სანდო და მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამამზადებელი კომპანიის სახელი. სწორედ მათი შეხედულებების გაზიარებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინების შედეგია, რომ კომპანიის ავტორიტეტი ურყევი და საიმედო გახდა.

საკონდიტრო პროდუქციის წარმოების პროცესში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ტექნოლოგიური მხარეა. ამიტომაც, “ტკბილი ქვეყნის” მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი, ინტენსიურად მოწმდება უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილ ლაბორატორიაში. ამ პროცესის საიმედოობას უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული პერსონალი. ამასთან, ფაბრიკის სპეციალისტები, დღევანდელი საბაზრო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მუდმივად ზრუნავენ ასორტიმენტის განახლებასა და გამრავალფეროვნებაზე. კომპანიაში შეიქმნა თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი საამქრო, სადაც მოხდება სადღესასწაულო

ტორტებისა და კრემიანი ნამცხვრების წარმოება. ჩვენს მომხმარებელს საშუალება ექნება, სურვილისამებრ, **შეიძინოს** ან **შეუკვეთოს** სასურველი ფორმისა და ზომის, სხვადასხვა სახეობის უგემრიელესი ტკბილეული.

ენ–ტური. „ენ–ტური“ წარმოადგენს წამყვან ტურ ოპერატორს საქართველოში, რომელიც ახდენს ჩარტერული რეისების ოპერირებას თურქეთში, ეგვიპტესა და ისრაელში და მომხმარებელს სთავაზობს ტურისტულ პაკეტებს 32 მიმართულებით (ძირითადად ექსკლუზიური შეთავაზებებით თურქეთსა და ეგვიპტეში). კომპანიის პარტნიორი გადამზიდი კომპანიები არიან „საქართველოს ავიახაზები“ (“Georgian Airways”) და 2008 წლიდან “თურქეთის ავიახაზები” (“Turkish Airlines”). „ენ–ტურ“–მა ასევე შეიძინა 70% - იანი წილი „Fresh Travel“–ში - ბიუჯეტურ ტურისტულ ოპერატორსა და სააგენტოში გამავალი და შემავალი ტურიზმის სექტორში, რომელიც ასევე არის ისრაელის ავიაკომპანია „Arkia“–ს გენერალური გაყიდვების აგენტი საქართველოში. 2008 წელს კომპანიამ დააარსა შვილობილი კომპანია საქართველოში შპს “ენ–ტურ ჯორჯია“ (100 %-იანი შვილობილი კომპანია), რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში შიდა ტურიზმის განვითარებას. ახლად დაარსებული კომპანია მომსახურებას უწევს ინსტიტუციონალურ ბაზარს (სკოლები, ინსტიტუტები, კორპორატიული კლიენტები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი სააგენტოები) და ტურისტულ სააგენტოებს სთავაზობს შიდა ტურისტულ პაკეტებს. კომპანიის სტრატეგიაზე დაყრდნობით, რომელიც გულისხმობს შვილობილი კომპანიების დაარსებას ან შეძენას მეზობელ ქვეყნებში, „ენ–ტურ“–მა დააარსა შვილობილი კომპანია აზერბაიჯანში „NTA Ltd.” (70%-იანი წილი), რომელიც აპირებს განავრცოს აზერბაიჯანში კომპანიის საქართველოში საქმიანობა.2007 წელს „ენ–ტური“ მოემსახურა 6,700 მგზავრს, გაყიდა დაახლოებით 5,000 ტურისტული პაკეტი და განახორციელა 95 ჩარტერული რეისი. 2008 წელს LC-მ შეიძინა „ენ–ტურ“-ის 30%-იანი წილი, რათა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოში ტურიზმისა და მოგზაურობის სექტორის განვითარებაში. LC მიზნად ისახავს გაზარდოს კომპანიის პროდუქტების პორტფელი, განახორციელოს მომსახურე ბაზრების დივერსიფიცირება მეზობელ ქვეყნებში შვილობილი კომპანიების დაარსებისა და საქართველოში შიდა ტურიზმის განვითარების მეშვეობით. ტურისტულმა კომპანიამ "ენ ტური", რამდენიმე თურქულ სასტუმროსთან ექსკლუზიური ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც ქართველი დამსვენებლებისთვის სრული პაკეტის შეთავაზებას ითვალისწინებს. აქამდე ასეთი მომსახურება არ არსებობდა. დღეიდან "ენ ტური" ამ სასტუმროების ოფიციალური წარმომადგენელი იქნება საქართველოში და გარკვეული პრივილეგიებითაც ისარგებლებს.

თუ თქვენ თურქეთში დასვენება გადაწყვიტეთ, შეგეძლებათ ისარგებლოთ ექსკლუზიური პირობებით ისეთ სასტუმროებში, როგორებიცაა "გლორია რეზორთი" და სხვები.

შ.პ.ს "აისი" "**გურჯაანის ნაყინი**"

შ.პ.ს "აისი" 1997 წელს დაარსდა. კომპანიას სათავეში ენერგიული და გამოცდილი სპეციალისტები ჩაუდგნენ; მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ერთ პატარა საამქროში გამოშვებული ნაყინი საყოველთაო აღიარებასა და სახალხო სიყვარულს მოიპოვებდა. "**გურჯაანის ნაყინი**" – ასე დამკვიდრდა შ.პ.ს. "აისის" მრავალფეროვანი პროდუქცია ბაზარზე და სრულიად განსაკუთრებული გემოთი დაიპყრო მომხმარებლის გული. "გურჯაანის ნაყინი" 2008 წელს "**ქართული ბრენდის დღეზე**" "**ლიდერის**" **ნომინაციაში გამარჯვებულიც გახდა**."გურჯაანის ნაყინი" სეზონის გახსნისთვის ემზადება. ამჟამად ქარხანა 20-მდე სხვადასხვა სახეობის ნაყინს ამზადებს, რომლის საბაზრო ფასი 30-დან 50 თეთრამდე მერყეობს. გურჯაანის ნაყინის საწარმოში ამ დროისათვის 100 ადამიანია დასაქმებული.

ინტერნეტ-რესურები:

1. www.netexpo.ge
2. www.gbc.ge
3. www.bcng.ge-Business Consulting Network Georgia
4. www.factiva.com. ru
5. www.securities.com
6. www.e-info.ge
7. www.kursowiki.ru
8. www.gaap.ru/biblio

გაყიდვების ხელოვნება - პარტიზანული და ვირუსული მეთოდები

მარიკა დურული, ქსენია ხაჩიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი კალატოზიშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

XXI საუკუნეში, ძლიერი კონკურენციის პირობებში, კომპანიები ბაზარზე ადგილის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის ცდილობენ შექმნან რაღაც განსაკუთრებული, ინოვაციური. ახლის ძიების პროცესი კი ყველა მათგანისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს და საჭიროებს განსაკუთრებულ სპეციფიურ მიდგომებს. ამასთან, ბაზარზე შესვლისას ყველა ბრენდი ცდილობს, რომ პოტენციური მომხმარებლის ყურადღება მიიქციოს. ამის შემდეგ კი კომპანიები უმაღლესი ფასეულობებისა და კმაყოფილებების შეთავაზების საფუძველზე იღებენ მომხმარებელთა დიდ კაპიტალს, რომელიც მათი წარმატების საფუძველია.

სხვადასხვა მიმართულების მკვლევარ-სოციოლოგ-მარკეტოლოგი იკვლევს იმ მიზეზებს, რომლებიც მომხმარებელს აიძულებს უპირატესობა მიანიჭოს ან უგულებელყოს რომელიმე კონკრეტული პროდუქტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ პოულობს. ემპირიულ ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება ახალ მომხმარებელთან კომუნიკაცია - გამყიდველმა ზუსტად იცის როდის რა შესთავაზოს და იცის ამ პროდუქტზე მომხმარებლის რეაქცია. ძირითადად მომხმარებელი რეაგირებს ეფექტურ ქმედებებზე, რომელიც მათში გარკვეულ ემოციებს აღძრავს.

მსხვილმა კორპორაციებმა როცა ჯეროვნად შეაფასეს ეფექტი, დაიწყეს „პარტიზანობა“ და დღეს უკვე სწრაფად განვითარებადი კომპანიების საერთო ბიუჯეტში, პარტიზანულ მარკეტინგზე გამოყოფილი სახსრების ზრდის ტენდენცია შეინიშნება. ბიზნესის გიგანტებიც კი (IBM, Microsoft, Volvo და სხვა) არ იშურებენ თანხებს „პარტიზანული“ მარკეტინგის ინსტრუმენტებზე.

ტერმინი „პარტიზანი“ (Guerrilla ესპ. - ომი) პირველად საერთაშორისო ლექსიკონში ნაპოლეონის ბრძოლების ეპოქაში გამოჩნდა, ხოლო, რაც შეეხება ბიზნესში მის დამკვიდრებას, იგი „პარტიზანული მარკეტინგის“ სახელითაა ცნობილი.

„პარტიზანული მარკეტინგი“ (guerrilla marketing) ბიზნესის ტერმინოლოგიაში ცნობილმა მარკეტოლოგმა ჯეინ კორნად ლევინსონმა შემოიტანა. ტერმინი - „პარტიზანული მარკეტინგი“ ლევინსონმა 1983 წელს თავის ბესტსელერში „მოემზადე, დაუმიზნე, ისროლე“ გამოიყენა, რომელშიც გააერთიანა თავისი უდიდესი გამოცდილება და ნოვატორული ხედვა.

ლევინსონის აზრით, „პარტიზანული მარკეტინგი“ ესაა არასტანდარტულობა, არატრადიციულობა, უარის თქმა რეკლამის „ანბანურ“ ჭეშმარიტებაზე. ის მომხრეა, რომ ახალი მარკეტინგული „ფილოსოფია“ კომპანიებმა გამოიყენონ საკუთარი მოქნილობის ასამაღლებლად და მაღალი შედეგების მისაღებად შეზღუდული რესურსების დროსაც კი. ლევინსონი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ მიეღწია კლიენტების მოზიდვის მაქსიმალური ეფექტისათვის მინიმალური დანახარჯებით.

„პარტიზანული მარკეტინგი“ თავის შემოქმედებით ხედვასა და ნიჭს არ იშურებს, რათა მიზნობრივ აუდიტორიას მაქსიმალურად მიწვდეს და მოახდინოს მასზე ზემოქმედება. ახალი იდეები თავისი არაორდინალურობით ყოველთვის იზიდავს მნახველს და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე. გამომდინარე აქედან, ისეთი მარკეტინგული ღონისძიებები, რომლებიც სცილდება სარეკლამო კომუნიკაციებში საყოველთაოდ აღიარებულ საშუალებებსა და მეთოდებს, „პარტიზანულად“ ითვლება.

თავდაპირველად „პარტიზანული მარკეტინგი“ აღიქმებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობ ინსტრუმენტად, რომლებიც იძულებულები იყვნენ „ეპარტიზანათ“ მცირე რესურსების გამო. დღეს კონკურენციის მაღალ პირობებში „პარტიზანულ მარკეტინგს“ წარმატებით იყენებენ მსხვილი კომპანიებიც, როგორებიცაა IBM, Microsoft, Mercedes, Adobe, Procter & Gamble, Nissan და სხვა მრავალი.

„პარტიზანული მარკეტინგის” გამოყენებით, კომპანიებს სხვადასხვა მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტა შეუძლიათ, მათ შორისაა ბრენდის ცნობადობის ამაღლება, პროდუქტის ბაზარზე გამოყვანა, მომხმარებლის ლოიალურობაზე ზემოქმედება და გაყიდვების გაზრდა, რადგან მომხმარებელი პარტიზანულ, ან იგივე ვირუსულ რეკლამას აღიქვამს უფრო როგორც რეკომენდაციას და არა როგორც ტრადიციულ რეკლამას. რეკომენდაცია კი ემპირიულ ცოდნას გულისხმობს (ანუ ერთმა გასინჯა, გამოიყენა, კმაყოფილია და სხვასაც სთავაზობს მის შეძენას და გამოყენებას) მაშინ, როდესაც რეკლამა ამ ცოდნის შეძენისკენ მოუწოდებს (იმისათვის რომ გაიგო, შეაფასო, ჯერ უნდა იყიდო).

საკითხის უკეთ შესწავლისათვის განვიხილავთ „პარტიზანული მარკეტინგის" ორ ცნობილ (Google+, Coca-Cola) მაგალითს, რომელთაც საზოგადოების მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურეს და კომპანიისათვის წარმატების მომტანნი აღმოჩნდნენ.

„პარტიზანულ მარკეტინგს" მიმართა ცნობილმა სოციალურმა ქსელმა "Google+"-მა, მან გადაწყვიტა ესარგებლა „პარტიზანული მარკეტინგის" ზემოქმედების ინსტრუმენტებით, რომელთაგანაც ვირუსული ვიდეო შეარჩია.

ვიდეო რგოლი YouTube-ზე გამოჩნდა სახელწოდებით „The Google+ Song", რომელიც აღნიშნული სოციალური ქსელის შესახებ მოგვითხრობს. ვიდეო რგოლი იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ 5 დღეში 300 000 დათვალიერება დააგროვა.

ვიდეო რგოლის სიუჟეტის მიხედვით გოგონა „Googlebuzz"-ის მსგავს მოწვევას მიიღებს საიტზე. ის თავიდან ვერ ხედავს მორიგი სოციალური ქსელის საჭიროებას მაშინ, როდესაც Facebook უკვე არსებობს. პირველი სტატუსი „მე არ მჭირდება Google+" მას წარმატებას მოუტანს, მომხმარებლები ხალისიანად ალაიქებენ მას. რგოლის მთავარი გმირი ახარისხებს ყველა მეგობარს და უხარია, რადგან ისინი ვერასოდეს გაიგებენ შექმნილი „წრეების" დასახელებას - „ყოფილი" ან „მახინჯები". ვიდეო რგოლს თან ახლდა სიმღერა, რომლის სიტყვები დადებული იყო „ქვინის" კომპოზიციაზე - „Another bites the dust".

„Google+"- მა ჩაშვებიდან თვეზე ნაკლებ დროში 25 მილიონი მომხმარებელი შეაგროვა.

„პარტიზანულ მარკეტინგში" DM (dairect marketing), ან ხშირად, როგორც მას უწოდებენ „პირდაპირი მარკეტინგი", ერთ-ერთ ძლიერ იარაღს წარმოადგენს კორპორატიული ბაზრის მოსაცავად. ორიგინალური გზავნილი კი ყოველთვის იწვევს ადრესატის დიდ ინტერესს. გასათვალისწინებელია, რომ პარტიზანულ, ან იგივე ვირუსულ მარკეტინგს, რეკლამას, პიარს უფრო მეტი დამარწმუნებელი ძალა აქვს სწორედ იმიტომ, რომ მას არ აღიქვამენ რეკლამად, ანუ მომხმარებელი თვლის, რომ ის, რასაც ის იზიარებს, ის იზიარებს თავისი სურვილისა და არჩევანის მიხედვით. მას ექმნება თავისუფალი არჩევანის ილუზია, ხოლო პირდაპირ მარკეტინგს (მათ შორის ელ-ფოსტაზე გაგზავნილ შეთავაზებას და ა.შ.) მომხმარებელთა 99% აღიქვამს ე.წ. სპამად.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, პარტიზანები ტრადიციულ მედია არხებს (ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია...) ნაკლებად იყენებენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგადად პარტიზანობა სრულიად არ გამორიცხავს მათ გამოყენებას. ამ თვალსაზრისის გასამყარებლად საუკეთესო მაგალითად შესაძლოა მივიჩნიოთ ავტომწარმოებელი კონცერნი RENAULT.

კონცერნის მიზანი მდგომარეობდა შემდეგში: კომპანია RENAULT-ის ახალი ავტომობილის (ელექტრომობილი) ბაზარზე ეფექტურად წარდგენა. პარტიზანებმა დაგეგმეს კრეატიული მარკეტინგული კამპანია და რეკლამირებისათვის ბეჭდურ მედიას მიმართეს. კერძოდ, მათ გააფორმეს ხელშეკრულება სამ მთავარ გაზეთთან: The New York Herald, The Financial Times და News-Week. თითოეული გაზეთის ყდაზე განთავსებულ იქნა წარსული მოვლენების ამსახველი სტატიის სათაური. ეს ფაქტი მკითხველს უქმნიდა ილუზიას, რომ თითქოს ის წარსულში გადავიდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გაოცებული მომხმარებელი გაზეთს გადაშლიდა, ის ხედავდა RENAULT ZE-ს დიდ სარეკლამო პოსტერს წარწერით: „RENAULT ZE - ნუ ჩამორჩები დროს!"

ამ აქციიდან ერთი თვის განმავლობაში RENAULT-ის ვებგვერდზე 567,000 ვიზიტორი დაფიქსირდა. გაორმაგდა ავტომობილების ონლაინ შეკვეთების რიცხვი. ამ აქციით კონცერნმა სამუდამოდ გაამყარა ელექტრომობილების ბაზარზე თავისი იმიჯი.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მაგალითებიდან შესაძლოა ვთქვათ, ის რომ „პარტიზანული მარკეტინგის" შესაძლებლობები მართლაც ამოუწურავია. „პარტიზანული მარკეტინგი" ნებისმიერი, თუნდაც არარეალური იდეის განხორციელების საშუალებასაც კი იძლევა. თუმცა, მარტივი და ერთი შეხედვით უბრალო კრეატიული იდეა ყოველთვის გენიალურია და მიზანს ხანმოკლე პერიოდში აღწევს.

„პარტიზანულ მარკეტინგს" მიმართავენ არა მარტო ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავტომობილების მწარმოებელი გიგანტი ფირმები, არამედ მას აქტიურად გამოიყენებენ კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიებიც.

„პარტიზანულ მარკეტინგში" ხშირად მიმართავენ „სკანდალ სტრატეგიას" "SCANDAL STRATEGY), რომელსაც მიზნობრივ აუდიტორიაზე შეუძლია ღრმა ემოციონალური ზემოქმედება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, „პარტიზანული მარკეტინგი" წარმოადგენს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების შემადგენელ კომპლექსს. ის არ განიხილება ცალკე, ან დამოუკიდებლად საერთო სტრატეგიიდან. მისი გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს და პასუხობდეს კომპანიის, ან ბრენდის განვითარების საერთო გეგმას, მის სტრატეგიასა და პოზიციონირებას.

„პარტიზანული მარკეტინგი" ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი ფაქტებით:

- ბოლო პერიოდში, როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საქართველოშიც, სულ უფრო პრიორიტეტული ხდება საშუალო და მცირე ბიზნესის დაარსება და მართვა. მსხვილი კომპანიები თავის ბიზნესის სტრატეგიულ ერთეულებს კიდევ უფრო ანაწევრებენ სპეციალიზაციების მიხედვით, რომელიც კონკურენტულია კონკრეტულ სეგმენტზე;
- ათასობით ადამიანია ჩართული მცირე ბიზნესში და, ცხადია, იზრდება შეცდომების დაშვების ალბათობაც. ბიზნესის კრახი კი მეტწილად დამოკიდებულია მარკეტინგის არასწორ მართვასთან;
- სახელმწიფო სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს მცირე ბიზნესს და ხშირ შემთხვევაში საკანონმდებლო ბაზაც არაადეკვატურია რეალობასთან. მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, რაც კონკურენციის ინტენსივობას ზრდის სხვადასხვა დარგში;
- „პარტიზანულმა მარკეტინგმა“ მთელ მსოფლიოში დაამტკიცა თავისი ეფექტურობა და, შესაბამისად, ეს განსაკუთრებულობა აისახა მცირე ბიზნესის განვითარებაში. „პარტიზანული მარკეტინგის“ ფართო გამოყენება განაპირობა მისმა სიმარტივემ, მოქნილობამ და მცირე დანახარჯებმა. ის განსაკუთრებით ქმედითი აღმოჩნდა სხვა მეთოდოლოგიებთან შედარებით.

„პარტიზანული მარკეტინგი“ შემდეგ შესაძლებლობებს აძლევს მსხვილ თუ მცირე კომპანიებს:

- პარტიზანული მარკეტინგი აძლევს კომპანიებს შესაძლებლობას იყვნენ სტაბილურნი არასტაბილურ ბაზარზე, იმოქმედონ მარტივად რთულ ბიზნესში და იყვნენ მრავალფეროვნები ერთფეროვან კომუნიკაციებში;
- „პარტიზანული მარკეტინგი“ წარმოადგენს ზემოქმედების ისეთ არსენალს, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესს მიზანმიმართულად იკონტაქტოს ნებისმიერი სეგმენტის წარმომადგენელთან.

პარტიზანული მარკეტინგი ტრადიციული მარკეტინგისაგან 10 ნიშნით განსხვავდება:

1. მარკეტინგულ პროცესში კომპანიები თანხების ინვესტირების მაგივრად აბანდებენ დროს, ენერგიას და წარმოსახვას;
2. ისინი თავს არიდებენ არაფრისმომცემ თეორიულ „პოსტულატებს“ მარკეტინგში და ფართოდ გამოიყენებენ ადამიანთა ქცევის კანონებს, მათ ფსიქოლოგიასა და მოტივაციას;
3. კომპანიის კონცენტრაცია ხმარდება არა მხოლოდ გაყიდვების მსვლელობას, არამედ მომხმარებელთა დამოკიდებულების სრულ პროცესს - ცნობადობიდან დაწყებული მომხმარებლის შემდგომი ქცევებით დამთავრებული;
4. „პარტიზანული მარკეტინგი“ მაქსიმალურად მორგებულია იმ ბიზნესს, რომელიც შეზღუდულია მარკეტინგულ ბიუჯეტებში და თუნდაც მცირედი დანახარჯებითაც შეუძლია საკუთარი თავის წარმოჩენა;
5. „პარტიზანული მარკეტინგის“ დროს მომხმარებელთან ურთიერთობა არ მთავრდება მხოლოდ გაყიდვებით, არამედ გრძელდება მჭიდრო კომუნიკაციით „დიალოგის“ დონეზე;
6. ტრადიციულისაგან განსხვავებით პარტიზანული მარკეტინგი ექსპერიმენტების ჩატარების უნიკალურ საშუალებას იძლევა. პარტიზანული მარკეტინგი არ ცნობს შეზღუდვებს ბიზნესში და გამოირჩევა სითამამით;
7. „პარტიზანული მარკეტინგი“ არ ცნობს კონკურენციის „დაუწერელ კანონებს“ და არ ებმება „სისხლისმღვრელ ომებში“, ის გაცილებით ლოიალურია და თანამშრომლობას ქადაგებს;
8. „პარტიზანული მარკეტინგი“ არ გულისხმობს გაყიდვებზე პირდაპირ კონცენტრაციას, არამედ მისი სტრატეგია საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობაზეა ორიენტირებული;
9. „პარტიზანული მარკეტინგი“ არ იფარგლება კონკრეტული მარკეტინგული ინსტრუმენტებით, არამედ ის ფართოდ იყენებს ყველა შესაძლო იარაღს;
10. „პარტიზანული მარკეტინგი“ კომპანიას სთავაზობს 100-ზე მეტ სხვადასხვა სახის მარკეტინგულ ინსტრუმენტს, სადაც რეკლამა ერთ-ერთია მათ შორის.

„პარტიზანული მარკეტინგი“ საზღვარგარეთის პრაქტიკაში ფართოდ არის მიღებული და როგორც ჩვენს მიერ განხილული მაგალითებიდანაც ჩანს ძალიან წარმატებულადაც გამოიყენება. საქართველოში კი სიტუაცია განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბევრი კომპანია აცნობიერებს კლიენტის აზრის მნიშვნელობას, ცდილობს გაიგოს მომხმარებლის სურვილები და საჭიროებები, მაინც ვერ ახდენენ მათთვის ეფექტური გზებით თავიანთი პროდუქციის მიწოდებას. ისეთი კომპანიები კი, რომლებიც ატარებენ გარკვეულ ღონისძიებებს მომხმარებლის მისაზიდად, გაცილებით დიდ წარმატებას აღწევენ.

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ჩავატარეთ კვლევა - გამოკითხვისა და დაკვირვების მეთოდით, შიდა ქართლში, კერძოდ კი გორის მასშტაბით. შესწავლის ობიექტს წარმოადგენდნენ გორში არსებული მაღაზიები (5 ობიექტი), სავაჭრო ცენტრები და მომხმარებლები, რომელნიც აღნიშნული ობიექტების მომსახურებით სარგებლობენ.

გამოკითხული იქნა საკვლევი ობიექტების 33 თანამშრომელი, რომელთაგან 13-მა აღნიშნა, რომ მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს მათი ობიექტის მომსახურებას იმიტომ, რომ ისინი იყენებენ გარკვეულ მიდგომებს პროდუქციის განთავსებისას და მომხმარებელთან ურთიერთობის დროს. 7-მა პიროვნებამ აღნიშნა, რომ ისინი მომხმარებელს სთავაზობენ სხვადასხვა მასტიმულირებელ საშუალებას, განსაკუთრებით დღესასწაულების პერიოდში (ფასდაკლებები, ბონუსები, საჩუქრები და სხვა). 5-მა აღნიშნა, რომ ისინი მომხმარებლებს სთავაზობენ შედარებით დაბალ ფასებს, რის გამოც მომხმარებლები კმაყოფილები არიან და სარგებლობენ მათი მომსახურებით. 8-მ კი აღნიშნა, რომ მომხმარებელს ხარისხიან პროდუქტს სთავაზობენ და ამით ამართლებენ მათ პროდუქტზე არსებულ მაღალ ფასებს.

კითხვაზე იციან თუ არა „პარტიზანული მარკეტინგის“ შესახებ და იყენებენ თუ არა მას, 33 გამოკითხულიდან მხოლოდ 2-მა უპასუხა კითხვას დადებითად, ხოლო 31 მათგანს საერთოდ არ სმენია ამის შესახებ და თავისთავად არც იყენებენ მის მეთოდებს.

მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა მათი დამოკიდებულება სავაჭრო ობიექტების მიმართ. გამოიკითხა 100 პიროვნება, რომელთაგანაც 65 ქალი, 35 მამაკაცი. გამოკითხულთა 40% უმაღლესი განათლების მქონეა, ხოლო 60% საშუალო განათლების მქონე. საერთო შედეგებმა აჩვენა, რომ მომხმარებელი უკმაყოფილოა იმ შემოთავაზებებით, რომლებსაც მათ სთავაზობენ. ზოგადად არანაირი ინოვაცია, არანაირი დაგეგმილი ღონისძიება, რომელთა მიზანი მომხმარებლის პროდუქტამდე მიყვანა იქნება. ძირითადად არსებული მაღაზიების მომსახურებით სარგებლობენ, იმიტომ, რომ მათ ალტერნატივა არ აქვთ.

თემის საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში პარტიზანული მარკეტინგის, ვირუსული მარკეტინგის გამოყენების თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ეს ძირითადად განპირობებულია სამოქმედო არეალის სიმცირით, ანუ არ არსებობს შესაბამისი გარემო, რომ კომპანიებმა პარტიზანული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება შესძლონ. ნებისმიერი ფაქტის გამავრცელებლების შესახებ სრულიად მარტივად შეიძლება მოიპოვონ ინფორმაცია და, აქედან გამომდინარე, ამ მეთოდმა უპირატესობა დაკარგოს.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.radiokalaki.ge/index.php?cid=40&act=view&id=4763;
2. http://blog.partisani.ge/?p=399
3. http://blog.partisani.ge/?p=310
4. http://strategy.ge/category/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე

მარიამ ედიშერაშვილი, ანა სულეიმანაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკური განვითარება გულისხმობს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების პირობებში ეკონომიკური განვითარებისა და ხარისხობრივი ცვლილებების შეხამებას. საქართველოს წინაშე არსებული მრავალი გამოწვევის გადასაწყვეტად აუცილებელ პირობას ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. ყველასათვის გასაგებია, თუ რა გამოწვევებზეა საუბარი და ეს არ არის მხოლოდ ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლება. არაერთი მიზეზის გამო ჩვენ გვჭირდება, რომ ქვეყანამ ეკონომიკის ზრდის სტაბილურად მაღალი ტემპი უზრუნველყოს.

არის ერთი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს ყველა სხვა მაჩვენებელზე სრულად ასახავს. ეს არის მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც მოდის ერთ სულ მოსახლეზე (მშპ/სულზე). მართალია, ეს მაჩვენებელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების სრული მახასიათებელი არ არის (მაგალითად, ანგოლისა და ბულგარეთის მშპ დაახლოებით ტოლია, თუმცა ეს ქვეყნები განვითარების დონით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან), მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, ძირითადად, ამ მაჩვენებლით განისაზღვრება და საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვისას ჩვენც ამ მაჩვენებლით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

მსოფლიოს ქვეყნები შეიძლება ოთხ დიდ ჯგუფად დავყოთ იმის მიხედვით, თუ როგორია მათი მშპ/სულზე:

1) უღარიბესი ქვეყნები - მშპ/სულზე ნაკლებია 1,000 დოლარზე;
2) განვითარებადი ქვეყნები - მშპ/სულზე არის 1,000-5,000 დოლარი;
3) საშუალო განვითარების ქვეყნები - მშპ/სულზე არის 5,000-12,000 დოლარი;
4) განვითარებული ქვეყნები - მშპ/სულზე 12,000 დოლარზე მეტია.

ეს კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, პირობითია, განსაკუთრებით, როცა საქმე რიცხვებს ეხება. მთლიანობაში ის ემთხვევა საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციას, თუმცა არის განსხვავება სხვადასხვა ჯგუფების ზღვრულ მაჩვენებლებში. ეს კლასიფიკაცია კარგად ასახავს ქვეყნების ძირითად ჯგუფებს ეკონომიკური განვითარების მიხედვით და მისი საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ბოლო წლებში ასეთია: 2010 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 6,3% შეადგინა, მშპ-მ ნომინალურად - 20648.6 მილიონი ლარი, ერთ სულ მოსახლეზე კი - 2641.7 აშშ დოლარი. 2011 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები ამ მიმართულებით ასეთია: ეკონომიკური ზრდა – 4,5%, ნომინალური მშპ - 23088.2 მილიონი ლარი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე კი - 2924.9 აშშ დოლარი. ამ მაჩვენებლით მსოფლიოში 117-ე ადგილზე ვართ; დიდი ვერაფერი შედეგია. ცოტათი ჩამოვრჩებით სირიას, მაროკოს, პარაგვაის, კამბოჯას და ცოტათი ვუსწრებთ მოზამბიკას, სომხეთს. მნიშვნელოვნად ვუსწრებთ რამდენიმე ათეულ ღარიბ და უღარიბეს ქვეყანას.

ამიტომ ქვეყნის უახლოესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველო საშუალო განვითარების ქვეყნად იქცეს, რისთვისაც საჭიროა 5000-6000–დოლარიან მშპ-ს მივაღწიოთ. ეს არის ეკონომიკური განვითარების ის მინიმალური დონე, საიდანაც შეიძლება საუბარი სოციალურ პროგრამებზე, მეცნიერებისა და განათლების განვითარებაზე. ეკონომიკური განვითარების ამ დონეზე გამოიკვეთება, თუ როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკის როლი და ფუნქციები გლობალურ ეკონომიკაში – რომელი დარგები გახდება წამყვანი. განსაკუთრებით ეს მრეწველობას ეხება.

ეკონომიკური მაჩვენებლებით ეს ნიშნავს, რომ საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობამ 20-25 მილიარდ დოლარს უნდა მიაღწიოს. ესე იგი საქართველოს მშპ 10-15 მილიარდი დოლარით უნდა გაიზარდოს. ამისთვის საჭიროა მილიარდობით დოლარის ინვესტიცია. საჭირო ინვესტიციების რაოდენობა მიახლოებით შეიძლება შევაფასოთ, თუ ჩავთვლით, რომ დოლარის ინვესტიცია მშპ-ს დოლარით ზრდას იწვევს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მიახლოებითი შეფასებაა, მაგრამ რეალობასთან ახლო მდგომი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი მიზნის მისაღწევად უახლოეს წლებში 10-15 მილიარდი დოლარის ინვესტიცია დაგვჭირდება.

რეალურად რა პოტენციალი აქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას უახლოეს წლებში, ამის გასარკვევად მიმდინარე ეკონომიკური პროცესები დაწვრილებით განვიხილოთ. ქართული ეკონომიკის მწვავე პრობლემად კვლავ მზარდი ინფლაცია რჩება და უპრიანი იქნება ეკონომიკური მიმოხილვაც ამ საკითხით დავიწყოთ.

ინფლაცია

ინფლაცია წარმოადგენს 2012 წლის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას და 2012 წლისთვის ინფლაციის შეჩერება და დაბალ ნიშნულამდე დაყვანა ერთ-ერთი პრიორიტეტია. ინფლაციას ე.წ. ეგზოგენური ფაქტორები იწვევს. კერძოდ, რიგ შემთხვევებში ნახსენები იყო ხორბლის ფასის ზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, რასაც ავტომატურ რეჟიმში მოჰყვა ფასების ზრდა სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებზე. რიგ შემთხვევებში კი ინფლაცია ახსნილი იქნა, როგორც ნავთობზე ფასების ზრდის თანმდევი და გარდაუვალი პროცესი.

ყველა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში ინფლაციის დონე საქართველოზე დაბალია. თუ მთავრობის არგუმენტაციას დავიჯერებთ, გამოდის, რომ საქართველოს მოქალაქეები ექსტრაორდინარული მონდომებით მიირთმევენ პურს და მოიხმარენ საწვავს, რადგან სხვა შემთხვევაში ხორბალსა და ნავთობზე ფასების ზრდას მეტ-ნაკლებად იდენტური გავლენა უნდა მოეხდინა ფასების დონეზე სხვა ქვეყნებშიც. როგორც ჩანს, მსოფლიო ბაზარზე სასურსათო კრიზისი და ფასების მატება ჩვენს ქვეყანაზე უფრო მტკივნეულად აისახა, ვიდრე სხვა ქვეყნებზე, თუნდაც მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთზე. ინფლაციამ ორივე ქვეყანაში დაგეგმილ მაჩვენებელს გადააჭარბა, მაგრამ ორნიშნა მაჩვენებელი არსად დაფიქსირებულა.

ინფლაცია ადამიანის ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელი პროდუქტებისა და მომსახურებისგან შემდგარ ვირტუალურ კალათაზე დაკვირვებით იზომება. ამ კალათაში უფრო მეტი წონა იმ პროდუქტებს აქვს, რომელთა მოხმარებაზე უარის თქმა რთულია (მაგ.: პური, ხორცი, ელექტროენერგია). მათზე ფასების ზრდა, დანარჩენებზე მეტად აუფასურებს ფულს.

დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანისთვის ინფლაცია, ფაქტობრივად, განისაზღვრება სურსათზე ფასების ცვლილებით, მისთვის ინფლაცია არის არა 11,2% არამედ 23,1%, ფაქტობრივად, პროდუქტის გაძვირების შესაბამისი. ის უფრო მწვავედ განიცდის ამ პროცესს. რაც უფრო დაბალშემოსავლიანია ოჯახური მეურნეობა თუ ფიზიკური პირი, მით მეტია მასზე მაღალი ინფლაციის ნეგატიური გავლენა.

ფასების ზრდას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: გადასახადების გაზრდა, მსოფლიო ბაზარზე ფასების მატება და ეროვნული ბანკის მიერ ჭარბი ფულის ბეჭდვა. საქართველოს შემთხვევაში სამივესთან ერთად გვაქვს საქმე.

საგარეო ვალი

საგარეო ვალის მოცულობა 2004 წლის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებით კი 2008 წლიდან. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2008 წელს ქვეყნის საგარეო ვალი 3 543 582 ათას ლარს შეადგენდა. 2009 წელს ეს მაჩვენებელი 5 586 756 ათას ლარამდე გაიზარდა. 2010 წელს კი 6 819 762 ათასი ლარი შეადგინა. 2011 წელს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 8 მილიარდ 758 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ამ დროისთვის საქართველოს უმსხვილესი კრედიტორია მსოფლიო ბანკი. მეორე ადგილი უჭირავს ევროობლიგაციებს, მესამე უმსხვილესი კრედიტორია საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მეოთხე ადგილზეა გერმანია და მეხუთეზე – ევროკავშირი.

ბოლო ცხრა წლის განმავლობაში საგარეო ვალის მოცულობის შეფარდება მთლიან შიდაპროდუქტებთან კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2009 წლიდან ამ მაჩვენებელმა ზრდა დაიწყო. 2010 წელს მთლიანი შიდაპროდუქტის ნომინალური მაჩვენებელი 19 მილიარდ 46 მილიონ 400 ათასი ლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 2010 წლის ბოლოსთვის შეადგინა ნომინალური მშპ-ს 37,1 %, მაშინ, როცა 2009 წლის ბოლოსთვის საგარეო ვალი ნომინალური მშპ-ს 31,1% იყო. ეს ცხადყოფს, რომ საგარეო ვალებთან დაკავშირებით არსებული ვითარება მაინცდამაინც სანუგეშო არ არის. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა 5-6 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც განვითარებადი ქვეყნისთვის კარგი მაჩვენებელი ნამდვილად არ არის. კრედიტით აღებული თანხები სწორად უნდა იქნას გამოყენებული, ეკონომიკაც განვითარდება.

საგარეო ვაჭრობა

2011 წლის განმავლობაში საქართველოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ჰყავდა – თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, აშშ, გერმანია, ჩინეთი, რუსეთი, სომხეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და ბულგარეთი. საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობის 77,5% ამ ქვეყნებზე მოდის. აქედან უდიდესი წილი, 36.9%, აქვს თურქეთს – 587.3 მილიონი დოლარი, აზერბაიჯანს – 369.4 მილიონი დოლარი და უკრაინას – 340.8 მილიონი დოლარი.

2011 წლის საექსპერტო პროდუქციის ათეული კი ასე გამოიყურება: მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, შავი ლითონების ჯართი, ოქრო, სპილენძის მადანი, თხილი, მინერალური სასუქი, საფრენი აპარატების ნაწილები, ელექტროენერგია, ნახშირბადიანი ფოლადის წნელები.

ინვესტიციები და ბიზნესგარემო

საინვესტიციო საფრთხეს უმეტესწილად ჩვენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და საინვესტიციო გარემო ქმნის. აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების გამო, ევროპის უმსხვილესმა ბანკებმა შეშფოთება გამოთქვეს. გარდა ამისა, აზიის საფონდო ბირჟებზე ინდექსებმა დაცემა დაიწყო. შესაბამისად, როდესაც საქართველოს საინვესტიციო გეგმები ამ ქვეყნებზეა მიბმული, ბუნებრივია, ეს გარკვეულ საფრთხეებს ქმნის.

ინვესტიციების შემცირება სასურველი საინვესტიციო გარემოს არარსებობამ გამოიწვია. საქართველოში ბიზნეს-გარემო უფრო ლიბერალური და გამჭვირვალე უნდა გახდეს.

დასაქმება და საარსებო მინიმუმი

უმუშევრობის პრობლემა პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობასთან, ანუ დაიძლევა იმის მიხედვით, თუ რამდენად სწრაფი ეკონომიკური ზრდა გვექნება, რაც თავისთავად გულისხმობს რაოდენობრივად მეტი საქონლისა და მომსახურების შექმნას, რასაც მეტი სამუშაო ძალა სჭირდება. ხელისუფლებას შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს უმუშევრობის შემცირებაში, თუ მისი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევისაკენ, ანუ

საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდას არ შეუქმნის ხელოვნურ პრობლემებს პოპულისტური მიზნებისა და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისთვის. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 18%-ს აღწევს, თუმცა რეალური სურათი გაცილებით მძიმეა.

სტატისტიკური მონაცემებით, 90-იან წლებთან შედარებით, საქართველოში დარეგისტრირებულ კომპანიათა რაოდენობა 10-15 ჯერ გაიზარდა და მათი რაოდენობა დღეს 300 ათასს აჭარბებს. თუმცა ხშირ შემთხვევაში კომპანიები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. თითოეულ კომპანიას საშუალოდ 9-10 კაცი უნდა ჰყავდეს დასაქმებული, ეს რომ ასე იყოს, 300 ათას კომპანიაში თითქმის 3 მილიონი ადამიანი უნდა მუშაობდეს. არადა, ჩვენთან უმუშევრობის მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება. 2011 წლის ბოლოს უმნიშვნელო ზრდა დაფიქსირდა კერძო ბიზნესში. ამ სექტორში დასაქმებულების ხელფასი ბოლო ერთი წლის განმავლობაში თითქმის 8%-ით გაიზარდა. კერძო სექტორისგან განსხვავებით ხელფასებს არ მოუმატია საბიუჯეტო სექტორში, უფრო ზუსტად კი, 2011 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულების საშუალო ანაზღაურებასთან დაკავშირებით სტატისტიკის დეპარტამენტს მონაცემები ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია. პენსიონერი, რომელიც ამავე დროს იძულებით გადაადგილებული პირია, მაგრამ დოკუმენტურად ვერ ადასტურებს შრომით სტაჟს, დანამატი განესაზღვრება ასაკის მიხედვით შემდეგი წესით: დევნილი მამაკაცებისთვის: 65-დან 67 წლამდე – 2 ლარი; 67-დან 69 წლამდე – 4 ლარი; 69-დან 71 წლამდე – 7 ლარი; 71 წლიდან ზემოთ – 10 ლარი. დევნილი ქალებისთვის: 60-დან 62 წლამდე – 2 ლარი; 62-დან 64 წლამდე – 4 ლარი; 64-დან 66 წლამდე – 7 ლარი; 66 წლიდან ზევით – 10 ლარი.
შეზღუდული შესაძლებლობების პირთა პენსიის ოდენობა 70 ლარს შეადგენს, მარჩენალდაკარგულთათვის – 55 ლარს, ობლებისთვისაც, ასევე, 55 ლარს.

მოკლედ, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, პენსიის მაქსიმალური ოდენობა 90 ლარი შეიძლება იყოს, რაც საარსებო მინიმუმის (149.6 ლარი) ნახევარზე ოდნავ მეტია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფასების ზრდის ტენდენცია გრძელდება, სავარაუდოა, რომ პენსიის მსყიდველუნარიანობა ,,ვარდების რევოლუციამდელ'' დონეს დაუბრუნდება. პენსიონერების უმრავლესობა (93%) ოჯახის სხვა შრომისუნარიანი წევრის შემოსავალზე ცხოვრობს. არის პენსიონერთა ჯგუფი, რომელიც მხოლოდ პენსიაზე ცხოვრობს, ბუნებრივია, მათი მდგომარეობა უფრო დრამატულია. ასე რომ, ცალკე აღებული პენსია სოციალურ ხარჯებს ვერ ფარავს. დსთ-ს ქვეყნებში საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი პენსიაა.

ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტით ადამიანი ახერხებს თავისი განუსაზღვრელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. თანამედროვე ადამიანი მუდმივად ვითარდება და მუდმივად ცდილობს იცხოვროს უკეთეს სამყაროში, რის გამოც იძულებულია ჩაერთოს წარმოების პროცესში, გაზარდოს წარმოების მასშტაბები, საწარმოო შესაძლებლობები და ყოველმხრივ დაეხმაროს საზოგადოებას. ეკონომიკური განვითარება მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა წარმოება იზრდება. ჭეშმარიტი პროგრესის ერთადერთი გზა კი ეკონომიკის ინტელექტუალიზაციაა. ამის გათვალისწინებით უნდა შეიქნმას ნოვაციური ეკონომიკა, რომელიც დამყარებული იქნება ცოდნაზე, შრომასა და ინტელექტზე, რადგან სწორ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაცია, აღმავლობა და ეკონომიკური განვითარება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები - ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, 2011.
2. www.geostat.ge
3. www.nbg.ge

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და მისი დაძლევის გზები

ნათია ილურიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის უმუშევრობა გლობალური პრობლემაა მსოფლიოში და, შესაბამისად, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საქართველოშიც. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო რეიტინგებით №1 რეფორმატორი ქვეყანა ვართ, ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მაინც სიდუხჭირეში ცხოვრობს და წლებია ეძებს სამსახურს. დასაქმების პრობლემა ყოველწლიურად იჩენს თავს და სულ უფრო მეტი ადამიანი თვითდასაქმებას მიმართავს. სტატისტიკური მონაცემებით უმუშევრობის დონე ქვეყანაში 16-17%-ის ფარგლებში მერყეობს. ექსპერტები თანხნდებიან იმაში, რომ ასეთ რთულ პრობლემას ცალკეული ქვეყნები მარტო ვერ გაუმკლავდებიან და საჭიროა ერთიანი ძალისხმევა ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად. უმუშევრობის ზრდა, რომელსაც ადამიანის შემოსავლების შემცირება მოსდევს, ლოგიკურად მათ მიერ მოხმარებული პროდუქტის რაოდენობის შემცირებასაც იწვევს. „იქმნება მოჯადოებული წრე: შემცირებული მოხმარება იქვევს წარმოების შემცირებას, რომელიც თავის მხრივ კიდევ ზრდის უმუშევრობას“. ჩვენის აზრით გამოსავალი შემდეგში მდგომარეობს: საჭიროა შემსუბუქდეს საგადასახადო სიმძიმე, რაც თავისთავად ეკონომიკის წინსვლას შეუწყობს ხელს. ამასთან საჭიროა იმ გეგმიური ინვესტიციების დაჩქარებულად განხორციელება, რომლებიც განათლების, სამეცნიერო კვლევებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში უნდა განხორციელდეს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ნიკა გილაურის განცხადებით, მთავრობის მთავარ გამოწვევად უმუშევრობის დაძლევა რჩება. როგორც მან ჟურნალისტებთან გამართულ, წლის შემაჯამებელ შეხვედრაზე განაცხადა, მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმა სწორედ აღნიშნული პრობლების გადაჭრას ემსახურება. მასში ის კონკრეტული ნაბიჯებია გაწერილი, რაც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მომდევნო 4 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით უნდა გადადგას. გილაური დასაქმების ადგილების შექმნას განსაკუთრებით ტურიზმის, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში ელის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი სწორედ უმუშევრობა გახლავთ. რაც უფრო მეტი მშრომელია დასაქმებული ქვეყანაში, მით მეტია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა.

უმუშევრობის დონის მაჩვენებლის დადგენით დაკავებულია შრომის სტატისტიკის ბიურო (შსბ). იგი გამოკითხული ოჯახების თითოეულ ზრდასრულ წევრს შემდეგი 3 კატეგორიიდან: დასაქმებული, უმუშევარი და სამუშაო ძალას არმიკუთვნილნი (სტუდენტი, პენსიონერი, დიასახლისი), ერთ-ერთში ათავსებს და ყოველთვიურად იძლევა მონაცემებს. უმუშევრობის მრავალი სახე არსებობს. მათ შორის 3 ყველაზე გავრცელებული ფორმაა: 1. ფრიქციული უმუშევრობა - იგი წარმოიქმნება იმის გამო, რომ მოქალაქე ეძებს ისეთ სამსახურს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მის უნარსა და გემოვნებას. პროფესიისა და საქმიანობის სახეების არჩევის პირობებში ადამიანები დროის გარკვეულ მომენტში უმუშევარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ზოგიერთები ნებაყოფლობით იცვლიან სამუშაო ადგილს, ზოგი დროებით კარგავს სეზონურ სამუშაოს და კიდევ არსებობს უმუშევართა განსხვავებული კატეგორია – ახალგაზრდები, რომლებსაც არსად არ უმუშავიათ და პირველად ეძებენ სამუშაოს. ფრიქციული უმუშევრობა შეუმჩნევლად გადადის მეორე კატეგორიაში, რომელსაც „სტრუქტურული უმუშევრობა“ ჰქვია; 2. სტრუქტურული უმუშევრობა წარმოიქმნება მაშინ, როცა სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი დიდია, სამუშაო ადგილები კი ცოტა. დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურასა და ტექნოლოგიაში ხდება ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ, ცვლიან სამუშაო ძალაზე ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას. ასეთ ცვლილებათა შედეგად მოთხოვნა პროფესიათა ზოგიერთ სახეობაზე (რომლებიც ადრე არ არსებობდა) იზრდება. მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობა წარმოიშობა იმიტომ, რომ სამუშაო ძალა სრულად ვერ პასუხობს ახალ ცვლილებებს სამუშაო ადგილების სტრუქტურაში. ზოგიერთი მომუშავე დაინახავს, რომ ის პროფესიული ჩვევები, რომლებიც მათ ახლა გააჩნიათ, უკვე აღარ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს: მათი გამოცდილება და უნარი მოძველდა და გამოუსადეგარი გახდა ტექნოლოგიასა და სამომხმარებლო მოთხოვნის ხასიათში ცვლილებათა გამო და ხშირ შემთხვევაში ცდილობს შეიცვალოს პროფესია; 3. ციკლური უმუშევრობა - იგი წარმოიშობა ეკონომიკური ციკლის დაქვეითების პერიოდის იმ ფაზაში, რომელიც საერთო ანუ მთლიანი ხარჯების უკმარისობით ხასიათდება. ამ ტიპის უმუშევრობა მოკლევადიანია. იგი ეკონომიკური რეცესიის დროს ჩნდება, როდესაც

წარმოებული პროდუქცია მცირდება და შესაბამისად პროდუქციაზე მოთხოვნა ბაზარზე კლებულობს. უმუშევრობის ტიპის განსაზღვრისას უმუშევრობის მაჩვენებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შეიძლება დავუკავშიროთ. საზოგადოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს მთელი ინვესტიციების უდიდეს ნაწილს შეადგენს, ვინაიდან ადგილობრივი დანაზოგები არ არის საკმარისი ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენის აზრით, ქვეყნის მთავრობამ უნდა მიიღოს სპეციალური ზომები, რათა მოსახლეობა უმუშევრობისგან დაიცვას. გათვალისწინებული უნდა იქნას მშრომელთა ეკონომიური უსაფრთხოების დაცვა რამდენიმე მიმართულებით: 1. რეგულარული დასაქმება - სახელმწიფო ამცირებს სამუშაო დღის და სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, რეკომენდაციას აძლევს დამქირავებლებს, მომუშავეთა შორის სამუშაო ადგილები გადაანაწილოს. ასეთი მიდგომით სახელმწიფო ძირითადად ქრონიკულად უმუშევრებისა და ახალგაზრდების დასაქმებას შეძლებს. 2. შრომის ბირჟის ორგანიზაცია - დაწესებულება, რომელიც მეწარმეებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის შუამავლის როლს შეასრულებს და მათ შორის ურთიერთობების რეგულაციას მოახდენს. თანამედროვე პირობებში, ეს დაწესებულებები ძირითადად სახელმწიფო დაქვემდებარებაში არიან. ისინი აღრიცხავენ უმუშევრებს და ხელს შეუწყობენ მათ დასაქმებაში, გადაკვალიფიცირებაში, შეისწავლიან სამუშაო ძალთა ბაზარს და ამ ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს მიაწვდიან, დაეხმარებიან ახალგაზრდებს პროფესიულ ორიენტაციაში. 3. უმუშევრობისგან დაზღვევის ფონდების ფორმირება - ეს ფონდები სამსახურის გარეშე დარჩენილ პირებს მატერიალურად უნდა ეხმარებოდნენ. ისინი ძირითადად, დასაქმებულ ადამიანთა ხელფასებიდან, გარკვეული ანარიცხებით ფორმირდებიან. არსებული შეზღუდვების გამო, ამ ფონდების დახმარებით სარგებლობა, უმუშევართა ნახევარზე ნაკლებს თუ შეუძლია. სხვადასხვა ქვეყნებში უმუშევართა დახმარება განსხვავებული მოცულობისაა: აშშ-ში იგი ხელფასის 36%-ს შეადგენს და 14 კვირის განმავლობაში გაიცემა. იაპონიაში ხელფასის 60-80%-ს უტოლდება და 3-დან 12 თვემდე ანაზღაურდება. მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს დასაქმების სწორი პოლიტიკა ძირითადად ფრიქციული უმუშევრობის შემცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. უნდა შეიქმნას პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამები: ეკონომიკის დეპრესიული დარგებიდან გამოთავისუფლებული ადამიანებისათვის, ახალგაზრდებისა და ქალბატონებისთვის. სახელმწიფოს კეთილდღეობის არსებობის მნიშვნელოვანი პირობებია: სახელმწიფო პენსიები, უბედური შემთხვევებისა და უმუშევრობისგან დაზღვევა, მატერიალური და სოციალური დახმარებები უპატრონო და უსახლკარო მოქალაქეებისათვის. იმისათვის, რომ საქართველოში უმუშევრობის დონემ იკლოს, უფრო აქტიურად უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ცვლილებები, მოხდეს გადასახადების შემცირება, ბიზნესის ზეწოლისგან დაცვა, სასამართლო სისტემის კიდევ უფრო გაძლიერება და, რაც მთავარია, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, რათა ის მომავალი თაობა, რომელიც უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელს დაამთავრებს მოთხოვნადი იყოს შრომის ბაზარზე და შესაბამისად პროფესიული დონის განუწყვეტელ ამაღლებაზე ზრუნავდეს.

უმუშევართა აზრით, უმუშევრობა ყველაზე დიდი პრობლემაა, რაც შეიძლება ადამიანს დაემართოს. უმუშევრობის შედეგად ადამიანს სხვადასხვა სახის სოციალური პრობლემები უჩნდება. სამუშაოს დაკარგვა დიდი პიროვნული ტრაგედიაა. ფსიქოლოგიურმა კვლევებმა აჩვენეს, რომ სამსახურიდან დათხოვნა ისევე დამღუპველად მოქმედებს პიროვნებაზე, როგორც უახლოესი ადამიანის სიკვდილი. პირთა დეკვალიფიკაციას, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს, საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვამდეც მივყავართ. მაგალითად: ჰარვი ბრენერის მტკიცებით უმუშევრობის 1%-იანი ზრდა 37000 ადამიანის ნაადრევი სიკვდილის მიზეზი ხდება. სამუშაო იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხშირად ვიმეორებთ სიტყვებს: „უმუშევრობას ყველაფერი სჯობს, ნებისმიერი სამუშაო“. მოდით ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვიყოთ რეალისტები, კარგი სამუშაო არ არსებობს. ხშირად მას თან ახლავს დაღლილობა, მოწყენილობა და უარეს შემთხვევაში კონფლიქტიც, მაგრამ ამასთან იგი ჩვენი თვითგამოვლენის საუკეთესო საშუალებაა და როგორც ფსიქოლოგიის დოქტორი, ლინ ჰანგი იტყოდა: „ადამიანებს გვახასიათებს საკუთარი თავის გაიგივება სამუშაოსთან. ის ჩვენი ცხოვრების იმდენად განუყოფელი ნაწილია, რომ მისი დაკარგვის შემთხვევაში თავს ცუდათ ვგრძნობთ“.

ლიტერატურა:

1. ე. ხარაიშვილი, ც. მიქატაძე, ნ. დამენია, დარგობრივი ბაზრების ეკონომიკა, თბ., 2010.
2. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 1-ლი გამოცემა, თბ., 2000.
3. http://www.economy.ge
4. http://learning.ge
5. http://www.kvirispalitra.ge

სააქციო საზოგადოება „მადნეული“

თეონა კაკაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

სააქციო საზოგადოება ეს არის ფირმა, რომელიც თავის საწესდებო კაპიტალს აქციების გამოშვებით და რეალიზაციით აყალიბებს. ახლა კი უფრო კონკრეტულად იმ ღირსების შესახებ, რომელიც სააქციო საზოგადოებებს უფრო მეტად მიმზიდველს ხდის და აპირობებს მის წამყვან როლს ეკონომიკაში. სააქციო საზოგადოება ხელს უწყობს მსხვილი დამატებითი კაპიტალის მოზიდვას, ინვესტორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის გამო. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მთავარ როლს სააქციო საზოგადოებები თამაშობენ. სს არის საზოგადოება რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იგივე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად. განვიხილავ ერთ-ერთი სააქციო კომპანიის მაგალითს, რომელიც „მადნეულის“ სახელწოდებითაა ცნობილი. კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა, შესაბამისად სს ,,მადნეული” საქართველოს ლიდერ ექსპორტიორთა შორის ადგილს ღირსეულად ინარჩუნებს.

მსოფლიო მასშტაბით ოქროს მოპოვება–რეალიზაციაში საქართველოს მოკრძალებული ნიშა უკავია. თუმცა, ქართულ ეკონომიკაში მის მიერ შეტანილი წვლილი მნიშვნელოვანია. დაუმუშავებელი და ნახევრად დამუშავებული ოქრო საქართველოს ექსპორტის უმსხვილეს სასაქონლო პოზიციებში ბოლო წლების განმავლობაში წამყვან ადგილს იკავებს. ოფიციალური სტატისტიკით, 2008 წელს საქართველოდან საექსპორტოდ 18 830 აშშ დოლარის ოქრო გაიტანეს, 2009 წელს საზღვარგარეთ გაყიდული ოქროს ღირებულებამ 34 743 აშშ დოლარი შეადგინა. 2006 წელს კი–49 371 აშშ დოლარი.

დღეს საქართველოში ოქროს მოპოვებას, გადამუშავებასა და წარმოებას ერთი ბიზნეს–ჯგუფი კურირებს. 2005 წელს ბრიტანულმა კომპანიამ „STANTON EQUITIES CORPORATION”–მა ტენდერზე სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ 97,25 პროცენტი იყიდა. სპილენძის კონცენტრანტის წარმოების, რეალიზაციისა და მადნების კვლევა–ძიების გარდა, „მადნეულში“ ბოლო დრომდე ბარიტს, სპილენძ–თუთიას, ბარიტ–პოლიმელიტსა და კვარციტს მოიპოვებდნენ. ინვესტორმა ოქროს შემცვლელი მეორადი კვარციტების გადამამუშავებელი შპს „კვარციტის“ 51 და „საქართველოს სამთამადნო კომპანიის“ 100 პროცენტიც მიიღო. ეს უკანასკნელი ბოლნისის რაიონის 36 საბადოზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიას ფლობს. „ მადნეულის“ რამდენიმე შვილობილი კომპანიის გარდა, „STANTON EQUITIES CORPORATION”-ს შპს „ტრანს ჯორჯია რესორსიც“ ერგო, რომელიც საყდრისის საბადოზე წიაღით სარგებლობის კომპლექსური ლიცენზიის მფლობელია. ამ საბადოზე დათვლილი 40 ტონაზე მეტი ოქრო, ორჯერ მეტი ვერცხლი და 100 000 ტონამდე სპილენძი რენტაბელურ ამოღებას ექვემდებარება.

ოქროს მოპოვება მეორადი კვარციტული მადნებიდან ხდება. როგორც „მადნეულში“ აცხადებენ, წლის განმავლობაში მოიპოვება 100 000 უნციამდე ოქრო, რომელიც გადასამუშავებლად კანადურ ორგანიზაცია „ჯონსონს მათიუ“-ში იგზავნება. კომპანიის მესვეურთა განცხადებით, 2006 წელს მათ 20 მილიონის ინვესტიცია განახორციელეს. თანხა კარიერის გადახსნით სამუშაოებს, ახალი ტექნიკის შეძენას, გადაიარაღებას, ინფრასტრუქტურის მოწყობასა და სოციალურ პროექტებს მოხმარდა. „მადნეული“ მომავალ წელს ბალიჭისა და საყდრისის მიმართულებით 2 ახალი კარიერის გახსნას გეგმავს.

ოქროს მომპოვებელ ინვესტორებს თუ დავუჯერებთ, საქართველოში მოპოვებულ ოქროს მსოფლიო ბაზარზე უმნიშვნელო ადგილი უკავია და ოქროს შემცველი მადნების მარაგით ჩვენი ქვეყანა ღარიბ ქვეყანად ითვლება – საქართველოში ერთ ტონა მადანში ოქროს საშუალო შემცველობა 1,2 გრამია. ამ მოსაზრებას ექსპერტები არ ეთანხმებიან.

ბოლნისის რაიონი, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ოდითგანვე ცნობილია ძვირფასი მეტალების შემცველობით, აქ უმთავრესია გეოლოგიური და მინერალოგიური ფაქტორები, კერძოდ რაიონის ტერიტორიაზე ვხვდებით სხვადასხვა ტიპის საბადოებს, სწორედ ბოლნისის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სააქციო საზოგადოება „მადნეული“, რომელიც სპილენძის მწარმოებელ კომპანიას წარმოადგენს.

სს „მადნეული“ განლაგებულია ძალზედ ხელსაყრელ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში, თბილისიდან 40-80 კმ-ში, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრისპირა ზონაში. 2005 წელს გამოცხადდა საპრივატიზაციო ტენდერი, რომლის საფუძველზე კომპანიის 92,5% შეერთება განხორციელდა. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიად გამოცხადდა „Station Equities Corporation“. 2006 წელს მადნეულმა

მიაღწია სახელმწიფო ექსპორტის 8%-ს. 2004-2007 წლებში საკმაოდ სწრაფი ზრდა განიცადა პროდუქციის ფასმა, რამაც დადებითი გავლენა იქონია რეალიზაციის პროცესზე. სწორედ ამან გამოიწვია კომპანიის წარმატება და ერთპიროვნული ლიდერი გახდა საქართველოს სამთო საქმიანობის ბაზარზე. ყველა ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო სამთო-გამამდიდრებელი კომპლექსის მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, წიაღისეულის კომპლექსურ გამოყენებასა და რეგიონში ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას. კომპანია აწარმოებს სპილენძსა და ოქროს. კომპანიის მწარმოებლურობას ახლავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

ექსპერტები დადებით მხარეებად განიხილავენ იმას, რომ სს „მადნეული“ დიდ ყურადღებას უთმობს სოციალურ პროექტებს და აქტიურად არის ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პროექტების განხორციელებაში. სს „მადნეულის“ სოციალური პასუხისმგებლობა უძველესი ქართული ეკლესიების შენარჩუნებასა და განახლებაზე ზრუნვით იწყება. კომპანიამ სოლიდარობა გაუწია 2007 წელს დაბა კახეთში ბოლნისის ეპარქიას, სამების ტაძარს და აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიებს. „მადნეული“ ყოველთვის იყო ქართული ფეხბურთის განვითარების გულშემატკივარი. კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობაში პრიორიტეტული ადგილი უჭირავს მომავალი თაობისათვის ზრუნვას. ამ მიზნით კომპანიამ არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება განახორციელა და სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა გაუწია, კერძოდ, ჩვილ ბავშვთა სახლებს, სკოლებს, ახალგაზრდულ ასოციაციებს, უპატრონო ბავშვთა სახლებს. პრივატიზების შემდგომ კომპანიის წარმატებული განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მადნეული ახალ კვალიფიციურ კადრებს მიიჩნევს. კვალიფიციური კადრების აღზრდის მიზნით კომპანიამ გადაწყვიტა ინვესტიცია ჩაედო განათლების სფეროში, სადაც აღიზრდებოდნენ კადრები, რომლებიც გამოადგებოდნენ ქვეყნის განვითარებას. კომპანია დაეხმარა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებს. ასევე მონაწილეობა მიიღო 2006 წლის დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამაში.

სს „მადნეული“ ქართულ ეკონომიკაზე ორიენტირებული კომპანიაა, ამიტომ ის ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს ეკონომიკური გადაცემების განვითარებაში. ამ მიზნით დახმარება გაუწია საინფორმაციო გამოშვებას და ეკონომიკური სააგენტოს „ჯეოჰოტნიუსის“ სპონსორიც კი გახდა. მას ასევე დიდი წვლილი შეაქვს ქართული თეატრისა და კინოს განვითარებასა და პოპულარიზაციაში, იგი აფინანსებს საქართველოში ხელოვნების განვითარების მზრუნველ ორგანიზაციებსაც. კომპანიამ თავისი წვლილი შეიტანა ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაში, მის მიერ დაფინანსებულ იქნა "სუხიშვილებისა" და "ერისიონის" კონცერტები. ეხმარება საქართველოს ავიაციას. 2007 წელს კომპანიამ დახმარება გაუწია საჰაერო ძალებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომპანია ფინანსურ მხარდაჭერას უწევს უცხოეთში მოღვაწე საქართველოს მოქალაქეებს. საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ინვესტიციების მოზიდვა, რამდენადაც „მადნეული“ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, ამიტომ კომპანიამ გადაწყვიტა ამ კუთხითაც განეხორციელებინა მოქმედებები და მან რამდენიმე სერიოზული პროექტი განახორციელა ამ სფეროს განსავითარებლად. კომპანიის აქტივობა სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების განხორციელებაში იმდენად მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, რომ იგი მომავალშიც გააგრძელებს მრავალი ფინანსური და სხვაგვარი დახმარებები გასწიოს ქვეყნის აღმშენებლობისთვის.

კომპანიაში უამრავი ადამიანია დასაქმებული, დასაქმებულთა რაოდენობა 1700 კაცს შეადგენს, თითოეული ადამიანის ხელფასი კი - 800 ლარს. შეინიშნება პერსონალის 30%-იანი ზრდა, კომპანია აწარმოებს ქვეყნის ექსპორტის 15%-ს. წელიწადში 70 000 ტ. სპილენძის კონცენტრატი და 100 000 ოქრო უნცია იწარმოება. ბიუჯეტში შეტანილმა გადასახადებმა 60 000 000 ლარი შეადგინა, სოციალური პროექტების დაფინანსებამ 2 000 000 ლარს გადააჭარბა.

ექსპერტები უარყოფით მხარეებად განიხილავენ იმას, რომ გასულ წელს გერმანელმა და ქართველმა მეცნიერებმა ბოლნისის ტერიტორიაზე ერთობლივი კვლევა ისე გააგრძელეს და დაადგინეს, რომ მძიმე ლითონები ნიადაგიდან საკვებ ჯაჭვში გადადის, მძიმე მეტალები კი მცენარეებში გროვდება.

კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს დაცვა. ამ მხრივ გააქტიურება განსაკუთრებით შესამჩნევია კომპანიის პრივატიზების შემდეგ.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ 2007 წლის 10 თებერვალს, მემორანდუმის თანახმად, წარმოდგენილ იქნა გარემოს დაცვითი ღონისძიებები, რომლის განხორციელებაშიც კომპანიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. 2006 წლის 1 ნოემბრიდან სს „მადნეულმა“ აამუშავა ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სფეროში წამოჭრილ პრობლემებს. 2007 წელს კომპანიამ გააკეთა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც საკმაოდ თანამედროვე სტანდარტების ტექნიკითაა აღჭურვილი. ლაბორატორიის მიზანს წამოადგენდა გარემო პირობების დამაბინძურებელი ფაქტორების მაქსიმალურად თავიდან აცილება და აღმოფხვრა. აღნიშნული

ლაბორატორიული კვლევები და სამუშაოები დადებითად იქნა შეფასებული გარემოს დაცვის სამინისტროს, ეკოლოგიის, ექსპერტებისა (Tuv) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (TFC) მიერ. განხორციელდა 5,100 ნარგავის რეკულტივაცია მიმდებარე ტერიტორიაზე. ასევე მუდმივად ხორციელდებოდა მონიტორინგი მიმდინარე ეკოლოგიური პრობლემების უზრუნველყოფის აქტივობაზე, რაც დეტალურად აისახებოდა კომპანიის წარდგინებაში, რომელსაც იგი წარუდგენს სახელმწიფოს.

კომპანიას საკმაოდ დიდი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლობა მოაქვს იმ საზოგადოებისთვის, სადაც ის აქტიურად ახორციელებს თავის მოქმედებებს. კომპანია ცდილობს დაასაქმოს მკვიდრი მოსახლეობა, ზრუნავს მათ შესაბამის გადამზადებაზე, რათა ისინი გაუთანაბრდნენ მსოფლიო სტანდარტებს თავიანთი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოფს მათ შესაბამისი ხელფასით. კომპანია აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივი საზოგადოების პრიორიტეტებისა და მოთხოვნილებების განსაზღვრაში, აქტიურად არის ჩართული მოლაპარაკებების წარმოებაში საერთო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით.

კომპანიის საქმიანობა ლიცენზირებადი საქმიანობაა, რაც გულისხმობს შესაბამისი ლიცენზირების ქონას მიმდინარე სამუშაოების ჩასატარებლად, მაგალითად კომპანიას აქვს წიაღით სარგებლობის ლიცენზია - გაცემული ბოლნისის მადნიანი რაიონის ტერიტორიაზე არსებული ფერადი და კეთილშობილი ლითონების შემცველი მადანგამოვლინებების შესწავლა-მოპოვებაზე. სალიცენზიო ადგილმდებარეობა: ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და მარნეულის ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორია. ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ვადაა 20 წელი. ლიცენზია გაცემულია 2006 წლის 8 ივნისს.

კომპანია „მადნეულში“ „ქართული ოქროს ექსპორტის“ მონაცემები სხვადასხვა წელს განსხვავებულია და შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

- 2005 წელს ექსპორტზე გავიდა 34 მლნ 743 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ოქრო.
- 2006 წელს - 49 მლნ 371 აშშ დოლარი.
- 2008 წელს - 100 მლნ 111 ათასი აშშ დოლარი.
- 2009 წელს -116 მლნ 189 ათასი აშშ დოლარი.
- 2010 წელს - 85 მლნ 788 ათასი აშშ დოლარი.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ ეკონომიკური კრიზისი საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიას ნეგატიურად შეეხო, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ „მადნეულს“ მტკივნეულად ეს არ შეხებია, რადგან საწარმოს შემუშავებული ჰქონდა ე.წ. კრიზისული მენეჯმენტი, რომელიც განახორციელა კიდეც. კრიზისის მიუხედავად ფასები არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა და ამან ასახვა ჰპოვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც. ექსპერტების აზრით კომპანია „მადნეულის“ საბადოს სამრეწველო კომპლექსმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში. მადნეული ქართული მადნის მოპოვების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას წარმატებით აგრძელებს და ერთ-ერთი პოპულარული სააქციო საზოგადოების სახელითაა ცნობილი ქართულ ბაზარზე. თუმცა კომპანიის პრიორიტეტად გარემოზე ზრუნვა რჩება. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც კომპანია „მადნეულმა“ სამომავლოდ უნდა დაარეგულიროს.

ლიტერატურა:

1. www.madneuli.ge
2. ka.wikipedia.org/wiki/მადნეული
3. www.mmcworkers.ge
4. netgazeti.ge
5. banksandfinance.ge
6. links.boom.ge
7. htt://liberali .ge /antirusuli – ritorika – da rusuli – in
8. www.quartaite.ge
9. http://www.madneuli .ge/player.swf”height=’768’width=’1360’
10. http://aaf.ge/index.php ?menu =2 & jurn =21 & rubr = 1& mas =367
11. http://liberali.ge/janmrtelobistvis – sashishi – okro

კონიაკური კონიაკი და მისი წარმატების საიდუმლო

თამთა კაპანაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე**, ასოცირებული პროფესორი

თითოეულ ჩვენგანს ალბათ ხშირად შეუნიშნავს სუპერმარკეტებში საპატიო თაროზე შემოდგმული, ლამაზად შეფერილ-შეფუთული სასმელი წარწერით „კონიაკი“ ქვეშ მიწერილი უნიკალური სახელწოდებით და მწარმოებელი ქვეყნის დასახელებით. სინამდვილეში ცოტამ თუ იცის, რომ არ არსებობს არაფრანგული წარმოების კონიაკი. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ და განვიხილავთ მსოფლიოში კონიაკის მწარმოებელი ყველაზე დიდი კომპანიის – „ჰენესის“ წარმატების საიდუმლოს. ახლა კი ცოტა რამ ამ სასმელის წარმოშობისა და რაობის შესახებ:

კონიაკს საკმაოდ დიდი ხნის, ბურუსით მოცული ისტორია აქვს. ყურძნის წარმოების დაწყება ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნესთან არის დაკავშირებული. თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე რომაელებმა ვენახის გაშენება დაიწყეს. მოგვიანებით, მესამე საუკუნის ბოლოს, რომის იმპერატორმა პრობუსმა მეღვინეობით დაკავებისათვის უფლებები გააფართოვა.

მე-12 საუკუნეში, ჰაიენის ჰერცოგის გილიომ X-ისა და გრაფ პუატიეს წყალობით, ლა როშელის ირგვლივ, დიდი ვენახი გაჩნდა. შემდგომ საუკუნეში ამ ვენახის ყურძნისგან ღვინოს აყენებდნენ, რომელიც არამარტო საფრანგეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც იყიდებოდა.

ნავების ერთ-ერთი სადგური, რომელიც მდინარე შარანტის აუზში მდებარეობდა, თავისი ვენახების ხარისხითა და სიძველით ყველასგან გამოირჩეოდა. ამ სადგურს კონიაკი ერქვა. მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ჰოლანდიური გემები ამ ტერიტორიაზე ცნობილი ღვინოების - შამპანისა და ბორდერისთვის შედიოდნენ.

ადგილობრივი ყურძნისგან იმდენი ღვინის წარმოება დაიწყეს, რომ მისი შეგროვება გართულდა. სასმელის ხარისხი დაეცა. დაბალალკოჰოლური და მჟავე სასმელი ზღვით ხანგრძლივ გადატანას ვერ უძლებდა. ამასთან, სასმელის კასრებით გადატანა შრომატევადი და ეკონომიურად წამგებიანი საქმე გახდა.

1641 წელს მაგიდის თეთრ ღვინოზე, რომელიც შარანტის დეპარტამენტის მეღვინეებს ინგლისში, შვედეთსა და ნორვეგიაში გაჰქონდათ, გადასახადის რაოდენობა გაიზარდა. იმისთვის, რომ მომატებული გადასახადი არ დაეფარათ, გადაწყვიტეს პროდუქციის მოცულობა ღვინის გამოხდით შეემცირებინათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ გზით მიღებული სასმელი მოგვიანებით, წყლით გაზავდებოდა და ჩვეულებრივი ღვინო იქნებოდა. თუმცა, მიღებულმა სითხემ, რომელიც ღვინოს ნამდვილად არ ჰგავდა, თვით მწარმოებლების მოწონება დაიმსახურა. როგორც მიხვდით, ეს სასმელი კონიაკი იყო.

კონიაკი განსაკუთრებულად პოპულარული მაშინ გახდა, როცა ლუდოვიკო XIV-მ გასინჯა და შეაფასა იგი. სამეფო კარზე სასმელს, სანახევროდ წყლით გაზავებულს, მცირე დოზით შეექცეოდნენ. 1701 წელს, საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ესპანეთის მემკვიდრეობის თაობაზე, ომი გაჩაღდა. საფრანგეთი ინგლისის ფლოტის მიერ ბლოკირებული იყო, რამაც ინგლისში კონიაკის სპირტის ტრანსპორტირებას ხელი შეუშალა.

სასმელის დიდი ნაწილი მუხის კასრებში ინახებოდა და როდესაც ის გასინჯეს, განსხვავება იოლად აღმოაჩინეს. მიხვდნენ, რომ სასმელის მუხის კასრებში დაძველების შემდეგ, მისი ხარისხი საგრძნობლად უმჯობესდებოდა - მცირდებოდა მისი სიმაგრე, არომატი უფრო მდიდარი იყო, ფერი და გემო იცვლებოდა. კონიაკის შექმნის პრიორიტეტი რომ დაემტკიცებინათ, 1909 წლის 1 იანვარს, საფრანგეთში სპეციალური დეკრეტი მიიღეს. მისი შესაბამისობით დაადგინეს იმ ტერიტორიის საზღვრები, რომლის პროდუქციასაც, ყურძნის ბრენდის სახით, აქვს უფლება კონიაკად იწოდებოდეს.

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მაგარი სპირტიანი სასმელები, რომელიც ღვინის დისტილაციის გზით მიიღება, მაგრამ საფრანგეთის სხვა რაიონებში მზადდება (და არა იქ, რომელიც დეკრეტით დადგინდა), არ შეიძლება კონიაკად იწოდებოდეს. სხვადასხვა ქვეყანაში კონიაკის ტიპის სასმელს არმანიაკი, ბრენდი და ა.შ. ჰქვია. აღსანიშნავია, რომ კონიაკი ვერ ერქმევა ვერც ამ რაიონიდან თუნდაც სულ მცირედ დაშორებულ, ერთი შარაგზის გადაღმა ტერიტორიაზე მოყვანილი ყურძნისგან გამოხდილ პროდუქტს. მით უმეტეს საქართველოში, სომხეთში, მოლდოვასა და ამერიკაში წარმოებულ სასმელს.

ასე რომ, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ „1888 წლის შემოდგომაზე თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნის ბაზაზე დაიწყო მუშაობა სარაჯიშვილის ბრენდის (და არა კონიაკის) ქარხანამ და რომ დავით სარაჯიშვილი ბრენდის (და არა კონიაკს) ამზადებდა 1884 წლიდან, რაც უმთავრესად ცდის ხასიათს ატარებდა.“ [1] ასევე შეცდომაა დაშვებული სტატიათა სათაურებში, რომლებიც გვაუწყებენ, რომ „მოლდოვა „კონიაკსა“ და „შამპანურს“ ვეღარ აწარმოებს“, „სომხეთში კონიაკის წარმოება გაიზარდა“... [2] (როგორც საინფორმაციო–ანალიტიკურ პორტალ “მარანის” გვერზე ვკითხულობთ.)

კონიაკის სამშობლო ბორდოდან 100 მილის მოშორებით მდებარე პროვინციაა. ამ რეგიონის მცხოვრებლებს ასეთი გამოთქმა აქვთ: „ყველა კონიაკი ბრენდია, მაგრამ ყველა ბრენდი კონიაკი როდია“

ევროპაში ბრენდის სამი ოფიციალური მწარმოებელი რეგიონია: კონიაკი (საფრანგეთი), არმანიაკი (საფრანგეთი) და ხერესი (ესპანეთი). კონიაკი სამ სავენახე უბნადაა დაყოფილი. ყველა კონიაკი იწარმოება კონიაკშივე მოყვანილი ყურძნისგან დამზადებული ღვინით. აქ ძირითადად მოჰყავთ წმიდა ემილიონის ჯიშის ყურძენი.

კონიაკის წარმოების მთავარი საიდუმლო ღვინის ბუნებაშია: ყურძენი, რომელიც საუკეთესო ბრენდებში გამოიყენება, გარკვეულ თვისებებს უნდა ატარებდეს და შედარებით მჟავე უნდა იყოს.

კონიაკის წარმოების ტექნოლოგია რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში გაუმჯობესდა და უფრო სრულყოფილი გახდა. თეთრი ყურძნის შერჩეული სახეობები (უნი ბლანი, კოლომპარი, ფოლ-ბლანში, სენტ-ემილიონი), რომელიც ოქტომბერში იკრიფება, სპეციალური მეთოდით იწურება. 9 ლიტრი ღვინის გამოხდა დაახლოებით, 1 ლიტრ კონიაკის სპირტს გვაძლევს. კონიაკის შენახვის ვადა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და ის შეიძლება 100 წელს აღწევდეს. ახალგაზრდა კონიაკი უფრო ღია ფერისაა, ძველი კი მუქი, თითქმის ცეცხლისფერი.

მსოფლიოში კონიაკის უმსხვილესი მწარმოებლები არიან: "ჰენესი" (Henessy), "მარტელი" (Martell), "რემი მარტენი" (Remy Martin) და "კურვუაზიე" (Courvoisier), რომლებიც კონიაკის წარმოების 70%-ს იკავებენ. [3]

გვსურს, მოკლედ მიმოვიხილოთ Hennessy–ს ბრენდი, რომლის პოპულარობა და პრესტიჟი, რაც არაჩვეულებრივი, ქმედითი მარკეტინგული ღონისძიებებითაა უზრუნველყოფილი, ძალიან შთამბეჭდავია.

რიჩარდ ჰენესი (Richard Hennessy) დიდი ბრენდის დიდი ავტორი გახლდათ. „ჰენესი“ თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე გაყიდვად სამარკო ნიშნადაა აღიარებული – 35 მილიონი ბოთლი მსოფლიოს მასშტაბით!

კომპანია 1765 წელს დაფუძნდა და უკვე 20 წლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიმწოდებელი გახდა. კომპანიის დიდ წარმატებაზე მეტყველებს ისიც, რომ 1940 წელს ლონდონში ოფისის გახსნის შემდეგ, გაყიდვების 90% ექსპორტისთვის გახდა გამიზნული. 1967 წელს „ჰენესის“ გაყიდვები 12 მილიონ ბოთლს, რეკორდულ მაჩვენებელს აღწევს. XIX საუკუნის ბოლოს კონიაკი ჰენესი იაპონიასა და ჩინეთში იყიდებოდა, ხოლო შემდეგი საუკუნის დასაწყისში კომპანია მსოფლიოში ყველაზე დიდ საკონიაკე სპირტის საწყობად იქნა მიჩნეული.

1765 წელს რიჩარდ ჰენესმა საოცარ კოლექციას ჩაუყარა საფუძველი. კოლექცია მხოლოდ საკუთარი წარმოების კონიაკის სპირტებისგან შედგება. მას შემდეგ გვარის 8 თაობამ უფრო გაამდიდრა საკუთარი საცავი. სწორედ ამ კოლექციის 100 საუკეთესო სპირტის, რომელთა ასაკი 200 წელია, გაერთიანებით შეიქმნა კიდევ ერთი საოცრება - კონიაკი „Richard Hennessy“, რომელიც კომპანიის დამფუძნებლის ხსოვნის საუკეთესო უკვდავყოფაა, ხოლო მისი დაგემოვნება - პრივილეგიის მწვერვალი. [4] დღეს კომპანიის ასორტიმენტი შდგება შემდეგი სახეობის სასმელებისგან: HENNESSY VS (very special), HENNESSY XO, HENNESY XO (სასაჩუქრე შეფუთვა), HENNESSY V.S.O.P., HENNESSY V.S.O.P. (სასაჩუქრე შეფუთვა), RICHARD HENNESSY, RICHARD HENNESSY (სასაჩუქრე შეფუთვა)...

ექსპერტთა მონაცემებით ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანია „ჰენესი“ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში დაახლოებით ათ მილიონ დოლარს ხარჯავს. აღსანიშნავია, რომ ამ სახელწოდების ქვეშ მხოლოდ კონიაკის მწარმოებელი კომპანია არ იგულისხმება. იგი ასევე აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ღვინოებს.

1987 წელს ლუი ვუიტონისა და მოეტ ჰენესის ბრენდების გაერთიანებით დაარსდა LVMH-ის ჯგუფი. ფრანგულ კონგლომერატში დღეს უკვე შედიან საყოველთაოდ ცნობილი, უაღრესად პოპულარული ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: Louis Vuitton, Hennessy, Givenchy, TAG Hauer, Donna Karan New York (DKNY), Dom Perignon და Moet & Chandon. ასეთი წარმატებული ბრენდების გვერდით „ჰენესის“ ბრენდის ყოფნა უდაოდ მის დიდ პრესტიჟზე მეტყველებს. LVMH ერთ-ერთი წამყვანი ფრანგული ჰოლდინგია, რომელიც ე.წ. ფუფუნების საგნებს აწარმოებს. ჯგუფი 50-ზე მეტ საერთაშორისო ბრენდს ფლობს. მისი პრეზიდენტია ბერნარ არნო. [5]

კომპანიის ასეთი გარნდიოზული წარმატების საიდუმლო მისი პოზიციონირების არაჩვეულებრივ სტრატეგიაშიც მდგომარეობს – ის შექმნილია მხოლოდ ელიტისთვის და საფასო სტრატეგიაც შესაბამისად აქვს მორგებული. ჰენესის კონიაკის მყიდველს სასმელის შეძენისას მხოლოდ კონიაკის დაგემოვნება არ სურს, მას სურს „ჰენესი", რომელიც ხაზს გაუსვამს მის სოციალურ სტატუსს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია, ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელმა ქართულმა კომპანიებმა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბრენდის მწარმოებლებმა მიმართონ ისეთ საბაზრო სტრატეგიას, რომელიც აშკარად თვალშისაცემს გახდის ამა თუ იმ პროდუქტს და ბაზარზე მყარად დამკვიდრების საშუალებას მისცემს. მაგალითისთვის, ესა თუ ის ნაწარმი გათვლილი უნდა იყოს განსაზღვრულ სეგმენტზე და პოზიციონირებული იყოს შესაბამისად. არც ისაა აუცილებელი, რეკლამისა და ყურადღების მოსაზიდად მაინცდამაინც ფრანგული სასმელის სახელი შეურჩიონ, მით უმეტეს, რომ კონიაკი მხოლოდ ფრანგული ყურძნით მზადდება.

ლიტერატურა:

1. გ. ქოქიაშვილი, სუფრავ გაშლილო ლხინი ხარ, II გამოცემა, 2008.
2. http://marketer.ge
3. http://biziideebi.blogstop.com
4. http://Bs-magazine.com

[1]; [2] http://vinoge.com/istoria/daviT-zaqarias-Ze-sarajiSvili
[3]http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98
[4] http://www.gd-alco.ge/index.php?a=hist&hid=51&lang=geo
[5] http://www.tbiliselebi.ge/?mas_id=8913&jurn_id=10&rubr_id=14;
http://www.youtube.com/watch?v=vH8fP28VNyg&feature=related

ოჯახი - ადამიანური კაპიტალის ფორმირების საშუალება

მარი კაძილოვი, თამარ ბედოშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

დღესდღეობით ადამიანური კაპიტალი ბიზნესის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს, ადამიანური კაპიტალის ფორმირება და ჩამოყალიბება ხდება ოჯახში. ოჯახი ეს არის სახელმწიფოს მოდელი. თუ ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი ოჯახებისაგან შედგება, მაშინ ძლიერია მისი ეკონომიკაც.ოჯახური ეკონომიკა იწყება ოჯახის დაბადებისთანავე. ოჯახის სტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობას სიმშვიდე და ბედნიერება მოაქვს, რაც ოჯახის სიძლიერის საწინდარია. ამაზე ქრისტიანული რელიგიაც გვიქადაგებს: „ვერავინ შეძლებს ძლიერის სახლში შესვლას და მისი ნივთების გატაცებას, თუ ჯერ ძლიერს არ გათოკავს და მაშინღა გაძარცვავს მის სახლს. "(მარკოზი, 3:27)

ოჯახი არის შეგნებულად ორგანიზებული საერთო შემოსავლის მქონე ადამიანთა ჯგუფი ნათესაური კავშირის საფუძველზე. მას აქვს სოციალურ–ეკონომიკური სტატუსი. ეს არის ინტეგრირებული მაჩვენებელი, რომელიც ოჯახურ ურთიერთობებში აჩენს სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს ეკონომიკური საფეხურის განვითარებაში. ოჯახი მრავალფუნქციურია, ის საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან სექტორს ეხება და განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს მასში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ოჯახი ითვლება ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და მოხმარების მთავარ წყაროდ. ამიტომ განვიხილავთ ოჯახის სამ ფუნქციას:

I ეტაპზე ხდება ოჯახის მატერიალური ბაზის შექმნა შემდეგი ფუნქციების განხორციელების პროცესში: ფორმირება და მოხმარება, ოჯახური ბიუჯეტისა და საოჯახო საქმეების მართვა.

II ეტაპზე ოჯახი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: ბავშვთა შობა, აღმზრდელობითი, რეკრეაციული. ამ სტადიაზე გამომუშავდება ფიზიკური საფუძვლები ადამიანური კაპიტალისა, რომელიც ვითარდება და ერთდროულად მიმდინარეობს ამ კაპიტალის ადაპტაცია სოციალურ–ეკონომიკური სისტემით. ყოფა–ცხოვრებაში ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის აუცილებელია წარმოების შემდეგი ფაქტორები: მატერიალური რესურსები, საქონელი და მომსახურება, ასევე თვითონ მეწარმეები – ოჯახის წევრები.

III ეტაპზე ხდება შემდეგი ფაქტორების რეალიზება: სხვადასხვა სესხით საწარმოს შექმნა, ოჯახის წევრების ინდივიდუალური მონაწილეობა საბაზრო საქმიანობაში, ოჯახური ბიზნესის ორგანიზება, შემოსავლების მიღება და განსაზღვრა.

ოჯახის ფუნქციები ყველა ეტაპზე დაკავშირებულია ადამიანურ კაპიტალთან. მაგალითად, შობადობის ფუნქციის შესუსტება ამცირებს ოჯახის შრომით პოტენციალს, ასუსტებს მის მწარმოებლურ ფუნქციას და უარყოფითად მოქმედებს აღმზრდელობით ფუნქციაზე, რაც ხელს უშლის ადამიანური რესურსების ჩამოყალიბებას.

ოჯახს აქვს თავისი ეკონომიკა, ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ოჯახის ყოველდღიურ ეკონომიკურ ცხოვრებას.

ოჯახის ეკონომიკის ამოცანებია: ყველა ოჯახის წევრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ოჯახური რესურსების რაციონალური გამოყენება, შესაძლებლობებისა და დროის დაგეგმვა და ეკონომიკა, ოჯახური გამოთვლების გამოყენება და საშინაო საქმეების შრომის ორგანიზაცია.

ოჯახს ბევრი მოთხოვნილება აქვს. მოთხოვნილება ეს არის ადამიანის საჭიროება მისი სიცოხლისუნარიანობის შენარჩუნების, ორგანიზმისა და პიროვნების განვითარებისათვის.

მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭიროა თანმიმდევრულად, გააზრებულად ფიქრი.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ინგლისელმა ეკონომისტმა ტ. სამუელსონმა შეამჩნია, რომ ის მოთხოვნილებებიც კი, რომლებსაც ხალხი მიიჩნევდა სრულიად აუცილებლად, სინამდვილეში, უმეტეს შემთხვევაში არ წარმოადგენს ფიზიოლოგიურ აუცილებლობას და გამომდინარეობს ხალხის შესაძლებლობებიდან.

მოთხოვნილებებთან დაკავშირებით სასურველია გავითვალისწინოთ პრინციპი "სუფრიდან ნახევრად მშიერი უნდა ადგე", თუმცა ეს ძალიან ძნელია, რადგანაც ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამეა რაც გვიზიდავს, რაც უფრო იკმაყოფილებ მოთხოვნილებებს, უფრო მეტი ჩნდება მის ადგილზე. ეს ყველაფერი გამოხატულია მოთხოვნილებების კულტურაში: აუცილებელია ზუსტად გავიაზროთ, რისი ყიდვაა საჭირო კონკრეტულ დროში, რაც აუცილებლად გესაჭიროება და რის გარეშეც მშვენივრად ვიცხოვრებთ.

არსებობს სამი სახის მოთხოვნილებები: მატერიალური (პირველადი), სულიერი (მეორადი), და ტყუილი.

ტყუილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სარგებლის ნაცვლად ზარალი მოქვს. ასეთი მოთხოვნილებებია: არაყი, სიგარეტი, ჭარბი ტკბილეული და ა.შ.

მატერიალური მოთხოვნილებები ეს არის უმთავრესი მოთხოვნილებები: საჭმელი, საცხოვრებელი, ტანსაცმელი. სულიერი მოთხოვნილებები - ეს არის მეორადი მოთხოვნილებები: კულტურული, საზოგადოებრივი, განათლება, ხელოვნება.

იმისათვის, რომ ოჯახმა თავისი მოთხოვნილებები ეფექტურად დაიკმაყოფილოს სასურველია დაგეგმოს საყიდელი.

ნივთები შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ: 1. აუცილებელი საგნები; 2. საგნები, რომლებიც სასურველია, მაგრამ არ არის აუცილებელი; 3. ძვირადღირებული ნივთები (ფუფუნების საგნები). მაგალითად: ტელევიზორი. დღეს იშვიათია ოჯახი, რომელიც არ ყიდულობს ტელევიზორს. ეს ნივთი I ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ. სასურველია, მაგრამ არაა აუცილებელი პლაზმური ტელევიზორი (II ჯგუფი), III ჯგუფი, ძვირადღირებული ნივთები, ზედმეტია, რადგან იყო დრო, როდესაც ჩვეულებრივი მაჯის საათი ითვლებოდა ფუფუნების საგნად, ძვირადღირებულ ნივთად, ახლა კი, ეს ჩვეულებრივი ნივთია. დღეს მესამე ჯგუფის ნივთებს ოჯახის კინოთეატრი შეეფერება.

ყიდვის დროს სასურველია გავითვალისწინოთ რობინზონის პრინციპი: როდესაც რობინზონი კუნძულზე აღმოჩნდა მარტო და მიხვდა, რომ ღარიბი იყო, სიღარიბის დასაძლევად განსაზღვრა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყიდვის დროსაც ასე უნდა მოვიქცეთ. უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ოჯახის ბიუჯეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად ინგლისელები ამბობენ, რომ დახარჯო ფული საჭმელზე ეს იგივეა ქარს გაატანო. ეს აზრი, რა თქმა უნდა, დიდად საორჭოფოა, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, სიმართლეა, რადგან გაუაზრებლად ნაყიდი პროდუქტი ოჯახის ბიუჯეტს ზედმეტ დანახარჯებს აყენებს, უმეტესი ნაწილი სიცოცხლეს ნაგვის ყუთში ასრულებს.

ოჯახის ბიუჯეტი ზღვარია სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან: შემოსავლები და დანახარჯები.

შემოსავლები: გამომუშავებული თანხა (ხელფასი), მწარმოებლური შემოსავალი, საკუთრების შემოსავალი, სახელმწიფო ტრანსფერული შემოსავლები (პენსია, ქირა, ჯანმრთელობის უფასო მომსახურეობა, სტიპენდია). შემოსავლების სხვა და სხვა წყაროდან (მემკვიდრეობა, ლატარია). დანახარჯები: სოციალური დაზღვევა, კვება, ჩაცმა, ავეჯი და საყოფაცხოვრებო ნივთები, კომუნალური გადასახადები და ტრანსპორტი, განათლება, გართობა, სხვადასხვა დანახარჯები (მოგზაურობა, ქველმოქმედება, დანაზოგები).

შემოსავლებს შორის ყველაზე დიდი წონა უმეტეს ოჯახებს შორის არის ხელფასი და მწარმოებლური შემოსავალი, თუმცა ისინი სხვადასხვა ოჯახებში მეტად განსხვავებულია. როგორც წესი ზუსტად ეს ფაქტორები განსაზღვრავს ოჯახის კეთილდღეობას, თუმცა არა მარტო ეს, არსებითი მნიშვნელობა აქვს საკუთარ შემოსავალს.

ოჯახის ბიუჯეტი გამომდინარეობს მისი სოციალურ–ეკონომიკური სტატუსიდან, მწარმოებლური აქტიურობიდან, ცხოვრების ეტაპიდან, განათლების დონიდან და ა.შ. ოჯახის ბიუჯეტის დეტალური აღწერა დადებითად აისახება ოჯახზე. იმისათვის, რომ მომგებიანი ინვესტიცია ჩადოს ოჯახმა, ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თავის ფინანსურ სურათზე. ამაში მას თავისი ბიუჯეტის გაწერა დაეხმარება.

დღეს საქართველოში ძალიან ბევრი ოჯახია ისეთი, რომლის ოჯახის წევრებიც დაუსაქმებლები არიან, სწორედ ასეთი ოჯახებია რისკ ჯგუფში, რადგან მათი შემოსავლები ძალიან მწირია და თუ გააზრებულად არ მოხდა მათი მართვა ოჯახი კატასტროფამდე მიდის.

ლიტერატურა:

1. Ю.Трофимова-Потребносты семьи, 2008.
2. Г. Остарикова- „Економика семьи и роль сбербанка в улучшении жизни населения“ 2007.
3. http://bibliofond.ru/view.ahttp://
4. www.o-love.ru/articles/family/440/spx?id=135804

მანდატური და მისი ადგილი სკოლის მენეჯმენტში

მაია მაისურაძე, ეკა კილასონია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ციური დურული**, სრული პროფესორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრიორიტეტულად დასახულმა ნაბიჯმა - სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღებამ, რაც უსაფრთხო სკოლის კონცეფციის განვითარებისა და დანერგვის უმნიშვნელოვანეს საფეხურადაა მიჩნეული, საზოგადოების წევრთა განსაკუთრებული ყურადღება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გაისმის კითხვები: ვინ არის მანდატური, რა ფუნქციები აკისრია, რა უფლებები აქვს, რა მოვალეობა/ვალდებულებები გააჩნია? რა როლი შეიძლება დაეკისროს სკოლის მართვაში? არის კი ეს დადებითი მოვლენა? ვის აკონტროლებს: მოსწავლეს, მასწავლებელს თუ დირექციას? და საერთოდ რას აკეთებს მანდატური?

„მანდატური“ ლათინური (mandaturus) წარმოშობის სიტყვაა და ქართულ ისტორიულ წყაროებში XI საუკუნიდან უკვე გვხვდება. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, „მანდატური სამასი სახლი არის ამიერ და იმიერ... სამნი აზნაურნი არიან და სხვაი ყველა გლეხია“. მანდატურები მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. მათ ევალებოდათ სავაზირო შენობის დაცვა სხდომების დროს, საპატიო მგზავრის გაყოლა, სამეფო ზვრების სამუშაოთა ხელმძღვანელობა და სხვა.

დღევანდელი სკოლის მანდატურის ფუნქციური დატვირთვა თვისებრივად წააგავს ზემოთ აღწერილს.

მანდატურის ინსტიტუტის შემოღება უსაფრთხო სკოლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. სკოლის მანდატური უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მანდატური არ არის პოლიციელი. მას სკლაში კონფლიქტებისა და დანაშაულის

პრევენცია, ბავშვებისთვის ყველა სახის დახმარების გაწევა ევალება. მისი მოვალეობა არ არის ბავშვის დასჯა, პირიქით, მისი ფუნქცია მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვაა. უსაფრთხოება არის ბავშვის სწავლის, აღზრდისა და განვითარების წინაპირობა, სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა უზრუნველყოს სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნა, დისციპლინის განმტკიცება და ძალადობის ფაქტების აღმოფხვრა. დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან სხვა ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება. უსაფრთხო სკოლა გულისხმობს ნებისმიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ბავშვი დაცულია და დამყარებულია დისციპლინა, რომლის გარეშეც ნორმალური სასწავლო პროცესის წარმართვა შეუძლებელი იქნება. მოზარდის განვითარებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგი უნდა იყოს, თუმცა საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის ბოლო წლების სტატისტიკა და მოზარდებში გახშირებული აგრესიის ფაქტები ამ პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს.

სკოლაში ბავშვი თავისი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს. სასწავლო დაწესებულება მისთვის სამაგალითო ადგილია.

ალბერტ ბანდურას „სოციალურ-კოგნიტური თეორიის“ თანახმად, ბავშვი ქცევას მოდელირების მეშვეობით სწავლობს - ანუ სხვისი ქცევის მიბაძვით. შესაბამისად, ხდება არამარტო პოზიტიური, არამედ ნეგეტიური, სოციალურად არასასურველი ქცევების დასწავლა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საგანმანათლებლო სისტემის სტრატეგიაში უმთავრეს პრიორიტეტებს შორის გამოყო - უსაფრთხო სკოლის კონცეფციის განვითარება და დანერგვა, რომელიც გულისხმობს სკოლებში ნოვაციური ინსტიტუტების შემოღებასა და ახლებური კონტროლის მექანიზმის დამკვიდრებას.

უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დანერგვა და განვითარება მოიცავს რამდენიმე საფეხურს, მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღება.

კონკრეტულად მანდატურთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 483 მუხლი, რომლის შესაბამისად, სკოლის მანდატურის უფლება-მოვალეობებია:

- სკოლის შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლი;
- სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს, დირექციის ან მასწავლებლის თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა (ინდივიდუალური გასაუბრება, ქცევაზე დაკვირვება და კონტროლი);
- მოსწავლისათვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან და სისხლისსამართლებრივ დანაშაულებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება;
- მოსწავლეთა მშობლებისა და სკოლის დირექციის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა ქცევის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა და სხვ.) მოსწავლეთა, სკოლაში მომუშავეთა და იქ მყოფი სხვა პირების დაცვა და მათი ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა;
- დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოლენა და კონფლიქტის მოგვარება;
- სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა მშობლებთან შეხვედრებში მონაწილეობა;
- სკოლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლი;
- სკოლაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი საჯარო სკოლაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა და სკოლის დირექტორისათვის და სკოლის მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წარდგენა;
- სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის ან ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენისა და ამოღების მიზნით პირადი გასინჯვის ჩატარება;
- სპეციალური სამუშაოების გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში.

სკოლის მანდატურს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს შემდეგ შემთხვევებში:

- სამართალდარღვევის აღკვეთისას და სამართალდამრღვევის დაკავებისას;
- მოსწავლეებზე, მასწავლებელზე, სკოლის ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალზე და სკოლაში მყოფ პირზე თავდასხმის მოგერიებისას;

სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს სკოლის მანდატურს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუღებელია მისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება. იმავდროულად სკოლის მანდატური ვალდებულია ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს:

- გააფრთხილოს პირი ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ, მისცეს მას საკმარისი დრო მისი მოთხოვნების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის სკოლის მანდატურის ან სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან გამოიწვევს სხვა მძიმე შედეგებს, ან როცა წინასწარ გაფრთხილება შეულებელია;
- ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები გამოიყენოს საფრთხის ხასიათის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური იყოს;
- ნებისმიერ შემთხვევაში, ფიზიკური ძალის და სპეციალური საშუალებების გამოყენებიდან 24 საათის განმავლობაში, წერილობით, სკოლის მანდატურის სამსახურის უფროსის მეშვეობით შეატყობინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- საფრთხე არ შეუქმნას გარშემო მყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას წინააღმდეგობის გაწევისას.

მანდატური სკოლის მართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შემდეგი სახით:

- სათათბირო ხმის უფლებით შეუძლია დაესწროს სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, სააპელაციო კომიტეტის სხდომებს და მათ წინაშე დააყენოს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხები;
- აკონტროლოს სკოლის შინაგანაწესის შესრულება. (შინაგანაწესი არის სკოლის მიერ შემუშავებული წესებისა და ქცევის კოდექსი, რომელსაც უნდა იცნობდეს და ემორჩილებოდეს სკოლის თითოეული თანამშრომელი და მოსწავლე).

სტატისტიკური მონაცემებით მანდატურის ინსტიტუტის შემოღებამ სკოლებში გაამართლა და საზოგადოებაში ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობის ხარისხი თანდათან იზრდება. მთავარი პრინციპი არის, მშობელი დარწმუნებული იყოს, რომ ბავშვი შეყავს უსაფრთხო გარემოში. სკოლის მანდატურის სკოლაში შესვლის შემდეგ, პრაქტიკულად მოისპო სკოლებში თამბაქოს მოხმარების ფაქტები; 8%-ით შემცირებულია მოსწავლეების დაგვიანების ფაქტები; 75%-ით შემცირდა მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის ფაქტები (ე.წ. ,,შატალო“); 95%-ით აღმოიფხვრა ფულის გამოძალვის ფაქტები; 80%-ით შემცირდა მოსწავლეებს შორის დაპირისპირების ფაქტები; 90%-ით შემცირდა საჯარო სკოლებში ვანდალიზმის (სასკოლო ქონების დაზიანების) ფაქტები.

საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობის გამო, მანდატურის ინსტიტუტის შემოღების და მათი სკოლის მენეჯმენტში ჩართულობის მიზანშეწონილობის, სკოლის უსაფრთხო გარემოს ფორმირებაში მათ მიერ შეტანილი პოზიტიური და/ან ნეგატიური წვლილის გამოვლენის მიზნით ჩვენს მიერ ჩატერებულ იქნა კვლევა. გამოკითხული იქნენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, დირექციის წარმომადგენლები, მშობლები, საზოგადოების წარმომადგენლები.

გამოკითხულთა შედეგების შეჯამების შედეგად დადგინდა, რომ მანდატური ხელს უწყობს სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, დისციპლინის განმტკიცებასა და ძალადობის ფაქტების აღმოფხვრას, ახლებური კონტროლის მექანიზმების დამკვიდრებას, სკოლის მენეჯმენტის ეფექტურ და წარმატებულ განხორციელებას. ამდენად, სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღება სწორედ რომ დროული და სასიკეთო ნოვაციაა.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.8school.edu.ge
2. http://www.parliament.ge
3. http://24saati.ge
4. http://www.moecs.ge

WAYS AND OPPORTUNITIES FOR TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA

Mariam Makhatadze, Avtandil Mamatsashvili
The Fourth Year Students of Bachelor Degree Program,
Faculty of Social Sciences, Business and Law
Instructor: **Tea Anesashvili**, Invited Specialist

Georgia is a country with a rich tourism resources. It has a unique natural and cultural environment, which creates favorable conditions for tourism development . Despite of the small territory there is a sea and mountains, the rich historical and cultural monuments, which are very attractive for tourists.

Tourism in one of the specific field of national economy. The benefits of the tourism industry include a contribution to strengthening peace and development in a developing country, job creation, income growth, economic diversification, environmental protection and cross–cultural encounters. High economic potential and the stability of the country are preconditions for business development.

Recently, Georgia has made a significant progress in the development of tourism. It transfers to the new system. But it should be mentioned that Georgia is a new participant of the tourism industry and is still less adapted to the requirements of the global market. There are many obstacles to overcome . However, Georgia has very good prospects for tourism development.

The tourism development in Georgia begins in the XX century. During this time many comfortable hotels are build in various cities of the country. Georgia has great tourist potential of the resorts.

It is interesting to every traveler and tourist. This interest is strengthened for many tourists which have a great desire to visit the archaeological discovery , which was made in 1999.Exactly in this year the oldest human skeleton was found , which dates back to 1 million 700 thousand years. By this discovery, Georgia became the first European's homeland.

The country has 12 000 historical and archaeological monuments, 4 of them are included in the UNESCO World Heritage List. In addition, there are 150 museums and many other treasures, which are gradually increasing. There are 102 resorts and 182 place for resorts.[1] The main part of the resorts are situated on the seaside and mountain regions. Moreover, Georgia had always been famous for its natural healing factors.

More information becomes known for the tourists about Georgia and its great resorts . As a result , 2011 data for the last eight months , Georgia has the number of foreign guests increased by 43% compared to last year. Especially visible is the region of Ajara. During 2011, the number of tourists have exceeded a million.[2] Development of domestic tourism is also distinguished by the year 2011. Interested in the number of domestic tourism increased by 20% compared to last year.[3]

Despite the Russia - Georgia War in August 2008 tourists number has increased in the last 3 years . Why Georgia is still attractive for tourists? The answer to this question is clear and firm, with its picturesque nature, landscapes, beautiful Caucasian Ridge, subtropical zone of the Black Sea, rivers and waterfalls, cave towns, resorts and superb natural mineral waters, historical cities and settlements, traditional Georgian hospitality and famous Georgian cuisine. By these unique recourses Georgia has a great potential to compete with some of Europe's leading countries . There are favorable conditions for tourism development in many fields.

It should be noted that in 2010 the research was carried out by the Department of Tourism and Resorts, in order to improve tourism statistics in Georgia. The recommendations was given to the Department by the United Nations World Tourism Organization.The research was conducted in Tbilisi International Airport, Red bridge and Sarpi borders, in which were interviewed foreigners, who were traveling from the country. Consequently, they had completed a visit to Georgia and all the impressions they had taken were alive and actual.

Research revealed some interesting trends. Namely: there were many German, American, British and French travelers beside of the citizens of neighboring countries. 40% of tourists goals were connected to the business. 27% of the total number of tourists arrived to see friends and relatives, 33% for rest and recreation.[4] Through the research tourists named the unique advantages of Georgia seen by their eyes. Among these advantages on the main places are human relations, hospitality, climatic conditions and food.

It should be noted that European tourists in Georgia, most liked grape harvest, it's pressing and process of making wine. So, this increased demand for wine tours. As for the problems in the field of tourism, there were named the low level of service and communication deficit.

Tourism sector is one of the fastest growing in Georgia. There are many opportunities for tourism investments. There are a unique cultural and natural environment which creates favorable conditions for tourism development in diverse areas, such as cultural tourism, extreme tourism, adventure tourism, ecotourism, religious tourism, marine tourism (cruises, diving), hunting and fishing, mining and others.

---

[1] http://www.ucnauri.com/2010/საქართველოს-ტურიზმი
[2] http://www.tourismadjara.ge/new/index.php?a=main&pid=792&lang=eng
[3] http:/www.economy.ge/?catrgory=4&lang=geo&dn=925
[4] http://www.gnta.ge/upload/file/2010_წ.pdf

Cultural tourism includes tourism in all those directions, which is related to the nation's history, culture, ethnography, material and mental heritage.

International tourism experts concluded that the cultural tourism has the major role in Georgian tourism. Moreover, in Georgia is a growing market for cultural activities, it includes international festivals and art exhibitions.

A similar approach needs to be in protected areas and national parks, there should be a tourist area, walking and riding paths. For the development of cultural tourism it's necessary to be new transport, including the Black Sea Cruise. In order to expand cultural tourism in the big cities it's important to establish hotel network.

Extreme tourism is very perspective and fast growing in the world market , including Georgia. The country has the potential to compete with other countries and take one of the leading place on the market.

There are two international standards ski resort in Georgia: Gudauri and Bakuriani. There is 1 km length ski area in summer . Mestia and Khulo were added to these unique mountain resorts. They offer guests all the complexity paths. Besides, the Caucasus Mountains is a real paradise.

In order to integrate in the world market it is necessary to exist travel agencies like WATA (World Association of Travel Agencies) in Georgia. The world's leading travel agencies are the members of this association.

Extreme Tourism Swot Analyze

The strength- Low Prices; climatic conditions.
Weaknesses- Low quality of services; incomplete infrastructure; Lack of stimulation methods in Georgia, and its existence in foreign markets.
Opportunities-an active advertising campaign to increase market share; The potential acquisition of new resorts***;*** Summer skiing tourism development.
Threats-Economic instability; climatic threats; strong competitors.

Through the Swot analysis, and all of the above there can be concluded that Georgia has a very good prospects for extreme tourism development and it is necessary to use this potential in maximum.

Georgia's almost all region are rich by their tourist attractions. The example of tourism development is the Black Sea coast, especially the region of Ajara .There are practically all of the world's brand hotels or they are in process of opening. Consequently, the number of employed people in Ajara's hotels and restaurants increases. That is proved by the official statistical material.

Table 1
Total Number of employed people in the hotels and restaurants

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
Number of employees	6 900	6 700	7 900	11 400	12 000	11 600	11 200	13 500	16 100

Source: http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo

It should be mentioned that in 2011 the region of Adjara hosted 85% of tourists who arrived in Georgia . The budget from the year 2004 to the present increased from 12 million 800 thousand to 138 million GEL in this region.[1]

By the government's effective investment policy carried out in Batumi (the main city in the region of Adjara) many significant projects invested in Kazakhstan, Ukraine, Turkey, Austria and other countries in the tourism industry .As a result the economic situation has improved in Batumi.

There are created more jobs, in which work 90% the local staff . Batumi has a great prospects of economic development. There is the oldest and most important port on the whole coast of Black See where is implemented the oil transportation.

In 2011 , it was for the first time when commercial charter flights were appointed from different countries. 2011 was also distinguished by numerous interesting projects. There have been created new tourist products, at the same time there was developed a tourist infrastructure. American Academy of Hospitality Sciences has awarded Batumi with a special prize as a new best resort. Batumi Velo deserves a particular attention. Notably, a special infrastructure has been arranged for this project and very soon it will be possible to ride a bicycle throughout the city. Moreover, there have been designed and printed info cards and thematic maps to make it easier to get acquainted with the region.

New tourist information centers have been opened at Batumi airport, House of Justice and Sarpi customs while Batumi Tourism Agency was offering its visitors numerous tours and excursions. During the year there have been conducted three international exhibitions, among them: Batumi Expo, Building and Design fair and Agri products and

[1] http://molhs.gov.ge/uploads/editor/File/saz_jandacva_1kvatl(1).pdf

technology fair. At the same time department of tourism and resorts worked actively to develop different types of tourism: MICE tourism, Rural tourism, wine tourism, cruise tourism. These varieties of tourism still remain the status of prerogative directions in 2012.[1]

The development of mountainous regions is also one main priority of Georgian Government. Consequently, the special attention was paid to the one of the most beautiful region – Svaneti. There is the perfect conditions in terms of tourism development. Also , a great attention was paid to the Upper Svaneti region, which is an attractive place for tourists because of its unique nature and ancient monuments.

Active work is going to attract more investment for the development of Mestia. The region has the features that are only found in few other countries in Europe. Particularly the summer ski resort. There can be arranged ten high-class ski resort in 5-6 years. Also there is an new airport in Mestia which has an excellent location. The airport can perform daily flights. Thus ,this region can become an important tourist center.

In addition, special attention is paid to the Shida Kartli region. It is located in the central part of the country . Thus , is has the advantageous economic location .There goes both internal and external economic links for all major transport highway.

Shida Kartli region has great potential for tourism resources. It has its own natural conditions, which have a special charm. River valleys, meadows, dense forests and the diverse nature are attractive for many tourist. The region has the abundance of cultural values. Hundreds of historical and architectural monuments can bring the admiration for local and foreign tourists.

Shida Kartli ‘s one of the distinguished city is Gori, which is famous for its intellectuals, cultural and sporting life. There is situated the museum complex of Joseph Stalin which is very attractive for tourists .Thus, their number increases more and more in this region every year.

For the success of the tourism business in this region there is functioning the tourism center, which provides services to the tourists.

Beside these regions there is already started the construction of the "Anaklia - Zugdidi Free Tourist Zone". The government is offering investors the best conditions for the building of hotels along the seaside . It should be noted that the Government will provide land to investors, hotel projects and communications. In addition, investors will be free from taxes for 15 years. The government also will build the construction to bring mineral water to the resort .Besides, there will be built a new airport in “Anaklia- Zugdidi “ Free Tourism Zone.

By these actions of Government the number of the employed people in all regions has increased. There is a statistical information about the employed people in these three region.

Table 2
Number of employed people in the hotels and restaurants by Regions

	2006	2007	2008	2009	2010
Ajara	2209	1978	1700	1816	2278
Svaneti	532	706	354	913	1008
Shida qartli	374	183	352	361	450

Source: http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo

There are the factors that directly or indirectly affect the prospects of tourism development in Georgia. Such factors are:

- Marketing research
- Safety of tourists
- Visa regulations
- statistical records
- Human Resources
- Legislation

[1] http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo

- The territorial integrity and borders

- ***Safety of tourists***

This factor is particularly important for the development of tourism business in Georgia. There are noticeable changes from this point. Also , it's essential to minimize problems in security issues. Besides, advertising t can play an important role in a creating positive image about the country. It's clear example is the advertisement called - "Summer in Georgia".

- ***Visa regulation***

In terms of tourism development it is possible to simplify visa formalities in Georgia. This includes a number of countries in which may abolish a visa regime. In this direction have also been positive changes. For example , Georgia's neighboring Turkey and others.

- ***Marketing research***

Market researches play an important role in terms of tourism development . These kind of researches should have a systematic character. Government should give some recommendations to the private sector about the market tendencies and its development. Moreover, the active work is necessary to research tourist and resort potential .

- ***statistical records***

Although significant steps have been taken in this direction. Moreover , there is the statistical information in the tourism sphere, but it is desirable to improve it so that the information would be real close.

- ***Human Resources***

On the tourism service negatively affected qualification of the low and middle-level staff, the lack of special education. There were not the special colleges in which people would be able to acquire good professional skills . But it is very important that the country already has the colleges like these , consequently it is already possible to be prepared qualified staff either in tourism or other directions.

- ***Legislation***

For the further improvement of the tourism sphere it is very important to develop the legislation . For example, legislation of the resort zones.

- ***The territorial integrity and borders***

For Georgia's territorial integrity the certainly painful problems are Abkhazia and South Ossetia , where is a huge tourism potential. There is a hope that by the government's active efforts the solution of these problems will be positive .

Each of the above actions there can be concluded that the only clearly formulated concept of tourism development can provide the appropriate level quality in tourism sector. Consequently, Georgian tourism will be able to meet world's standards and will be competitive on the tourism market. It should be mentioned, that tourism sector problems should not be solved only by the Tourism Department. Of course, the desired results will be achieved by the coordinated work with other countries' agencies.

For tourism development it is necessary to expand tourism infrastructure, to create more information agencies, and to use Internet resources. Moreover, it is necessary to be done the correct state policy in the country, which will be directed towards the liberalization strengthening . Also , this way will be a real support to the local and foreign investors . Besides, there is a need for supportting the small and medium-sized businesses, the country must have the high-qualified personnel and they should involve in the development of tourism sector.

In the case of tourism development in Georgia the systematic improvement of the legislative framework is necessary. Labor and Civil Codes, and also taxation have very important role. The environmental legislation is also very important aspect, especially in protected areas and national parks.

Besides, the recommendations and experiences of the world's leading countries , European Union and World Organizations should be shared.

Each of the above actions will help to increase the tourism potential in Georgia, there will be more attractive environment for the tourists. Consequently, it will have positive impact on the country's economy, on the revenue , job creation, infrastructure development and others.

Bibliography:

kakhiani, J. (2002).*Georgia - Country of Tourism and Alpinism.* Georgia: Tbilisi
Kochlamazishvili, L. and Tevdoradze, S. (2008). *Marketing in Tourism* .Georgia: Tbilisi
Menabdishvili, T. (2007). *Prospects of Tourism Development in Shida Qartli.* Georgia: Gori
Metreveli, M. (2008). *Tourism and Environment.* Georgia: Tbilisi.

დამატებული ღირებულების გადასახადის როლი საქართველოს ბიუჯეტის შევსების საქმეში

გიორგი მანძულაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლალი სადაღაშვილი**, აკადემიური დოქტორი

სახელმწიფო არსებობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს საგადასახადო სისტემა წარმოადგენს. გადასახადები ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია, რომელიც სახელმწიფო არსებობას განაპირობებს. სწორედ რომ საგადასახადო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელ და განმამტკიცებელ ატრიბუტს სახელმწიფო დროშასთან, გერბთანა და ჰიმნთან ერთად.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი გადასახადები და საგადასახადო სისტემა წლების განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა. ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემა და გადასახადები უნდა ემსახურებოდეს როგორც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და საინვესტიციო მდგომარეობის წინსვლასა და განმტკიცებას.

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ დღეისათვის საქართველოში მოქმედი გადასახადებიდან ერთ-ერთზე, რომელსაც დამატებული ღირებულების გადასახადი ჰქვია.

დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) არაპირდაპირი გადასახადების სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დღგ საქართველოში 1992 წლიდან შემოვიდა და დღემდე არსებობს. დღგ 18%იანი განაკვეთით იბეგრება, მისი შემოღება დაკავშირებულია სახელმწიფო შემოსავლების პოტენციური გადიდების ამოცანასთან. ძირითადად დღგ-ს სახელმწიფო მაშინ მიმართავს, როდესაც ვერ აკმაყოფილებს სხვა სახის გადასახადებით ამოღებული შემოსავლების მოცულობა. ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ დღგ არ უნდა იქნას გამოყენებული შემოსავლების განაწილების ინსტრუმენტად.

დღგ-ს სახით 2010 წელს (2011 წლის მონაცემები დამუშავებული არ არის.) ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 2 203,1 მლნ. ლარი, ხოლო 2009 წელს 2 051,7 მლნ. ლარი, ანუ 2010 წელს დღგ-ს შემოსავალი 2009 წელთან შედარებით 151 400 ლარით გაიზარდა. 2010 წელს არაპირდაპირი გადასახადებიდან სულ ბიუჯეტში შემოსავლის სახით მიღებული იქნა 2 834,3 მლნ. ლარი, აქედან დღგ-ს გადასახადმა შეადგინა 2 203,1 მლნ. ლარი, ანუ მთლიანი არაპირდაპირი ხარჯების 77% დღგ-ს უჭირავს, ხოლო მთლიანად გადასახადებიდან შემოსავალმა ბიუჯეტში შეადგინა 4 867,6 მლნ. ლარი. საგადასახადო ხაზით მობილიზებულ იქნა 3251,4 მლნ. ლარი, საბაჟო ხაზით კი 1 616,1 მლნ. ლარი. მშპ-ს მიმართ არაპირდაპირი გადასახადები პროცენტულად 13,7%-ს შეადგენს, აქედან დღგ-ს წილი 10,6%-ია.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებიდან მიღებული შემოსავლები
გადასახადის სახეების მიხედვით *
(იანვარი-დეკემბერი)

მლნ ლარი

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
სულ	***1928.7***	***2411.5***	***3149.4***	***4391.1***	***4752.7***	***4388.9***	***4867.6***
საგადასახადო**	**1299.8**	**1441.8**	**1846.4**	**2734.5**	**2965.4**	**2788.4**	**3251.4**
საბაჟო**	**628.8**	**969.6**	**1302.9**	**1656.6**	**1787.3**	**1600.5**	**1616.1**
საშემოსავლო გადასახადი	268.7	290.7	385.9	526.7	1296.3	1118.9	1202.1
მოგების გადასახადი	161.6	210.3	341.1	554.8	592.3	518.4	576.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	**629.4**	**987.4**	**1332.7**	**1973.7**	**2069.0**	**2051.7**	**2203.1**
მათ შორის:							
საგადასახადო	263.9	362.5	405.1	678.4	738.4	825.3	1061.7
საბაჟო	365.5	624.9	927.6	1295.2	1330.6	1226.4	1141.4

აქციზი	**204.8**	**286.4**	**335.6**	**428.6**	**518.5**	**443.2**	**560.8**
მათ შორის:							
საგადასახადო	62.2	65.2	92.6	121.6	122.4	114.3	165.9
საბაჟო	142.6	221.2	243.0	307.0	396.1	329.0	394.9
საბაჟო გადასახადი	100.1	123.4	132.4	52.0	51.9	35.9	70.4
ქონების გადასახადი***	46.6	60.4	85.8	107.9	131.9	160.4	191.7
გაუქმებული გადასახადები, სულ ****	517.4	452.8	535.9	747.4	92.8	60.2	63.4
მათ შორის:							
საგადასახადო	496.9	452.8	535.9	745.0	84.0	51.0	54.0
საბაჟო	20.5	0.1	0.0	2.4	8.7	9.2	9.4

პროცენტულად წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
სულ	***159.3***	***125.0***	***130.6***	***139.4***	***108.2***	***92.3***	***110.9***
საგადასახადო	**152.4**	**110.9**	**128.1**	**148.1**	**108.4**	**94.0**	**116.6**
საბაჟო	**175.7**	**154.2**	**134.4**	**127.1**	**107.9**	**89.5**	**101.0**
საშემოსავლო გადასახადი	175.7	108.2	132.8	136.5	246.1	86.3	107.4
მოგების გადასახადი	159.2	130.1	162.2	162.7	106.8	87.5	111.1
დამატებული ღირებულების გადასახადი	**144.6**	**156.9**	**135.0**	**148.1**	**104.8**	**99.2**	**107.4**
მათ შორის:							
საგადასახადო	114.8	137.4	111.7	167.5	108.8	111.8	128.6
საბაჟო	178.0	171.0	148.4	139.6	102.7	92.2	93.1
აქციზი	**206.2**	**139.8**	**117.2**	**127.7**	**121.0**	**85.5**	**126.5**
მათ შორის:							
საგადასახადო	221.5	104.8	142.1	131.3	100.6	93.4	145.2
საბაჟო	200.2	155.1	109.8	126.3	129.0	83.0	120.0
საბაჟო გადასახადი	142.3	123.2	107.3	39.3	99.8	69.2	196.0
ქონების გადასახადი***	73.3	129.6	142.1	125.7	122.2	121.6	119.5
გაუქმებული გადასახადები, სულ	**179.6**	**87.5**	**118.3**	**139.5**	**12.4**	**64.9**	**105.3**
მათ შორის:							
საგადასახადო	179.2	91.1	118.4	139.0	11.3	60.7	105.8
საბაჟო	189.4	0.4	0.3		365.2	105.3	102.4

დღგ-ს დღესდღეობით მსოფლიოში 80-ზე მეტ ქვეყანაში იყენებენ და საგულისხმოა, რომ საგადასახადო სისტემაში ამ გადასახადის არსებობა ევროკავშირში სახელმწიფოს შესვლის სავალდებულო პირობად არის მიჩნეული. დღგ-ს ხშირად „ევროპულ გადასახადს“ უწოდებენ. მისი წევრი ქვეყნები ერთობლივ ფონდში ყოველთვიურად გადარიცხავენ მათ ტერიტორიაზე ამოღებული აღნიშნული გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ერთ პროცენტს ყველა ქვეყანაში, სადაც შემოღებულია დღგ. როგორც წესი, დადგენილია ამ გადასახადის ორი ან სამი განაკვეთი: სტანდარტული

და დაბალი, ან სტანდარტული, დაბალი ან მაღალი. მთელი რიგი მოხმარების საქონელი და მომსახურება, აგრეთვე ის ოპერაციები, რომლებიც ეროვნულ სიმდიდრეს არ ზრდიან და მხოლოდ გაანაწილებენ მას, გათავისუფლებულია დღგ-სგან.

შემოვიდა დღგ-ს ყოველკვარტალური გადახდა, რაც საშუალო და მსხვილი კომპანიებისათვის ორთვიანი უპროცენტო სესხია.

ბიზნესს კვლავაც გადაახდევინებენ დღგ-ს, რომლის წლიური ბრუნვა 100000 ლარზე მეტია. 18%-იანი დღგ-ს დასაბეგრი ზღვრის 100000 ლარიან ნიშნულზე დატოვება მთავრობას საერთაშორისო კორპორაციისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა ურჩიეს, რადგან შესაძლებელი იყო მეწარმეთა მხრიდან გადასახადისაგან თავის არიდების რისკი შექმნილიყო.

ჩვენი გამოკითხვით, რომელიც ჩავატარეთ ქალაქ გორში, დღგ-ს გადამხდელთა შორის მოხვდა ორი კომპანია: შ.პ.ს. „კარმენი“ და შ.პ.ს. „კულა“. აღმოჩნდა, რომ დღგ-ს გადასახადის თანხა კომპანიისთვის წარმოადგენს სოლიდურ თანხას, რომელიც ბიუჯეტში მიედინება.

კომპანიების მენეჯერების აზრით, თუ გადასახადის განაკვეთი შემცირდება, გამოიწვევს გადასახადი თანხის შემცირებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კომპანიების გასაძლიერებლად, ასევე საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

დღგ-ს ანალიზმა გვიჩვენა, რომ მისი სრულყოფისათვის საჭიროა დღგ-ს განაკვეთის დიფერენციაცია შემოსავლების მიხედვით, რაც გულისხმობს 200000 ლარის წლიური ბრუნვიდან დაბეგვრას დღგ-ს გადასახადით. ასევე საჭიროა გადასახადის ამოღების ვადების ზუსტი დაცვა და საგადასახადო ვადების გონივრული შემცირება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღგ-ს გადახდა ეხება უმაღლეს სასწავლებლებსაც, ჩვენი აზრით, უმაღლესი სასწავლებლები გააძვირებენ სწავლის საფასურს, რაც, საბოლოო ჯამში, ცხოვრებას ისევ მომხმარებელს გაუძვირებს.

ლიტერატურა:

- ლ. სადაღაშვილი, „საქართველოს საგადასახადო სისტემის აქტუალური საკითხები და მისი სრულყოფის გზები“, გორი, 2011.
- ლ. გრიგალაშვილი, „გადასახადების აღრიცხვა“, თბ., 2010.
- ჟურნალი „გადასახადები და აღრიცხვა“, №3, 2011.
- ჟურნალი „აღრიცხვა, აუდიტი, ფინანსები“, №2, 2011.

ინტერნეტ-რესურსები:

- www.mof.ge
- www.geostat.ge

ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის შედარებითი დახასიათების მნიშვნელობა

გიორგი მანძულაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლალი სადაღაშვილი**, აკადემიური დოქტორი

ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით ყოველი საწარმო განიხილება მისი მფლობელის, კრედიტორების, კლიენტების მომსახურებისაგან დამოუკიდებლად, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოში ოპერაციები უნდა განხორციელდეს მფლობელის პირადი ფინანსური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს ცოდნის ისეთ დარგს, რომელსაც განსაკუთრებული როლი აქვს საზოგადოებაში. იგი აუცილებელია ყოველი ორგანიზაციისათვის, რომელსაც აქვს რესურსები, ხარჯები და მოგება. ბუღალტერიას ხშირად ბიზნესის ენას უწოდებენ. მეწარმის ეკონომიკურ მიზანს მოგების მიღება წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად იგი იძენს და ხარჯავს სათანადო სახის რესურსებს, მოიპოვებს ინვესტორებს, საჭიროებისამებრ იღებს სესხებს, ხელშეკრულებებს დებს მრავალ ორგანიზაციასთან. საწარმოს ხელმძღვანელობა დაინტერესებულია

გააჩნდეს უტყუარი ინფორმაცია ხარჯების, შემოსავლების და ფინანსური შედეგების შესახებ. ამის გამო მეწარმის ინტერესებში შედის ჰქონდეს მოწესრიგებული ბუღალტერია.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საინფორმაციო სისტემა, რომლის მიზანია შეადგინოს ინფორმაცია საწარმოს რესურსებისა და მათი რეალური გამოყენების შესახებ. ბუღალტერია არის ერთადერთი მოდელი, რომელიც იძლევა ინფორმაციას საწარმოს მთელი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ბუღალტრულ აღრიცხვას რიცხვების ენაზე გადააქვს საწარმოს მთელი საწარმოო, კომერციული და ფინანსური ურთიერთობები და მათი შედეგები. საწარმოს შესახებ არსებული ინფორმაციით დაინტერესებული მომხმარებლები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: შიდა და გარე მომხმარებლები. გამომდინარე იქიდან, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია მოამზადოს ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისათვის, იგი ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად იყოფა.

ფინანსური აღრიცხვის მიზანია მოამზადოს ინფორმაცია გარე მომხმარებლისთვის, ესენია: აქციონერები, ინვესტორები, კრედიტორები, კლიენტები, სახელმწიფო სტრუქტურები და ა.შ. თუმცა იგი აგრეთვე გამოიყენება შიდა მოხმარებისთვისაც, ფინანსური განყოფილებების მიერ, ფინანსური კოეფინციენტების ანალიზისა და მომგებიანობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავებისათვის.

მმართველობითი აღრიცხვის მიზანია მოამზადოს ინფორმაცია მხოლოდ შიდა მომხმარებლებისთვის, წარმოების დირექტორებისა და მენჯერებისათვის.

დაგეგმვის პროცესის დამთავრების შემდეგ იწყება გეგმების ამოქმედება. გეგმების შესრულებაზე მენეჯერები ახორციელებენ კონტროლს, რომელიც ოთხ საფეხურს მოიცავს:

1. გეგმების განხორციელების დაწყება;
2. გეგმების განხორციელების პროცესის მეთვალყურეობა და ამ პროცესთან დაკავშირებული უკუკავშირის ინფორმაციის მოგროვება (უკუკავშირის ინფორმაცია ეწოდება ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ფირმის საქმიანობის შესაფასებლად მისი მიზნების განხორციელების პროცესში);
3. უკუკავშირის ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმილსა და რეალურ შედეგებს შორის წარმოშობილი განსხვავებების შეფასება ანუ დადგენა იმისა, რომელი გადახრაა სასურველი და რომელი არა. არის თუ არა გადახრები დასაშვებ ფარგლებში;
4. დაგეგმილსა და ფაქტიურ შედეგებს შორის არსებითი გადახრების არსებობისას სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელება.

აქედან გამომდინარე კინტროლის მთავარი ელემენტია უკუკავშირის ინფორმაციის დროულად და სრულად შეგროვება. სწორედ ამ ინფორმაციას ამზადებს მმართველობითი აღრიცხვა. ზოგჯერ მმართველობითი აღრიცხვიდან გამოყოფენ საწარმოო აღრიცხვას.

საწარმოო აღრიცხვა საწარმოს ცალკეული შიდა ორგანიზაციულ-სტრუქტურული ნაწილისათვის განსაზღვრავს ხარჯებს და ახდენს მათ ანალიზს სათანადო პრინციპების, მეთოდებისა და ტექნიკის გამოყენებით. საწარმოო აღრიცხვის სისტემა იძლევა ინფორმაციას:

1. პროდუქციის მომგებიანობის დეტალური შეფასების შესახებ;
2. მარაგების შეფასების შესახებ;
3. შრომითი დანახარჯების შეფასების შესახებ;
4. ზედნადები დანახარჯების შესახებ;
5. ფასების პოლიტიკის შესახებ.

მმართველობითი აღრიცხვა უფრო ფართო ცნებაა, რომელიც ინფორმაციას ამზადებს მართვის ყველა დონეზე. ასეთ ინფორმაციას წარმოადგენს ფინანსური და საწრმოო ანგარიშები. მმართველობითი აღრიცხვა ძირითადად დაკავშირებულია მენეჯერებისთვის რჩევების მიცემით, რომლებიც ეფუძვნება მაგროვებელ ინფორმაციას, შეიძლება მონაწილეობდეს გადაწყვეტილებების მიღებაში, დაგეგმვასა და ბიზნესის კონტროლში.

ჩვენი აზრით, საწარმოო აღრიცხვის გამოყოფა მმართველობითი აღრიცხვიდან გამართლებული არ არის. მმართველობითი აღრიცხვის არსი სწორედ დანახარჯების მოწესრიგებული აღრიცხვა და მათ შესახებ ინფორმაციის მომზადებაა, რომელიც დანახარჯების დაგეგმვისა და კონტროლის მიზნით გამოიყენება.

ლიტერატურა:

1. მ. მიქაძე, „ მმართველობითი აღრიცხვა", თბ., 2000.
2. ო. ჩადუნელი, „მმართველობითი აღრიცხვა", თბ., 2000.
3. ლ. სადაღაშვილი, გ. ნანუაშვილი, ბ. გრძელიძე, გ. სადაღაშვილი, ც. დურული, რ. ქობლიანიძე, „მმართველობითი აღრიცხვა", გორი, 2000.
4. ი. ჭილაძე, „ მმართველობითი აღრიცხვა", თბ., 2010.

სიღარიბე საქართველოში და მისი გამომწვევი მიზეზები

ზურაბ მარღიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ხალიანა ჩიტაძე,** ასოცირებული პროფესორი

სიღარიბე კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია და ამ ფენომენის შესწავლა საინტერესოა სხვადასხვა მიზნით სამეცნიერო თვალსაზრისით, ადამიანების ქცევისა და მოტივაციის შესწავლა, თუმცა საზოგადოებრივი ინტერესი უფრო სიღარიბის, როგორც პოლიტიკური პრობლემისადმია მიმართული. პოლიტიკური რეაქცია საზოგადოებრივ ინტერესზე გამოიხატება სიღარიბის დაძლევის პროექტებში და, შედეგად, მნიშვნელოვან საბიუჯეტო ხარჯებში. დისკუსიაში პოლიტიკური არჩევნების დასასაბუთებლად, მხარეები იყენებენ სიღარიბის შესახებ ობიექტურ მონაცემებს, რომლებსაც, ცდილობენ მიუსადაგონ პრობლემის მასშტაბისა და მოგვარების შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის წარმოდგენები.

სიღარიბეზე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ინტერესს ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ეხმიანებიან და ამ პრობლემის შესწავლის მიზნით ატარებენ მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ობიექტურ კვლევებს, აკვირდებიან ცვლილების დინამიკას. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლების ცვლილების შესახებ სხვადასხვა კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და გაკეთებული დასკვნები აჩვენებს დაახლოებით ერთნაირ დინამიკას, მაგრამ აღინიშნება მკვეთრად განსხვავებული მოსაზრებები სიღარიბის მასშტაბის შეფასების დროს. სამწუხაროდ, სხვადასხვა წყაროდან და სხვადასხვა მეთოდოლოგიით მოპოვებული ფაქტობრივი მასალა საზოგადოებრივ დისკუსიაში გამოიყენება კრიტიკული ანალიზის გარეშე. შედეგად, დაინტერესებული მხარეები და პოლიტიკოსები ხშირად პრობლემის შესახებ ძალზე ცუდად ინფორმირებულები არიან ან არალოგიკურ დასკვნებს აკეთებენ. სიღარიბე სუბიექტური ფენომენია და მისი გაზომვა უმრავლესობისათვის მარტივად გასაგები და სარწმუნო მეთოდით რთული ამოცანაა. როგორიც არ უნდა იყოს პრობლემის მასშტაბი, მის შესამცირებლად სახელმწიფო იყენებს მარტივ და გასაგებ ინსტრუმენტებს. ამ ინსტრუმენტის შინაარსი, რომელიც მდგომარეობს შეძლებული მოსახლეობის შემოსავლის ნაწილის ღარიბებისათვის გადაცემაში, არავისში არ იწვევს ეჭვს. ზოგადად, ნაკლებად ცნობილია ამ ინსტრუმენტის გავლენის შესახებ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც, ბუნებრივია, აისახება როგორც შეძლებულ, ისე ღარიბ ფენაზე. გარდა პრაგმატული ნაწილისა, ამ სახის დისკუსიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შემოსავლის გადანაწილების მორალურ მხარეს.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები სიღარიბის შესახებ, რომელიც ანალიზის გარეშე გამოიყენება სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართული პოლიტიკის დასაბუთებისათვის, შეუძლებელია რეალობას ასახავდეს. აქედან გამომდინარე გაკეთებული დასკვნები არარელევანტურია;

დღემდე შეძლებული მოსახლეობის შემოსავლის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი უნაწილდება ღარიბ მოსახლეობას. ამ მასშტაბის გადანაწილებას არ შეუძლია არსებითი გავლენის მოხდენა ღარიბ მოსახლეობაზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი დაკვირვება აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი საბიუჯეტო რესურსი იხარჯება შეძლებული მოსახლეობიდან ღარიბებისათვის შემოსავლის არაეფექტურ გადანაწილებაში და ამ რესურსის ზრდის მიუხედავად სიღარიბის შემცირება მოსალოდნელი არ არის.

სიღარიბე კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია, რადგან იგი თავისი ბუნებით არამდგრადი და ცვალებადი კატეგორიაა. მდიდარი დროთა ვითარებაში შეიძლება გაღარიბდეს, ხოლო ღარიბი - გამდიდრდეს. ამიტომაც სიღარიბეს, გარკვეული დოზით, ყველა დროსა და ქვეყანაში აქვს ადგილი. მთავარია მისი მინიმუმამდე დაყვანა.

საერთაშორისო სტანდარტებით სიღარიბის შეფასების ინდიკატორებია:

- სიღარიბის დონე – მოსახლეობის წილი, რომელთა საშუალო სულადობრივი ერთობლივი ხარჯები თვიურად სიღარიბის დადგენილ ზღვარზე უფრო დაბალია;
- სიღარიბის სიღრმე – ღარიბი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრამდე დაშორების წილი მთელი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრის დონეზე ჯამური მოხმარებიდან;
- სიღარიბის სიმწვავე – ღარიბ ოჯახთა შორის სიღარიბის უთანაბრობის მაჩვენებელი, რომელიც თავისი შინაარსით მოიცავს როგორც სიღარიბის სიღრმეს, ისე ღარიბთა შორის უთანაბრობას.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის მსოფლიო თანამეგობრობა აქტიურად ზრუნავს პლანეტაზე სიღარიბის დასაძლევად, მდგომარეობა მაინც შემაშფოთებელია. ასეული მილიონობით ადამიანი შიმშილობს. სიტუაცია იმანაც გაამწვავა, რომ ტრადიციულად ღარიბ ქვეყნებს შეუერთდნენ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, სადაც გარდამავალ პერიოდში მდგომარეობა დრამატულად გაუარესდა. 90-იანი წლების ბოლოს ამ ქვეყნებში ცხოვრების დონე უფრო გაუარესდა. სიღარიბის დაძლევას ხელს უშლის ჯერ კიდევ არსებული დაპირისპირებები მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებს შორის, რომლის შედეგად ადგილი აქვს არა მხოლოდ მილიტარიზაციის მაღალ ტემპებს, არამედ ომებსაც კი, რაც ასეული მილიარდი ჯდება. არადა, შიმშილის დასაძლევად საკმარისია ათიოდე მილიარდი დოლარი, ხოლო მესამე სამყაროს ქვეყნებში გავრცელებული ავადმყოფობის დასაძლევად სულ 40 მილიარდამდე დოლარი.

მოსახლეობის ცხოვრების დონეს შეისწავლის შინამეურნეობების სტატისტიკა. საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად ტარდება შერჩევითი დაკვირვება შინამეურნეობებზე თბილისსა და ქვეყნის რეგიონებში. შესაბამისად, ქვეყნდება ინფორმაცია მოსახლეობის შემოსავლებზე, ხარჯებზე, საარსებო მინიმუმზე და ა.შ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა და, შესაბამისად, შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის ცხოვრების დონე. ამ დროისათვის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მოცულობა 5-ჯერ შემცირდა. ინფლაციისა და ჰიპერინფლაციის შედეგად არსებითად შეიცვალა მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურა და ოდენობა. მინიმალური ხელფასი 107 აშშ დოლარის ექვივალენტიდან 1,7–მდე დაეცა (კუპონიზაციის პერიოდი), 100-ჯერ შემცირდა პენსიის სიდიდე. სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩა მოსახლეობის 80%-ზე მეტი. ნეგატიურად შეიცვალა შემოსავლების განაწილების სტრუქტურა, 70%-ზე მეტი კვების პროდუქტების შეძენას ხმარდებოდა. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საბიუჯეტო სექტორში დასაქმებული მუშაკები, უმუშევრები, პენსიონრები, დევნილები, ინვალიდები და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო, გარდამავალი პერიოდის როგორც საწყის, ასევე შემდგომ ეტაპებზე ცხოვრების დონის პრობლემა საქართველოში ხელისუფლების მხრიდან სათანადოდ არ იქნა შეფასებული. მართალია იყო მრავალი ობიექტური ხელისშემშლელი ფაქტორი (ეკონომიკის ვარდნა, ინფლაცია, უმუშევრობა და ა.შ.), მაგრამ ამასთანავე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო დამცავი ღონისძიებების გატარება სიღარიბის წინააღმდეგ. საუბარია მოსახლეობის დანაზოგების ინდექსაციაზე, სამართლიან პრივატიზაციაზე და ა.შ. შედეგად ამისა, მოხდა ქონებრივი დიფერენციაცია – საზოგადოება დაიყო ორ ნაწილად – ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად (ღატაკებად). გამდიდრება შეძლო ძირითადად საზოგადოების პრივილეგირებულმა ბიუროკრატიულმა ნაწილმა, აგრეთვე კრიმინალურმა და კლანურმა დაჯგუფებებმა. სწორედ იმ პერიოდში მოხდა ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ეროვნული სიმდიდრის არასამართლიანი (ინფლაციის დროს ვაუჩერიზაცია) გადანაწილება, დღესაც არის საზოგადოების სოციალური დაძაბულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

2000-2005 წლებში გამოიკვეთა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საშუალო თვიური შემოსავლების ზრდის ტენდენცია. ამ პერიოდში ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები გაიზარდა თითქმის 2-ჯერ, შედარებით მაღალი ტემპებით გაიზარდა შემოსავლები დაქირავებული შრომიდან და თვითდასაქმებიდან. თითქმის 4-ჯერ გაიზარდა უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების მოცულობა. იგი წლიდან წლამდე იზრდებოდა და საშუალოდ წელიწადში შეადგენდა 180 მლნ აშშ დოლარს. 2006 წელს მან შეადგინა 544,7 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2007 წლის 10 თვეში 682,8 ანუ თვეში 68,1 მლნ აშშ დოლარი, რაც 57,1%-ით მეტი იყო წინა წლის ანალოგიური პერიოდის დონეზე. საქართველოდან სხვა ქვეყნებში სამუშაოდ იმიგრირებული მოსახლეობიდან ყველაზე მეტი ფულადი გზავნილები შემოდიოდა რუსეთიდან (63,1%), აშშ-დან (13,6 %), საბერძნეთიდან (3,3 %), ესპანეთიდან (3,0%), უკრაინიდან (2,1%), თურქეთიდან (2,1%), ავსტრიიდან (1,7%), მაგრამ რუსეთის ემბარგომ, რომელიც პროდუქციის გასაღების ტრადიციულ ბაზარს წარმოადგენდა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას. 2005 წლის ბოლოდან აიკრძალა ხილისა და ბოსტნეულის, ხოლო 2006 წლის დასაწყისიდან – ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი. 2006 წელს საქართველოში ექსპორტი 115 მილიონი დოლარით შემცირდა, საიდანაც დახლოებით 2/3 სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოდის. მცირე გამოცოცხლება შეინიშნებოდა 2008 წლამდე, რომელიც შეწყდა რუსეთ – საქართველოს ომისა და საერთაშორისო ფინანსური კრიზისის გამო. სერიოზული პრობლემები შექმნა ომის შედეგად შიდა ქართლისთვის მიყენებულმა ზიანმა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული რეგიონია საქართველოში. არაოფიციალური ექსპორტი, რომელიც სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გავლით, ფარულად ხორციელდებოდა რუსეთში, შეწყდა ადმინისტრაციულ საზღვარზე სამხედრო კონტროლის

გაძლიერების გამო. რუსეთის ბაზრის დაკარგვას გრძელვადიანი შედეგები ექნება ამ დარგისთვის. ასე რომ, სანამ ქართველი ბიზნესმენები რუსულ ბაზარზე დაბრუნებას გადაწყვეტენ, ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინონ.

მსოფლიოში უამრავი ბაზარია, სადაც ჩამოყალიბებულია ნორმალური ურთიერთობის წესები, ნორმალური კონკურენტუნარიანი გარემოა და ბიზნესის განვითარებას ხელს უწყობენ, სადაც პოლიტიკური ნიშნით არავის დევნიან, სადაც ერთ მშვენიერ დღეს არ გამოაცხადებენ, რომ შენი ყველა პროდუქცია არის უვარგისი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ჩვენმა ბიზნესმენებმა სწორედ ასეთი ბაზრებისკენ უნდა აიღონ გეზი. მათი თამაშის წესებს რუსეთი არასოდეს შემოგვთავაზებს.

2000-2005 წლებში ერთ სულზე გაანგარიშებით ფულადი და არაფულადი შემოსავლების მოცულობა გაიზარდა 98,1%-ით, თუმცა იგი ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, რომელიც სიღარიბის აბსოლუტური ზღვარია. იგი 2004 წელს შეადგენდა საშუალო წლიურად 84,3 ლარს, 2005 წელს – 96,2 ლარს, 2006 წელს – 103,2 ლარს, ხოლო 2007 წლის პირველი ნახევრისათვის დაახლოებით 113 ლარს. 2008 წლის ომის შედეგად საარსებო მინიმუმი თითქმის გაუთანაბრდა 2003-2004 წლის მონაცემებს, მაგრამ 2009 წელს სიტუაცია გაუმჯობესდა და საარსებო მინიმუმმა დაახლოებით 110 ლარი შეადგინა, ხოლო 2010 წლის დეკემბერში უკვე 149.6 ლარი. დაბალი იყო მოსახლეობის საოჯახო ტექნიკით უზრუნველყოფის მაჩვენებელი. ამ მხრივ საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ მთელ რიგ პოსტ საბჭოურ ქვეყნებსაც. ყოველ 100 შინამეურნეობაზე მოდის დაახლოებით 70 მაცივარი, 41 სარეცხი მანქანა, 90 ტელევიზორი, 17 ავტომობილი, 2 პერსონალური კომპიუტერი და ა.შ. ამავე დროს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ფლობს მორალურად და მატერიალურად ამორტიზირებულ საოჯახო ტექნიკას. მაგალითად, მსუბუქი ავტომობილების თითქმის 90% მოძველებულია. არადამაკმაყოფილებელია მოსახლეობის უზრუნველყოფა კეთილმოწყობილი საცხოვრისით. ბინების 10% აშენებულია 1941 წლამდე და მხოლოდ 4% 1991 წელს და შემდგომ პერიოდში, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, არსებული მოძველებული და ამორტიზებული ტექნიკა იცვლება თანამედროვე ტექნიკით, ასევე ეტაპობრივად ხდება მოძველებული შენობა–ნაგებობების პრივატიზაცია და განახლება, ამ მხრივ საქართველომ უკვე გაუსწრო თითქმის ყველა პოსტ საბჭოთა ქვეყანას. 2009 წელს მსოფლიო ბანკმა საქართველოში ჩაატარა კვლევა. შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 24% არის "ღარიბი" და 9% "სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი". თუმცა რეგიონალური ვარიაცია უზარმაზარია. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ შედეგების მიხედვით შიდა ქართლი წარმოადგენს ყველაზე ღარიბ რეგიონს, სადაც მოსახლეობის 59% ღარიბია, მაშინ როდესაც მის სამხრეთით მდებარე ქვემო ქართლის რეგიონი ყველაზე ნაკლებად ღარიბია, ამ რეგიონის ღარიბ მოსახლეობას მხოლოდ 8% წარმოადგენს. ეს ფაქტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან 2007 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოპოვებული მონაცემების მიხედვით ცოტა თუ იფიქრებდა, რომ სიტუაცია შიდა ქართლში ასე შეიცვლებოდა, თუმცა ომის შემდგომ სიღარიბის მდგომარეობა ამ რეგიონში მკვეთრად გაუარესდა.

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებულ ანგარიშში სიღარიბის ყველაზე მაღალი დონე საქართველოს 3 რეგიონს აქვს: შიდა ქართლს, მას მოჰყვება კახეთი 46%-ით და მცხეთა–მთიანეთი 41%-ით. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია იმ მხრივ, რომ ამ შედეგებზე დაყრდნობით მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული სახსრები ამ რეგიონებისკენ უნდა იქნას ფოკუსირებული. ასევე, ამავე წლის მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა ბაზაში 1 761 191 ადამიანი ანუ 539 256 ოჯახია რეგისტრირებული.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელ ეტაპზე მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალიან დაბალია, თუმცა ადგილი აქვს მისი ზრდის სუსტად გამოხატულ ტენდენციას. საზოგადოება დაიყო მდიდარ და ღარიბ ფენებად, ხოლო საშუალო ფენა ჯერ კიდევ არაა მყარად ფორმირებული. ერთი რამ უდავოდ ფაქტია – ცხოვრების დონის ამაღლება და სიღარიბის დაძლევა ერთი ხელის მოსმით და ეპიზოდური, არაკომპლექსური, ავტონომიური ღონისძიებებით შეუძლებელია. ასევე დავას არ იწვევს ის, რომ ეკონომიკური ზრდის გარეშე ცხოვრების ხარისხის ამაღლება შეუძლებელია. გამომდინარე აქედან, ხელისუფლებამ მისი უმთავრესი ამოცანა – ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, რომელიც შექმნის ეკონომიკურ საფუძვლებს ცხოვრების დონის ამაღლებისა და სიღარიბის დაძლევისათვის, იდეიდან რეალობაში უნდა გადმოიტანოს. ერთჯერადი ფულადი და ნატურალური დახმარებების ნაცვლად, რაც არც ერთი ოჯახის ცხოვრების დონეს ოდნავადაც კი არ ცვლის, უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, თუნდაც მცირე რაოდენობით. ამ გზით ნამდვილად შესაძლებელი გახდება გარკვეული რაოდენობის ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამავე დროს, აღნიშნული პრობლემა მოითხოვს გრძელვადიან პროგრამულ, კომპლექსურ მიდგომას, რადგან ყოველი მოკლევადიანი, იმპულსური და ზედაპირული ღონისძიება მხოლოდ დროებით შეარბილებს მას და ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების სოციალურ დაბალანსებას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://geowel.org
2. www.nplg.gov.ge
3. ი. მესხია, სიღარიბე: ბრძოლა არსებობისათვის, 04.09.2009
(წარმოდგენილია ვებ-გვერდზე http://www.tetrebi.org/?p=3932)
4. http://www.geostat.ge/

შტრიხ კოდი

ეკა მეზვრიშვილი, ნათია ნასუაშვილი,
სოფიო ტუსიაშვილი, ნინო ხეტაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ანესაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

სხვადასხვა სახის პროდუქციაზე, იქნება ეს კვების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის და სხვ. თუ დაკვირვებიხართ მითითებულია ასეთი სახის ბარ-კოდები. სწორედ ეს წარმოადგენს საქონლის სავიზიტო ბარათს.

შტრიხ კოდი პროდუქციის ფალსიფიკაციის თავიდან აცილებისა და მისი ვარგისიანობის დამადასტურებელ საშუალებას წაროადგენს. მსოფლიოში პირველი შტრიხ კოდი გამოვიდა საღეჭ რეზინაზე Wrigley's.

შტრიხ კოდის შემქნის ისტორია 1048 წელს დაიწყო, როდესაც დრეკსელევის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დეკანს, თავისმა მეგობარმა (სუპერმარკეტების ქსელის მეპატრონემ) შესთავაზა იდეა- შეემუშავებინათ საქონლის აღრიცხვის ისეთი ავტომატური სისტემა, რომელსაც გამოიყენებდნენ სალაროში. მათ საუბარს უსმენდა ასპირანტი ჯო სილვერი, რომელმაც გადაწყვიტა დაესწრო დეკანისათვის. მან და მისმა მეგობარმა ასპირანტმა ბერნი ვულდსმა დაიწყეს საქონლის მარკირება სპეციალური მელნით, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ანათებდა. ადრიან დილას ვულდენი იჯდა სანაპიროზე და ფიქრობდა თავის პროდუქტზე, ქვიშაზე ნელ-ნელა ხატავდა ნიშნებს, ტალღები კი ნაწილობრივ შლიდნენ მის ნახატს და ნიშნები ემსგავსებოდნენ სხვადასხვა სისქის ვერტიკალურ ზოლებს. ამან იგი მიახვედრა თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს საქონლის მარკირება. 1973 წელს სავაჭრო ქსელების ყრილობამ დაადგინა - გამოყენებული ყოფილიყო შტრიხ კოდი, როგორც საქონლის მარკირების ახალი სტანდარტი. სწორედ EAN-ის კოდებს ვხვდებით უმეტესწილად სასაქონლო ბაზრებზე, იმპორტულ საქონელზე. თუმცა არის სხვა სისტემებიც - ITF, UPC-a,UPC-e. ოცდაათ წელზე მეტია, რაც შტრიხ კოდების საიდენტიფიკაციო სისტემა GS1 მომხმარებლებს დიდ უპირატესობებს სთავაზობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. GS1 სისტემის მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე სხვადასხვა ტიპის შტრიხ კოდის გამოყენება GS1 წევრების მიერ გაკეთებული განაცხადების მიხედვით. რადგან შტრიხ კოდები ერთმანეთისაგან განსხვავდება, GS1 სისტემის საშუალებით აირჩევა ის კოდი, რომელიც უფრო შეესაბამება განაცხადის მოთხოვნებს. GS1 სისტემის ფარგლებში გამოიყენება შემდეგი ტიპის შტრიხ კოდები: EAN/UPC, GS1 DataBar, GS1-128, ITF-14, GS1 DataMatrix და Composite Component.

საერთაშორისო ასოციაცია EAN ნებისმიერი სახის ნაწარმს ანიჭებს 13 ციფრიან ნომერს, ეს ყველასთვის ნაცნობი ციფრებია, რომლებიც გვხვდება ეტიკეტზე. არ დაგბადებიათ სხვადასხვა კითხვები თუ რას გვიჩვენებს ანდა საერთოდ სწორია თუ არა მოცემული შტრიხ კოდი?

შტრიხ კოდის პირველი ორი ან სამი ციფრი განსაზღვრავს პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნის კოდს;

შემდეგი ხუთი ციფრი – საწარმოს კოდს;

შემდეგი ხუთი ციფრი – საქონლის კოდს, მის სამომხმარებლო თვისებებს, ზომას, წონას, ფერს;

ბოლო ერთი ციფრი – საკონტროლო კოდს;

მცირე ზომის ნაწარმზე გამოიყენება 8 ციფრიანი შტრიხ-კოდი.როგორ შევამოწმოთ შტრიხ კოდი?

1. შეაჯამეთ ლუწ ადგილებზე მდგომი ციფრები 3+2+4+6+8+0=23
2. მიღებული ჯამი გაამრავლეთ 3-ზე 23*3=69
3. შეაჯამეთ კენტ ადგილებზე მდგომი ციფრები ოღონდ არ დაუმატოთ ბოლო ციფრი 9+1+3+5+7+9=34
4. შეაჯამეთ 2-ე და 3-ე პუნქტებში მიღებული რიცხვები 69+34=103
5. დატოვეთ ერთეული 103 – ერთეულია 3
6. რიცხვ 10-ს გამოვაკლოთ 5-ე პუნქტში მიღებული რიცხვი 10-3=7

საკონტროლო ციფრი 7 უნდა ემთხვეოდეს შტრიხ კოდის ბოლო ციფრს. თუ მიღებული შედეგი არ დაემთხვა შტრიხ კოდის ციფრს, ე.ი. საქონელი უკანონოდაა დამზადებული.

ქვეყნების ჩამონათვალი:

პ.ს. შტრიხ კოდის პირველი სამი ან ორი ციფრით განისაზღვრება პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნის კოდი: ა.შ.შ. და კანადა 00-13

შიდა ნუმერაცია	20-29
საფრანგეთი	30-37
ბულგარეთი	380
სლოვენია	383S
ხორვატია	385
ბოსნია-ჰერცოგოვინა	387
გერმანია	400-440
იაპონია	45-49
რუსეთი	460-469
ესტონეთი	474
ლატვია	475
ლიტვა	477
შრი-ლანკა	479
ფილიპინები	480
უკრაინა	482
მოლდოვა	484
სომხეთი	485
საქართველო	486
ყაზახეთი	487
დიდი ბრიტანეთი	50
საბერძნეთი	520
ლიბანი	528
კვიპროსი	529
მაკედონია	531
მალტა	535
ირლანდია	539
ბელგია, ლუქსემბურგი	54
პორტუგალია	560
ისლანდია	569
დანია	57
პოლონეთი	590
რუმინეთი	594
უნგრეთი	599
სამხრეთ აფრიკა	600-601
მავრიკია	609
მაროკო	611

ეგვიპტე	622
ირანი	626
ფინეთი	64
ჩინეთი	690-692
ნორვეგია	70
ისრაელი	729
შვედეთი	73
მექსიკა	750
ვენესუელა	759
შვეიცარია	76
კოლუმბია	770
ურუგვაი	773
პერუ	775
ბოლივია	777
არგენტინა	779
ჩილი	780
პარაგვაი	784
ეკვადორი	786
ბრაზილია	789
იტალია	80-83
ესპანეთი	84

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (Massachusetts Institute of Technology, MIT) მეცნიერებმა გავრცელებული შტრიხ კოდის შემცვლელი შექმნეს. სიახლეს ბოკოდი უწოდეს. მას ათასჯერ მეტი ინფორმაციის შენახვა შეუძლია. ბოკოდში არსებული ინფორმაციის დიდი მოცულობა მომხმარებელს დროის ეკონომიის შესაძლებლობას მისცემს საქონლის არჩევისას. საკმარისი იქნება საქონლის თაროს გასწვრივ მობილური ტელეფონი გაატაროთ და დისპლეიზე დაწვრილებით ინფორმაციას მიიღებთ. ინფორმაცია ნიღბის სპეციალური კონსტრუქციით კოდირდება. წაკითხვისას, სკანერზე მოხვედრილი შუქის ნაკადის სიკაშკაშე ხედვის კუთხის მიხედვით იცვლება, სწორედ ეს არის ინფორმაციული კოდი.



ცნობილია, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია EAN ნებისმიერ ნაწარმს ანიჭებს სპეციალურ საიდენტიფიკაციო შტრიხ კოდს, რომელიც, როგორც ირწმუნებიან, შეიცავს აპოკალიფსში ნახსენები მხეცის რიცხვს, სამ ექვსიანს – 666. მათი ლოგიკა შემდეგია: ისინი შტრიხ კოდზე ციფრებით წარმოდგენილ მიმდევრობაში 6–ის შესაბამის ადგილას ხედავენ ორ ხაზს, შემდეგ ასეთივე ორ შავ ხაზს ისინი პოულობენ შტრიხ კოდის სამ სხვადასხვა ადგილზე (კერძოდ კი კიდეებში და შუაში) და ასკვნიან რომ ნაწარმის საიდენტიფიკაციო შტრიხ კოდი შეიცავს რიცხვს 666, ანუ მხეცის ნიშანს.

ლიტერატურა:

1. http://www.gs1ge.org
2. aqualung.ge
3. holograms@gcci.ge
4. geolist.ge/shrix-kodebi/
5. www.orthodoxtheology.ge
6.www.wizzardesk.wordpress.com

უმუშევრობის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები საქართველოში

ნათია მინდიაშვილი, ნანა შავშიშვილი, ინა ეცადაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლია ბიბილაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

უმუშევრობა თანამედროვე საქართველოს უმწვავესი პრობლემაა. იგი მაკროეკონომიკური განვითარების არასტაბილურობის ძირითადი ინდიკატორია, უმუშევრობა ახალი მოვლენა არაა, მან ფართო გავრცელება ჰპოვა მე-19 საუკუნეში, მე-20-ში კი გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკური თანამგზავრი. თანამედროვე პირობებში უმუშევრობა ქრონიკულ ხასიათს ატარებს, რომლის დროს შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი ვერ პოულობს სამუშაოს და ქმნის სარეზერვო არმიას.

მსოფლიო მოიცვა ეკონომიკურმა კრიზისმა, რაც პირდაპირ კავშირშია უმუშევრობის მაღალ დონესთან. ამ პერიოდში იწარმოება ნაკლები პროდუქცია და, რა თქმა უნდა, მოსახლეობას აქვს დაბალი შემოსავალი. უმუშევრობა ბადებს არასრულფასოვნების კომპლექსს. სამუშაოს დაკარგვა ისეთი ფსიქოლოგიური ტრამვაა, რომელიც ახლობლის დაკარგვით გამოწვეულ სტრესს თუ შეედრება. ამ შემთხვევაში ოჯახი კარგავს მარჩენალს, რაც ამწვავებს ოჯახურ ურთიერთობას და საზოგადოებაში ემოციურ დაძაბულებას აღრმავებს, რის შედეგადაც იზრდება კრიმინალურ დანაშაულთა რიცხვი. თუ სტატიტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ამ დანაშაულს სჩადის ახალგაზრდათა უმეტესობა, რომელთაც არანაირი პერსპექტივა არ გააჩნიათ მუშაობის დაწყებისათვის და მთელ დროს ქუჩაში ატარებს.

ბოლო პერიოდში საქართველოში იზრდება უმუშევრობის დონე, რაც აფერხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. აგვისტოს მოვლენებისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე ქვეყანაში უმუშევართა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, ამ ყველაფერმა კი განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ეკონომიკის ყველა სექტორში, რის გამოც ათასობით ადამიანი დარჩა უმუშევარი.

ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა საქართველოში, მოსახლეობას მიმართა კითხვით - მიაჩნია თუ არა თავი დასაქმებულად? გაირკვა რომ, საქართველოს მოსახლეობის 71%-ს მიაჩნია რომ უმუშევარია, ხოლო ჩვენდა გასაკვირად ოფიციალური სტატისტიკის თანახმად უმუშევართა რიცხვი მხოლოდ 17%-ს შეადგენს. დღეს დასაქმებულთა რიცხვიდან ყველაზე დიდი ნაწილი თვითდასაქმებულებზე მოდის.

რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა და უმუშევართა რიცხვი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2008-2009-2010 წლებში მკვეთრად განსხვავებულია.

2008 წელი	კახეთი	ქ. თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი	დანარჩენი რეგიონები*
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	205.3	430.1	117.6	193.8	164.2	209.9	376.0	220.8
დასაქმებული	186.2	302.1	98.4	173.0	122.2	185.2	331.7	203.2
დაქირავებული	44.3	240.6	26.3	52.0	44.7	42.3	82.8	39.4
თვითდასაქმებული	141.5	61.4	72.0	120.8	77.4	142.8	248.9	163.7
გაურკვეველი	0.4	0.1	0.1	0.2	0.1	0.1	0.0	0.1
უმუშევარი	19.1	128.0	19.2	20.8	42.1	24.7	44.2	17.7
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	86.7	390.0	80.0	111.1	111.2	93.8	189.9	82.4
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	**9.3**	**29.8**	**16.3**	**10.7**	**25.6**	**11.8**	**11.8**	**8.0**
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	**70.3**	**52.4**	**59.5**	**63.6**	**59.6**	**69.1**	**66.4**	**72.8**

2009 წელი	კახეთი	ქ. თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი	დანარჩენი რეგიონები*
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	206.9	438.4	135.8	199.0	190.2	218.5	377.2	225.9
დასაქმებული	184.1	308.7	113.2	177.7	148.2	189.8	327.2	207.3
დაქირავებული	48.0	241.1	30.7	52.6	50.4	42.4	90.6	40.1
თვითდასაქმებული	136.0	66.7	82.5	125.0	97.7	147.3	236.7	167.1
გაურკვეველი	0.1	0.9	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.1
უმუშევარი	22.8	129.7	22.6	21.3	42.1	28.6	49.9	18.6
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	86.7	385.9	83.5	107.0	103.6	100.5	188.5	83.6
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	**11.0**	**29.6**	**16.6**	**10.7**	**22.1**	**13.1**	**13.2**	**8.3**
დასაქმების დონე	**62.7**	**37.5**	**51.6**	**58.1**	**50.4**	**59.5**	**57.8**	**67.0**

2010 წელი	კახეთი	ქ. თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი	დანარჩენი რეგიონები*
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	196.0	455.3	141.3	185.7	181.1	203.5	366.0	216.2
დასაქმებული	174.2	318.3	123.4	168.7	148.6	174.4	323.5	197.0
დაქირავებული	44.8	251.0	34.9	50.5	54.8	45.9	90.2	46.6
თვითდასაქმებული	129.3	67.1	88.4	118.1	93.7	128.2	232.0	150.4
გაურკვეველი	0.1	0.3	0.0	0.2	0.2	0.4	1.3	0.1
უმუშევარი	21.8	137.0	17.9	17.0	32.5	29.1	42.5	19.2
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	81.0	364.6	72.9	111.2	98.7	101.4	167.1	86.3
უმუშევრობის დონე	**11.1**	**30.1**	**12.7**	**9.2**	**17.9**	**14.3**	**11.6**	**8.9**
დასაქმების დონე (პროცენტებში)	**62.9**	**38.8**	**57.6**	**56.8**	**53.1**	**57.2**	**60.7**	**65.1**

მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიკურმა კოლაფსმა და ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ აიძულა ფიზიკური გადარჩენისთვის გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ეძება. ამჟამად ასეულ ათასობით საქართველოს მოქალაქე უცხოეთში არალეგალურად, დისკრიმინაციულ ვითარებაში მუშაობს, ზოგი მათგანი ტრეფიკინგის მსხვერპლიც გახდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საქართველოს უმწვავეს პრობლემად მაინც უმუშევრობა რჩება, რადგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ამის ძირითადი გამომწვევი მიზეზი კი მდგომარეობს არაეფექტურ დასაქმებაში.

უმუშევრობის დონის მერყეობის პარალელურად, მრავალ ქვეყანაში უმუშევრობის საშუალო დონე ეკონომიკური ციკლიდან ციკლამდე იზრდება. უმუშევართა რიცხვი 2010 წელს 316 900 ადამიანია, ხოლო დასაქმებულთა რიცხვი 2010 წელს - 1 628 100 ადამიანი.

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2041.0	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1783.3	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1
უმუშევარი, ათასი კაცი	257.6	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	12.6	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3

ადამიანები უმუშევრები არიან სხვადასხვა მიზეზის გამო. ეს მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მათ მოტივაციას, არსებული სამუშაოს ხასიათს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ა.შ.

უმუშევრობა დაკავშირებულია ეკონომიკური ციკლის დაქვეითებასთან, ეკონომიკურ დაღმავლობასთან. დასაქმება მცირდება წარმოების შემცირების დროს, რა დროსაც გარდაუვალია მუშაკთა ნაწილის დათხოვნა. ეს არის სწორედ ის მტკივნეული მომენტი, რომელსაც სამუშაოს იძულებითი დაკარგვა ჰქვია. სამუშაოს დაკარგვათა რიცხვი იზრდება და სამუშაოს პოვნის მოლოდინში მრავალი წელი გადის. ეს ყველაფერი კი დასაბამია ადამიანის ფსიქოლოგიური რყევისა.

მთავრობა დღეს გრძნობს იმ საფრთხეს რაც დაკავშირებულია უმუშევრობის სერიოზულ ზრდასთან და, ერთის მხრივ, თვითონ გვევლინება დამქირავებლის როლში მათ შორის ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების გახორციელებისას, როგორიცაა, გზების, წყლის, კანალიზაციის, ქსელების, მშენებლობა, ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამა, რეგიონებში სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, მეორეს მხრივ, სერიოზულ სარეკლამო კამპანიას ეწევა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ინფრასტრუქტურული პროექტები კარგია ეკონომიკის მხარდასაჭერად, მაგრამ ის დროებით ხასიათს ატარებს. გასათვალიწინებელია ისიც, რომ თანხები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო რესურსებს წარმოადგენს და მათი დაბრუნებისათვის სერიოზული მუშაობა იქნება გასაწევი. ამასთან, ხშირად უცხოეთიდან შემოსულ ინვესტიციებს ნაწილობრივ მოყვება უცხოური მუშახელი და ადგილობრივი მუშახელისთვის სამუშაო ადგილების შემცირებას იწვევს.

უმუშევრობის მიზეზი შეიძლება უამრავი იყოს, თუმცა არსებობს რამდენიმე ეკონომიკური მოვლენა, რომელიც პირდაპირ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს უმუშევრობის ტემპების ზრდაზე. ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ტექნოლოგიური განვითარება, რაც ამცირებს საწარმოებში ადამიანური რესურსის მოთხოვნას. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, ის, თუ რაზეა ორიენტირებული მმართველი გუნდი. დღეს ჩვენი ქვეყნის მთავრობის პრიორიტეტული დარგია ტურიზმის განვითარება მაშინ, როცა ქვეყანაში სოფლის მეურნეობა და ინდუსტრია თითქმის არ ფუნქციონირებს, რაც უმთავრესია ეკონომიკური ზრდის განვითარებისა და სტაბილურობისათვის. საქართველოს მართლაც არაჩვეულებრივი პოტენციალი აქვს ტურიზმის განვითარებისათვის, თუმცა მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში. ამ დარგში დასაქმებულთა უმრავლესობა უერთდება უმუშევართა დიდ არმიას, რადგან მათი სამსახური სეზონურია და სტაბილური შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენს, ყოველივე ეს კი მიეკუთვნება უმუშევრობის ერთ-ერთ სახეს - "სეზონურ უმუშევრობას."

საქართველოში ყველა რეგიონი განსხვავდება და გამოირჩევა თავისი ბუნებრივი და საწარმოო პოტენციალით. ჩვენი აზრით სწორედ ამის გათვალისწინებითაა შესაძლებელი უმუშევრობის აღმოფხვრა. მიგვაჩნია, რომ ყველა რეგიონისთვის უნდა შეიქმნას პროექტი, რომელშიც აღწერილი ის იქნება, თუ რისი პოტენციალი გააჩნია და რა იწარმოება ამ რეგიონში. ამისდა მიხედვით შეიქმნას ფერმერული მეურნეობები და აშენდეს გადამამუშავებელი მცირე საწარმოები, სადაც სხვადასხვა სახის პროდუქცია იწარმოება. ეს ყოველივე ნაწილობრივ მოაგვარებს როგორც უმუშევრობის პრობლემას, ასევე თავიდან აგვაცილებს ისეთ საფრთხეებს, როგორიცაა იმპორტირებული ინფლაცია და კრიზისი, რისი საფრთხეც იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნებისათვის ძალზე დიდია. მიგვაჩნია, რომ უნდა ხდებოდეს სახელმწიფოსგან მცირე ბიზნესისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, რათა მათ განვითარებასა და გახსნას ჩაეყაროს საფუძველი.

ლიტერატურა:

1. მ. ვანიშვილი, „მიკრო-მაკრო ეკონომიკის საფუძვლები“, თბ., 2009.
2. www.geostat.ge

ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური ანალიზი

სოფიო მუზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების განვითარება-გაღრმავება და მეურნეობრივი ცხოვრების ინტეგრაცია დროის მოთხოვნაა. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა უაღრესად რთული ფენომენია არა მარტო მონაწილე სუბიექტების, არამედ კავშირ-ურთიერთობათა მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენცია და საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ეკონომიკური საფუძველი სწორედ ჩაკეტილი ეროვნული მეურნეობიდან საგარეო ბაზარზე ორიენტირებულ, ანუ, „ღია ეკონომიკაზე" თანდათანობით გადასვლაა. გლობალიზაცია კი ღია ეკონომიკის შედეგია. შესაბამისად, ქვეყნების ეკონომიკები რაც უფრო გაიხსნება, მით უფრო შეეწყობა ხელი გლობალიზაციის პროცესის განვითარებას.

ღია ეკონომიკა შეუზღუდავად ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკებთან. ამგვარი ურთიერთქმედება საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის ყიდვა-გაყიდვას გულისხმობს ქვეყნებს შორის. ყოველივე ეს ადამიანებს საშუალებას აძლევს გაცილებით უფრო ფართო ასორტიმენტის საქონელი მოიხმარონ, ვიდრე თვითონ აწარმოებენ თავიანთ ქვეყანაში და მნიშვნელოვნად აიმაღლონ თავიანთი კეთილდღეობის დონე. მოკლედ, საერთაშორისო ბიზნესში ჩართული ყველა ქვეყანა (მათ შორის საქართველოც) მეტ-ნაკლებად ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, სადაც ქვეყნის შიგნით საქმიან ოპერაციებთან ერთად საერთაშორისო ოპერაციებიც (ექსპორტი, იმპორტი და სხვა) ხორციელდება. აღნიშნულ ოპერაციებზე ანგარიშსწორება კი ხდება როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ვალუტით. სხვა სიტყვებით, ღია ეკონომიკა ეს ისეთი ეკონომიკაა, სადაც არარეზიდენტებს, განსაკუთრებით უცხოურ ფირმებს, გახსნილი აქვთ ეროვნული მეურნეობის ბაზრების, დარგებისა და სფეროების უმრავლესობისკენ მიმავალი გზა (დახურულ ეკონომიკაში კი ბაზრების, დარგებისა და სფეროების უმრავლესობისკენ მიმავალი გზა მათთვის ჩაკეტილია). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში თითქმის არ არსებობს სრულიად გახსნილი, ანუ, ლიბერალიზებული ეკონომიკა რამდენიმე დიდი სახელმწიფოს გამოკლებით. სწორედ ამიტომ უფრო ხშირად მსჯელობენ შედარებით ღია, ან ნაკლებ ღია ეკონომიკაზე. ასე მაგალითად, საქართველოს ეკონომიკა უფრო გახსნილია, ვიდრე, ჩინეთისა თუ ვიმსჯელებთ იმპორტულ საქონელზე ტარიფებით, იმპორტული საქონლის წილით შიდა ბაზარზე, ან სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობებითა და სხვა მაჩვენებლებით.

როდესაც ღია ეკონომიკას განვიხილავთ, უნდა განვმარტოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა, ექსპორტი, იმპორტი და წმინდა ექსპორტი. ექსპორტის ეფექტით გამოწვეული სიდიდე დამოკიდებულია მოცემული საქონლის ეროვნული და მსოფლიო ბაზრების ფასების თანაფარდობაზე. რაც უფრო დიდია მათ შორის სხვაობა, მით უფრო მეტია მოცემული საქონლის ექსპორტით მიღებული ეფექტი და, პირიქით. მსოფლიო საქონელბრუნვაში ცალკეული ქვეყნების მონაწილეობის პროცენტული შესაძლებლობების დასადგენად გამოიყენება პროდუქციის ფარდობითი საექსპორტო სპეციალიზაციის კოეფიციენტი და საექსპორტო ქვოტა.

პროდუქციის ფარდობითი საექსპორტო სპეციალიზაციის კოეფიციენტი გამოიანგარიშება მოცემული საქონლის ქვეყნის ექსპორტში ხვედრითი წონის მსოფლიო ექსპორტში საქონელთა ხვედრით წონასთან შეფარდებით. საექსპორტო ქვოტა გამოიანგარიშება ექსპორტის ღირებულების მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებასთან შეფარდებით. ამ მაჩვენებლის გადიდება ნიშნავს ქვეყნის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. მოსახლეობის ერთ სულზე ექსპორტის მოცულობა გვიჩვენებს იმას, თუ რაოდენ აქტიურად მონაწილეობს იგი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

რაც შეეხება იმპორტს საქართველოში, უცხოეთიდან სარეალიზაციოდ შემოაქვთ არა მარტო ის საქონელი, რაც საერთოდ არ იწარმოება ადგილობრივად, არამედ ისიც, რომელიც ადგილობრივ ნაწარმთან შედარებით უფრო იაფი, ხარისხიანი და მოდურია. საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება ის ეკონომიკური სიკეთე, რომელსაც მოცემული ქვეყანა იმპორტის შედეგად ღებულობს ცალკეულ საქონელზე თავისი მოთხოვნილებების სწრაფად

დაკმაყოფილებითა და იმ რესურსების ეკონომიით, რომელიც ანალოგიური საქონლის ქვეყნის შიგნით წარმოებას დასჭირდებოდა. ექსპორტისა და იმპორტის საერთო ჯამი შეადგენს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვას. მისი სტრუქტურისა და დინამიკური ცვლილებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და სტაბილურობაზე, მისი ნაწარმის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე და ა.შ.

ქვეყანაში იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები. ექსპორტის სახით კი უპირატესად რესურსები გაედინება. როგორც ერთი, ისე მეორე ტენდენცია ქვეყანაში ახალი და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების მულტიპლიკაციის (გამრავლების) შემაფერხებელია. მრავალი ჩვეულებრივი სამომხმარებლო საქონელიც კი გარედან შემოგვაქვს, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ასე მაგალითად, 2008 წლის განმავლობაში 22 მილიონი ლარის ღირებულების კარტოფილი, 19 მილიონის პომიდორი, 17 მილიონის ხახვია იმპორტირებული სხვადასხვა ქვეყნიდან. მხოლოდ ამ ოთხმა კულტურამ 70 მილიონი ლარი შეადგინა. მთლიანად იმპორტირებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ კი - 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი.

აღნიშნული ნეგატიური ტენდენციების მინიმიზებისათვის საჭიროა:

- ექსპორტის ზრდა და პარალელურად იმპორტჩამნაცვლებელი სამამულო პროდუქციის წარმოება;
- ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ექსპორტისა და იმპორტის ოპტიმიზება;
- უფრო აქტიური მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში. თავის არიდება შიდა ბაზრის ზომაზე მეტად დაცვისგან და იმ ფირმების წახალისება, რომლებიც მსოფლიო ბაზრისთვის კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ. ასევე, მნიშვნელოვანია ფასი, ხარისხი, ლარის ბუნებრივი კურსი და სტაბილური მიწოდება. ციტრუსების, ხილისა და სხვათა მიწოდების სტაბილურობა და ხარისხი კი შეუძლებელია მიღწეულ იქნას სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობის გარეშე, ე.ი. აუცილებელია ამ სფეროებში ინვესტიციების განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს წელიწადის ნებისმიერ დროს ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

რაც შეეხება წმინდა ექსპორტს, ეს არის სხვაობა ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის. რადგან წმინდა ექსპორტი იმაზე მეტყველებს, მყიდველია თუ გამყიდველი ქვეყანა. მსოფლიო საქონლისა და მომსახურების ბაზარზე წმინდა ექსპორტს სავაჭრო ბალანსსაც უწოდებენ. თუ წმინდა ექსპორტი დადებითია, მაშინ ექსპორტი იმპორტზე მეტია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანა იმაზე მეტს ყიდის უცხოეთში, რასაც უცხოეთიდან ყიდულობს. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ქვეყანას სავაჭრო უპირატესობა აქვს და, პირიქით, თუ იმპორტი ექსპორტს აღემატება, ქვეყანას სავაჭრო დეფიციტი აქვს. თუ წმინდა ექსპორტი ნულის ტოლია, მაშინ ექსპორტი და იმპორტი ერთმანეთის ტოლია და ამბობენ, რომ ქვეყანას დაბალანსებული ვაჭრობა აქვს.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ზემოქმედებენ საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადებზე. ეს ფაქტორებია:

- მომხმარებლის გემოვნება სამამულო და უცხოური საქონლის მიმართ;
- საქონლის ფასი ქვეყანაში და უცხოეთში;
- სავალუტო კურსი, როლითაც ეროვნული ვალუტით უცხოური ვალუტის ყიდვა შეიძლება;
- ქვეყნიდან ქვეყანაში საქონლის ტრანსპორტირების ხარჯები;
- მთავრობის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებით.

აღნიშნული ცვლადების ცვლილებისას იცვლება საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობაც.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში პროტექციონიზმი აშკარად სჭარბობს ლიბერალიზმს, სახეზეა დახურული ეკონომიკა. ღიასგან განსხვავებით ჩაკეტილ (ავტარკიულ) ეკონომიკაში მხოლოდ იმ საქონლითა და მომსახურებით სარგებლობა შეიძლება, რომელიც მოცემული ქვეყნის შიგნით იწარმოება, საქმიანი გარიგებები და ოპერაციები ხორციელდება მოცემული ქვეყნის შიგნით, ხოლო მათზე ანგარიშსწორება მხოლოდ ქვეყნის ეროვნული ვალუტით ხდება. სხვაგვარად, ავტარკია ერთი, ან რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური თვითუზრუნველყოფაა, გამოცალკევებაა სხვა ქვეყნების ეკონომიკებისგან. ხატოვანი ალეგორიული შედარებით - ძლიერი ქარის შემთხვევაში, კარჩაკეტილი (ავტარკიული) ქვეყნები აშენებენ ქარსაცავ ზოლს (ჯებირს), რათა ქარი არ შემოუშვან. ღია ეკონომიკის ქვეყნები კი ამ ქარს გონივრულად იყენებენ ელენერგიის გამომუშავებისა და ქარის წისქვილის ასამოქმედებლად. მსოფლიოში ამგვარი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ძალიან ცოტა დარჩა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, არსებობს ძლიერი კორელაცია (ურთიერთდამოკიდებულება) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკური

ზრდის ტემპებს შორის. ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტთა მიერ ჩატარებულმა გათვლებმა გვიჩვენა, რომ იქ, სადაც ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ჩაკეტილი ეკონომიკის (პროტექციონისტული) პოლიტიკა, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის საშუალო წლიურმა ზრდამ შეადგინა 0,7%, ხოლო იქ, სადაც ატარებდნენ ღია ეკონომიკის (ლიბერალურ) პოლიტიკას, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ გაიზარდა ხუთჯერ მეტად.

საქართველოში ღია ეკონომიკის ფორმირების ძირითადი მიმართულებებია: შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს მონაწილეობის გაფართოება; საგარეო ეკონომიკური კავშირების, როგორც ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურული გარდაქმნების ინტენსიური ფაქტორის, როლის გაძლიერება; კაპიტალ-აღჭურვილობის, პროდუქციის წარმოების ხარჯებისა და ხარისხის, ანუ, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიხედვით სამამულო წარმოების მსოფლიო დონეზე გასვლა. საქართველოს მსოფლიო მეურნეობასთან ურთიერთქმედების მოდელის შეცვლა: ქვეყნის ახალი საგარეო ეკონომიკური სპეციალიზაციის ბაზაზე ტრადიციული საქონელ-გაცვლიდან თანამშრომლობის უფრო მაღალ ფორმებზე გადასვლა - კაპიტალების გადახლართვა, სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაცია, საწარმოო ინტეგრაცია და სხვა; ქვეყანაში ცალკეული საბაზრო ინსტიტუტების, მექანიზმებისა და მთლიანად კონკურენტული გარემოს ფორმირების დაჩქარება, რომელიც ჯერ კიდევ სუსტია.

გთავაზობთ, სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოში იმპორტისა და ექსპორტის შესახებ, 2008-2011 წლებში:

ექსპორტი (მილიონი აშშ დოლარი)				
	2008	2009	2010	2011
ექსპორტი სულ	1 495,2	1 133,5	1 574,1	2 189,1
მათ შორის:				
იანვარი	96,2	62,0	106,1	149,0
თებერვალი	101,2	73,9	109,7	146,6
მარტი	131,4	82,0	125,1	169,5
აპრილი	135,5	90,6	126,9	192,0
მაისი	144,2	98,3	138,8	199,8
ივნისი	187,0	106,6	113,1	180,2
ივლისი	160,8	102,0	143,4	149,2
აგვისტო	112,0	112,2	112,1	184,4
სექტემბერი	170,5	92,6	119,8	180,9
ოქტომბერი	110,8	103,8	125,8	186,6
ნოემბერი	71,2	97,2	164,8	198,3
დეკემბერი	74,4	112,3	188,6	252,8

იმპორტი (მილიონი აშშ დოლარი)				
	2008	2009	2010	2011
იმპორტი სულ	6 301,5	4 500,2	5 248,5	7 057,8
მათ შორის:				
იანვარი	402,6	342,2	294,0	451,3
თებერვალი	473,8	313,3	330,2	423,8
მარტი	527,7	368,4	438,4	583,8
აპრილი	579,4	324,3	391,6	531,3
მაისი	611,0	325,0	444,3	561,2
ივნისი	600,7	388,6	414,0	567,7
ივლისი	629,2	396,6	420,8	574,0
აგვისტო	438,2	369,1	451,9	682,8
სექტემბერი	543,5	383,6	455,5	616,1
ოქტომბერი	553,7	424,2	502,2	666,1
ნოემბერი	442,4	392,4	494,2	667,8
დეკემბერი	499,3	472,5	611,6	731,8

ხაზგასასმელია, რომ დღეს ყველა ქვეყანა გლობალურ გარემოში ცხოვრობს და, ბუნებრივია, რომ მათი ეკონომიკაც მეტნაკლებად გახსნილია. ქვეყნის მონაწილეობის გააქტიურებას მსოფლიო მეურნეობაში ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია ეწოდება. თუმცა, ეკონომიკური კარგახსნილობა შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. ასე მაგალითად, საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტი დაახლოებით მილიარდ ნახევარი დოლარია (იმპორტი ოთხნახევარჯერ აღემატება ექსპორტს). რომ არა უარყოფითი სავაჭრო სალდო, საქართველოს ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზრდებოდა.

ლიტერატურა:
1. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, მაკროეკონომიკა, სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe
3. http://www.geostat.ge/cms/files/NSDS%20Geo%20Geo.pdf

მცირე ბიზნესი - მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში

თამარ ნადირაძე, ლალი მიჩიტაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე**, ასოცირებული პროფესორი

ისტორიულად მცირე ბიზნესი ჩამოყალიბდა 40 საუკუნის წინ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და დიდი წვლილი შეიტანა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში. ამ დროიდან მოყოლებული მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. იგი ეკონომიკის ის სექტორია, რომელიც კარგ გარემოში რეალურ შედეგს მოუტანს როგორც რეგიონებს, ასევე მთლიანად ქვეყანას. დღესდღეობით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომლისკენაც ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის, განვითარების და მდიდარი საზოგადოების შესაქმნელად ერთ-ერთ და ძირითად გზას თავისუფალი მეწარმეობა და მცირე ბიზნესის გაშლა-განვითარება წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც

მცირე ბიზნესი თანამედროვე საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და თანდათანობით ხდება მისი აღიარება ეკონომიკის შემოქმედებით ძალად.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში ბიზნესის თითქმის ყველა სახეა განვითარებული, რაც დამახასიათიებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამიტომ შესაძლებელია ყველა იმ ბიზნესის წამოწყება, რომელიც არსებობს დასავლეთის ან აღმოსავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა ყველაზე პრიორიტეტულ დარგს მაინც მცირე ბიზნესის ხელშეწყობა წარმოადგენს.

მცირე ბიზნესის განვითარება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განხორციელების ოპტიმალური და უმოკლესი გზაა. ამდენად მისი არსებობა-არარსებობის საჭიროებაზე საუბარი ზედმეტია. საუბარი მხოლოდ იმაზე შეიძლება იყოს, როგორ უნდა მოხდეს ბაზარზე კანონების შესრულება და როგორ უნდა მოხდეს, რომ ბიზნესი, მათ შორის მცირე ბიზნესი, ღირსეულად არსებობდეს. ამისათვის კი საჭიროა მისი თავისებურებების, დადებითი და უარყოფითი მხარეების ღრმად განხილვა.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში ქართული კანონმდებლობით მცირე საწარმოდ ითვლება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 40 კაცს, ხოლო წლიური ბრუნვა 500 000 ლარს აღწევს.

მცირე საწარმოს განმასხვავებელი თავისებურება არის ის, რომ მისი ქონება და ბრუნვა შედარებით მცირე მოცულობისაა, საინვესტიციო რესურსები კი საკმაოდ შეზღუდულია. მცირე ფინანსების გამო მცირე საწარმო დიდადაა დამოკიდებული ბაზარზე ჩამოყალიბებულ სიტუაციაზე და თითქმის არ ძალუძს მისი შეცვლა. პროდუქტის ერთეულზე მისი გაწეული ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე ამავე პროდუქტის მწარმოებელი მსხვილი საწარმოსი, რადგან ტექნიკურ-ტექნოლოგიური აღჭურვა რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ნედლეულის მცირე პარტიებით შესყიდვით უფო ძვირი ჯდება მარაგის შექმნა, ამას ემატება ტრანსპორტირების და სხვა ზედნადები ხარჯები. საბოლოო ჯამში, მცირე საწარმოს რენტაბელურობა მკვეთრად მცირდება. თუმცა, მომგებიანობის დაბალი დონე მცირე ბიზნესის მაღალი მოქნილობით და ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების მეტი უნარით კომპენსირდება. ბაზრის კონიუნქტურის მიხედვით გადაიარაღება და სხვა სახის პროდუქციის გამოშვება პატარა საამქროსთვის ბევრად ადვილია, ვიდრე მსხვილი საწარმოსი. აქედან გამომდინარე, მცირე საწარმოს ნაკლებად მოეთხოვება ბიზნესის ხანგრძლივი პერიოდისთვის დაგეგმვა, სერიოზული მარკეტინგული გამოკვლევები, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მსხვილი ბიზნესისთვის.

მსხვილი ბიზნესისაგან განსხვავებით, მცირე ბიზნესს პატარა კაპიტალის გამო ”პოლიტიკაში პატარა ხმა აქვს” და პოლოტიკურ ცხოვრებაში მათი ინტერესების ლობირება შედარებით დაბალ ეფექტიანია. ამიტომ მცირე ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფოს როლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

- მცირე საწარმოები თავიანთი ფუნქციებით ხელს უწყობენ:

1. საბაზრო, კონკრეტულ ურთიერთობებზე გადასვლას;
2. კერძო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის გამოყენებისთვის ფართო ასპარეზის შექმნას ანუ სიახლის გამოცდას და ახალი საქონლი გამოშვებაზე გადასვლას;
3. მომხმარებლის მოთხოვნისადმი ოპერატიულ რეაგირებას და მის შესაბამისად სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციას;
4. ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და შრომითი რესურსების დასაქმებას;
5. მსხვილი კომპანიების მომსახურებას;
6. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის სამეურნეო საქმიანობის საფუძვლების განმტკიცებას, რადგანაც ისინი ადგილობრივი რესურსებით და ადგილობრივი ბაზრისთვის საქმიანობენ;
7. ქვეყანაში საშუალო კლასის ფორმირებას, რომელიც ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სიღარიბის დაძლევის, სტაბილიზაციის გარანტია;
8. ემანსიპაციის გამო მცირე ბიზნესში ქალთა ჩაბმას.

- მცირე ბიზნესი ხასიათდება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებით. ესენია:

1. მცირე ბიზნესი ხასიათდება მწირი ფინანსებით და არსებობს სიძნელეები დიდი კაპიტალის მოზიდვაში. ინვესტორებს უჭირთ გარისკვა, რადგან მცირე ბიზნესის როგორც დაარსება, ასევე გაკოტრება-განადგურება ადვილია.
2. მცირე საწარმოებს თავდაპირველად ფუნქციონირება უწევთ მცირე მოგებით, რადგან საქონლის მცირე პარტიებით შესყიდვის გამო საბოლოოდ ძვირი ჯდება საქონლის მარაგების შექმნა.
3. მცირე ბიზნესი ხასიათდება წარუმატებლობის მაღალი მაჩვენებლით. ამის მიზეზი კი არის საწარმოს შექმნის სიადვილე, ხოლო შედეგი - ცუდი მართვა. თანაც ზოგჯერ მცირე ბიზნესში მოუმზადებელი ადამიანებიც ჩნდებიან. ამასთანავე მცირე ფირმები წარუმატებლობას განიცდიან კიდევ იმის გამო, რომ მათ ხელმძღვანელებს აქვთ პროფესიონალიზმის უკმარისობა.

ყველა ზემოთ აღნიშნული დადებითი და უარყოფითი მხარის მიუხედავად, მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას და მათ შეზღუდული ბაზრის პირობებშიც კი შეუძლიათ მოძებნონ, დაიკავონ ნიშა და იმუშაონ მომგებიანად.

საქართველო მცირე საწარმოთა რაოდენობით ბევრად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. განვითარებულ ქვეყნებში ყოველ 30-50 კაცზე და ზოგგან 15-ზეც ერთი მცირე საწარმოა, მაშინ როდესაც საქართველოში ყოველ 1000 მცხოვრებზე 15 მცირე საწარმოა. მაგრამ რაოდენობათა სიმცირის მიუხედავად, საქართველოში მცირე ბიზნესში დასაქმებულია მთლიან დასაქმებულთა 25%, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 49%-ს შეადგენს ინგლისში, ხოლო გერმანიაში - 80%-ს. საქართველოში მცირე მეწარმეთა რიცხვი დაახლოებით 85 000-ია. თბილისში თითოეული ასეთი ბიზნესმენის დაქვემდებარებაში საშუალოდ 7-მდე, ხოლო რაიონებში 4-მდე თანამშრომელი საქმიანობს.

მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური როლის გამო, მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში მათ ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც სპეციალურად მცირე ბიზნესის განვითარებისთვის არიან დაფუძნებულნი. პირველად მსოფლიოში მცირე ბიზნესის დახმარების გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო, ხოლო საქართველოში მცირე საწარმოების გამოკვლევის პროექტი 2004 წლის მაისში დაიწყო. მისი მიზანია საქართველოში ბიზნესისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. აი ის სამი მთავარი საკითხი, რომელიც ჭრის მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ამოცანას:

ა) მცირე მეწარმეობის წახალისება - იმისთვის, რომ რაც შეიძლება ბევრმა დაუსაქმებელმა ადამიანმა გადაწყვიტოს საკუთარი საქმის დაწყება და ამისათვის გადადგას პირველი ნაბიჯები.

ბ) მცირე მეწარმეების სწავლება - იმისთვის, რომ რაც შეიძლება ბევრმა მცირე მეწარმემ მათი საქმიანობის პირველივე ნაბიჯებისას რაც შეიძლება მეტი სწორი, ეფექტური გადაწყვეტილების მიღება შეძლონ როგორც მმართველობითი, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით.

გ) მცირე მეწარმეების დახმარება გაყიდვებში - იმისთვის, რომ მიიღონ პირველი შემოსავლები, რაც კიდევ უფრო გაუზრდის მოტივს, დაეხმარება დამატებითი საჭირო სახსრების მოძიებაში, საწარმოო საშუალებების შეძენაში და გაუმჯობესებაში (ეს არის ყველაზე კრიტიკული საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ცალკე აღებულ ერთ მეწარმეს ძალიან უჭირს ან არ შეუძლია და რომლის გარეშეც საქმის დაწყების პერსპექტივაც არ ჩანს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ამ მიმართულებით არის იდეების მიწოდება თუ რა შეიძლება აკეთონ ადამიანებმა, ვინც საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტა და თუ რა შესაძლებლობები არსებობს. ამ იდეების მოსაგროვებლად უამრავი გზაა: უცხოური გამომცემლობები, ინტერნეტ კატალოგები, კონკურსები და პროგრამები. ესეც რომ არა, მარტო ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის ჩამონათვალი რომ აიღო და შესთავაზო ადამიანებს, რომ ადგილზე დაიწყონ იგივეს წარმოება და თანაც შენი მხრიდან დაპირდე ეროვნული პროდუქციის გაყიდვების სტიმულირებას შესაბამის კამპანიების განხორციელებით, მარტო ამას შეუძლია დიდი ბიძგი მისცეს მცირე მეწარმეობის განვითარებას.

მესამე და ასევე მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის შექმნა, რომელიც განუმარტავს ახლად დამწყებებს ან მცირე მეწარმეობის მსურველებს ყველა იურიდიულ და ტექნიკურ დეტალს - საკუთარი საქმიანობის დაწყების იურიდიული რეგისტრაციის, თავდაპირველი ნაბიჯებისა და სახელმწიფოს ან სხვა მხრიდან დახმარების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

ისეთი განვითარებული ქვეყანაში, როგორიცაა ამერიკა და იაპონია, თავისი განვითარების დონეს სწორედ მცირე და საშუალო საწარმოებს უნდა უმადლოდეს. ამასთანავე საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგების ძირითადი სტრუქტურული ერთეულები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია. საქართველოსთვის კი ეს დარგები ტრადიციულია, ამდენად მცირე ბიზნესი საქართველოში მცირე პრივატიზების საუკეთესო საშუალებად უნდა მოგვევლინოს. კერძოდ, მსუბუქ მრეწველობაში მიზანშეწონილია განკერძოვდეს საწარმოთა დაახლოებით 70%-ი, ხოლო კვების მრეწველობაში 60%.

სახელმწიფოს მცირე მეწარმეების დასახმარებლად შეუძლია გამოაცხადოს ტენდერები სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე, როგორიცაა გიდების სკოლა, საკონდიტრო საქმე, ხეზე მუშაობა, თიხაზე მუშაობა, მინანქარი და საიუველირო საქმე, მცირე ფერმერული მეურნეობის მართვა და კიდევ ბევრი სხვა, რომელზეც შეიძლება იყოს მოთხოვნა.

ლიტერატურა:

1. უ. სამადაშვილი, „ბიზნესის საფუძვლები“, 2007.
2. თ. შენგელია, ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები'', 2008.

3. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, 2009.
4. http://geostat.ge
5. http://buzinessnews.ge

სამომხმარებლო კალათა და მისი გამოთვლის გზები

მაკა საათაშვილი, რუსუდან პოღოზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

სამომხმარებლო კალათა სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ქვეყანაში არსებული ინფლაციის დონის) გასაანგარიშებლად გამოიყენება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განცხადებით, 2012 წლის იანვრიდან განახლებული სამომხმარებლო კალათა ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას დაეფუძნება. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციას წარმოადგენს, რომელსაც ევროსტატი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სთავაზობს. განახლებული სამომხმარებლო კალათა მოსახლეობის დანახარჯების უახლეს სტრუქტურას ასახავს, რაც უფრო საიმედოს ხდის სამომხმარებლო ფასების ინდექსს - ინფლაციის მაჩვენებელს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სამომხმარებლო კალათა განაახლა. მეთოდოლოგიის მიხედვით, სამომხმარებლო კალათის განახლებას პერიოდულად ყველა ქვეყანა ახდენს. სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე. მოხმარების პროპორციულად თითოეულ საქონელსა და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. სამომხმარებლო კალათა შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთა მოხმარება ყველაზე ხშირია საქართველოს შინამეურნეობების (მომხმარებლების) მიერ. კალათის განახლება 3 წელიწადში ერთხელ ხდება. უკანასკნელად ის განახლდა 2010 წლის იანვარში. ამჟამად კალათა 266 სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას შეიცავს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე, სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებას 1992 წლიდან ახორციელებს. ის ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას ზომავს. სამომხმარებლო ფასების ყოველთვიური რეგისტრაცია ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი) ხორციელდება. ფასების რეგისტრაციას ფასების ოცი რეგისტრატორი აწარმოებს, რომელთაც გადანაწილებული აქვთ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტები. ამ ობიექტების მთლიანი რაოდენობა 1300-ს აღემატება. მათ შორის, 300-ზე მეტი ობიექტი განთავსებულია თბილისში. სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების რეგისტრაციას ფასების რეგისტრატორები ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით აწარმოებენ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებზე, სამედიცინო დაწესებულებებში, კომუნალური მომსახურების ობიექტებში და სხვა. 21 რიცხვიდან კი საქსტატის ცენტრალურ ოფისში მონაცემების მიღება, მათი კონტროლი და კომპიუტერული დამუშავება ხდება.

ინფლაციის მაჩვენებლის ოფიციალურად გამოქვეყნების ვადა ყოველი მომდევნო თვის 3 რიცხვია. მთლიანობაში ხდება ინფლაციის ოთხი მაჩვენებლის გაანგარიშება და გამოქვეყნება. ესენია: ინფლაცია წინა თვესთან, ინფლაცია წინა წლის დეკემბერთან, ინფლაცია წინა წლის შესაბამის თვესთან პერიოდის და საშუალო ინფლაცია. სამომხმარებლო კალათა იდენტურია ხუთივე ქალაქისთვის და მასში შედის ის საქონელი და მომსახურება, რომელსაც ტიპური მომხმარებელი იძენს. რაც შეეხება საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს, საქსტატი მას 2004 წლიდან იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ანგარიშობს, რომელიც განსაზღვრული და დადგენილია "საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთე-

ლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის N 111/ნ ბრძანების შესაბამისად. 2004 წლამდე საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლების გაანგარიშებას სხვა მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე ახორციელებდა. სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიური ცვლილებებით აიხსნება 2004 წლამდე და 2004 წლის შემდგომი პერიოდისთვის გაანგარიშებულ მონაცემებს შორის სხვაობა. 2011 წლის დეკემბრისათვის კი საქსტატმა საარსებო მინიმუმის შემდეგი მონაცემები გამოაქვეყნა: შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი - 156,9 ლარი თვეში; საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი - 139,0 ლარი თვეში; საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი - 263,3 ლარი თვეში.

ძირითადი ჯგუფები COICOP კლასიფიკატორის მიხედვით და მათი პროცენტული წილი სამომხმარებლო კალათაში ასე გამოიყურება:
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები 40.1%
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო 2.9%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი 4.3%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები 13.9%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება 3.6%
ჯანმრთელობის დაცვა 9.0%
ტრანსპორტი 10.4%
კავშირგაბმულობა 4.2%
დასვენება, გართობა და კულტურა 2.2%
განათლება 5.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები 1.8%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება 2.5

მინიმალური სამომხმარებლო კალათა (სასურსათო კალათა) იმ პროდუქტების ჩამონათვალია რომელიც ადამიანმა არსებობისთვის ყოველდღიურად უნდა მიიღოს. აღნიშნულ ჩამონათვალში 40-მდე დასახელების პროდუქტია: პური, შაქარი, ზეთი, რძის ნაწარმი, ხორცეული, ხილ-ბოსტნეული და ა.შ. რომელთა სია და დღიური მოხმარების რაოდენობა ჯანდაცვისა და სოციალური სამინისტროს მიერ 2003 წლის 8 მაისის ბრძანებითაა დამტკიცებული. გარდა საკვები პროდუქტებისა, ,,ქართულ კალათაში" ისეთი სამომხმარებლო ნივთებიცაა შესული, როგორიცაა მაგალითად – დათბილული ქურთუკი, სეზონური ფეხსაცმელი, პიჯაკი, საკერავი ძაფი, მატყლის საბანი, მედიკამენტები, კომუნალური გასახადები და სხვა მრავალი. თუმცა ხშირად ისმის ჩივილი იმასთან დაკავშირებით, რომ რეალურად სამომხმარებლო კალათაში გათვალისწინებული საკვები პროდუქტების განსაზღვრული რაოდენობა არ შეესაბამება ადამიანის მოთხოვნილებებს. მონაცემების შეკრების შედეგად მივიღებთ, რომ ზრდასრულ მამაკაცს ერთი თვის მანძილზე საარსებოდ სჭირდება: 11 ცალი პური (დაახლოებით 700 გრამი), 300 გრამი ზეთი და ა.შ. გარდა ზეთისა, აქ სხვა ცხიმებიცაა გათვალისწინებული (მარგარინი, კარაქი) თუმცა მათი საერთო რაოდენობაც კი არარეალურად დაბალია. სიღარიბის ზღვარმა 2008 წლისათვის 149 ლარი შეადგინა. ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი კი, ამავე წლის მონაცემებით 113 ლარი იყო. თუ ამ მაჩვენებლებს 2009 წლის მონაცემებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ მათი რაოდენობა 5 ლარითაა გაზრდილი. დღეს სოციალურად დაუცველთა დახმარებას დაახლოებით 150 ათასამდე ოჯახი იღებს. რაც შეეხება სარეიტინგო ქულებს, მისი გამოთვლის ფორმულა მოიცავს სოციალური აგენტის მიერ შემდეგი ინდექსების გამოკვლევას:

1. სასოფლო-სამეურნეო ქონების;
2. სასფოლო-სამეურნეო ქონების (პირუტყვი);
3. არასასოფლო-სამეურნეო ქონების;
4. შემოსავლების;
5. ხარჯების;
6. დემოგრაფიული პირობების;
7. განათლებისა და ჩვევების;
8. საცხოვრებელი ბინის პირობების;
9. ტერიტორიული მდებარეობის;
10. ინტერვიუერის;
11. უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახისა და დევნილის ყოველთვიური შემწეობის.

ეს ინდექსები იყოფა სამომხმარებლო და საჭიროების ინდექსებად და გვაძლევს სარეიტინგო ქულას.

შეიძლება ვთქვათ, პრინციპი საერთოა და 12 ჯგუფსაც ყველა ქვეყანა იყენებს. ეს საერთაშორისო ნორმებით მიღებული ჯგუფებია, თუმცა ზოგ სახელმწიფოს სამომხმარებლო კალათაში მეტი პროდუქტი აქვს ჩადებული, ზოგს - უფრო ნაკლები. მაგალითად, თურქეთის სამომხმარებლო კალათაში წააწყდებით ასეთ "პროდუქტს" - მექაში გამგზავრება და ამ ქალაქის მოლოცვა. თურქებისთვის ეს არის ერთ-ერთი მსხვილი ხარჯი და ამ პუნქტსაც თავისი წონა აქვს. ბუნებრივია, ასეთი რამ ჩვენს სამომხმარებლო კალათაში არ შეგვხვდება. ყველა ქვეყანაში, თავისი კულტურისა და ტრადიციებიდან გამომდინარე, აქვთ სამომხმარებლო კალათაში ჩადებული ესა თუ ის საქონელი და მომსახურება. მაგალითად, ინგლისში, ვრცელ სამომხმარებლო კალათაში გათვალისწინებულია გოლფის თამაშის საფასური... ამ ქვეყნის სამომხმარებლო კალათაში გართობასა და დასვენებას გაცილებით დიდი წონა აქვს ჩვენთან შედარებით, ლათინურ ამერიკაში ბანანის მოხმარების წონაა დიდი, აშშ-ში სხვა ქვეყნებზე "მძიმეა" ბინის ქირის ხვედრითი წონა.

ქართულ სამომხმარებლო კალათაში ძირითადად 12 ჯგუფი რჩება, თუმცა 2010 წლის კალათაში "იდო" აუდიოკასეტა, ახლა ეს პუნქტი აღარ არის საჭირო, რადგან აუდიოკასეტებზე მოთხოვნილება ნაკლებია. ახლა შეტანილია კომპაქტდისკი, მაგრამ შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ ისიც ამოვარდეს. 2012 წლის სამომხმარებლო კალათაში მოიმატა კომპიუტერების წონამ, რადგან კომპიუტერს უკვე ბევრი ყიდულობს.

სამომხმარებლო კალათის სწორად შედგენა ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია, ფასების ცვლილების დროული ასახვა სიგნალია ეროვნული ბანკისთვის, რათა სწორი პოლიტიკა გაატაროს. რაც უფრო ზუსტი იქნება ეს მონაცემი, მით უფრო ადრე დაიჭერს თადარიგს ეროვნული ბანკი, რათა არასასურველი რყევების არიდებას შეეცადოს.

ლიტერატურა:

http://24saati.ge/index.php/category/business.
http://www.kvirispalitra.ge/

ევრო - ერთიანი ევროპული ვალუტა

ნინო სოსიაშვილი, ნინო მაზმიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

საერთო ვალუტის შემოღებით ევროპის საფონდო ბაზარს თავისუფლად შეეძლო ლიდერის პოზიციაში დამკვიდრება და დოლარისათვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროპას ქრონიკულად არ უმართლებდა. როგორც კი ცალკეულ ქვეყნებში ახალი ბანკნოტები დაიბეჭდებოდა, მაშინვე ინფლაცია იწყებოდა. ევროპის გაერთიანებული ვალუტის შემოღებით არსებულ სიტუაციას ბოლო უნდა მოღებოდა. ევროს მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ოპტიმისტთა ჟრიამულმა გადაფარა და 1998 წლის 3 მაისს ევროპის 11-მა ქვეყანამ საბოლოო გადაწყვეტილება ოფიციალურად დააკანონა. თავდაპირველად ერთიანი ვალუტის სახელწოდებად „ეკიუ“ შეარჩიეს, რამაც გერმანელები გაანაწყენა, სახელი ძალიან ფრანგულად ჟღერდა. „ევრომარკა“ კი, პირიქით, ფრანგებს არ მოეწონათ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ვალუტისათვის „ევროს“ დარქმევაზე შეჩერდნენ. ვალუტის სიმბოლოს შესარჩევ კონკურსში 30 ესკიზი იღებდა მონაწილეობას. გამარჯვებულად დღეისათვის ყველასათვის ნაცნობი სიმბოლო დაასახელეს. ექსპერტთა აზრით, ნიშანი ძალიან წააგავს ბერძნულ „ეპსილონს“, რაც ევროპის პირველ ასოსთან ასოცირდება, ხოლო ვარსკვლავებით გამოხატული ნახევარწრე ვალუტის სტაბილურობას მიანიშნებს. ბანკნოტების დიზაინის კონკურსი ჯერ კიდევ 1996 წელს გამოცხადდა. ასეული პროექტიდან გამარჯვება ავსტრიელ მხატვარს, რობერტ კალონის ხვდა წილად. კუპიურების ბეჭდვა ევროსაბჭოს 11 ტოპოგრაფიაში ხდება, ქაღალდს კი 10 სხვადასხვა საწარმოში ამზადებენ. საერთო წყლის ნიშნების მიუხედავად, კუპიურების იდენტურობის გარანტიას ვერავინ იძლევა. ევროს მონეტების შემქმნელებმაც ბევრი იწვალეს, თემატიკაზე სწრაფად შეთანხმდნენ: არქიტექტურა, აბსტრაქტული ნახატი და „ძველი სამყაროს“ ცნობილი პიროვნებები. მეტალურგებმა სწრაფად გამოთვალეს, რომ ახალი მონეტის გამოდნობისთვის 300 000 ტონა ლითონი იყო საჭირო, როდესაც მთლიანად ევროპაში ლითონის

წარმოება წლიურ 650 000 ტონას შეადგენს. შესაბამისად საჭირო გახდა ძველი მონეტების გადადნობა. მიმოქცევაშია 5, 10, 20, 50, 100, 200 და 500 ევროს ბანკნოტები და 1, 2, 5, 10, 20 და 50 ევროს მონეტები. ევროს სიმბოლო შეირჩა სამი კრიტერიუმის გათვალისწინებით: ამოცნობის სიმარტივე, სიმბოლოს მარტივად დაწერის შესაძლებლობა და ეთიკური მიმზიდველობა. შემუშავებულ იქნა 30 სამუშაო ვარიანტი, მათ შორის 10 ვარიანტი საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეს და კონკურსის წესით ერთზე შეთანხმდნენ. ევროს კუპიურების სტილი ერთნაირია ევროზონის ყველა ქვეყნისთვის, თითოეული კუპიურა განსხვავდება ფერით და ზომით.

ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღება ერთ-ერთი ამბიციური პროექტი იყო. ევროზე გადასვლის **პირველი ეტაპი** 1990 წლის ივლისში დაიწყო და მოხდა სავალუტო შეზღუდვების სრული მოხსნა ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. **მეორე ეტაპი** დაიწყო 1994 წლის იანვარში და გაგრძელდა 1998 წლის დეკემბრამდე. ამ ეტაპზე მოხდა ფრანკფურტში ერთიანი ევროპული სავალუტო ინსტიტუტის ჩამოყალიბება - ევროპის ცენტრალური ბანკის სახით. ამისათვის მომზადდა საჭირო იურიდიული ბაზა და ჩატარდა მთელი რიგი პროცედურრები, კერძოდ ევროსაბჭომ განსაზღვრა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც ახალ კავშირში გაერთიანდებოდნენ. ევროპის ცენტრალური ბანკის ორგანიზაციას საფუძვლად დაედო გერმანიის ბუნდეს-ბანკის წესდება, ხოლო ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული ბანკები ევროპის ცენტრალური ბანკის ფილიალებად გადაიქცნენ. ევროპის ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს:

- ევროკავშირის ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებას;
- განახორციელებს უცხოურ ვალუტებთან გაცვლით ოპერაციებს;
- განახორციელებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ოფიციალური სავალუტო რეზერვების მართვას.
- უზრუნველყოფს საანგარიშსწორებო სისტემების შეუფერხებელ ფუნქციონირებას;
- კომპეტენტურ კონტროლს უწევს ზონაში მოქმედ საკრედიტო ინსტიტუტებს და უზრუნველყოფს ევროკავშირის ერთიანი ფინანსური სისტემის სტაბილურობას.

მესამე ეტაპი დაიწყო 1999 წლის იანვრიდან და გაგრძელდა 2002 წლის 30 ივნისამდე. ამ ეტაპზე, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, დაიგეგმა ევროს გამოყენება უნაღდო ანგარიშსწორებაში და მოხდა მისი კოტირება მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე. 2002 წლის 1 იანვრიდან ევრო შედის ნაღდ ბრუნვაში და მთელი რიგი ევროპული სახელმწიფოების ეროვნული ვალუტები ისტორიის საკუთრება ხდება. 2002 წლის 1 იანვარს 00 საათზე ევროკავშირის 12 ქვეყანაში მიმოქცევაში ევრო შევიდა. ევროკავშირის ლიდერები ევროს შემოსვლაზე მადრიდში შეთანხმდნენ. ევროკავშირის წევრმა სამმა ქვეყანამ – დიდმა ბრიტანეთმა, დანიამ და შვეიცამ საკუთარ ვალუტაზე უარი არ თქვეს, თუმცა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ საცალო ვაჭრობაში ევროს მიიღებდნენ. ექსპერტების შეფასებით ევრომ უკვე დაამტკიცა ეფექტურობა, მისი წყალობით ევროპა ადრინდელზე სტაბილური გახდა. ევრო ზონის ერთ-ერთი აქტიური წევრია ბელგია. იგი ევროკავშირის თავჯდომარეა, ამიტომ ამ ქვეყნის მცხოვრებნი განსაკუთრებულად ელოდნენ ევროს, ასევე მხარს უჭერდნენ ევროზონის შექმნას ფრანგები და ამ მხარდაჭერამ 75% შეადგინა მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი ბანკირები ირწმუნებოდნენ – ევროზე გადასვლას 50 ათასი ახალი თანამშრომელი დასჭირდებოდა. განსხვავებული პოზიცია გამოხატეს ფინელებმა და პორტუგალიელებმა. ევროს შემოღებას ამ ქვენების მოსახლეობის მხოლოდ 30% უჭერდა მხარს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით მოსახლეობის 88%–სთვის ევროზე გადასვლა მოხდა სრულიად უმტკივნეულოდ. ევროს შემოღების ინიციატორებად და პროპაგანდისტებად გერმანელები მოგვევლინენ, რაც ერთი შეხედვით უცნაურია, რადგან გერმანული მარკა გაერთიანებულ ევროპაში ერთ–ერთ მყარ ვალუტად ითვლებოდა.

საერთო ევროპული ვალუტის გამოჩენასთან დაკავშირებულმა ეიფორიამ მალე გაიარა. პირველივე თვეებიდან ევრომ პოზიციების დათმობა დაიწყო. 1999 წლის მარტისთვის დოლართან შეფარდებაში მისმა კურსმა 10%–ით, ხოლო წლის ბოლოსთვის 20%–ით დაიწია. მკვეთრ დევალვაციას ორი მიზეზი მოუძებნეს: ბალკანეთის ომი და ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის მიერ მოთხოვნილებების შეუსრულებლობა.

2000 წლის 5 მარტს კიდევ ერთი უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობამ 80 მლნ. ევრო გამოყო ევროს რეკლამისათვის. სარეკლამო კამპანიის შემდეგ ევროს კურსის სტაბილურობა მაინც ვერ მოხერხდა. თუ 80 მლნ. ევროდ შეფასებულ სარეკლამო კამპანიას დავუჯერებთ „ერთიან ევროპულ ფულის ერთეულზე ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელი ოცნებობდა.“

ევროსკენ გასავლელი გზა ძნელია, რადგან ევროკავშირში შემავალმა ქვეყნებმა უპირობოდ უნდა დაიცვან მაასტრიხის შეთანხმების შემდეგი 4 პირობა:

- ფასების სტაბილურობა, კერძოდ ქვეყანაში ინფლაციის დონემ არ უნდა გადააჭარბოს 1,5%-ს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 3%-ს;

- საერთო სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს;
- გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის ნომინალური მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს ინფლაციის ყველაზე დაბალი ტემპების მქონე სამი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.

საწყის ეტაპზე ამ მოთხოვნებს მხოლოდ ერთი ქვეყანა - ლუქსემბურგი აკმაყოფილებდა. მომდევნო წლებში ეს მოთხოვნები ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულოდ შესასრულებელი გახდა. ამ მოთხოვნების ფონზე ყველაზე დიდ პრობლემად რჩებოდა სახელმწიფო ვალის შემცირება და ბიუჯეტის დეფიციტი. პრობლემების დასაძლევად გერმანიის ფინანსთა მინისტრმა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შესთავაზა „სტაბილურობის პაქტი". 1996 წლის დეკემბერში დუბლინში ჩატარებულ საერთოევროპულ შეხვედრაზე აღნიშნული დოკუმენტი მოწონებულ იქნა. პაქტი ითვალისწინებდა მთელ რიგ პოლიტიკურ და ფინანსურ ღონისძიებებს, სანქციების ისეთი სისტემის შემოღებას, რომლებიც საჭირო კრიტერიუმების დარღვევისთანავე ავტომატურ რეჟიმში ამოქმედდებოდა. დოკუმენტის ხელმოწერისთანავე მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე მიღწეულ იქნა საიმედოობის მაღალი ხარისხი.

საერთაშორისო ექსპერტები ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღებიდან დღემდე საუბრობენ მის **რისკებზე** და ერთ-ერთ უდიდეს რისკად ასახელებენ იმას, რომ ევროს უკან იდგა არა ერთი სახელმწიფო, მკვეთრად გამოხატული ინტერესებით და მიზნებით, არამედ სახელმწიფოთა ნაკრები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, სამართლებრივი ბაზით და კულტურული ტრადიციებით. ევროკავშირის შიგნით ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას ართულებს ინსტიტუციური და პროცედურული სირთულეები, რომლებიც განსაკუთრებით თავს იჩენენ კრიზისული სიტუაციების დროს და თამაშობენ ძალზედ უარყოფით როლს. ექსპერტები მთავარ პრობლემას ხედავენ იმაში, რომ ფულადი მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების რეგულირება ევალება ევროპის ცენტრალურ ბანკს, ხოლო საფინანსო პოლიტიკის განხორციელება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების ხელშია. მეორეს მხრივ, ევროკავშირის მიერ დამტკიცებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო სამართლებრივი ჩარჩოები მის წევრ ქვეყნებს ერთგვარ შეზღუდვებს უქმნის და არ აძლევს საშუალებას, რომ მათ საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე გაატარონ მოქნილი და აქტიური ფინანსური პოლიტიკა.

ევროს სტაბილურობის რისკჯგუფში ასახელებენ იმ ფაქტორსაც, რომ ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღებამ ზონის შიგნით შრომითი რესურსების არათანაბარი გადანაწილება გამოიწვია. მაგალითად ირლანდიას ჰქონდა დინამიურად მზარდი ეკონომიკა და ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ამ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი 8%-მდე დაეცა, ხოლო გერმანიას ევროზონაში შესვლამდე ჰქონდა მყარი და სტაბილური ვალუტა და, შესაბამისად, ეკონომიკაც, კავშირში გაერთიანების შემდეგ კი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი 3%-მდე დაეცა. შრომითი რესურსების არათანაბარმა გადანაწილებამ მთელ რიგ ქვეყნებში უმუშევრობის დონის აწევა გამოიწვია.

ექსპერტების აზრით ევროზონა ჯერ კიდევ არ გახლავთ ოპტიმალური სავალუტო ზონა. ეს უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათის ურთიერთკავშირია, ვიდრე ეკონომიკური. 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდეც ევროკავშირის წევრი ბევრი ქვეყნისათვის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ფინეთი), იყო დამახასიათებელი ეკონომიკური ციკლის მნიშვნელოვანი დარღვევები, რამაც ასახვა პოვა ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში. 2006-2007 წლებში ირლანდიაში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 7,5%, იტალიაში მხოლოდ 1,3%. ინფლაციის დონემ ესპანეთში შეადგინა 1,8% მაშინ, როდესაც საფრანგეთში მხოლოდ - 0,6%. საერთაშორისო ექსპერტების პროგნოზით უახლოესი 10 წლის განმავლობაში ინფლაციის დონე იტალიაში, ესპანეთში და პორტუგალიაში გაცილებით დაბალი იქნება ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ანალიტიკოსების აზრით დღესდღეობით ევროს სერიოზული საფრთხე ემუქრება. ფაქტია, რომ ევროპაში მიმდინარე პრობლემების გამო, გასული ნახევარი წლის განმავლობაში ევროს თვითღირებულება 10%-ით შემცირდა. რაც უფრო სწრაფად გაგრძელდება ევროს გაიაფება, მით უფრო სწრაფად იქნება შესაძლებელი ისეთი ქვეყნების ეკონომიკური ვითარების გამოსწორება, როგორიც იტალია, ესპანეთი და საფრანგეთია.

საფრანგეთი და გერმანია ევროპის უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყნებია. ისინი გამუდმებით ცდილობენ გეგმის დასახვას, რომ ევროზონა და მასთან ერთად ევრო გადაარჩინონ. მათ ერთ-ერთ მთავარ სამუშაო სტრატეგიად ევროზონის მეტი ცენტრალიზება მოიაზრება. ევროკავშირი დღეს ევრო ზონის გადარჩენის უახლეს გეგმას განიხილავს. ბევრ ადამიანს აწუხებს ევროს ბედი. ევროკავშირის ლიდერებს თავიანთი ვალუტის გასამყარებლად ახალი ზომების მიღება მოუწევთ. თუმცა იქნება ეს საკმარისი ევროს გადასარჩენად? ევროს სამწლიანი კრიზისის ფონზე დღეს აღარავინ უარყოფს რომ ვითარება მართლაც სერიოზულია.

ახალი გეგმა ევროს მიმართ ინვესტორების ნდობის აღდგენისათვის მაღალი მხარჯველობით გამორჩეული ქვეყნებისგან მხოლოდ ხელმომჭირნეობის პოლიტიკის გატარებას არ მოითხოვს. პირველად ხდება, რომ ხელმომჭირბნეობის პოლიტიკით გათვალისწინებული მიზნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სადამსჯელო სანქციებია დაწესებული. ხელშეკრულება ევროზონის გადარჩენას დიდწილად ბრიუსელის როლის გაზრდაში ხედავს.

ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემაა ამ გეგმაზე ევროპის პერიფერიული ქვეყნების მთავრობათა დამაჯერებლად დაყოლიება. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საბერძნეთი, იტალია ან პორტუგალია ძალიან ცდილობენ თავიანთი ფისკალური სტრუქტურების მოწესრიგებას. რისთვისაც ხშირად უწევთ თავიანთი სოციალური საფასურის გადახდა და თავიანთი ეკონომიკური ზრდის შეფერხება. კარგი იქნება თუ ეს ქვეყნები თავისი მოსახლეობის მიმართ ხელმომჭირნეობის პოლიტიკას კიდევ უფრო განამტკიცებენ ან თუ თავის ბიუჯეტზე ფისკალურ დამოუკიდებლობაზე იტყვიან უარს. ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც შეიძლება ამ საკითხის მიმართ უკმაყოფილებას ნაციონალური ელფერი მისცეს, არის ის, რომ ბევრი ხელშეკრულების პრობლემის გადასაჭრელად გერმანიის მიერ თავმოხვეულ გეგმად აღიქვამს.

ვფიქრობთ, ევროზონის ქვეყნებში საბიუჯეტო დეფიციტის შესამცირებლად საუკეთესო გამოსავალი ევროზონის ფარგლებს მიღმა ექსპორტის მოცულობის ზრდაა. დღესდღეობით დისკუსია და მოქმედება კვლავ ევროს გადარჩენაზეა კონცენტრირებული.

ლიტერატურა:

1. გიორგი ცაავა, შოთა გავაშელი, თინათინ ცაავა, ,,მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიოს სავალუტო სისტემა. გამომცემლობა უნივერსალი, თბ., 2009.
2. www.geres.ge
3. www.voanews.com/..../135260758
4. www.geuralia.org/news/ ევრო კვება/

ტურიზმი - ქართული ეკონომიკის პრიორიტეტი

ნინო ტერტერაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესის და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

საქართველო სათავგადასავლო, კულტურულ-ეთნოლოგიური და ეკოტურიზმისათვის უნიკალურ ადგილს წარმოადგენს. ბუნებრივ სილამაზეთა დიდი მრავალფეროვნება, ისტორიულ სიძველეთა სიმრავლე, ადამიანთა გასაოცარი სტუმართმოყვარეობა და შესაბამისი წეს-ჩვეულებები, უმდიდრესი ფოლკლორი და მრავალფეროვანი სამზარეულო - ეს ის ნაზავია, რომელიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებებსა და სრულფასოვან დასვენებას განაპირობებს. ამასთან გაოცებას იწვევს ამ შედარებით მცირე ტერიტორიაზე კლიმატური ზონებისა და ბუნებრივი ლანშაფტების ასეთი მრავალსახეობა. აქ შეიძლება ერთ დღეს დატკბეთ კავკასიონის ულამაზესი მთიანი მასივებით, შეიგრძნოთ ალპიური ზონის ბუნების ხიბლი, ისრიალოთ სამთო სათხილამურო კურორტზე, მეორე დღეს აღმოჩნდეთ შავი ზღვის სანაპიროზე - სუბტროპიკულ ზონაში, მესამე დღეს კი შეიგრძნოთ სამხრეთ საქართველოს კონტინენტალური სიმშრალე. საქართველო ტურისტებისათვის ყოველწლიურად მზარდი ინტერესის საგანს წარმოადგენს, რაც გამოიხატება ტურისტების რაოდენობის ყოველწლიურ მატებასა და საქართველოში არსებული თანამედროვე ინფრასტრუქტურის ხარისხის დღითიდღე გაუმჯობესებაში. მისი თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქები და დასახლებები, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო – ქმნის საქართველოს ტურისტულ ქვეყნად. საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს. ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზემო სვანეთის რეგიონი, რომელიც ტურისტებისათვის მიმზიდველი ადგილია მისი უნიკალური ბუნებისა და უძველესი ისტორიული ძეგლების გამო. მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ინვესტიციების მოსაზიდად, მესტიის განვითარების მიზნით. რეგიონს გააჩნია მახასიათებლები, რომლებიც მხოლოდ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გვხვდება, კერძოდ, ზაფხულის სათხილამურო ტრასა. აქედან გამომდინარე უშბის ზეგანზე, რომელიც აკმაყოფილებს ოლიმპიურ მოთხოვნებს, შესაძლებელია 5-6 წელიწადში მოეწყოს ათი მაღალი დონის სათხილამურო კურორტი. მესტიის ახალ აეროპორტს გააჩნია შესანიშნავი მდებარეობა და განვითარების საინტერესო პერსპექტივები. აღნიშნულ აეროპორტში შესაძლებელია ყოველდღიური ფრენების შესრულება, რაც ხელს შეუწყობს მესტიისა და უშგულის მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრებად ჩამოყალიბებას. ამასთან, აეროპორტი ერთმანეთთან დააკავშირებს სვანეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებს.

საქართველოს ტურისტული ბაზრის განვითარების უამრავი მიკრო თუ მაკრო ხელშემშლელი მიზეზი არსებობს. მათ შორისაა:

განთავსების საშუალებების არასათანადო დონე და რაოდენობა (განსაკუთრებით რეგიონებში). უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთ პილოტურ რეგიონებს, სადაც ვიზიტორთა ნაკადები არსებობს და მოთხოვნა ჭარბობს შეთავაზებას. ასეთია მაგ.: ხევსურეთი, თუშეთი, კახეთის ზოგიერთი რეგიონი, იმერეთი, აჭარა. საჭიროა სასტუმრო საოჯახო სახლების განვითარების ხელშეწყობა სერვისის სწავლებით, იაფი სესხით, ბიზნეს დაგეგმვის სწავლებით, ვიზიტორთა დატვირთვის ორგანიზებით.

კვების ობიექტების არასათანადო აღჭურვილობა და მომსახურების ხარისხი; უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ვიზიტორთა თავშეყრის ადგილებს, განსაკუთრებით საინტერესო ადგილებს (ისტორიული თუ ბუნებრივი ძეგლები), პოპულარულ ტურისტულ საფეხმავლო ბილიკებს (მაგ.: ყაზბეგი – სნო – ჯუთა – რომკა; მესტია – ადიში – ხალდე – კალა – უშგული).

არასაკმარისი ტურისტული-საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები; საგზაო დეპარტამენტთან ერთად უნდა გაგრძელდეს ტურისტულად მნიშვნელოვანი ობიექტების მანიშნებლების ქსელის დახვეწა, აღდგენა და შემდგომი განვითარება; ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან გაგრძელდეს საინტერპრეტაციო-საორიენტაციო დაფების მოწყობა (მსგავსი დაფები მოწყობილია რიგ ადგილებში, თუმცა მათი რაოდენობა საკმარისი არ არის). საჭიროა პოპულარული მარშუტების (საფეხმავალო, საცხენოსნო, ველო) მარკირება მარტივი სტანდარტიზირებული მანიშნებლებით. ამისთვის შესაძლებელია კონტრაქტორი სპეციალიზირებული ორგანიზაციების გამოყენება.

გამართული სანიტარული კვანძების არარსებობა, მიუხედავად იმისა, რომ საწვავგასამართ სადგურზე დაიწყო ტუალეტების ფუნქციონირება, კვლავ პრობლემად რჩება ტუალეტების მოწყობა და სანიტარული ნორმების დაცვით ფუნქციონირება პოპულარული ტურისტული მარშუტებისა და სანახაობების გათვალისწინებით. ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, კერძო სექტორის ან თვით ტურისტული ობიექტების მონაწილეობით.

დასუფთავების პრობლემა (განსაკუთრებით რეგიონებში). მყარი ნარჩენების დაგროვება, უკონტროლო და უნებართვო სანაგვეები და საყოფაცხოვრებლო ნარჩენებისგან დასუფთავების საკითხი უნდა იქნას პრიორიტეტულად განხილული, განსაკუთრებით პოპულარული ტურისტული ადგილების ირგვლივ, ასეთია მაგ.: ყაზბეგი – გერგეთის სამების გზა, გუდაურის ნაგავსაყრელი. მსგავსი პრობლემების მოგვარება უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების მიერ, თუმცა მათ სჭირდებათ შესაბამიში ფინანსები და ტექნიკური ზედამხედველობა.

მოუწესრიგებელი შიდა ტრანსპორტი: ბოლო 2 წლის განმალობაში მკვეთრად გაიზარდა ინდივიდუალურ ანუ არაორგანიზებულ ტურისტთა რიცხვი, რაც პოზიტიური ნიშანია, ამასთან ერთად დღეისათვის დღის წესრიგში დგას საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებისა და მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. ერთ-ერთი მარტივი საკითხია სატრანსპორტო საშუალებების პუნქტუალური და გააზრებული გრაფიკით ორგანიზება, რაც დღეისათვის ხშირად ქაოსურად ხდება. მასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების საკითხიც.

რეგიონებში წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის პრობლემა: პრობლემა ზოგადად მეტად მწვავეა, დღეისათვის ხელისუფლების მნიშვნელოვანი ძალისხმევით თითქმის გადაიჭრა წყლით უზრუნველყოფის საკითხი, თუმცა კანალიზაციის სისტემები და დაბინძურებული წყლის გაწმენდის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. საკითხის გადაჭრა ითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ, უპირვლეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს პოპულარულ ტურისტულ ადგილებს. აღსანიშნავია, რომ სამუშაოები სრულდება სოფელ გერგეთში. მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნებული იყოს სუფთა, ეკოლოგიური გარემო სანახაობრივი ღირსშესანიშნაობების მქონე

ადგილების ირგვლივ. უმრავლეს შემთხვევაში საკანალიზაციო ქსელების სანაცვლოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ალტერნატიული ტექნოლოგიები.

არაკვალიფიციური პერსონალი (კვების ობიექტები, განთავსების საშუალებები და სხვა ტურისტული ობიექტები). საჭიროა შეიქმნას რეგიონებში ზრდასრულთა გადამზადების ცენტრები, სადაც ჩატარდება ტრენინგები ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის, მართვისა და მომსახურების საკითხებში. ცენტრალიზებულად მეტად ძნელია ადგილობრივი კადრების თავმოყრა და სწავლება.

პროფესიონალი გიდის ნაკლებობა (განსაკუთრების სამთო გიდი), სამთო გიდების მომზადება საჭიროებს სპეციფიკურ პროფესიონალურ წვრთნას, რომელიც ტრადიციურ ალპურ ქვეყნებში ხშირად რამდენიმე ქვეყანაში გრძელდება რამდენიმე წელი. რამდენადაც საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მიმზიდველობა მისი მთიანი რეგიონებია, აუცილებელია მთის გიდების მომზადება, ევროპულ დამოცდილების გაზიარება და საწვრთნელი ბაზებისა და სკოლის შექმნა. საჭიროა მსგავსი ინიციატივების დეტალური განხილვა და მხარდაჭერა.

სამთო სათხილამურო კურორტებზე სამაშველო სამსახურის და კვალიფიციური სათხულამურო მწვრთნელის არ არსებობა. წამყვან სათხილამური ცენტრებში აუცილებელია სასწავლო-სამაშველო ცენტრების შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება კვალიფიციური კადრების მომზადება, სწავლება-გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში სამაშველო ოპერაციების ორგანიზება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი დასაყრდენი ცენტრების შექმნა სვანეთში, გუდაურსა ან ყაზბეგში, ომალოში, ბაკურიანში.

ერთფეროვანი ტურისტული პროდუქტი: საჭიროა ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია თანამედროვე მიმდინარეობების გათვალისწინებით. არსებული შეთავაზება უმრავლეს შემთხვევაში "მორალურად" დაძველდა და აღარ პასუხობს თანამედროვე მიმდინარეობების ნოთხოვნას. მაგალითად.: ზამთრის სათხილამურო ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია თანამედროვე კონცეფციების დანერგვა სათხილამურო ცენტრებში. – მაგ.: "სნოუ-პარკები", "ფან-პარკები", "ფრი-რაიდე" და ა.შ. კულტურულ აღმოჩენითი ტურების შემთხვევაში საჭიროა მათი შეთავაზების "სიღრმული" განვითარება და ინტერაქტიულ-შემეცნებითი ელემენტების გათვალისწინება. ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს "ღვინის ტურიზმის" განვითარება.

მაღალფასიანი ტურისტული პაკეტები.: აუცილებელია ტურისტული შეთავაზებების დივერსიფიკაცია, ასევე ფასისა და ტურისტული სეგმენტის გათვალისწინება. მხოლოდ პაკეტ-ტურები არ არის საკმარისი ადგილობრივი და რეგიონალური ბაზრების მოთხოვნის საპასუხოდ. ამისთვის საჭიროა საინფორმაციო ცეტრის განვითარება, ინტერნეტის საინფორმაციო და "ბუკინგ რესურსის" სრულიად გამოყენება, რათა დავუახლოოთ ერთმანეთს მომხმარებელი და მიმწოდებელი, შევინარჩუნოთ კონკურენტუნარიანი ფასები, გავზარდოთ კლიენტის ნდობა შემოთავაზების მიმართ და, ამასთან ერთად, უზრუნველვყოთ სერვისის ხარისხის მონიტორინგი.

ლიტერატურა:

1. ლ. კოჭლამაზიშვილი, ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2004.
2. თ. ქობლიანიძე, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციები, თბ., 2004.
3. ტურისტული ფირმების კომერციული საქმიანობის საფუძვლები, ავტორთა ჯგუფი. თბ., 2003.
4. ვ. შუბლაძე, საქართველო და ტურიზმი, თბ., 2004.
5. კ. აბულაძე, სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები, თბ., 2008.

ინტერნეტრესურსები:

www.conference.ge
www.hr.com.ge
www.pirweli.com.ge
www.bdnksandfinance.ge
www.job24.ge

მეფუტკრეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ნინო ტერტერაშვილი, მარიამ შუბითიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე**, ასოცირებული პროფესორი

ფრანსის ბეკონს "ფილოსოფიურ აზრებში" ასეთი საინტერესო მოსაზრება აქვს მეცნიერული მეთოდის განსაზღვრისათვის: 1) ჭიანჭველას მეთოდი - ყველაფერს აგროვებს, არ არჩევს, რასაც ნახავს, შინ მიაქვს-ანუ ცუდი მეცნიერი... 2) ობობას მეთოდი - გარედან არაფერი შემოაქვს, თავისი სხეულიდან ამოზიდავს, ბადეს ქსოვს, მწერებს ამწყვდევს და ასე არსებობს... - ანუ რაციონალიზმი, ჰგონია გონით მიიღწევა ჭეშმარიტება... 3) ფუტკრის მეთოდი-უმაღლესი იდეალური - ბუნებაში რაც ყველაზე საუკეთესოა, იმას აგროვებს - ყვავილების ნექტარს, ყვავილის მტვერს... შემოაქვს ოჯახშინ (კუჭით არა, სპეციალური პარკუჭით), თავისი სხეულიდან გამოჰყოფს სანთელს, შხამსა და სადედე რძეს... ანუ ადამიანის საუკეთესო მეცნიერული და შემოქმედებითი უნარი, მისი სულიერება... უსაზღვრო და ამოუცნობია ფუტკრის ცოდნა, მან ადამიანზე კარგად იცის ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა... ანუ ის, რასაც ჩვენ ამ სახელებს ვარქმევთ და მეცნიერებად ვაცალკევებთ...ცოცხალ ორგანიზმებს შორის ფუტკარს ყველაზე მეტად აქვს განვითარებული ყნოსვა... ძალიან ფაქიზი და მკაცრად აკურატულია - ასუფთავებს თავის საცხოვრებელს, აკონსერვებს პროდუქტს, ისე ამზადებს, რომ მათ ხრწნის ბაქტერიები ვერაფერს აკლებს... ადამიანის მომზადებულს აუცილებლად სჭირდება მაცივარი, ფუტკრის დამზადებული თაფლი კი უნახავთ კლდეებში დაახლოებით 200 საუკუნის და ისეთი სუფთა, შეიძლებოდა ჭამა... ქართული ფუტკარი განუმეორებელია, გამოირჩევა თავისი შრომისუნარიანობითა და თავდადებით. ფრანგული ან გერმანული ჯიშის ფუტკარი, ამინდი ოდნავ რომ შეიცვლება, გარეთ არც გამოიხედავს. ქართული ფუტკარი სულ მუშაობს, წვიმაშიც გამოდის, შეუდრეკელია... ამაზე კარგი რა უნდა იყოს, ,,კაცს თაფლი მისცე და ღმერთს სანთელი."

თაფლი ფუტკრის მიერ დამზადებული საკვები პროდუქტია. ფუტკრები აგროვებენ ყვავილის ნექტარს, ხოლო სკაში შეტანის შემდეგ, რთული ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად, ხდება ნექტრის გამდიდრება ფუტკრების მიერ გამომუშავებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. თაფლის წარმოშობაში იგულისხმება მისი ნატურალურობა, ე.ი წარმოშობილია ის ყვავილებისაგან, ნატურალური თაფლი ატარებს იმ მცენარის სახელწოდებას, რომლისგანაც ის არის ძირითადად მიღებული. მაგ.: ცაცხვის, აკაციის და სხვა მცენარეთა თაფლი. მისი გემო და სურნელიც დამოკიდებულია იმ ყვავილებზე, რომლიდანაც ფუტკრებმა მოაგროვეს ნექტარი.

ფუტკრის თაფლი წარმოადგენს კონცენტრირებულ მაღალკალორიულ პროდუქტს, რომელიც თავისი შემადგენლობით მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ტკბილი ნივთიერებებისაგან. თაფლი, როგორც საკვები პროდუქტი, გამოირჩევა ბიოლოგიური აქტივობით, რომელსაც ინარჩუნებს ასწლეულობით.

ეგვიპტეში დიდგვაროვნების დაკრძალვისას ნეშტს ათავსებდნენ თაფლში, რაც ახდენდა მის შენახვას (დაკონსერვებას), ამასთანავე დაკრძალვისას, სხვა საჭირო ნივთებთან ერთად, აუცილებლად ითვლებოდა თაფლით სავსე ქილის ჩატანება. არქეოლოგიური კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ აკლდამებში ნაპოვნმა თაფლმა ათასწლეულობით შეინარჩუნა თავისი თვისებები.

უძველესი დროიდან თაფლი გამოიყენებოდა არამხოლოდ როგორც გემრიელი და ნოყიერი საკვები, არამედ როგორც სიმხნევის შენარჩუნებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების ბუნებრივი საშუალება.

ბერძენი მათემატიკოსი პითაგორა, რომელიც გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, ამტკიცებდა, რომ მისი ხანგრძლივი და, რაც მთავარია, ნაყოფიერი ცხოვრების საიდუმლოება მხოლოდ თაფლის ყოველდღიურ მიღებაშია.

ფილოსოფოსი-მატერიალისტი დემოკრიტე, რომელმაც ას წელზე მეტი იცოცხლა წერდა, რომ „ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად აუცილებელია შიგნეულობას მივაწოდოთ თაფლი"

ცნობილი ექიმი, მკვლევარი და პოეტი იბნ-სინა (ავიცენა) აღნიშნავდა: "თუ გინდა შეინარჩუნო ახალგაზრდობა, აუცილებლად ყოველდღიურად მიირთვი თაფლი". განსაკუთრებით ურჩევდა იგი თაფლის მიღებას 45 წელს გადაცილებულ პიროვნებებს.

ინდოეთში თბილ რძეში გახსნილ თაფლს ეძახიან სიცოცხლისა და სილამაზის ელექსირს.

წინასწარმეტყველი მუჰამედი ქადაგებდა: "განსაკუთრებით ყურადსაღებია ორი წამალი-თაფლი და ყურანი".

თანამედროვე კვლევებმა დაადასტურა რომ უძველესი ფილოსოფოსები და ექიმები არ ცდებოდნენ თაფლის შეფასებაში. დადგინდა, რომ იგი სინამდვილეში სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებაა.

თაფლს აქვს ასევე სამკურნალო თვისებებიც. იგი გამოიყენება გასტრიტისა და ღვიძლის დაავადებების დროს, თირკმელებისა და გულის დაავადებათა წინააღმდეგ, ასევე ანემიისა და სხვა დაავადებების დროს.

იმ ქვეყნებში, სადაც თაფლის წარმოება განვითარებულია, პროფესიონალად ის მეფუტკრე მიიჩნევა, რომელსაც ფუტკრის 300 ოჯახი ჰყავს. მექსიკასა და ბრაზილიაში პროფესიონალებს იმ მეფუტკრეებს უწოდებენ, ვინც 500-1000 ოჯახამდე ფუტკარს უძღვება, საქართველოს მზარდი პოტენციალი აქვს, თუმცა ასეთი მასშტაბები ჯერჯერობით პერსპექტივად რჩება. საქართველოში უფრო სამოყვარულო მეფუტკრეობაა განვითარებული. დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე მეფუტკრეა, რომელსაც 300-700 ოჯახამდე ფუტკრის სკა აქვს. ისინი მეფუტკრეობის დარგში გარკვეულ ამინდს ქმნიან, მაგრამ სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს აწყდებიან. ტექნოლოგიები, რომ განავითარონ და ქვეყნის შიდა მომხმარებელს პროდუქცია შესთავაზონ, ამისთვის საკმაოდ ძვირადღირებული ტექნოლოგიებია საჭირო. დარგის სწრაფად განვითარებას ისიც აფერხებს, რომ მეფუტკრეობა სხვა დარგებისგან განსხვავებით პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ თანხებს თითქმის არ ტოვებს, რადგან შიდა ბაზარზე თაფლის საბითუმო ფასები საკმაოდ მაღალია. როცა მეწარმე საბოლოო პროდუქტს მომხმარებელს დაფასოებული სახით აწვდის, სარეალიზაციო ხარჯები იმდენად მაღალია, რომ მას მცირე მოგება რჩება, მაგრამ როცა პროდუქტს თვითონ აწარმოებს, მოგება უკვე სოლიდურია. ამის გამო ჩვენთან სამოყვარულო მეფუტკრეობა უფრო განვითარებულია, ვიდრე მსხვილი წარმოება.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი მეფუტკრეობის განვითარების კუთხით შპს „მეთაფლეამ“ გადადგა. ამ კომპანიამ თბილისის. ქუთაისის და რუსთავის მარკეტებში საკუთარი პროდუქციის სათანადო შეფუთვით შეტანა შეძლო. მომხმარებელმა ქართული თაფლი ძალიან კარგად მიიღო, ეს პირველი პროდუქტია, რომელიც ადგილობრივ დახლებზე უცხოური პროდუქციის გვერდით გამოჩნდა. „ქსელში უკვე რამდენიმე ტონა თაფლს ვყიდით და როგორც რეალიზაციიდან ირკვევა, მოსახლეობამ ეს შეთავაზება კარგად მიიღო, ამის მიუხედავად ფინანსურ სიძნელეებს განვიცდით, რადგან თაფლი სწრაფად რეალიზებადი პროდუქტი არ არის. ქსელში თვეების განმავლობაში დევს და იმისათვის, რომ ბაზარი პროდუქციით გავაჯეროთ, დიდი რაოდენობით თანხები გვჭირდება, რაც ბრუნვის ზრდას შეუწყობს ხელს.“ - ამბობს საწარმოს ხელმძღვანელი როლანდ ზირაქაშვილი.

თაფლის აქტიური რეალიზაცია ახალი წლის სეზონზე და ზამთრის თვეებში ხდება, თუმცა იმპორტიორების პროდუქცია მარკეტების დახლებზე მთელი წელი დევს. თაფლის იმპორტირება საქართველოში, ძირითადად, გერმანელი მომწოდებლენის მიერ ხდება. ფრანკფურტში მდებარეობს მეფუტკრეობის ცენტრი, სადაც მსოფლიო მომწოდებლებისგან დიდი რაოდენობით თაფლი შედის. ყველაზე დიდი მომწოდებლები ამ ბაზარზე არიან არგენტინა, ბრაზილია და მექსიკა. ამ მიმართულებით საკმაოდ დინამიკურად ვითარდება ჩინეთის ბაზარი. სწორედ ფრანკფურტში ხდება თაფლის დაფასოება და დაკუპაჟირება, ამიტომ გერმანია მსოფლიო ბაზარზე თაფლის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია. გერმანულ თაფლად წოდებული ეს პროდუქტი საქართველოს ბაზარზეც იყიდება. გერმანულის გარდა სუპერმარკეტების დახლებზე გვხვდება ესპანური და ფრანგული თაფლი. უცხოური პროდუქციის ფასები ადგილობრივთან შედარებით სამჯერ მაღალია, მაგრამ როგორც ექსპერტები ამბობენ, ხარისხითა და გემო-თვისებებით ქართული თაფლი გამოირჩევა, ეს ლოგიკურია რადგან კავკასიონის კალთებზე იმდენი მცენარეა, რომ მისგან უფრო კარგი ხარისხის თაფლის მიღებაა შესაძლებელი. გაყიდვების მაჩვენებლით სავაჭრო ქსელში ქართულ თაფლს 20-25% უჭირავს, დანარჩენი კი უცხოურ პროდუქტზე მოდის.

საქართველოში წარმოებული მეფუტკრეობის პროდუქტები ევროპის ბაზარზე გასასვლელად მზად არ არის, რადგან ამ პროდუქტის წარმოშობის სერტიფიცირება არ მომხდარა, ლაბორატორიული მოთხოვნები, რომელსაც ევროპული ბაზარი ადგენს, საქართველოს ბაზარზე არ არის. როგორც პროფესიონალი მეფუტკრეები ამბობენ, ევროპულ სტანდარტზე რომ იმუშაო, უნდა იყოს თავად საფუტკრეში შესაბამისი წესრიგი. საწარმოო ჯაჭვი მწარმოებლიდან ლაბორატორიამდე და ბოლოს მომხმარებლამდე სათანადოდ უნდა იყოს დაცული. მთელი სისტემა დასალაგებელია. ეს საკმაოდ რთული საკითხია. სისტემის გაჯანსაღებას მხოლოდ მეწარმე ვერ შეძლებს.

ქართული თაფლი ექსპორტზე არ გადის და შესაბამისად GPS და GPS+ პრეფენაციებით არ სარგებლობს. ქართულ თაფლზე სერიოზული მოთხოვნაა აზერბაიჯანში. როგორც ირკვევა თაფლის ექსპორტზე გატანა საბაჟო სტრუქტურებმა შეაფერხეს.

ქართული თაფლი ექსპორტზე ერთ-ერთმა წამყვანმა ბიზნესმენმა რამდენიმე წლის წინ ინგლისში გაიტანა, მაგრამ მთლიანად უკან დააბრუნებინეს. ევროკავშირის ქვეყნებში თაფლის ხარისხთან დაკავშირებით საკმაოდ მკაცრი მოთხოვნებია, როგორც ექსპერტები ამბობენ მომავალშიც არ ვიქნებით

მზად იმისათვის, რომ ქართული თაფლი ევროკავშირის ბაზარზე მოხვდეს. აქ საკითხის კომპლექსურად გადაწყვეტის პრობლემა დგას.

ცნობილია, რომ ევროკავშირის ბაზარზე თაფლი 200 კილოგრამიანი მინის ქილებით შედის. საქართველოში ტარა-მასალა ისედაც არ იშოვება და თურქეთიდან ცარიელი მინის ქილების შემოტანა საკმაოდ ძვირია, მისი შევსება თაფლით და მერე უკან გატანის ფასი პროდუქტის თვითღირებულებას გადააჭარბებს. აზერბაიჯანსა და სომხეთში ქართული თაფლის გატანის პერსპექტივა არსებობს, რუსეთის ბაზარი კი ამ მიმართულებით დაკეტილია, რადგან ამ ბაზარზე შესვლა მაღალი ფასის გამო შეუძლებელია. მსოფლიო ბაზარზე რუსული თაფლი უფრო იაფია, ვიდრე ქართული. ქართული თაფლი ადგილზეც ძვირი ღირს, ვინაიდან ამ პროდუქტის დეფიციტი არსებობს. საქართველო იმდენ თაფლს ვერ აწარმოებს რომ შიდა მოხმარება დააკმაყოფილოს. ადრე ამ დეფიციტს რუსეთიდან შემოსული თაფლი აბალანსებდა, დღეისათვის კი უცხოეთიდან შემოდის და ქართული თაფლი არაკონკურენტუნარიან გარემოში ვარდება. როგორც ექსპერტები განმარტავენ, აზერბაიჯანის ბაზარზე ქართული თაფლის შეტანა შესაძლებელია. სომხეთში ამ კუთხით არის მონოპოლისტი ორგანიზაცია და თანაც საგზაო ინსპექცია გზებზე პრობლემებს ქმნის. რაც შეეხება თურქეთს, რომელიც ჩვენი პირველი სავაჭრო პარტნიორია თაფლის იმპორტი წარმოუდგენელია, რადგან ქვეყნის მთავრობა ადგილობრივი მეფუტკრეობის განვითარებას და საქართველოს ბაზარზე თავისი ნაწარმის იმპორტის მოცულობის გაზრდას ცდილობს.

თაფლის წარმოებამ იკლო, შემცირდა მოთხოვნაც, მაგრამ გაიზარდა ფასი - ამ მოკლე ფრაზით აფასებენ თაფლის ბიზნესს პროდუქციის მწარმოებლები. მიუხედავად მისი ფასისა, ვფიქრობთ, რომ თაფლი ის პროდუქტია, რომელზეც ფულის დახარჯვა ადამიანს არ უნდა ენანებოდეს. ეს არის პროდუქტი, რომელიც გამოირჩევა თავისი განსაკუთრებელი და სამკურნალო თვისებებით.

ექიმი დ. ს. ჯარვისი თავის წიგნში „თაფლი და სხვა ბუნებრივი პროდუქტები“ წერს: ჩემთვის უცნაურია, როდესაც ადამიანები თაფლის გამოყენებაზე უარს იძახიან მხოლოდ მისი სიძვირის გამო. ნუთუ საკამათოა, რომ ყველაზე ძვირადღირებული ჩვენი ჯანმრთელობაა და არ ღირს მასზე ეკონომიის გაკეთება. წინააღმდეგ შემთხვევაში გარკვეული დროის შემდეგ თქვენ მაინც მოგიწევთ ხარჯის გაწევა, ოღონდ უკვე წამლებზე. ყველაზე დიდი ეკონომია გამოგივათ თუ ახალგაზრდობიდან გაუფრთხილდებით ჯანმრთელობას. თაფლს შეუძლია შეავსოს თქვენს კვებაში არსებული, არასრულფასოვანი საკვების მიღებით გამოწვეული ხარვეზები“. რაც უფრო ადრეულ ასაკში დაიწყებს ადამიანი თაფლის რეგულარულ მიღებას, მით უფრო შეძლებს ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სიბერის დამარცხებას.

ლიტერატურა:

1. ვ. სტეფანიშვილი, ,,ფუტკრის ბიოლოგია და მოვლა-პატრონობა'', 2010.
2. http://buzinessnews.ge
3. http://bee.ge/portal/alias_Bee/tabid_2864/default.aspx
4. http://putkari.ge/wordpress/
5. http://24saati.ge/index.php/category/business/2009-09-16/45
6. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=8038

ინტეგრაციის თანამედროვე ასპექტები ტურიზმში

ნინო ტრამაკიძე, თათია გუგუტიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

გლობალურ კონკურენციაში კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ინტეგრაციული პროცესების გაფართოება. ინტეგრაციაში იგულისხმება ბიზნეს სტრუქტურებს (იურიდიულ პირებს) შორის ისეთი ურთიერთდამოკიდებულებების დამყარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტეგრირებული და ინტეგრირებადი საწარმოების გენერალური მიზნების გრძელვადიან მიახლოებას და ანიჭებენ ორგანიზაციებს შემდეგ უპირატესობებს: მომარაგებასა და

გასაღებაში განუსაზღვრელობის დონის შემცირება; კონკურენციის შეზღუდვა; ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის გამარტივება; ხარჯების შემცირება.

ბოლო წლებში ტურიზმის ინდუსტრიაში ფართო გავრცელება ჰპოვა სამეურნეო გაერთიანებების ისეთმა ტიპმა, როგორიცაა სტრატეგიული ალიანსები (კოტლერი, 2001), რაც აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

• არსებულ ბაზრებსა და ტექნოლოგიურ ბაზაზე ხარვეზების ამოვსება;
• ჭარბი საწარმოო სიმძლავრის გადაქცევა მოგებად;
• ახალ ბაზარზე გასვლასთან დაკავშირებული რისკებისა და ხარჯების შემცირება;
• ახალი პროდუქციის დამუშავებისა და წარმოების დაწყების დაჩქარება;
• ეკონომია წარმოების მასშტაბებზე და სხვა.

სტრატეგიული ალიანსების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი უშუალოდ არ ეხებიან კომპანიებში საკუთრების დამოკიდებულებებს, რადგანაც კომპანიები, რომლებიც მათთან თანამშრომლობენ, ინარჩუნებენ თავიანთ ავტონომიას, აგრეთვე ნიშას ეროვნული, რეგიონული და ლოკალური ბაზრების სფეროში. მოცემული გაერთიანებები მოიაზრებენ პარტნიორულ დამოკიდებულებებს რომელიმე ცალკეულ სფეროში, მაგალითად მარკეტინგულ საქმიანობაში. სტრატეგიული ალიანსები უფრო ხშირად ერთი დარგის საზღვრებში ორგანიზაციების ჰორიზონტალური გაერთიანების ფორმას წარმოადგენენ, თუმცა შესაძლებელია დარგთაშორისო ალიანსებიც. მიუხედავად რიგი უპირატესობებისა, რასაც ორგანიზაციები იღებენ სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბებისას, აღნიშნული კავშირები ხშირად ირღვევა. კომპანიის Mc Kinsey კვლევებმა გამოავლინა, რომ 40 სტრატეგიული ალიანსიდან ერთი მესამედი დაიშალა. ფ. კოტლერმა გამოყო სამი ძირითადი მომენტი, რომლებზეც დამოკიდებულია ალიანსების წარმატებული საქმიანობა: პარტნიორების სტრატეგიული შესაბამისობა; ორიენტაცია გრძელვადიან თანამშრომლობაზე; მართვის მოქნილობა. მთლიანობაში სტრატეგიული ალიანსების განვითარების თეორიული ასპექტები ჯერ კიდევ საკმარისად დამუშავებული არაა. ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ითვლება ამ მოვლენაზე თითქოს გვერდიდან შეხედვის შეუძლებლობა მათი არსებობის მცირე ხანგძლივობისა და ალიანსების უმეტესობის, შედეგების გაურკვევლობის გამო. სტრატეგიული ალიანსების განსაზღვრებითი აპარატი ასევე არ გამოირჩევა ერთგვაროვნებით, თუმცა განმარტებებიდან გაურკვეველი რჩება, ფირმათშორისი გაცვლის რომელი სახეობები მიეკუთვნება სტრატეგიულ ალიანსებს. მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში სპეციალისტებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი ამ საკითხზე. მათი აზრით, სტრატეგიულ ალიანსებში ფირმებშორისი გაცვლის სახეობებს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ტურისტულ ბიზნესში, მიეკუთვნება:

შეთანხმება ფრანჩაიზინგის შესახებ, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სათაო ფირმა ხელშეკრულებას აფორმებს ორგანიზაციასთან მისთვის განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესახებ სათაო კომპანიის სავაჭრო მარკით მომსახურების რეალიზაციაზე. ამით პატარა და ნაკლებად ცნობილი ტურისტული ორგანიზაცია (ტურისტული ფირმა ან სასტუმრო) ერთვება ცნობილი ტურისტული კომპანიის გასაღების ცენტრში, რაც აფართოებს ამ უკანასკნელის შესაძლებლობებს გააკონტროლოს ბაზრები მინიმალური დანახარჯებით.

კონტრაქტები მართვაზე, ძალიან ჰგავს შეთანხმებას მმართველობითი მომსახურების მიცემის შესახებ: დამწყები ტურისტული ორგანიზაცია ტურისტული ინდუსტრიის მსხვილ კომპანიას გადასცემს პასუხისმგებლობას საქმიანობის ყველა სახეობაზე, რომელიც დაკავშირებულია ტურისტული მთელი პროდუქტის ან მისი ნაწილის გასაღებასთან გარკვეული ანაზღაურების საფასურად;

ერთობლივი საწარმოები, რომლებიც ვარაუდობენ ინვესტირებისთვის რიგი უპირატესობების შექმნას. ერთობლივი საწარმოებისთვის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში გათვალისწინებულია საკმაოდ ლიბერალური რეჟიმი: რაკი დარეგისტრირდნენ, ისინი სარგებლობენ იგივე უფლებებით, როგორითაც წმინდა ეროვნული საწარმოები, საწესდებო კაპიტალში ერთობლივი საწარმოს მონაწილეობა ამცირებს რისკს ინვესტორისთვის, რადგანაც ვარაუდობს, რომ მისი პასუხისმგებლობა იზღუდება კაპიტალში მისი მონაწილეობის წილით.

ტურისტულ ბიზნესში სტრატეგიულმა ალიანსმა ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს სასტუმროების ჯაჭვში, რაც გამოწვეულია რიგი ობიექტური მიზეზებით:

ჯერ ერთი, ეს არის სასტუმროს სტაბილური დატვირთვის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ამიტომ ყოველი სასტუმროს ჯაჭვს საფუძვლად უდევს დაჯავშნის საკუთარი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ჯაჭვში შემავალი სასტუმროების პირველრიგისეულ დატვირთვაზე. მაგრამ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სასტუმროს დაჯავშნის სისტემა თვითონ განიცდის ინტეგრაციულ პროცესებს. ასეთ სისტემებში ელექტრონული დაჯავშნის ჩართვა ძალიან ძვირი ჯდება და დამოუკიდებელ სასტუმროს ამის გაკეთება არ შეუძლია.

მეორეც, არსებით როლს თამაშობს სასტუმროს ხარისხიანი მომსახურების ფორმირება. ყველა წამყვან სასტუმრო გაერთიანებას გააჩნია სასტუმროს ყველა სათავსოს აღჭურვის საკუთარი ნორმატივები და სტანდარტები. იმისათვის, რომ უზრუნველყონ აღჭურვის შესაბამისობა მიღებულ ნორმატივებთანა და სტანდარტებთან, სასტუმროები მიდიან არა მარტო მძლავრი ცენტრალიზებული მომარაგების ორგანიზაციების შექმნაზე, არამედ სპეციალიზებული საწარმოების შექმნაზეც დანადგარებისა და ავეჯის რემონტისთვის. ამის უფლებას თავის თავს მხოლოდ მსხვილი სასტუმრო გაერთიანებები აძლევენ.

მესამეც, მისწრაფება - გაიზარდოს სასტუმროს დატვირთვა, ახალი კლიენტურის მოძებნა და ძველის შენარჩუნება - აიძულებენ სასტუმროებს ჩაატარონ ბაზრის, კლიენტურის, კონკურენტი სასტუმროების, მიმწოდებლების და ა.შ. ღრმა ანალიზი, აწარმოონ აქტიური სარეკლამო და გასაღების პოლიტიკა, რაც მოითხოვს დიდი ფინანსური, ინფორმაციული და ადამიანური რესურსების გამოყენებას.

და ბოლოს, სასტუმროს პერსონალის პროფესიონალიზმის სრულყოფით დაინტერესება, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს ოტელში სტუმრის მომსახურების ხარისხზე. მსხვილი სასტუმროების უმეტესობა კადრების მომზადებას სახელმწიფო თუ კომერციულ სასწავლებელში არასაკმარისად თვლიან და ქმნიან მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკუთარ სისტემას, რაზეც მნიშვნელოვან სახსრებს ხარჯავენ.

ზემოთ განხილულ სტრატეგიულ ალიანსში ფირმათშორისი გაცვლის ყველა სახეობა აქტიურად გამოიყენება სასტუმროების ჯაჭვებით თავისი საქმიანობის განვითარებისათვის.

ამჟამად მსოფლიოში ჩამოყალიბებულია 300-ზე მეტი სასტუმროს ჯაჭვი, რომლებიც გამოვიდნენ ეროვნული საზღვრების ჩარჩოებიდან. მათ წილად მოდის 7 მლნ. ნომერზე მეტი მსოფლიოში თითქმის 13 მლნ. სასტუმროს ნომრიდან.

სასტუმროების ჯაჭვები შეიცავენ არა მარტო იმ სასტუმროებს, რომლებიც თვით ჯაჭვის საკუთრებას წარმოადგენენ, არამედ მათში ფრანჩიზის პირობებით შესულებსაც. ამჟამად კი სასტუმროების დაახლოებით 80% ჯაჭვში შესულია სწორედ ფრანჩაიზინგის პირობებით.

ცხრილი 1.3

სასტუმროების გაერთიანება სასტუმროთა ჯაჭვებში ფრანჩაიზინგის პირობებით 2011 წ.				
ჯაჭვების დასახელება		ჯაჭვში სასტუმროების საერთო რაოდენობა	ფრანჩაიზინგის პირობებით ჯაჭვში შემავალი სასტუმროების რაოდენობა	საერთო რაოდენობიდან ფრანჩაიზინგზე სასტუმროების %
1	Cendant Corp	6455	6455	100
2	Choice Hotels Internacional	4392	4392	100
3	Bass Hotels & Resorts	3096	2644	85,4
4	Hilton Hotels Corp	1895	1492	78,7
5	Marriott Internacional	2099	1168	55,6
6	Carlson Hospitality Worldwide	716	682	95,3
7	Accor	3488	672	19,3
8	U.S. Franchise Systems	505	505	100
9	Societe du Louvre	868	328	37,8
10	Starwood Hotels & Resorts Worldwide	738	313	42,4

წყარო: მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემები

მსოფლიო სასტუმროების ჯაჭვში საქართველოში სასტუმროს შესასვლელად ყველაზე უფრო გავრცელებულია ფრანჩაიზინგის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ლიცენზიის გაყიდვას სავაჭრო მარკის გამოყენებაზე და ქსელის გასაღებისა და მარკეტინგის სისტემაში მონაწილეობის უფლებას.

ამჟამად ფრანჩაიზინგი ამა თუ იმ სახით არსებობს 80-ზე მეტ ქვეყანაში. უმსხვილეს ქვეყნებად, რომლებიც განახორციელებენ ვაჭრობას ფრანჩაიზინგზე შეთანხმებით, ითვლება აშშ, კანადა, იაპონია, ავსტრალია, საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი. საქართველოში ფრანჩაიზინგის განვითარება შედარებით დაბალი ტემპებით მიმდინარეობს. საქართველოში ფრანჩაიზინგის ბაზრის განუვითარებლობისა და მისი გაფართოების დაბალი ტემპების მიზეზები იმალება ფართო სამეწარმეო წრეებში მუშაობის მსგავსი ტექნოლოგიების სერიოზული ცოდნის არ არსებობაში. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ფრანჩაიზინგის გამოყენებას უარყოფითი მხარეებიც აქვს როგორც ფრანჩაიზერის მიმწოდებლისთვის, ისე ფრანჩიზის მომხმარებლისთვისაც (ცხრილი 1.4).

შესაძლებელი ნაკლოვანებები ორგანიზაციის საქმიანობაში ფრანჩაიზინგის პირობებში მუშაობისას.

ცხრილი 1.4

№	ნაკლოვანებები ფრანჩაიზერისთვის	№	ნაკლოვანებები ფრანჩიზისთვის
1	ფრანჩიზთან დამოკიდებულებების დამთავრების შესაძლებლობა, რომელიც არ ექვემდებარება სისტემის წესებს, ფრანჩიზზე კონტროლის სირთულე	1	ფრანჩიზმა უნდა დაიცვას ფრანჩაიზინგის სისტემის ყველა წესი
2	ცუდად მომუშავე ფრანჩაიზინგუLი ორგანიზაციების ზეგავლენა	2	ფრანჩიზებს არ შეუძლიათ ერთმანეთისთვის კონკურენციის გაწევა
3	ფრანჩაიზერისგან მოგების ნაწილის დამალვა ფრანჩიზის მიერ	3	ფრანჩაიზერის მიერ არასაკმარისმა მხარდაჭერამ შეიძლება დაანგრიოს ფრანჩიზის ბიზნესი
4	ფრანჩაიზერის კომერციული საიდუმლოების გამჟღავნება	4	ფრანჩაიზერის სტაბილური ფინანსური მდგრადობის მნიშვნელობა, თავიდან რომ იქნეს აცილებული ფრანჩიზის გაყიდვის ან მისი ლიკვიდაციის სიტუაცია
5	ფრანჩაიზერთან ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ ფრანჩიზი შეიძლება კონკურენტი გახდეს		

ფირმათშორისი გაცვლის სხვა სახეობა, რასაც იყენებს მსოფლიოს სასტუმროს ჯაჭვი ზეგავლენის სფეროს გაფართოებისა და ახალ ტურისტულ ბაზარზე შეღწევის მიზნით, არის სასტუმროებს შორის კონტრაქტების გაფორმება მართვაზე.

სასტუმროების გაერთიანება ხდება მართვაზე კონტრაქტის გაფორმების გზით ორგანიზაციის მფლობელსა და კომპანიას შორის, რომლის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა სასტუმროების პროფესიული მართვა ბაზრის მოცემულ სეგმენტზე. კომპანია, რომელიც მართვაში შედის კონტრაქტის საფუძველზე, არ ღებულობს არავითარ უფლებებს ორგანიზაციის ქონებაზე. მას ჩვეულებრივ შეზღუდული ფინანსური პასუხისმგებლობა აქვს და ყველა შემთხვევაში ღებულობს სასტუმროს მოგებაზე დამოკიდებულ შემოსავალს. ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებს შორის ყველაზე მჭიდროდ თანამშრომლობს მართვაზე კონტრაქტი, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ხელშეკრულებას შეიცავს: სავაჭრო მარკის გამოყენებაზე, პერსონალისა და ნოუჰაუს მიწოდებაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე და ა.შ. ამ შემთხვევაში ჯაჭვი ხდება პროექტის ინვესტორი, შეაქვს მასში თავისი კაპიტალი, ნოუ-ჰაუ და მონაწილეობს სასტუმროს შემდგომ მოგებებში. ტურიზმის ინდუსტრიაში ერთობლივი საწარმოების შექმნის სქემა შემდეგამდე დადის:

არსებობს ორი ან მეტი სასტუმროს მომავლის ინვესტორი მესაკუთრე, რომლებიც ეწევიან მშენებარე ობიექტის საქმიანობის ფინანსურ რისკს მის საწესდებო კაპიტალში თავისი წილის შესაბამისად. ეს მესაკუთრეები იღებენ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ სავაჭრო მარკის მიზიდვის შესახებ სასტუმროს მომსახურების გასავრცელებლად შიგა და საერთაშორისო ბაზარზე. პირობები, რომლებითაც სასტუმრო იძენს ცნობილ სავაჭრო მარკას, ცალკეა მითითებული. ეს შეიძლება იყოს ფრანჩაიზინგული

ხელშეკრულება ან სხვა შეთანხმება. ზოგჯერ ერთობლივი საწარმოს მონაწილე ხდება სასტუმროს კომპანია სავაჭრო მარკის მეპატრონე.

ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. ინვესტორი, რომელიც სესხად იძლევა კაპიტალს სასტუმროს მშენებლობისათვის, არ აგებს პასუხს მის შემდგომ საქმიანობაზე, დაინტერესებულია მხოლოდ მშენებლობაში ჩადებული სახსრების დაბრუნებით. ის არ მონაწილეობს ობიექტის ექსპლუატაციაში, მაგრამ ცნობილი სავაჭრო მარკის არსებობას განიხილავს როგორც ფაქტორს, რომელიც ზრდის სასტუმროს შესაძლებლობებს ტურისტულ ბაზარზე. ინტეგრაციული პროცესების განვითარების მიუხედავად მსოფლიოს სასტუმროების ბიზნესში, დამოუკიდებელი სასტუმროები ძველებურად სასტუმროების ბაზრის არც თუ მცირე სეგმენტს შეადგენენ როგორც საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოშიც. ასეთი სასტუმროებისთვის, რომლებიც იყენებენ თავიანთი ადგილმდებარეობის სპეციფიკურ თავისებურებებს, დამახასიათებელია სერვისის (მომსახურების), ინტერიერისა და მართვის უნიკალურობა.

სასტუმროების ჯაჭვისგან განსხვავებით, სადაც სასტუმროებიდან ერთ-ერთის საქმიანობაში შეცდომები შეიძლება გადაიფაროს ჯაჭვში შემავალი სხვა სასტუმროების მნიშვნელოვანი შემოსავლებისა და მხარდაჭერის ხარჯზე, დამოუკიდებელ სასტუმროებს თითქმის არა აქვთ შეცდომის დაშვების შესაძლებლობა. ამიტომ თავიანთი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით დამოუკიდებელი სასტუმროები ქმნიან კონსორციუმებს. მთავარი მიზნები, რომლებისთვისაც იღწვიან დამოუკიდებელი სასტუმროები კონსორციუმში გაერთიანებისას, ეს არის ერთობლივი მარკეტინგის ჩატარება შემოსავლების გასაზრდელად, ერთობლივი ცენტრალიზებული შესყიდვები ხარჯების შესამცირებლად, კადრების ერთობლივი შერჩევისა და ტრენინგის ჩატარება. კონსორციუმებს, სასტუმროების ჯაჭვებისგან განსხვავებით, არ შეუძლიათ გააკონტროლონ სასტუმროს პროდუქტის ხარისხი და სასტუმროების ფასების პოლიტიკა. მაგრამ წევრობის წესების თანახმად, ყოველი სასტუმრო უნდა გადიოდეს დეტალურ ინსპექციას. კრიტერიუმები ინსპექციის დროს შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა კონსორციუმში, მაგრამ ისინი უნდა ითვალისწინებდნენ ადგილმდებარეობისა და გარემო პირობების შეფასებას, ობიექტის ფიზიკურ დახასიათებას, მათში მომსახურების დონეს, სამზარეულოს და გართობის საშუალებებს, პერსონალს და, რაც მთავარია, მომსახურების სტანდარტების დაცვას.

ლიტერატურა:

1) მარგველაშვილი მ., "ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია საქართველოში", სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002.
2) მეტრეველი მ., "ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში", სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2001.
3) შუბლაძე ვ., "საქართველოში ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი (სიღარიბის დაძლევის კონტექსტში)", სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004.
4) სტატისტიკის დეპარტამენტისა და BCG –ის მონაცემები

პიარის არსი და ისტორია

თამთა ფარეხელაშვილი, ნინო ღარიბაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლია ბიბილაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

XXI საუკუნე ინფორმაციული საუკუნეა, საზოგადოების ინფორმირებას დემოკრატიული მმართველობისათვის დიდი მნიშნელობა ენიჭება. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, გამჭირვალობა და მომხმარებელზე ზრუნვა - ეს დღევანდელობის აუცილებელი პირობაა.

საზოგადოება სხვადასხვა ჯგუფების ერთობლიობაა, რომლებიც ამყარებენ კონტაქტებს ერთმანეთთან. იმისთვის, რომ საზოგადოების ინფორმირება მოხდეს, საჭიროა არა მარტო ერთი წყარო არსებობდეს ინფორმაციის გავრცელების, არამედ მიმღები, რომელიც გამოიწვევს რეაქციას. პიარი ზუსტად ორმხრივი ურთიერთობები და ორმხრივი კომუნიკაციაა, როდესაც მოსაუბრეები ცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას და უზიარებენ აზრებს ერთმანეთს. ტოტალიტარული

სახელმწიფო სისტემისათვის ცალმხრივი კომუნიკაცია იყო დამახასიათებელი ანუ სუბიექტი გასცემდა ინფორმაციას და არ ელოდებოდა საზოგადოების რეაქციას, უკუკავშირს. ხოლო დემოკრატიულ სისტემაში და დემოკრატიულ საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და უკუკავშირს.

უდიდესი მოაზროვნე არისტოტელე თვლიდა, რომ ხალხის დარწმუნება მაშინ შეიძლება, როცა მათ შენდამი სიმპათიით განაწყობ. ბრწყინვალე ორატორი ციცერონი კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფსიქოლოგიის, საზოგადოების ინტერესებისა და, საერთოდ, ხალხის გემოვნების შესწავლას ანიჭებდა.

პიარი აშშ-ში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე დამკვიდრდა, როდესაც ბიზნესი განვითარდა და აუცილებელი გახდა მომხმარებლებზე ზრუნვა და მათი ინტერესების გათვალისწინება, ასევე ახალი პროდუქტების და მომსახურებების საზოგადოების ნდობის მოპოვება და გაყიდვა. ბიზნესის წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შექმნილიყო მართვის ახალი სისტემა, რომელიც გავლენას მოახდენდა საზოგადოებრივ აზრზე. პიარი, როგორც პროფესიული სისტემა, ზიგმუნდ ფროიდის დიშვილმა, ედვარდ ბერნეისმა, ჩამოაყალიბა ამერიკაში. მან შექმნა მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, მომხმარებელთან ურთიერთობისა და სოციალური მეცნიერებების პრაქტიკას. მან ორი სიტყვა „საზოგადოება“ (public) და „ურთიერთობები“ (relations) შეაერთა და დაარქვა (public relations) „ფაბლიქ რილეიშენზი“ ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობები. ამერიკიდან პიარმა დიდი გავრცელება ჰპოვა მთელ მსოფლიოში, რადგან ის არის რამდენიმე დისციპლინათა ერთობლიობა. ის ზრუნავს როგორც კომპანიის რეპუტაციაზე, ასევე მის პოპულარიზებაზე, საზოგადოების ინფორმირებულობაზე, კეთილგანწყობილი და გრძელვადიანი კავშირის დამყარებაზე.

1900-1917 წლებში, აშშ-ში ბიზნეს კომპანიებმა დაიწყეს საკუთარი ბიზნესის დაცვა როგორც ჟურნალისტთა უხეში შემოტევებისაგან, ასევე სახელმწიფო რეგულირების თვალსაზრისით. ამ დროს, კომპანიები ცდილობდნენ, საკუთარი მხარის წარმოჩენას და კონტრშეტევებს ახორციელებდნენ სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის.

პიარის მრავალი განსაზღვრება არსებობს, მაგალითად:

1. პიარი - ეს არის მართვის ფუნქცია, რომელიც ქმნის და ინარჩუნებს ურთიერთსასარგებლო კავშირებს ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის, რომელზეც დამოკიდებულია ორგანიზაციის წარმატება;

2. კომუნიკაციის მართვა ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის;

3. ეს არის ინფორმაცია რეპუტაციის შესახებ, ანუ იგი შედეგია იმისა, რასაც ვამბობთ, ვაკეთებთ და რასაც სხვები ამბობენ ჩვენს შესახებ.

პიარ სპეციალისტი არის ადამიანი, რომელიც გეგმავს და ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს, რომელიც იწვევს კეთილგანწყობას და ნდობას ამა თუ იმ კომპანიის ან ადამიანის მიმართ. პიარის სამუშაო მოითხოვს სხვადახვა დისციპლინების ცოდნას. ესენია: მარკეტინგი, რეკლამა, სოციალური ფსიქოლოგია, მენეჯმენტი და ა.შ. პიარი ხშირად ერევათ რეკლამაში. განსხვავება არის იმაში, რომ რეკლამაში იხდიან ფულს, ხოლო პიარი ქმნის მოვლენებს, რომლებიც უფასოდ შუქდება მედიაში.

პიარი თავისი შინაარსით კომუნიკაციური დისციპლინაა, რომელიც ცდილობს გადაწყვიტოს ესა თუ ის დავალება საკომუნიკაციო ნაკადებში ცვლილებების შეტანის მეშვეობით. ეს თანმიმდევრული ზემოქმედება ასე გამოიყურება: ჯერ შევიტანოთ ცვლილებები კომუნიკაციურ წყაროებში და აქედან გამომდინარეობს ცვლილებები საზოგადოებრივ აზრში, რომელსაც მივყავართ ქცევის შეცვლასთან.

პიარ სპეციალისტისთვის აუცილებელია კომუნიკაციების კარგად ცოდნა. კომუნიკაცია არის ორ ან მეტ პიროვნებას შორის ინფორმაციის გაგზავნისა და მიღების პროცესი. ის მიზნად ისახავს აზრებისა და ინფორმაციის გაცვლას ურთიერთობების მოწესრიგებისათვის ან ინფორმაციის მიღება-გაცვლისათვის. თანამედროვე ტიპის კომუნიკაცია თავის თავში გულისხმობს უკუკავშირს.

პიარ დისციპლინა, რომელიც კონტროლს უწევს რეპუტაციას იმ მიზნით, რომ მოიპოვოს გაგება, მხარდაჭერა და ზემოქმედება მოახდინოს აზრებსა და ქმედებებზე, არის დაგეგმილი და თანმიმდევრული ძალისხმევა, რათა დამტკიცდეს და შენარჩუნებულ იქნას კეთილი ნება და ურთიერთგაგება ორგანიზაციასა და მის აუდიტორიასთან.

საკომუნიკაციო კომპლექსში პიარის ფასეულობა საგრძნობლად გაიზარდა 1980-იანი წლების შემდეგ. დღეს კორპორაციები ნაკლებად არიან დამოკიდებული რეკლამაზე მასმედიაში და უფრო სანდო პიარის მიდგომა აითვისეს, რომელიც მესამე მხარის მხარდაჭერას (დამტკიცებას) და

მომხმარებლის განათლებას ეფუძნება. პიარი წამყვან როლს თამაშობს აუდიტორიის განათლებაში და შემდგომ გათვითცნობიერებად გადაქცევაში.

სტრატეგიული დაგეგმვა პიარში მოიცავს:

1. პრობლემის განსაზღვრას;
2. დაგეგმვასა და პროგნოზირებას;
3. მოქმედებასა და კომუნიკაციას;
4. პროგრამის შეფასებას.

პიარის ფუნქციებია:

- ურთიერთობა მასმედიასთან: მიაღწიოს სარედაქტორო გაშუქებას;
- პრობლემებისა და რისკების მართვა;
- კრიზისების მართვა;
- საწარმოს მმართველთა რეპუტაციის მართვა;
- შიდა კომუნიკაციები;
- დაინტერესებულ პირთა მოლოდინების მართვა;
- გამოფენებისა და ღონისძიებების ორგანიზება;
- ბრენდის წინ წაწევა;
- პროფესიული მომსახურებისა და ბიზნესებს შორის ურთიერთობის მომსახურებისთვის ხელის შეწყობა;
- სპონსორობის ორგანიზება;
- ურთიერთობების დამყარება მომმარაგებლებსა და დისტრიბუტორებთან;
- ურთიერთობის მართვა სხვადასხვა მყიდველებთან;
- სარეკლამო საქმიანობის და კონკურენტების ანალიზი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა და ლობირება;
- კომპლექსის (ერთობლიობის) სხვა ელემენტებისთვის მხარდაჭერა.

პიარი ასრულებს მთავარ როლს ბიზნეს გარემოში, რათა მათ დაამყარონ ძლიერი ურთიერთკავშირი თავის მომხმარებლებთან. ასევე პიარის ფუნქციაა გააუმჯობესოს საკომუნიკაციო არხები და აღმოაჩინოს მუდმივად ახალი გზები, რათა ორმხირივად მოხდეს ინფორმაციის გაცვლა და ამ ინფორმაციის აღქმა. საზოგადოებასთან ურთიერთობა ეფექტურად ეხმარება კორპორაციებს მიიტანონ პოტენციურ მომხმარებლებამდე ინფორმაცია პროდუქტისა თუ მომსახურების შესახებ. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური დღევანდელ დღეს მიმართავს სხვადასხვა ტექნიკებს, რათა მოახდინოს საზოგადოებრივის აზრის შეფასება, იქნება ეს ფოკუს ჯგუფი, აზრის გამოკითხვა თუ სხვა, რაც მაღალტექნოლოგიური საშუალებების დახმარებით გადაეცემა თითოეული მის მომხმარებელს, მაღალტექნოლოგიურ საშუალებებში შედის ინტერნეტი, სატელიტები, ფაქსები და სხვადასხვა მობილური ტექნიკები.

რადგანაც საზოგადოებრივი იმიჯი არის მნიშვნელოვანი ყველა ორგანიზაციისათვის, ასევე მნიშვნელოვანია პერსონალურობა. პიარ სპეციალისტი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამ ორივეს ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც კომპანიაში კრიზისული სიტუაცია წარმოიშობა. პიარ სააგენტოები უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი და დროული ინფორმაციის მიწოდებას, რაც, საბოლოო ჯამში, ეხმარება ორგანიზაციას შეინარჩუნოს საკუთარი სახე.

საზოგადოებრივი აზრი მუდამ არსებული, დინამიური ძალაა, რომელიც ასევე არის პიარ მისიის შემადგენელი ნაწილი. საზოგადოებრივ აზრს ახასიათებს: მიმართულება, ძალა, სტაბილურობა, საინფორმაციო და სოციალური მხარდაჭერა.

საქართველოში პიარის გამოჩენა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება, როდესაც გაჩნდა მოთხოვნილება ბიზნესის დაწყებაზე და ქვეყანამ ახალ სისტემაზე გადასვლა დაიწყო. 1993 წელს პირველად შეიქმნა ორგანიზაცია, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი ეწოდა. 1995 წელს გაიხსნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პიარ სპეციალობის პირველი ფაკულტეტი. რამდენიმე ხნის შემდეგ შეიქმნა პიარ სააგენტოები, ხოლო მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო პიარის სპეციალობის სწავლება, გაიხსნა უამრავი პიარ კურსი. ეკონომიკისა და ბიზნესის ზრდასთან, დემოკრატიულ ღირებულებებთან ერთად, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აზრს, მოთხოვნადი გახდა პიარ სპეციალისტი როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში. პრესსამსახურები გადაკეთდა საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურად.

პიარ პროფესიის ეთიკურ ნორმებს არეგულირებს საერთაშორისო პიარ ასოციაცია (IPRA), რომელიც 1955 წელს დაარსდა. ასოციაციის შექმნას საფუძველი დაუდო საზოგადოებასთან ურთიერთობის, როგორც მზარდი და მოთხოვნადი პროფესიის ჩამოყალიბებამ. IPRA-ის მიერ

შექმნილი წესდება უკავშირდება პიარის ეთიკურ, მორალურ და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებს და არის პიარ პროფესიის ძირითადი მარეგულირებელი.

საქართველოში პიარი შეიძლება დახასიათდეს, როგორც პროგრესირებადი საქმიანობის სფერო, რომელიც საჭიროებს განვითარებასა და ხელშეწყობას. წლევანდელი მონაცემებით, ქართულ ბაზარზე ძირითადად რამდენიმე სპეციალიზირებული პიარ კომპანია მუშაობს. ბოლო პერიოდში საქართველოში აქტიურად დაიწყო საზოგადოებასთან ურთიერთობის, როგორც სტრუქტურული ერთეულის შექმნა და ჩამოყალიბება კერძო კომპანიებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში.

პიარ სპეციალისტის მთავარი ამოცანაა ორგანიზაციისა და მისი პოლიტიკის, მომსახურებისა და პერსონალის სათანადო, სტაბილური იმიჯის ფორმირება და შენარჩუნება, სხვადასხვა მხარეთა აზრის კვლევა, საზოგადოების მაქსიმალურად ინფორმირება ორგანიზაციის საქმიანობაზე, პოლიტიკაზე, კადრებზე, პროდუქციასა და სხვა სიახლეებზე, ორგანიზაციის შიდა პიარ აქტივობების წარმოებაზე.

საზოგადოებასთან ეფექტური კონტაქტის დასამყარებლად საქართველოში მოთხოვნადი გახდა **პიარსპეციალისტი** როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში, ყოველივე ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი გამოთქმა: **ოცდამეერთე საუკუნეში ვინც მართავს ინფორმაციას, მას აქვს ძალაუფლება.** ამიტომ პიარს დიდი როლი ენიჭება დღევანდელ საზოგადოებაში.

ამრიგად, საზოგადოებასთან ურთიერთობა არის ნდობის, რეპუტაციისა და ურთიერთგაგების დამკვიდრება, რომელიც სიმართლესა და მაქსიმალურ ინფორმირებას ეფუძნება.

ლიტერატურა:

1. ო. ეჯიბაძე, „სტრატეგიული მენეჯმენტი", თბ., 2002.
2. გ. ერქომაიშვილი, ლ. გიგაური, ნ. ტალახაძე, „მეწარმეობის საფუძვლები", 2009.
3. Planing & Managing PR Campaigns, Enne Gregory,2008.
4. Publik Relations Strategy, Sandra Oliver, 2003.

Rural tourism-ის განვითარება საქართველოში

ქეთევან ფაცინაშვილი, ლია ბერუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ხათუნა კაკაურიძე**, დოქტორი

დღევანდელ ინდუსტრიულ გარემოში ქალაქის აჩქარებული რიტმი წარმოშობს ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნას – სურვილს, რომ პერიოდულად დაისვენოს მშვიდ და წყნარ გარემოში, სადაც არის სუფთა ჰაერი, წარმტაცი პეიზაჟები და გულითადი მასპინძლები. სოფლად დასვენების ინტერესი და მოთხოვნა იზრდება, ჩნდება ტურიზმის ახალი ფორმებიც – სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვა მრავალი. ტურისტული შეთავაზებების ახალი ფორმები პირველდ ჩამოყალიბდა დიდ ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც ქალაქის მაცხოვრებლებს აღარ გააჩნდათ მჭიდრო ნათესაური კავშირები სოფლად, მაგრამ ჰქონდათ სოფლად დასვენების დიდი სურვილი. ისინი ირჩევდნენ მიმზიდველ სოფლებს ქალაქგარეთ, ქირაობდნენ საზაფხულო სახლებს და, შესაბამისად, იხდიდნენ ქირისა და მომსახურების საფასურს. მასპინძელი ოჯახებისათვის ეს დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა. ამჟამად სოფლის ტურიზმის დასვენების პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოშიც იკიდებს ფეხს.

საქართველო ოდითგანვე სასოფლო მეურნეობით განთქმული ქვეყანა იყო. გაჭირვებითა და მღელვარებით აღსავსე XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, სოფლის მეურნეობა კვლავ აღმავლობის გზას დაადგა და სასოფლო ცხოვრება უფრო და უფრო მიმზიდველი გახდა როგორც ქართველებისათვის, ისე ჩვენ ქვეყანაში სტუმრად ჩამოსული უცხოელებისათვის. ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა ყველა პირობას შეუქმნის სტუმარს სოფლად სასიამოვნო ოჯახური დასვენებისათვის. თანამედროვე ცივილიზაციის ხმაურს გარიდებულ დამსვენებელს ელის ხელშეუხებელი ბუნება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ტრადიციული აგრომეურნეობები და თბილი, ოჯახური ატმოსფერო. სოფლად დასვენებისას სტუმრები

გაეცნობიან ადგილობრივი მოსახლეობის ყოფას, საუკუნოვან ტრადიციებსა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს, დააგემოვნებენ ორგანულ საკვებსა და ოჯახურ კერძებს.

როგორც ნამდვილი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნებს ეკადრებათ, საქართველოს სასოფლო მეურნეობა თავის ისტორიასა და ადათ-წესებს ღირსეულად ინახავს. ისინი საუკუნეების მანძილზე წარმოაჩენდნენ ქვეყნის განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე და ეს ყველაზე კარგად სოფლის ცხოვრებაში აისახებოდა.

ორგანიზებული ტურიზმის მიზნებისათვის ტუროპერატორის ან ტურისტული სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტურისტულ-ინდივიდუალების სოფელში დასვენება სწორედ სასოფლო ტურიზმად Rural tourism იწოდება და დღეისთვის, სპეციალიზებული ტურიზმის ცალკეულ დარგს წარმოადგენს. სასოფლო ტურიზმი (Rural tourism) არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა საქალაქო არეალების გარეთ, სასოფლო დასახლებებში დასვენებისა და ადგილობრივი ყოფის გაცნობის მიზნით. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები თვითონ სოფლის მცხოვრებლები არიან. სასოფლო ტურებით გათვალისწინებულია ტურისტთა განთავსება ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ და მოწყობილ სახლებში, დასვენება მშვიდ, "პასტორალურ" გარემოში, კვება ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით, ადგილობრივი ნაკეთობების შეძენა, სოფლის ცხოვრების გაცნობა და მასში მონაწილეობა. ტურიზმის ეს მიმართულება საქართველოში უკვე სერიოზულად იკიდებს ფეხს. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში უკვე ბევრი მოსახლეა ჩართული სასოფლო ტურებში, ისინი აქტიურად ახორციელებენ ტურებით გათვალისწინებულ პროგრამას და საკმაო ანაზღაურებასაც იღებენ. ბევრი ასეთი ტურისტული მინიმეურნეობა უკვე აქტიურად მოქმედებს კახეთში, სვანეთსა და სხვა მხარეებში.

"სოფლის ტურიზმი" (Rural tourism) ზოგიერთ ქვეყანაში აღინიშნება როგორც აგროტურიზმი. პროფესიულ ტურისტულ ბიზნესში სასოფლო ბიზნესს, როგორც საქმიანობის საკმაოდ შემოსავლიან სახეობას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე.

დღეისთვის, დასვენების ასეთი სახეობის არჩევის მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ძვირადღირებულ, ფეშენებელურ კურორტზე დასვენებისათვის საჭირო სახსრების არქონა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასვენება სოფელში გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე საკურორტო ზონაში ან ცნობილ ტურისტულ ცენტრში;
- ოჯახური ან სხვა ჩვეულებებზე დამყარებული, სოფელში დასვენების ტრადიცია, განურჩევლად ადამიანის მატერიალური მდგომარეობისა;
- ექიმის მიერ რეკომენდებული დასვენება მოცემულ კლიმატურ პირობებში, გამოჯანმრთელების მიზნით;
- ბუნებასთან სიახლოვის და ტყეში, ტბაზე, სუფთა ჰაერზე ყოფნის სურვილი;
- ეკოლოგიურად სუფთა და იაფი პროდუქტებით კვების შესაძლებლობა;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩართვა და სიამოვნების მიღება;
- ქალაქის მღელვარებით სავსე ცხოვრებისაგან განსხვავებული მშვიდი გარემო;
- უცხო კულტურისა და ჩვეულების გაცნობა, განსხვავებულ ხალხთან ურთიერთობა, ადგილობრივ დღესასწაულებსა და გართობაში მონაწილეობა.

თუ გავითვალისწინებთ ტურისტული პროდუქტის კომპლექსურობას, ტურისტული საქმიანობა სოფლად მხოლოდ ინდივიდუალური ფერმით/მეურნეობით არ შემოიფარგლება, ხშირ შემთხვევაში, ტურისტის მომსახურებაში მთელი თემი არის ჩართული. შესაბამისად, აგროტურისტული მეურნეობა ზრდის მოსახლეობის დასაქმების დონეს და ქმნის დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროს, დასაქმებასა და შემოსავალს ქმნის სოფლის მოსახლეობისათვის. აგრო-, ეკო- და სოფლის ტურიზმის ცნებების მკაცრი განსაზღვრება არ არსებობს. მარტივად რომ ვთქვათ ისინი წარმოადგენენ მდგრადი ტურიზმის შემადგენელ ნაწილებს, სადაც გათვალისწინებულია გარემოსგაცვითი საქმიანობები, ბუნების კონსერვაცია, მდგრადი სოფლის მეურნეობა და სოფლის ეკონომიკა.

სოფლად ტურიზმის განვითარება ამცირებს უმუშევრობას და ზრდის ადგილობრივი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას. დღეს, როდესაც სოფლად ცხოვრების პირობები და ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური შემოსავლები მცირეა, პროდუქტის გასაღების ბაზრების მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების გაზრდა მომსახურების დამატებით შემოსავალს ქმნის. მაგალითისათვის მოვიყვანოთ სოფლის ტრადიციული პროდუქტის წარმოება, მისი საკვებად გადამუშავება და სტუმრის გამასპინძლება. დამატებითი ღირებულების წამოქმნა შესაძლებელია ასევე სხვა მომსახურებითაც, როგორიც არის ღამის გათევის შეთავაზება, ტრანსპორტითა და კვებით მომსახურება, სუვენირების წარმოება და სხვ. ეს ყველაფერი ქმნის ტურისტული პროდუქტის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, რაც ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირ შემოსავალს. დამსვენებელს მეწარმე ადგილზე სთავაზობს პროდუქტს, ანუ მყიდველი თავად მიდის პროდუქტთან (აქ იგულისხმება როგორც ტურისტული სერვისი, ასევე ტრადიციული პროდუქტი), რაც, თავის მხრივ, "უხილავი ექსპორტის" სახეა და სარეალიზაციო ჯაჭვს ამცირებს.

სასტუმრო სახლები და აგროტურისტული მეურნეობები მდებარეობს საქართველოს შვიდ რეგიონში, კერძოდ: კახეთში, თუშეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმში და ყოველი მათგანი დატანილია რეგიონის რუკაზე. სოფლის ტურიზმში ჩართული წევრი მეურნეებისა და ოჯახების მონაცემები განთავსებულია კატალოგსა და ვებ-გვერდზე www.ruraltourism.ge

არიან ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ფერმერებსა და სოფელში მცხოვრებ ხალხს, რომ ჩაერთნონ ტურისტულ სამიანობაში და განვითარდეს სასოფლო ტურიზმი. EuroGitr ფერმერული და სოფლის ტურიზმის ევროპის ფედერაციაა, სადაც ამჟამად 26 ქვეყნის საოჯახო სასტუმროებისა და სოფლის ტურიზმის ასოციაციებია გაერთიანებული. ასოციაციების წევრების საერთო რაოდენობა 400 000 ოჯახია. საქართველოში EuroGitr -ს წევრია ასოციაცია "ელკანა" – „ჩვენი წევრებიდან 40 ოჯახი ჩართულია სოფლის ტურიზმის ქსელში". ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანამ" სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მდგრადი მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით, დაიწყო სოფლის ტურიზმის განვითარების პროექტის განხორციელება. პროექტი ითვალისწინებს სოფლად ტურისტული საქმიანობებისა და ადგილობრივი, ტრადიციული პროდუქტის პოპულარიზაციის ხელშეწყობით დამატებითი შემოსავლების შექმნას ადგილობრივი მაცხოვრებელთათვის. ამჟამად 50 ოჯახი (საქართველოს შვიდი რეგიონიდან), რომელთაც აქვთ სასტუმრო სახლი სოფლად ან პატარა ქალაქში, საინტერესო გლეხური მეურნეობა და შესაძლებლობა სტუმრებს გააცნონ ქართული ტრადიციები და კულტურა, გაერთიანებულია „ელკანას" სოფლის ტურიზმის ქსელში. მასპინძელ ოჯახებს სტუმართათვის დათმობილი აქვთ 2-7 საძინებელი ოთახი ელემენტარული პირობებით, აგროტურისტულ მეურნეობებში შემორჩენილია ტრადიციული პროდუქტის წარმოებისა და შენახვის უძველესი ტრადიციები და ტექნოლოგიები. მასპინძელი ოჯახები, ღამის გათევის გარდა, სტუმრებს სთავაზობენ ადგილობრივი პროდუქტით დამზადებულ კერძებს, ასევე ტურისტულ მარშრუტებს – გასეირნება ახლომდებარე ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად, თევზაობა, ცხენების დაქირავება და სხვ.

კავკასიაში ტურიზმის საერთაშორისო ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია 2007 წლის აგვისტოდან არის სასოფლო ტურიზმის საერთაშორისო ასოციაციის სერთიფიცირებული წევრი. მარინა მეტრეველი, ორგანიზაციის დირექტორი და სასოფლო ტურიზმის ექსპერტი, ამ ასოციაციის ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინატორია. არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა დაარსების დღიდან (2007 წ. მარტი) ფოკუსირებულია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში სოფლად მცხოვრებთა გათვითცნობიერებაზე სტუმართმოყვარეობის თანამედროვე სტანდარტებთან მიმართებაში. მათ აქვთ შემუშავებული სპეციალური პროექტი და ისინი ატარებენ ტრენინგებს საკითხზე, როგორიცაა: "სასოფლო ტურიზმის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება საქართველოში". პროექტი ითვალისწინებს ოჯახებისა და ფერმერების ნებაყოფლობით ჩართვას სასოფლო ტურიზმში. ძირითად საქმიანობასთან ერთად ისინი, სურვილის შემთხვევაში, გაივლიან სავალდებულო ტრენინგებს და ერთვებიან ამ მეტად საინტერესო ბიზნესში. სასოფლო ტურიზმში ჩართულობა დიდად უწყობს ხელს

არალეგალური მიგრაციის შემცირებას და ოჯახებიდან მოუწყვეტლივ ქალბატონების დასაქმებას. სწავლების კურსი შეხამებულია საქართველოს ტრადიციებთან, სოფლის მეურნეობის სპეციფიკური დარგების განვითარებასა და ეთნიკურ კუთვნილებებთან.

ჩვენ გვინდა მაგალითის სახით მოვიყვანოთ რამოდენიმე რეგიონი, სადაც აქტიურად ვითარდება სასოფლო ტურიზმი. მაგალითად: სოფელი დართლო საქართველოს ისტორიულ მხარეს თუშეთს ეკუთვნის, ადმინისტრაციულად კი კახეთს (ახმეტის რაიონს). იგი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, პირიქითა თუშეთში. სოფელი დართლო თუშეთის სავიზიტო ბარათია, იგი გამოირჩევა ციხე-კოშკებით, უნიკალური ტყით, თოვლიანი მწვერვალებით და ა.შ. ტრადიციულად ნაგები საოჯახო სასტუმრო ტურისტებს სთავაზობს 6 ორადგილიან ოთახს. ეზოში მდებარეობს სამზარეულო, კაფე და სველი წერტილი. ოჯახი სტუმრებს სთავაზობს თუშურ სამზარეულოს და ნატურალურ პროდუქტს. აქ სტუმარს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ხინკლისა და ლუდის დამზადებაში. ასევე, დართლოში არის რამოდენიმე სახლი-სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო ,,სამციხე" სოფ. დართლოს შუაგულში. სასტუმროში ერთდროულად 40 სტუმრის მიღებაა შესაძლებელი.

ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მთათუშეთში განვითარდეს სასოფლო ტურიზმი, რადგან სოფელში გამოჰყავთ ცხვრის ჯიშები. მათი მატყლით ქსოვენ, ასევე გამოჰყავთ ე.წ. "გუდის ყველი", რომელიც დამახასიათებელია თუშური კულტურისათვის. იგი სპეციალურად დამუშავებულ ცხვრის ტყავში მზადდება, ვფიქრობთ უკეთესი იქნება თუ გაკეთდება საწარმო, სადაც ეს ყველი დამზადდება მათ თვალწინ და მოხდება მათი ჩართვა ამ საქმიანობაში. თუკი ისინი დაინტერესდებიან ამით, ისინი უფრო კარგად გაეცნობიან თუშების თვითმყოფად კულტურას.

აჭარის მაღალმთიანი სოფლების განსაკუთრებული ჰავა და ბუნება იძლევა იმის პერსპექტივას, რომ განვითარდეს სასოფლო ტურიზმი. აჭარის მაღალმთიან სოფლებში არსებული კეთილმოწყობილი სახლები, განსაკუთრებული სამზარეულო, სუფთა ჰავა, მდინარეები, ჩანჩქერები, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, არაჩვეულებრივი სტუმარ-მასპინძლობის კულტურა ქმნის მეტად სასიამოვნო და მყუდრო გარემოს ადამიანის სულიერი დასვენების და ფიზიკური ძალების აღდგენისთვის.

ჩვენი აზრით, სასოფლო ტურიზმის განვითარება და მისი სწორად წარმართვა შიდა ქართლის ზოგიერთ სოფელშიც არის შესაძლებელი, მაგალითად: სოფელი ატენი, ადგილობრივები ამაყობენ მისი გეოგრაფიული მდებარეობით, ზოგი ვაკეზე, ზოგი კი მთებსა და კლდეებზე შეფენილი სახლებით, რაც მეტად კოლორიტულ იერსახეს ქმნის. სოფელში დღემდეა შემორჩენილი ძალზედ მნიშვნელოვანი სიძველეები: მე-7 საუკუნის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, დედათა მონასტერი, სადაც მონაზვნები ცხოვრობენ, ატენის სიონი და კიდევ ბევრი სხვა სალოცავი. ადგილობრივი მაცხოვრებლები ამაყობენ იმით, რომ სწორედ აქ იწურება ყურძნის ის შესანიშნავი ჯიშები, რომლითაც შემდგომ მზადდება ,,ატენური" ღვინო.

ატენში მცხოვრებ სოსო ლოთიშვილის 60-წლიანი მარანი, ტალავერის გაფართოების და მარნის რეკონსტრუქციისთვის დააფინანსა ორგანიზაციამ ,,ჯი-აი-ზეტ"-მა. მისი მარანი, როგორც ეროვნული ფასეულობა, ინტერნეტშია განთავსებული და მის დასათვალიერებლად ქართველების გარდა უცხოელებიც მოდიან: გერმანელები, პოლონელები, ინგლისელები.

მიმზიდველობა, სუფთა ბუნებრივი გარემო, გულითადი მასპინძელი, ადგილობრივი პროდუქტი - ეს არის ის ძირითადი კომპონენტები, რაც სოფლად ტურისტულ მოთხოვნას ქმნის. ორგანული მეურნეობები, სუფთა და ჯანსაღი პროდუქციით კი ის დამატებითი კომპონენტია, რაც ტურისტულ შეთავაზებას უფრო მიმზიდველსა და ღირებულს ხდის. ამ შემთხვევაში ადგილობრივ ფერმერს და თავად ტურისტს გააზრებული აქვთ ბუნების მიმართ პასუხისმგებლობა. დასვენება სუფთა ჰაერზე და საღი პროდუქტებით კვება უფრო და უფრო აქტუალური ხდება. სასურველია, რომ სოფლად ტურისტული მოღვაწეობის ნებისმიერი ფორმა ეკოლოგიური და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით განვითარდეს, რათა გაიზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა და შემოსავლები.

ლიტერატურა:

1. მ. ბირჟაკოვი, ტურიზმის თეორია, თბ., 2008.
2. მ. მეტრეველი, ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის საფუძვლები, თბ., 2008.
3. გ.ხომერიკი, ტურიზმი, თბ., 2008.
4. ა.ოქროცვარიძე, მ. ვადაჭკორია, ლ. ოქროცვარიძე, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, თბ. 2011.
5. http://www.npa.org.ge/upload/editor/file/umaglesi%20ganatleba/turitmi.pdf
6. http://ka.wikibooks.org/wiki/თემა_VII_აგროტურიზმი
7. http://organicconference.elkana.org.ge/files/conf/f3/3.pdf

8. http://geoeconomic.com/page3.php?lp=1&weli=2008&nomeri=7&cct=40&zid=28
9. http://agro.ge/index.php?m=737&newsid=42
10. http://icct.ge/rural.html
11. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000849/avTandil%20oqrocvariZe.pdf
12. http://www.ruraltourism.ge/?lang=geo

XXI საუკუნე და ქართული ტურიზმის პერსპექტივები

ნათია ღერკენაშვილი, ელისო დოთიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი მერლანი**, სრული პროფესორი

ტურიზმი მსოფლიოში აღიარებულია, როგორც შემოსავლების მიღების უდიდესი წყარო და მრავალი ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა უკვე გადაჭარბა ბევრი სხვა დარგიდან მიღებულ შემოსავლებს. იგი ერთ-ერთი ყველაზე რენტაბელური სფეროა და მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მაღალი ზრდის ტემპების გამო იგი აღიარებულია, როგორც "XXI საუკუნის ფენომენი".

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში შემოსავალი ტურიზმიდან ყოველწლიურად 9%-ით იზრდება. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (WTO) პროგნოზით, ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოში 2012 წლისათვის 1 მილიარდს გადააჭარბებს, ხოლო შესაბამისად შემოსავლები 600 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდება.[1]

დღეისათვის ტურიზმი იკავებს მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქციის 10%-ს (ხოლო ზოგიერთი მცირე თუ განვითარებადი ქვეყნის მშპ-ში მისი წილი ბევრად უფრო მაღალია), მოიხმარს მშპ–ის 10,9%-ს, მსოფლიო ინვესტიციების 11,8%-ს. ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულია მომსახურეთა დიდი რაოდენობა (მსოფლიო მოსახლეობის 10%), მოზიდულია ძირითადი საშუალებები და მსხვილი კაპიტალი. ეს არის მსხვილი ბიზნესი, დიდი ფული და გლობალური დონის სერიოზული პოლიტიკა. მას სამართლიანად უწოდებენ "ოქროს კვერცხის მდებელ ბატს". [2]

ტურიზმის ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1. შემოსავლები, რომელიც აღრიცხვას ექვემდებარება (ტურისტული ფირმების, სააგენტოების, ბიუროების, სასტუმროების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ტურბაზების, კემპინგების და ა.შ.); 2. შემოსავლები ტრანსპორტიდან – სახალხო გადაზიდვები. გარდა ამისა სავიზო-საკონსულო მოსაკრებელი, სადაზღვევო შემოსავლები, სასტუმროს გადასახადი, საკურორტო მოსაკრებლები, კაფეების, ბარების, რესტორნების, კლუბების, კაზინოების, გასართობი სანახაობების, მაღაზიების, ბაზრობების, სუპერმარკეტების, გამოფენა-გაყიდვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების შემოსავლების ის წილი, რომელიც ტურისტთა მომსახურებიდანაა მიღებული. საოჯახო ტურიზმი (მოაგარაკენი), ქვეყნის შიგნით სატრანსპორტო, სამედიცინო, კავშირგაბმულობის მომსახურება და სხვა., რაც ნათელ სურათს ქმნის ტურიზმის ფენომენზე.

მართალია მოგზაურობა XXI საუკუნის ფენომენს წარმოადგენს, იგი მაინც ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს.

საქართველო ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველი იყო უცხო მოგზაურთათვის. არგონავტების კოლხიდაში მოგზაურობა ოქროს საწმისის დაუფლებისათვის ამის უძველესი საბუთია. უხსოვარი დროიდან ჩვენი ქვეყანა, თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, დასერილი იყო სხვადასხვა მიმართულების სავაჭრო გზებით. ნიშანდობლივია ისიც, რომ დღესაც ჩვენი მთავრობა ზუსტად გზების კეთილმოწყობას აქცევს დიდ ყურადღებას და ამ კუთხით მილიონობით ინვესტიციებს ხარჯავს. კეთილმოწყობილი გზები კი ტურიზმის

[1] Database of Tourism statistic. WTO Publikations, Madrid, Spein, 2005. page 196.
[2] http://worild-tourism.org.

განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მოგზაურობა ვერ განხორციელდებოდა იმ დროისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის გარეშე. საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი სასტუმროს ტიპის სახლების არსებობა, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც მთიან რეგიონს, გეოგრაფიული მონაცემების თანახმად, ქვეყნის მთელი ტერიტორიის 54.4% მთიანია (ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლაა), თუმცა, თუ ვიხელმძღვანელებთ მთიანი რეგიონების შესახებ ევროპის რიგ ქვეყნებში დღეისათვის მიღებული განმარტებით, მთიანი რეგიონები არის გეორაფიული, ეკონომიკური და სოციალური ერთეული, რომლის რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს განვითარებას, მოწყობისა და დაცვის საგანგებო წესების შემუშავებასა და ამოქმედებას. ტერიტორია, რომელიც ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდება.

საქართველოს მთიანეთის სამი ძირითადი ნაწილი – აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ მთიანეთი, - არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ტრადიციებით და რესურსული პოტენციალით, ასევე განვითარების შესაძლებლობებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბოლო ხანებში შეიმჩნევა ტურისტული ორგანიზაციების სიმრავლე, რაც შეიძლება აიხსნას უცხოელი ტურისტების უფრო და უფრო მზარდი ინტერესით ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული ძეგლების, ფლორისა და ფაუნის მიმართ. ამას ადასტურებს ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტიდან:

საქართველოში 2010 წლის განმავლობაში შემოვიდა 103 521 უცხო ქვეყნის მოქალაქე, აქედან 48 565 ევროპიდან, ხოლო 40 282 აზიიდან, 13 315 ამერიკის ქვეყნებიდან, 201 აფრიკის ქვეყნებიდან და 836 სხვა ქვეყნებიდან. ამასთან ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წილით წარმოდგენილი არიან: გაერთიანებული სამეფოს და გერმანიის ქვეყნები შესაბამისად 7165 და 6848. აზიის ქვეყნებიდან თურქეთი და ისრაელი, შესაბამისად 14541 და 6773. ამერიკის ქვეყნებიდან, აშშ და ურუგვაი, შესაბამისად 12628 და 277. აფრიკიდან, სამხრეთ აფრიკის რესბუბლიკა 149. [1]

საქართველოს ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, ამას დამატებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიუხვე, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოს შეუძლია განავითაროს ტურიზმის სხვადასხვა სახეები:

ა) სპეციალიზებული ტურიზმი;

ბ) სათავგადასავლო ტურიზმი;

გ) აგროტურიზმის;

დ) ეკოტურიზმი;

ე)ახალგაზრდული ტურიზმის და სხვა.

საქართველოს ტერიტორიული პოტენციალი შემდეგი პარამეტრებით ხასიათდება: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 15 000 ისტორიული ძეგლი, რომელთაგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, მოქმედი 2 და პერსპექტიული 7 ეროვნული პარკი, 2400 მინერალური წყარო, რომელთა დღეღამური დებიტი 130 მლნ ლიტრია, სამკურნალო ტალახები, კასტრული მღვიმეები, კლიმატის მრავალფეროვნება, მოსახლეობის გამოცდილების მაღალი დონე ტურისტული მომსახურების სფეროში, განათლებისა და კულტურის მაღალი დონე, ტრადიცული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო.

1988 წლის მონაცემებით საქართველოში ჩამოდიოდა 4 მლნ-მდე ტურისტი და დამსვენებელი. თუმცა 1990 წლიდან დაიწყო ტურისტული ინდუსტრიის ვარდნის პროცესი. პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში 1995 წლიდან იწყება ტურისტული ინდუსტრიის თანდათანობითი ზრდა. 1995-2005 წლებში საქართველოში შემოსული უცხოელებისა და საქართველოდან გასულთა რაოდენობა ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემებით შემდეგი მდგომარეობით ხასიათდება: საქართველოში 2005 წელს სულ შემოვიდა 387.3 ათასი ვიზიტორი, რაც 1995 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.5-ჯერ მეტია. საქართველოდან გასულთა რაოდენობამ 2005 წლისათვის 316 ათასი კაცი შეადგინა, რაც 1.4-ჯერ აღემატება 1995 წლის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ 1999 წლიდან საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა ჭარბობს საქართველოდან გასულთა რაოდენობას.

2005 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების საერთო მოცულობამ შეადგინა 226.7 მლნ. ლარი, რაც მშპ-ს 13.6%-ია. 1999 წელს "ტასისის" ექსპერტთა გაანგარიშებით, უცხოელ

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2010. გვ. 239-241.

ვიზიტორთა შემოსავლების ხვედრითმა წილმა ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ექსპორტში შეადგინა 16%. ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შეადგენს 20 ათას კაცს, არაპირდაპირი ეფექტის გათვალისწინებით – 50 ათას კაცს. უშუალოდ ტურისტულ სფეროში დასაქმებულთა 93% მოდის მცირე და საშუალო საწარმოებზე. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში ექსპლუატაციაში შევიდა 119 ახალი სასტუმრო და სასატუმრო სახლი 1340 ნომრითა და 16704 საწოლი ადგილით.[1] ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ტენდენცია, თუ როგორი მდგომარეობა იყო ჩვენს ქვეყანაში ბოლო 20 წლის მანძილზე, შეინიშნებოდა ეფექტური აღმავლობაც და უეცარი დაცემაც ტურისტთა რაოდენობისა, ახლა კი ვნახოთ, რისი გაკეთება შეუძლია საქართველოს სამომავლოდ, რას შესთავაზებს იგი უცხოელ ტურისტებს, რამდენად მრავალფეროვანი კურორტები გვაქვს, გაგვაჩნია თუ არა ისეთი კეთილმოწყობილი სასტუმროები, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი ტურისტების კომფორტული განთავსებისათვის და ბოლოს, განვიხილავთ, რა პერსპექტივა აქვს ტურიზმის განვითარებას საქართველოში და რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა უახლოეს მომავალში მძლავრ ტურისტულ ცენტრად იქცეს.

საქართველოში მრავალი ბუნებრივი ღირშესანიშნაობაა: ნაკრძალები, ტბები, ჩანჩქერები, გამოქვაბულები, ხეობები, მთის მწვერვალები, მყინვარები რომელთა უმეტესობა მთის ზონაშია განლაგებული. ყველაფერი ეს ტურისტების ყურადღებას იპყრობს. კურორტების ძირითადი ნაწილი მდებარეობს ზღვისპირა და მთიან რაიონებში: ა) მთის ზონა გამოირჩევა ლამაზი ლანდშაფტით, ჯანსაღი კლიმატითა და მრავალრიცხოვანი წყაროებით. დასვენებას ხელს უწყობს სუფთა ჰაერი, მზის სხივები და ა.შ. ბ) შავი ზღვის სანაპირო ყურადღებას იპყრობს თავისი მოსახერხებელი პლაჟებითა და ლამაზი ბუნებით. კლიმატი აქ ნოტიო-სუბტროპიკულია, ზამთარი კი რბილი, ზაფხული - ხანგრძლივი და საკმაოდ ცხელი. განსაკუთრებით მდიდარია მცენარეული საფარი. გ) საბანაო სეზონი 5-6 თვეს გრძელდება. დ) მთელი წლის განმავლობაში მაღალეფექტურია კლიმატოთერაპია. ე) ბევრია ბალნეოლოგიური კურორტები, უნიკალური მინერალური წყაროებით.

ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია აქვს უცხოელი ტურისტების მიღებაზე (მათ შორის საქართველოსაც) დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მარკეტოლოგები და ტუროპერატორები შემდეგ ძირითად მოთხოვნებს უყენებენ: 1). კომფორტული დაბინავების საშუალებები (2-4 ვარსკვლავიანი სასტუმროები და სასტუმრო სახლები) შეღავათიანი ფასებით, რადგან ამჟამად მსოფლიო ტურიზმის ძირითადი შემოსავალი საშუალო ფენაზე მოდის. 2). სისუფთავე და სისუფთავის დაცვის საშუალებები. შესაძლოა ყველაფერი უბრალო იყოს, მაგრამ იდეალურად სუფთა. 3). ქვეყნისათვის დამახასიათებელი საკვებით კვება. აუცილებელი არაა ევროპული სამზარეულოს მოშველიება, მაგრამ საკვები მაღალი ხარისხის უნდა იყოს. უმეტეს შემთხვევაში ტურისტებს ურჩევნიათ გასინჯონ ეროვნული კერძები. 4). ტურისტებმა უნდა ისიამოვნონ გარემოთი, სანახაობით. საჭიროა კომფორტული ტრანსპორტი და კარგი გზები, სათანადო რუკები, გზამკვლევები, რათა მათ მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია. 5). ტურისტებს სურთ შეისწავლონ მოცემული ქვეყნის ისტორია და კულტურა, მოინახულონ ღირსშესანიშნაობები, მოისმინონ გიდების მიერ მათი ისტორია. 6). თავისუფალი დროის გატარების საშუალება – თევზაობა, ნადირობა, მთაში გასეირნება. 7). ტურისტებს სურთ შეიძინონ სუვენირები, ხელით ნაკეთი ნივთები, ყველაფერი ეს უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ნაკლები დრო უნდა დახარჯოს მათ შეძენაზე. 8). ტურისტმა დღის ბოლოს უნდა მოუსმინოს მუსიკას, დაესწროს ფოლკლორულ კონცერტებს, სპექტაკლებს, გაეცნოს ეროვნულ კულტურას. 9). უნდა იმოგზაურონ უსაფრთხოდ. 10). მათ სურთ ღიმილი და მეგობრული შეხვედრა. შეიძლება ულამაზესი ქვეყანაც კი მოსაწყენი იყოს, თუკი იქ უხეშად მოექცევიან.

საინტერესოა რამდენად შეუძლია ჩვენს ქვეყანას და მის ცალკეულ რეგიონებს დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნები, რა პერსპექტივები აქვს და ტურიზმის რომელ სახეებზე იქნება ძირითადი მოთხოვნა სამომავლოდ.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (WTO) მარკეტინგული განყოფილების პროგნოზით 2010-2020 წლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მარკეტინგული სეგმენტები იქნება: 1. მზე და პლაჟი; 2. სპორტი; 3. თავგადასავლები; 4. ტურიზმი ბუნების წიაღში; 5. კულტურული ტურიზმი; 6. ქალაქური ტურიზმი; 7. სასოფლო ტურიზმი; 8. კრუიზები; 9. ნაკრძალები და პარკები; 10. შეხვედრები და კონფერენციები. [2]

საქართველოს ტერიტორიის მიხედვით გამოყოფილი იყო შემდეგი ტურისტული რეგიონები: აფხაზეთი, აჭარა, კოლხეთი, შოვი-უწერა (ზემო რაჭა), ბორჯომი-ბაკურიანი, თბილისი, აბასთუმანი, სამაჩაბლო, სვანეთი, კავკასიონის მთიანი ზონები, კახეთი. აქედან პირველ ადგილზე აფხაზეთს

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2008 წ.გვ.236-237.
[2] Bull A. The Economics of Travel and Tourism. London. Pitman, 2004. Page 82.

გამოყოფდნენ, რომელიც გამოირჩევა უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და საკურორტო-სამკურნალო ზონებით. აჭარის ტურისტული რეგიონი მეტწილად მთიანია და გამოირჩევა საუკეთესო კლიმატით.

შავი ზღვის სანაპირო ზოლი საშუალებას იძლევა სეზონზე მიიღოს დამსვენებელთა დიდი ნაკადი ტურისტული მისიით – "მზე და პლაჟი". დიდი შესაძლებლობებით ხასიათდება კოლხეთის ტურისტული მარშრუტები, გოგირდწყალბადოვანი, ქლორიუმნატრიუმიანი წყაროები, კურორტები წყალტუბო, მენჯი, ცაიში, ქუთაისის საგარეო უბანი და სხვა. ზემო რაჭიდან მნიშვნელოვანია შოვი, თავისი მინერალური წყაროებით. ონი-უწერა (ზღვის დონიდან 1000-1600 მ-ზე მდებარეობს) თავისი ლანდშაფტებით უცხოელთა დიდ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბორჯომ-ბაკურიანის ზონა, რომელიც დღეს აქტიურად აცხადებს პრეტენზიას სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთა და დამსვენებელთა მასპინძლობაზე. ასევე მნიშვნელოვანია გუდაურის კომპლექსიც, სადაც უცხოელ ტურისტთა რიცხვი ყოველწლიურად ერთიორად იზრდება. განსაკუთრებულია აბასთუმნის, სურამის, მცხეთის, ვარძიის ტურისტული კომპლექსები, თბილისის, მანგლისის, მცხეთა-საგურამოს, არაგვის, ლიახვის, ქსნის, თერგის ზონები, დუშეთ-ყაზბეგის, ჟინვალი-ანანურის ტურისტული მარშუტები, ფშავ-ხევსურეთში-უჯარმის, ახტალის, თორღვას აბანო, ლაგოდეხის კომპლექსები, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა პროცესებმა, რასაც დაემატა 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებები, დიდი დაღი დაასვა საქართველოს ტურისტული რეგიონების მდგომარეობას: დაზიანდა და მწყობრიდან გამოვიდა მრავალი ობიექტი და დასასვენებელი სახლი, სხვა დანიშნულება მიიღო სასტუმროების დიდმა ნაწილმა (განსაკუთრებით რეგიონებში), დაზიანდა საავტომობილო გზები, ზოგჯერ შეუძლებელი ხდება ტურისტულ ზონამდე, თუ კულტურულ-ისტორიულ ძეგლამდე ავტომობილებით მისვლა, დედაქალაქის გარდა, თითქმის არც ერთ ქალაქში არ აშენებულა თანამედროვე ტიპის სასტუმრო კომპლექსები, სადაც უცხოელი ტურისტების განთავსება იქნებოდა შესაძლებელი, ყოველივე ამისათვის კი საჭიროა საკმაოდ სოლიდური ინვესტიციები.

იმისათვის, რომ საქართველო საერთაშორისო ტურისტულ კონკურენციაში ჩაერთოს და მიმზიდველი გახდეს უცხო ტურისტებისათვის, აუცილებელია:

1). გაირკვეს, თუ რა ხდება დღეს მსოფლიოში, ვინ შემოდის და მომავალში ვინ შემოვა ქვეყანაში,

2). რა არის ტურისტების სპეციფიკური დამახასიათებელი თვისებები.

3). უნდა განისაზღვროს ძირითადი ბაზრები მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით (ქართველები, რომლებიც ემიგრაციაში არიან, ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც საქართველოსთან რაღაც აკავშირებთ, რელიგიური ჯგუფები, რომელთაც რაიმე ინტერესი აქვთ, ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ეკოტურიზმით და სიძველეებით და ა.შ.).

4). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტურისტული ჯგუფები მცირერიცხოვანი იყოს, რაც საერთაშორისო ტურიზმის თანამედროვე მიმართულებაა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2010.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2008.
3. Database of Tourism statistic. WTO Publikations, Madrid, Spein, 2005.
4. http://worild-tourism.org.
5. Bull A. The Economics of Travel and Tourism. London. Pitman, 2004.

სამუშაო ძალის მიგრაციის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე

თეონა ჩადუნელი, ნინო დათაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის უმაღლესი
პროფესიული პროგრამების სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი ყაზიშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ფართომასშტაბიანი მიგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის, სოციალურ-კულტურული ცხოვრების ინტერნაციონალიზაციისა და სხვათა შედეგების გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა.

სამუშაო ძალის მასიური მიგრაცია XX საუკუნის II ნახევრიდან მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთი დამახასიათებელ მოვლენად იქცა. იმიგრანტთა ნაკადების მასშტაბებმა გლობალური ხასიათი მიიღო. განვითარებად ქვეყნებში დღეს ყოველი მეათე ადამიანი მიგრანტია. 1975 წლიდან დღემდე მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობა გაორმაგდა. გაეროს მოსახლეობის განყოფილების დირექტორი ჯოზეფ შამი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზები ყოველთვის დრამატული კი არ არის, არამედ ადამიანის ბუნებითაა განპირობებული - ის მიდრეკილია, ეძიოს უკეთესი.

მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 3% - 175 მილიონი ადამიანი დღეს არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა. მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა დღესაც იზრდება, თუმცა არა ორი პროცენტით, როგორც ეს მეოცე საუკუნეში იყო, არამედ 1,2 პროცენტით.[1] მიგრაციის მასშტაბი კი ძალიან გაიზარდა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ბოლო ოცწლეულის გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმაც.

რა განაპირობებს სამუშაო ძალის მიგრაციას?

სამუშაო ძალის მიგრაციის ძირითადი მიზეზებიდან აღსანიშნავია: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური, ეკოლოგიური, რასობრივი, ოჯახური და სხვა ფაქტორები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანთა მიგრაციის ეკონომიკურ საფუძველს მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონეები წარმოადგენს.

განასხვავებენ სამუშაო ძალის შიდა და გარე, მუდმივ ან დროებით, ნებაყოფლობით ან იძულებით, ლეგალურ ან არალეგალურ მიგრაციას.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი მიმართულებებია:

1. მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში;
2. მიგრაცია განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში;
3. მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში;
4. მიგრაცია პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში.

სამუშაო ძალის შიდა მიგრაციის მიმართულებებიდან გამოიყოფა:

1. მიგრაცია სოფლიდან ქალაქში;
2. მიგრაცია ქალაქიდან სოფელში;
3. მიგრაცია სოფლიდან სოფელში;
4. მიგრაცია ქალაქიდან ქალაქში.

სამუშაო ძალის მიგრაცია სხვადასხვა გავლენას ახდენს იმპორტიორ და ექსპორტიორ ქვეყნებზე. იმპორტიორ ქვეყანაში:

1. მაღლდება წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა შრომის ანაზღაურების შემცირების ხარჯზე;
2. წარმოიშობა საქონელსა და მომსახურებაზე ახალი მოთხოვნები;
3. მცირდება ქვეყანაში განათლების ხარჯები კვალიფიციური სპეციალისტების მიღებით;
4. ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში სამუშაოდან, უპირველეს ყოვლისა, უცხოელი თავისუფლდება და სხვ.

სამუშაო ძალის იმპორტს ნეგატიური მხარეებიც გააჩნია. მაგალითად, სოციალური დაძაბულობის წარმოშობა, ეროვნებათაშორისი შუღლის გამწვავება და ა.შ.

ექსპორტიორ ქვეყანაში:

1. მიიღება დამატებითი შემოსავლები;
2. მცირდება სოციალური დაძაბულობა;
3. ხდება შრომის მოწინავე ორგანიზაციული ფორმების ათვისება.

---

[1] ნინო გელაშვილი, მიგრაცია - ადამიანის სწრაფვა, ეძიოს უკეთესი, http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1528098.html

ამავე დროს სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყნებს "ინტელექტის გადინების" (Brain Drain) პრობლემაც აწუხებთ, რაც მათი ეროვნული ეკონომიკის განვითარებას მკვეთრად აფერხებს.

მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებში მრავალი ქვეყანაა ჩართული. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს.

მძიმე ისტორიული წარსულის მიუხედავად ქართველი ხალხისათვის არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი ინტენსიური გარე მიგრაცია. ამ მაჩვენებლებით საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფებოდა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კი ჩვენს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად საქართველო მასობრივი ემიგრაციის ქვეყანა გახდა. თუ XX საუკუნის 60-80-იან წლებში მთლიანად მიგრაციის უარყოფითი სალდო 300 ათასი კაცი იყო, 1991-2001 წლებში ამ მაჩვენებელმა მილიონს გადააჭარბა. მათგან დაახლოებით მეოთხედი ქართველია.[1] ემიგრანტთა უმრავლესობა, როგორც წესი, ახალგაზრდები არიან.

არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი ქვეყნის შიდა მიგრაციულ სფეროშიც. მოსახლეობის უმრავლესობამ დატოვა სოფელი და ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. მაგალითად, 1921-1990 წლებში თითქმის მილიონმა კაცმა დატოვა სოფელი და ქალაქის მცხოვრები გახდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. ასეთმა შიდა მიგრაციამ სერიოზული პრობლემები შექმნა. სოფლის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მრავალ სოფელში მხოლოდ ხანდაზმულებიღა დარჩნენ, ზოგიერთი მთის სოფელი კი საერთოდ დაცარიელდა. ამის გამო საკმაოდ გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა. მაგალითად, თბილისში საქართველოს მოსახლეობის 1/4-მა მოიყარა თავი. ყოველივე ამის მიზეზად სოფლად არსებული ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები სახელდება, როგორიცაა უმუშევრობა, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, ქალაქთან შედარებით ცხოვრების დონის მკვეთრი სხვაობა და სხვ. სწორედ ეს მიზეზები წარმოადგენს ქალაქში გადასვლის საფუძველს, სადაც მიგრანტებს იმედი აქვთ, რომ შედარებით უფრო ადვილად იშოვიან სამუშაოს და შეექმნებათ ცხოვრების უკეთესი პირობები.

წლების განმავლობაში საქართველოში მიგრაციული სალოდოს მაჩვენებლი უარყოფითი გახლდათ, რასაც მოწმობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2009 და 2010 წლებში მიგრაციული სალდოს დადებითი მაჩვენებელი ფიქსირდება. მიგრაციული სალდოსს მაჩვენებლები წლების მიხედვით მოცემულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1. **მიგრაციული სალდო**

წელი	**მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)**
2000	-35.2
2001	-32.6
2002	-27.8
2003	-27.5
2004	5.5
2005	76.3
2006	-12.1
2007	-20.7
2008	-10.2
2009	34.2
2010	18.1

წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo

[1] ნ. ბერუჩაშვილი, ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, საქართველოს გეოგრაფია, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, რეგიონები, წიგნი II, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2005. გვ. 24

სამუშაო ძალის როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი უმუშევრობაა. სწორედ ამან განაპირობა ძირითადად საქართველოდან საზღვარგარეთ სამუშაო ძალის მასობრივი გადინება. "მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის" ინფორმაციით, საქართველოში მიგრაციის მაღალ დონეს უმუშევრობა და მძიმე ეკონომიკური სიტუაცია განაპირობებს. სამუშაოს საძებნელად საქართველოს მოქალაქეები ხშირად არალეგალური გზით მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ. ასეთი ბიზნესით საქართველოში არაერთი შრომითი მოწყობის, თუ ტურისტული ფირმა გახლდათ დაკავებული. ზოგადად, ემიგრანტების უმრავლესობას ის ადამიანები შეადგენენ, რომლებიც ქვეყნიდან სხვაგან სამუშაოდ იმის გამო მიდიან, რომ მათ ქვეყანაში არ არის სამუშაო ადგილები ან მათი შრომა დაბალანაზღაურებადია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით უმუშევართა რაოდენობამ 2009 წელს 335.6 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებლს 19,8 ათასი კაცით (2008 წელს - 315.8 ათასი უმუშევარი), ხოლო 2003 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 99,7 ათასი კაცით აღემატება (2003 წელს - 235,9 ათასი უმუშევარი). უმუშევართა სტატისტიკა წლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. **უმუშევართა რაოდენობა საქართველოში (ათასი კაცი)**

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
უმუშევრები	235.9	257.6	279.3	274.5	261.0	315.8	335.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2010, გვ. 42.

სამუშაო ძალის მიგრაციასთან ერთად საქართველოში არსებობს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემაც. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე და მტკივნეული გახლდათ 2008 წლის აგვისტოს ომი, როდესაც რუსული აგრესიის შედეგად არაერთი მშვიდობიანი მოსახლე დარჩა სახლ-კარის გარეშე და იძულებით გადაადგილებულ პირთა რიგს კიდევ არაერთი ადამიანი შეემატა.

ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა დიდი გავლენა მოახდინეს საქართველოს ეკონომიკაზე. სამუშაო ძალის მიგრაციის დადებითი მხარეებიდან შეიძლება დავასახელოთ:

1. სამუშაო ძალის გარე მიგრაციამ ხელი შეუწყო უმუშევრობის პრობლების შერბილებას;
2. საქართველოში გაჩნდა სავალუტო (ფულადი) შემოსავლის ახალი წყარო საზღვარგარეთ წასული ქართველებისაგან გამოგზავნილი თანხის სახით;
3. ქართველი ემიგრანტები საზღვარგარეთ იძენენ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც შეიძლება მოახმარონ საკუთარ ქვეყანას სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში;
4. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ემიგრანტებმა შეიძლება წამოიწყონ რაიმე ბიზნესი, დააბანდონ საზღვარგარეთ გამომუშავებული თანხები საკუთარ საქმეში და ამით შექმნან დამატებითი სამუშაო ადგილები, რაც გარკვეულწილად შეამცირებდა უმუშევართა რაოდენობას;
5. შესაძლებელია ქართველი ემიგრანტების მცირედმა ნაწილმა წამოიწყოს კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობა საზღვარგარეთ, მიაღწიოს წარმატებას, დაუახლოვდეს ბიზნეს სამყაროს წარმომადგენლებს, გააცნოს და დაინტერესოს ისინი საკუთარი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობით, რესურსული პოტენციალით და სრულიად შესაძლებელია ეს უცხოელი ბიზნესმენები საქართველოსათვის პოტენციურ ინვესტორებად გადიაქცნენ და დააბანდონ თავიანთი კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და სხვ.

მიუხედავად ცალკეული დადებითი შედეგებისა, მიგრაციულ პროცესებს მრავალი უარყოფითი მხარე გააჩნია, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ:

1. ემიგრანტთა უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ზრდას, ამცირებს ერის პოტენციურ ენერგიას. ისეთი პატარა ქვეყნისათვის კი, როგორც საქართველოა, ეს უდავოდ დიდი დანაკარგია. იმის გამო, რომ საკუთარ სამშობლოში ვერ მოახერხეს მიეღოთ საარსებო მინიმუმი, ასეულ ათასობით ქართველი ემსახურება სხვა ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების წინსვლას. უმრავლესობა კი მძიმე ფიზიკური შრომით ირჩენს თავს;
2. „ინტელექტის (გონების, ტვინის) გადინება“, რაც ეროვნული ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს. საქართველომ გარე მიგრაციის შედეგად მნიშვნელოვანი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე არაერთი ადამიანი დაკარგა;
3. მომუშავე მიგრანტების არაკვალიფიკაციური დასაქმება. ზოგჯერ ისინი სრულიად სხვა, შეუსაბამო, მძიმე და ჯანმრთელობისათვის საზიანო სამუშაოზე მუშაობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ

განვითარებულ ქვეყნებში ყალიბდება შრომის ორმაგი ბაზარი – პირველზე ხდება ეროვნული სამუშაო ძალის გამოყენება, ხოლო მეორეზე – უცხოური. ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობა კვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს, ემიგრანტების უმრავლესობა კი დასაქმებულია შედარებით მძიმე სამუშაოზე ხანგრძლივი სამუშაო კვირითა და შრომის დაბალი ანაზღაურებით. ამით მეწარმეებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოიყენონ იაფი მუშახელი და მიიღონ გაცილებით დიდი მოგება. მიუხედავად ამისა საქართველოდან საზღვარგარეთ სამუშაო ძალის ნაკადები მაინც დიდია;

4. ქვეყნის შიდა მიგრაციის დროს ადგილობრივ რესურსებს აკლდება ყველაზე მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელიც თავს იყრის დიდ ქალაქებში, უპირველეს ყოვლისა, თბილისში, რაც უარყოფითად აისახება რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე და ა.შ.

სამუშაო ძალის მიგრაციას თან ახლავს ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორიცაა:

1. უკანონო, არალეგალური მიგრაციები. არალეგალურ მიგრანტებს მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც გადადიან ქვეყანაში არალეგალურად. მაგალითად ქვეყანაში ჩადიან ტურისტებად, შემდეგ იქვე რჩებიან და იწყებენ სამუშაოს;

2. უკანასკნელ პერიოდში აქტუალურია ტრეფიკინგის პრობლემა, ანუ მიგრანტების ექსპლუატაცია, როდესაც მათ იძულებენ შეასრულონ სხვადასხვა არასასურველი სამუშაო. საქართველოდანაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთი ადამიანი გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი;

3. ქვეყანაში იქმნება დემოგრაფიული პრობლემა. ის ფაქტი, რომ საქართველო ბოლო 15 წლის მანძილზე მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა და თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ქვეყნის მოსახლეობა 4,6 მლნ კაცს შეადგენს (2003 წლის მონაცემებით), ეს ნამდვილად უდიდესი დანაკარგია ჩვენი ქვეყნისათვის;

4. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა, რუსეთის აგრესიის შედეგად 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულმა პროცესებმა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალათასიანი არმია წარმოქმნა და გამოიწვია იძულებითი შიდა მიგრაცია, რაც მტკივნეული პრობლემაა საქართველოსთვის;

5. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ფაქტიურად დაცლილი სოფლები (ძირითადად მთიან რეგიონებში).

6. ზოგიერთი ქვეყანა, კერძოდ რუსეთი აქტიურად სპეკულირებს საქართველოდან რუსეთში ემიგრირებული სამუშაო ძალით და მას საქართველოზე პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეწოლის ბერკეტად იყენებს. საუბარია იმაზე, რომ 2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლების რეალიზაციის აკრძალვამ, ეკონომიკური შეზღუდვების დაწესებამ დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ ეკონომიკას.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგრაციის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით უპირველეს ყოვლისა აუცილებელია დასაქმების პრობლემის მოგვარება. საქართველოდან გარე მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ეს ფაქტორია. მრეწველობის დარგების აღდგენა-განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა უმუშევრობის პრობლემის გადაჭრისა და გარე მიგრაციული ნაკადების შემცირებისა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით. საქართველოში შექმნილმა ხელსაყრელმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, სოციალურმა გარემომ უნდა უბიძგოს საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს საქართველოში დაბრუნებისაკენ, რათა თავიანთი ცოდნა-გამოცდილება საკუთარ ქვეყანას მოახმარონ. პრაგმატული შეფასებებით, თუ საქართველოში 100 ათასი ადამიანი მაინც დაბრუნდება და თითოეული მათგანი საშუალოდ 10 000 აშშ დოლარს ჩამოიტანს, ჯამში 1 მლრდ-ს მივიღებთ. ეს დანაზოგი, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკაში დაბანდდება და დაიხარჯება.

რაც შეეხება შიდა მიგრაციაში არსებულ პრობლემებს, მიგვაჩნია, რომ საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური ზრდა გამოიწვევს მიგრაციის მასშტაბის კლებას. მოსახლეობა დარწმუნდება, რომ რეგიონებშიც არსებობს დასაქმების რეალური პერსპერქტივა და ცხოვრების ნორმალური პირობები.

საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს აქტიური მიგრაციული პოლიტიკა, ეძებოს მატერიალური და ფინანსური დახმარება საერთაშორისო ორგანიზაციებში, განავითაროს თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან ცალმხრივ და ორმხრივ საფუძველზე მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მიგრაციის პრობლემებზე. საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს წარმოადგენს: 1. საქართველოს მოქალაქეთა მიერ გადაადგილების უფლების რეალიზაცია; 2. ქართველი მიგრანტების დაცვისა და მხარდაჭერის გარანტია საზღვარგარეთ; 3. მიგრანტების სამშობლოში დაუბრკოლებელი დაბრუნების უზრუნველყოფა და ადაპტაციაში დახმარება.

გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის აღდგენისა და ქვეყნის განვითარების უახლესი პერსპექტივების გათვალისწინებით აუცილებელია ემიგრაციულ-იმიგრაციული ნაკადების აღრიცხვა-რეგულირების კონტროლი და ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში არაერთი მიმართულებით გატარებული რეფორმების შედეგად შეიმჩნევა პოზიტური ძვრებიც. მიგრაციული სალდო 2009 და 2010 წლის მონაცემებით დადებითია და არა უარყოფითი. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიგრაციის სფეროში არსებული პრობლემები არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა და მათი გადაწყვეტა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. ნ. ბერუჩაშვილი, ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, საქართველოს გეოგრაფია, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, რეგიონები, წიგნი II, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2005.
2. ქ. მდინარაძე, უმუშევრობა მიგრაციის ზრდის ძირითადი მიზეზია, ჟ. "ეკონომიკა", №7, 2001.
3. ნ. ნარიმანიძე, შიდა მიგრაცია და მისი შედეგები, ჟ. "ეკონომიკა", №3, 2006.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2010.
5. ნ. ფარესაშვილი, შრომის ბაზრის თავისებურებები და მისი რეგულირება, ჟ. "ეკონომიკა", №2, 2006.
6. გ. ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2002.
7. Международные экономические отношения, учебник, под. ред. В. Е. Рыбалкина, М., 1997.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo
2. მაია მეცხვარიშვილი, ბიზნესი - მიგრანტებით და არალეგალური მარშრუტებით
http://akhali-gazeti.blogspot.com/2009/10/blog-post_14.html
3. ნინო გელაშვილი, მიგრაცია - ადამიანის სწრაფვა, ეძიოს უკეთესი,
http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1528098.html

მიგრაცია - მწვავე პრობლემა საქართველოში

თამარ ჩუხრუკიძე, ვერიკო შერმადინი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გივი სადაღაშვილი**, დოქტორი

მსოფლიოში მიგრაციის პრობლემა კვლავინდებურად ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვ. სიტყვა მიგრაცია ლათინური სიტყვაა და გადასახლებას ნიშნავს, რომელიც განიმარტება როგორც:

1) გარკვეული მიზეზების გამო, განსაკუთრებით კი პოლიტიკურის, ადამიანის მშობლიური ქვეყნის გარეთ გასახლება;

2) მშობლიური ქვეყნიდან ან სახლიდან დიდი ხნის მანძილზე შორს ყოფნა;

3) საკუთარი სურვილით ან იძულებით გადაადგილება მშობლიური ქვეყნიდან.

განასხვავებენ:

- **მუდმივ მიგრაციას, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლასთან.**
- **დროებით მიგრაციას, როდესაც გადასახლება ხდება საკმაოდ ხანგრძლივი დროით.**
- **სეზონურ, ქანქარისებურ, შიდა, გარე, იძულებით და სხვა სახის მიგრაციებს.**



დღევანდელი მიგრაცია გასული საუკუნის მიგრაციისგან განსხვავებულია. აქ უფრო ეკონომიკური პრობლემატიკა იჩენს თავს. განვითარებად ქვეყნებში დღეს ყოველი მეათე ადამიანი მიგრანტია. 1975 წლიდან დღემდე მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობა გაორმაგდა. მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით სამი პროცენტი - 175 მილიონი ადამიანი დღეს არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა. მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა დღესაც იზრდება. მიგრაციის მასშტაბი ძალიან გაიზარდა, რასაც, განსაკუთრებით შეუწყო ხელი ბოლო ოცწლეულის გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმაც. ამან ბევრი შიდამიგრაციული პროცესი საერთაშორისო მიგრაციად აქცია. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ახლახან გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ მიგრანტების მიერ ოჯახებისთვის გადაგზავნილი ფულადი გადარიცხვები, მსოფლიო ეკონომიკისთვის კვლავინდებურად უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. გამოანგარიშების მიხედვით, მთლიანობაში აღებული გადარიცხვები განვითარებადი ქვეყნების მიმართ, საერთაშორისო დახმარებას სამჯერ აღემატება.

<u>მიგრაციის</u> მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყანაში- (2011)

დადებითი - ლურჯი
უარყოფითი - ყავისფერი
სტაბილური - მწვანე
მონაცემები არაა - ნაცრისფერი

მიგრაცია საქართველოში

მიგრაცია ის პრობლემაა, რომელიც საქართველოს გასული საუკუნის 90-იან წლებში მოპოვებული დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან თან სდევს. შრომითი მიგრაცია – ეს არის პროცესი, რომელიც უარყოფითად აისახება ქვეყნის მდგომარეობაზე. ცნობილია, რომ მიგრაციულ პროცესებში მეტი აქტიურობით ქალაქის მოსახლეობაა ჩაერთული, ხოლო სოფლის მოსახლეობა, ნაწილობრივ, შიგა შრომით მიგრაციაში (სოფლიდან - ქალაქად) მონაწილეობს. საქართველოდან მიგრანტები, რომელთა 65% (18 დან 30 წლამდე) ახალგაზრდაა, სამუშაოდ მიემართებიან ძირითადად 4 ქვეყანაში: აშშ-ში (52,6%,) საბერძნეთში (11,2%), გერმანიასა (11%) და რუსეთში (8,2%). 65% (18 დან 30 წლამდე) ახალგაზრდაა.

გაეროს უმაღლესი კომისარიატის დასკვნით გამოქვეყნდა „შავი ათეულის“ ქვეყნები, რომელშიც საქართველო მე-10 ადგილზეა. ასევე ამ სიაში შედიან: ავღანეთი, ერაყი, სომალი, ჩინეთი, რუსეთი, სერბია, ნიგერია, ირანი და პაკისტანი. თუმცა საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა, საზღვარგარეთ სამუდამოდ წასვლის მსურველთა ზრდის ტემპებით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წელს საქართველოში მიგრაციის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაორმაგდა – 102%-ით და საქართველო პირველად შევიდა იმ ქვეყნების ათეულში, რომლის მოქალაქეებიც ყველაზე ხშირად ითხოვენ საზღვარგარეთ თავშესაფარს. 2009 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფარი საქართველოს 5 454-მა მოქალაქემ ითხოვა, 2010 წელს კი – 10 994-მა.

შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზები

შრომითი მიგრაცია, რაღა თქმა უნდა, არ ხდება უმიზეზოდ. მისი გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს:

- უმუშევრობა, არასრული დასაქმება;
- მცირე შემოსავალი;
- ქვეყნებს შორის შრომის ანაზღაურებაში დიდი განსხვავება;
- სულ უფრო მზარდი ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები;
- გაუმჯობესებული კომუნიკაციები და სატრანსპორტო მომსახურების ფინანსურად ხელმისაწვდომობა;
- აგენტების, დამქირავებლებისა და ადვოკატების ინსტიტუციონალიზებული და კომერციალიზებული ქსელების აქტივიზაცია;
- სოფლად გაჩენილი ჭარბმოსახლეობა;
- უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა ზეჭარბწარმოება და თანამედროვე ტექნოლოგიებთან პროფესიული მომზადების შეუსაბამობა.

ამ პრობლემებიდან შრომითი მიგრაციის ძირითადი გამომწვევი მიზეზი უმუშევრობაა, რომელიც დღემდე სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საქართველოში და მან საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა. ყველა განვითარებული ქვეყანა უმუშევრობის ტერმინს ასე განსაზღვრავს – 15 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა, სცადეს მუშაობის დაწყება გასული 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამსახური ვერ იშოვეს. ამავე კატეგორიას განეკუთვნებიან დროებით დათხოვნილი და სამსახურის დაწყების მოლოდინში მყოფებიც. საქართვლოს სინამდვილეში კი სიტყვა უმუშევარი განსხვავებული კრიტერიუმით ფასდება. თავს უმუშევარს უწოდებენ ისინიც, ვინც არათუ გასული 4 კვირის, არამედ გასულ 4 თვეზე მეტ პერიოდშიც ვაკანსიების შესახებ მონაცემებით არც კი დაინტერესებულან.

რატომ ვერ ბედავენ შინ დაბრუნებას ემიგრანტები?

როდის და როგორ შეძლებს სახელმწიფო ამ ადამიანების ქვეყანაში დაბრუნებას? ან თუ შეძლებს - როგორ? დაბრუნებულებს დახვდებათ კი აქ ის გარემო, შინ დაბრუნების განცდას რომ შეუქმნის და ახლობლების მონახულების შემდეგ, აღარ გაუჩნდებათ უცხოეთში დაბრუნების სურვილი?

მიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების უმეტესობისათვის სამშობლოში დამკვიდრება, მრავალწიანი განშორების შემდეგ, არც ისე მარტივი პროცესია. ხშირია შემთხვევებიც, როცა მიგრანტები გარკვეული ფინანსური დანაზოგით ბრუნდებიან, ყიდულობენ უძრავ-მოძრავ ქონებას, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ სამუშაოდ კვლავ უკან, უცხოეთში ბრუნდებიან. მათი არგუმენტი ასეთია: სოციალური თვალსაზრისით საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა და თავის სარჩენს იქ

უფრო შოულობენ. უცხოეთში მრავალწლიანი მიგრაციის პერიოდში სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიღებულები კი, უკვე ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობების გამოყენებით, გარკვეული პერიოდით მუშაობენ ამ ქვეყნებში, ხოლო სამშობლოში სეზონურად ჩამოდიან და საზღვრებს გარეთ გამომუშავებული ფულით ცხოვრობენ. მოკლედ, ნაკლებია ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც უცხოეთში, შედარებით მაინც, წარმატებული შრომითი მიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ რჩებიან სამშობლოში.

დასკვნა

საქართველოში ჩატარებული უამრავი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ შრომითი ემიგრაცია თავისი მასშტაბით, სტრუქტურითა და ინტენსივობით, არალეგალური ხასიათითა და მართვის სირთულით საქართველოს უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება, მკვეთრად გაუარესებული მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსახლეობის ზრდა და უმუშევრობა საქართველოდან მასშტაბური შრომითი ემიგრაციის ძირითადი მიზეზი გახდა. საზღვარგარეთ წასვლის მიზეზი ყველას სხვადასხვა აქვს, თუმცა მიზანი - ყველას ერთი: უკეთესი ცხოვრების მოწყობა მათთვის საყვარელი ადამიანებისთვის, მონობისა და დამცირების ხარჯზე. ყოველგვარი გამოკვლევების და სტატისტიკური მაჩვენებლების გარეშეც ფაქ-ტია, რომ ჩვენი ემიგრანტები „ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი... იმაზე მეტნი, ვიდრე ოდესმე ყოფილან..." მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ძალიან ცოტანი ვართ, არ არსებობს ქვეყანა, სადაც ქართველი არ ცხოვრობს. ცხადია, ისინი ამ ქვეყნებში არა სამოგზაუროდ და ღირსშესანიშნაობების დასათვალიე-რებლად, არამედ სამუშაოდ ჩადიან. მუშაობენ და აკეთებენ ყველაფერს, რაშიც კი ფულს შესთავაზებენ, უვლიან 100 წლამდე მოხუცებს, უვლიან ბავშვებს, ალაგებენ ოთახებს, ეზოებს, ქუჩებს, აშენებენ სახლებს და მუშაობენ ისეთ სამუშაოებზე, რასაც საკუთარ სამშობლოში ითაკილებდნენ.

მიგრაციას ბევრი ქვეყნისთვის უარყოფითი შედეგი მოაქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი ძალზედ საშიშია საქართველოსთვის, რადგან იგი კიდევ უფრო აუარესებს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას და ამცირებს მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას.

მიგრაციის კიდევ ერთ უარყოფით შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ტრეფიკინგი. ცნობილია, რომ ძალიან ბევრი შრომითი მიგრანტი გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი.

ჩვენი აზრით, ნებისმიერმა სახელმწიფომ უნდა გაამკაცროს და მაქსიმალურად გააკონტროლოს მოსახლეობის არალეგალური გადასვლა სხვა ქვეყანაში, რადგან ცნობილია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა ასეთ შემთხვევაში უფრო მაღალია. ემიგრანტების 80% ხომ მაინც არალეგალუ-რად მიემგზავრება და მათ, რა თქმა უნდა, სტატისტიკის ეროვნული ცენტრი ვერ აღწერს. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ შრომით მიგრანტებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათი, ანუ, ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და გაეწიოთ დახმარება საკუთარი უფლებების დაცვაში.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მიგრაციის მაღალ დონეს განაპირობებს არამყარი ეკონომიკა. აქედან გამომდინარე ჩვენმა სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს და სტაბილური გახადოს ქვეყნის ეკონომიკა და შექმნას მეტი სამუშაო ადგილი, რათა შეამციროს მიგრაციის მაჩვენებელი. გაეროს შეფასებით, თუ საქართველოში გაგრძელდა არსებული მდგომარეობა 2000-2050 წწ. საქართველოს მოსახლეობა 2 მლნ-ით შემცირდება, რაც ამჟამინდელი მოსახლეობის თითქმის 40%-ს შეადგენს.

„მიუხედავად ყველაფრისა, დღეს გაცილებით უკეთ ვართ, ვიდრე გუშინ. რადგან უფრო მეტმა ვიცით, რატომ ვართ ცუდად. იმედია, ხვალ კიდევ უფრო მეტს გვეცოდინება. ეს ეხება "გახიზნულ, გაჩუქებულ, გაყიდულ" შვილებსაც, რომლებსაც ვერაფრით დავიბრუნებთ, თუკი თავად არ მოუნდებათ დაბრუნება. დაბრუნება არა მარტო კეთილშობილური მიზანი, არამედ მოურეველი სურვილიც უნდა იყოს მათთვის"– **ოთარ ჭილაძე.**

ლიტერატურა:

1. www.iom.ge/ge/index.php?activities&informed
2. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6241
3. გაჩეჩილაძე რ., მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, გაერო. თბ., 1997.
4. http://www.psnews.info/php/newsshow.php?lang=geo&t=55&uid=1873&page=1
5. http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/index33fd_ge.asp

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და ძირითადი პრიორიტეტები საქართველოში

ვლადიმერ ციცაგი, ამირან ხაბაზიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ისტორიულად საქართველო ყოველთვის აგრარულ ქვეყნად მოიაზრებოდა. ჩვენი ქვეყანა უძველესი აგროკულტურის, ვაზისა და ხორბლის ქვეყანაა, ამიტომ მიწა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება და სოფელი ქართველი კაცისათვის განსაკუთრებული ფასეულობებია. ეს ფასეულობები უდიდეს გავლენას ახდენენ მისი ცხოვრების წესზე, მენტალიტეტზე, ქართველთა ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ათასწლეულების მანძილზე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა. როგორც დიდი ილია აღნიშნავდა: „მანამ ქვეყანა ქვეყანას ჰგავდა და ჭკუის მომკითხავი პატრონიცა ჰყავდა, ჩვენ მიწა-წყალს ჩვენთვის სარჩო-საბადებელი არ დაჰკლებია". [1]

სოფლის მეურნეობა აგრარული ქვეყნის ხერხემალია. მისი მთავარი ამოცანა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და აგრობიზნესის ნედლეულით მომარაგებაა. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ სოფლის მეურნეობამ განვითარების მაღალ დონეს ძირითადად იმ ქვეყნებში მიაღწია, სადაც ამ დარგისადმი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ზრუნვისა და სტიმულირების დონე მაღალია. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, საექსპორტო ბაზარზე პოზიციების განმტკიცება, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება წარმოუდგენილია სოფლის მეურნეობისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭებისა და მასზე მუდმივი ზრუნვის გარეშე.

ტომას ჯეფერსონი, ამერიკული აგრარიანიზმის დამფუძვნებელი ამბობდა: "ხალხი, რომელიც ამუშავებს ნიადაგს, არის ღმერთის რჩეული. თუკი ოდესმე ღმერთს გამოურჩევია ხალხი, ესენი არიან ადამიანები რომელთა მკერდიც მან აქცია საგანძურად საიმედო და ჭეშმარიტი ღირსებისა, სადაც ის ინახავს წმინდა ცეცხლს, რომელიც სხვა შემთხვევაში დასტოვებდა დედამიწას".

მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა ძნელბედობამ და არასწორმა პოლიტიკამ, რა თქმა უნდა, ძლიერ დააზარალა ქართული სოფელი, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, იგი ბოლო დრომდე ინარჩუნებდა საზოგადოების ფუძე-ერთეულის სოციალურ ფუნქციას.

ოფიციალური მონაცემებით, დღეს საქართველოს მოსახლეობის 47% (ორ მილიონზე მეტი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3/5-ზე მეტი (მოსახლეობის 60%). ბოლო წლებში ეს მონაცემები პრაქტიკულად უცვლელი რჩება, სამაგიეროდ კატასტროფულად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და მისი წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან ეროვნულ დოვლათში 8,3 %-ს არ აღემატება, ყოველწლიურად იზრდება იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ქვეყნის სასურსათო კალათში, იგი უკვე 2/3-ს აღწევს, დედაქალაქში კი გაცილებით მეტს - დაახლოებით 80%-ს. [1]

სოფლის მეურნეობის თვისობრივი განვითარება შეუძლებელია მრავალმხრივი სახელმწიფო მხარდაჭერის, სწორი დარგობრივი პოლიტიკის გატარების გარეშე. ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის ევროპასა და იაპონიაში, სასოფლო-სამეურნეო მიწა აღიარებულია ეროვნულ სიმდიდრედ, რომლის გონივრული განკარგვა სახელმწიფოს კეთილდღეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ ევროპის მაგალითი. ის განვითარების გზა, რომელიც გაიარეს ამ კონტინენტის ქვეყნებმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დღემდე, ყველაზე მეტად ესადაგება საქართველოს, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს სტაბილურ განვითარებას, სოციალურად სამართლიანი საზოგადოების მშენებლობას.

ევროპის ქვეყნების შთამბეჭდავი მიღწევები სოფლის მეურნეობაში საყოველთაოდ არის ცნობილი. ეს თავისთავად არ მომხდარა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ (1957 წელს რომში) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას გაატარებდნენ. მაშინვე გამოცხადდა ამ პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები: სურსათის მისაღებ ფასებში სტაბილური მიწოდება, სოფლის მოსახლეობისათვის ცხოვრების ღირსეული სტანდარტის უზრუნველყოფა, ტექნიკური პროგრესის მიღწევების სოფლის მეურნეობაში დანერგვა და ამის ხარჯზე შრომის ნაყოფიერების ზრდა და სხვა. დროთა განმავლობაში, ახალი გამოწვევების შესაბამისად, ეს

პოლიტიკა ნაწილობრივ იცვლებოდა, იხვეწებოდა და ივსებოდა ახალი შინაარსით. დღესდღეობით ევროკავშირის ყოველწლიური ბიუჯეტის თითქმის ნახევარი (დაახლ. 50 მილიარდი ევრო) კვლავ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლის განვითარებაზე იხარჯება. ყოველივე ამის საბოლოო მიზანი კი სასოფლო ცხოვრების შენარჩუნება, მისი ქალაქის დონესთან დაახლოვებაა, ვინაიდან ეს სოციალური სტაბილურობისა და ნაციონალური იდენტობის გადარჩენის აუცილებელ პირობად არის მიჩნეული.

თანამედროვე ქართული სოფლის სოციალური მდგომარეობის ყველა ასპექტის განსახილველად და დასკვნების გასაკეთებლად მრავალმხრივი კვალიფიციური სამეცნიერო კვლევებია ჩასატარებელი, თუმცა, ზოგი რამ საგანგებო კვლევა-ძიების გარეშეც ცხადად ჩანს. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდი დაახლოებით 3230 ათას ჰექტარს შეადგენს. მოსახლეობის ბოლო აღწერით (2002 წ), სასოფლო კომლების რაოდენობა 773 ათასს აღწევდა ე.ი. სოფლის ერთ კომლზე დაახლოებით 4,18 ჰექტარი სავარგული მოდიოდა (აქედან 1,47 - სახნავი და მრავალწლიანი ნარგავი და 2,68 სათიბ-საძოვარი). 2003 წლის მონაცემებით, მიწა საკუთრებაში გადაეცა დაახლოებით 1.1 მლნ კომლს (აქედან 338 ათას ქალაქად მაცხოვრებელ ოჯახს). სულ გაიცა სავარგულების 25,2%. შედეგად თითოეულ სასოფლო კომლს დაახლოებით 0,89 ჰექტარი ერგო, ხოლო ქალაქელთ - 0,22 ჰექტარი. გრძელვადიანი იჯარით გაიცა სავარგულების 29,9% აქედან 11,8% გადაეცათ ფიზიკურ პირებს, დანარჩენი კი გადანაწილდა იურიდიულ პირებზე. მაგრამ, საშუალო სტატისტიკური მონაცემები ვერ გვაძლევენ შექმნილი მდგომარეობის ნამდვილ სურათს. საქმე იმაშია, რომ კომლთა მხოლოდ 25% ფლობს 3-4 ჰექტარ მიწას, რაც ექსპერტთა აზრით, საქართველოს პირობებში წარმოებისათვის ოპტიმალურ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს. ოჯახთა 43% კი უკიდურესად მცირემიწიანია. მათ 0,5 ჰექტარზე ნაკლები ფართობი აქვთ. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ეს მცირე ზომის მიწაც კი, ხშირად, ერთიან საზღვრებში არ არის მოქცეული და დანაწევრებულია ორ და მეტ ნაკვეთად. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. [1]

ქართული სახელმწიფოს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნაბიჯს, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემის გაუმჯობესებისათვის, წვეთოვანი მორწყვის სისტემის დანერგვა წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში სტაბილურად მაღალი მოსავლისა და ხარისხიანი პროდუქციის მიღება კომპლექსური მიდგომის გარეშე შეუძლებელია. წვეთოვანი მორწყვა უზრუნველყოფს ვენახს, ხეხილს, ბოსტნეულს, სანერგე და საჩითილე მეურნეობებს საჭირო რაოდენობის წყლით და მნიშვნელოვნად ამცირებს წყლის დანაკარგსა და ხარჯს.

მსოფლიოს წამყვან კომპანიებში დიდი ხანია აპრობირებულია წვეთოვანი მორწყვის სისტემები - ღია ნაიდაგის, სათბურებისა და რთული რელიეფისათვის, თავისი უპირატესობებით: წყლის ეკონომია 30%; აორთქლებაზე და ინფილტრაციაზე ტენის დანაკარგის კოეფიციენტი 5%-ზე ნაკლები; წყლის დანაზოგი წვიმისებრ მორწყვასთან შედარებით 2,5-3-ჯერ უკეთესი; მცენარისათვის კვების ელემენტების მიწოდება ხდება უშუალოდ ფესვთა სისტემასთან, რაც არ იწვევს მწკრივთაშორისებში სარეველების ზრდას; მორწყვისას მცენარე რჩება მშრალი და ავადმყოფობების განვითარებისათვის არ იქმნება ხელსაყრელი პირობები; სასუქის ათვისების კოეფიციენტი 80%-მდე აღწევს; ნიადაგში მუდმივად ნარჩუნდება მიზანშეწონილი რაოდენობის ტენი; გამორიცხავს ნიადაგის წყლით გაჯერებას და მარილების დაგროვებას; მორწყვა შესაძლებელია ყველაზე ცხელ დღეებშიც კი, გამორიცხავს მზისაგან ფოთლების დაწვის საშიშროებას; ნარჩუნდება ნიადაგის შემადგენლობა და არ ზიანდება იგი; შრომის დანახარჯი მცირდება რამდენჯერმე; სხვადასხვა კულტურაში მოსავლიანობა იზრდება საშუალოდ 3-ჯერ.

მრავალი წლის განმავლობაში, შეკეთების გარეშე, გამოიყენება წვეთოვანი მორწყვის სისტემები ღია ნაიდაგზე, ფირის სათბურებში და რთულ რელიეფზე: ბოსტნეულის, მრავალწლიანი მცენარეებისა და მინდვრებისათვის. თითოეული მცენარეული კულტურა, თავისი თვისებისა და ადგილმდებარეობის (ღია/დახურული გრუნტი) მიხედვით შესაბამის მორწყვის სისტემას მოითხოვს.[2]

ბოლო წლებში განსაკუთრებით გახშირდა ბუნებრივი კატაკლიზმების: სტიქიური უბედურებების, წყალდიდობების, მეწყერების, გვალვების შედეგად სასოფლო სამეურნეო სავარგულებისა და მოსავლის დაზიანება-განადგურების შემთხვევები. ფერმერთა დასაცავად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის განვითარებას, როგორიცაა დაზღვევა, რომელზე უკეთესიც ჯერ არ გამოუგონიათ გაუთვალისწინებელი ბუნებრივი მოვლენების შედეგად შესაძლო დანაკარგების რისკების შესამცირებლად.

რამდენადაც სოფლის მეურნეობის დარგი საკმაოდ სპეციფიკურია, კერძოდ, დიდი სიძნელეებია რისკების შეფასების, კონტროლისა და ზარალის დაანგარიშების და ამ ყველაფრის გამო სადაზღვევო პრემია სოლიდურ ციფრამდე ადის, ქართული სადაზღვევო კომპანიები ვერ ახერხებენ (და არ ახერხებენ) ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებასა და დანერგვას. ალბათ, დროა, რომ სახელმწიფომ თავის

თავზე აიღოს ამ პროცესების სტიმულირება, გადადგას ქმედითი კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით, ჩართოს პროცესებში სადაზღვევო კომპანიები, ბანკები, დონორები, კერძო კომპანიები და მათი დახმარებით სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს. ამასთან, სახელმწიფომ შესაძლოა, მთლიანად (ან ნაწილობრივ, თანადაფინანსებით) იკისროს მომავალი წლის მოსავლის დაზღვევა ისეთი რისკებისგან, როგორიცაა გვალვა, ხშირი წვიმები, სეტყვა და ა.შ. და ეს თანხები უკვე 2013 წლის ბიუჯეტშიც გაითვალისწინოს.

მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი; სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მეღვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად.

საჭიროა, განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორილებული ფართობების ინვენტარიზაცია.

უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების ხელშეწყობა, მანქანა-ტრაქტორების სადგურების შექმნა და/ან შეღავათიანი პირობებით დაკრედიტება.

საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა.

საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების ინვესტირების წახალისება. საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე ორიენტირებული და სხვა სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც ადგილობრივი საკადრო და სამეწარმეო რესურსების გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული. [3]

სახელმწიფოსთან ერთად, მეცნიერები და ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ დარგის განვითარებისთვის აუცილებელი კონცეფციის შექმნაზე, რომელშიც გაწერილი იქნება ის, თუ რა მდგომარეობაა ამ სფეროში, რა პრობლემები არსებობს და რა გვსურს გვქონდეს უახლოეს მომავალში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს როლს, როგორ დაეხმაროს გლეხებს, რომ მათ მაღალ ტექნოლოგიებსა და ცოდნაზე მიუწვდებოდეთ ხელი. მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაც. მარტო სომხეთის მაგალითს თუ გადავხედავთ, სადაც კოოპერაციის პრაქტიკაა გავრცელებული და თანამედროვე ტექნოლოგიებია დანერგილი, აღმოჩნდება, რომ თუ საქართველოში ერთ ჰექტარზე 20-25 ტონა კარტოფილის მოყვანა კარგ შედეგად ითვლება, სომხეთში იგივე ტერიტორიაზე გაცილებით მეტი (დაახლოებით 50-60 ტონა) მოსავალი მოდის. „სომხეთში ფერმერები ერთიანდებიან, თესავენ კარტოფილს დიდ ფართობებზე, შედეგად მოსავლიანობა იზრდება და თვითღირებულება მცირდება. ამიტომ სომხეთიდან შემოტანილი კარტოფილი ჩვენს ბაზარზე ქართულ პროდუქციაზე იაფი ღირს.” [4]

აუცილებელია გლეხებისთვის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, რომელიც დაეხმარება მათ მიიღონ გადაწყვეტილება რა მიმართულებით განავითარონ მეურნეობები, რა ტექნოლოგიები გამოიყენონ, როგორ გაყიდონ და ა.შ. ამ ცენტრების საშუალებით უნდა მოხერხდეს მიწების და ყველა სხვა რესურსის უფრო ეფექტური გამოყენება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. უაღრესად მნიშვნელოვანია კადრების მომზადება და გადამზადების სისტემის სრულად ამოქმედება, აგრარულ პროფესიათა სახელობო სასწავლებლების სისტემის შექმა.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დარგის დაფინანსების სისტემის შექმნაზეც: დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი კრედიტები, სპეციალური ფონდები და სხვ. 2012 წლის ბიუჯეტით სოფლის მეურნეობას 100 მილიონ 248 ათასი ლარი აქვს გამოყოფილი. [5]

საჭიროა ჩამოყალიბდეს საკონტრაქტო ურთიერთობების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთებს და ფერმერული პროდუქციის გარანტირებულ შესყიდვას.

ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლად ფერმერული მეურნეობის, კოოპერატივებისა და ასოციაციების შექმნა-განვითარებას.

სახელმწიფომ უნდა წაახალისოს სოფლის სოციალური მდგომარეობის ყოველმხრივი მეცნიერული კვლევა და ამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შექმნას გრძელვადიანი პროგრამები.

ამრიგად, სახელმწიფო სტრატეგიითა და ცალკეულ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები უმეტეს ნაწილში ერთმანეთს ემთხვევა. უდავოა ისიც, რომ სოფლისა და აგრობიზნესის გადარჩენა-განვითარებას საგანგებო როლი აქვს ქვეყნის განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალის სრულყოფილი რეალიზაციით და სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, რეალური შანსი არსებობს საქართველოს მზარდი, სტაბილური ეკონომიკური განვითარებისათვის, თუნდაც სოფლის მეურნეობაზე დაყრდნობით.

ლიტერატურა:

1. http://european.ge/?page=statistics&id=61
2. http://www.agroinvest.com.ge/index.php?option=com_virtuemart&page=shop.browse&category_id=6&Itemid=1
3. http://commersant.ge/index.php?id=1803
4. http://www.cegstar.ge/files/_1909_814272_STATESTRATEGY2010-2017GEO.pdf
5. http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=82699&Itemid=1

კონკურენციის ძირითადი ფორმები ქართულ ბიზნესში

ქეთევან წიქარიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

საბაზრო კონკურენცია გამართული ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ბიზნესის ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი კონკურენციაა. იგი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეჯიბრს ანუ ინტერესთა შეჯახებას.

საბაზრო კონკურენციის პირობებში ანუ კონკურენტულ ბაზარზე ყველაზე ნათლად გამოიკვეთება მწარმოებელთა ეკონომიკური მეტოქეობა, ე.ი. მათი ბრძოლა მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფისათვის. მაქსიმალური მოგებისთვის ბრძოლაში უპირატესობის მისაღწევად თითოეული მეწარმე ანუ კონკურენტი ცდილობს დანერგოს უახლესი ტექნიკა და პროგრესული ტექნოლოგიები. ეფექტიანად გამოიყენოს მატერიალური და შრომითი რესურსები, გააუმჯობესოს საქონელი და მომსახურების ხარისხი, შეამციროს მათი ერთეულის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯები, შესაბამისად, უფრო დაბალ ფასებში შესთავაზოს მომხმარებელს მომსახურება, პროდუქცია და ყოველივე ამით უზრუნველყოს ბაზარზე თავისთვის ყველაზე ხელსაყრელი, ოპტიმალური მდგომარეობა.

კონკურენცია მხოლოდ იქ წარმოიშობა, სადაც დოვლათის რაოდენობა შეზღუდულია. ძველ დროში ინტერესთა შეჯახების გადაწყვეტა ჩვეულებრივ ომის საშუალებით ხდებოდა – იმარჯვებდა ის, ვინც ძლიერი იყო. საბაზრო ეკონომიკაში მომხმარებელთა კონკურენცია ხდება ფასების საშუალებით: ვისაც შეუძლია უფრო მაღალი ფასის გადახდა, ის მიიღებს დეფიციტურ საქონელს. აუქციონზე გამოტანილი ნივთის შეძენა შეუძლია მას, ვინც ყველაზე მეტ თანხას გადაიხდის.

კონკურენცია არა მხოლოდ მომხმარებლებს შორის არსებობს, არამედ ფირმებს შორისაც: თითოეულ მათგანს სურს საქონლის გაყიდვა, მაგრამ მომხმარებელთა მოთხოვნა უსაზღვრო არ არის. იმისათვის, რომ მოიზიდოს მყიდველი, ფირმას შეუძლია, მაგალითად, შეთავაზოს უფრო დაბალი ფასი, ვიდრე მისმა კონკურენტმა. ამას ფასობრივი კონკურენცია ეწოდება. არსებობს არაფასობრივი

კონკურენციაც. ფირმას შეუძლია შეთავაზოს მომხმარებელს სხვა ფირმებთან შედარებით უფრო მაღალი ხარისხის საქონელი.

ბაზრის სტრუქტურის ძირითადი ტიპებია: სრულყოფილი კონკურენციის, მონოპოლისტური კონკურენციის და ოლიგოპოლიური ბაზარი.

მონოპოლიური კონკურენციის შინაარსი, მეთოდები და შედეგებიც არსებითად განსხვავებულია თავისუფალი კონკურენციისგან. მონოპოლიური კონკურენციის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ მონოპოლიებს, როგორც ერთ მსხვილ მწარმოებელს და გამსაღებელს, მეორეს მხრივ კი მსხვილ მომხმარებლებს შეუძლიათ საბაზრო ფასებზე აქტიური ზემოქმედებისა და სხვა მეთოდების საშუალებით უზრუნველყონ მაქსიმალური მოგება. როცა ბაზარზე ერთდროულად რამდენიმე ძლიერი ფირმა ბატონობს, ასეთ დროს წარმოიქმნება ოლიგოპოლია.

კონკურენცია აწესებს მყიდველთა და გამყიდველთა მიერ მათი პირადი ინტერესის რეალიზების ფარგლებს.

საქართველოში კონკურენციის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მობილური ოპერატორები: მაგთი, ჯეოსელი, და ბილაინი. ისინი გამუდმებულ კონკურენციაში იმყოფებიან, სხვადასხვა მეთოდებით თუ ხერხებით ცდილობენ ებრძოლონ ერთმანეთს, მოიპოვონ მომხმარებელთა ნდობა და გაზარდონ მათი რიცხვი. ეს იქნება დაბალი სატელეფონო ტარიფები, გაუმჯობესებული მომსახურება, სხვადასხვა გათამაშებები, რითაც ინტერესს აღძრავენ მომხმარებლებში ისარგებლონ მათი მობილური ოპერატორით. შედეგად მომხმარებელს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, სურვილისამებრ აირჩიოს ის მწარმოებელი, რომელიც მას სურს და რომლის შეთავაზებული მომსახურებაც მისთვის უფრო მისაღებია.

სადაზღვევო კომპანიები: დღეს საქართველოში ეროვნული ბანკის მონაცემებით, მოქმედებს 14 სადაზღვევო კომპანია. თითოეული მათგანი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცდილობს სადაზღვევო მომსახურების რეალიზაციას იმ ასორტიმენტით, იმ ფასებითა და იმ ხერხებით, რომელიც ყველაზე მეტადაა მისაღები მომხმარებლისთვის. ცდილობენ მომხმარებელს შესთავაზონ არა მარტო სადაზღვევო პროდუქტი, არამედ კლინიკები, სადაც მომხმარებლები შეძლებენ ყველანაირი სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებას შედარებით დაბალი ტარიფებით, სხვა ჩვეულებრივი კლინიკებისგან განსხვავებით. ასეთ დროს მოგებული რჩება არამარტო მომხმარებელი, არამედ სახელმწიფოც. ახალი კლინიკების შექმნით საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ რეგიონში, ახალი სამუშაო ადგილები იქმნება, რაც ცხადია ამცირებს უმუშევრობას.

გარადა მომსახურების, პროდუქციის ხარისხისა და ფასისა, მომხმარებელთა ნაწილი ყურადღებას აქცევს ასევე კომპანიების ადგილმდებარეობას და ფართო ასორტიმენტს.

კონკურენცია წარნოადგენს ძირითად მარეგულირებელ ძალას საბაზრო ეკონომიკაში. კონკურენტული საბაზრო სისტემა ის მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა გადაწყვეტილების, მწარმოებლების და რესურსების მიმწოდებლის ურთიერთკავშირს და ასევე ამ გადაწყვეტილებათა სინქრონიზებას წარმოების შეთანხმებული მიზნების საზღვრად. კონკურენტულ ბაზარზე ფირმა, რომელსაც არ შეუძლია უმცირესი დანახარჯების უზრუნველყოფით ტექნოლოგიის გამოყენება, ბოლოსდაბოლოს გამოიდევნება უფრო ეფექტიან ფირმათა მიერ. ამასთან, კონკურენცია უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს ტექნიკური პროგრესისთვის. კონკურენტულ საბაზრო სისტემას გააჩნია უნარი მომხმარებელთა გემოვნების ცვლილებების შესახებ ინფორმაცია დაიყვანოს რესურსების მიმწოდებლამდე და მეწარმემდე, რომელიც შესაბამის შესწორებებს იწვევს ეკონომიკური რესურსების განაწილებაში.

იმისათვის, რომ ქვეყანაში არ იყოს ოლიგოპოლია, დუოპოლია თუ მონოპოლია, საჭიროა ბაზრის რეგულირება. თვით ლიბერალი ეკონომისტების კერპი ადამ სმიტიც კი კარგად აცნობიერებდა, თუ რა ბედი ეწეოდა ბაზარს რეგულირების გარეშე. "ერთიდაიმავე პროფესიის ადამიანები იშვიათად იკრიბებიან, თუნდაც მხიარულებისა და გართობის მიზნით", წერდა იგი, „მაგრამ მათი საუბარი ყოველთვის მთავრდება საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული შეთქმულებით ან ფასების ზრდისკენ მიმართული რაიმე გეგმით".

საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მედიკამენტებზე ფასების ზრდა შეინიშნება თითქმის ყველა საფთიაქო ქსელში. მომხმარებელი სადაც არ უნდა მივიდეს, რომელ საფთიაქო ქსელშიც, ყველგან ერთიდაიმავე ფასით შესთავაზებენ კონკრეტულ მედიკამენტს. ანუ მას არ აქვს არჩევანის თავისუფლება. ეს ყველაფერი კი მომხმარებლის ინტერესებზე უარყოფითად აისახება. მცირდება მისი ეკონომიკური კეთილდღეობა.

ანალოგიური შეიძლება ითქვას საწვავის სფეროზეც. დღეს ქართულ ბაზარზე არ არსებობს ალტერნატიული ფასები, მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა, ფასის მიხედვით აირჩიოს ის, თუ რომელი კომპანიისგან შეიძენს საწვავს. ბაზარზე არსებულ იტალიურ, რუმინულ, აზერბაიჯანულ და

კიდევ სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ პროდუქტს ხარისხი და ფასი განსხვავებული უნდა ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ფასები ერთნაირია. გარდა იმისა, რომ ბაზარზე ალტერნატიული ფასები არ არსებობს, კარტელურ გარიგებებზე ისიც მიუთითებს, რომ ფასის ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც ბოლო დროს მხოლოდ ზრდის მიმართულებით ყალიბდება, დროშიც ამთხვევენ თითქოს კონკურენტი კომპანიები. საქართველოში საწვავის ყველაზე დიდი შემომტანი აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია „სოკარია“ და ოფიციალურად ის ქართული ბაზრის 70%-ს აკონტროლებს“.

ეს ყველაფერი კი მომხმარებლის ინტერესებზე უარყოფითად აისახება. მცირდება მისი ეკონომიკური კეთილდღეობა. სახელმწიფომ თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირებაში ჩარევით უნდა უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობა.

2012 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. სახელმწიფო შესყიდვების სფეროს რეგულირების გარდა, ახალი სააგენტოს ფუნქციებს დაემატა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა და მათი დარღვევის პრევენცია და აღკვეთა, ასევე ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობა. ახალი სააგენტოს შექმნის საფუძველი გახდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე (DCFTA) მოლაპარაკებების დაწყების ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კონკურენციის პოლიტიკის სტრატეგია.

ლიტერატურა:

1. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, “ეკონომიქსი“, ტომი I, თარგმანი რუსულიდან, თბ., 1992. გვ. 173, 184, 199.
2. გ. მენქიუ, „ეკონომიკის პრინციპები“, თბ., 2008.
3. ი. მესხია, რ. ბასარია, „ეკონომიკის საფუძვლები“, 1965.
4. http://nbg.gov.ge/index.php?m=486
5. http://transparency.ge/post/report/sabazro-konkurentsia-sakartveloshi

ინტერნეტ რეკლამა და მისი განვითარების პერსპექტივები

ანიკო ჯანგიშერაშვილი, თამარ მიღრიჯანაშვილი,
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

სარეკლამო საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ჰენრი ფორდი აღნიშნავდა: ,,რეკლამირების შეწყვეტა ფულის დაზოგვის მიზნით იგივეა, რაც საათის შეჩერება დროის დაზოგვის მიზნით”.

რეკლამა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა. რეკლამის სათავეების ძიებამ მკვლევარები ისე შორს წაიყვანა, რომ ერთ-ერთმა ფრანგმა კრიტიკოსმა სარკასტულად შენიშნა: ,,სარეკლამო ხასიათის პირველი სცენა როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სამოთხეში გათამაშდა და მასში სამი პერსონაჟი მონაწილეობდა: ადამი, როგორც მომხმარებელი, ევა - რეალიზატორი და გველი - სარეკლამო აგენტი, რომელმაც ევას უკარნახა ყველაზე საუკეთესო არგუმენტი ადამის შესაცდენად”. რეკლამის უძველესი ნაშთები ნაპოვნია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (ეგვიპტე, საბერძნეთი და სხვ.). სარეკლამო განცხადება იწერებოდა ქვაზე, ლითონზე, ძვალზე და ა.შ. რეკლამის ისტორიაში გარდამტეხი იყო 1450 წელი, როდესაც იოჰან გუტენბერგმა საბეჭდი დაზგა გამოიგონა. 1812 წელს ინგლისში პირველი სარეკლამო სააგენტოები გამოჩნდა. თანამედროვე რეკლამის ისტორია კი ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის.

სიტყვა რეკლამა ლათინური წარმოშობისაა (ლათ. reclamare, ფრანგ. reclame, ინგ. advertising) და სიტყვა-სიტყვით წამოძახილს, ყვირილს ნიშნავს. რეკლამა ცნობების, ინფორმაციის გავრცელებაა ვინმეს ან რაიმეს შესახებ პოპულარიზაციისათვის. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით კი ,,რეკლამა ლამაზად მოყოლილი რეალობაა”.

თანამედროვე პირობებში რეკლამის გადაცემისათვის ფართოდ გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ტელევიზია, რადიო, გაზეთი, ჟურნალი და სხვა. დიდ მნიშვნელობას იძენს ინტერნეტ-რეკლამაც.

რეკლამა მსოფლიოში საკამოდ პოპულარულია და მისი ბაზარი დღითიდღე იზრდება. საკმაოდ შთამბეჭდავია ის სტატისტიკური და სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში ტარდება. რამდენადაა განვითარებული ეს დარგი საქართველოში და რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართული კომპანიები რეკლამას ინტერნეტით? რასაკვირველია, ქართული ონლაინ რეკლამა ჯერჯერობით ძალიან შორსაა მსოფლიო მასშტაბებისგან, იგი ნაბიჯების გადადგმას მხოლოდ ახლა იწყებს, თუმცაღა სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მას განვითარების საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს და რამდენიმე წელში იგი რეკლამის სხვა სახეების მსგავს პოპულარობას მოიპოვებს, მით უმეტეს, რომ ძალიან სწრაფად იზრდება ისეთი ადამიანების რაოდენობა, რომლებიც კომპიუტერთან გაცილებით მეტ დროს ატარებენ, ვიდრე ტელევიზორთან და ეს შეუქცევადი პროცესია. საქართველოში ყოველ წელს ინტერნეტის აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობა მინიმუმ 50%–ით იზრდება. ინტერნეტ რეკლამას სხვა მედია საშუალებებთან შედარებით უნიკალური ეფექტურობა ახასიათებს. შესაბამისად რეკლამა ინტერნეტში დღითიდღე უფრო ეფექტური ხდება. ის საშუალებას იძლევა მივაწვდინოთ ხმა ადამიანთა ისეთ ჯგუფებს, რომელთა ყურადღების მიპყრობა სხვა საშუალებებით რთული და ძვირია.

აშშ-ში პირველად, ინტერნეტ-რეკლამის რაოდენობამ ბეჭდვითი მედიის მიერ მოზიდულ რეკლამის რაოდენობას გადააჭარბა.

რეკლამის დამკვეთები სულ უფრო ხშირად ონლაინ-რეკლამას მიმართავენ, რადგან მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა გამუდმებით იზრდება. ანალოგიური ტენდენცია რუსეთში, წერს gazeta.ru, უკვე 2011 წლისთვის არის მოსალოდნელი. 2010 წლის შედეგებით ონლაინ-რეკლამის რაოდენობა აშშ-ში 13,9%-ით გაიზარდა და ის 25,8 მილიარდ აშშ დოლარად შეფასდა მაშინ, როდესაც ბეჭდვით მედიაში გასული რეკლამის წლევანდელი შემოსავალი გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს 6%-ით ჩამორჩა და 22,8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ამის შესახებ წერს The Wall Street Journal, ეყრდნობა რა კვლევითი კომპანია eMarketer-ის მონაცემებს.

კომპანიის ანალიტიკოსები მომავალ წელს ბეჭდვით მედიაში განთავსებული რეკლამის რაოდენობის 6%-ით შემცირებას პროგნოზირებენ, ამასთან, ინტერნეტ-რეკლამის შემოსავალი 10,5%-ით გაიზრდება და 28,5 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს. ბეჭდვითი მედიის მიმართ რეკლამის დამკვეთთა ინტერესის დაკარგვა გამოწვეულია იმით, რომ ადამიანები სულ უფრო დიდ დროს უთმობენ ინტერნეტს, განაცხადა eMarketer-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯეფ რემსიმ."ჩვენ ამ გარდამტეხ მომენტს დიდხანს ველოდით", დასძინა რემსიმ.

საკონსულტაციო კომპანია Forrester-ის გამოკითხვის მიხედვით, რიგითი ამერიკელი ტელევიზიას და ინტერნეტს დროს თანაბრად უთმობს. იმავდროულად, სულ უფრო ნაკლებ დროს გამოყოფს პრესისა და რადიოსთვის. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ტრადიციული მედიის სარეკლამო შემოსავალები კლებულობს. ჯეფ რემსის განცხადებით ამ ტენდენციაზე არანაკლები გავლენა იქონია ეკონომიკურმა სირთულეებმა.

დიდ ბრიტანეთში ინტერნეტ-რეკლამა ყველაზე დიდ სარეკლამო ბაზრად ჯერ კიდევ 2009 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. რუსეთში კი, ინტერნეტი რეკლამის რაოდენობით ჯერ კიდევ ჩამორჩება ტრადიციულ მედიას, თუმცა, როგორც სარეკლამო კომპანია Adwatch -ის აღმასრულებელი დირექტორი ანდრეი ჩერნიშევი gazeta.ru-სთან საუბარში ამბობს, რუნეტში განთავსებული რეკლამის რაოდენობა განუხრელად იზრდება. მანვე დასძინა, რომ რუსეთში რეკლამის რაოდენობა მიმდინარე წლის განვლილ 9 თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 14%-ით გაიზარდა და საერთო თანხამ 160 მილიარდი რუსული რუბლი შეადგინა. ამ თანხიდან ინტერნეტ-რეკლამაზე 18,6 მილიარდი რუბლი მოდის, რაც 37%-ით მეტია შარშანდელ მაჩვენებელზე. რუსი ანალიტიკოსის პროგნოზით, რუსეთში ინტერნეტ-რეკლამა ბეჭდვითი მედიის მიერ მოზიდულ რეკლამას მომავალი წლის მესამე კვარტალში გადააჭარბებს. გაზეტა.რუ, სარეკლამო სააგენტო ZenithOptimedia-ს მონაცემებზე დაყრდნობით, წერს, რომ 2013 წელს რუსეთის სარეკლამო ბაზარი იმდენად გაიზრდება, რომ ის მსოფლიოს სარეკლამო ბაზრების ათეულში მოხვდება.

"საქართველოში კი ერთი-ორი რეიტინგული ტელეკომპანიის გარდა ნამდვილად არ არის ასეთი სიმძლავრის სარეკლამო საშუალება," ქართული კომპანიები ონლაინ რეკლამის მიმართ არცთუ განსაკუთრებულ დაინტერესებას გამოხატავენ და სარეკლამო კამპანიის დაგეგმვისას მას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი პოპულარული სარეკლამო

კომპანია "სარკე კონსალტინგის" მედიადაგეგმარების განყოფილების თქმით, ონლაინ რეკლამა დამკვეთების მხრიდან ხშირ შემთხვავეში ყურადღებას არ იმსახურებს და სარეკლამო კამპანიის არცთუ პოპულარულ სახეობას მიეკუთვნება. საინტერესოა, მოაქვს თუ არა რეალური შედეგი კომპანიებისთვის ონლაინ რეკლამას? შედეგის გაზომვა დღესდღეობით საქართველოში ძალიან დაბალ დონეზე ხდება, თუმცა ონლიან რეკლამის ეფექტურობას არაერთგვაროვნად აფასებენ თავად კომპანიები. ზოგიერთი ამას მხოლოდ იმიჯისთვის აკეთებს, ზოგიერთი კი კონკრეტულ მოგებასაც იღებს. ის ფირმები, რომლებმაც ონლაინ რეკლამის უპირატესობებს ალღო სწრაფად აუღეს, ინტერნეტში რეკლამის განთავსებას ინტენსიურად ახორციელებენ. ერთ-ერთი მათგანია ფარმაცევტული კომპანია "ავერსი", რომელიც რეკლამის ინტერნეტში განთავსებას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს. კომპანიის მარკეტინგის სამსახურში აცხადებენ, რომ კონკრეტული ბრენდების რეკლამაზე გამოხმაურება რეიტინგული საიტებიდან საკმაოდ დიდია, თუმცაღა აქვე დასძენენ, რომ შედეგი სატელევიზიო რეკლამისას ჯერჯერობით ვერ შეედრება. ონლაინ რეკლამის დანარჩენ სახეებთან შედარებით, არაკონკურენტუნარიანობაზე საუბრობენ სხვა კომპანიებშიც. ჯი-პი-აი-ს მარკეტინგის სამსახურში აცხადებენ, რომ ინტერნეტ რეკლამას მათი კომპანიისთვის კარგი შედეგი მოაქვს, თუმცა ეფექტურობის თვალსაზრისით ჯერჯერობით ძალიან შორსაა სატელევიზიო რეკლამისგან. ჯი-პი-აი-ს ონლაინ რეკლამის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ორ-სამ წელიწადში სარეკლამო სივრცეში იგი უმნიშვნელოვანეს ადგილს დაიკავებს. "ინტერნეტი ძალიან ბევრი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი. ინტერნეტ რეკლამას თავისი მომხმარებელი ჰყავს და მომავალი წლიდან ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. საქართველოში უკვე დაისვა ინტერნეტის გაუმჯობესების საკითხი, რაც გაზრდის მომხმარებელსაც. ჩვენი გადმოსახედიდან ინტერნეტ რეკლამა ძალიან ეფექტიანი საშუალებაა და კომპანიები, რომლებიც კარგად ათვითცნობიერებენ ამ გარემოებას, მას თავის სასარგებლოდ ეფექტურად იყენებენ. განსხვავებული აზრი აქვთ თი-ბი-სი ბანკში. ისინი თვლიან, რომ რეკლამას ინტერნეტში დამკვეთისთვის მხოლოდ მცირე შედეგი მოაქვს და ამის მიზეზად საქართველოში ინტერნეტ მომხმარებლების შედარებით მცირე რაოდენობას ასახელებს.

რეკლამა ინტერნეტში ეს არის მოგების მომტანი ინვესტიციები, რადგან ინტერნეტ-რეკლამას შეუძლია გადაჭრას პრაქტიკულად ნებისმიერი ამოცანა, რომელიც დგას კომერციული საიტის წინაშე. საიტის პოპულარიზაციისა და რეკლამის გავრცელების ტრადიციული მეთოდები ნელ-ნელა კარგავენ ეფექტურობას - მათ ენაცვლებიან ინტერნეტ-მარკეტინგი და რეკლამა ინტერნეტში.

დღეს საკუთარი ფირმის ინტერნეტ-წარმომადგენლობა აღარ არის ფუფუნების საგანი, ის გადაიქცა, წარმატებული ბიზნესის გარანტად, იმიჯის განუყოფელ ნაწილად. საერთაშორისო ქსელის ბიზნესის სფეროში გვიხსნის უკიდეგანო შესაძლებლობებს, რომლის არ გამოყენება, უბრალოდ მიუტევებელი ცოდვაა. ინტერნეტი შლის მანძილის წინაღობას, ჩვეულებრივ მომხმარებელს საშუალებას აძლევს შევიდეს სხვადასხვა საიტებზე, წაიკითხოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია და შეიძინოს ესა თუ ის საქონელი. აი რატომაა ინტერნეტში რეკლამა უფრო და უფრო პოპულარული.

კერძოდ რითია ინტერნეტში რეკლამა მიმზიდველი? იმით რომ, ინტერნეტში რეკლამის ღირებულება გაცილებით დაბალია მის ტრადიციულ ანალოგებთან შედარებით, მაგალითად ბეჭდვითი რეკლამა, ხოლო ინტერნეტში რეკლამის ეფექტურობა გაცილებით მაღალია და, რაც მთავარია, თქვენ ყოველთვის გაქვთ შესაძლებლობა, თავად აკონტროლოთ თუ როგორ მატულობს თქვენი საიტის რეიტინგი, რეკლამის ეფექტურობის სტატისტიკის მიხედვით.

რეკლამა ინტერნეტში უნდა იყოს ორიენტირებული მიზნობრივ აუდიტორიაზე, ანუ იმ პოტენციურ მომხმარებლებზე, რომლებიც მომავალში შეიძენენ თქვენს პროდუქციას ან მომსახურებას. ინტერნეტ-რეკლამის მიზნობრივ აუდიტორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ის მომხმარებლებიც, რომელთაც უბრალოდ აინტერესებთ რეკლამირებადი საიტის თემატიკა. საიტის პოპულარიზაცია საძიებო სისტემებში აუცილებელია ნებისმიერი თემატიკის საიტებისთვის, იქნება ეს მცირე ორგანიზაციის საიტი თუ მსხვილი ინტერნეტ-მაღაზია.

მიუხედავად ინტერნეტ-რეკლამის მცირე ღირებულებისა, თქვენი საქმიანობის სფეროში მაღალი კონკურენციის პირობებში და მუდმივი შემოსვლების შესანარჩუნებლად სარეკლამო ჩვენებების საჭიროების შემთხვევაში, ინტერნეტში რეკლამის საერთო მოცულობა შეიძლება იყოს სოლიდური, თუმცა ეს უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რასაც მომავალში მოგიტანთ პოპულარული საიტი.

რეკლამა ინტერნეტში არის ყველაზე იაფი. თუ გავითვალისწინებთ მოქმედების არეალს, უბრალოდ უაზრობაა ასეთი მასშტაბის არ გამოყენება.

ლიტერატურა:
1. გ. არმსტრონგი, ფ. კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, მეშვიდე გამოცემა, ქართ. ენაზე, 2006.
2. მარკეტინგი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, პროფ. გ. შუბლაძის რედაქციით, თბ., 2009.
3. http://blog.adspay.ge/?p=3
4. http://www.media.ge/node/39736
5. http://www.designex.ge/web-design/internet
6. http://www.inteleqtuali.ge/jurnali10.pdf

დოლარი - მსოფლიოს წამყვანი ვალუტა

ეკა ჯოჯიშვილი, ნათია გალეგაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

ყველა სუვერენულ სახელმწიფოს გააჩნია ეროვნული ფული, ეროვნული ვალუტა, რომლის გამოყენება, როგორც საანგარიშო ერთეულისა და ანგარიშსწორების საშუალებებისა, სავალდებულოა. მან უნდა გამორიცხოს ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ფულადი ერთეულების გამოყენება. როგორც წესი, სავალუტო სისტემა მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო სავალუტო სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ფუნქციებით, როლით, ამოცანებითა და რეგულირების მეთოდებით. ეროვნულ და საერთაშორისო სავალუტო სისტემათა კავშირურთიერთობები და განსხვავებულობანი მათი ორგანიზაციული ფორმების ელემენტებსა და ფუნქციონირებაში ვლინდება. იმისათვის, რომ ეროვნულმა ვალუტამ მიიღოს საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის უფლებამოსილება, აუცილებელია მის ქვეყანას მსოფლიო საქონლურ წარმოებაში, საქონლის (მომსახურებისა) და კაპიტალის ექსპორტში, მონეტარული ოქროს რეზერვებში, საბანკო დაწესებულებათა და საფინანსო-საბირჟო ქსელით წამყვანი ადგილი ეკავოს. კონვერტირებად ვალუტად მიჩნეულია იმ ქვეყნის ვალუტა, რომელიც იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე და ასრულებს საერთაშორისო საგადასახდელო საშუალებების ფუნქციას იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ყოველგვარი სახის ოპერაციათა შესრულებისას. სავალუტო ურთიერთობა მსოფლიო მეურნეობის წარმოებით ურთიერთობათა მთლიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მისი ფუნქციონალური როლი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფს საერთაშორისო ექვივალენტური გაცვლა. საერთაშორისო ექვივალნტური გაცვლის ეს ამოცანა დაკისრებული აქვს განსაკუთრებულ მარეგულირებელ მექანიზმს, რომელიც არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ უცვლელ ფენომენს, არამედ იგი ევოლუციურ ცვლილებებს განიცდის კაპიტალიზმის განვითარების, თვით სავალუტო ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე.

აშშ-ში ფული შედგება ლითონის ხურდისა და ქაღალდის ბანკნოტებისაგან. თანახმად ფედერალური კანონისა, მხოლოდ აშშ-ს ხაზინასა და ფედერალურ-სარეზერვო სისტემას შეუძლია გამოუშვას ეროვნული ფული. ხაზინა უშვებს ყველა სახის ხურდას მაშინ, როდესაც ფედერალური რეზერვიც და ხაზინაც უშვებენ ქაღალდის ფულის სახეებს - შესაბამისად ფედერალური სარეზერვო ბანკნოტებისა და შეერეთებული შტატების ბანკნოტებისა (ნიშნებს). აშშ-ს ქაღალდის ყოველ ფულს აქვს ერთი ოფიციალური დევიზი: „ჩვენ გვწამს ღმერთი“. ხურდა ფული იჭრება დოლარის ღირებულელების სხვადასხვა ნაწილის შემცველობით. პენი - 1 ცენტი, ანუ დოლარის მეასედი; ნიკელი-5 ცენტი, ანუ დოლარის 5/100; დაიმი - 10 ცენტი, ანუ დოლარის 10/100; მეოთხედი - 25 ცენტი, ანუ დოლარის ¼; 50 ცენტი, ანუ დოლარის ნახევარი და 1 დოლარიანი ხურდა.

შეერთებულ შტატებში გამოშვებული ფული თითქმის მთლიანად ფედერალური სარეზერვო ნიშნებისაგან შედგება, რომლებიც გამოშვებულია ფედერალურ სარეზერვო სისტემაში შემავალი 12 სარეზერვო ბანკის მიერ. ეს ნიშნებია $1, $2 , $5, $20, $50 და $100. 1969 წლამდე ფედერალური სარეზერვო ბანკები ასევე უშვებდნენ $500, $1000, $5 000 და $ 10 000 ნიშნებს. აშშ-ს ხაზინა სადღეისოდ შეერთებულ შტატებში უშვებს მხოლოდ ქაღალდის ფულსა და ეს ნიშნები მხოლოდ $100 ღირებულებისაა. როგორც შეერთებული შტატების ნიშნები, ასევე ფედერალური რეზერვის ნიშნები ატარებენ აშშ-ს ხაზინის მდივნისა და ხაზინადარის ნაბეჭდ ხელმოწერებს (ფაქსიმილიებს).

ქვეყნის ფულით მომარაგება ემყარება საქონლის წარმოებას ან სამთავრობო დეკრეტს. სასაქონლო ფული, ჩვეულებრივ, ემყარება ძვირფას ლითონებს, კერძოდ ოქროს ან ვერცხლს. როდესაც ქვეყანა იყენებს სასაქონლო ფულს, ფულით მომარაგების ზომა (მოცულობა) განისაზღვრება წარმოებული საქონლის ღირებულებით და წარმოების ტემპით. XIX-XX სს-ის მიჯნაზე აშშ-ს ვალუტა ემყარებოდა ოქროს სტანდარტს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები პირობას იძლეოდა შეესყიდა ვალუტა გარკვეული ოდენობის ოქროს ფასად. დეკრეტულ ფულს, განსხვავებით ზემოთ ნათქვამისაგან, არ გააჩნია შინაგანი (საკუთრივი) ღირებულება. მის ფასს განსაზღვრავს ხალხის სურვილი მიიღოს იგი. დეკრეტული ფულის მისაღებლობის გასაზრდელად მთავრობამ შეიძლება ცნოს ვალუტა კანონიერ საგადასახადო ობიექტად გარკვეული ფუნქციით, რაც ნიშნავს იმას რომ მოსახლეობას კანონით მოეთხოვება მიიღოს ფული მისი სახიერი ღირებულებით. დღეისათვის შეერთებული შტატები იმყოფება დეკრეტულ საფულადო სისტემაზე, რომელშიც ეროვნული მთავრობა მისი ცენტრალური ბანკის, ფედერალური სარეზერვო სისტემის მეშვეობით აკონტროლებს ფულით მომარაგებას. აშშ-ს ვალუტა წარმოადგენს კანონიერ საგადასახადო ერთეულს (ლეგალურ ტენდერს).

შეერთებული შტატების ფულადი მიმოქცევა შედგება არა მხოლოდ ხურდა ფულისა და ქაღალდის ბანკნოტებისაგან. საჩეკო საანგარიშო დეპოზიტები ასევე განიხილება ფულის ფორმად, რადგანაც ისინი იხარჯება, როცა ხალხი ჩეკებს გამოწერს. სინამდვილეში, შეერთებულ შტატებში ყველა გადახდათა ¾ ჩეკების საშუალებით ხორციელდება. როდესაც კომერციული ბანკები სესხს იძლევიან, მათ შეუძლიათ შექმნან საჩეკო დეპოზიტური ფული სესხის ამღებთათვის, ამ უკანასკნელთა სადეპოზიტო ანგარიშზე დამატებითი კრედიტის გაცემით. დეფერალური სარეზერვო სისტემა ამ ფულის შექმნაზეც ინარჩუნებს კონტროლს სარეზერვო მოთხოვნათა დადგენით, რეზერვებში დოლარის რაოდენობის გაკონტროლებით ფედერალური რეზერვი აკონტროლებს ბანკის სესხებში დოლარის მოცულობას.

ეკონომისტები ფულით მომარაგებას (მიმოქცევას) ზომავენ რამდენიმე მეთოდით, რომლებიც განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რომელი აქტივებია ჩართული გაანგარიშებებში. ¼ მოიცავს დეპოზიტებს ყველა მომგებიან ანგარიშზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნან საჩეკო ანგარიშების მსგავსად. მეორე მეთოდი მოიცავს დანაზოგთა ანგარიშებს, რომლებიც არ შეიძლება ავტომატურად კონვერტირებულ იქნას სახარჯოდ. ბანკებს შეუძლიათ მოითხოვონ წინასწარი შეტყობინება ამ ანგარიშების დახურვის შემთხვევაში. როცა ფულით მომარაგება იზრდება, მოსახლეობას უჩნდება მეტი სახარჯო თანხა და, შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე. ამის პარალელურად წარმოებები ქირაობენ მეტ მუშახელს, რათა გაზარდონ პროდუქციის გამოშვება. ეს არის ეკონომიკური ზრდის სცენარი, მაგრამ თუ პროდუქციის გამოშვება ვერ უწყობს ფეხს გაზრდილ მოთხოვნილებას, მაშინ ფასები იზრდება. თუ ფასების ზრდა გრძელდება, შედეგად ვითარდება ინფლაცია. ამან მოსალოდნელია გამოიწვიოს პრობლემები იმ ხალხისათვის, ვისი შემოსავლებიც არ იზრდება ინფლაციის შესატყვისად.

გლობალიზაციამ სხვადასხვა ქვეყნების ვალუტა უფრო მერყევი გახადა. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა და თავისუფალია ვალუტის კურსი, მით უფრო მერყევია დოლარი სხვადასხვა ფულის ერთეულის მიმართ.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის რეზერვების თითქმის 70% დოლარზე მოდის მაშინ, როდესაც ევროს წილი მხოლოდ 12-15% შეადგენს. მსოფლიო ვაჭრობის 52% დოლარებში ხორციელდება. 92 სანედლეულო საქონლიდან მხოლოდ 5-ს არა აქვს დოლარებში კოდირება. მსოფლიოში ვალუტად გაცვლითი ოპერაციების 90% დოლარის მონაწილეობით ხორციელდება.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, აშშ-ს ეროვნული ვალუტა დოლარი პრობლემის წინაშე დგას. ეს პრობლემაა დოლარის შესუსტების მზარდი ტენდენცია, მაგრამ ჯერჯერობით მსოფლიო არ არის მზად დოლარის ჩასანაცვლებლად, თუ ამერიკელები არ მიიღებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს საბიუჯეტო დეფიციტის შესამცირებლად. მომავალში შეიძლება ადგილი ჰქონდეს გარკვეულ ქმედებებს ალტერნატიულ სარეზერვო ვალუტის დასამკვიდრებლად ან მოხდეს დოლარის ფართომასშტაბიანი ჩანაცვლება ოქროთი ან ევროთი. არ ვიქნებოდით ორიგინალურები თუ ვიტყვით, რომ ასეთი ღონისძიებები შეიძლება იყოს სახელმწიფო ხარჯების შემცირება და გადასახადების ზრდა. უნდა ველოდოთ, რომ მიღებული იქნება გარკვეული ღონისძიებები, მაგრამ არასაკმარისი საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემის გადასალახად და ეს პრობლემა კიდევ დიდხანს იქნება დამოკლეს მახვილივით ამერიკულ და მსოფლიო ეკონომიკაზე.

ჩვენი აზრით, დოლარისათვის და მთლიანად მსოფლიო სავალუტო სისტემისათვის დადებით სტაბილურ მოვლენას წარმოადგენს ევროპული საბიუჯეტო კრიზისი, რომ არა ეს კრიზისი შეიძლება ადგილი ჰქონდეს დოლარის მკვეთრ გაუფასურებას და გლობალური ფინანსური სისტემის მკვეთრ დესტაბილიზაციას.

მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა დოლარი დღეს მაინც ლიდერობს მსოფლიო ვალუტებს შორის და მნიშვნელოვან ვალუტად რჩება, რომელიც ქვეყნის რეზერვებში, ღირებულების დომინაციაში, კონტრაქტების შედგენაში, საერთაშორისო მონეტარულ სისტემაში და გადასახადების განხორციელებაში გამოიყენება.

ლიტერატურა:
1. გ. ცაავა, შ. გავაშელი, თ. ცაავა, ,,მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიოს სავალუტო სისტემა". გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბ., 2009.
2. www.financial.ge
3. www.aura.ge/news/1/1035-dolari.html
4. www.face.ge

არამატერიალური აქტივების გამოყენება პრაქტიკაში

მარიამ ჯღირაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ხალიანა ჩიტაძე**, ასოცირებული პროფესორი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ აუცილებელი გახადა აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გარდაქმნა ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში არამატერიალური აქტივების გამოყენებამ ფართო გაქანება ჰპოვა. საქართველოში ეს ტერმინი სულ რამდენიმე წლის წინ, ბასს-ის დანერგვის შემდეგ გახდა ცნობადი.

არამატერიალურია ისეთი აქტივები, რომლებიც წარმოებას ემსახურებიან ხანგრძლივი პერიოდის (ერთ წელზე მეტი ხნის) განმავლობაში, არ გააჩნიათ მატერიალურ-ნივთობრივი ფორმა, მაგრამ აქვთ ღირებულებითი შეფასება და სამეურნეო სუბიექტისათვის (საწარმოსთვის) მოაქვთ ეკონომიკური სარგებელი (მოგება).

იმისათვის, რომ რესურსები აღიარდეს აქტივებად უნდა დაკმაყოფილდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმები: იყვნენ საწარმოს მიერ კონტროლირებადნი, მათი გამოყენებით საწარმო იღებდეს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იყოს მიღებული სარგებლის საიმედოდ შეფასება.

ბასს-ის მიხედვით, არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი, არაფულადი აქტივი, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური ფორმა და რომელსაც საწარმო ფლობს წარმოების ან მიწოდების (საქონლის ან მომსახურების) პროცესში გამოსაყენებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

აქტივების ამ ჯგუფს მიეკუთვნება ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ფირმის დაარსებასთან და მის ორგანიზებასთან, პატენტების, საავტორო უფლებების შეძენასთან, სავაჭრო მართვის რეგისტრაციასთან. მიუხედავად იმისა, რომ აქტივების ეს სახე არ არის რეალური კაპიტალი, პატენტებს, საავტორო უფლებებს გააჩნიათ ღირებულება, რადგან მათზე შეიძლება თავისუფლად წარმოვადგინოთ ლიცენზია (უფლება) ანდა მივყიდოთ ისინი სხვა მფლობელებს.

აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნება ასევე, კონცესია, ნოუ-ჰაუ, ფრანჩაიზინგი, ნიშნები, ემბლემები, საფირმო სახელები და სხვა. განვმარტოთ ზოგიერთი მათგანი:

პატენტი არის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს გამოგონების სახელმწიფოებრივ აღიარებას და ანიჭებს მის გამომგონებელს საავტორო უფლებას. პატენტის მფლობელს შეუძლია ამ გამოგონებით სარგებლობის უფლება გადასცეს სხვა პირს.

საავტორო უფლება ყიდვა-გაყიდვის ან იურიდიული ხელშეკრულების გაფორმების ობიექტია. იგი წარმოადგენს ლიტერატურაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში შესრულებული ნაშრომების ავტორთა უფლებებს ამ ნაშრომის მონოპოლიაზე. საავტორო უფლება ავტორის ან ავტორთა ჯგუფის კანონით განსაზღვრული უფლებაა თავიანთი ნაშრომების გავრცელებასა და ტირაჟირებაზე.

დღესდღეობით ძალზედ აქტუალურია არამატერიალური აქტივების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით შოუბიზნესის მაგალითი, მომღერლის მიერ სიმღერის შესრულებით საავტორო უფლება

დაირღვევა, თუ იგი ავტორისგან უნებართვოდ იქნება ნამღერი. ასევე, რომელიმე მწერლის ლიტერატურის გამოყენება პლაგიატობად იქნება მიჩნეული, თუ ადამიანი, რომელიც გამოიყენებს სხვის მიერ დაწერილ ნაწარმოებსა თუ მის ნაწყვეტს, ციტატის სახით და არ მიუთითებს მისი ავტორის სახელსა და გვარს.

კონცესია წარმოადგენს სახელმწიფოსაგან მიღებულ უფლებას წიაღისეულისა და მიწის ნაკვეთების განსაზღვრული პირობებით ექსპლუატაციაში გადაცემაზე.

ლიცენზია არის სახელმწიფო ორგანოსაგან მიღებული ნებართვა გარკვეული სახის საქმიანობაზე.

სახელმწიფოსაგან ლიტერატურის, მუსიკის, კინოს, ხელოვნების ნიმუშისა და სხვა მასალების გამოცემასა და რეალიზაციაზე უფლების მოპოვება წარმოადგენს კოპირაიტს (უფლება ტირაჟირებაზე).

ინტელექტუალურ საკუთრებას (ნოუ-ჰაუ, ვიცი როგორ) მიეკუთვნება სამეცნიერო, მმართველობითი, კომერციული, ფინანსური და სხვა სახის გამოცდილება ან ცოდნა, რომელიც არ არის დასაცავი დოკუმენტებით (მაგალითად, პატენტი), მაგრამ მის გამოყენებას აპირებენ სამეცნიერო გამოკვლევებში, წარმოებაში და სხვა.

ფრანჩაიზინგი უფლების გადაცემის ძირითადი საშუალებაა სავაჭრო მარკების, მატერიალური და არამატერილური აქტივების გამოყენებაზე. ფრანჩაიზინგით გადაცემული უფლება უნდა იყოს გამოყენებული პირდაპირი დანიშნულებით, გაწეული მომსახურების ან წარმოებული პროდუქციის ხარისხის სტანდარტების დაცვით.

სავაჭრო ნიშანი (მარკა) საქონლის, მეწარმის ან დისტრიბუტორის სავაჭრო სახელწოდებაა. მაგალითად, ,,ყაზბეგი'', ,,უშბა'', ,,კოკა-კოლა'', ,,მაკდონალდსი'', და ა.შ. სავაჭრო მარკის რეგისტრაცია ხდება სავაჭრო მარკის რეესტრში და მისი უნებართვო გამოყენება ისჯება კანონმდებლობით.

მაგალითისათვის გავიხსენოთ ქართული ბრენდების მითვისების მცდელობა სომხეთის მიერ. ისინი უცხოეთის სავაჭრო ქსელებში სომხური პროდუქციის სახელით იყიდებოდა, კერძოდ, ღვინო ,,საფერავი'', ჩურჩხელა და ხაჭაპური, რომლებსაც ,,ხაჩატურიანის'' მარკა აქვს. თუმცა, შემდგომ დაპატენტდა აღნიშნული უნიკალური ქართული ბრენდები და მათ საერთაშორისო ბაზარზე კანონმდებლობა იცავს.

მფლობელის თანხმობის შემთხვევაში სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლება აქვს სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს. ასეთ შემთხვევაში მარკა წარმოადგენს ეკონომიკური სარგებლის მიღების წყაროს.

არსებულ არამატერიალურ აქტივებს შორის ,,ყველაზე უფრო არამატერიალურს'' წარმოადგენს კომპანიის რეპუტაცია, პრესტიჟი, ავტორიტეტი ბაზარზე. ხშირად ასეთ აქტივებს მოიხსენიებენ გუდვილის სახით.

გუდვილი კომპანიის ყიდვა-გაყიდვის დროს ფიქსირდება, რადგან ის არის კომპანიის რეპუტაციის ღირებულება, რომელიც გამოითვლება კომპანიაში რეალურად გადახდად ფასსა და ამ კომპანიის აქტივების წმინდა ღირებულებას შორის სხვაობით. გუდვილის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს ერთი ლარიდან რამდენიმე მილიონამდე.

არამატერილური აქტივებისადმი წაყენებული მოთხოვნები ურთიერთდაკავშირებულია, რადგანაც შეუძლებელია მათი გამოყენებით მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებელი მიითვისოს საწარმომ, თუ იგი არ ფლობს ამ აქტივების კონტროლის უფლებას და, იმავდროულად, საკუთრებიდან გამომდინარე, თუ სხვას ვერ აუკრძალავს მათ გამოყენებას. მათგან მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებელი მოიცავს საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს, დანახარჯების ეკონომიას ან სხვა სარგებელს, რომელიც ამ აქტივების გამოყენების შედეგია. მაგალითად, წარმოების პროცესში ინტელექტუალური საკითხების გამოყენებამ, ერთი მხრივ, შეიძლება შეამციროს საწარმოო დანახარჯები და არ გაზარდოს მომავალში შემოსავლები, ხოლო, მეორე მხრივ, შეუძლებელია საუბარი კონტროლირებადი არამატერიალური აქტივის გამოყენებით მიღებულ ეკონომიკურ სარგებლობაზე, თუ კი შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება.

არამატერიალური აქტივის საწყისი შეფასება უნდა მოხდეს თვითღირებულებით. შესყიდული აქტივის თვითღირებულება მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, ნებისმიერი იმპორტის მოსაკრებელსა და შესყიდვის არადაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, და ამ აქტივის გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ ხარჯებს.

როგორ მივიღოთ საწარმოში არამატერიალური აქტივები? მათი მიღება შესაძლებელია რამდენიმე გზით: შეძენა გარედან, წარმოება საკუთარი ძალებით, შესყიდვა საწარმოთა გაერთიანების გზით, გაცვლით აქციაზე (ანგარიშმგებელი საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტზე), ასეთი გზით მიღებული აქტივის თვითღირებულება აქციის რეალური ღირებულების ტოლია, გაცვლით აქტივზე, თუ გაცვლილი აქტივები ანალოგიურია, მიღებული აქტივის თვითღირებულება გაცემული აქტივის თვითღირებულების ტოლია.

არამატერიალური აქტივების ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება 2500 -,,არამატერიალური აქტივების'' ჯგუფის შემდეგ ანგარიშებზე:

2510 - ,,ლიცენზიები’’;
2520 - ,,კონცესიები’’;
2530 - ,,პატენტები’’;
2540 - ,,გუდვილი’’;
2590 - ,,სხვა არამატერიალური აქტივები’’.

აღნიშული ანგარიშები აქტიურია, დებეტში აისახება მიღება, ხოლო კრედიტში - გასვლა. ნაშთი ყოველთვის სადებეტოა, ანუ ნულის ტოლია.

საწარმოო პროცესში არამატერიალური აქტივები ამორტიზდებიან, რის შედეგადაც კარგავენ თავიანთ პირვანდელ ღირებულებას.

ამორტიზაცია არის ამორტიზირებადი თანხის (პირვანდელი ღირებულება მინუს სალიკვიდაციო ღირებულება) სისტემური განაწილება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით არამატერიალური აქტივების წლიური ნორმა განისაზღვრება ძირითადი საშუალებების მეხუთე საამორტიზაციო ჯგუფის მიხედვით და შეადგენს 15 პროცენტს. პრაქტიკულად, ეს პროცენტი შეიძლება იყოს უფრო მეტი ან ნაკლები. ამდენად, მიზანშეწონილია საწარმოებმა, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრონ არამატერიალური აქტივების საამორტიზაციო პერიოდი.

ბასს 38-ის მიხედვით ზოგიერთ აქტივზე გამოყენების ვადა განისაზღვრება იურიდიული უფლებით, მაგალითად, საავტორო უფლება, ლიცენზია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვადა არ არის შეზღუდული იურიდიულად, მაგრამ გამოყენების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 წელს.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აღირიცხება 2600-,,არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია’’ ჯგუფის შემდეგ ანგარიშებზე:

2610 - ,,ლიცენზიების ამორტიზაცია’’;
2620 - ,,კონცესიების ამორტიზაცია’’;
2630 - ,,პატენტების ამორტიზაცია’’;
2640 - ,,გუდვილის ამორტიზაცია’’;
2690 - ,,სხვა -,,არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია’’.

ეს ანგარიშები წარმოადგენენ მარეგულირებელ, კონტრალურ ანგარიშებს. დებეტში აისახება ცვეთის თანხის ჩამოწერა, კრედიტში კი - დარიცხული ცვეთის თანხა.

არამატერიალური აქტივების პრაქტიკაში გამოყენებისას შეიძლება მოხდეს მათი საწარმოდან გასვლა შემდეგი მიზეზების გამო: მოხდეს მათი რეალიზაცია, ჩამოწერა, უსასყიდლოდ გაცემა, სხვა ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში შეტანა და ა.შ.

მათი რეალიზაციისას საწარმომ შეიძლება მიიღოს მოგება ან ზარალი. მოგება დაფიქსირდება იმ შემთხვევაში, თუ არამატერიალური აქტივი გაიყიდება იმაზე მეტად, ვიდრე მისი თვითღირებულებაა, საწინააღმდეგო სიტუაცია კი ზარალზე მიგვანიშნებს.

ამრიგად, არამატერიალურ აქტივებს დიდი მნიშვნელობა აქვთ საწარმოთათვის, რადგანაც მათი შექმნისა და სამეწარმეო საქმიანობის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა, რისთვისაც ისინი ეწევიან წესდებით განსაზღვრულ სამეურნეო საქმიანობებს და იყენებენ სხვადასხვა სახის აქტივებს. წარმოუდგენელია საწარმოს დაარსება და ნორმალური ფუნქციონირება ისეთი არამატერიალური აქტივების გარეშე, როგორიცაა, ლიცენზია, სავაჭრო ნიშანი, პატენტი და ა.შ. თუ აღნიშნული არამატერიალური აქტივები მუშა მდგომარეობაშია და თავიანთ დანიშნულებას კარგად ასრულებენ, მათგან წარმატებისა და ეკონომიკური სარგებელის მოტანა გარანტირებულია.

ლიტერატურა:

1. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი, ,,ბუღალტრული აღრიცხვა’’, თბ., 2002.
2. ი. მესხია, დ. ჯალაღონია, ,,ბუღალტრული აღრიცხვა’’, თბ., 2003.
3. ხ. ჩიტაძე, გ. თენაძე, ,,ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები’’, გორი, 2009.

მფლობელობა სანივთო სამართალში

სოფიკო ბერუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **შალვა ვანიშვილი**, დოქტორი

მფლობელობა ისტორიულადაც და ახლანდელ დროშიც სამართლის ერთ-ერთ ყველაზე თავსატეხ პრობლემას წარმოადგენს. ქართული სამართლის ისტორიიდან პირველი ივანე ჯავახიშვილი იყო, რომელიც დაინტერესდა ამ საკითხით, ძირითადად მისი ეტიმოლოგიით. მისი აზრით, მფლობელობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო ტერმინი "ქონება", რომელიც იხმარებოდა არა საკუთრების მნიშვნელობით, არამედ დროებითი მფლობელობისა და მქონებლობის აზრით. სამართლის ძეგლებიდან დასტურდება, რომ "ქონება" მფლობელობის აღმნიშვნელია და მის უკან შეიძლება არსებობდეს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი უფლებები. გარდა "ქონებისა", მფლობელობის გამოსახატავად გვიანფეოდალური ხანიდან გვხვდება ტერმინი "ჭერა".

რაც შეეხება საკუთრივ ტერმინ "მფლობელობას", მასაც ვხვდებით სამართლის ძეგლებში, ხან დამოუკიდებლად და ხან კიდევ ანალოგიური შინაარსის მქონე სხვა ტერმინებთან, ხშირად პყრობასთან ერთად. მიუხედავად მფლობელობის გამომხატველ ტერმინთა ასეთი სიჭრელისა, ყველა მათგანი ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მდგომარეობას ასახავს. მოკლედ, ძველი ქართული სინამდვილე ბევრად ეხმიანება მფლობელობის თანამედროვე ქართულ გაგებას, რომელიც იუწყება რომ "მფლობელობა" წარმოშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით.

მფლობელობის კოდექსისეული ცნება არსებითად ორ ნიშანზე დაიყვანება: პირველი - ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობა. აქ იურიდიული ბატონობა ივარაუდება და არ შეიძლება იგი დავიყვანოთ ნივთის მიმართ ფიზიკურ შემხებლობამდე.

მფლობელობა არ შეიძლება გაიზომოს ნივთთან სივრცობრივი კავშირ-ურთიერთობით. სავინის ობიექტური თეორია მფლობელობისა სწორედ ამ ხარვეზებით გამირჩეოდა. თუმცა ასე გულუბრყვილო როდი იყო თანამედროვეთათვის სათაყვანებელი ცივილისტი. იგი ფიქრობდა, რომ თუ არ იქნები ნივთის მფლობელი, იქნები მასზე რაიმე უფლების მატარებელი.

მეორე ნიშანი, რომელზეც ასევე იუწყება სამოქალაქო კოდექსი, ესაა ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება. მაგალითად: პირი ყიდულობს ნივთს, დამქირავებელი ქირაობს და ა.შ. ყველა შემთხვევაში ისინი მფლობელები ხდებიან თავიანთი ნება-სურვილით. თუკი იძულებით ან მოტყუებით მოხდება ეს, მაშინ შეიძლება საკითხი დაისვას ურთიერთობის გაბათილების შესახებ. იქ, სადაც სუბიექტის ნება არ მონაწილეობს, იქ არც მფლობელობაა. ამიტომაა, რომ პიროვნება, რომელსაც პოლიციელმა ნარკოტიკული ნივთიერება ჩაუდო ჯიბეში, არ ჩაითვლება მის მფლობელად.

სამოქალაქო კოდექსის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მფლობელობა გამიჯნულია საკუთრებისგან. საკუთრება ესაა ნივთზე სრული ბატონობის უფლება მაშინ, როდესაც მფლობელობა თვით ეს ბატონობაა. მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრე. მფლობელობა ფაქტია და ამ ფაქტის უკან შეიძლება იდგეს როგორც სანივთო, ისე სხვა უფლებები. თუმცა ყველაზე მჭიდრო კავშირი მფლობელობასა და საკუთრებას შორისაა. როგორც რუდოლფ ზომი იტყოდა: „საკუთრება ნივთზე იურიდიული ბატონობაა, მფლობელობა კი ფაქტობრივი".

სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა, ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, შეძლეს ის, რომ მფლობელობას ცალკე ადგილი დათმობოდა და არ გათქვეფილიყო საკუთრებაში. მოქმედ ქართულ სამოქალაქო სამართალში მფლობელობა ისევე განიხილება, როგორც ეს გერმანული სამართლის ოჯახშია მიღებული. ამით იგი ემიჯნება რომანული სამართლის ქვეყნებს, რომელშიც მფლობელობა შედარებით განსხვავებულ პრინციპზეა აგებული. ფრანგული სამოქალაქო კოდექსი დაემყარა რა მფლობელობის სავინისეულ თეორიას, დიდხანს მფლობელებად მხოლოდ მესაკუთრეებს თვლიდა, ხოლო ყველა დანარჩენთ, რომელთაც მესაკუთრისაგან ჰქონდათ ქონება გადაცემული, მიიჩნევდა

მჭერებად. მათ მხოლოდ 1975 წლიდან შეიძინეს დამოუკიდებელი უფლება მფლობელობით სარჩელზე. მართალია ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება მფლობელობის კონსტიტუციური ელემენტია, მაგრამ არა ერთადერთი. ეს ბატონობა უნდა ხორციელდებოდეს თავისთვის და არა სხვის სასარგებლოდ. ამიტომაცაა, რომ 155-ე მუხლის მეორე ნაწილით მფლობელად არ მიიჩნევა პირი, რომელიც ნივთზე ბატონობას ახორციელებს სხვის სასრგებლოდ. მფლობელად ითვლება ის პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა. ნივთზე ფაქტობრივი მებატონე უნდა ჩაითვალოს ამ ნივთის მჭერად მფლობელის მოსამსახურედ. რადგანაც მჭერი არ ითვლება მფლობელად, ამიტომაც მას არა აქვს მფლობელობითი დაცვის უფლება არც თვით იმათ მიმართ, ვინც ფაქტობრივი ბატონობის უფლება მიანიჭა მას და არც მესამე პირთა მიმართ. თუმცა მას შეუძლია წინ აღუდგეს მესამე პირთა აკრძალულ თვითნებობას.

ამ შემთხვევაში გამოიყენება უფლების განხორციელების შესაბამისი ნორმები. უფლებამოსილების მიმნიჭებელს შეუძლია ჭერის მეშვეობით შეიძინოს ახალი მფლობელობა სხვადასხვა ნივთებზე.

რადგანაც მფლობელობა ფაქტია, სავსებით შესაძლებელია ამ ფაქტის მიმართ ორი სხვადასხვა დონის მფლობელობა, კეთდ, პირდაპირი და არაპირდაპირი. ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა რომ არაა მასზე ფიზიკური ბატონობის იდენტური, სწორედ ეს იძლევა ორმაგი მფლობელობის შესაძლებლობას. ნივთი შეიძლება ან მარტო პირდაპირი მფლობელის ბატონობაში იმყოფებოდეს, ანდა იმავდროულად არაპირდაპირი მფლობელის ბატონობის ქვეშაც. მაგალითად: თუ მხოლოდ მესაკუთრე ფლობს ნივთს, აქ მხოლოდ პირდაპირი მფლობელობაა სახეზე. მაგრამ თუ ნივთის მფლობელობა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ხდება, აქ გვექნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მფლობელობა. თუმცა სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი.

მფლობელობითი კონფლიქტის ვითარებაში უპირატესობა ენიჭება პირდაპირ მფლობელობას. პირდაპირი მფლობელობა დაცულია არაპირდაპირი მფლობელობისგან. მათი ასეთი დამოკიდებულება სამოქალაქო წესრიგის საფუძველია. სამოქალაქო კოდექსი მფლობელობის სამართლებრივი დანაწევრების ორ შემთხვევას იცნობს. პირველს მიეკუთვნება 155-ე მუხლის მესამე ნაწილში განხილული შემთხვევა, როდესაც ერთ საგანზე არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა. მეორე შემთხვევა ამ მუხლის მეოთხე ნაწილითაა გათვალისწინებული, როცა ერთ ნივთს რამდენიმე პირი ფლობს ერთდროულად.

მფლობელობის შეწყვეტაში იგულისხმება ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის შეწყვეტა იმის მიუხედავად, თუ როგორია მფლობელობაზე უფლების ხანგრძლივობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მფლობელობა ყოველთვის არ წყდება მასზე უფლების დასრულებისთანავე. მაგალითად: დამქირავებელი, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, მართალია, უკანონოდ რჩება ბინაზე, მაინც ბინის მფლობელად რჩება. მფლობელობა შეიძლება შეწყდეს როგორც თავისუფლად, პირის ნების გამოვლენის საფუძველზე, ისე უიმისოდაც. თავისუფალი იქნება მფლობელობის შეწყვეტა, როცა პირი ნივთის გასხვისებით ან მასზე უფლების მიტოვების გზით უარს იტყვის ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობაზე. თუკი სახეზეა ერთდროულად პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა, მაშინ არაპირდაპირი მფლობელობის შეწყვეტა ყოველთვის არ იწვევს პირდაპირი მფლობელობის შეწყვეტას. მფლობელობა შეიძლება შეწყდეს მფლობელის ნების საწინააღმდეგოდაც. მაგალითად: როცა იგი კარგავს ნივთს ან ჰპარავენ, ცხადია ამ ნივთის მპოვნელი ან ქურდი იქნება, ან მისი მპოვნელი. აქ მხოლოდ მფლობელობა წყდება და არა მის უკან არსებული უფლება, რაც მფლობელობის აღდგენის საფუძველს წარმოადგენს.

გარდამავალი ხასიათის წინააღმდეგობანი ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებისას არ უნდა იწვევდეს მფლობელობის შეწყვეტას. მაგალითად: შვებულებისას დროებით ბინის მიტოვება არ ნიშნავს მფლობელობაზე უარის თქმას.

სასამართლოების პრაქტიკაში ერთმანეთისგან გამიჯნულია მფლობელობის შეწყვეტის საფუძვლები მოძრავ და უძრავ ნივთებზე. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვება განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლით.

როგორც წესი, ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობა მფლობელის გარდაცვალებით წყდება და ამ აზრით, იგი გადაუცემადია. სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლით მფლობელობა მემკვიდრეებზე გადადის იმავე სახით, რა სახითაც არსებობდა იგი მამკვიდრებელთან. მემკვიდრე ითვლება სამკვიდრო მასის მფლობელად სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, თუნდაც მან არ იცოდეს ამის შესახებ.

ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. კოდექსის ამ დებულებას დიდი ხნის ისტორია გააჩნია. თავდაპირველად გამოიკვეთა ნივთის ხელთპყრობის, ჭერის მდგომარეობა. რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა ეს ურთიერთობა, მით უფრო ძლიერდებოდა ადამიანში იმის შეძლება, რომ მისია ყველაფერი, რაც მას ხელთუპყრია. ნივთზე უბრალოდ ჭერის მდგომარეობა თანდათანობით საკუთრების უფლების სამოსელში ეხვეოდა. ასე თანდათანობით ერთადერთ მფლობელად მხოლოდ მესაკუთრე გამოიკვეთა. დებულების სახით ეს ასე შეიძლება ითქვას: "ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე".

მფლობელში მესაკუთრის ვარაუდი დაშვებულია მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ, რომელთა მესაკუთრე საჯარო რეესტრიდან უნდა გამოვლინდეს. ასეთი ნივთები კი უძრავი ნივთებია. ეს განსხვავება განპირობებულია მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის განსხვავებული რეჟიმით. თუ მოძრავი ნივთების შეძენისათვის საკმარისია ნივთის ერთი პირის ხელიდან მეორეს ხელში მარტოოდენ გადაცემის ფაქტი, უძრავი ნივთი შეიძინება მხოლოდ მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

მფლობელისათვის კეთილსინდისიერება საკუთრების ვარაუდთან დაკავშირებით ბრუნვის პრინციპია, ხოლო მისი არაკეთილსინდისიერება, ამ ბრუნვისათვის დამახასიათებელი ნორმალური რისკი. შეუძლებელია, ერთდროულად დავუშვათ საკუთრების ვარაუდი, როგორც ნივთის ძველი მფლობელის, ისე ახალი მფლობელის მიმართ. ძველი მფლობელის მიმართ საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებს მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში.

მფლობელის კეთილსინდისიერება თუ არაკეთილსინდისიერება სუბიექტური შეფასების საგანს წარმოადგენს და მათში ვლინდება პირის დამოკიდებულება ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლებისადმი. ხოლო მფლობელობის კანონიერება თუ უკანონობა ობიექტური, ნორმატიული ნების შეფასების საგანს წარმოადგენს. კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება ყოველთვის არამართლზომიერ მფლობელობასთან დამოკიდებულებაა.

სამოქალაქო კოდექსი იცავს კეთილსინდისიერ მფლობელობას, თუ კი კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას 3 წლის განმავლობაში შეუძლია მოსთხოვოს ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება.

სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლი საგანგებოდ ეხება იმ შემთხვევას, როცა ნივთის მფლობელად კვლავაც კეთილსინდისიერი მფლობელი რჩება, მაგრამ სხვა პირთა უკანონო მოქმედების გამო მას ერთმევა შესაძლებლობა, ნივთის მიმართ განიხილოს ფაქტობრივი ბატონობის ძალაუფლება.

მართლზომიერ მფლობელად ითვლება ყველა პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას. მართლზომიერი მფლობელია ნივთის მესაკუთრე და ის პირები, რომელთა მფლობელობაც მესაკუთრის მფლობელობიდანაა ნაწარმოები. მართლზომიერი მფლობელები დაცული არიან იმათი თავნებობისაგან ვისგანაც მიღებული აქვთ ნივთის მფლობელობა. მართლზომიერი მფლობელობა დაცულია თვით მესაკუთრის მხრიდანაც მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში მიღებული ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის ნივთის მფლობელს. თუმცა შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში ნივთის ნაყოფი დარჩეს უფლებამოსილების მიმცემს.

ყველა კეთილსინდისიერი მფლობელი როდია ვალდებული ნივთი დაუბრუნოს მასზე უფლებამოსილ პირს. უცილებელია მფლობელობის კეთილსინდისიერება თავიდანვე იყოს ნაწარმოები იმ შემთხვებისგან, როცა ნივთი მისი მფლობელის ხელიდან, სულ ერთია ვინ იქნება ეს, მესაკუთრე თუ სხვა პირი, გამოდის, მისი ნების გარეშე მფლობელობის დაკარგვა ნებით რომ მომხდარიყო, უფლებამოსილი პირი კეთილსინდისიერი მფლობელისგან ვერ გამოითხოვდა ნივთს.

მართალია, კეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებულია დააბრუნოს ნივთი, მაგრამ სამაგიეროდ, უფლებამოსილი პირი თავის მხრივ ვალდებულია, 163-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება შეასრულოს. ვიდრე კეთილსინდისიერი მფლობელის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, მანამ მას უფლება აქვს უარი თქვას ნივთის დაბრუნებაზე. ნივთის დაკავების უფლება კეთილსინდისიერი შემძენის მოთხოვნის დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი გარანტიაა. მზგავსი შემთხვევა გათვალისწინებულია ნასყიდობისა და ქირავნობის სამართალში.

არაკეთილსინდისიერი მფლობელის მდგომარეობა არსებითად განსხვავდება კეთილსინდისიერი მფლობელის მდგომარეობისგან. მათ შორის მზგავსება იმაშია, რომ ორივე ვალდებულია დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს ნივთი. არაკეთილსინდისიერი მფლობელი ასევე ვალდებულია, დაუბრუნოს მას მიღებული სარგებელიც, ნივთის ან უფლების ნაყოფი. უფრო მეტიც, იგი ვალდებულია იმ ნაყოფის ღირებულებაც აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს, რისი მიღებაც

მეურნეობის სწორი წარმართვის შედეგად შესაძლებელი იყო, მაგრამ მან ბრალეულად ვერ მიიღო იგი.

ლიტერატურა:
1. ბ. ზოიძე, "სანივთო სამართალი", თბ., 2003.
2. ზ. ჭეჭელაშვილი, "სანივთო სამართალი", თბ., 2008.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2010.

თანხმობა გარიგებებში

თამარ ეცადაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

გარიგება სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტია. იმისათვის, რომ გარიგება დაიდოს, საჭიროა პირის სურვილი. ეს სურვილი პირის შინაგანი ნებაა. შინაგანი ნების გარეშე გარიგება არ ჩაითვლება დადებულად. სწორედ ადამიანის ნების გამოვლენის შესაძლებლობებს დაეთმობა წინამდებარე ნაშრომი.

ნებისმიერ პირს უფლება ეძლევა გარიგება დადოს როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლობის ინსტიტუტს ჯერ კიდევ რომის სამართალი იცნობდა და ის ჩვენშიც ფართოდ გამოყენებად ინსტიტუტად იქცა. წარმომადგენლობა ძირითადად ორი სახისა არსებობს: სავალდებულო ანუ კანონიერი წარმომადგენლობა და ნებაყოფლობითი ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობა.

ნების გამოვლენის დროს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თანხმობა გარიგებებში, რომლის სწორად გამოყენებაზეც დაკავშირებულია შემდგომში ამ გარიგების ბედი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს თანხმობის ორ ფორმას: წინასწარ გაცემულ თანხმობას ანუ ნებართვას და შემდგომ თანხმობას ანუ მოწონებას. ამით კანონი პრინციპულად ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ თანხმობა შეიძლება განხორციელდეს როგორც გარიგების დადებამდე, ასევე მისი დადების შემდეგ.

ზოგიერთი გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მის მონაწილეთა ნების გამოვლენა. იმისათვის, რომ ამ გარიგებებს იურიდიული ძალა მიეცეთ, აუცილებელია მესამე პირების თანხმობაც. თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით. აღნიშნული არ გამორიცხავს მხარეთა შესაძლებლობას ამა თუ იმ პირის თანხმობა გარიგების ნამდვილობის, უფრო ზუსტად, გარიგების დადების წინაპირობად აღიარონ.

თანხმობას, როგორც დამოუკიდებელ გარიგებას, საფუძვლად უდევს ნების გამოვლენა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ძირითადი გარიგების როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის მიმართ. ეს ნების გამოვლენა უნდა შეესაბამებოდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს გარიგებათა ნამდვილობისათვის. ეს ნიშნავს, რომ თანხმობა შეიძლება საცილოც, უცილოდ ბათილი და ა.შ. თანხმობის ბათილობისა და ნამდვილობის საკითხი შეიძლება ისევე დაისვას, როგორც ნებისმიერი გარიგების.[1]

თანხმობა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, ოღონდ მისი ნამდვილობისათვის აუცილებელია ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ. თანხმობას არ ჭირდება ფორმის დაცვა. აქ გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია ძირითადი გარიგება მოითხოვდეს წერილობით ფორმას, მაგრამ თანხმობა დადებულ იქნეს ზეპირი ფორმითაც. ეს მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. მართალია, თანხმობის ფორმა არ არის დამოკიდებული გარიგების ფორმაზე, მაგრამ კანონი შეიძლება განსაზღვრავდეს თანხმობისათვის სავალდებულო ფორმას.[2]

---

[1] ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997
[2] ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბ., 1998

როდესაც საუბარია თანხმობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობენ გარიგებები, რომლებშიც არ შეიძლება თანხმობის გამოყენება. ერთი შეხედვით თანხმობა ჰგავს მინდობილობას. მსგავსება იმაშია, რომ მინდობილობა ამა თუ იმ გარიგების დადებაზე, ხშირად იმავდროულად თანხმობაც არის.

თანამედროვე რთული სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, როცა სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ამ ურთიერთობათა მოწესრიგების საკითხში ძალიან გაზრდილია, საგრძნობლად მატულობს იმ გარიგებათა რიცხვიც, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანხმობაზე. თავისი ბუნებით სახელმწიფო ორგანოების ეს თანხმობა წარმოადგენს არა კერძოსამართლებრივ აქტს, არამედ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მივიჩნიოთ გარიგების ნამდვილობის პირობად?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, რომ თუ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით. თუ კანონი ამა თუ იმ გარიგებისთვის სახელმწიფოებრივი თანხმობის აუცილებლობას ითვალისწინებს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია აღნიშნულ თანხმობაზე. მართალია, ამგვარი თანხმობის გაცემის წესი სპეციალური კანონით განისაზღვრება და სცილდება კერძო სამართლის ფარგლებს, მაგრამ იგი გავლენას ახდენს კერძო სამართლებრივი აქტის სამართლებრივ ბედზე. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემულ თანხმობაზე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თანხმობის მარეგულირებელი წესები.

როდესაც საუბარია თანხმობაზე გარიგებებში, უნდა შევეხოთ ქმედუნარიანობას, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობას, რათა უკეთ იქნეს გამოკვეთილი თანხმობის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენების წესები. არასრულწლოვანის მიერ დადებული ორმხრივი გარიგება (ხელშეკრულება), რომელიც დადებულია არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში არასრულწლოვანის წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არასრულწლოვანის გარიგებით იღებს სარგებელს. როდესაც არასრულწლოვანი თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებს გარიგებას და თანხმობის მიცემამდე ქმედუნარიანი გახდება, მაშინ იგი თვითონ წყვეტს საკითხს თავისი ნების გამოვლენის ნამდვილობის შესახებ. არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარეს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

თუ ხელშეკრულების მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვანების შესახებ, მაშინ მას უარის თქმა ხელშეკრულებაზე შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი მას ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი: არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან ამ წარმომადგენლების თანხმობით - მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით. თუ კანონიერი წარმომადგენელი თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს ანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანისათვის საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლების მინიჭება დაიშვება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს თანხმობის ორ ფორმას: წინასწარ გაცემულ თანხმობას ანუ ნებართვას და შემდგომ თანხმობას ანუ მოწონებას. ამით კანონი პრინციპულად ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ თანხმობა შეიძლება განხორციელდეს როგორც გარიგების დადებამდე, ასევე მისი დადების შემდეგ.

ნებართვა არის გარიგების დადებამდე წინასწარ გაცემული თანხმობა. სამართლებრივი ბუნებით ნებართვა ძალიან ჰგავს მინდობილობას. უფრო მეტიც, ნებართვა ხშირად მინდობილობის ფორმით არსებობს. მინდობილობის გამცემი პირი წარმომადგენელს აძლევს ნებართვას, რომ განხორციელდეს ესა თუ ის მოქმედება. თუ ნებართვა გაცემულია განსაზღვრული ვადით, მაშინ იგი ძალას კარგავს ამ ვადის გასვლის შემდეგ. თუ ნებართვას საფუძვლად უდევს ესა თუ ის სამართლებრივი ურთიერთობა, მაშინ ამ ურთიერთობის შეწყვეტა ავტომატურად იწვევს ნებართვის გაუქმებას. ნებართვის გამცემს უფლება აქვს, რომ ნებართვა გააუქმოს, ოღონდ იმ გარიგების დადებამდე, რომლისთვისაც გაიცა ეს ნებართვა.

ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა, მართალია, მხარეებს გარიგება არ დაუდიათ, მაგრამ იმის გამო, რომ ნებართვა უკვე არსებობდა, გარიგების მეორე მხარემ განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ხარჯებთან იყო დაკავშირებული და გაკეთდა იმის გამო, რომ ნებართვა

არსებობდა. შემდეგ ნებართვა გაუქმებულ იქნა ისე, რომ გარიგება არ დადებულა. ცხადია, ამ დროს დადგება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, კონკრეტული ფაქტის საკითხია და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განმარტების საფუძველზე.

როგორც ნებართვის გაცემაა ცალმხრივი გარიგება, ისე ცალმხრივი გარიგებაა მისი გაუქმებაც. ამისთვის სავალდებულოა ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ. ნებართვის გამაუქმებელ პირს ევალება, რომ ნებართვის გაუქმების შესახებ აცნობოს გარიგების ორივე მხარეს, ე.ი. არა მხოლოდ იმას, ვისაც ნებართვა მიეცა, არამედ იმასაც, ვისთანაც უნდა დადებულიყო გარიგება.

მოწონება არის გარიგების დადების შემდეგ გაცემული თანხმობა. შემდგომ გაცემულ თანხმობას (მოწონებას), თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან. უკუქცევითი ძალა მოწონების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს. ის ნაკლი, რომელიც გარიგებას ჰქონდა, მოწონების შედეგად სწორდება და სამართალი მას თავიდანვე არარსებულად მიიჩნევს. ამიტომ კანონი სამართლებრივ ნამდვილობას ანიჭებს იმ შედეგებს, რომლებიც ფაქტობრივად ბათილი გარიგების არსებობის დროს დადგა.

როგორც აღვნიშნეთ მოწონებას აქვს უკუქცევითი ძალა, მაგრამ შესაძლებელია, რომ მოწონებას არ მიეცეს უკუქცევითი ძალა. ეს ხდება მაშინ, როცა კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ დადებული გარიგების შემდეგ განხორციელებულ მოწონებას არა აქვს იურიდიული ძალა. მოწონება შეიძლება განხორციელდეს მანამ, ვიდრე არსებობს ის გარიგება, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო ეს მოწონება. ცხადია, რომ გარიგების დამთავრების შემდეგ მოწონებას არავითარი აზრი არა აქვს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა განკარგვები ხორციელდება არაუფლებამოსილი პირის მიერ და იმისთვის, რომ ეს განკარგვა იურიდიული ძალის მქონედ იქცეს, საჭიროა უფლებამოსილი პირის ნებართვა.

არაუფლებამოსილი პირის ცნებას კანონი ამ შემთხვევაში ფართო გაგებით იყენებს. მასში იგულისხმება არა მარტო ის პირი, რომელსაც მოცემულ ნივთზე ან უფლებაზე საერთოდ არა აქვს უფლება, არამედ ისიც, რომელსაც, მართალია, აქვს მოცემულ საგანზე უფლება, მაგრამ მისი განკარგვა მოითხოვს მესამე პირის თანხმობას. მაგალითად თუ მესაკუთრემ სახლი დააგირავა ბანკში (ე.ი. იპოთეკით დატვირთა იგი), მართალია, იგი რჩება ამ სახლის მესაკუთრედ, მაგრამ მისი გასხვისება შეუძლია მხოლოდ ბანკის თანხმობით. თუ გასხვისება მოხდა ბანკის თანხმობის გარეშე, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესაკუთრე იყო არაუფლებამოსილი პირი და არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვები უნდა ჩაითვალოს ბათილად.[1]

თანხმობის ინსტიტუტი არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვებისას ძალიან ემსგავსება წარმომადგენლობის ინსტიტუტს. ორივე შემთხვევაში ხდება სხვისი სიკეთის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ, რომელსაც უფლებამოსილი პირი ასეთი განკარგვის უფლებას ანიჭებს. ამასთან, წარმომადგენლობის ინსტიტუტი უფრო ფართოა, ვიდრე განკარგვები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი ისეთ შემთხვევებს განამტკიცებს, როცა არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვის საფუძველი არის უფლებამოსილი პირის მიერ წინასწარ გაცემული თანხმობა - ნებართვა, ხოლო მეორე ნაწილი განამტკიცებს განკარგვათა ისეთ შემთხვევებს, რომლებიც, მართალია, ასევე არაუფლებამოსილი პირის მიერაა განხორციელებული, ამიტომაც ბათილია, მაგრამ შესაძლოა მისი გადაქცევა ნამდვილ განკარგვად, თუკი უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2007.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2007.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, II, III, IV, V.
4. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, სამართალი, 1997.
5. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, სამართალი, თბ., 1998.
6. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, ბონა კაუზა, თბ., 2005.
7. რომის სამართალი, რ. მეტრეველი, თბ., 2005.
8. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი I ზოგადი ნაწილი, საქართველოს მაცნე, თბ., 2001.
9. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ, 1993.
10. www.disertation.nador.ru
11. www.juristi.ru

[1] ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 1997

საქართველოს პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური

თამარ ოქროშიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი გიორგაძე,** სრული პროფესორი

სახელმწიფოს მეთაური არის თანამდებობის პირი, რომელსაც უკავია უმაღლესი ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.

სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი სახელმწიფოებრიობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. საჯარო ხელისუფლების სისტემაში მისი არსებობა განპირობებულია თავისთავადი აუცილებლობით, სახელმწიფოს გააჩნდეს მის უმაღლეს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი ან ორგანო. სახელმწიფოს მეთაური, პირველ რიგში, არის სწორედ ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საშინაო და საგარეო ურთიერთობებში, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ერთიანობის სიმბოლო.

სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებათა მოცულობა არსებითად არის დამოკიდებული ქვეყანაში ჩამოყალიბებულ სახელმწიფო მმართველობის ფორმებზე.

საქართველო არის ნახევრადსაპრეზიდენტო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც დეცენტრალიზებული ასიმეტრიული უნიტარული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში უდგას პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფო მეთაური. [1] იგი ახორციელებს და წარმართავს სახელმწიფო საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ის უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას.

სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა კონსტიტუციის შესაბამისად.

პრეზიდენტი არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში.[2]

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობასთან ერთად განასახიერებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფებას. ამასთან პრეზიდენტი სარგებლობს ერთგვარი დომინირებული სამართლებრივი მდგომარეობით საქართველოს მიმართ: პრეზიდენტის ნორმატიულ სამართლებრივ აქტს - საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას სამართლებრივი აქტების იერარქიაში უკავია შედარებით მაღალი ადგილი, ვიდრე მთავრობის ნორმატიულ სამართლებრივ აქტს - საქართველოს მთავრობის დადგენილებას[3]. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს პრეზიდენტს ენიჭება უფლებამოსილება, თავად დაარეგულიროს ნებისმიერი საკითხი, რომლის დარეგულირება საქართველოს მთავრობის უფლებამოსილების წრესაც განეკუთვნება.

საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს. ფიცის დადების მომენტიდან პრეზიდენტი სარგებლობს სპეციალური იმუნიტეტით - პრეზიდენტი ხელშეუხებელია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. მეორე მხრივ, საქართველოს პრეზიდენტს უფლება არ აქვს ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისთვის.

საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს ფართო ექსკლუზიური უფლებამოსილებებით, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლში[4], რომლის მიხედვითაც:

1. საქართველოს პრეზიდენტი:

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია 69-ე მუხლის პირველი პუნქტი
[2] საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-3 პუნქტი
[3] „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი
[4] საქართველოს კონსტიტუცია, 73-ე მუხლი

ა) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თამნხმობით ნიშნავს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლების აკრედიტაციას.

ა[1]) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

ბ) ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრის – მინისტრის დანიშვნაზე;

გ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები;

დ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას.

ე) თანხმობას აძლევს მთავრობას პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე.

ვ) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების და შეიარაღებული ამბოხის, ეკოლოგიური კატასტროფის და ეპიდემიის დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე; ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა.

ი) პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეარჩიოს თვითმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა ან დაითხოვოს ისინი თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

კ) კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.

ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით;

მ) წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

ო) შეიწყალებს მსჯავრდებულთ;

პ) დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

ჟ) ამოღებულია;

რ) პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი – დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას;

ს) 51 [1] მუხლის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და თანხმობა მისცეს მას მინისტრების დანიშვნაზე. ზემოაღნიშნული გარემოებების ამოწურვიდან ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტი ხელახლა წარუდგენს პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

2) პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

3) საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს

კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.

4) პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

5) პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

6) პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური კომპეტენციები.

1) საქართველოს პრეზიდენტი , როგორც სახელმწიფოს მეთაური და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები;

2) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები აღმასრულებელი ხალისუფლების განხორციელების სფეროში;

3) სამართლებრივი ზედამხედველობის უფლებამოსილება;

4) საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობები და უფლებამოსილებები საქართველოს პარლამენტის მიმართ;

5) პრეზიდენტის უფლებამოსილებები სახელმწიფო უშიშროებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში;

6) იგი უფლებამოსილია შეაჩეროს ან თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა ან დაითხოვოს ისინი;

7) არჩევნების და რეფერენდუმის დანიშვნის უფლებამოსილება;

8) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელისა და კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებამოსილება;

9) მოქალაქეობის და თავშესაფრის მიცემის საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება;

10) მსჯავრდებულთა შეწყალების უფლებამოსილება.

აღნიშნული უფლებამოსილებები პრეზიდენტს უწყდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ საპროგრამო სიტყვის წარმოთქმისა და ფიცის დადების მომენტიდან.

საქართველოს პრეზიდენტის უფლეამოსილება ვადამდე ადრე წყდება:

ა) პრეზიდენტის გარდაცვალების, ბ) პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის და იმპიჩმენტის წესით. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის გადაყენების უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს.

2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტი ფიცის დადების მომენტიდან ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებათა გარკვეულ ნაწილს კარგავს, მაგალითად: 73-ე მუხლის „რ“ და „ს“ პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, მაგრამ მას ემატება უფლებამოსილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში, უმაღლეს საბჭოში წარდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსტიტუციის შემდეგ, საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა.

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილებები მცირდება დღევანდელობისაგან შედარებით, რაც, ჩვენი აზრით, მისაღებია რადგან იზრდება დემოკრატიულობის ხარისხი.

ახალი კანონმდებლობით:

1) საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, გარდა საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული აქტებისა და ამ 73-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას;

2) კონტრასიგნაციას არ სჭირდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება, გარდა კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

3) კონტრასიგნაციას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც, კონსტიტუციის შესაბამისად გამოცემულია მთავრობის წარდგინებით ან რომელზედაც მთავრობას მიცემული აქვს წინასწარ თანხმობა;

4) კონტრასიგნაციას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება:

ა) პარლამენტის არჩევნების დანიშვნას და მის დათხოვნას;

ბ) კანონის ხელმოწერას და გამოქვეყნებას, აგრეთვე პარლამენტში კანონპროექტის შენიშვნებით დაბრუნებას;

გ) კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირთა წარდგენას, დანიშვნას, გათავისუფლებას და გადაყენებას;

დ) სასამართლოში, საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვას;

ე) პრემიერ-მინისტრის წარდგენასა და დანიშვნას;

ვ) მთავრობისათვის მოვალეობის შესრულების დაკისრებას;

ზ) სახელმწიფო ჯილდოებისა და სპეციალური წოდებების მინიჭებას;

თ) მოქალაქეობის მინიჭებასა და შეწყვეტას;

ი) მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვის მოთხოვნას;

კ) პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობას;

ლ) საომარი მდგომარეობის გამოცხადებას და გაუქმებას;

მ) მსჯავრდებულთა შეწყალებას. [1]

პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, რომლებიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემთხვევაში.

კონტრასიგნაციის შემთხვევაში სამართლებრივ აქტებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

ასევე 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ახალ არჩეული პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია კონსტიტუციის 63-ე მუხლით და კონსტიტუციით დადგენილი წესით თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი

ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლში

ირინე ტერმაკოზაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **შალვა ვანიშვილი**, დოქტორი

ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლში თავისი განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნების გამო საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულ იქნა ცალკე თავად - თავი მეოთხე. იგი არსებითად რეცეფცირებულ იქნა გერმანული სამართლიდან. 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ", რის შედეგადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული მრავალბინიან სახლში ბინის საკუთრების მომწესრიგებელი 25 მუხლიდან 23 გაუქმდა, ხოლო დანარჩენი 2-ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

გერმანულ სამართალში ბინის საკუთრება გათვალისწინებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის მიღმა 1951 წლის 15 მარტის კანონით "ბინის საკუთრებისა და ბინით ხანგრძლივვადიანი სარგებლობის უფლების შესახებ. ეს კანონი ადგენს ბინაზე საკუთრების უფლებას და დეტალურად არეგულირებს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობაში არსებულ ამხანაგობის წევრთა შორის ურთიერთ-უფლებებსა და ვალდებულებებს.

ქართველი კანონმდებლის უდავო დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და "ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ "კანონში ბინის საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბებისას კანონების ავტორებმა გაიზიარეს

[1] საქართველოს კონსტიტუციის 73[1]-ე მუხლი (2013 წლიდან შედის ძალაში)

გერმანული კანონის მხოლოდ ფუნდამენტალური პრინციპები და პირდაპირ გადმოიღეს მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ნორმები.

"ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონით დაზუსტდა ბინის ცნება. კერძოდ, ბინად მიიჩნევა როგორც ინდივიდუალური საკუთრების საგანი, რომელიც შეიძლება იყოს ერთ სისტემაში გაერთიანებული მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა, ისე იზოლირებული სათავსი, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად ან არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის. ბინების მესაკუთრეთა საერთო ქონებას წარმოადგენს ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია მრავალბინიანი სახლი, თავად მრავალბინიანი სახლი, მასთან დაკავშირებული მომსახურე საინჟინრო ქსელების, მოწყობილობა-დანადგარების, შენობა-ნაგებობებისა და კეთილმოწყობის ობიექტების ერთობლიობა, რომლებიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში.

მესაკუთრის წილი ბინების მესაკუთრეთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის საერთო ფართობთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, ინდივიდუალური საკუთრების უფლების შეძენისა და დაკარგვისათვის დადგენილია უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის მიმართ არსებული წესების ანალოგიური ნორმები. კერძოდ, ინდივიდუალური საკუთრების საგანზე საკუთრების უფლების შეძენისათვის საჭიროა გამსხვისებელსა და შემძენს შორის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ინდივიდუალური საკუთრების საგანზე საკუთრების უფლების მიტოვებისათვის საჭიროა უფლებამოსილი პირის ცალმხრივი ნების გამოვლენა და ამ უკანასკნელის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ერთადერთი დამატებითი წესი, რომელსაც კანონი სპეციალურად ბინის საკუთრების განკარგვის მიმართ ითვალისწინებს, მდგომარეობს იმაში, რომ მესაკუთრის მიერ ინდივიდუალური საკუთრების გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა ხორციელდება მხოლოდ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში ცალკეულ მესაკუთრეთა წილის გათვალისწინებით.

მრავალბინიან სახლებში არსებულმა ფაქტობრივმა მდგომარეობამ განაპირობა კანონმდებლის მიერ ბინათმესაკუთრეთა შორის კანონისმიერი ამხანაგობის ჩამოყალიბება - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

„ბინათმესაკუთრეთა ამხნაგობის შესახებ" კანონის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ დასაშვებად იქნა მიჩნეული:

- ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მრავალბინიან სახლში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ადგილობრივი თვითმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობით ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაფუძნება;
- მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ყველა ბინის მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობით ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაფუძნება;
- ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონი საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ურთიერთუფლებებსა და ვალდებულებებს, თუმცა აღნიშნული უფლებებისა და ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმების უმრავლესობა დისპოზიციურია და შეიძლება შეიცვალოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა შორის შეთანხმებით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონი არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფორმებსა და მისი წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ლიკვიდაციის ძირითად სამართლებრივ პირობებს. ამ კანონის მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვის ექსპლუატაციისა და განვითარების სამართლებრივი პირობების უზრუნველყოფა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს მათი საერთო ქონების შემადგენელი მიწის ნაკვეთი, სახლის ნაწილი და ის შენობა-ნაგებობანი, დანადგარები, საინჟინრო ქსელები და მოწყობილობები, რომლებიც არ არის ინდივიდუალური საკუთრება.

საერთო ქონების მეწილეთა რაოდენობა განისაზღვრება ბინების რაოდენობის შესაბამისად. მესაკუთრის წილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის ბინათა საერთო ფართობთან.

რაც შეეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური და საერთო ქონებით სარგებლობას:

1) მესაკუთრეს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს თავისი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილები და გამორიცხოს მათზე სხვა პირთა ყოველგვარი ზემოქმედება, თუ ამით იგი არ არღვევს კანონს ან მესამე პირთა უფლებებს.

2) მესაკუთრეს ასევე შეუძლია ისარგებლოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებით.

3) მესაკუთრე, განურჩევლად მისი ბინის მდებარეობის, სხვა ბინის მესაკუთრეთა წინაშე ვალდებულია თავისი წილის შესაბამისად გასწიოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის ხარჯები, თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

რაც შეეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვას:

1) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ერთობლივად მართვა ეკისრებათ მესაკუთრეებს, თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდებით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2) მესაკუთრე უფლებამოსილია სხვა მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე, გონივრულობის ფარგლებში მიიღოს აუცილებელი ზომები იმ ზიანის თავიდან ასაცილებლად, რომელიც უშუალოდ ემუქრება მათ საერთო ქონებას. ამ მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს თავის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრს უფლება აქვს:

ა) საკუთარი შეხედულებისამებრ, სხვა წევრებთან შეუთანხმებლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ბინას, გამორიცხოს მასზე სხვა პირთა ყოველგვარი ზემოქმედება, თუ ამით იგი არ არღვევს კანონს ან მესამე პირთა უფლებებს.

ბ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა სახსრებიდან აინაზღაუროს მათი საერთო ქონების ზარალის თავიდან აცილების მიზნით გონივრულობის ფარგლებში გაწეული გადაუდებელი ხარჯები.

გ) განახორციელოს ასევე სხვა უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობითა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდებით.

რაც შეეხება ამხანაგობის წევრთა მოვალეობებს:

ა) ამხანაგობის წევრი ვალდებულია ისეთ მდგომარეობაში შეინარჩუნოს და იმგვარად გამოიყენოს ინდივიდუალური საკუთრება და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება, რომ ამით სხვა მესაკუთრეს არ მიადგეს ზიანი და იმოქმედოს სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულების ფარგლებში.

ბ) იზრუნოს იმისათვის, რომ მრავალბინიან სახლში განთავსებულ მის საწარმოში დასაქმებულმა პირებმა ან მათ ვისაც იგი თავისი ინდივიდუალურ ან ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს ან შენობის ნაწილებს სარგებლობაში გადასცემს, შეასრულოს ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოვალეობანი.

გ) ითმინოს ზემოქმედება მის ბინაში არსებულ სახლის ნაწილსა და ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზე, თუ ეს ზემოქმედება შეესაბამება ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

დ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების დაცვის მიზნით დაიცვას სამშენებლო-ტექნიკური, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და სხვა ნორმები და წესები.

ამ მუხლით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობისას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

31-ე მუხლის თანახმად საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ მოქმედებს 2007 წლის 1 აგვისტოდან.

გამომცემელი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

თბილისი, 2007 წლის 11ივლისი.

ლიტერატურა:

1) ზ. ჭეჭელაშვილი, „სანივთო სამართალი“, თბ., 2008.
2) ბ. ზოიძე, “ სანივთო სამართალი“, თბ., 2003.
3) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2010.

საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებები

ზურაბ ტოროშელიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი გიორგაძე,** სრული პროფესორი

საქართველოს პარლამენტი - არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას. ამჟამად საქართველოს პარლამენტი არის ერთპალატიანი ორგანო, რომელიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით და შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 75 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 75 წევრისაგან. თანახმად საქართველოს კონსტიტუციისა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს პარლამენტი გახდება ორპალატიანი: ქვედა პალატა - რესპუბლიკის საბჭო და ზედა პალატა - სენატი. პარლამენტის უფლება-მოვალეობანი და სხვა მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის მესამე თავში (*მუხლები: 48-68*), პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი კი – პარლამენტის რეგლამენტით.

პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. საქართველოს პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამჟამად მოქმედებს 2008 წლის მოწვევის პარლამენტი.

ცალკეული ატორების აზრით, პირველი მცდელობა საქართველოში წარმომადგენლობითი ორგანოს შემქნისა მიეწერება XII საუკუნეს, როდესაც ინგლისში ,,თავისუფლების დიდის ქარტიის“ მიღებამდე ცოტა ხნით ადრე, დიდგვაროვნებს შორის, სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ არსლანის თაოსნობით, შემუშავდა სამეფო ძალაუფლების შეზღუდვის და პარლამენტის ტიპის ორგანოს - კარავის შექმნის იდეა. დაპირისპირებაში საბოლოოდ მეფის შეუზღუდავი ძალაუფლების მომხრეებმა გაიმარჯვეს, თუმცა მეფე იძულებული გახდა თავისი სათათბირო ორგანოს - დარბაზის როლი და ფუნქციები გაეზარდა.

პირველი საკანონმდებლო ორგანო საქართველოში ჩამოყალიბდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918–1919 წლებში და ეწოდებოდა ეროვნული საბჭო. 1919 წელს საბჭომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გადააბარა საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომელიც საქართველოს პარლამენტის მოწვევამდე მის მაგივრობას ეწეოდა, რაც განსაზღვრულ იქნა კრების მიერვე მიღებული საქართველოს კონსტიტუციით.

საქართველოს პარლამენტის მოწვევა ვერ მოხერხდა საბჭოთა ოკუპაციის გამო. 1921 წელს საქართველოს რევკომმა დეკრეტით დათხოვნილად გამოაცხადა დამფუძნებელი კრება და გამოაცხადა საბჭოების ხელისუფლება. 1921–1938 წწ წარმომადგენლობითი ორგანოები იყო მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოები. 1938–1990 წლებში არსებობდა ერთი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო - საქართველოს სსრ-ს უმაღლესი საბჭო, რომელსაც უმაღლესი ხელისუფლება ფორმალურად ეკუთვნოდა, სინამდვილეში კი საპარლამენტო ხელისუფლება საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობდა. 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომლის საფუძველზე არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. 1992 წელს საქართველოს სამხედრო საბჭომ, რომელიც დაპირისპირებული იყო მაშინდელ ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან (*პრეზიდენტი, უმაღლესი საბჭო*) და იმ დროისთვის ფლობდა უკვე ფაქტობრივ ხელისუფლებას, გამოაცხადა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენა და დანიშნა ახალი არჩევნები, არა უგვიანეს იმავე წლის შემოდგომისა. ცოტა ხანში სამხედრო საბჭო გარდაიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოთ, რომელიც გაცილებით ფართო, წარმომადგენლობითი ორგანო იყო. შემოდგომის არჩევნების საფუძველზე არჩეულ იქნა პირველი პარლამენტი დამოუკიდებლობის შემდეგ.

პარლამენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბება

პარლამენტარიზმი, როგორც პოლიტიკური და სამართლებლივი ფენომენი, მსოფლიო სახელმწიფოებრიობის განვითარების ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს. პარლამენტის ინსტიტუტის სამშობლოდ ითვლება ინგლისი, სადაც XIII საუკუნეში ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდა მსხვილი ფეოდალების, სასულიერო პირებისა და ქალაქთა და საგრაფოთა წარმომადგენლებისგან შემდგარი კრება, რომელიც მონარქის ხელისუფლების შეზღუდვას ისახავდა მიზნად. მოგვიანებით მსგავსი ტიპის ინსტიტუტები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც ჩამოყალიბდა.

თანამედროვე პარლამენტი არის სახელისუფლო წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის უმთავრეს ფუნქციად კანონმდებლობის შემუშავება და აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი გვევლინება. ამასთან, პარლამენტის წარმომადგენლობითი ხასიათი გულისხმობს, რომ პარლამენტი მოქმედებს როგორც სრულიად ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი ორგანო. სახალხო წარმომადგენლობის კონცეფციის თანახმად, ხალხი, როგორც სუვერენიტეტის უზენაესი მატარებელი, პარლამენტს ანიჭებს ხალხის სახელით საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილებას. სწორედ ხალხის ნებისა და პარლამენტის ნების ერთიანობაში გამოიხატება წარმომადგენლებითი დემოკრატიის იდეის ძირითადი არსი.

თანამედროვე პარლამენტები ერთპალატიანი ან ორპალატიანია. ორპალატიანი პარლამენტების არსებობა მეტწილად დამახასიათებელია ფედერალური სახელმწიფოებისათვის, სადაც ზედა პალატის ფორმირება, როგორც წესი, ფედერალურ სუბიექტთა წარმომადგენლობით ხორციელდება. ზედა პალატის წევრთა უფლებამოსილების ვადა, ჩვეულებრივ, უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ქვედა პალატის წევრთა უფლებამოსილების ვადა.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ორპალატიანი საპარლამენტო სისტემის ორ ძირითად ტიპს: ა) ორპალატიან სისტემას სუსტი ზედა პალატით და ბ) ორპალატიან სისტემას ძლიერი ზედა პალატით. სუსტ ზედა პალატას არ გააჩნია აბსოლუტური ვეტოს უფლება და იგი სარგებლობს საპარლამენტო გადაწყვეტილებების მიღების მხოლოდ დროებით გადადების შესაძლებლობით. ამის საპირისპიროდ, ძლიერ ზედა პალატას გააჩნია აბსოლუტური ვეტოს უფლება საპარლამენტო გადაწყვეტილებების მიმართ – მისი თანხმობის გარეშე პარლამენტის გადაწყვეტილებები ვერ მიიღება.

ორპალატიანი საპარლამენტო სისტემების კიდევ ერთ საერთო მახასიათებლად შეგვიძლია განვიხილოთ ის გარემოება, რომ ძლიერი ზედა პალატის არსებობის პირობებში ქვედა და ზედა პალატების კომპეტენციები ხშირად არსებითად ემთხვევა ერთმანეთს. სუსტი ზედა პალატის არსებობისას კი, ქვედა პალატა, როგორც წესი, სარგებლობს გაცილებით ფართო უპლებამოსილებებით, ვიდრე პარლამენტის ზედა პალატა.

კონსტიტუციური კომპეტენციების მიხედვით, ერთმანეთისაგან განასხვავებენ პარლამენტის სამ ძირითად ტიპს. ესენია:

ა) პარლამენტი გაუსაზღვრელი კომპეტენციით – ამგვარი ტიპის პარლამენტების კომპეტენციები საერთოდ არ არის შეზღუდული კონსტიტუციით. შესაბამისად, პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც საჯარო ხელისუფლების კომპეტენციებს განეკუთვნება.

ბ) პარლამენტები აბსოლუტურად შეზღუდული კომპეტენციით – ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია შეიცავს პარლამენტის უფლებამოსილებათა ზუსტ ჩამონათვალს. ყველა სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ განეკუთვნება პარლამენტის კომპეტენციების წრეს, როგორც წესი, მიიღება მთავრობის მიერ.

გ) პარლამენტები შეფარდებით შეზღუდული კომპეტენციით – ამგვარი ტიპის პარლამენტების არსებობა დამახასიათებელია ფედერალური სახელმწიფოებისათვის, სადაც კონსტიტუციით ერთმანეთისაგან მკაცრად არის გამიჯნური სახელმწიფო ხელისუფლებისა და ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების უფლებამოსილებები.

აღნიშნული ტიპოლოგიის მიუხედავად, დემოკრატიული სახელმწიფოების პარლამენტები სარგებლობენ არსებითად ერთგვაროვანი კომპეტენციებით:

ა) კანონშემოქმედების უფლებამოსილება და საკანონმდებლო პროცესი. კანონშემოქმედება პარლამენტის ძირითად ფუნქციას და უფლებამოსილებას წარმოადგენს. სწორედ აღნიშნული ფუნქცია განაპირობებს საკანონმდებლო ორგანოს ცენტრალურ როლს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. პარლამენტში საკანონმდებლო პროცესი წარიმართება შემდეგი პროცედურების შესაბამისად:

ინიციატივის წესით კანონპროექტის წარდგენა – საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს უფლებამოსილი სუბიექტის მიერ კანონპროექტის ოფიციალურ შეტანას პარლამენტის კომპეტენტურ ორგანოში. უფლებამოსილი სუბიექტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელება პარლამენტს ავალდებულებს განსახილველად მიიღოს და განიხილოს შესაბამისი კანონპროექტი.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტთა წრე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. როგორც წესი, საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით სარგებლობენ – პარლამენტის წევრები, პარლამენტის კომიტეტები, პარლამენტართა გაერთიანებები, სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა, პარლამენტის ზედა პალატა და ა. შ. ცალკეულ ქვეყნებში, რელიგიურ საკითხებში საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება აქვთ რელიგიურ გაერთიანებებს (დიდი ბრიტანეთი, ფინეთი).

კანონპროექტის განხილვა – პლენარულ და საკომიტეტო სხდომებზე კანონპროექტის განხილვა წარმოადგენს საკანონმდებლო პროცესის ყველაზე ხანგრძლივ, დატვირთულ სტადიას. პლენარულ სხდომებზე კანონპროექტის განხილვა ხშირად იწოდება კანონპროექტის მოსმენად. კანონპროექტი, როგორც წესი, მიიღება სამი მოსმენით. კანონმდებლობა შეიძლება უშვებდეს, გამონაკლისის სახით, კანონპროექტის ერთი მოსმენით მიღების შესაძლებლობასაც.

კანონის მიღება – ერთპალატიან პარლამენტებში კანონპროექტის მიღების პროცედურა სრულდება ბოლო მოსმენის შემდეგ კანონპროექტის საბოლოო ვარიანტის კენჭისყრით. ხმის მიცემა ხორციელდება ღია კენჭისყრის საფუძველზე. ორპალატიან პარლამენტებში ძლიერი ზედა პალატით კანონპროექტმა, მისი საბოლოო მიღებისათვის, როგორც წესი, უნდა გაიაროს ერთი და იგივე პროცედურა პარლამენტის ორივე პალატაში. ორპალატიან პარლამენტში სუსტი ზედა პალატით ზედა პალატის მიერ კანონპროექტის მოწონების პროცედურა შედარებით გამარტივებული ხასიათით წარიმართება.

კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება – საკანონმდებლო პროცესის მოცემული სტადია, როგორც წესი, პარლამენტის გარეთ წარიმართება. კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება არსებითად წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციას. სახელმწიფოთა უმრავლესობაში, სახელმწიფოს მეთაური უფლებამოსილია არ მოაწეროს ხელი კანონს, შესაბამისად – კანონის მიმართ გამოიყენოს ე.წ. სუსპენზიური ვეტოს უფლება. სუსპენზიური ვეტოს გამოყენებისას, კანონი ხელახალი განხილვისათვის უბრუნდება პარლამენტს. ასეთ დროს, კანონის საბოლოო მიღებისათვის, როგორც წესი, საჭიროა მას მხარი დაუჭიროს პარლამენტის წევრთა შედარებით მაღალმა უმრავლესობამ, ვიდრე ეს კანონპროექტის თავდაპირველი მიღებისთვისაა დადგენილი.

კანონის ოფიციალური გამოქვეყნება ხორციელდება კანონით წინასწარ განსაზღვრულ, ოფიციალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში. კანონის გამოქვეყნების თარიღს ხშირად პირდაპირ უკავშირდება მისი ძალაში შესვლის თარიღი. კანონი, როგორც წესი, ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურები – კანონმდებლობით, როგორც წესი, განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურებია დადგენილი ისეთი კანონპროექტების ინიცირების, განხილვისა და მიღებისათვის, როგორებიცაა კონსტიტუციური და ორგანული კანონის პროექტები, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტები და ა. შ.

ბ)კონტროლის უფლებამოსილება. სხვადასხვა სახელისუფლო სტრუქტურების საქმიანობის კონტროლი პარლამენტის რიგით მეორე უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას წარმოადგენს. საპარლამენტო კონტროლის უმთავრეს ობიექტად მთავრობა გვევლინება. მთავრობის საქმიანობის კონტროლი უმთავრესად ხორციელდება მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურის საფუძველზე.

პარლამენტის კონტროლის უფლებამოსილებები ხშირად ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის, საფინანსო კონტროლის ორგანოების, ომბუდსმენის, საარჩევნო კომისიების, შეიარაღებული ძალების და ა. შ. მიმართ. საპარლამენტო კონტროლის ობიექტი შეიძლება გახდეს კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით შექმნილი კორპორაციებიც, რომლებიც საჯარო ფუნქციებს ახორციელებენ.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მთავრობის კონტროლი არსებითად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს (მიუხედავად იმისა, რომ იგი სამართლებრივად განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად ხორციელდება). ამის საპირისპიროდ, დანარჩენი სახელისუფლებო სტრუქტურების კონტროლი, როგორც წესი, მხოლოდ წმინდა სამართლებრივი ხასიათისაა.

საპარლამენტო კონტროლის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმად უნდა განვიხილოთ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობის პირთა, მათ შორის – სახელმწიფოს მეთაურის იმპიჩმენტი. პარლამენტის მიერ იმპიჩმენტის წესით სახელმწიფოს მეთაურის გადაყენების შესაძლებლობას დემოკრატიული სახელმწიფოების აბსოლუტური უფლებამოსილება ითვალისწინებს.

გ) საფინანსო უფლებამოსილებები. საფინანსო კომპეტენციები პარლამენტებს ისტორიულად საკანონმდებლო კომპეტენციებზე ადრე მიენიჭა. პარლამენტის საფინანსო უფლებამოსილებების განხორციელების უმთავრეს ფორმას ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება წარმოადგენს. პარლამენტის საფინანსო უფლებამოსილებების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს გამოვლინებად უნდა განვიხილოთ მისი პრეროგატივა, შემოიღოს გადასახადები და განსაზღვროს მათი განაკვეთები. გარდა ამისა, პარლამენტის კომპეტენციებს არცთუ იშვიათად განეკუთვნება ფულის ემისიის საკითხთა გადაწყვეტაც.

დ) პარლამენტის სხვა უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებები. პარლამენტის უმნიშვნელოვანეს უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება და დენონსირება; ცალკეულ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობის პირთა (მათ შორის – მოსამართლეების ომბუდსმენის, პროკურატურის სისტემის ხელმძღვანელის და ა. შ.) არჩევა, დანიშვნა და დამტკიცება; ომისა და ზავის, აგრეთვე საგანგებო მდგომარეობის შემოღების საკითხთა გადაწყვეტა. ზოგიერთი პარლამენტი სარგებლობს პატიმრების შეწყალების უფლებამოსილებით.

გარდა ამისა, პარლამენტი სარგებლობს ერთგვარი კვაზისასამართლო უფლებამოსილებებით, რომლებსაც იგი უმთავრესად კონკრეტულ საკითხზე შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიების მეშვეობით ახორციელებს. პარლამენტის საგამოძიებო კომისიების საქმიანობამ ხშირად სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრამდეც კი შეიძლება მიგვიყვანოს. პარლამენტის კვაზისასამართლოს უფლებამოსილების ერთ–ერთ გამოვლინებად უნდა განვიხილოთ მისი პრეროგატივაც, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენოს სახელმწიფოს მეთაური და სხვა ცალკეული უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირები.

ე) საპარლამენტო უფლებამოსილებათა დელეგირება. საპარლამენტო პროცედურები, როგორც წესი, რთული და დროში გაწელილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ხშირად ითვალისწინებენ საპარლამენტო კომპეტენციების სხვა სახელმწიფო ორგანოებზე დელეგირების შესაძლებლობას. ცალკეულ საპარლამენტო უფლებამოსილებათა დელეგირება, ჩვეულებრივ ხორციელდება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რომელსაც ოპერატიული მოქმედების შედარებით დიდი შესაძლებლობები გააჩნია. უფლებამოსილებათა დელეგირების პირობებში, პარლამენტის კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე, ბუნებრივია, გაცილებით აქტიურ ხასიათს ატარებს.

პარლამენტის უფლებამოსილება, ჩვეულებრივ, იწყება ახლადარჩეული პარლამენტის პირველი შეკრების მომენტიდან. პარლამენტი, როგორც წესი, მუშაობს სასესიო წესით. სესიის ცნების ქვეშ მოიაზრება დროის პერიოდი, რომლის განმავლობაში პარლამენტს შეუძლია ჩაატაროს პლენარული სხდომები და მიიღოს საპარლამენტო გადაწყვეტილებები. პარლამენტის გადაწყვეტილებები მიიღება პლენარულ სხდომებზე – პლენარული სხდომა არის პარლამენტის წევრთა შეკრება, რომელიც მოწვეულია და ტარდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და რომელზეც პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები.

პარლამენტის უფლებამოსილება, როგორც წესი, წყდება ახლადარჩეული პარლამენტის პირველი შეკრების ან პარლამენტის ვადამდელი დათხოვნის მომენტიდან.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
3. დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, გამომცემლობა ,,ინოვაცია'', თბ., 2010.

ადამიანის ძირითადი უფლებები 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით

თამარ ხარაიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიორგი გიორგაძე,** სრული პროფესორი

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია საქართველოს პირველი კონსტიტუცია იყო.[1]

საქართველოს ისტორია ისე წარიმართა, რომ მას თავისი სახელმწიფოებრიობა პირველი კონსტიტუციის მიღებამდე კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა. შესაბამისად 1921 წლის კონსტიტუციის

[1] ა. დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თავი მეექვსე კონსტიტუციური ისტორია, გვ. 52

შემუშავებისას ავტორები ვერ დაეყრდნობოდნენ მდიდარ სამართალმემკვიდრეობას. მიუხედავად ამ სირთულეებისა, კონსტიტუციის ავტორებმა მოახერხეს შეექმნათ ისეთი სამართლებრივი აქტი, რომელიც, მიუხედავად რიგი ხარვეზებისა, თავისი ინდივიდუალურობითა და თანმიმდევრულობით გამოირჩეოდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის კონსტიტუციებს შორის.

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში მოცემული იყო ისეთი მნიშვნელოვანი უფლებები, როგორიცაა ადამიანის ძირითადი უფლებები: პოლიტიკური და პირადი უფლებები, სოციალურ–ეკონომიკური უფლებები, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და სხვა. [1]

დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლების მიერ 1921 წელს მიღებული ეს დოკუმენტი თამამად შეიძლება განვიხილოთ მე–20 საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოში ერთ–ერთ ყველაზე მოწინავე, პროგრესულ და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ უზენაეს საკანონმდებლო აქტად.

2. 1921 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ყველაზე დიდ მიღწევად და, ამავე დროს, მისი პროგრესულობის ძირითად ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანისა და მოქალაქის ამსახველი კონსტიტუციური დებულებები, როგორიცაა მოქალაქის, პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. ამასთან დაკავშირებული უფლებები მოცემულია უმთავრესად კონსტიტუციის მესამე თავში "მოქალაქის უფლებანი", სადაც ლაპარაკია ძირითად პოლიტიკურ და პირად უფლებებზე და მეცამეტე თავში "სოციალურ–ეკონომიკური უფლებანი", აგრეთვე მეთოთხმეტე თავში "ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი" და ზოგიერთი სხვა თავის ცელკეულ მუხლებში. [2]

1921 წლის კონსტიტუციის სულისკვეთებიდან ჩანს, რომ მისი ავტორები ცდილობდნენ კონსტიტუციის მიღებით დაემკვიდრებინათ სამართლებრივი სახელმწიფო, თუ მაშინდელი ტერმინოლოგიით ვიხელმძღვანელებთ "უფლებრივი სახელმწიფო''. ადამიანისა და მოქალაქის ტრადიციული უფლებები პიროვნული თავისუფლების პრინციპს ემყარება.

პიროვნების უფლებების დაცვას ემსახურება და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ასახავს კონსტიტუციის პირველ თავში ჩამოყალიბებული დებულება სახელმწიფოს ძირითადი კანონის – კონსტიტუციის უზენაესობის შესახებ.[3]

ძალზე საინტერესო და იმ დროისათვის ადამიანთა უფლებათა მიმართ ლიბერალური მიდგომაა დაფიქსირებული 25–ე და 26–ე მუხლებში[4], რომელიც სასამართლოს გარეშე ადამიანის დაკავების შეუძლებლობას, ანუ ჰაბეას კორპუსის პრინციპს განსაზღვრავს, უფრო მეტიც, სხვა იმ პერიოდის დემოკრატიული ქვეყნებისაგან განსხვავებით, აქ მოცემულია დაკავებული პირის სასამართლოში წარდგენის კონკრეტული და უმოკლესი ვადები. კერძოდ, 24 საათს პლუს 24 საათი (ჯამში 48 საათი). ამასთან, სასამართლოს კონსტიტუციით ეძლეოდა, რათა დაკავებულისათვის თავისუფლების დასაბუთებული შეზღუდვა შეეფარდებინა.

აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი კონსტიტუციაც იგივე ვადებით ზღუდავს სასამართლოს.

2.1 პირადი უფლებები

კონსტიტუციის მე–19 მუხლით[5] გაუქმდა სიკვდილით დასჯა, რაც იმდროინდელი მსოფლიოსათვის უპრეცედენტო, ჰუმანურ იურიდიულ აქტს წარმოადგენდა.

იმ პერიოდის სხვა დემოკრატიული კონსტიტუციების მსგავსად, ცხადდებოდა რწმენის თავისუფლება (მუხლი 31)

კონსტიტუცია ერთმანეთისაგან მიჯნავდა სახელმწიფოსა და ეკლესიას. 144–ე მუხლით კონსტიტუცია ფაქტობრივად ადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკლესიის დაფინანსების აკრძალვას.

---

[1] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003, გვ. 121

[2] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური ფორმა, ფუნქციები და სახელმწიფოებრივი მექანიზმი 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, გვ.122

[3] იხილეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, თავი პირველი, მუხლი 8.

[4] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921წლის კონსტიტუცია, თავი 3 მოქალაქის უფლებანი

[5] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, თავი 3.– მოქალაქის უფლებანი

2.2 პოლიტიკური უფლებები

კონსტიტუციაში ასევე ფართოდ იყო წარმოდგენილი მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები. პირველ რიგში, აღსანიშნავია სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება (მუხლი 32), ცენზურის გაუქმება, შეკრების თავისუფლება (მუხლი 33). ცალკე იყო გამოყოფილი პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება (მუხლი 37)

2.3 სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

1921 წლის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია, რომელშიც ასახვა პოვა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურმა უფლებებმა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად სოციალისტური მიმართულების პოლიტიკური ძალის მიერ იქნა დაკომპლექტებული, რაც მსოფლიოში პირველ პრეცედენტს წარმოადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ისეთი გარანტიები, როგორებიცაა: უფასო დაწყებითი განათლება (მუხლი 110) და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საზრდო, "ჩასაცმელ–დასახურისა" და სასწავლო ნივთების უფასოდ გადაცემა. კონსტიტუციის 119–ე მუხლი კი ადგენდა სოციალურად დაცვის გარანტიებს უმუშევრად დარჩენილი პირებისათვის. მათ სახელმწიფო უნდა დახმარებოდა დასაქმებაში, ან მიეცა შესაბამისი დახმარება დაზღვევის სახით. მათი კეთილდღეობის ამაღლება უნდა მომხდარიყო კეთილსინდისიერი შრომის საფუძველზე. კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო ასევე ქალთა და არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დაცვის ვალდებულება. ამასთან, დამქირავებლის მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევა სისხლის სამართლის წესითაც კი იდევნებოდა (მუხლი 127).

სოციალურ-ეკონომიკური უფლებებიდან აღსანიშნავია საკუთრების უფლების კონსტიტუციური რეგულირება. კონსტიტუციის 114– ე მუხლის მიხედვით საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის შეიძლებოდა და ისიც კანონით განსაზღვრული წესით. ქონების ჩამორთმევის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო სათანადო საფასურის გადახდა , თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებდა.[1]

დასკვნა

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციას ფაქტობრივად არ უმოქმედია, ძნელია დღევანდელი გადასახედიდან იმსჯელო გაამართლებდა თუ არა იგი. მიუხედავად ამისა, 1921 წლის კონსტიტუციის ნორმებით აღიარებული ძირითადი პრინციპები და მის მიერ მოწესრიგებული ურთიერთობების უმრავლესობა დღესაც აქტუალურია თანამედროვე კონსტიტუციური სამართლისათვის. ძალიან მნიშვნელოვანი იყო მასში ასახული ადამიანის ძირითადი უფლებები, რომელთა უმრავლესობაც საკმაოდ ჰუმანური და ლიბერალური იყო იმდროინდელი მსოფლიოსათვის, ეს კი თავისთავად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო დემოკრატიისაკენ.

ლიტერატურა:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, ბათუმი, 2009
2. ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011.
3. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003.

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.–კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებები გვ. 12

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

ონომასტიკური ეტიმოლოგიები ფრონეს ხეობიდან

ნათელა ბაციკაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი

თამარ გელაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ფრონეს ხეობაში დიალექტოლოგიური და ონომასტიკური მასალების ჩაწერისას, რაც გასული წლის ზაფხულში არდადეგების დროს განხორციელდა და შესაბამისი ინსტრუქციით ვხელმძღვანელობდით, ჩვენი ყურადღება მიიქცია ზოგიერთმა საკუთარმა სახელმა, რომლის ეტიმოლოგია ძირითადად ხალხურია, მაგრამ მასალების მოძიების შედეგად ვეცადეთ მათი ეტიმოლოგიის დადგენა.

ფრონეს ხეობის ზემო წელის სოფელ ახალშენიდან 2008 წლის აგრესიის შედეგად სოფელ მოხისი სამხრეთით და დაბა აგარის დასავლეთით გაშენდა დასახლება „ახალი სოფელი". ახლა აქ ცხოვრობენ მესხის გვარის რამდენიმე ოჯახი, იმ გვარის ადამიანები ცხოვრობდნენ აგარაშიც, ქვენატკოცაში და სხვა დასახლებულ პუნქტებში.

ინფორმატორებისაგან ჩავიწერეთ, რომ ახალშენი მდებარეობდა ფცის ფრონეს მარცხენა მხარეს, სადაც ცხოვრობდნენ მესხის გვარის ადამიანები და დავაფიქსირეთ ტოპონიმები „მესხიანთ ტბა", „მესხიაანთ ტყე", სახნავები, საძოვრები. ამჟამად სოფელი ახალშენი მდინარის მარჯვენა ნაპირზეა და იქ კიდევ ცხოვრობს ამ გვარის სამი ოჯახი.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზე ახალშენი მარცხენა მხარეს მდებარეობდა მაღლობზე, სადაც ასევე გაშენებული იყო მეზობელი სოფლები: არამგამა, ხუნდისუბანი, მთვარეული, ასევე წვრილი. სამ-ოთხ კომლიანი დასახლებები.

მდინარის მარჯვენა მხარეს კი, ნაყოფიერი ადგილები სახნავ-სათესად იყო გამოყენებული.

1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს" მიხედვით ახალშენი დიდი სოფელი ყოფილა, სადაც ცხოვრობდნენ: გოჩაშვილები, ჩუბინიშვილები, იობაშვილები, ხუციშვილები, ქიტიაშვილები, კვერნაძეები, ჯიბორაშვილები, ზუბიაშვილები, პაპუნაშვილები, შიოშვილები და სხვები. მათ შორის 4 ოჯახი მესხები.

მესხების აღმნიშვნელი ტერმინის პირველი ცდა ეკუთვნის ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც აღნიშნავს „ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად, არამედ ან ოძრხოს წილ, გურიის მთამდე, და არსიანისმთამდე, უწოდებდნენ სამცხეს, მცხეთოსისა და მცხეთის მორჩილებისათვის ამათ (ზემო ქართლი) ყოველთა კრებით ქვეყანასა სწერენ ძველის ღეოგრაფიასა შინა, უწინარეს მაკედონელისაცა, სახელსა მოსხი, ესე იგი არს მესხი, და მთასა დევაბოინისასა, ირიჯლუსას და თორთამოსას. მესხი. მესხის მთა. ამათ საჩინო არს, მცხეთოსისა და მცხეთისაგან ეწოდა სახელი ესე და არს ძველითვე ვითარცა იწოდა ბაგრატიონობასა შინა".

როგორც მეცნიერი აღნიშნავს „მეხი" ტერმინი ის აღნიშნავს უკავშირებს სახელწოდებას და მესხი და მოსხი მცხეთოსისა და მცხეთის სახელებიდან მომდინარეობს.

ნიკო მარი მიუთითებდა, რომ მოსოხო - მესხი ამ სახელის მეგრულ-ჭანური ფორმაა „მესხი". ქართული „მესხი" სვანურიდან უნდა იყოს ნასესხები. მითითებულ ეთნიკურ სახელწოდებებში მკვლევარს მასხ ამოსავალი ფორმიდან გამოჰყავდა აფხაზთა სატომო სახელი „აბახი", მის მიერ მესხ ფუძის ექვივალენტად მიჩნეული მეხ-იდან გამოჰყავდა ქართული ტერმინი სომეხი.

ივანე ჯავახიშვილის მესხი „ხი" დაბოლოებას ეროვნების აღმნიშვნელ სუფიქსად მიიჩნევდა.

თუშებს ლეკები მოსხოს უწოდებენ, რაზეც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „რაკი წოვა-თუშნი ჩაჩნების ან ნახუდოს ტომთა, ლეკები მათ, „მოსხოს" უწოდებენ, „ამიტომ ეს სახელი

„მოსოხი” ნახეჭოს ტომის სახელადაც გამოდის და ჩვეულებრივ კი ქართველი ტომის მესხები სახელად იხმარებოდა”.

როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს მოსოხთა ქვეყანას კედარი ეწოდებოდა, ხოლო იგივე სახელი კედარი ეწოდებოდა იმ მხარესაც, სადაც სარკინე - ქალაქი კასპი, ურბნისი და ოძრხე მდებარეობდა. ე. ი. მესხეთისა და შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილი.

ვახუშტისთვის ცნობილია ტოპონიმები ვუდარო, რომელიც ივანე ჯავახიშვილის აზრით კედარ ტოპონიმს უნდა უკავშირდებოდეს. წყაროები მოსხების ტომს რიონის ზემო წელზე ადასტურებს, ამ ტომის კვალი კი ნათლად იგრძნობა შიდა ქართლის ტოპონიმიაში. ინფორმატორები გვიდასტურებენ, რომ ისინი სწორედ (მესხი, მესხიძე, მესხიშვილი) რაჭიდან არიან წარმოშობით და ერთი გვარის არიან, ნათესავ-ბიძაშვილები.

დაბა აგარა მდებარეობს მდინარე ფცის ფრონეს მარჯვენა მხარეს: იგი ერთ-ერთი დიდი დასახლებული პუნქტია, სადაც ამჟამად ორასი გვარის ხალხი ცხოვრობს, სხვადასხვა ეროვნებისა. აგარა არ არის ისტორიული დაბა, იგი აქ შაქრის კომბინატის დაარსების შემდეგ გაჩნდა, როგორც დასახლებული პუნქტი, ხოლო მანამადე ეს სახელი მას, როგორც სახნავ-სათეს მამულებს ეწოდებოდა, რომელიც ძირითადად სოფელ ქვენატკოცას ეკუთვნოდა.

აგარა, აგარები (არისე ეს სოფელი აგარია სიახლოვეს) აგარანი, აგარაკი ქართლში გავრცელებული სახელია. აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით აგარაჲ და აგარაკი პარალელური სახელებია და ნიშნავს ყანას, სახნავ-სათეს მიწას.

სულხან-საბა განასხვავებს აგარასა და აგარაკს. აგარას შესახებ აღნიშნავს: „სადგური საზაფხულო“ (ორბელიანი 1965, 49). იგი კვლავ აღნიშნავს: „აგარაკ-ვაკე და მახლობელი ძირის ადგილი და გრილი“ (საბა, გვ 478). რაც შეეხება აგარაკს „იგი არის ადგილი, გინა სავენახე, გინა დაბა“. (გვ 42).

ივ. ჯავახიშვილი წერს: „მაინც ნათლად არაჩანს, რითი განსხვავდება აგარა სოფლისაგან და დაბისაგან. ვგონებ აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო საზაფხულო სადგური იყო ან სახნავ-სავენახე, რომელიც თუმცა სოფელსავით დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ოროლა იქნებ ყურის მგდებელი ყოფილოყო (ჯავახიშვილი, 1965).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აგარა თავდაპირველად იყო გეოგრაფიული ტერმინი, რომელიც სავენახე ადგილს, ან ცარიელ ადგილს აღნიშნავდა, ხოლო, როცა ხალხმა დასახლება დაიწყო, იქცა ტოპონიმად.

თანამედროვე ქართულში გამოკვეთილია აგარა და აგარაკი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში ნათქვამია: რომ იგი არის ძველი ქართულის კუთვნილება: აგარაკი არის ზაფხულობით საცხოვრებელი ადგილი ქალაქგარეთ.

აგარა უძველესი ქართული ლექსიკური ერთეულია და იგი ქართული სინამდვილიდან უნდა იყოს წარმოშობილი.

1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთარში” სოფელ თიღვაში მცხოვრები გვარებიდან დასახელებულია ამილბარაშვილები: ეს გვარი დღეს მხარეში აღარ გვხვდება, მაგრამ შერჩა ტოპონიმის სახელად ალიბარი. საკუთარი სახელი მიღებულია დიდი ოჯახის გვარის შედეგად, როცა რამდენიმე პირი საცხოვრებლად გადავიდა თიღვას, აღმოსავლეთით „კოჭლა ხევის” გაღმით და მათ ახალ დასახლებას დაერქვა „ალიბარი” ალიმბარაშვილებისაგან. სახელი მიღებულია გვარისაგან მეტათეზისი (ბგერათა გადასმა) საშუალებით.

აკაკი შანიძის დაკვირვებით ადამიანის ვინაობის გამოსახატავად გვაქვს ერთი იშვიათი სუფიქსი –არ რომლის საშუალებითაც რამდენიმე სიტყვა გვაქვს ნაწარმოები. ეს სიტყვები ძირითადად გვხვდება ეთნიკურ სახელებში: ოდიშარი, ოპიზარი, ოლიხარო, მტბევარი. როგორც მეცნიერი მიუთითებს - არ სუფიქსის ასახსნელად უნდა მეგრულ-ჭანურს მივმართოთ.

შესაძლებლად მიგვაჩნია ზემოთ ხსენებული სოფლის სახელი ალიბ-არი, მართლაც უკავშირდება მეგრულ-ჭანურ მხარეს, თუნდაც იმიტომ, რომ მხარეში მიგრაცია ძირითადად ხდებოდა ტაო-კლარჯეთიდან თურქეთის აგრესიის შედეგად და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები მიღებული გვაქვს არა მარტო ფრონეს ხეობაში, აგრეთვე შიდა ქართლის სხვა კუთხეებშიც, რაც მიგრანტთა მიერ არის დარქმეული და სახეზე გვაქვს სეხნია ტოპონიმები. ასევე უნდა ვიგულისხმოთ ხსენებულ სოფელზეც.

ხეობის ზემო წელზე მდებარეობს პატარა დასახლება ლაშე ან ლაშე ბალთა. ლეჩხუმურში აღნიშნავს ადგილს, სადაც მლაშე წყალი გამოდის. როგორც ინფორმატორთა გადმოწერით ჩავიწერეთ, ეს სიტყვა არა მარტო ადგილს, არამედ თვით მლაშე წყალსაც აღნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ლაშეს გვერდით ყოფილა ე.წ. სუნიანი წყალი, იგივე მლაშე წყალი. რომელსაც გერძა ან გერძა

წყარო ეწოდებოდა. ასეთ წყაროს აგრეთვე უწოდებენ სერი წყაროს. (ინფორმატორი სევასტი მაისურაძე).

სოფელი ხუნდისუბანი მდებარეობს ფცის ფრონეს მარცხენა მხარეს. აღმოსავლეთით ესაზღვრება ლებეურის მთა, რომელიც აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე და დასახლებულია, მის „აღწერაშიც". სოფლის აღმოსავლეთით ხსენებული მთის ასავალში ხევის ადგილს ჰქვია კაპანი – კაპანები, როგორც ინფორმატორი (ჟორა თხელიძე) განმარტავს ამ ადგილებში გავლა მხოლოდ შეიძლება რადგან ძნელად გადის კაცი, საქონელიც ერიდება.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „კაპან არის ავი სავალი." ქართული ენის განმარტება ლექსიკონში ნათქვამია, რომ „ეს არის ოღრო-ჩოღრო, ღორღიანი, ძნელად სავალი ადგილი".

ტატხტისძირი - ქარელის რაიონი სოფ. ტახტისძირი მდებარეობს მდინარე ფრონეს მარცხენა ნაპირზე, რომელიც სათავეს იღებს სოფ. წორბისიდან (კონფლიქტის ზონა).

ამ სოფელს „ტახტისძირი" ერთი ისტორიული ლეგენდიდან დაურქმევიათ. „თურმე თამარ მეფეს გამოუვლია თავისი ტახტით და ამალით, სერზე დიდი ქვა გდებულა, (გათლილი კლდის ქვა) იმ ქვაზე დაუსვენია და მის მერე დაერქვა ტახტისძირი.

იგი 400 ჰექტარისგან შედგება. მას ესაზღვრება აღმოსავლეთით ყელქცეული, დასავლეთით გვირგვინა, ჩრდილოეთით დვანი და სამხრეთით დირბი, სულ 150 კომლია.

ნიადაგი შავმიწა ნიადაგია და თირიანი.

აქ არის მინდვრები, რომლებსაც თავისი დამახასიათებელი და ხალხის მიერ შერქმეული სახელები აქვს. მაგ. ჩაკიდულა – 10 ჰექტარი, ძეძვიანა – 26 ჰექტარი, ღომელა – 20 ჰექტარი, კურკოვანი – 10 ჰექტარი, თეთრობიანი – 12 ჰექტარი, ნავენახარი – 3 ჰექტარი და სხვა.

გავრცელებული გვარებია: მინდიაშვილი, ბაციკაძე, კობერიძე, ციცქიშვილი, ტყემალაძე, მედოიძე, ჯაფიაშვილი, ჭავჭავაძე, ქოთუაშვილი, ახალკაცი, ბერძნიშვილი, ივანიშვილი და სხვა.

ყველა გვარს თითქმის თავის წარმოშობის ისტორია აქვს: მინდიაშვილების ნამდვილი გვარი გადმოცემით ღუდუშაური ყოფილა.

სოფელი ტახტისძირი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სარწმუნოების სიმტკიცით. სარწმუნოება მართლმადიდებლურია. ტაძარი პეტრე-პავლეს სახელობისაა. თავიდან იგი ფიცრულის ყოფილა, შემდეგ ქვითკირის, ხოლო 19-ე საუკუნეში განაახლეს, რომლის მშენებლობაში მონაწილეობდა ტახტისძირის მკვიდრი სოლო გრძელიშვილი. ტაძარი მოქმედი გახდა 1999 წლიდან, რომლის პირველი მოძღვარი მამა იოანე ოხანაშვილი გახლდათ.

2008 წლის აგვისტოს ომმა ამ სოფელს დიდი დაღი დაასვა. გაიქურდა და გადაიწვა სახლები. იგი ცხინვალიდან 7 კილომეტრშია.

ფრონეს ხეობის ონომასტიკური ეტიმოლოგიური შესწავლა ამოუწურავი თემაა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ ინფორმატორთა დახმარებით ამ ხეობის სოფლების სიღრმისეული მახასიათებელი ნიშნების შესწავლას. ზოგიერთი სოფლის შესახებ ცნობების მოპოვება ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან ის სოფლები კონფლიქტის ზონაშია.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება , თბ., 1973, გვ. 657, 658.
2. Марр. Н. История мермичел «Известия императорской Академий», IV, серия, III 1919 см 697.
3. ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია I, გვ. 393, მისივე საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ–ეთნოგრაფიული, პრობლემები, თბ., 1955, გვ. 10
4. აკ. შანიძე თხზულებანი II 1981 ვინაობის სუფიქსი არ ქართული ენაში, გვ. 22–96.
5. ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. IV, თბ., 1965.
6. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი. თბ., 1952 ტ. VIII გვ. 389

სოფელ უფლისციხის მცხოვრებთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება

თეონა ბერიანიძე, გიული ქისიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

უფლისციხე ერთ–ერთი უძველესი ციხე–ქალაქია საქართველოში. რომელიც ააშენა მცხეთოსის ძე უფლოსმა. მას საუკუნეთა მანძილზე არაერთი აოხრება განუცდია სპარსელების, მონღოლების, თურქების და სხვათა მტრებისაგან.

ვახუშტიმ თავის ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „აბურიანის ზევით არის უფლისციხე. კვერნაკის გადმოკიდბულის კლდის ზედა, მტკვრის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლის ძემან ქართლოისმან და იყო ქალაქი ჩინგისადმი, აწ არს შემუსვრილი, არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი, პალატნი დიდ–დიდნი, ქანდაკებულნი კლდისგანვე. გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდე დიდი, დასავლით აქუს ქარაფი მაღალი და მას შინა გამოკვეთილნი ქვაბნი მრავალი – დიდნი და სხვა.“ (ვახუშტი, ქართლი, 2, გეოგრაფი, გვ. 126)

1736-44 წლების ქართლის საკათალიკოსო ყმების დავთარში სოფელ უფლისციხეში მხოლოდ თორმეტი კომლია დაფიქსირებული. 1789 წელს აღწერის შედეგად მხოლოდ 7 მოხალისეა აღწერილი. ესენია: წიწიკაშვილი, პაპიაშვილი, ნაზარაშვილი, გალუსტაშვილი, ქარსიძე, გაბინაშვილი, ბერიკაშვილი. გამუდმებულმა ომებმა, ლეკიანობამ ერთ დროს აყვავებული მხარე უდაბნოდ აქცია. მოსახლეობა კი დაიკარგა, დაიხოცა და ტყვედ ჩავარდა.

ამჟამად უფლისციხე ადგილნაცვალია. მტკვრის მარცხენა სანაპიროდან მარჯვნივ არის გაშენებული და დიდი სოფელია, სადაც ორმოცი გვარის წარმომადგენელი სახლობს. მათ შორის მოვიხსენიებთ ზოგიერთს: წიწიკაშვილი, კურდღელაშვილი, გაბინაშვილი, გოგიაშვილი, მურჯიკნელი, ბუზალაძე, სვანიძე, თურმანიძე, მაჭავარიანი...

სოფლის მცხოვრებთა მეტყველების შესწავლა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ თვალსაჩინოდ არის დიალექტური მოვლენები იმიტომ, რომ აქ სახლობენ მთიულეთიდან, ქსნისა და არაგვის ხეობებიდან, იმერეთიდან, რაჭიდან, მესხეთიდან და სხვა ადგილებიდან ჩამოსულები, რომელთა მეტყველება მართალია უკვე ქართიზებულია, მაგრამ მაინც შეიმჩნევა დიალექტური სახესხვაობანბი.

<u>ბგერათა ჩართვა</u> ძირითადად ხდება სიტყვის შიგნთ, ასევე დასაწყისში, მაგალითად: მ– ზეცა მფარავს და მთვარეცა, მცხარე საჭმელები გამამდის., მძლავრი და სხვა. შიგნით – მეფემ ამ ციხის დანგრევა ინგლოვა. დასანჯა მტრები.

<u>ბგერათა დაკარგვა</u> - წარმოადგენს ჩართვის საპირისპირო მოვლენას, რომელიც უფროა გავრცელებული და იკარგვის ის ბგერები, რომლებიც ძირითადად სხვა შემთხვევაში ჩაერთვის: ხოლო მტკვარი არ შეცვლილა, ცხეთა და უფლისციხე ძ–მები არიან, თიდან აქ წყაროები მოდიოდა, ახლა კი დაშრა, ჩვენი წყემსი მაღლა ადის ხოლმე. იკარგვის ვ– ყვაილი, ამოარდა, იმან ათქმეინა

რ – დაბძანდი, ლუსმანი, ჩაიწერა

ზ – ლამაათა გააკეთა, კარგა არის გარდილი.

ასიმილაცია: განსაკუთრებით ხმოვნებს მოუდის. რეგრესულია მტკარს გეერიყა, ქორი დეეცემა, წიწილი წეეყვანა, კაუჩაზე ჩამოსკიდა...

ასიმილაცია გვხვდება სიტყვებში: თავაანთი, მენთის (მანეთი), უსათოოდ.

დისიმილაცია: პროგრესული, პირჯვალი, გუშინწილ, მინიმუნი გავაკეთე....

რეგრესული: დირექტორი, აი ეგ არის ამ მუზეიმისა.

სახელები – ბოლოთანხმოვნიანი სახელები სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილია ი ნიშნით: ეგენი მაგის დაი და ძმაი არიან, აქ აღარა დგას ხეი, აქ ტბაი აღარ არის.

ხშირად საკუთარი სახელი მოთხრობითი ბრუნვის გარეშე გვხვდება. ალბათ ამის მიზეზი ის არის, რომ ძველი გადმონაშთები ჯერ კიდევ არის, როცა ფუძის სახით გვხვდებოდა როგორც წერილობით ძეგლებში, ისე მეტყველებაში: აგერ მირიან მოვიდა, თამარ ქალი აქ არის.

ნათესაობით ბრუნვაში ის ფლემენტი ზოგჯერ ცვლილებას განიცდის, კერძოდ ს იკარგვის: არწივი ნერგი(ს) ხეზე იჯდა. რა ენაღვლება სუფრი (ს) თავში მჯდარიყო, სიმინდი(ს) პირზე ეძინა....

ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელი გავრცელებული ფორმით გვხვდება, როცა მას წინ უსწრებს საზღვრული: ეს ადგილი ყოფილა მეფის გიორგისა, გპატიჟობთ მახარობელი ვარ ოჯახისა, ასეთი წყობა ქართელისათვის არ არის უჩვეულო.

ი(ემფატიკური) შეიძლება შეგვხვდეს როგორც ფუძეხმოვნიანი, ისე ფუძეთანხმოვნიანი. მაგ., უფლისციხეში კიბით ადიან, ჩვენ საქონლითი ვცოვრობთ, ცხვრით ჯარი თავს ირჩენდა ერეკლე მეფის დროს. საქონელი ზევითი, მთაში ეყენათ.

სოფლის მეტყველებაში სალიტერატურო ქართულის მსგავსად, ძირითადად, თანდებულიანი მოქმედებითია (–იდან, –ითგან). ნაფიშვილი მოსულია ღვარებიდან, ტერუნაშვილი ზერტითგან იმ დღითგან ამ დღემდე მტერი არ გვასვენებდა. –კენ თანდებულის ბოლოკიდური თანხმოვანი იკარგება და მისი მიზეზი შეიძლება იყოს მთის კილოების გავლენა, როცა ფშავურში, ხევსურულში, გუდამაყრულში – კე სახით გვხვდება: ეგენი მთისკენ ხშირად დადიან დღეობაზე, წიკლაურიც მთისკენ მიდის ხოლმე.

ზმნა – უ და ვ ბგერების წინ ვ სიბიექტური პირის ნიშანი არ გვხვდება ძველ ქართულში და ხშირად კილოებში დაკარგულია. ჩანს, ეს ტენდენცია ქართულშიც დასტურდება. მე უთხარი წადი და შენ ეძებე მეთქი, მე მეუხურე და კარ არ გაუღე.

მომავალი დრო ზოგჯერ გადმოცემულია კავშირებითის მეორე ფორმით: მე ღვინო მოვიტანო, სტუმრები გავისტუმრო, ხილი უნდა ჩავაბარო საწყობშია.

ნარი ჩანს თურმეობით პირველსა და მეორეში: რო მენახა დამეტირნა კარქი იქნებოდა, ადრე მეგლოვნა, ორპირიანი გარდაუვალი ზმნები მეორე თურმეობითს აწარმოებენ მეშველი ზმნით იყოს დართვით: ცხორი ჰყოლიყოთ, ი მწყემსი გამოჰყარვიყო, სახში შვილი ჰყოლიყო ცუდადა.

ცნობილია, რომ საერთოდ აღმოსავლურ კილოებში შეიმჩნევა ზმნისწინისეული ხმოვნების გაერთფეროვნებისაკენ მისწრაფება. სოფლის მეტყველებაში ჩვეულებრივ გვხვდება შე, მაგალითად შეებრძოლა წყალსა. ე–ორი ოჯახი შეერთდნენ. მაგრამ მაინც გვხვდება შა ზმნისწინი: შაჭამა კაცი ამ ქალმა, ხარებს დაბლა შავაბამდი ხოლმე.

იცვლება ზმნისწინებიც:

წა – და ეგ ჩვენებური იყო მოჭიდავე და ყველა ძირს დააქცია

მო – შე ჩვენც ასე ვართ ყველა სოფელს თავის ლაპარაკი შესდგავს და სხვა.

ამ მიმართულებით მასალების ჩაწერას ვაგრძელებთ, განსაკუთრებით კი სინტაქსური მოვლენების, სიტყვათწარმოთქმისა და ტოპონიმების, რომელთაც შემდგომში წარმოვადგენთ.

ლიტერატურა:

1. გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I მეცნიერება, 1974.
2. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.
3. ვ. თოფურია, ქართლური, არილი, 1929.
4. არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკე, თბ., 1946.
5. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. I. 1950.

ძველი ქართული ანთროპონიმები

ლიკა ბერიძე, მერი ყულიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

მკვლევართა შორის არსებობს მოსაზრება, რომ გვარი ჩვენში მეშვიდე საუკუნეში გაჩნდა. დღევანდელი მოქმედი გვარების უმრავლესობა დაახლოებით XIV-XV საუკუნეებში წარმოიშობოდა, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის ძე, ისე სხვა მკვლევართა ნაწარმოებში ძირითადად პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები მოიხსენიებოდნენ. გვარებით ამ მხრივ ძვირფას მასალას იძლევა მოსახლეობის აღწერის დავთარი, რომელთაც გვარ-სახელების შესწავლასთან

ერთად ტოპონიმებთან და ეთნიკურ პროცესებთან დაკავშირებით ბევრი ბუნდოვანი საკითხის გადაჭრა შეუძლიათ.

ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი ცენტრალური რეგიონის - ქართლისა და მისი მომიჯნავე ხეობების როგორც ეთნიკური, ისე გვარ-სახელების ისტორია. ყველაფერი კი დაკავშირებულია მღელვარე მოვლენებთან – ომებთან, მიგრაცია-იმიგრაციასთან, ჩვენს ენასთან, რომელთა შესახებ ვეცადეთ ზოგიერთი მასალის მოპოვება ამ მიმართულებით.

შიდა ქართლის მოსახლეობის ერთი ნაწილის აღწერის დავთარი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთ ფილიალში (Hd, №61606 საბუთში). ეს არის დიდი ზომის თავფურცელი გრაგნილი, რომელიც ოცდაოთხ დასახლებულ პუნქტს მოიცავს, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის საგვარეულოების შესახებ. როგორც დავთარში მოხსენიებული პირების მიხედვით ჩანს, დავთარი შედგენილი უნდა იყოს XVIII საუკუნის 90-იან წლებში, მაშინ, როცა ჩატარდა სხვა ხეობების ქსნის, არაგვის აღწერა, სახელდობრ 1781 წელს.

ამ დროისათვის ფრონეს ხეობის სოფლებში, საღოლაშენსა და ბრეთში, სახლობდნენ თავადები: პეტრე, როსტომ, ზაალ, ზურაბ ფალიაშვილები, რომლებსაც დაახლოებით სამოცი ყმა-გლეხი ჰყავდათ. ავალიშვილი ერთ-ერთი ძველი გვარია საქართველოში. იოანე ბაგრატიონი თავის ნაშრომში, რომელიც ქართლ-კახეთის წარჩინებულ გვარებს ეხება, აღნიშნავს: „ესენი ძველად იყვნენ ციციანთა შორეულნი ნათესავნი, რომელთა ამათ წინაპართა ავალს ეწოდა. ესენი იყვნენ მოსახლენი ახალციხესა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობის მიზეზითა აყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთს. რომელიმე განვიდნენ კახეთს და არიან მენთაგან წოდებულნი ავალიანნი ქართლსა მოსალოდნელი და კახეთს მოსახლენი“. სხვა ცნობით ავალიანებს მამული და საცხოვრისი ბორჯომის სოფელ სადგურში ჰქონდათ.

1975 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით ავალიშვილები მკვიდრობდნენ ქვიშხეთში, წვერში, სურამში, ასევე კახეთში. ავალიშვილების ერთი შტო იმერეთის სოფლებში ვარძიასა და კიცხში ცხოვრობდა.

<u>ბურნაძე</u> 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით ფრონეს ხეობის სოფლებში თიღვასა და დვანში ცხოვრობდნენ აზნაური ბურნაძეები. აღსანიშნავია, რომ დღესაც არის შემორჩენილი თიღვაში ბერძენიაანთ ხევი. აღნიშნული გვარი ასევე მოხსენებულია ქართული სამართლის ძეგლებსა და დოკუმენტებში, რომელიც ნიკო ბერძენიშვილმა გამოსცა, სადაც აღნიშნულია ბურნაძეების მონაწილეობა ტყვის ყიდვაში.

<u>ამირეჯიბი</u> ეს გვარი ქართლის თავადთა შორის არის დასახელებული საისტორიო წყაროებში. ვახუშტი წერს: „ამათ ერთობათა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქეთ დაშორდნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი”. ეს გვარი არის პროფესიული ტიპისა, რომელთა შესახებ იოანე ბაგრატიონი აღნიშნავს: „ამირეჯიბნი არიან ესენიც ფალავანდთა გვარისანი, რომელთაც აქუთ მამულნიც ურთიერთსა შორის შერეულნი, გარნა ამირეჯიბობა გაუკვირდათ სახელისა გამო ვინაითგან ამირეჯიბი ნიშნავს საქმის მომხმარებელსა მეფისასა, რომელიც ნიშნავს (დაკლადჩიკს) ხოლო ესენიც არიან ახალციხიდანვე მოსრულნი ქართლში“. ზემო ამირეჯიბად და ქვემო ამირეჯიბად, ზემონი არიან დავითაშვილები, ხოლო ქვემონი ზაზაშვილები, პაპაშვილები. იოანე ბაგრატიონის აღწერით ამირეჯიბების აზნაურები ყოფილან: ბაქრაძე, მონავარდიშვილი, ბადრიაშვილი. ამირეჯიბების ყმა-მამული მდებარეობდა ატოცში, ხუნდისუბანში, ვახტანაში, თამარაშენში, თიღვაში, საღოლაშენში, ხეითში.

<u>ანიაშვილი</u> ეს გვარი ნაკლებად არის გავრცელებული იოანე ბატონიშვილის ცნობით. ისინი ელიოზიშვილების გვარიდან არიან გამოყოფილნი. ანიაშვილები ცხოვრობდნენ კირბალში, კარბში, კარბში. XVIII საუკუნის აღწერის დავთარში აღნიშნულია: „კირბლის მთავარი ეპისკოპოსის ყმა ანიაშვილი ზურაბ აზნაური“ (ი. ჯავახიშვილი, 1967). ამ გვარის ყმა-მამული ჰქონდათ ზემო რეხაში, ზერტში, კირბალში, ხუნდისუბანში, შინდარაში, თამარაშენში, ტინისხიდში, კნოლევში.

<u>ბადრიაშვილი</u> თავად ამირეჯიბების აზნაურები იყვნენ. ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომში „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ აღნიშნულია, რომ ბევრი ბადრიაშვილი ბუკამის მკვიდრია (1940, 349). 1715 წ. „რუისის საეპისკოპოსოს დავითის” მიხედვით აზნაურები: უსე, გივი, დათუნა, ოთარი, ბეჟან ბადიაშვილები ფრონეს ხეობის სოფელ ფლევში ცხოვრობდნენ. ამჟამად ბადრიაშვილთა 30 პირი ცხოვრობს გორში, თბილისში 90, გურჯაანში 190 კაცი (სილაგაძე, გვარ-სახელები საქართველოში).

<u>ბასილაშვილი</u> იოანე ბაგრატიონის მიხედვით ბასილაშვილებს თავდაპირველად ეძახდნენ ბასიანს და აქედან გამომდინარე წარმოსდგა მათი საგვარეულო სახელი. აზნაური ბასილაშვილები ცხოვრობდნენ ქვემო ნიქოზში, კარბში, ქვემო სობისში, ტყვიავში, ზეგარდაში. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სოფელ კარბის აღწერაში მოხსენიებულია „აზნაურიშვილი

ბასილაშვილი ნაზირი შერმაზან აღწერა. ქსნის ერისთავის აზნაური ბასილაშვილები მოხსენებულნი არიან 1814 წლის აღწერის დავთარში სოფელ ფლავში, ზედგარდაში.

ქსნის საერისთაოს აზნაური ბასილაშვილები მოხსენიებულნი არიან ასევე კასაში, რუისის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით ბასილაშვილები მერმაზან, საბა და ვარამი სოფელ იტრიაში ცხოვრობდნენ.

<u>**გაბრიელაშვილი**</u> 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით აზნაური გაბრიელაშვილები სოფელ დირბში ცხოვრობდნენ, ჰქონდათ დიდი მამულები და ჰყავდათ ყმები. ისინი თავად ციციშვილების ქვეშემდგომნი ყოფილან. დასადგენია ამ გვარის წარმომავლობა, შეიძლება ეს გვარი საკუთარი სახელიდან მომდინარეობდეს.

<u>**გამცემლიშვილი**</u> ისინი ციციშვილთა აზნაურები ყოფილან, რაც კარგად ჩანს 1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთრიდან". 1697 წლის წყალობის წიგნით იესე გამცემლიშვილი ქაიხოსრო ამირეჯიბის აზნაურიშვილია. ზემოხსენებული დავთრის მიხედვით, აზნაური ბეჟან გამცემლიშვილი სოფელ ცერონისში ცხოვრობდა.

<u>**სამარღანაშვილი**</u> თავად ფალავანდიშვილების აზნაურები იყვნენ. მეცხრამეტე საუკუნის დოკუმენტით სამარღანაშვილებს ყმა-მამულის მფლობელობა ჰქონდათ ატოცში. უფრო ადრე კი, 1715 წლის რუისის დავთრის მიხედვით, სეხნია სამარღანაშვილი სოფელ მდავში (ფცის ფრონე) მკვიდრდებოდა აზნაურის ტიტულით.

<u>**ფალავანდიშვილი**</u> ეს გვარი თავადების ტიტულს ფლობდა. ისინი იმერეთში თავად წერეთლების აზნაურები იყვნენ, რასაც ადასტურებს იოანე ბაგრატიონის ნაშრომი. იგივე ავტორი აღნიშნავს: „1184 წლიდან შემდგომად ამისა, 1600 რა დაიპყრეს საათაბაგო თურქთა, მაშინ მათგანი რომელიმე გათათრდნენ და დარჩნენ ახალციხეს, ხოლო სხვანი გარდმოვიდნენ და მათგან ლუარსაბს ებოძა მამული ძაღინას ხეობასა შინა და დაასახლა მუნ და ვინაითგან ძველათვე იყვნენ კეთილნი და მესამე ხარისხის თავადთა იხსენიებოდნენ, მეფემან ლუარსაბმა ისინი მიიღო მესამე თავადობისა ხარისხით, წელსა ქრისტეს აქეთ 1615-სა იწოდებიან ფალავანდიანად. აწ არიან მოსახლედ: გლახასშვილები, ზურაბასშვილები, როსტომასშვილები, ზაალისშვილები, ბერისშვილები.

„დასტურლამაში" მოხსენიებულია შოშია ფალავანდიშვილი, აქვე ჩანს, რომ თრიალეთში სოფელი ოლთისი მათი საკუთრება ყოფილა. 1680 წელს გიორგი ფალავანდიშვილს ქაიხოსრო წერეთელისათვის ნასყიდობის წიგნი მიუცია: „ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ ფალავანდიშვილმა გიორგიმ, შვილმა ჩემმა შოშია, თქვენ წერეთელს ბატონ ქაიხოსროს, დავტყვევდი ციხეშიდ, გამყიდეს, შემოგეხვეწეთ, დაგვიხსენით, ჩემის თავის სახსრად მოგეცით სარეკში სასახლე მისის მიწითა, ხატითა, ჯვრითა" (დოკუმენტები, 1940, 434). ამ ქვაზე ბევრი დოკუმენტური მასალაა, რასაც სამომავლოდ შესწავლა და პუბლიცირება სჭირდება.

ზემოხსენებულ დავთარში მოხსენიებული ზოგიერთი გვარსახელი გვხვდება 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში, სადაც ბევრი ისტორიული გვარია დასახელებული და მათ შესახებ აღნიშნული წყაროს გარდა სხვა დოკუმენტებიც მეტყველებენ.

დავთრის მიხედვით სოფელ თიღვაში სახლობდნენ წერეთლები, რომელთა შესახებ მოგვითხრობს ისევე უფრო ადრინდელი წყარო, კერძოდ, როსტომ მეფის (1639-1658) სიგელი, რომელიც 1648 წელს არის შედგენილი.

„მას ჟამსა ოდეს დადიანს ბატონს ლევანს თქვენი თავი აქ ჩვენთვის შემოებირებინა რომე ჩვენის გულისათვის შეინახეთო და მამული უბოძეთო, მოკითხულ ვქენით და ზემო ქართლი თქვენისავე ნათესავის სამკვიდრო მამული თიღვა შეგიწყალეთ და გიბოძეთ ყოვლითურთ, აზნაურიშვილებითა, ზვრითა, სახლით, სასაფლაოთი გიბედნიეროს ღმერთმა ... და სხვა". (ჯანაშიას სახ. სახ. მუხეუმის პალეოგრაფიული განყოფილება)

ჩანს, რომ წერეთელი ძველი გვარია და მათ უცხოვრიათ თიღვაში, ფრონეს ხეობაში უფრო დასავლეთით, საჩხერის ზონაში, სადაც როგორც აქეთ ქართლში, ისე იმერეთში თავადისა და აზნაურის ტიტულებს ფლობდნენ.

დავთრის მიხედვით გვარი ჟამერაშვილი ცხოვრობდა დვანის ფრონეს სოფელ ღვერთევში, შემდეგ მთელი გვარი მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გადასახდლა სოფელ ნულში და უფრო დაბლა ზონაშიც. თვით გვარი არის გეოგრაფიული წარმოშობის. როგორც გადმოცემა მოგვითხრობს ამ გვარის ხალხს უცხოვრიათ დვალეთში, კერძოდ კი მდინარე ფაწის ხეობაში, ადგილში, რომელსაც ჟამერა ეწოდება. ისინი გვარად სიმონიშვილები ყოფილან და ბატონის მოკვლის გამო იქაურობა დაუტოვებიათ და გვარად მიიღეს ჟამურადან ჟამირაშვილი, შემდეგ გვარმა ცვლილება განიცადა - ნაწილი ჟამერაშვილია, ნაწილი ჟამურაშვილი.

ლიტერატურა:
1. ბატონიშვილი ვახუშტი, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.
2. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
3. ბაგრატიონი იოანე, შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა: მასალა ისტორიისათვის, რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი, თბ., 1997.
4. „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან", ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX ს.ს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953.
5 თაყაიშვილი ე., მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907.
6. „რუისის საწმყოს დავთარი", 1715
7. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადეს დ. მეგრელაძემ და თ. ჯავახიშვილმა, I, 1967.

სოფელ მეჯვრისხევის გვარსახელები

ნინო მახათაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

სოფელი მდებარეობს შიდა ქართლში, გორის რაიონის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწლში. სოფელში ჩამოედინება მდინარე მეჯუდა,რომელიც მას ორ ნაწილად ჰყოფს – დიდ და პატარა მეჯვრისხევად. თვით მდინარე სათავეს იღებს ჟამურის მთების სამხრეთ კალთაზე და მდინარე დიდ ლიახვს უერთდება მარცხენა მხრიდან.

სოფლის სახელის წარმოშობას თვით სოფლის მცხოვრებნი უკავშირებენ მდინარე მეჯუდას. მათი გადმოცემით თავდაპირველად გაჩნდა სახელწოდება მეჯვდისხევი. ამის შესახებ ნიკო ბერძენიშვილი განმარტავს, რომ "ხეობის სახელი წარმოდგება პუნქტის სახელისაგან და ხეობის მდინარის სახელი შეიძლება სხვა საფუძველზე იყოს წარმოქმნილი". ისევ მისი განმარტებით: „რა არის ხევი? ტერიტორიის მიწა–წყალის სახელი თუ სოციალური ერთეულის სახელი? ქვეყანა უძველეს ძეგლებში ყანას, მიწას ნიშნავს, მოხევე ხევის წევრია, მოქვეყნე კი არ გვხვდება და არც შეიძლება რომ იყოს. ხევი სოციალური კოლექტივია, ქვეყანა კი მიწა–წყალია. მიგვაჩნია, რომ ხევი არის სოციალური კოლექტივი, მაშინ გამოდის, რომ ამ სოციალური კოლექტივის თავდაპირველი სახელწოდების გაგება დაკარგულია ტოპონიმში „მეჯვრისხევი".

მიგვაჩნია რომ სწორი უნდა იყოს ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრება ძველი სოციალური კოლექტივის ფორმაშეცვლილი სახლწოდების შესახებ: „ეს მდინარე არის მეჯვდა, გამოსდის ჟამურის მთასა, დის სამხრით დაბის მეჯვდამდე" ... (ვაუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ქართლი, 1895, გვ. 119)

მიგვაჩნია, რომ რადგან მეჯუდა ამ დასახლებულ პუნქტს ჩაუდის, სოფელსაც ამის იხედვით უნდა დარქმოდა სახელი: მეჯუდის ხევი. აქედან ფუძის კუმშვით მივიღეთ მეჯვდისხევი, სიტყვის ხელახალი გადააზრიანების გზით. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1745 წელს შექმნილ რუკაზე სოფელი მდინარის მარცხენა მხარეს არის დატანილი სათანადო საკულტო ნაგებობის ნიშნით, ეს კი შეიძლება დღევანდელი ძველი აწ განახლებული ნაგებობა უსანეთის ეკლესია იყოს. მდინარის მარჯვენა მხარეს დასახლება გვიან გაჩნდა და მასაც მეჯვრისხვი ჰქვია, იქ შემონახულია ქსნის ერისთავების სასახლე და სხვა დამხმარე ნაგებობები.

სიტყვაში შემონახული ჯვარ ფორმა გახდა მიზეზი იმისა, რომ სოფლის სახელწოდება ხალხური ეტიმოლოგიით გააზრებულიყო ან კიდევ სასულიერო პირი ჯვრით ხელში გასძღოლია ჯარს და მტერი დაუმარცხებიათ, რის შემდეგ სასულიერო პირს მეფისათვის მოუხსენებია „მე ჯვრით ხელში დავამარცხე მტერიო," ვითომ ასე დაერქვა „მეჯვრისხევი".

ისტორიკოსი ჯონდო გვასალია გამოთქვამს ვარაუდს, რომ სოფლის სახელოდება უნდა მომდინარეობდეს ზანურის საკუთარი სახელისგან „მაჯუდი".

ამ გეოგრაფიული სახელის შესახებ საყურადღებო შეხედულებები აქვთ გამოთმული აკაკი შანიძეს, ალ. ღლონტს, რომლებსაც ტოპონიმების განხილვის დროს შევეხებით.

ისე, როგორც, საერთოდ, ქართული გვარები, მეჯვრისხევის გვარებიც საწარმოქმნო_საშუალებად გარკვეულ სიტყვებსა და სუფიქსებს დაირთავენ. ამ სართებით (ანთროპონიმული ფორმანტებით) გაფორმებულ გვარებში პირველ რიგში ინდივიდის კომლისადმი კუთვნილება ან ინდივიდის სადაურობა –წარმომავლობა არის აღნიშნული.

–ძე და – შვილ სართიან გვარებში სართის (გვაროვნული სიტყვა–ფორმატის) წინმავალი ფუძე მამის ოფიციალური ან შერქმეული სახელია და წესისამებრ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას მოითხოვს : მერაბ–ის–შვილი, არეშის–ძე, თურმან–ის–ძე, გურგენ–ის–ძე, ილურ–ის–ძე, ზუმბულ–ის–ძე, მეგრელ–ის–შვილი, აბაზ–ის–ძე, როგორც ჩანს, –ს და –ის – ნიშანთა ცვლა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი აღმოჩნდება საყრდენი ფუძე: –ს ნიშანი იკარგვის ხმოვანფუძიან სახელებთან: აბაზაძე, ცეცხლაძე, ჯოხაძე, მელაძე.

ნათეაობითი ბრუნვის –ის ნიშანს ელემენტი (ოდენ ხმოვნით) შემოგვრჩება მაშინ, როცა გვარი თანხმოვანფუძიანია: ჩიტ–ი–შვილი ,მთიულ–ი–შვილი, ბეჟან–ი–შვილი, დალაქ–ი–შვილი, მექვაბ–ი–შვილი, მერაბ–ი–შვილი.

აღნიშნული საკითხი საკმაოდ შრომატევადი საქმეა, რომელსაც კვლავ დავუბრუნდებით.

მეჯვრისხევში დღეს ორას ოცი გვარია წარმოდგენილი, რომელთა დიდი უმრავლესობა მთიდან ბარშია ჩამოსახლებული და საინტერესოა მათი სტრუქტურა, ისტორია.

სოფელი მეჯვრისხევი და მეჯუდის ხეობა XVII-XVIII საუკუნეებში ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. 1774–1781 წლების „ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერაში“ სოფელი მეჯვრისხვის მოსახლეობა აღნუსხულია და ამ დროს ის დიდი დასახლებული პუნქტი ყოფილა. ზემოხსენებული მასალების მიხედვით ანთროპონიმები, –ელ სუფიქსით არიან გაფორმებული, რომელსაც გვარის ფუნქცია აქვს დაკისრებული. ტოპონიმები –ელ სუფიქსის დართვით მიღებულია ანოროპონიმული ტოპონიმები, რომლებიც მიეკუთვნებიან მფლობელობას, სადაურობას. მაგალითად: ბიყრელი, ბეგიასშვილი, ქოლოთელი გომია, სარაული იოსებ, ჭალის უბნელი ფსიტიძე ოთარა, ჭურთელი ბიჭიასშვილი ბერი, შველიეთელი შერმადინი გიორგი, ქარჩოხელი ხოკრისშვილი ვასილა და სხვა.

აღნიშნული „აღწერის“ მიხედვით და ადგილზე გამოვლენილი მასალებით XVII-XVIII საუკუნეებში მთიდან – ქოლოთ – ქვითკირის, ისროლისხევის, ჭურთის, ქსნის ხეობებიდან მეჯვრისხევში ჩამოსახლდნენ: ბიბილაშვილები, მერაბაშვილები, კეკელაშვილები, ბერიანიძეები, იარდალაშვილები, ეჯოშვილები, ხახუტაშვილები, ფიდიურები და სხვები.

სარაულები ცხოვრობდნენ გუდამაყრის სოფელ დუმაცხოში, რომლებიც აფციაურებს გამოეყვნენ (დედის სახელის სარაულიდან) და ჯერ ბელოთში ლეხურის ხეობაში დამკვიდრნენ, ნაწილი კი წავიდა გორის რაიონის სოფელ ახალსოფელში, ნაწილი კი სოფელ მეჯვრისხევში. ბენდერში ელიაურების წინაპრები ჩამოსახლდნენ ჭურთის ხეობის სოფელ მეწყერიდან და გვარად იყვნენ ილურიძეები.

ნაწილმა გვარად მიიღო ელიაური, ნაწილი კი ძველ გვარზე დარჩა. მათ თავიანთი ბიძაშვილები დღესაც კარგად იციან. ხახუტაშვილები სოფელში ჩამოსახლდნენ ხეობის ძველი ნაწილიდან. ძველი წარჩინებული გვარებიდან დავადგინეთ რამდენიმე, რომელთაც სოფელში უცხოვრიათ, მაგრამ დღეს გადაშენებულ გვარებს მიეკუთვნება. ესენია: ბაგრატიონი, ერისთავი, ბარათაშვილი, ციციშვილი, ორბელიანი, ამილახვარი, ჟურული, ჩიკოიძე, ყანჩაველი, ციმაკურიძე. აღნიშნულ გვარებს ჰქონდათ მამულები, საკუთრება, რომელთა შესახებ ასევე ცნობებია დასადგენი.

დღეს ასევე ამოწყვეტილ გვარებს მიეკუთვნება: ჩორჩოტაძე, ზაზუნაშვილი, კეტურაძე, ქენქაძე, ჟამურელი, პაატაძე, ქურდაძე, იაკობიძე, სამხარაძე, ქავთარაძე, ფერაძე, ქვრივიშვილი, დედაბრიშვილი, მებადური, მთიულიშვილი და სხვები.

ქართული სამართლის ძეგლები მეშვიდე ტომში (ისდორე დოლიძის გამოცემა, 1981) მოთავსებულია ფრაზა, რომელიც თარიღდება 1771 წლით და მასში ლაპარაკია ყმათა გადასახლებაზე. მასში ვკითხულობთ: „მე და ჩემი სახლკაცები რომ ვიყრებოდით ჩვენი კაცი ხომ სულ აიწერა და დავთარები თქვენა გაქვთ, ზოგნი აყრილნი კახეთს არიან , ზოგნი დაფანტულან“...

ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფეოდალურ ხანაში რა მძვინვარი და გაუსძლისი იყო სოფლის ყოფა, როცა მთელი სიმძიმე ყმა–გლეხობაზე გდადიოდა.

ჩვენი ვალია შევისწავლოთ და გამოვამზეურეთ გვართა თავგადასავალი, რომელიც ჩვენი ისტორიის ღირსმნიშვნელოვანი ნაწილია.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი ქართლი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, თბ., 1895.

2. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967.

ლაპიდარულ წარწერებში ფიქსირებული პირის საკუთარი სახელები

მარიამ ოქროპირიძე, ეველინა თარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ენათმეცნიერებაში სახელი და გვარი ორივე სახელია, ისინი არსებითი სახელებია. გვარსახელი წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს, რადგან ამ კომპოზიტში მოიაზრება ერთი ცნება, რომელიც წარმოადგენს კომპოზიტად ქცეულ სინტაგმას.

საკუთარი სახელები თითქმის ყველა ისტორიულ დოკუმენტში, წარწერებში, ხელნაწერებში გვხვდება. როგორც ჩანს გამოიყენებოდა ის ფორმა, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში იხმარებოდა სახელის ფორმაში შეიძლება მომხდარიყო როგორც ლინგვისტური (ფონეტიკური), ისე ექსტრალინგვისტური პროცესები. აქ ასევე გასათვალისწინებელია ამა თუ იმ დოკუმენტის შემქმნელის ან წარწერის ავტორის წარმომავლობა.

ზემო ქართლის წარწერების, დოკუმენტების პირის საკუთარი სახელები არის როგორც ქართული, ისე უცხოური წარმომავლობისა არქაული სახელების შემოსვლა ქართულ სინამდვილეში, ჩვენი აზრით, განაპირობა ქრისტიანობის გავრცელებამ. უკვე მეხუთე საუკუნიდან სპარსელების შემდგომ არაბების, თურქების ბატონობამ გამოიწვია სახელების გადასხაფერება. ძირითადად თავადაზნაურობა იყო ორიენტირებული უცხოურ საკუთარ სახელებზე.

პირის დაკონკრეტების მიზნით ანთროპონიმის მეორე წევრის გამოყენების ტრადიციას თანდათანობით ჩაეყარა საფუძველი. პირის სახელს ემატებოდა მამიშვილობის, პაპიშვილობის, საერო, სასულიერო, მოხელეობა-მოსაქმეობის ტერმინი, ზეწოდება, შესაძლებელი იყო მეტსახელი, სადაურობა და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ გვარსახელი, როგორც სოციალური ფენომენი, ქართველებს უკვე ჰქონდათ 12-13 საუკუნის წინ. პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის დასკვნით „გრიგოლ ხანძთელის ცხხოვრების" ერთ ეპიზოდში მოხსენებული გაბრიელ დაფანჩულის მეორე სახელი „დაფანჩული" საუკუნენახევრის მერე ჩანს, როგორც მემკვიდრეობითი სახელი: „ერქუა მას გაბრიელ დაფანჩული და აწ ნათესავთა მასთან ჰრქვან დაფანჩულნი" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, 1963).

რ. თოდიშვილის დასკვნით, ქართული გვარსახელები დასტურდება VIII–IX საუკუნეებიდან. ის ასკვნის, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" აღნიშნული ანთროპონიმი ბაჰლაუნდი არის გვარსახელი (რ. თოდიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, 1997). მთელ რიგ ძეგლებში დასტურდება წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვები ანთროპონიმების მეორე წევრად.

ანთროპონიმური ფორმულის მეორე, ზემოთხსენებული კომპონენტების გარდა ფუძეებში გეოგრაფიული სახელებია ჩაქსოვილი, მაწარმოებელია - ელ, რომელიც აღნიშნავს საგვარეულო წარმომავლობას, ასევე გეოგრაფიულ პუნქტს.

სოფელ ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძრის სამხრეთის ფასადზე ამოყვანილია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც X საუკუნით თარიღდება: „მიქაელ ეპიქსკოპოსმან აღვაშენე". ჯავის რაიონის მდინარე ფაწას ხეობაში სოხთის ეკლესიის საუკუნის ასომთავრული წარწერა: „შეიწყალე თევდორე კალატოზი, წმიდაო ეკლესიაო შეიწყალე ივანე კალატოზი". ამ ტერმინის შესახებ უნდა ავღნიშნოთ, რომ ისტორიულ წყაროში, რომელიც იოანე ბაგრატიონს აქვს შედგენილი სათაურით „აღწერა ქართველ თავადთა და აზნაურთა", აღნიშნულია: „ამათნი გვარნი რომელნიმე იტყვიან კავკასიის ძის შთამომავლობათაგან, გარნა ცნობილ არიან თვით მეფის დროს 1469 წელს. ვინაითგან ამათ წინაპართა იცოდნენ არხიტექტორობა და კალატოზობა, ამის გამო გაუგვარდათ კალატოზობა გვარად და არიან აწ მოსახლედ ქართლში რამდენიმე სახლად მდაბალ აზნაურებად". XVIII საუკუნის საბუთებში

კალატოზიშვილი ზოგჯერ კავკასიძედ იწოდება. 1797 წელს ხელს აწერს წვერელი კალატოზიშვილი კავკასიძე, ეს გვარი ასევე მოხსენებულია 1715 წელს რუისის ეპისკოპოსის დავთარში სამი ოჯახი სოფელ სამებაში ცხოვრობდა. სამება იგივე სოფელი წვერია.

სოფელ წრომის (სამების რაიონი) IX საუკუნის ასომთავრული წარწერაა: „წმინდაო ეკლესიაო სტეფანოზ გარბანელი შეიწყალე“. ლეხურის ხეობის სათავეში არმაზის ეკლესიის (Ად) 864 წლის ასოთმთავრული წარწერა: „მე გიორგიმ არმაზელმა მამასახლისმან დავიწყე წმინდაᲝ ეკლესიაᲝ გარბანელი სახელწოდებისა გიორგისა”.

ფლობელობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსიანი გვარები არაერთგზის არის აღნიშნული ზემო ქართლის ეკლესიის წარწერებში, ასევე მთელ რიგ დოკუმენტებში. ასეთი გვარები იქმნებოდა ფეოდალურ ან საეკლესიო რეზიდენციის, მამულის, ხეობის სახელწოდების მიხედვით. მაგალითად, ქსნის ხეობის წარჩინებული გვარები იყვნენ ყანჩელი, ძვენოფნეველი ქვენაფნაველი და სხვები. –ელ სუფიქსიანი სახელები, გარდა მფლობელობისა, სადაურობა-წარმომავლობის სტრუქტურული ერთეულებია. ასეთი აღნიშვნის აუცილებლობა გამოწვეული იყო სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიური, მიგრაციის მიზეზებით.

-ელ ბოლოსართიანი გვარები ძირითადად ორგვარი ვითარდების გამომხატველნი არიან. ისინი მიუთითებენ როგორც გეოგრაფიული პუნქტის მფლობელობას, პატრონობას, ასევე აღნიშნავენ პირის სადაურობა-წარმომავლობასაც. ასეთი ფუქნციის ანთროპოტოპნიმები გვხვდება მთელ რიგ დოკუმენტებში, წარწერებში. მაგალითად, ცნობილი ისტორიული რეგიონის ზემოქართლის ტბეთის, დოდოთის, ქვასათალის, თიხრევის, წორბის რეგიონები, რომლებიც ცხინვალის დასავლეთით ფრონის ხეობამდე ვრცელ ადგილებს მოიცავს.

აღნიშნული ასომთავრული წარწერები, რომლებიც საქართველოს იტორიის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია, მოიცავს X საუკუნის დასაწყისს, შუა წლებსა და შემდგომ ხანას. დოდოთის წარწერებში ჩანს ტბელთა (ტბელი) ორი თაობა, ასევე სამი თაობა ჩანს ტბეთისა და ბორცვისძირის წარეწრებში. აქ გვარსახლის მეორე კომპონენტად გამოყოფილია: ტბელი, თიხრეველი, ერისთავი. ფრონეს ხეობის ზემო წელი, რომელიც ტბელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, გამაგრებული იყო ძლიერი ციხეებით. აქ აღმოჩენილია მთელი რიგი არქეოლოგიური ნივთები. მათ შორის 880 წლის ასომთავრული წარწერები, რომელიც პირველად პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ წაიკითხა: „ესე კონქი შექმნა ივანე ერისთავმან სალოცველად მათ და ქრონიკონსა საბაის მამასახლისობასა.“ წარწერაში ჩანს ტბეთი, რომელიც 8 მოხსენებული რეგიონის დასახლებულ პუნქტებს მოიცავდა, რომელთა დიდი ნაწილი დღეს ნასოფლარია.

ანთროპონიმების პირველი ნაწილი საკუთარი სახელი ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. მათ სხვადასხვა წარმოშობა აქვთ და გავრცელებას სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა. მათი გაჩენა პრაქტიკულმა საჭიროებამ გახადა აუცილებელი. ერთი პიროვნება ასე უნდა გარჩეულიყო მეორისაგან. ერთად ცხოვრების, ერთადერთობის მოთხოვნამ სახელის შერქმევის აუცილებლობა გამოიწვია.

აღნიშნული ეპოქის ძეგლებში, წარწერებში ნათლად ჩანს ძველი ქართული ენის მონოლითურობა, დახვეწილი სტილი და ორთოგრაფია.

მოსახხენებლებში ვითხულობთ:

Ჯუარო ბოროტვისაო ადიდენ შვილნი მათნი ოქროპირ ტბელი და ქავთარ
მე გიორგი არმაზელმა დავიწყე ესე ეკლესიაᲝ
წმინდაო ეკლასიაო სტეფანოზ გაბრიელი შეიწყალე
ივანე ერისთავმან დავდე ესე ბალაჰვარი
ქრისტე ადიდე ოქროპირ ძე ტბელისაᲝ
ქრისტე ადიდე მიქელი
Ჯუარო ბოროტვისაო ადიდე აბაზაᲝ და ძენი მისნი
ივანე ქობულ
ქრისტე შეიყალე იოვანე და სხვა

ამ ეპოქის თითქმის ყველა ძეგლში საკუთარი სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, რაც იმ დროისათვის ნორმად ჩანს. აქ გადამწყვეტია – ზმნა, რომელიც მართავს სახელს ბრუნვაში და ეს ტრადიცია შემდგომი ხანის ძეგლებშიც არის შემორჩენილი.

მიგვაჩნია, რომ ამ მიმართებით საინტერესოა სხვა ძეგლების ენის შესწავლა, რომელიც საკმაოდ რთული და შრომატევადია, მაგრამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეა, რომელსაც მომავალში შევასრულებთ.

ლიტერატურა:
1. ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
2. ლ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.
3. ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, ცსთ, 2002.

მსაზღვრელის როლი ვასილ ბარნოვის პროზაში

ნათელა სომხიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი,** სრული პროფესორი

მწერლის ენის კვლევა ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ინტერესს იწვევს არა მარტო მწერლობის განვითარების პერიოდები, არამედ ცალკეული მწერალი თავისი გამორჩეული ინდივიდუალურობით. ამ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი ამა თუ იმ მწერლის მხატვრულ ნაწამოებთა ენობრივი ანალიზი და გარკვევა იმისა, თუ როგორ იყენებს იგი ლექსიკურ ფონდს ან ენის გრამატიკულ საშუალებებს; ამ გზით უკეთ აღიქმება მწერლისეული სამყარო და ამ მიზნით განვიხილავთ ვ. ბარნოვის შემოქმედებას და ყურადღებას ვამახვილებთ მსაზღვრელის როლზე მის პროზაში.

ვასილ ბარნოვს (1856-1934), ქართული ისტორიული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელს, გამორჩეული ადგილი უკავია ქართველ პროზაიკოსთა შორის. მდიდარი და მრავალფეროვანია მისი პროზის ენა და ამას არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს.

უნდა აღინიშნოს პროფესორ ელენე კოშორიძის დიდი დამსახურება ვასილ ბარნოვის ნაწარმოებთა ენის შესწავლის თვალსაზრისით. მან არაერთი გამოკვლევა უძღვნა მისი პროზის თავისებურებების შესწავლას, ამიტომ, ნაშრომზე მუშაობისას, მის კვლევებს დავეყრდენით.

ვასილ ბარნოვის პროზას განსაკუთრებით ამდიდრებს საგნის თუ მოვლენის მრავალმხრივი დახასიათება. ხშირად ერთ რომელიმე საზღვრულთან მრავალგვარი მსაზღვრელია შეხამებული, როგორც განსხვავებული, ისე - ერთგვარი შინაარსის გამომხატველი, რომლებიც სინონიმებივით ენაცვლებიან ერთმანეთს. მსაზღვრელ-საზღვრულთა მონაწილეობით მიღებულ სიტყვათშეთანხმებებს გარკვეული ლიტერატურულ-სტილური დანიშნულება აქვთ: მიაღწიოს მეტ ექსპრესიულობას, აჩვენოს ქართული ენის ხატო-ვანება და მოქნილობა, შექმნას განსაკუთრებით ლაკონული, ემოციური მუხტით დატვირთული ფრაზები. ალბათ ამიტომაც, მსაზღვრელ-საზღვრულთა მონაწილეობით მიღებული სიტყვათშეთანხმებანი ვ. ბარნოვის პროზაში სხვადასხვაგვარ მკაფიო, შთამბეჭდავ „მხატვრულ ხატებს“ ქმნიან.

მაგალითად: სიტყვა **„ადგილი”** ვასილ ბარნოვის მიხედვით შეიძლება იყოს მაგალითად: **მარჯვე** ან **მოხერხებული**: „სხვაგან არსად არის ესეთი **მარჯვე** ადგილი ურიცხვი მტრის შესაგუბებლად“ (5, 343), „**მოხერხებული** ადგილია“ (6, 409). **ნაბრძოლი** ან **ნაომარი**: „**ნაბრძოლ** ადგილას შავი რამ ზოლები დააჩნდა“ (2, 330); „ბინდმა რომ დაჰკრა, **ნაომარი** ადგილი რიყე იყო მკვდარ კაცთა“ (3, 305).**საძნელო** ან **სახიფათო**: „**საძნელო** ადგილები ჩაჰბარდებათ“ (3, 323), „მოშორდა **სახიფათო** ადგილს“ (7, 37). ადგილის მსაზღვრელებად გვხვდება აგრეთვე: **დაპყრობილი**, **დაცული, განსასვენებელი, წმიდა**: „დადიოდა ოსმალოსაგან **დაპყრობილ** ადგილებში“ (8, 197); „შიში არ მოელის ამ **დაცულ** ადგილს“ (2, 281); „მივა უვნებლად ადგილსა მას **განსასვენებელსა**“ (9, 342); „უბრძანა, გასცლოდნენ **წმიდა** ადგილს“ (4, 472).

ერთსა და იმავე საზღვრულთან გვხვდება როგორც სინონიმური, ისე ანტონიმური შინაარსის მსაზღვრელები. სინონიმური შინაარსისაა მაგალითად ,,გრძნობასთან“ შეწყობილი მსაზღვრელები: **განმახული** (მახვილი), **შეურყეველი, მკვეთრი**: „დედოფლის **განმახულ** გრძნობას არ გამოეპარა მთელი შეუფერებლობა შერყეულის წუთისა“ (1, 212); „ეს გრძნობა **მკვეთრი** მაინც წუთიერი იყო“ (2, 295); „იცნობდა... მის გრძნობას **შეურყეველს“** (2, 302); „**ნივთიერ** გრძნობებს განაცდევინებდნენ **ეშხიანს“** (2, 269). ხოლო ანტონიმური შინაარსისაა, მაგალითად: **აღგზნებული** და **მიმქრალი**: „ელვასავით მსწრაფლ **აღგზნებული** და მყისვე **მიმქრალი** გრძნობა შენიშნა“ (2, 296). ,,ხაზართა სასძლოში'' გრძნობის ეპითეტებად გვხვდება, აგრეთვე: „**პირადი** გრძნობა აღიგზნო“ (2, 271); „გაღვივდა **სარწმუნოებრივი**

გრძნობა“ (2, 262); „ვერ ჰფხვრიდა იგი რწმენა მის **საწყალ** გრძნობას“ (2, 268); **„უარყოფითი** გრძნობა აედევნა თან“ (2, 267).

ასევე მრავალ მსაზღვრელთან ქმნის წყვილს სიტყვა ,,თვალი''. მაგალითად, „ტრფობა წამებულის“ მიხედვით გვხვდება თვალი: „თვალნი **სხივოსანნი** ძირს დაეხარა“ (1, 87), „როგორ შეანათა ამ თქმაზედ **დიდრონნი** თვალნი, ცრემლთ საგუბარნი!“ (1, 138), „ვაჟკაცმა ხარბად მიაბყრო **მბდღვინავნი** თვალნი ქალის ღაწვებზედ გარდაფურჩქვნილ ვარდებს“ (1, 192), „აუხილე თვალნი **დამწუხულნი**“ (1, 34), „**გამჭვრეტი** თვალი ღრმად შემხედველი“ (1, 157), „ვაჟკაცმა ვეღარ მოსწყვიტა მას **ხარბი** თვალი“ (1, 211), „მისი **ჰაზრიანი** თვალი“ (1, 215), „**დასევდიანებული** თვალით რომ გაჰყურებს თავის წარსულს შორეულს“ (1, 222), „უნდა მიმოავლო **დაკვირვებული** თვალი“ (1, 238-239), „მხოლოდ მიმოავლო **უსიცოცხლო** თვალი თავის ამალას“ (1, 288). „ტრფობა წამებულში“ გვხვდება აგრეთვე **აღგზნებული** თვალი: „მტკიცე ნაბიჯით მიემართებოდა თებრონია, **აღგზნებული** თვალები ნათელჰყოფდნენ მის მღელვარებას“ (1, 275). ვ. ბარნოვის ნაწარმოებებში გვხვდება აგრეთვე „**ბოროტად აღგზნებული**“ და „**სათაყვანოდ აღგზნებული**“ თვალი. მაგალითად: „**ბოროტად აღგზნებული** თვალებიღა გამოსჩანდნენ ცეცხლის მფრქვეველნი“ (10, 224). შდრ.: **„თვალი** მიეგყრო შუშანისაკენ, **სათაყვანოდ აღგზნებული** თვალები“ (2, 267). გვხვდება, აგრეთვე, თვალი „**ბრწყინვალე“:** „ფეიქარ-ხან უკვე გეახლა. სწყურის, წარმოსდგეს **ბრწყინვალე თვალთ** წინ“ (3, 401); **გამჭვრეტი**: „მისანი დააკვირდა მბრძანებელს **გამჭვრეტი თვალით**“ (3, 319);

ზემოაღნიშნული ცხადჰყოფს, რომ მსაზღვრელთა მრავალეროვნება შემთხვევითი არაა ვასილ ბარნოვის ენაში, არამედ მისი მხატვრული ფანტაზიის და ენის სიმდიდრის დასტურია. განსაკუთრებული გამომსახველობით გამოირჩევა ზედსართავები და მიმღეობები, რომლებიც, როგორც მხატვრული ხერხი, ამა თუ იმ საგნის აღმნიშვნელი სახელის სამკაულადაა მიჩნეული. მწერლის ოსტატობა კი იმაში ვლინდება, რამდენად მოხერხებულად და ზომიერადაა შერჩეული ეს ,,სამკაული'', ხოლო საგანი - მრავალმხრივ დახასიათებული. ვ. ბარნოვის ენისათვის კი მდიდარი ლექსიკა და საგნის თუ მოვლენის მრავალმხრივი დახასიათებაა ნიშანდობლივი, რაც სინონიმთა გამოყენებითაც მიიღწევა. მწერალი კი სინონიმებს იყენებს როგორც საგნის დასახელებისას, ისე მისი დახასიათების დროსაც. მაგალითად, „ხაზართა სასძლოში“ გვხვდება „განძი **დაცული“** (2, 237), „განძი **დაფლული“** (2, 237) „განძი **დაკრძალული“** (2, 237);

როცა საზღვრულს ერთზე მეტი სინონიმური მსაზღვრელი ახლავს, მას უმეტესად შუა პოზიცია უკავია და მსაზღვრელს ორივე წყობით შეიხამებს. პოსტპოზიციური მსაზღვრელები დამაზუსტებლის, ამხსნელის როლში გვევლინება და ფრაზა უფრო რიტმულ-მუსიკალურ ელფერს იძენს:

„ფრთები შესხმოდა მის **ნივთიერ** არსებას უკვე შემძიმებულს“ (2, 244); „...ეწერა მისი იღბალი, მისთვის **უცნობი** ასოებით **გაურკვეველით“** (2, 299); „გაეღვიძნა... **მოქნილ** გონებას **მოხერხებულს“** (2, 303).

იმ შემთხვევაში, თუ მსაზღვრელი ორზე მეტია, შეიძლება ერთი პრეპოზიციური იყოს და ორი – პოსტპოზიციური, ან პირიქითაც. მაგალითად: „ვინ შეჰმართოს **განძვინებულ** ლომს **ფაფარაშლილს, თვალებ ცეცხლიანს**?“ (2, 350-351); „**უმნიშვნელო, უბრალო** რამ აჩრდილი ღირებულებას მთლად **მოკლებული“** (2, 350).

საინტერესოა ის შემთხვევებიც, როცა რამდენიმე სინონიმური მსაზღვრელის გამოყენების შემთხვევაში ერთი მათგანი ზმნით არის გათიშული და განკერძოებულის შთაბეჭდილებას ქმნის. ასეთი მსაზღვრელები, რა თქმა უნდა, მკითხველის შთამბეჭდილებას აძლიერებს და ფრაზას რიტმულობას სძენს: „**საშინელი** უფსკრული გაპობილიყო ბდუჩანის ფეხრთ ქვეშ, **შესაზარავი“** (2, 350), **„უთლელი** ლოდი მიაგორეს **უზარმაზარი“** (2, 331).

სინონიმური ზედსართავების მსგავსი მიჯრით ხმარება ვ. ბარნოვის სტილის არსებით ნიშანს წარმოადგენს. ამიტომაც ბუნებრივია მისი ენისათვის ორცნებიანი კომპოზიტები, რომელთა კომპონენტები სინონიმური შინაარსის ზედსართავები ან მიმღეობებია. ასე, მაგალითად: „აღარ იყო ეხლა დედოფალი **ამღვრეულ–აზეზილი“** (1, 290); „შენიშნა მაშინ ჟამთა დენით გამოცდილ–დაბრძნობილმა სახლთუხუცესმა“ (2, 296); „**უზომელ–უწონელი** სიტყვა არ უყვარდა“ (2, 249); „ბევრჯელ გამოვიდოდა წმიდა სავანიდან... გრძნობა **გამტკიცებულ–გაღრმავებული“** (2, 266). წარმოდგენილი მაგალითები ნათელყოფს, რომ სინონიმების საშუალებით ხდება ფრაზის შინაარსობრივი მხარის მხატვრულად გადმოცემა და ამასთან ემოციური ზემოქმედებაც გაძლიერებულია.

ანტონიმები. ,,...ანტონიმები, პირველ ყოვლისა, თვისების აღმნიშვნელ სიტყვებში გამოიყოფა'' (ჩიქობავა არნ. გვ. 190-191) მათი ფუნქცია დაპირისპირების გაღრმავებაა. ანტონიმები კონტრასტული სურათების დასახატავადაა გამოყენებული, რაც აძლიერებს მკითხველისა და მსმენელის შთაბეჭდილებას, წინადადებით გამოხატულ აზრს მეტ მკაფიოობას და ემოციურობას ანიჭებს (შალამბერიძე გ. გვ. 169).

ვ. ბარნოვი უხვად იყენებს ანტონიმურ ზედსართავებს. ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ: **კეთილი და პირშუქებული, ბოროტი და ჩაბნელებული**: „**კეთილი** დასაბამი მიელისთ **პირშუქებული“** (2,

334), „**ბოროტი** დასაბამი მიელის **ჩაბნელებული**“ (2, 334). აგრეთვე **წმინდა** და **უწმინდური**: „ქართველთ **წმიდა** სისხლი თუ შეჰრეოდა **უწმინდურ** სისხლსა იმათ მტრებისას“ (2, 330).

ვ. ბარნოვის ,,ტრფობა წამებულის“ მიხედვით ,,შავი დარდის“ საპირისპიროდ ცნობილია ,,თეთრი იგი სიხარული’’: „ჯადოსნური თვისებისა იყო **თეთრი იგი სიხარული**: სპეტაკ სითბოს აშუქებდა მთელ არსებაში, თეთრად ადნობდა თვით ნასახსაც **შავის დარდისა** გულის კუნჭულებშიც“ (1, 95).

საგულისხმოა, რომ ვ. ბარნოვს სწორედ ანტონიმური ზედსართავებით შემოაქვს თხრობაში ანტითეზისის სტილისტიკური ხერხი. სახელდობრ: „მე, დედოფალ გურანდუხტს, **შარავანდედმოსილ დედას** მთელს საქართველოსას, ქმარს მტაცებს ჩემსავე სასახლეში მოახლე **დამცირებული**, მხევალი **ზნეშეჩირქული**, დედათა შორის მიწამდინ **დამდაბლებული?!**“ (1, 228).

გამეორება. მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავის გამეორება მნიშვნელოვნად ზრდის მისი ექსპრესიულობის ხარისხს. განვიხილავთ გამეორების სხვადასხვა შემთხვევას:

ა) ერთმანეთის მიჯრით გამოყენებული ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები: „დაამკვიდროს მის ნანგრევებზედ **სჯული უსჯულო,** ბნელეთით მოვლინებული **წესდება უწესო**“ (1, 245); „წყალობა უყო **მეფემ მეფური**“ (1, 220), „... ბოროტად შეჰხედავდა **შუქურს შუქთამფენს**“ (1, 224),

ბ) ერთ წინადადებაში, ერთმანეთის მომდევნო წინადადებაში ან აბზაცში ზედსართავი მეორდება. ასეთ გამეორებას ,,გარკვეული ლოგიკური მახვილის ფუნქცია ეკისრება’’ (კიკნაძე გრ. გვ. 244). მაგალითად: **„თეთრ** ცხენზე იჯდა მეფე ლუარსაბ, **თეთრ** ხავერდში გამოწყობილი, თავსარქმელად **თეთრივ** ქუდი ალმასის ჯიღით დამშვენებული“ (3, 152).

მწერალი მსგავს გამეორებებს მიმართავს მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენის გაძლიერებისა და გამძაფრების, რთული ფსიქოლოგიური პასაჟების გადმოცემის მიზნით.

ინვერსია. მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელი რიგის მიხედვით პრეპოზიციური ან პოსტპოზიციურია. პრეპოზიციური მსაზღვრელი ცალკე, როგორი გამომსახველობითიც უნდა იყოს, საზღვრულთან ერთიან ცნებად აღიქმება და ყურადღება უფრო დასახელებულ საგანზე მახვილდება, ვიდრე ამ საგნის დამახასიათებელ პრეპოზიციურ მსაზღვრელზე. ამის გამო მსაზღვრელის სემანტიკა რამდენადმე იჩრდილება (აფრიდონიძე შ. გვ. 65). ინვერსია უმალვე გამოყოფს ფრაზიდან სიტყვებს, გამოთქმებს და მკითხველის ყურადღება მასზე გადააქვს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აზრების გადმოცემისას, წინადადების წევრები ინვერსიულადაა დალაგებული (ხინთიბიძე ა. გვ. 60-61).

საგნებისა და მათი მოქმედების აქცენტირება, გამოსახვის სხვა ხერხებთან ერთად, ინვერსიის საშუალებითაც ხორციელდება (ხინთიბიძე ა. გვ. 210), ამრიგად, ყურადღება ერთნაირად მახვილდება როგორც საზღვრულზე, ასევე მსაზღვრელზე. მაგ.: „ნუ მისპობთ **სიხარულს ერთადერთს!**“ (1, 189), „დასტიროდა მის აჩრდილს **ჭირისუფალი ერთადერთი**“ (1, 316), „გულწრფელად იხარებდა **ერი მრავალტანჯული**“ (1, 43).

პარაფრაზი. მწერლის ენაში განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ისეთი შემთხვევები, როდესაც იგი საგანს ჩვეულებრივი სახელწოდების ნაცვლად ხატოვანი დახასიათებით ასახელებს. გამოხატვის ეს ხერხი სამეცნიერო ლიტერატურაში **პარაფრაზის** სახელითაა ცნობილი. ამ მნიშვნელობით გვხვდება განმარტოებული მსაზღვრელები, ძირითადად, ზედსართავები და მიმღეობები, რომლებიც ქვემდებარის ან დამატების (ზოგჯერ სხვა წევრის) მნიშვნელობით გვევლინებიან და გარკვეულ ნიშან–თვისებაზე მიგვითითებენ. ამით თხრობის ექსპრესიულობა და ლაკონურობა მიიღწევა და თავიდანაა აცილებული ერთფეროვნება. მაგ.: „მაშ თავადობაც არ ეყოფა **გაზვიადებულს?!**“ (3, 203); „დაინდო იგი თვით **კაცთმოძულემ**“ (2, 226). „ვერა შეასმენინეს რა **უგრძნობელს**" (1, 162); „**ბოროტით** აღივსო სული ვაჟკაცისა გურანდუხტისადმი“ (1, 256).

მსაზღვრელი სიტყვების განკერძოება. კიდევ უფრო სრულყოფილად აღიქმება ზედსართავი სახელის მნიშვნელობა განკერძოების შემთხვევაში. ამდენად მეტი სემანტიკური მნიშვნელობა გააჩნიათ განკერძოებულ მსაზღვრელებს, რომელთა მეშვეობით იკვეთება სახასიათო ნიშანი: ზუსტდება და ივსება ჩვეულებრივი განსაზღვრებით თუ გარემოებით გადმოცემული აზრი. სწორედ ეს ანიჭებს განკერძოებულ მსაზღვრელებს განსაკუთრებულ გრძნობით ელფერს და ემოციურობით ტვირთავს მათ. განკერძოებული განსაზღვრების ნიმუშია: „ყოვლისფერი უნაკლულოდ მოზომილი, **მოაზრებული**!“ (3, 183) განკერძოებული გარემოების ნიმუშია: „ამაყად იდგა დედოფალი, **დიდ–მედიდურად**“ (1, 59).

მსაზღვრელ–საზღვრულის გათიშვა. ზედსართავი სახელის მნიშვნელობას განსაკუთრებით ამძაფრებს მსაზღვრელ–საზღვრულის ან ვითარების გარემოებისა და შემასმენლის გათიშვის შემთხვევები. რაც უმეტესად განსაკუთრებული გრძნობითი ელფერით დატვირთული პასაჟებისათვისაა დამახასიათებელი. მსაზღვრელ–საზღვრულის გათიშვის ნიმუშებია: „სიომ დაჰკრა მწვერვალებიდან **მაგრილებელმა**“ (1, 50), „**დარდს** მისცემოდა ბატონი **უნათებელსა**“ (1, 315), „**საგონებელს** მიეცა მძიმეს“ (3,

158). ვითარების გარემოებისა და შემასმენლის გათიშვითაა მიღებული შემდეგი ფრაზები: „**მოსპო** იგინი **უჭირველად** მტერმა ყველანი“ (3, 161), **„ბრძანა** არაგვის ერისთავმა **იმედიანად“** (3, 151).

სინტაქსური პარალელიზმი. შერწყმულ წინადადებაში ერთგვაროვან საზღვრულებს მსაზღვრელებად ახლავს შესაბამისი შინაარსის ზედსართავები, რაც ქმნის სინტაქსურ პარალელიზმს და მკითხველის თვალში აორმაგებს ეფექტურობას. მაგალითად, „ვაჟკაცს მტკიცედ ეჭირა ქალი მძლავრ მკლავებში, როგორც **სიცოცხლე უძვირფასესი, ვით ნეტარება მისთვის ხორცშესხმული**, როგორც **სიამე გამოუთქმელი“** (1, 258).ასევე სინტაქსურ პარალელიზმს ქმნიან განკერძოებული განსაზღვრებებიც, რომლებიც აზუსტებენ და ხატოვნად წარმოაჩენენ ერთგვაროვან წევრებს: „მოკამკამე ცასავით უძირო თვალთაგან ქალისა იხედებოდა იმ წამს მისი **გული მძლავრად ღელვილი,** მისი **არსება საამოდ განცვიფრებული“** (1, 57).

ხარისხის შინაარსის გამოხატვა. ზედსართავი სახელის მიერ გადმოცემულ შინაარსს ჩვეულებრივ აძლიერებს ხარისხის ფორმებიც, მაგრამ ვ. ბარნოვი იშვიათად იყენებს ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებს. მაგალითად: „დატკბი, **უტკბესო** გოლეულისა“ (1, 259). ამ შინაარსს მწერალი უმეტესად ლექსიკური საშუალებებით გამოხატავს. მაგალითად: „**მეტად ძვირფასი“** (4, 562), „**ძლიერ სწრაფად** განვლეს გრძელი გზა“ (2, 278).

გვხვდება ზედსართავები, რომელთაც **ვით** თანდებულიანი არსებითი სახელები ეხამება. მაგალითად: „სასტიკი წამლობა იცოდა **ნაღველასავით მწარე, ცეცხლივით მწველი**, **სამართებელივით ბასრი**, გამკვეთი.“ (1, 310). ამგვარ სიტყვათ შეხამებებს სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსებით შედარებას უწოდებენ და სწორედ ეს ფორმები ასრულებენ ხარისხის ფორმათა ფუნქციას.

ბარნოვის ენაში ხშირად გვხვდება ისეთი მიმართებითი ზედსართავები, რომლებიც თავად ავტორის მიერაა შეთხზული. მართალია, მათ არ ეწარმოებათ ხარისხის ფორმები, მათი სიახლე განაპირობებს მათ ექსპრესიულობას. ასეთი ზედსართავების უმრავლესობაში მისი მეორე კომპონენტი ვნებითი გვარის მიმღეობაა. მაგალითად: „**პატრონმოშლილი“** (1, 145), „**ფიქრგამჭვირვალი“** (1, 277).

ზედსართავთა ლექსიკური შერჩევა. ზედსართავი სახელის ექსპრესიულობას განაპირობებს ისიც, თუ რომელ სიტყვას უხამებს მას მწერალი. დიდია იმ ზედსართავების მხატვრული ეფექტი, რომლებიც განყენებულ, აბსტრაქტულ სახელებთან ქმნიან წყვილს, მაგალითად: „**სიბოროტე თვალცეცხლიანი“** (2, 319), „**ლაგამწაყრილ სიბოროტესა“** (2, 345), ხატოვანია აგრეთვე: „**უმზეო სურვილი“** (2, 266). სწორედ ამ ფრაზების წაკითხვის შემდეგ ებადება მკითხველს სურვილი მწერლის თვალით შეხედოს და აღიქვას სამყარო.

ჩვეულებრივ, შინაარსის მიხედვით ნათელი ფერები კეთილის საწყისია, ბნელი კი – ბოროტების, სიკვდილის. მაგალითად, ,,ტრფობა წამებულის'' მიხედვით ცნობილია: „**თეთრი სიხარული“** (1, 94), **„ფრთათეთრი ნატვრა“** (1, 114), „**ვარდისფერის სიამისა“** (1,195), ასევე - „**ქუფრი ლანდები“** (3, 130)**, „შავნი აჩრდილნი“** (3, 204).

ზოგჯერ ერთი და იგივე ფერი შეიძლება იყოს როგორც კეთილის, ისე ბოროტის საწყისიც. მაგალითად: ერთი მხრივ, გვაქვს: **თეთრი ხელმწიფე, თეთრი კეისარი** (3, 148) (თეთრი–ბოროტი), ხოლო, მეორე მხრივ: „ესროდნენ ერთურთს მიმავალნი ფრასებს **თეთრს თუ შავს“** (3, 156), სადაც თეთრი ფერი კეთილი, შავის ანტონიმია.

განსაკუთრებულ ექსპრესიულობას იძენს ზედსართავი სახელი მაშინ, როდესაც იგი უსულო სახელებს ეხამება და სულიერი სახელის თვისების აღმნიშვნელია. გაპიროვნების ხერხი განსაზღვრავს მის ხატოვანებას. მაგ.: „მხოლოდ ახმობდნენ **გულგაფიტულ ფოთოლს თუ მდელოს“** (3, 165), „მინელდა **დაღლილ მდინარეთა** მაღალი ხმები“ (3, 131),

ზედსართავი სახელის ხმარება გარკვეული კოლორიტის შემოსატანად. ზოგჯერ მწერლის მიერ შერჩეულ ზედსართავს ნაწარმოებში აღწერილი სიტუაცია განაპირობებს: ფორმის, საზღვრულთან შეხამების თუ ლექსიკური თვლასაზრისით. მსაზღვრელის მნიშვნელობით გამოყენებულ ზედსართავს ძირითადად გარკვეული კოლორიტის შექმნა დაჰკისრებია; ასე, მაგალითად, გარდასულ ეპოქათა გასაცოცხლებლადაა ნახმარი: კეთილი ესე სახიერი, აღმსარებელი, მოწამებრივი... და სიტყვათა ინვერსიული რიგი შემდეგ წინადადებებში: „**კეთილად დაიფარე დედაკაცი** ესე“ (1, 272).

ცხადია, ზედსართავი სახელი ერთ–ერთი კომპონენტია იმ მრავალსახოვან საშუალებათა შორის, რომელთაც მიმართავს მწერალი ეპოქის ან სხვაგვარი კოლორიტის შესაქმნელად და ამ მეტყველების ნაწილის ექსპრესიულობა სხვადასხვაგვარად ვლინდება სხვადასხვა მწერლის ენაში. სწორედ ამ თვალსაზრისით გახდა იგი ჩვენთვის საინტერესო და შევეცადეთ, ცნობილ ქართველ მეცნიერთა კველვებზე დაყრდნობით, გვეჩვენებინა ვ. ბარნოვის პროზის ენის თავისებურება და მრავალფეროვნება.

ლიტერატურა:
1. ვ. ბარნოვი, ,,ტრფობა წამებული“, სერია „ქართული საბჭოთა რომანი“, თბ., 1986.
2. ვ. ბარნოვი, ,,ხაზართა სასძლო'', თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 6, თბ., 1962.
3. ვ. ბარნოვი, ,,გიორგი სააკაძე'', თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 7, 1962.
4. ვ. ბარნოვი, ,,არმაზის მსხვრევა'', თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 7, თბ., 1962.
5. ვ. ბარნოვი, ,,ისნის ცისკარი'', თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 1, თბ., 1961.
6. ვ. ბარნოვი, ,,თებერას დანიშნული'', თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 2, თბ., 1961.
7. ვ. ბარნოვი, ,,სესე'', თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 1, თბ., 1961.
8. ვ. ბარნოვი, ,,სახიფათო სიყვარული'', თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 2, თბ., 1961.
9. ვ. ბარნოვი, ,,მსახური ეკლესიისა'', თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 2, თბ., 1961.
10. ვ. ბარნოვი, ,,მაგნოლია'', თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 6, თბ., 1962.
11. ე. კოშორიძე, ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით, 1966.
12. შ. აფრიდონიძე, ინვერსიის სტილისტური დანიშნულებისათვის, თსუ შრომები, B4 (143), 1971.
13. თ. კვაჭანტირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბ., 1978.
14. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.
15. ალ. ღლონტი, ხალხურ პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1975.
16. გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966;.
17. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1950.
18. ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971.
19. ზ. ჭუმბურიძე, ანაფორა, სინონიმიკა, პოემა ,,ბახტრიონი'', თბ., 1972.
20. ა. ხინთიბიძე, ინვერსია, პოემა ,,ბახტრიონი'', თბ., 1972.

ვაჟა-ფშაველას პერსონაჟთა მეტყველება

ხატია ტეტუნაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე,** სრული პროფესორი

მხატვრულ ნაწარმოებში ხშირად გვხვდება კილოური ფორმები და ლექსიკა. მწერლები კილოურ ფორმებსა და ლექსიკას, საზოგადოდ, ადგილობრივი კოლორიტის დასაცავად და ემოციური ზემოქმედების გასაძლიერებლად მიმართვენ.

დიალექტი ენის თვითმყოფადობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა. ამავე დროს ის სალიტერატურო ენის გამდიდრების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმები ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება, თუმცა იშვიათად მწერლისეულ ენასაც ახასიათებს (გიორგაძე, 2011, გვ. 16).

მწერალი თავის ნაწარმოებში, ჩვეულებრივ, იმ კილოს, ლექსიკასა და ფორმებს იყენებს, რომელიც მისთვის ახლობელია და კარგად ნაცნობი, ე.ი. რომელი დიალექტური კილექტივიდანაც თვითონ არის გამოსული. ამ მიზნით არის გამოყენებული ფშაური დიალექტი ვაჟა-ფშაველას პოემების პერსონაჟთა მეტყველებაში.

ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები ისე მეტყველებენ, როგორც ფშავში მცხოვრები ადამიანები. ვაჟა დაიბადა 1861 წელს ფშავის სოფელ ჩარგალში და შესაბამისად თითქმის მთელი მისი შემოქმედება ფშაურ კილოზეა დაწერილი. ასევე აღსანიშნავია, რომ მან თავისი პოემების პერსონაჟები ხევსურულადაც აამეტყველა, რაც ფშავისა და ხევსურეთის მოსაზღვრეობითა და ურთიერთგავლენით შესაძლებელია აიხსნას.

ფშავს ესაზღვრება ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას აღმოსავლეთით ჰყოფს თუშეთისაგან და ჩრდილოეთით კი პირიქითი ხევსურეთისაგან. დასავლეთით საზღვრავს პირაქეთი ხევსურეთი და გუდამაყარ-მთიულეთი, სამხრეთით დუშეთის რაიონი (მაკალათია, 1934, გვ. 5).

ვაჟა-ფშაველა ამბობს: ,,ენა სახეა მწერლისა... მწერლის სულია, ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი ,,მე“... მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები... მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურებისა უნდა ესვას“ (ვაჟა-ფშაველა, 1995, გვ. 340).

მე შევეცადე ჩემს მოხსენებაში შეძლებისდაგვარად მეჩვენებინა ვაჟა-ფშაველას პოემების პერსონაჟთა მეტყველებაში წარმოდგენილი ფშაური დიალექტის თავისებურებანი.

ფონეტიკური ხასიათის მოვლენებიდან ყურადღებას იქცევს ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერათა დაკარგვისა და განვითარების, შერწყმისა და მონაცვლეობის ისეთი შემთხვევები, რომლებიც დამახასიათებელია ფშაურისა და, საერთოდ, ქართული ენის აღმოსავლეთის კილოებისათვის.

ძირითადი ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვნის დასუსტება და დაკარგვა ,,და“ კავშირის ენკლიტიკის დროს: ,,გულზედ ემჩნივა ნიშანი მე-**დ** იმის ბრძოლის წამისა“ (ვაჟა, 1985, გვ. 23).

ეე - აე სრული რეგრესული ასიმილაციით თავკიდურა პოზიციაში იქნება: ,,თანაც იტყვია გოგოთურს ჯანით ვერ **შაედრებაო**“ (შეედრება - შაედრება) (ვაჟა, გვ. 5).

ოუ - აუ სრული რეგრესული ასიმილაციაა თავკიდურა პოზიციაში: ,,არა ჰზოგავენ დედილამ, ვინც კი **მაუათ** თვალითა“ (მოუვათ - მაუათ) (ვაჟა, 1985, გვ. 9).

ვაჟა-ფშაველას პოემებში ვხვდებით ეი-აი; ეა-ია კომპლექსებში დისიმილაციის შემთხვევებსაც: ,,ნუ მაგვიანებ ფშაველო ჩქარა **შაიხსენ** ხმალია“ (შეიხსენ - შაიხსენ) (ვაჟა, 1985, გვ. 19).

თანხმოვნის მომდევნო **ო** შეიცვლება **ვა**-დ, **ო** უკიდურესად ვიწროვდება და კბილბაგისმიერ **ვ**-ში გადადის, ხმოვანი იცვლება თანხმოვნით (ცოცანიძე, 1978,გვ.29) და იქნება: ,,ნეკით **გასტყვარცნის** აფშანა“(გასტყორცნის - გასტყვარცნის) (ვაჟა, 1985, გვ. 7). აღნიშნული მოვლენა პირიქითაც შესაძლებელია შემობრუნდეს და **ვა** შეიცვალოს **ო**-დ და იქნება: ,,ახლად **ყოოდენ** იანი“(ყვაოდნენ-ყოოდენ) (ვაჟა, 1985, გვ. 6). აქ ადგილი აქვს ორი ფონეტიკური წესის ურთიერთ დამთხვევას: ლაბიალურ **ო**-სა და მომდევნო ნებისმიერ ხმოვანს შორის **ვ** იკარგება, ოღონდ სანამ დაიკარგებოდეს, იგი ქმნის პოზიციას, სადაც უნდა მოხდეს **ვა** კომპლექსის **ო**-დ რეალიზაცია, სიტყვაში ყვავილი **ვ**-**ყ**-ს შორის **ვა** იქცევა **ო**-დ, ხოლო შემდეგ ამ მეორეულ **ო**-სა და მომდევნო ხმოვანს შორის **ვ** იკარგვის (ცოცანიძე, 1978, გვ. 31). ეს მოვლენა ფშაური კილოსათვის არის დამახასიათებელი და ვაჟა-ფშაველას თხზულებებშიც ხშირად შეინიშნება. ფშაურ დიალექტში ჩვეულებრივია სონანტთა დაკარგვა: ,,ფშავით **მოიდეს** ლაშქარი, ჩემი ერთგული ერიო“ (ვაჟა, გვ. 38). ამ შემთხვევაში დაკარგულია ვ ბგერა (მო**ვ**იდეს - მოიდეს). უფრო ხშირად სიტყვაში იკარგვის ბოლოკიდური ბგერა: ,,გოგოთურ რკინის გული **აქვ**“ (ვაჟა, 1985, გვ. 4). დაკარგულია ბოლო კიდური **ს** ბგერა (აქვ**ს** - აქვ).

მორფოლოგიიდან აღსანიშნავია სახელთა ბრუნება. სახელობითი და მოთხრობოთი ბრუნვის **-ი** და **-მა** ნიშნები შესაძლოა სრული სახით იყოს წარმოდგენილი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან ,,ცხენიც მე მყვანდეს **ლურჯაი**“ (ლურჯა) და შეიკვეცოს თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები: ,,ამბობენ **ბლოელ** აფშინა მინდოდაურის გვარისა“ (ბლოელ**ი**-ბლოელ) (ვაჟა, 1985, გვ. 5).

მიცემითი ბრუნვის ნიშანი თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია: ,,ომში **სიკვდილს** ჰგავ გოგოთურ“ (ვაჟა, 1985, გვ. 7).

უთანდებულო მიცემითი ხშირად გვხვდება ადგილისა და დროის გარემოების ფუნქციით: ,,**ზაფხულს** თოფის ხმა აყრუებს, **ზამთარს** ჩამუდის ზვავია“(ზამთარ**ში**-ზამთარ**ს**) (ვაჟა, 1985, გვ. 27).

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის **-ის** და **-ით** ნიშნები ვერ კვეცენ **ა** ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს და არც თვითონ რედუცირდებიან: ,,ამბობენ, **აფშინაის** ცხენს ტანი სრულ ვერცხლით ეფარა“(აფშინ**ა**-**ის**) (ვაჟა, 1985, გვ. 8).

მავრცობ (ემფატიკურ) ხმოვნად ნათესაობითსა და მოქმედებითს მოუდის სავრცობი **-ა**: ,,ჭერხო აავსო **უნჯითა**, როგორც სალარო ხანისა“(უნჯით-**ა**; ხანის-**ა**) (ვაჟა, 1985, გვ. 14). შესაძლოა შეგვხვდეს **-ი** სავრცობი, ზოგჯერ **-თ** სუფიქსიან მრავლობითთანაც: ,,ვთქვათ, სიბრალული კარგია ხე-ქვა-**ბალახთი**, **ცხოველთი**“(ბალახთ-**ი**; ცხოველთ-**ი**) (ჯორბენაძე, 1989, გვ. 241)

დრო-ჟამის აღმნიშვნელ სახელებთან უთანდებულო ვითარებითი გარემოებას გამოხატავს: ,,მეფევ ვერ გავძლებ **ბარადა**“(ბარ**ში**-ბარ**ადა**) (ვაჟა, 1985, გვ. 8).

,,**-ში**'' თანდებული ფშაუში ხშირად წარმოდგენილია, როგორც ,,**-ჩი**''. ეს მოვლენა ვაჟა-ფშაველასაც ხშირად აქვს გამოყენებული: ,,მე **კარჩი** ვეღარ გამუალ“(კარ**ში**-კარ**ჩი**) (ვაჟა, 1985, გვ. 43).

სახელთა მრავლობითი რიცხვი ძირითადად **-ებ** სუფიქსიით იწარმოება. გამოიყენება **-ნ** //**-თ** სუფიქსებიც, უპირატესად მაშინ, როცა იწარმოება ოჯახის, შტოგვარის სახელები: ,,შვიდი წლისა მამაჩემმა **დიდყურაანთ** დამიყენა მოჯანაგირედ“(დიდყურა**ანთ**) (ვაჟა, 1990, გვ. 146).

ერთმანეთის პარალელურად იხმარება **-ნ** //**-თ** და **ებ**-იანი მრავლობითი: ,,მოგროვილიყვნენ ხახმატსა **ხევსურთ ვაჟები ხმლიანნი**“(ხევსურ-**თ**, ვაჟ-**ებ**-ი, ხმლიან-**ნ**-ი) (ვაჟა, 1985, გვ. 29).

ვაჟა-ფშაველას პერსონაჟთა მეტყველებაში ,,**გინდა**“ ზმნა ნაირსახეობით აქვს წარმოდგენილი: შემოკლებით ,,იარაღნ მამცენ,ფშაველო, რად **გი**, არ იცი ხმარება“(გინდა-გი) (ვაჟა, 1985, გვ. 10); ,,**-რის**” სუფიქსის დართვით: ,,რაად **გინდარის** ვერცხლი ნადები ქევრშია“(გინდა+**რის**). ასევე **-ნ** სუფიქსის დართვითაა გამოყენებული I პირში: ,,მე შენ იარაღნ რად **მინდან**“(ვაჟა, 1985, გვ. 23).

ზმნისწინი ,,**მა-**” ,,**მე**” სახით არის წარმოდგენილი: ,,**მააქევქევებს** ლურჯასა, ნალნი რიყეზე წივიან“; ,,ნიადაგ **გამეელევა**“(ვაჟა, 1985, გვ. 20).

,,**შა-**” ზმნისწინის ძირითადი ვარიანტია ,,**შე-**„ ის პრეფიქსეული **ე**-ს წინა პოზიციაშია: ,,ვია, **შაგირცხვეს** კაცობა“(ვაჟა, 1985, გვ. 69).

ძალიან პროდუქტულია ფშაურში სახელთა წარმოება **-ა** სუფიქსით. ერთ შემთხვევაში კნინობით სახელებს აწარმოებს; ,,პირშია სამნი **კბილანი** სჩრიანო“(კბილ**ა**ნი) (ვაჟა, 1985, გვ. 39), მეორე შემთხვევაში ეს ფუნქცია თითქოს არ ჩანს და ხდება ზედსართავ სახელთა ერთგვარი ნომენაცია (ცოცანიძე, 1978, გვ. 85-86): ,,იმ წბილასავით **წვრილამა** გულში დამინთო ალიო“(წვრილ**ა**მა).

,,**რაკი**“ არის ,,**განა**“ კითხვითი ნაწილაკ-მორფემოიდის სემანტიკური ეკვივალენტი: ,,**რაკი** არ უნდა ბეჩავსა, **რაკი** არ ერჩის გულია!“(ვაჟა, 1985, გვ. 87).

,,**სამ**“, რომელიც გარკვეულ კონტექსტში ,,**სადმე**“ და ,,**როდესმე**“ ფორმათა ეკვივალენტია, გამოიყენება ვარაუდის გამომხატველ ნაწილაკ-მორფემოიდის დანიშნულებით: ,,მოხუცმა **სამ** იკითხა“ (ალბათ). ზოგჯერ საერთოდ დაცლილი ჩანს რაიმე მნიშვნელობისაგან: ,,ბევრ **სამ** ავს საქმეს ჩადიან“ (ჯორბენაძე, 1990, გვ. 248).

სპეციფიკური სინტაქსური მოვლენები ფშაურისათვის ნაკლებად არის დამახასიათებელი, უპირატესად, საერთო ქართული სალიტერატურო ენის ტენდენცია მძლავრობს.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმება ხდება მიცემითსა და ნათესაობითში: ,,ვიქონიებ **ერთს შევერცხლილს** თოფს“, ,,ყველას მადლობას სწირავენ, მარჯვენას **კაის ყმისასა**“(ვაჟა, 1985, გვ. 71). სახელობითში, მოთხრობითსა და ვითარებითში მსაზღვრელმა შესაძლოა ბრუნვის ნიშანი მოიკვეცოს: ,,მომაგონდება **წითელკაბიან ქალების** თამაშობა“(უნდა იყოს ,,წითელკაბიან**ი** ქალების“) (ვაჟა, 1990, გვ. 131).

რიცხვში შეთანხმება ჩვეულებრივი მოვლენაა **-ნ** //**-თ** სუფიქსიან სახელის ფორმებთან: ,,გაზაფხული იყო მაშინა, ახლად **ყოოდენ იანი**“(ყოოდენ ია**ნ**ი) (ვაჟა, 1985, გვ .9).

მრავლობითობის **-ებ** სუფიქსით გაფორმებული სახელი ხშირად ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში: ,,გარეჯით **მოდის ქისტები**“. იმავდროულად გვაქვს აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ,,მეორედ ყიოდა ქათმები“ (ვაჟა, 1985, გვ. 37).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მდიდარია საბრძოლო საქმიანობისა და ჩვეულებრივი ყოფა-ცხოვრების ამსახველი ლექსიკით: ,,აფშინას **ბაწარაულის** შუქი შორს გაიფინება“. ,,**ბაწარაული**” ხმლის ეპითეტია (ჭინჭარაული, 1969, გვ. 56). ,,გულზედ **ძეგლივი** დაადვა“. ,,**ძეგლივი**” ძველებური კაჟიანი თოფია (ჭინჭარაული, 1969, გვ. 319).

,,**ბეჩავ**” - მოწონებისა და წაქეზების გამომხატველი შორისდებულია, მას ხშირად იყენებს ვაჟა-ფშაველაც: ,,რაკი არ უნდა **ბეჩავსა**, რაკი არ ერჩის გულია!“ (ვაჟა, 1985, გვ. 87).

,,**ავალებ**”, ,, **სისხლი ავალა**“ იგივეა, რაც მოსისხლედ გაიხადა, ვისიმე სისხლი დაედო ვალად. ,,რა ქნას? მის სახელს იცნობენ, ქისტებს ბევრს **სისხლი ავალა**“ (ვაჟა, ,,სტუმარ-მასპინძელი”, 1985, გვ. 93).

,,**ათირებს**“ განიმარტება, როგორც აჩუმებს, აშოშმინებს ,,ძუძუთ **ვათირებთ** ბავშვებსა, რძისთვის თუ აბირდებიან“ (ვაჟა, ,,ბახტრიონი“, 1985, გვ. 57).

,,**ალაზნიანი**“ - ალაზნისოდენი, ძალიან ბევრი ,,გული ვერ მოუფხანიათ, ცრემლი სდისთ **ალაზნიანი**“ (ვაჟა, ,,ბახტრიონი“, გვ. 63).

,,**ალაფი**“ - დავლა, ომში ნაშოვნი ქონება ,,საძევარი აქვთ ხევსურთა ძვირი განძი და **ალაფი**“ (ვაჟა, ,,სტუმარ-მასპინძელი“, 1985, გვ. 107).

,,**ბერა**“ - კნინობითის ფორმითაა გამოყენებული, განმარტებულია, როგორც ბებერი, მოხუცი ,,რა ჭნახე, ჩემო კვირიავ, აგრემც მიტირებ **ბერასა“** (ვაჟა, ,,ბახტრიონი“, 1985, გვ. 97).

,,**ბერა**“-ს სულ სხვა მნიშვნელობით იყენებს ვაჟა ,,ფანდურსაც შააჟღარუნებს, თითს ააჩქამებს **ბერასა**“ (ვაჟა, ,,გოგოთურ და აფშინა“, 1985, გვ. 13). ,,**ბერა**“ ალექსი ჭინჭარაულს განმარტებული აქვს, როგორც თითი ანუ ცერი (ჭინჭარაული, 1969, გვ. 57).

,,**ყუნჭი**“ - კუნძი; მოჭრილი ხის ძირი ,,ჩემფერა უკეთურები **ყუნჭებიც** ბევრი ჰხირია“ (ვაჟა, ,,ბახტრიონი“, 1985, გვ. 71).

,,**ჩიქილა**“ ალექსი ჭინჭარაულს განმარტებული აქვს როგორც აბრეშუმის თავშალი, ლეჩაქი ,,ააჭრა ნიშნად, სახსოვრად სამი ბალანი პირითა, **ჩიქილის** ტოტში შეხვია ბროლის თითებით თლილითა“ (ვაჟა, ,,სტუმარ-მასპინძელი“, 1985, გვ. 116). ვაჟა ჩიქილას სხვა პოემაშიც იყენებს და სულ სხვა მნიშვნელობით,

,,**ჩიქილიანი**“ არის შერცხვენილი, სახელგატეხილი ,,ფშავში როგორღა მოალის დიაცი **ჩიქილიანი**?“ (ვაჟა, ,,ბახტრიონი“, 1985, გვ. 45).

ვაჟა-ფშაველამ მშობლიურ პოეტურ ხმებს მისცა გასაქანი და არ დააბრკოლა ბუნებრივი, ფესვეული პოეტური იმპულსები. მის პერსონაჟთა მეტყველებაზე დაკვირვებით დავინახეთ, რომ ჭარბადაა მოხმარებული ,,ფშავიზმები“, მაგრამ მწერალი მათ ახამებს ხალხური, სასაუბრო ენის მასალასთან და სათანადო სიტყვიერი ნიშნების შერჩევით ქმნის შემდგომი თაობისათვის დასამახსოვრებელ სახეებს.

ლიტერატურა:

1. ბ. ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
2. ს . მაკალათია, 1934 - ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1934.
3. ვ. ფშაველა, 1985 - ვ. ფშაველა, პოემები, თბ., 1985.
4. ვ. ფშაველა, 1990 - ვ. ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1990.
5. ვ. ფშაველა, 1955 - ვ. ფშაველა, რჩეულები, თბ., 1995.
6. გ. ცოცანიძე, 1978 - გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.
7. ალ. ჭინჭარაული, 1969 - ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ.,1969.
8. ნ. გიორგაძე, 2011 - ნ. გიორგაძე, მწერალი და დიალექტი: რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2011.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

მარიამ დედოფალი - ისტორიული პირი და მხატვრული პერსონაჟი - კ. გამსახურდიას რომან „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ მიხედვით

ოლია არდემანაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე**, სრული პროფესორი

მე-20 საუკუნის 70 წლიანი, ე.წ. სოციალიზმის ეპოქა, ქართველი ხალხისთვის მძიმე პერიოდი იყო. ხელისუფლება ქართველობას ნელ-ნელა აბრუებდა და საღი აზროვნების უნარს უკარგავდა. ამ მდგომარეობაში ადვილი წარმოსადგენია მწერლის და თვით მწერლობის მდგომარეობა. სურდათ დაეწერათ, მაგრამ დრო და სიტუაცია ამის შესაძლებლობას თითქმის არ იძლეოდა.

ისტორიული პრობლემები ყოველთვის იპყრობდა მხატვრული ლიტერატურის ყურადღებას. სწორედ ტირანულ ეპოქაში, მე -20 საუკუნის 30-იან წლებში, კერძოდ 1939 წელს, დაიწერა კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“.

რომანს გადავყავართ შორეულ ისტორიულ წარსულში. მწერალი მხატვრული სახეების საშუალებით ახერხებს წინაპართა ზნე-ჩვეულებების, ხასიათის, ტრადიციების გაცოცხლებას. დიდი შემოქმედი „ისტორიულ მტვერს“ აცლის წარსულს და თავისი წარმოსახვით ეპოქას აცოცხლებს.

აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობს არაერთი მკვლევარი. ერთ-ერთი მათგანი, დიმიტრი ბენაშვილი წერს, რომ ისტორიულ რომანს დროის სიშორე აძლევს მხატვრულ სიმშვენიერეს. კ. გამსახურდიამ ამ რომანით მიზნად დაისახა იმ დროის აღდგენა, რომელიც წინ უსწრებდა თამარის ეპოქას „ოქროს ხანას“ [ბენაშვილი 1962 : 52-60].

კრიტიკოსი სოსო სიგუა ფიქრობს, რომ „დიდოსტატის მარჯვენა“ რთული სტრუქტურული რომანია, არა აზრობრივად, არამედ სტილის თვალსაზრისთაც. როგორც უაღრესად პოეტური და

დრამატული ქმნილება [სიგუა 1991 : 19]. ეს რომანი აყენებს მრავალ, თემატურად განსხვავებულ პრობლემას. ასე, რომ ჩვენ შეგვიძლია ეს ქმნილება სხვადასხვა კუთხით განვიხილოთ.

რომანში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ისტორიული პერსონაჟები, რომლებიც ცხოვრობენ და მოქმედებენ მწერლის მიერ გაცოცხლებულ ეპოქის ფონზე. ასეთ პერსონაჟებს შორის, რომლებიც არაერთხელ გამხდარა მკვლევართა განხილვის ობიექტი, ჩვენი ყურადღება მიიქცია მარიამ დედოფლის მხატვრულმა სახემ, რომელიც, ისტორიული ანალების მიხედვით, სრულიად განსხვავებულ პიროვნებად წარმოგვიდგება.

ამიტომ მიზნად დავისახეთ მოგვეხდინა ე.წ. შედარებითი ანალიზი ისტორიულად არსებული პერსონაჟის შესახებ ცნობებსა და რომანში წარმოდგენილ მხატვრულ სახეს შორის. მოგვეძიებინა ამ პერსონაჟის არქეტიპი ძველ ქართულ მწერლობაში და გვეჩვენებინა, რამ განაპირობა მწერლის მიერ მისი ტრანსფორმაცია რომანში.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ საკმაოდ ფართო მასშტაბითაა ასახული დიდგვაროვანი ქალბატონები, რომელთაგან ზოგი ისტორიული პიროვნებაა და ზოგიც მწერლის მიერ შექმნილი პერსონაჟი. ამათგან გამორჩეულია გიორგი I ცოლი, მარიამ დედოფალი. აქედან გამომდინარე ჩვენი მიზანია მარიამ დედოფლის ცხოვრება განვიხილოთ რეალურ ისტორიულ კონტექსტში და შევუდაროთ იგი მხატვრულ პერსონაჟს: რამდენად ემთხვევა ისტორიული პირის მარიამის სახე და პიროვნება ნაწარმოებში წარმოჩენილ დედოფალს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მცირე მასალა მოიპოვება ლიტერატურათმცოდნეობაში. მკვლევარნი: დიმიტრი ბენაშვილი, ნოდარ გრიგალაშვლი, როინ მეტრეველი და სხვანი, რომელთა ნააზრევსაც გავეცანით, მოიხსენიებენ, მაგრამ არ მსჯელობენ მარიამ დედოფალზე. მათი მთელი ყურადღება გადადის გიორგი მეფის იდუმალი ტრფობის ობიექტზე, შორენაზე.

რომანში აღწერილია გიორგი I-ის ფათერაკიანი ცხოვრება, მეფისა, რომლის შესახებ ინფორმაცია ჟამთააღმწერელს „მატიანე ქართლისაში“ მხოლოდ ორ ფურცელზე მოუთავსებია. ამის შესახებ თავად კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, რომ მან შეგნებულად აარჩია გიორგი I-ის დროინდელი საქართველო და სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა - რომანის ფაბულად [მაღრაძე 1977 : 3].

რომანის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება ცნობილი ფორმულა, რომ ხელოვნება მთლიანად მოითხოვს ინდივიდუალობას. ამაზე მიგვანიშნებს სწორედ გოეთე: “ყოველი ხელოვნება მოითხოვს მთლიანად ადამიანს“. სწორედ ეს კ. გამსახურდიამ არაერთგზის ათქმევინა არსაკიძეს: “ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასოდ, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან“ [გამსახურდია 2006 : 191].

სანამ უშუალოდ მარიამ დედოფლის კ. გამსახურდიასეული სახის განხილვას დავიწყებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დედოფალს ჰყავდა არქეტიპი აგიოგრაფიაში, კერძოდ, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ადარნერსეს ცოლის, ბევრელის (საეკლესიო სახელი ანასტასია) არქეტიპი უნდა იყოს მარიამ დედოფალი.

ლიტერატურათმცოდნეობაში ტერმინი „არქეტიპი“ განმარტებულია რისიმე პირველსახედ, საწყისად, ამომავალ ფორმად [„ლიტერატურის თეორია“ 2000 : 308].

კ. გ. იუნგის აზრით, არქეტიპები ერთგვარი აჩრდილებია ადამიანის ან პროცესისა, რომლებიც გამუდმებით აღორძინდებიან ისტორიის მსვლელობაში და თავს იჩენს იქ, სადაც შემოქმედებითი ფანტაზია ახერხებს თავისუფლად გამოხატოს თავისი თავი.

არქეტიპები ზოგჯერ ალეგორიული ფორმით იმოსებიან და ამა თუ იდეალს გამოხატავენ. არქეტიპი ადამიანის ბედ-იღბალს აკავშირებს კაცობრიობის ბედ-იღბალთან, აღვიძებს კეთილშობილ ძალებს [„ლიტერატურის თეორია‘‘ 2000 : 78].

სწორედ ამ ორი ადამიანის, ბევრელის და მარიამის, ცხოვრებაში მოხდა ისეთი მომენტები, რის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია დავუკავშიროთ მათი ბედი ერთმანეთს და, აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია მათ შორის პარალელების გავლებაც. დავიწყოთ იქიდან, რომ ორივე დიდგვაროვანი ქალბატონია. ბევრელი ბაგრატ შაროელის ასული იყო, მარიამი კი - ვასპურაკანის მეფის შვილი. ორივეს წილად ხვდა მძიმე ტვირთის ტარება, რასაც მეფის ცოლობა და დედოფლობა ჰქვია. სამწუხაროდ, ორივე ქალბატონი ოჯახური ღალატის მსხვერპლი გახდა. მათ გულებში დიდი ადგილი უფლის სიყვარულს ეკავა. ისინი თავიანთი სულგრძელობით მისაბაძნი იყვნენ. ბევრელმა დათმო ამქვეყნიური სიამენი და „ქრისტეს რძალი“ გახდა, ანალოგიურად ფიქრობს მარიამ დედოფალიც. ბევრელი მთლიანად გადადის სასულიერო ცხოვრებაში, რაც აგიოგრაფიულ თხზულებებში მისი გარეგნობის აღწერაშიც ვხვდებით: „რამეთუ სამოსლად მისი იყო შეურაცხი ჩოჴაჲ და ემოსა მას წმიდაჲ სქემაჲ, და ტვირთი დიდი შეშისაჲ ეკიდა და სახიდ თვისად მიაქუნდა სანატრელსა მას.“ [„ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ 1946 : 139]. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია

ვივარაუდოთ, რომ ბევრელი მარიამის არქეტიპია.

ახლა უშუალოდ განვიხილავთ მარიამ დედოფალს. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიიდან“ მის შესახებ ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ მარიამ დედოფალს შეეძინა ხუთი შვილი: ბაგრატი, რომელიც კეისარს მძევლად ჰყავდა სამი წელი, დემეტრე, გურანდუხტი, კატა და მართა, რომელიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.

დედოფლის შესახებ მწირ ისტორიულ მასალას იძლევა ქართული ენციკლოპედიაც (ქსე).

ისტორიიდან ცნობილია, რომ გიორგი I-ს 16 წლისას დაადგეს გვირგვინი და შეაჩეჩეს სამეფო რეგალიები. მან ცოლად მოიყვანა ვასპურაკანის მეფის სენაქერიმ მეორის ქალი [ქსე, ტ. VI 1983 : 439]. არქეტიპის ნიშან-თვისებების მიხედვით ეს ფაქტი პირველი უნდა იყოს ბევრელის და მარიამის ცხოვრების გამაერთიანებლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრელი ხომ ბაგრატ შაროელის ასული იყო.

რომანში მარიამ დედოფალი მეორეხარისხოვანი პერსონაჟია. იგი ნაწარმოებში პირველად ჭიაბერის სამძიმარზე ჩნდება: „მხარმარჯვნივ დედოფალი მარიამი ახლდა გიორგის“ [გამსახურდია 2006 : 40].

მხატვრულ ნაწარმოებში მარიამ დედოფალი სომეხთა მეფის ასულია, რომელმაც „შემოიტანა სასახლეში აფხაზთა მეფეებისთვის სავსებით უცხო, „ასკეტური“ სული. [გამსახურდია 2006 : 145]. კ. გამსახურდიამ ეპითეტი „ასკეტი“ შემთხვევით არ გამოიყენა მარიამის დასახასიათებლად, ამ სიტყვით მან მარიამის ბუნება და სარწმუნოებასთან დამოკიდებულება გადმოსცა, რომ მარიამისთვის პირველ ადგილზე სარწმუნოება დგას. ამ სიტყვას შესაძლებელია მეორე, სრულიად განსხვავებული განმარტებაც მოვუძებნოთ, დავუკავშიროთ ქართველი მეფეების დარად, რომლებიც გულგრილნი იყვნენ ეროვნული რწმენის მიმართ.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ დედოფალი დაახლოებით 30-ჯერ გვხვდება სხვადასხვა კონტექსტში. იგი მოხსენიებულია, როგორც ფანატიკურად მორწმუნე ქალი. უპირველესი ხომ მისთვის მართლმადიდებლობაა, ესეც ერთ-ერთი ნიშანია არქეტიპისა, რომლითაც შეიძლება პარალელი გავავლოთ ბევრელესთან. კ. გამსახურდიას სიტყვით: „მარიამ დედოფლის ოცნება იყო: მთელი საქართველო ეკლესიად და მონასტრებად ექცია; არამარტო საქართველო და სომხეთი, მთელი ქვეყანა“ [გამსახურდია 2006 : 145]. ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ იშვიათია ადამიანი, ვისაც გონებაში არ გაუელვებს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და მოღვაწეობა, მან ხომ დაუსახლებელი ადგილი ერთ დიდ სამონასტრო კომპლექტად აქცია, „რამეთუ მას ჟამსა სხვაჲ მონასტერი არა შინ იყო მათ ქვეყანასა თჳინიერ ოპიზისა, და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათვის მათ ქვეყანათაჲსა, რამეთუ კლარჯეთსა და ტაოთა შინა, და შავშეთსა და მის ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილდ-ადგილდ“ [„ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 1946 : 119].

რეალობაშიც უფლისადმი რწმენით ჰქონდა გული სავსე მარიამ დედოფალს. გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ იგი კონსტანტინეპოლში ყოფნისას დიდ დახმარებას უწევდა ათონის ივერთა მონასტერს „და გამოითხოვა მონამახისაგან ლიტრაჲ ერთი როქად წმიდისა ამას მონასტრისათვის და შეწირა ესე საუკუნოდ სახსენებლად სულისა თვისისათვის წმიდასა ამას ეკლესიასა“ [ქართული მწერლობა 1987 : 90].

მხატვრულ ნაწარმოებში ეს ფაქტი გადმოცემულია მელქისედეკ კათალიკოსთან საუბარში: „თავის ქადაგებაში ორი რამ საგანგებოდ აღნიშნა: „წმიდანთა სწორი დედოფალი მარიამი „ამ ტაძრის დიდი, მოამაგე ავად გახდა იერუსალიმის გამგზავრების კვირაძალში“ [გამსახურდია 2006 : 343].

“გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ მარიამი დაემოწაფა გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც იგი მონაზვნად აღკვეცა: „ამის შემდგომად დაემოწაფა მარიამ დედოფალი, დედაჲ ბაგრატ მეფისაჲ, და იკურთხა მის მიერ სქემითა“ [ქართული მწერლობა 1987 : 90]. მხატვრულ ნაწარმოებში პერსონაჟი აპირებდა ბედიის სადედო მონასტერში მონაზვნად აღკვეცას, ამ საკითხთან დაკავშირებით პერსონაჟის ბედი რომანში არაა გაცხადებული.

მარიამ დედოფალი ისტორიულად უაღრესად კეთილშობილი, სათნო ადამიანი იყო, როგორც ჟამთააღმწერლები გადმოგვცემენ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აგებაში მასაც მიუძღვის წვლილი. აგიოგრაფის სიტყვით, ბაგრატ IV დედამ - მარიამ დედოფალმა იერუსალიმს წასვლა განიზრახა. მივიდა ანტიოქიაში. პატრიარქმა და მისმა თანამზრახველებმა დაასკვნეს: „არა კეთილ არს, აღმოსავლეთითა მეფეთა დედაჲ რაჲთამცა სასარკინოზეთსა წარვიდ, ვინაჲთგან ცოდვათა ჩვენთაგან იგინი უფლობენ ქვეყანასა მას“. შეწუხებულმა დედოფალმა გიორგი წარგზავნა იერუსალიმს და „საფასე“ გაატნა“ [მენაბდე 1980 : 81]. „დიდოსტატის მარჯვენაში“ მარიამის კეთილშობილება ამ კუთხით სვეტიცხოვლის აგებისთვის სწრაფვაში გამოხატა კონსტანტინე გამსახურდიამ.

პოლიტიკური ასპექტი მხატვრულ ნაწარმოებში უკანა პლანზეა გადასული. მარიამისათვის სახელმწიფო საქმეებში ჩარევა არაა მისაღები. გიორგი I ბიზანტიას აძაგებს: „ბასილი კეისარს ეს უნდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე, სანამდე პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი კეისარი“. ამასთან დაკავშირებით მარიამ დედოფალსაც ახსენებს, რომ „აღარც მარიამ დედოფალს ესმის ეს საფრთხე“ [გამსახურდია 2006 : 148]. კ. გამსახურდიას შემთხვევით არ აქვს საუბარში გამოყენებული სიტყვა „ძაღლთაპირი“. ამ ერთი სიტყვით მან თავისი პოზიცია გამოხატა ბიზანტიისა და თვით კეისრის მიმართ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალმა კეისარსა და ბიზანტიაში იმდროინდელი ხელისუფლება და მისი წინამძღოლები იგულისხმა. სათქმელი კი შეფარვით გიორგი მეფის პირითაა გადმოცემული...

მარიამ დედოფლის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ჟამთააღმწერლები საპირისპიროს გადმოგვცემენ: იგი საკმაოდ აქტიური ქალბატონი იყო პოლიტიკაში. მცირეწლოვანი ბაგრატის მეფობის დროს მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში, შეეცადა ბოლო მოეღო დაუცხრომელი შინაფეოდალური ბრძოლებისათვის, 1030-1031 წლებში კონსტანტინეპლოში საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა იმპერატორ რომანოზ მესამე არგიროსთან. დედოფალი საკმაოდ ჭკვიანი ქალი ყოფილა, შემდგომში იგი თავის თავზე იღებს მისიას და ბაგრატის დავალებით მიდის ბიზანტიაში. მოჰყავს იქიდან ბიზანტიელი სარძლო რომანოზ მესამეს ძმისშვილი, ბასილის ასული, ელენე. მან შეძლო ბიზანტიასთან დაძაბული ურთიერთობის მოგვარება და დამოყვრებაც კი, ყოველ შემთხვევაში დროებით [ქართული ენციკლოპედია 439].

მარიამ დედოფლის სახელთანაა დაკავშირებული სასწაულმოქმედი ოქონის ხატის ჩამობრძანება, რომელიც გამოუტანებიათ მისი სარძლო ელენესთვის. ყოველივე ამას ვიგებთ ს. მაკალათიას სახელობის გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში დაცული გარსევანიშვილთა საგვარეულო გუჯრიდან და თვით ალექსანდრე გარსევანიშვილის მოგონებებიდან.

მარიამ დედოფლის შესახებ ისტორიულ მასალებში გარეგნული პორტრეტი არაა მოცემული. მხატვრული ნაწაროების მიხედვით კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი იყო მარიამი. ნაწარმოებში დედოფალი ასეა აღწერილი: „ამ დროს გაიღო კარი, დედოფალი შემოვიდა დარბაზში. სიგამხდრეს უფრო მეტად გაემაღლებინა ისედაც ახოვანი, პირხმელი ქალი. ფერგამკრთალი სჩანდა და სახეგამშრალი. ჩინური შავი ფარჩა ეცვა, დიდრონი ალმასების მანიაკი ირისეს დარად უთიმთიმებდა ყელის გარშემო. წვრილსა და გრძელ კისერზე უცნაურად დაბერილი, ენერგიული ძარღვები მოუჩანდა, რისხვიანად უღელავდნენ წამოსივებული თვალები“ [გამსახურდია 2006 : 149].

ავტორი ნაწარმოებში სხვადასხვა ადგილას იხსენიებს მარიამ დედოფალს, მაგალითად: „ჯერ მზრდელის, შემდეგ მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მოსაწყენი შეგონება'', „ფარსმანის დასჯას მოითხოვდა დიდი და მცირე, განსაკუთრებით მარიამ დედოფალი'', „დედოფალი დარწმუნებული იყო, როგორც კი შორენას დანიშნავდა გირშელი, გიორგი მყისვე ჩამოეცლებოდა ამ „სიძვის დიაცს“, „უმშვენიერესი სეფე მოახლე მიუჩინა დედოფალმა სტუმარს, როცა ანჩაბაიძის ქალი წარუდგინეს“. ამ ციტატებიდან დედოფალი დადებით პიროვნებად წარმოდგება. იგი სტუმართმოყვარე, სამართლიანი, ჭკვიანი, წინდახედული ადამიანია [გამსახურდია 45 : 123]. რომანის მთავარი პერსონაჟები, როგორებიც არიან: ზვიად სპასალარი, მელქისედექ კათალიკოსი და თვით ავტორიც, მარიამ დედოფალს დადებითად იხსენიებენ და პატივისცემით და რიდით ექცევიან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მარიამს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, მაგალითად: აზნაურები, რომელთაც სძაგდათ დედოფალი წარმომავლობის გამო და მას „სომხის ქალს“ უწოდებდნენ. „რა ვუყოთ, რომ აზნაურებს სძაგდათ ეს „სომხის ქალი“ [გამსახურდია 2006 : 156].

რთული გასარჩევი და გასაანალიზებელია მარიამ დედოფალი ცოლის ამპლუაში. ცოლ-ქმრის ცხოვრებაში იყო მძიმე პერიოდები: უპირველესად კი უნდა აღვნიშნოთ ოჯახური ღალატი. ჟამთააღმწერლები გადმოგვცემენ, რომ გიორგი I პარალელურად ურთიერთობა ჰქონდა ოსის ქალთან, ალდესთან, რომელიც, როგორც ჩანს, თავდავიწყებით უყვარდა მეფეს. მასთან შესძენია მეფეს დემეტრე, რომელიც დიდი პრობლემა გახდა შემდგომად გიორგი I-ის კანონიერი ვაჟის ბაგრატისთვის. ყოველივე ამის მიუხედავად, მარიამ დედოფალს ეყო ნებისყოფა და ოჯახი არ დაანგრია. თუმცა არც უნდა დაენგრია, რადგან იგი მორწმუნე ქალი იყო. სჯულის კანონის მიხედვით იგი დამნაშავე არაა. სჯულის კანონში ეს ფაქტი ასეა გადმოცემული: "თუ ცოლიანი იქორწინებს უცხო დედაკაცთან, ამ ქალის წართმევის შემდეგ იგი მრუშად არის წოდებული“ [უფლის სჯულის კანონები 2004 :251].

ჩვენი აზრით, მათი ოჯახური ცხოვრება პოლიტიკური კავშირითაა განპირობებული. გიორგი I-მა ხომ უსიყვარულოდ მოიყვანა ცოლი.

ოჯახური ღალატი მკვეთრად არის წარმოჩენილი ნაწარმოებში. რომანში ალდეს კოლონკელიძის ქალი შორენა ენაცვლება და დედოფალს მეტოქეობას უწევს, თავისი სურვილის მიუხედავად. შორენას მეფესთან სარეცელი არ გაუზიარებია, ე. ი. რეალური მოწინააღმდეგე არაა.

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ საკითხს, მარიამ დედოფალი, როგორც დედა. ისტორიული მასალებიდან იგი დადებითი პიროვნებაა. უკვე აღვნიშნეთ, რომ მან ბაგრატი მარტო არ დატოვა, გვერდში ამოუდგა ტახტზე ასვლის შემდეგაც. მხატვრულ ნაწარმოებში ეს მომენტი განხილული არაა, რადგანაც იგი გიორგი I-ის ცხოვრების ძირითად მომენტებს ეხება.

მხატვრულ ნაწარმოებში მარიამი ბაგრატის ჩამოსვლის შემდეგ გადის რომანის კომპოზიციიდან. არ ჩანს, როგორ განვითარდა მისი შემდგომი ცხოვრება. არც ქვრივი დედოფალია აღწერილი. არაა გამოხატული მისი გრძნობები და განცდები მეფის გარდაცვალების შემდეგ.

ჟამთააღმწერლები გადმოგვცემენ მხოლოდ იმას, რომ იგი ცოცხალი იყო ბაგრატ IV გარდაცვალებისას, 1072 წელს. ისტორიულ წყაროებში არაა ცნობები მისი გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1103 წელს რუის-ურბნისის საელკესიო კრების „ძეგლისწერაში“ იგი უკვე მიცვალებულად მოიხსენიება: „წმიდისა დედოფლისა და ღმრთივსულიერისა დედისა ჩვენისა, მარიამ მონაზონისა, საუკუნომცა არს ჴსენებაჲ“ [ქართული სამართლის ძეგლები 1970 : 126].

მარიამ დედოფალი იყო პიროვნება, რომელმაც ბევრ სირთულეს გაუძლო და მაინც მყარად იდგა ფეხზე ცხოვრების ბოლომდე. იგი იყო, პირველ რიგში, ქალი და შემდეგ დედოფალი, სამწუხაროდ, არც ერთ პუნქტში არ გაუმართლდა, ხოლო როგორც დედა იყო შეუდარებელი, მუდამ თავისი შვილების მოამაგე, თანამგრძნობი. მან იგემა წუთისოფლის სიამენიც და ტანჯვაც. ყოველივე ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ძლიერ ადამიანად ხასიათდება, რომელმაც შეძლო ცხოვრებისეულ სირთულეებთნ გამკლავება.

ნაშრომზე მუშაობისას გაგვიჩნდა კითხვა, რომელზედაც პასუხი ვერ მოვიძიეთ ჩვენს ხელთ არსებულ მკვლევაერთა ნააზრევში, მაგრამ დასკვნის სახით გვინდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი თვალსაზრისი მოცემულ საკითხზე: ისტორიულ რეალობაში ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, გიორგი I-ის მეუღლე მარიამი წარმოგვიდგება არამც თუ უმნიშვნელო თანამეცხედრის ფუნქციით დატვირთულ ადამიანად, არამედ თითქმის პოლიტიკურ და სასულიერო მოღვაწედ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბიზანტიასთან მშვიდობიანი კავშირების გამტკიცებისთვის და ნიადაგი მოუმზადა საქართველოს მომავალ უმნიშვნელოვანეს მეფეს ბაგრატ IV-ს და დიდი ღვაწლი დასდო ათონის ივერონის მონასტერსა თუ საქართველოს ეკლესიების მშენებლობა-განახლების საქმეს. აქედან იკვეთება მისი დიპლომატიური ნიჭი და ღრმა რწმენა.

კ. გამსახურდიას რომანში გრძელდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ბევრელის არქეტიპისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების წინ წამოწევა, რომელიც თითქოსდა აფერმკრთალებს, ასუსტებს და მეტნაკლებად აღიზიანებს კიდევაც მკითხველს. რით უნდა იყოს ეს გამოწვეული? ვფიქრობთ, სოც. რეალიზმის კონიუნქტულური წნეხის პირობებში მწერლისათვის, რომელმაც იგემა გადასახლების სიმწარე, ასეთი ხაზი რომანში გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმდროინდელი იდეოლოგიისადმი ქედმოხრით, ანდა საქართველოს ისტორიის ღრმად მცოდნე კ. გამსახურდიას, როგორც რომანისტს, სურდა წინ წამოეწია მეორე ქალბატონის, შორენა კოლონკელიძის პერსონაჟი, რითაც ერთგვარად ჩრდილში გაანაპირა მარიამ დედოფლის სახე.

ლიტერატურა:

1. ქართული პროზა, ტომი III, თბ., 1982.
2. ნ. გრიგალაშვილი, „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“, IV, გამომცემლობა „უნივერსალი”, თბ., 2004.
3. დ. ბენაშვილი, „ კ. გამსახურდია ს ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1962.
4. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1982.
5. ე. მაღრაძე, „კონსტანტინე გამსახურდია“, „ნაკადული“, თბ., 1977.
6. ს. სიგუა, „მარტვილი და ალამდარი“, თბ., 1991.
7. უფლის სჯულის კანონები, 2004;
8. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“), I, თბ., 1946.
9. „ქსე“, თბ., 1983.
10. „ქართული მწერლობა“, ტ. II, თბ., 1987.
11. ქართული სამართლის ძეგლები, III , „მეცნიერება‘‘, თბ., 1970.
12. „ლიტერატურის თეორია” (XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, თბ., 2008.
13. ლ. მენაბდე, „ძველი ქართული მწერლობის კერები“, II , თბ., 1980.

ზვიად კვარაცხელია – XXI საუკუნის მწერალი

ნინო გომარელი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე**, სრული პროფესორი

მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მრავლადა ახალგაზრდა, ,,მაძიებელი სულით" აღსავსე ნიჭიერი მწერალი. ეს თაობა (ზვიად კვარაცხელია, გიორგი კეკელიძე, კატო ჯავახიშვილი, გიორგი ზანგური და სხვანი), ორიათასიანელები, რომელნიც ფეხდაფეხ მოყვნენ ოთხმოცდაათიანელებს (დათო ტურაშვილი, რატი ამაღლობელი, შოთა იათაშვილი, ზურაბ ლეჟავა, არჩილ ქიქოძე და სხვანი) ჯიუტად, უტეხი ნებისყოფით, შრომით, მკვეთრი ნიჭიერებით იკიდებს ფეხს, მკვიდრდება ლიტერატურულ სივრცეში.

ახალი თაობიდან, ორიათასიანელებიდან, ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ზვიად კვარაცხელიამ, რომლის შემოქმედება ინტენსიურად იბეჭდება ,,ჩვენი მწერლობის", ,,ლიტერატურული პალიტრის", ,,მნათობის" ფურცლებზე, გამოვიდა მისი წიგნები ,,ილია სამეგრელოში", ,,ჰაე", ,,ყიფლიბანდი". ამ წიგნებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ,,ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე, იწერება ბევრი დადებითი რეცენზია, იხარჯება თბილი სიტყვები მწერლის მისამართით. მისი ბოლო წიგნის, ,,ყიფლიბანდის" წარდგინება პირველად, სწორედ, ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში მოხდა.

ზვიად კვარაცხელია, დღეს ეს სახელი კარგად არის ნაცნობი განათლებული საზოგადოებისათვის. ის ცნობილი გახდა დოკუმენტური პროზით ,,ილია სამეგრელოში". ეს იყო მისი შემოქმედების დასაწყისში და თუ მაშინდელ კრიტიკას თვალს გადავავლებთ შეფასებები დადებითი და აღმატებულია.

როსტომ ჩხეიძემ წიგნთან დაკავშირებით გამოთქვამს თავის აზრს: ,,მხატვრულ-დოკუმენტური პროზა მთელ მსოფლიოში და ჩვენშიც ძალიან პოპულარულია, ამ ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ზვიად კვარაცხელიას ეს წიგნი, ხოლო ავტორს აქვს ნიჭი და უნარი იმისა, რომ თავი სრულიად წარმოაჩინოს, როგორც მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შემქმნელმა... ილიას სამეგრელოში მოგზაურობაზე საჭირო იყო წიგნის დაწერა. ამ წიგნში საშუალება გვაქვს, ვნახოთ ნამდვილი ილია, ისეთი, როგორიც იყო სინამდვილეში. ილია სამეგრელოში ჩავიდა ამ მხარის შემოსამტკიცებლად, მაგრამ რომ ნახა, შემოსამტკიცებელი არაფერი იყო, მაშინ თქვა: ,,სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახეო"(3;49).

ილიას სამეგრელოში მოგზაურობა წიგნთან იყო დაკავშირებული, იქ ბიბლიოთეკა ეგულებოდა. ზუგდიდი დიდი კულტურის, დიდი ტრადიციების ქალაქია. XIX საუკუნეში ამ ქალაქში საინტერესო ხალხი მოღვაწეობდა. დადიანების სასახლეში ხელნაწერ გაზეთსაც გამოსცემდნენ. ილიას შემთხვევით არ უმოგზაურია სამეგრელოში, ხოლო ამ თემაზე მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების შექმნა უაღრესად საჭირო და სასარგებლო საქმეა, მიაჩნია ლევან ბრეგაძეს.

,,ნიჭიერი და გულმართალი კაცის დაწერილია ეს დოკუმენტური პროზა, კარგად არის გააზრებული ეპოქის სიმართლე და თავისებურება... ავტორი ტკივილით გვიყვება რუსულ პოლიტიკაზე, რომელიც საქართველოს სრულ დაშლაზე იყო ორიენტირებული...

ახალგაზრდა მწერალს დაჭერილი აქვს არსი ილიას სამეგრელოში წასვლისა. ილიამ სამეგრელოში ეპოქალური ფრაზა თქვა: ,,სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავო".

ფრაზა სავსეა მრავალგანზომილებიანი ქვეტექსტებით. გასაოცრად ზუსტად არის შერჩეული სამეგრელოში ჩასვლის დრო, მიზანი და სიმბოლო, იგი ნაწილია მისი კონცეფციისა - ,,მამული, ენა, სარწმუნოება".

ილიას ფრაზას მაგიური ძალა ჰქონდა, მისი სიტყვა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე რუსული იმპერიული პოლიტიკა. სამეგრელოში გაითავისეს ილიას სიტყვები და იგი თაობიდან თაობებში გადავიდა, როგორც უკვდავი ანდერძი". ასე აფასებს ამ წიგნს კრიტიკოსი ვასილ კიკნაძე (2;49-50).

უნდა აღინიშნოს მწერლის ენაც... ,,მახვილი ყური მიუხვდება მეგრულისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციებს, ინტონაციას, ლექსიკასაც, მაგრამ მწერალი არავის იმეორებს. ზვიადის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორიგინალურ სტილს ჰქმნის, ზომიერებას ცდილობს, თუმცა ხანდახან დაიჩივლებს, ,,ხან სად გამექცევა კალამი, ხანაც სად ჩამისაფრდება სათქმელი... მეც, სიტყვასგანდობილს, დავტაცებ ხელს და ჩავაკრავ ტექსტში, საჭირო ადგილას"(3;49).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ნოველების კრებული ,,ჰაე", რომლის წინასიტყვაობაშიც ლევან ბრეგაძე დასძენს: ,,ამ ავტორის წიგნის წაკითხვა ღირს".

გარეკანზე ოთარ ჭილაძის შეფასებაა: ,,დარწმუნებული ვარ, მისი გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე მხოლოდ იმის იმედს განუმტკიცებს ყველა ჩვენგანს, არასდროს რომ არ დაძაბუნდება ქართული სიტყვა, იგივე ქართული სული, ქართული ცნობიერება".

ზვიად კვარაცხელიას წიგნი, ორიგინალური და მოხდენილი სათაურით, ,,ჰაე" მოთხრობების კრებულია.

ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათაურს. კრიტიკულ წერილში ,,მწვერვალისაკენ", სწორედ ამ საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე. ,,ჰაე, აქ, ბოლო მოთხრობის სახელწოდებაა, თუმცა იგივე ეწოდება უკანასკნელ ასო-ბგერასაც. შეიძლება ამ ნიუანსით ზვიადი გვეუბნევა, რომ მისი ხელოვნება, ყველაზე ბოლო, ანუ ყველაზე ახალი, შესაბამისად – ყველაზე საინტერესო სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში. თუმცა შესაძლოა პირიქითაც იყოს, იქნებ ავტორი გვეუბნება: მე თავმდაბალი კაცი ვარ და მირჩევნია ბოლო ვიყო, ვიდრე პირველი, მე არავის ვეჯიბრები…" (5;49).

,,მათ გზა ელოდათ" – ამ მინიატურით იწყება კრებულის პირველი მოთხრობა ,,სააქაოს მემუარები". საოცარია, ვისი მემუარები აღარ წაგვიკითხავს, სააქაოსი – პირველი შემთხვევაა!

,,სააქაოს მემუარები" მოზაიკური მოთხრობაა, პატარ-პატარა ამბებისაგან კრიალოსნად აკინძული.

ათასი ჯურის ხალხი ტრიალებს სააქოში, ვიღას არ მონდომებია ჩვენთვის გულის გადაშლა…

,,დაროგა! დაროგა! გზა მომეცით!" – ეს ორთვალას ჩაჭიდებული ბაზარში შავ-მუშად გასული ქართველია, თვითონ სანახევროდ მშიერი მთელი დღე სხვის სურსათ-სანოვაგეს დაატარებს.

,,კოფოზე შემოკოსებული ბერიკაცი" კი, დღევანდელობით ერთიანად გულამღვრეული, თითქოს მოთქმით პასუხობს ახალგაზრდების, ერთის შეხედვით, მარტივ შეკითხვას: ,,ვყიდი ყველაფერს: ჩემს ტყეში სხვისი ცულით მოკვეთილ ხეებს, ვყიდი იმ ტყესაც … ვყიდი სახლ-კარსაც, გავერანებულს… ჩემს ისტორიას ვყიდი, ერთი სტრიქონიც რომ არ დატოვეს შეუგინებელი … ვყიდი გარეშემოს – გაპარტახებულ საცხოვრისსა და ცის მშობლიურ ნაფლეთებს, უმანკო წყაროს … ზამთრის თოვლიან გათენებას … " (4;49).

ეს XXI საუკუნის ,,იყიდება საქართველოა", ტკივილით, დარდით, სიმწრით სავსე, რომლის მიღმაც ფიქრით დაყურსული ავტორის ჩუმი ნაღველი იგრძნობა.

ზვიად კვარაცხელიას უყვარს სიტყვა, სიტყვით თამაში, სიტყვათ ქმნადობა. მაგალითად, ასეთი: ,,საგულისხმოდ გულგახსნილი, საერთო გულის ნადების მქონე გულთამხილავები". ბევრია ამის ნიმუში წიგნში. ვისაც სიტყვის მოთოკვა, სიტყვის მოფერება, სიტყვით ახალი სამყაროს შექმნა შეუძლია, მას ყველაფერი ძალუძს. ზვიად კვარაცხელიას სიტყვა წრფელია, ხალასია, რაც მთავარია, საკუთარია.

ნაციონალური იდენტობისა და ეროვნული ღირებულებების დაცვა აქტუალურ დატვირთვას იძენს 90-იანი წლებიდან და გრძელდება მიმდინარე ქართულ ლიტერატურაშიც. ომის დისკურსი – აფხაზეთისა თუ აგვისტოს ომის თემები, 1991-1992 წლების მოვლენები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დევნილ მოსახლეობასა თუ დარღვეულ ისტორიულ მთლიანობაზე ფიქრი, როგორც ქართველი ხალხის დიდი ტკივილის გამოხატულება, - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ თემებზე მუშაობენ არა მხოლოდ ის მწერლები, რომლებმაც საკუთარ თავზე, ფიზიკურად გამოსცადეს ომების სიმწარე, არამედ ისინიც, ვინც მხოლოდ სულიერად არიან ჩართულნი ამ პრობლემებში. დავასახელებდი რომანის ,,სოხუმში დაბრუნება" ავტორის, გურამ ოდიშარიას მოთხრობებს, გელა ჩქანავას მოთხრობებს, თამარ ბართაიას პიესას ,,სარდაფი გორში"; ამ პრობლემებსვე , სხვადასხვა ლიტერატურული მანერით, ეხმიანება ახალგაზრდა მწერლების ტექსტები: ზაზა ბურჭულაძის ,,ადიბასი", თამრი ფხაკაძის ,,ბოსტანი კონფლიქტის ზონაში", ბასა ჯანიკაშვილის ,,ომობანა" და რა თქმა უნდა ზვიად კვარაცხელიას ,,ყიფლიბანდი", რომელშიც გაერთიანებულია ის ნოველები, სადაც აღწერილია XX საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოში განვითარებული მოვლენები.

ყველა თაობას საკუთარი ომი აქვსო, ესეც ნათქვამია, და ჩვენს უფროს თაობას ახსოვს, როგორ ,,გამოითოფა" რუსთაველი, ახსოვთ ის სისხლიანი ისტორიული რეალობა, რომელსაც 1991-1992 წლების მოვლენები ჰქვია. ჩვენს მამებს, დედებს ახსოვთ, რაც რუსთაველზე ხდებოდა. იწვოდა მთავრობის სახლი, პირველი სკოლა, სასტუმრო, საცხოვრებელი სახლები, გამორბოდნენ დამწვარი სახლებიდან ადამიანები, რომლებმაც თურმე დიქტატურა დაამხეს, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ტოვებდა ქვეყანას, იყვნენ დახოცილნი, დაჭრილნი, უსახლკარონი, ქალაქი ორ ნაწილად იყო გაჩეხილი; ქართველებმა ერთმანეთის თვალწინ ,,მოკლეს,, თბილისი და ამ ,,მოკვლის" ისტორიულ სპექტაკლს დაესწრნენ.

სწორედ ამ საკითხზე წერს ზვიად კვარაცხელია ,,ყიფლიბანდში".

ნოველა ,,ყიფლიბანდი" ორსიუჟეტიანია. სხვადასხვა ასაკის ორი მამაა წარმოდგენილი, რომელთაც სერიოზულად აშფოთებთ საკუთარი შვილების მომავალი.

ერთ-ერთ მამას, ვიწრო კორპუსებში გამოკეტილ ნიკოს, ერთი სული აქვს გამოაღწიოს დაგმანული სივრციდან, მაგრამ ყოველთვის მცირეწლოვანი შვილების მუდარა აჩერებს. ,,მამა, დარჩი, გარეთ ისვრიანო". ოთახში ბოლთას სცემს და ,,იაქესავით შერჩენილი სიგარეტით" იქარვებს დარდს.

ნატა და გურამი – სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების და-ძმა - ,,მორთმეულ დამოუკიდებლობას" სხვადასხვანაირად აფასებს. გურამისათვის (მეორე მამისათვის) მიუღებელია ,,ქიბროწაშვილებისა" და ,,წვიმიტიძეების" მიერ აშენებული ქვეყანა. თავისი მჭერმეტყველებით ჩვილის გაუმაგრებელ, გაუმკვრივებელ რბილობს – ყიფლიბანდს – ადარებს ნაადრევ თავისუფლებას. ,,ვისაც ოდესმე ჩვილი ბავშვი სჭერია ხელში, არასდროს დაავიწყდება საოცრად თოთო, რბილი თავი, რომლის შეხებისთანავე სურვილი გიჩნდება, მეორედ აღარ შეეხო ან ძალზე ფრთხილად, სათუთად მიეფერო, ისიც ხანდახან, ათასში ერთხელ. სამედიცინო ენაზე ამ რბილობს ყიფლიბანდი ჰქვია და ისეთ ადგილს გულისხმობს, სადაც ჯერჯერობით არ შეუღწევია ძვლოვან ქსოვილს – არ გამაგრებულა, არ გამკვრივებულა. სახეზეა ადამიანი – ღვთისაგან ხელდასხმული სულიერი არსება, მაგრამ მისი სიცოცხლე ისეთივე მყიფეა, როგორც მარტის თოვლიან დილას გაჩენილი მზის სხივი. გულს კი ახარებს ჩვენი ნაადრევი თავისუფლებასავით, მაგრამ ჯერ არ შეშრობია ჭიპლარის სისხლიანი კვალი და ჩვილის ცრემლები" (1;9). იგი საკუთარ დას, ნატას, ,,მართლის მართლად მჩხრეკელ მეცნიერსაც" ეკამათება, არ პატიობს, რომ მის სათაყვანებელ ძმიშვილებს (გურამის შვილებს) და სტუდენტებს ,,წინსვლისა და შეუბღალავი ფასეულობის ნაცვლად, გაოხრებული ქვეყანა შეატოვეს" (1;10).

ნოველა ნოველაში – ორი ქართული ოჯახის ერთი საწუხარი! როგორ გადაარჩინონ მომავალი? ბევრი ფიქრისა და განსჯის შედეგია ის ფაქტი, რომ მოუწყობელი ქალაქური ყოფიდან ნიკოს ოჯახი სოფელში გადადის საცხოვრებლად, რადგან სჯერა და ეიმედება, რომ სწორედ იქ გამაგრდება ყიფლიბანდი.

ნოველას ,,სიტყვები ვერცხლისფერი დოქიდან" ორი გმირი ჰყავს. სასწავლო ნაწილის გამგე, ლარისა კონდრატის ასული შონია და ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ასმათი ფანცხავა.

ლარისა შონიას ბიოგრაფია ასეთია: უნივერსიტეტი – სკოლა, ჯერ რამდენიმე საათი, თანდათან სრული განაკვეთი, შემდეგ თანამდებობა – სასწავლო ნაწილის გამგე. საკუთარ თავს მკაცრად აუკრძალა ყავის სმა, გათხოვებაზე ფიქრი და ექსკურსიაზე სიარული, სხვებს – მოკლე კაბა, მაღალ მატერიებზე საუბარი და ჭარბი ემოციის გამოხატვა. მას ,,უმეტნაკლებოდ" სჯერა, რომ ,,როგორც იქნა, ეღირსა ბედკრული სამშობლოს განახლებას". მამულის საკეთილდღეოდ ,,შრომას, ცოდნას და სიყვარულს" არ იშურებს ლარისა კონდრატის ასული. იმ დღესაც კრებაზე სათითაოდ ჩამოურიგა მასწავლებლებს თხელყდიანი წიგნაკი სახელშეკრულებო ფასით, რომლის სათაური გაუქმებული ლიანდაგივითაა უსარგებლო და უშველებელი: ,,დიქტატურის, ბელადომანიისა და ხელისუფლების ერთპიროვნული უზურპაციის მავნე გამოვლინებანი ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულში, სავალალო შედეგები და მათთან ბრძოლა დემოკრატიული ფასეულობების შუქზე".

ყველაფრის მიუხედავად, წიგნი მაინც დარჩა მაგიდაზე.

ასმათ ფანცხავას გამომძიებლის კაბინეტში ვეცნობით. ბრალდების ვერცხლისფერი დოქიდან წანწკარით მოდიან სიტყვები, იგი თურმე ,,ბინძურ და ამაღლებულ გრნობათა ნაფლეთებს" მიეზიდება მოსწავლეთა გულებისაკენ. ომს, ბოროტებას, სიძულვილს, გაუტანლობას, შიშს და ჩამორჩენილობას ასწავლის მოწაფეებს, ,,პატივაყრილ და სამარცხვინო წარსულს" ახსენებს მათ.

გამომძიებელს, რომელსაც ,,ქოსა სახე და ჯიბლიბოს მაგვარი აქვს მარცხენა თვალთან", აქსიომასავით ჩამოყალიბებია, ,,თუ მასწავლებელი ფეხს ვერ უწყობს თანამედროვეობას, ჩამორჩენილია" (1;39).

უნდა ვივარაუდოთ, რომ ის წიგნი, ალბათ, ასმათ მასწავლებელს ,,დარჩა". სწორედ ამიტომ არის, რომ არც ქალაქის მერისაგან გამოგზავნილ თამრო-გოგოს უკვირს ასმათ მასწავლებლის დაკითხვაზე ყოფნა … ასეთები ხომ ძირეულად არასდროს იცვლებიან!

ნოველის ,,ბებოს წმინდა წერილის" სათაური თავისთავად ტევადია, სიმბოლური. დედა-შვილობის მადლზე გვაფიქრებინებს და თან, ამავე დროს, საზოგადოდ, ადამიანის, ქალის დანიშნულებაზეც ამქვეყნად, იმაზე, თუ რა უნდა იყოს მთავარი ორიენტირი ცხოვრებაში.

,,ზვიად კვარაცხელიას ნოველების ანალიზისას ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მწერალი თავის პერსონაჟებ სთანაბარ ყურადღებას უთმობს და მათ ცალკეულ შეცდომებს თუ სიმართლეებს არც წუნობს და არც იწონებს. ისე შემოჰყავს და დაჰყვება, როგორც მის ერთ-ერთ ნოველაშია, სადაც: ,,ბინდს შემოჰყავდა სიჩუმე და გამტკნარებული შემოღამება … როგორც ბავშვი მაწანწალა ძაღლს, მშობლების შეუმჩნევლად" (თამილა წოწორია) (6;48).

ზვიად კვარაცხელიას ჩანაფიქრი იყო წარმოესახა საქართველოს ტრაგიკული დღეები სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალების შემდეგ, უმთავრესად მაინც ერთი კუთხის, სამეგრელოს მაგალითზე.

და წარმოესახა ისე, როგორც სინამდვილეში იყო – მიუკერძოებლად და შეულამაზებლად, სწორედ იმგვარად, როგორც მწერალს მოეთხოვება და არა პარტიულ პროპაგანდისტსა თუ დაქირავებულ ჟურნალისტს.

ახალგაზრდა მწერალი მარტოოდენ მხატვრული ფანტაზიისა თუ სახელდახელოდ მოკრებილი ცნობების იმედად კი არ არის, არამედ გულდასმით, მემუარისტისა და მკვლევარის სიჯიუტითა და დაუმცხრალობით აქვს თავმოყრილი უამრავი ამბავი, შემდეგ უკვე მწერლის ფანტაზიისა და ნიჭის წყალობით ჩვენამდე ამ სახით მოსული.

ჩემს თემაში მაქსიმალურად შევეცადე მესაუბრა ზვიად კვარაცხელიას შემოქმედების გარშემო, მის მხატვრულ-დოკუმენტურ პროზასა თუ ნოველებზე, სადაც ნამდვილად ისმის ახალგაზრდა მწერლის პატრიოტული სულისკვეთება, მომავლის იმედი და დაუოკებელი სწრაფვა უკეთესობისაკენ.

ზვიად კვარაცხელიას სახელი, მისი შემართება, ,,მაძიებელი სული" ნამდვილად არის მაგალითი ჩემი თაობისათვის და, იმედი მაქვს, მომავალშიც იქნება.

ლიტერატურა:

1. კვარაცხელია. ზ., ყიფლიბანდი, თბ., 2011.
2. ჩვენი მწერლობა, №2, 2009.
3. ჩვენი მწერლობა, №5, 2010.
4. ჩვენი მწერლობა, №17, 2010.
5. ჩვენი მწერლობა, №6, 2011.
6. ჩვენი მწერლობა, №14, 2011.

გრიგოლ რობაქიძე - საქართველოს ჭირისუფალი ევროპაში

მანონი ელიზბარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე**, სრული პროფესორი

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული გრიგოლ რობაქიძე ერთბაშად იმკვიდრებს ადგილს კალმოსანთა პირველ რიგებში და თავისი ძარღვიანი ქართულით, არამარტო უბრალო მკითხველს, არამედ ცოცხალ კლასიკოსთაგან (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, დავით კლდიაშვილი და სხვა) განსაკუთრებულ აღიარებას პოულობს. მისი მრავალრიცხოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილები, ესეები, რეცენზიები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა და ა.შ. დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ქართველ მკითხველს. „ქართველმა მკითხველმა იმთავითვე იგრძნო, რომ გრიგოლ რობაქიძის სახით მშობლიურ ენას უდიდესი მოჭირნახულე მოევლინა. მან გარდა ქართულისა არაერთი ევროპული ენა იცოდა, განსაკუთრებით გერმანული ენის სიღრმისეული ცოდნით გამოირჩეოდა". [5; 2,0-2,1].

გრიგოლ რობაქიძე იყო არა მხოლოდ დიდი მწერალი, არამედ სამშობლოზე უაღრესად შეყვარებული ადამიანი. მან საკუთარ თავზე იგემა საბჭოთა ხელისუფლების მკაცრი რეჟიმის პირველი წლები. გრიგოლ რობაქიძე არ იყო ის ადამიანი, რომელიც შეეგუებოდა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას საკუთარ სამშობლოში და სწორედ ამან განსაზღვრა მისი შემდგომი ბედი. ის 1931 წელს სერგო ორჯონიკიძის დახმარებით ერთი წლით მიემგზავრება გერმანიაში და რჩება ომის დამთავრებამდე. ამ ხნის განმავლობაში გერმანულ ენაზე გამოსცა არაერთი ნაწარმოები, რომელაც გერმანული პრესა უაღრესად დიდი შეფასებას აძლევდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გრიგოლ რობაქიძე მიემგზავრება შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში, სადაც ის ემიგრაციაში დარჩა და ცხოვრობდა უკანასკნელი 17 წელიწადი.

სამშობლოს ნებით თუ უნებლიედ მოწყვეტილი, იგი ყოველთვის ცდილობდა ევროპისთვის დაენახვებინა, თუ რა ხდებოდა მის ქვეყანაში, ცდილობდა აეხსნა ყველასთვის, თუ რატომ იყო საკუთარი სამშობლოდან დევნილი, ამ მიზნით იგი ლიტერატურული საქმიანობის გარდა ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობასაც, თანამშრომლობდა არაერთ გაზეთსა თუ ჟურნალში.

საქართველოს ფიზიკურად დაშორებული მწერალი სულიერად არასოდეს დასცილებია მას. შეძლებისამებრ ცდილობდა, ყოველი მოვლენის და ლიტერატურული სიახლეების კურსში ყოფილიყო. არაერთხელ მიმართა თავის ერს („მიმართვა ქართველ ხალხს“, „მიმართვა ქარველ მწერლებს“, „მიმართვა ახალგაზრდობისადმი“). სხვადასხვა ჟანრშიც იმუშავა: თარგმნა „გველის პერანგი“, დაწერა ლირიკული ლექსები, „კავკასიური ნოველები“ (1932), რომანები: „მეგი - ქართველი ასული“ (1932), „ჩაკლული სული“ (1933), „წმინდა გრაალის მცველნი“ (1937) და სხვა... რეალობის აღმქმელი საუკუნეთა სიღრმეებს ჭვრეტდა. მის არაერთ ნაწარმოებში დროისმიერი საზღვარი დარღვეულია. დროის გადაადგილება სათქმელის მხატვრული წარმოსახვის დროს სჭირდება. უკვე ემიგრაციაში მყოფი, ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა: „ხალხი“, როგორც ცოცხალი არსი კრებითი პიროვნებაა. „მთლად“ არ ვლინდება იგი არცერთს ხანაში - ხოლო ყოველ ხანაში იგი „იგივეა“. სხვანი იყვნენ ქართველნი, მაგალითად, მეთხუთმეტე საუკუნეში, სხვანი ვართ ქართველნი დღეს - გარნა ისინიც და ჩვენც ერთნი ვართ და იგივენი: ქართველნი“. მწერლის ყურადღების ცენტრში ქართველობის „შინა-სახე“ ექცევა, ზედროული თვისება.

გრიგოლ რობაქიძე თავის ნაწარმოებში ხშირად ახსენებს სიტყვა „ფესვი“. ეს შემთხვევითი ფრაზა არაა, „მიწის ყვავილი“ იმ ნიადაგის, იმ სამშობლოს ძახილი, რომელიც გეოგრაფიული არეალის მიუხედავად, ყველგან მისწვდება გრიგოლ რობაქიძის გმირებს. გენეტიკური ხსვონა არ მისცემს დავიწყების უფლებას და საშუალებას - „ხერხემალმაგარს“ (მწერლისეული ფრაზა) - არც დავიწყების და არც სიკვდილის. თუმცა სიკვდილიც - არაა დამთავრება, არამედ გარდაცვალება - მთელს დაბრუნება [1; 96-97].

იმ დროს სემინარია თუ გიმნაზიადამთავრებულმა, მით უმეტეს უმაღლესი განათლების მქონე ყველა ქართველმა ახალგაზრდამ, კარგად იცოდა რუსული ენა, მაგრამ თითზე ჩამოსათვლელებს თუ ჰქონდათ შესაძლებლობა ოფიციალურ სტრუქტურებში ემუშავათ და მასთან ერთად, ქართული ეროვნული საქმის წარმოსაჩენად გამოეყენებინათ თავისი ნიჭი და უნარი!.. გრიგოლ რობაქიძემ ეს შესძლო და ამის დასტურია მისი თანამშრომლობა ყოველდღიურ გაზეთ „Кавказ“-ში მთელი 1915 წლის მანძილზე {2; 108].

გაზეთ „Кавказ“-ში გრიგოლ რობაქიძეს 30-ზე მეტი სხვადასხვა ხასიათის მასალა აქვს დასტამბული, ისინი მოთავსებულია გაზეთის მუდმივი რუბრიკებით - „პატარა ფელეტონი“, „ფურცლები“, „შენიშვნები ომის შესახებ“, „ომი და კულტურა“. რუსულენოვან გამოცემაში გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობის შესწავლა მისი შემოქმედების ახლებური წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა - იგი გვევლინება, როგორც დიდი მასშტაბის მოაზროვნე-ინტელექ-ტუალი, თავისი ქვეყნისა და ხალხის ბედზე დაფიქრებული გულმხურვალე მამულიშვილი, სხვათა წარმატებებით გახარებული და ნაკლოვანებათა პირშიმთქმელი პიროვნება.

აღსანიშნავია გროგოლ რობაქიძის ორი გამოსვლა ტუტცინგის კონფერენციაზე. ტუტცინგში (მიუნხენის ახლოს) ტარდებოდა საბჭოთა კავშირის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტის IV სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე მდგომარეობა და პოლიტიკური, ეკონომიკური და ნაციონალური საკითხების განვითარების პერსპექტივები საბჭოთა კავშირში“. მონაწილეობას დაახლოებით 150-ზე მეტი მეცნიერი იღებდა და მათ შორის იყო გრიგოლ რობაქიძე.

ქართველმა მწერალმა კამათში პირველივე დღეს მიიღო მონაწილეობა, კონფერენციის მასალებში ყოველი გამომსვლელის გვარ-სახელის გასწვრივ მითითებული იყო ქვეყანა, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ. დასტამბულია: გრიგოლ რობაქიძე, ფრჩხილებში: „შვეიცარია“, ძნელია წარმოიდგინო იმ წუთში რას განიცდიდა კაცი, რომელიც არაერთ დელეგაციაში საქართველოს სახელით გამოდიოდა. მე კი დაახლოებით იმგვარად მგონია, რომანში „გველის პერანგი“ რომაა მოთხრობილი: ერთ თავად ირუბაქიძეს ნაჩუქარი მეწამული ფაშატი ჰყავდა, რომელზეც მის გარდა არავინ ამხედრდებოდა. ერთხელ დიდმა თამარმა სთხოვა იგი და მეორე დღეს უკანვე დაუბრუნა მადლობით. გატანებამდე „თავად ფერი ეცვალა. ვერავინ გაიგო: გახარების იყო თუ წყენის“. დაბრუნებული ფაშატი კი მომყვანთ უკან გაატანა. თამარს გაუკვირდა - წერს მწერალი - თავად შეუთვალა როგორ მივიღო: როგორც დედოფლის გულმა გადასწყვიტოს“. თუმცა ზოგიერთმა შეიძლება ასე ახსნას: გრიგოლ რობაქიძემ ცხოვრების ბოლო წლები შვეიცარიაში გაატარა...

გრიგოლ რობაქიძე კონფერენციაზე პირველ გმოსვლაში საუბრობს სტალინიზმზე, ხოლო მეორე გამოსვლაში, ის საუბრობს ეროვნულ საკითხებზე, რომ „ბოლშევიზმი არ „ცნობს“ ერს, როგორც ფენომენს, უფრო სწორედ არ აღიარებს მას, იქ ხალხი მხოლოდ სტატისტიკურად მოცემული ადამიანების ოდენობაა. არადა ერი არის ზეგრძნობადი წესრიგის ცოცხალი მთლიანობა“.

„ენა არის კაცობრიობის შინაგანი ცენტრის შემოქმედებითი აქტი, დამოუკიდებლად პირობებისაგან. ამაში და მხოლოდ ამაშია ადამიანური ბუნების ღვთაებრივი ნიშანი. და სწორედ მას, ამ ცენტრს უმიზნებს ბოლშევიზმი, ის ხრწნის მას და ამით ხელს უწყობს იმ უპიროვნო კოლექტიური

წყობის დამკვიდრებას, სადაც აკრძალულია ყველაფერი, რაც საყოველთაოდ აღიარებული არაა“. ჩვენს მიერ მოყვანილი მონაკვეთები, კიდევ ერთხელ ნათელს ხდის, თუ რატომ იყო გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაში და რატომ ვერ ეღირსა საკუთარ სამშობლოში სიკვდილს, მაშინ, როდესაც საქართველოში ბოლშევიზმია გაბატონებული. იგი ბოლშევიზმის უარყოფით მხარეებზე საუბრობს [5; 23-25].

როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლ რობაქიძე გარდა იმისა, რომ თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალებთან და ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, სხვადასხვა კრებულებში აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს.

1950 წელს მაისში პარიზში გამოდის ისტორიულ-ლიტერატურული და სამეცნიერო კრებულის „ბედი ქართლისა“ მეშვიდე, საგანგებო ნომერი. თავფურცელზე დასტამბული წარწერა მიანიშნებს ამჯერად მის გამორჩეულობის მიზეზს: „შესრულდა 32 წელი დღითგან საქართველოს დამოუკიდბლობის აღდგენისა, დიდება 26 მაისს! უკვდავება მისთვის წამებულთ! მარადისობა ქართველებს!“ შესაბამისად რედაქტორს ავტორები და მასალა ფრთხილად შეურჩევია, აქ დაბეჭდილია მიხეილ წერეთლის მიმართვა „უცხოეთის ქართველებისადმი“, კალისტრატე სალიას წერილი და გიორგი ყიფიანის ლექსი, მათ შორის იყო გრიგოლ რობაქიძე და მისი ნოველა „იმამ შამილ“, რომლის ქართული ტექსტი სწორედ ამ ნომერში დაიბეჭდა პირველად, თუმცა გერმანულად ის ჯერ კიდევ 1932 წელს დაისტამბა „კავკასიური ნოველების“ კრებულში [3; 180].

მთელი ჩვენი თაობის გულისტკივილს გამოხატავდა კობა იმედაშვილი, რომელიც წერდა: „გრიგოლ რობაქიძეზე ჩემმა თაობამ ყურმოკვრით თუ იცის რამე, ისიც ხშირად ჭორებისა და ლეგენდების დონეზე“.

დღეს, როცა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის არქივებსა თუ იქაურ ბეჭდით ორგანოებში მოპოვებული მასალები, გააადვილა კვლევა ერთადერთი ქართველი ემიგრანტი მწერლის შემოქმედებისა, რომელმაც ემიგრაციაში გააგრძელა მოღვაწეობა და აღიარებასაც მიაღწია.

გურამ შარაძე ცდილობს გაარკვიოს გრიგოლ რობაქიძის მხატვრული შემოქმედების მნიშვნელობა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს კულტურისათვის, თავის წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“, მოყავს ამონარიდები:

შტეფან ცვაიგის წერილიდან: „პირველად ჰორიზონტზე ჩნდება ერთი ახალი ერი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის რომანით. ქართველთა უძველესი ერი... ცხოვრობს დედამიწის უმშვენიერეს კუთხეს... და მაინც, ჩვენდა სამარცხვინოდ უცნობია ჩვენთვის“.

გერმანული ჟურნალი „ეხტ დერ ცაიტ“-იდან, რომელიც აქვეყნებს წერილს სათაურით „გრიგოლ რობაქიძე - ერთი ნამდვილი პოეტი“. ამ წერილში გრიგოლ რობაქიძე გენიოსადაა გამოცხადებული, თუმცა 1933 წელს, როცა წერილი ქვეყნდება, გერმანია სულ ორი ნაწარმოებით იცნობს მას.

გერმანელი მწერალი ფ. ჰოენტშის წერილიდან: „გრიგოლ რობაქიძე არის სულით არისტოკრატი, სულიერი მეთაური თავისი ხალხისა, იგი ქართველი ერის სახალხო პოეტია, იყვე როგორც იყვნენ ესქილე, სოფოკლე და ჰომეროსი“.

არსებობს ცნობა, რომლის თანახმად გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე თავისი მაღალი შეხედულება გამოუთქვამს თომას მანსაც.

აი, ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდნენ უცხოეთში მყოფ გრიგოლ რობაქიძეს, როგორც მწერალს და როგორც პიროვნებას.

მთავარი კი ის არის, რომ გრიგოლ რობაქიძე არ იყო ორდინალური მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში, მისი შეფასება ღირებულებათა გადაფასებას მოითხოვს. გრიგოლ რობაქიძე - პოეტი, გვერდს უმშვენებს რობაქიძე - პროზაიკოსს, რობაქიძე - დრამატურგს, რობაქიძე - კრიტიკოსს და თეორეტიკოსს. „ასეთი თანაბრად ძლიერი ძალისხმევა სხვადასხვა სფეროში, ნიშნადობლივი ევროპის გამოჩენილ მწერალთათვის, ჩვენში ილია ჭავჭავაძისეული მასშტაბურობის გამოვლენა იყო [4; 28-37].

ლიტერატურა:

1. ნიშნიანიძე რ., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., „ლომისი“, 2000.
2. რობაქიძე გრ., კარლო ინასარიძის კრებული, მიუნხენი, 1957.
3. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქცეშ, „მერანი“, თბ., 1991.
4. ცერცვაძე მ., გრიგოლ რობაქიძე არშემდგარი ნობელიანტი და საბჭოთა მწერლობა, გორის სასწავლო უნვიერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №1, გორი, 2011.
5. გაზეთი „ახალი ეპოქა“, ლიტერატურული დამატება „ჩვენი მწერლობა“, №19-20, 2002.

გალაკტიონის ორი ლექსის თანამედროვე ინტერპრეტაცია

ეკა იორამაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე,** სრული პროფესორი

საქართველოში ყველას საკუთარი გალაკტიონი ჰყავს, ყველა თავის წილ სულის საგზალს პოულობს მის პოეზიაში. ახლიდან აღმოსაჩენიც, როგორც ჩანს, კვლავ და კვლავ ბევრია ამ უძირო და უკიდეგანო, იდუმალ სამყაროში [6–39]. მართლაც, რომ გალაკტიონის ლექსები იმდენად მიუწვდომელი და ამოუწურავია, რომ სხვადასხვა თაობის ადამიანები განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამენ და ახლ–ახალ აღმოჩენებს აკეთებენ მის ლექსებთან დაკავშირებით.

ჩვენ შევეცადეთ განსხვავებული მოსაზრება წარმოგვედგინა და სხვა კუთხით დაგვენახვებინა პოეტის რამდენიმე ლექსი. ერთ–ერთი მათგანი არის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, რომელიც გალაკტიონმა 1947 წელს შექმნა, და რომელიც სიცოცხლის ბოლო პერიოდში დაწერილ სხვა ლექსებთან ერთად აუქმებს ცრუ წარმოდგენას, თითქოს „ნამდვილი გალაკტიონი“ იქ, ოციან წლებში დამთავრდა. ეს ლექსი ფორმის სისრულით და ელვარებით მხარს უსწორებს ქართული ლირიკის უმაღლეს მწვერვალს. ალბათ, ამან ათქმევინა ქებაში მუდამ ძუნწ გრიგოლ რობაქიძეს: „შედევრია ეს შაირი, ნამდვილი შედევრი, სხვა რომ არაფერი შეექმნა გალაკტიონს, ეს შაირიც საკმაო იქნებოდა, რომ იგი შესულიყო ქართულ პოეზიაში, როგორც დიდი ოსტატი “[3;165].

„ნიკორწმინდაზე“ საუბარი უცნაური კითხვით უნდა დავიწყოთ,–კრიტიკოსი თეიმურაზ დოიაშვილი ამბობს, რას ეძღვნება, რას ამბობს ეს ლექსი– ზმანება? ქების ობიექტი სათაურშივეა განსაზღვრული. იგი იქვე დაურთავს გალაკტიონის ჩანაწერს, ამ ლექსის დაწერასთან დაკავშირებით.

„როდესაც ნოკორწმინდელი დურგალი (ნიკოლოზ ვაჩაძე) აქ, შოვში მაგიდას მიკეთებდა, თან მიყვებოდა ამბებს ნიკორწმინდის ჩუქურთმების შესახებ. მე დავპირდი მას, რომ ამ მაგიდაზე დავწერ რამეს ამ ძეგლის შესახებ. მე ეს დაპირება შევასრულე... იმ დღესვე დავსწერე „ ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

სწორედ ასეთია ამ შესანიშნავი ლექსის შექმნის ისტორია, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ერთნი ლექსში ძველი, დიდებული ტაძრით აღფრთოვანებას ხედავენ, სხვებისათვის იგი ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის აპოლოგიაა. „ზოგადი არქიტექტორული მშვენიერების“ საიდუმლოს გამოხატვა, აზიდული ხელოვნების მარადიულობის იდეამდე.

ყველაზე ფართო აზრობრივ კონტექსტში „ნიკორწმინდა“ მედიუმია წარსულისა (ტაძარი) და აწმყოს (ლექსი) დიალოგურ ურთიერთობაში, ქართული სულიერების „ნათლის სვეტია“ „სიმბოლო“ ეროვნულ–კულტურულ ურთიერთობისა,–აღნიშნავს გრიგოლ რობაქიძე[3;166]/

ლექსი ორ ნაწილად იყოფა, პირველ მონაკვეთში ტაძრის აღწერაა, მეორე მის აღმშენებელს ხუროთმოძღვარს განადიდებს.

თავად ტაძრის დახასიათებას უძღვის მატერიალური ელფერის მქონე ეპითეტები–„ სვეტი ნიკორწმინდა“, „ძეგლი ნიკორწმინდა“, „მძლავრი ნიოკორწმინდა“, „ნათლად ნიკორწმინდა“ , მკითხველმა თავის წარმოსახვით უნდა „ააგოს“ , „ დაინახოს “ სახე მისი.

1962 წელს გრიგოლ რობაქიძემ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ქებათა ქება „ნიკორწმინდა?“ „მკვიდრად დგას მიწაზე, მაგრამ ციურობა შვენის. მისი „გრძნეული ჩუქურთმები“ თითქოს ჯადოქრის მიერაა ნაკვეთი. მასში გამოსახვის განსაკუთრებული საგანია ორნამენტი. ჩუქურთმა, რითაც ასეა განთქმული ნიკორწმინდა “

გალაკტიონის ლირიკაში ჩუქურთმას, საზოგადოდ, სიძველისა და მშვენიერების აურა ახლავს, მაგრამ ბუნებაზე ფიქრის პარალელურად ტკბობა სიმბოლოდ ჩამოყალიბდა. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, როგორც ლამანრითმა „კოლოსალური ქმნილება“, „შუა საუკუნეების ეპოპეა“ უწოდა, ჰიუგოს ჩანაფიქრით, მხოლოდ სიყვარულის ტრაგიკული ამბავი კი არ იყო, არამედ „დაფარული ესთეტიკური აზრის მქონე თხზულება“[1;75].

ღვთისმშობლის ტაძარი „დიდებული“ და უმშვენიერესი შენობაა, „მოქარგული და დაკბილული არშია“, „ნარნარა სამყურას ფორმის ჩუქურთმები“, ურიცხვი ნაქანდაკები, სადაც ყოველი ქვიდან გამოსჭვივის ხელოვნების გენიით წარმართული მუშის ფანტაზია.

თუ ამ აღწერილობას „ნიკორწმინდას“ ტაძრის ზოგად მონახაზს შევადარებთ, ბევრს საერთოს შევნიშნავთ, როგორც ჩანს პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის აღწერას პოეტზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და მან საკუთარი პოეზიის შესაძლო სიმბოლო და ესთეტიკური ანალოგია აღმოაჩინა.

„ნიკორწმინდაში“ პირველივე სტრიქონები ლექსისა გამაოგნებელია – „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი როგორც მინდა“. ეს სიტყვები ეკუთვნის შემოქმედს, რომელმაც ზეადამიანური საქმე განაახლა– აღმართა პოეზიის დიადი ტაძარი.[4;35].

„ნიკორწმინდას“ პირველ სტროფში შეფარულადაა ნათქვამი ის, რომ პოეზიის ხელთუქმნელი ძეგლი ანუ სხივოსანი ტაძარი დასრულებულია, პარალელურად, აღწერს წარმავლობაზე ამაღლების, შემოქმედის მოტივს, „ჟამთა სიმაღლე“ დაძლეულია, დრო „კრძალვით“ ქედს უხრის ტაძრის სიდიადეს. იქ, სადაც ზეცისკენ ლტოლვის, აღმაფრენის თემა იწყება, ყველაფერს ფარავს პოეტის ესთეტიკური ხმა.

„ ფრთები, ფრთები მინდა,
კედევ ფრთები გვინდა,
მინდა დავეუფლო
სივრცეს, „ნიკორწმინდა!“

„ქებათ ქებაში“ ღვთიური მადლით ცხებული შემოქმედი გვესაუბრება, რომელსაც ძალუძს „ქვა“ გააცოცხლოს, უნაზესი სიტყვით შეამკოს.

„ქებათა ქება ნიკორწმინას“ გალაკტიონის ძეგლი და ანდერძია. ყოველ სტროფში იდუმალად მიმოფანტული ბგერები გ ლ კ ტ ნ (სახელი გალაკტიონ!) ისევეა განფენილი ლექსში, როგორც სული პოეტისა, მისავე პოეზიაში. სიცოცხლის ბოლოს, „ნიკორწმინდაში“ გალაკტიონმა გვითხრა, რომ არასოდეს მიუტოვებია „წმინდა ხელოვნების გზა, ტაძარი მისი პოეზიის, წმინდა ხელოვნების ტაძარია!“[6;96].

გალაკტიონის ლექსზე შეფასება გრიგოლ რობაქიძისა მე–20 საუკუნისაა, მაგრამ განსხვავებულია საბჭოთა მწერლობის შეფასებისაგან და ამავდროულად ორიგინალურია.

გალაკტიონის, როგორც გენიოსის ზეადამიანური ძალმოსილება და ნიჭი კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა ერთ–ერთ შესანიშნავ ლექსში „დროშები ჩქარა“: როგორც ვიცით, ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა, შევეცადეთ, რომ გადმოგვეცა მისი შექმნის ისტორია.

გალაკტიონ ტაბიძის „დროშები ჩქარა“ კონკრეტული პოლიტიკური მოვლენის ამსახველ ნაწარმოებად იყო მიჩნეული. ითვლებოდა, რომ პოეტი ამ ლექსით შეეგება ოქტომბრის რევოლუციას.

გალაკტიონის შემოქმედების ერთ–ერთმა მკვლევარმა, მ. ციქურიშვილმა, გადაწყვიტა ნაწარმოებისათვის ეს „ლაქა“ მოეშორებინა და აღნიშნა, „დროშები ჩქარა“ საქართველოს აღდგენილ თავისუფლებას ეძღვნებაო. ორივე ვარაუდს ერთი და იგივე ფაქტი ეწინააღმდეგება: ლექსი 1917 წლის მარტით არის დათარიღებული, გამოიცა „გაზეთ სოციალ– დემოკრატებში.“

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ნაწარმოების შესახებ არსებობს გალაკტიონის ჩანაწერი. პოეტი იხსენებს ,თუ როგორ ვითარებაში დაიწერა ლექსი: „ეს მოხდა 1917 წელს, ოცდაათი წლის წინათ, მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულს მე შემატყობინეს, რომ ქუთაისის გენერალ გუბერნატორის მიერ განკარგულება იყო გაცემული ჩემი დაპატიმრების შესახებ, ეს განკარგულება მიეცა ქუთაისის პოლიციას სისრულეში მოსაყვანად, რის შესახებაც მე ჩუმად მაცნობა გუბერნატორის მდივანმა, გვარად დადიანმა. მეც, რა თქმა უნდა, მაშინვე არელეგალურ ცხოვრებაძე გადავედი. ვცხოვრობდი ხან ერთ, ხან მეორე მეგობართან... და აი, პირველად, დიდი ხნის შემდეგ ქალაქში (ქუთაისში) გამოვედი. საღამო ხანი იყო, ქუჩებში არავინ ჩანდა, მე მაინც ძალიან ფრთხილად მივდიოდი, რომ არავის ვეცნე. შევედი თუ არა თეატრის დარბაზში აღელვებულმა აუდიტორიამ იმ წამშივე შემამჩნია და ძახილით „გაუმარჯოს რევოლუციას“ გარს შემომეხვია. თეატრში ისმოდა მქუხარე ტაშისცემა და ძახილი „გაუმარჯოს რევოლუციას“ დროშები! აი, ამ მომენტში, დაიბადა ჩემი ლექსი „დროშები ჩქარა“.

ბუნებრივია ,“დროშები ჩქარა“ ინტერესს მხოლოდ რევოლუციასთან კავშირის გამო არ იწვევდა, მაგალითად, ი. მერაბიშვილის ყურადღებას ამ ლექსის ენიგმური სტრიქონები იპყრობს. მკვლევარი „ცეცხლის მზეს“ ენიგმად მიიჩნევს. იგი წერს „აქ მზის ცნება პოეტმა განსაზღვრა მისთვის უჩვეულო ატრიბუტით, საკუთრივ არსებითი სახელით „ცეცხლი“. ისმის კითხვა: რამ განაპირობა ამ სიტყვის გამოყენება სიტყვა „მზის“ ატრიბუტად და როგორია მათი საერთო სემანტიკური მნიშვნელობა“, ანუ, ის რაც იძლევა მათი შეთანხმებისა და ტექსტში შერწყმის საშუალებას. სინამდვილეში ამ სიტყვების ერთად გამოყენებას ხანგძლივი ისტორია აქვს. ცეცხლი, როგორც მზის მახასიათებელი ჯერ კიდევ იაკობ ხუცესთან გვხვდება.

„ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწყელი იგი მპყრვალებაი მზისაი“[2;35].

მკვლევართა ყურადღებას იქცევს ლექსში მოცემული შემდეგი შედარება...

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს–წყარო ანკარა“.

ეს სტრიქონები „დავითნიდან“ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებიდან, მომდინარეობს: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“.

გალაკტიონი, „დროშები ჩქარას“ დაწერამდეც ეძებდა ფსალმუნისეული სახის განსხვავებულ ფორმას. ინესა მერაბიშვილს მიაჩნია, რომ პირველწყაროსთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს ისიც, რომ

მხოლოდ ფსალმუნთა წიგნის ერთ–ერთ უძველეს რედაქციაში გვხვდება „ირმების გუნდის“ შესაბამისი მრავლობითი რიცხვის ფორმა: „სურინ ირემთა წყაროთა მიმართ წყალთასა“.

აქედან გამომდინარე განსხვავებულია შედარების წევრთა მხატვრული ინვენტარი და სტრუქტურული მხარე. რა საოცარიც არ უნდა იყოს, ის რაც გალაკტიონისეულ სიახლედ არის მიჩნეული, სინამდვილეში აკაკი წერეთლის პოეზიის კუთვნილებაა.

„აბა, გვაცნობე, გასაჯე თავი:
როგორ მშვიდობით ხარ, მეგობარო?
ისე გვწყურია შენი ამბავი,
როგორც დაკოდილს ირემსა წყარო!

მკვლევარი ნათია სიხარულიძე აღნიშნავს: „უცნაურია, რომ ეს ფაქტი გალაკტიონს შეუმჩნეველი დარჩა, თორემ იგი მისი სათაყვანო აკაკის მიერ გამოყენებული ეპითეტის სინონიმს რომ მიმართავს; მასში განსაკუთრებული არაფერია, თვითონვე აღნიშნავდა, რომ მუდამ პატივს მიაგებდა წარსულის დიდებულ და პატივსაცემ სტილს და „ძიებაში განმეორება სხვათა მიერ შემოტანილი „სიახლისა სავსებით დასაშვებად მიაჩნდა“[4;36]. ასეთია მიდგომა ლექსისადმი 21–ე საუკუნის მკვლევართა.

როგორც ვხედავთ, ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ლექსი, მკვლევართა მიერ განსხვავებული კუთხით არის დანახული და განხილული. გალაკტიონის შემოქმედების ორიგინალობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი ლექსების ამომწურავად განხილვა ვერ ხერხდება, რადგან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები მის შემოქმედებაში ყოველთვის ახალ–ახალ აღმოჩენებს აკეთებენ.

ლიტერატურა:

1. გალაკტიონოლოგია, თბ., 2008.
2. ინესა მერაბიშვილი, გალაკტიონის ენიგმები, თბ., 2008.
3. გრიგოლ რობაქიძე, კრებული, გამომცემელი კარლო ინასარიძე, მიუნხენი, 1987.
4. ჩვენი მწერლობა – ნათია სიხარულიძე, ორი ეტიუდი გალაკტიონზე, №11, 2009.
5. ჩვენი მწერლობა – ლევან ჯაში, კიდევ ერთხელ უცნობ გალაკტიონზე, №6, 2010.
6. ქართული სიტყვა – თეიმურაზ დოიაშვილი, ფრთები და დიადემა, თბ., 2008.

ЛИТЕРАТУРНЫЕ КАФЕ САНКТ-ПЕТЕРБУРГА НАЧАЛА XX ВЕКА – “ЛЕТУЧАЯ МЫШЬ ”

Нино Маркарова
ст. 3 к. спец. англ. филология гуманит. фак.
рук. проф. **Н.Хинчагашвили**

«Лету́чая мышь» — первый и лучший дореволюционный русский театр миниатюр, возник ший из пародийно — шуточных представлений актёров Московского Художественного театра под руководством Никиты Балиева. Первоначально «Летучая мышь» задумывалась как интимный артистический кружок артистов МХТ и их друзей, содружество актёров МХАТа.

Душой кабаре был артист МХАТа Никита Федорович Балиев (настоящая фамилия Мкртич Асвадурович Балян). История его жизни очень интересна. Однажды он вместе со своим другом, меценатом Николаем Тарасовым, известным нефтепромышленником, приехал из Ростова. Балиев мечтал попасть во МХАТ. Внешность у него была своеобразная - он был маленький, толстенький, смешной, с ростовско-армянским говором. Естественно ни о каком попадании в самый интеллектуальный на тот момент театр как МХАТ, речи быть не могло. Но однажды случилась беда во МХАТе – они прогорели, съездив на гастроли, и Николай Тарасов сказал: "я дам денег в театр, если вы возьмёте Балиева". Балиева взяли… Сыграл он, к сожалению, только одну роль – Хлеба в "Синей птице" – больше ему не давали никаких ролей из-за его говора и специфической внешности, но раз в году он становился королём МХАТа – во время Великого Поста. На Великий Пост, как известно, мясо есть нельзя, работать тоже не полагается, но веселиться-то хочется всегда. Артисты театра МХТ веселились от души.

Директором театра был друг Балиева - Николай Тарасов тоже имел странную, типично декадансную судьбу. В душе Тарасов был поэтом. Он любил ярко освещённые залы, в которых непременно выбирал себе тёмный угол. Любил войну острот, но сам был скуп на слова. Этот молодой человек одновременно сочетал в себе сарказм, нежность и грусть, пикантность и недосказанность. Но, он не смог познать радость жизни и оценить щедрость всех этих даров. Тарасов мог легко набросать куплеты и сложить «песенку на злобу дня» или

острую эпиграмму. Он был очень красивым человеком, но почему-то считал, что женщинам он нравится из-за денег. Хотя, глядя на него, это было сложно себе представить. У него была любовница – Ольга Грибова – жена богатейшего московского купца, дочь известного московского ювелира, красавица, женщина света, у которой, в свою очередь, был ещё один любовник – то ли корнет, то ли юнкер, который однажды проигрался. Она пришла к Тарасову с просьбой заплатить за него карточный долг. Тарасов ответил, что просьба сама по себе абсурдна и что это нереально. "Но ты понимаешь, что он застрелится?", - спросила она. "Пусть стреляется", был ответ. "Тогда застрелюсь я", сказала она. И они все застрелились в один день: вскоре после этого разговора Тарасов вечером читал за ужином вечернюю газету и наткнулся на объявление о смерти Грибовой и ее любовника. Тарасов поднялся на второй этаж. Послышался звук выстрела.

Балиев, которому сообщили о смерти Тарасова во время спектакля, нёсся из Гнездниковского переулка к Большой Дмитровке. Есть описание, как он летел туда, но, к сожалению, опоздал. Тарасов умер в возрасте 28-ми лет, его похоронили на Армянском кладбище. Существовал совершенно потрясающий памятник, такая странная скульптура Андреева: беспомощная фигура, беспомощное молодое лицо, очень трагичное, очень красивое. Во время войны тогдашний руководитель МХАТа снял её специально, чтобы она не была переплавлена на танки и вот некоторое время назад в "Летучую Мышь" позвонили из МХАТа и пригласили на открытие памятника. Как и много лет назад на могиле стояло два венка – один от МХАТа и один от Летучей Мыши. Переоткрывали памятник тем же составом.

Во все времена театральные антрепризы должны ориентироваться на зрительскую аудиторию, иначе они прогорят. Но актёрам МХАТа хотелось укрыться от посторонних глаз в уютном месте, куда можно прийти после спектакля и расслабиться от академических театральных традиций и внешнего мира. Создание такого рода клуба стало необходимостью для актёрского уединения, где в узком кругу можно было разобрать спектакли и с нежной иронией сочинить пару скетчей о своём любимом театре. Идея создания актёрского клуба была рассчитана не на публику, а на её полное отсутствие. Собственно, публика и не должна видеть своих театральных героев в будничной обстановке.

В «закрытый» клуб входили известные актёры Художественного театра: Ольга Книппер-Чехова, Качалов, Москвин, Коонен. Воплотив свою мечту о собственном театре, Никита Балиев превратил актёрское кабаре, интимный клуб актёров МХАТа — в общедоступный коммерческий театр, вместе с тем сохранив атмосферу бывшего пристанища художественной богемы. Спектакли стал посещать Константин Сергеевич Станиславский.

Устав кружка «Летучая мышь» был представлен на регистрацию в городское присутствие, о чём позднее сообщала газета «Русское слово». Такой устав подписали Никита Балиев, Николай Тарасов и Василий Качалов. Соучредителями стали 25 актёров, и ещё 15 членов клуба предлагалось избрать путём голосования. Но этот план «потерпел неудачу». Как раз закрытость и привлекала внимание, как только Балиев сообщил, что «это будет клуб Художественного театра, недоступный для других, и стать его членом будет безумно трудно», в скором времени «хлынули совсем посторонние элементы» и «предполагаемая» интимность театра была разрушена. Подвал наполнился богемными музыкантами, художниками, писателями и завсегдатаями московских театров.

2 февраля 1908 года, Балиев и Тарасов спустились в слабо освещённый подвал дома Перцова (напротив Храма Христа Спасителя). Навстречу им выпорхнула летучая мышь. Так родилось название театра, а летучая мышь стала его эмблемой, пародируя мхатовскую чайку на занавесе.

Над входом в театр висела надпись «Все между собой считаются знакомыми», и желанные гости «Летучей мыши» могли расписаться в знаменитой книге рядом с автографами самого К. С. Станиславского, В. С. Качалова, О. Л. Книппер-Чеховой, Рахманинова и Айседоры Дункан. «Околотеатральная публика» сразу попадала в самую гущу полной событий закулисной жизни. На одном из апрельских вечеров в зале одновременно оказались Анна Павлова, Сергей Дягилев, Игорь Стравинский, Лев Бакст, Константин Бальмонт, Алексей Толстой. Это была оценка уровня.

Представления в «Летучей мыши» начинались в 23 часа 30 минут вечера. Зрители рассаживались по своим местам, гасился свет, а из партера на сцену, крадучись, направлялись актёры. Одетые в развевающиеся, как крылья летучей мыши чёрные балахоны, они, в такт мерцания красных лампочек, шёпотом напевали что-нибудь веселенькое. Уже вовлечённая в процесс публика чувствовала себя на «равной ноге» со знаменитыми артистами. Экспромты «случайно» оказавшихся в подвальчике «Летучей мыши» Веры Николаевы Пашенной, Николая Фёдоровича Монахова и даже Мари Петипа, на самом деле были продуманы и даже оплачены Балиевым. Таким образом, достигалось полное слияние зрительного зала и сцены. Богема состояла из коммерсантов, респектабельных чиновников и преуспевающей интеллигенции, которая играла в «художников» и «лицедеев».

Начиная с 1902 года Балиев делал так называемые "новкапы", то есть новогодние капустники, ещё и капустники на Пасху. Само слово "капустник" произошло не из МХАТа, его ввёл ещё Щепкин, на показах Малого театра. Но тем ни менее оно закрепилось за МХАТ.

Пасхальные праздники были действительно уникальны, их описание, которое существует в Бахрушинском музее, просто потрясающее. Во время их проведения раздавались такие распоряжения – Камергерский окружить конной полицией, так как толпа валила внутрь, мечтая попасть в театр на эти праздники.

Благодаря большому количеству поклонников театра-кабаре и успеху спектаклей, в 1915 году «Летучая мышь» переехала в специально приспособленный театр с функциональной сценой, зрительным залом и буфетом. Спектакли игрались в подвале доходного дома № 10 на Большом Гнездниковском переулке, называемым «Первым домом Нирнзее», который в то время казался небоскрёбом.

Антреприза перешла на коммерческую основу, деньги в бюджет лились рекой, гремели аплодисменты и комплименты. Продавались билеты, анонсировались спектакли, выпускались рецензии в газетах и журналах. С этого момента исчезла обстановка варьете, не стало столов, исчез звон бокалов и скрежет ножей по тарелкам; и «Летучая мышь» преобразилась в театр. Входная плата, по тем временам, была высокой, в буфете давали дорогое шампанское. Антреприза Балиева оказалась весьма успешной, и вскоре капитал общества «Летучей мыши» составил 100 000 рублей.

Изящная и тонкая, точная и колкая на оценки поэтесса и фельетонистка Надежда Тэффи шутила: «Дайте Балиеву страничку из телефонной книги – он закажет к ней музыку, подберет декорации, танцы и труппу, - и вы увидите, что за штука получится».

Популярность кабаре зависела не только от актеров, но и художников-оформителей, их задора, балаганности – интеллигентной и тонкой. Балиев это понимал и не искал художников среди французов, как это делал Дягилев. Спектакли оформляли чаще всего Судейкин, Шухаев, Добужинский, Сарьян. с первого захода покорившие впоследствии Париж.

Балиев, в отличие от очень красивого и богатого Тарасова, был очень реалистичный человек. Он считал, что жизнь на то и дана человеку, чтобы её прожить. Наверное, поэтому все актрисы "Летучей Мыши" были либо его жёнами, любо любовницами. Он был привередлив к русским женщинам, но вот армянских и еврейских любил... Жили они всей труппой в том же доме Нирнзее, в котором были квартиры гостиничного типа, без кухонь, с кнопками, с помощью которых вызывалась наверх еда, в этом же доме находилась мастерская …. и кинотеатр на крыше.

Успех у Балиева был огромный. Надо сказать, что Летучая Мышь, в отличие от МХАТа, никогда не прогорала, более того, Балиев уже после своего отъезда за границу спас МХАТ от очередного экономического кризиса – он спас их от прогоревших гастролей. Станиславский считал, что на гастроли должна ехать вся труппа, и массовка тоже, так как каждый человек в труппе важен, и даже актёр, озвучивающий кузнечика, должен знать биографию своего персонажа до седьмого колена..., так что ехали они в составе не менее 100 человек. Понятно, что при любых условиях это безумие, но, тем ни менее, Станиславский шёл на это. Не прогорая творчески, они прогорали экономически.

Судьба Балиева оказалась трагикомичной. В одно прекрасное утро, поняв, что здесь, в России, его ничего не ждёт, он уехал… Сначала к себе в Ростов, попрощаться со своей сестрой, которой он оставил на память свой котелок с деньгами – то ли корниловскими, то ли деникинскими...

И в одно прекрасное утро труппа проснулась и обнаружила, что другая половина труппы, в основном её женская часть, во главе с Балиевым отплыли в Константинополь. Они уехали в Париж, где они уже назывались "La shouve sourrie" – "Летучая Мышь", и надо сказать, что они довольно успешно работали в Париже и с большим успехом гастролировали на Бродвее. Конец истории жизни Балиева рассказала одна пожилая актриса – Фаина Георгиевна Зелинская-Кальканья, одна из актрис "Летучей Мыши", певшая знаменитую в то время "Катеньку". Вот что она рассказала: "Вы знаете, Балиев был игрок и играл на бирже. И проигрался. И от расстройства умер в возрасте 60-ти с чем-то лет. В этот год театр прекратил своё существование. Актёры…кто-то вернулся домой, кто-то остался там. Но "Летучая Мышь" перестала существовать.

Существует совершенно потрясающий американский буклет, где свои (восторженные) отзывы о театре оставили и Мелани Гриффит, и Чарли Чаплин. Конечно, репертуар театра оставался российским, русским.

Балиев поднял этот жанр до уникальной, невиданной высоты. Он занимался созданием не только таких уникальных дивертисментов и весёлых пародий, в которых принимали участие и Станиславский, и Немирович-Данченко, где Вахтангов ставил своих знаменитых "Оловянных солдатиков".

Балиев ставил и "Пиковую Даму", и "Нос" Гоголя, сейчас это было бы очень интересно посмотреть в этом маленьком помещении – ведь это было особое зрелище, шкатулка, свой особый мир. Балиев пришёл к тому, что кабаре – это особый взгляд на мир свободного, ироничного, умного человека.

После октября 1917 года театр не смог приспособиться к новым условиям. Вскоре после очередного юбилея «Летучей мыши», торжественно отмеченного 12 марта 1920 года, Балиев отправился на гастроли по Кавказу, а оттуда с небольшой группой артистов выехал за границу. «Летучая мышь» возродилась в Париже. Впервые спектакли прошли в парижском театре «Феллина». Затем последовали гастроли в Испании, Англии. С февраля 1922 года балиевская «Летучая мышь» гастролировала в Нью-Йорке, после чего последовали выступления на западном побережье США - в Голливуде, Лос-Анджелесе. Поначалу игрались старые программы. Постепенно обновляя состав труппы и репертуар, театр гастролировал по европейским странам, США, Латинской и Южной Америке, играя на английском и французском языках. Великая депрессия 1929 года разорила Балиева. В 1931 году «Летучая мышь» перебралась в Европу и вскоре прекратила свое существование.

Сто лет спустя в 2008 г. в Москве театр был восстановлен Григорием Гурвичем. Сегодня он функционирует, юбилей кабаре был отпразднован очень весело и пышно.

ЛИТЕРАТУРА:
1. Бессонов В., Янгиров Р. Большой Гнездниковский переулок, М., 1990
2. Тихвинская Л. Кабаре и театры миниатюр в России.М.,1995
3. Эфрос Н. Театр «Летучая мышь» Н.Ф.Балиева.М.,1989
4. http://www.showbat.ru/

ШОТЛАНДСКИЕ ПРЕДКИ М.Ю.ЛЕРМОНТОВА

Мариам Надирашвили
Мака Варданашвили
ст. 3 к. спец. англ. филология гуманит. фак.
приглаш.спец. **Е.Хирсели**

В 1981 году в РФ вышла "Лермонтовская энциклопедия", в которой помещена наиболее полная родословная Лермонтовых (сост. С. А. Панфилова). В её составлении участвовала целая группа авторов, разработавшая полную структурную схему родословия Лермонтовых, включающая в себя все четыре ветви рода Лермонтовых: Измайловскую (к которой принадлежал поэт), Острожниковскую, Кузнецовскую и Колотиловскую. В них Лермонтов значится под номером 92 в 8-м колене рода.

Цель нашей работы - исследовать происхождение, генеалогическое древо (со стороны отца) великого русского поэта М.Ю.Лермонтова. Рассмотреть ведущие версии исследователей изучающих генеалогию Лермонтова.

Лермонты - очень большая семья, распространенная по всему миру. Лермонтовы – предки Михаила Юрьевича, всегда служили России. Они были воеводами, губернаторами, предводителями дворянства. адмиралы, генералы, дипломаты. Юлия Лермонтова (1812-1877) – первая женщина доктор химических наук, друг Софьи Ковалевской. Эта фамилия дала миру многих выдающихся людей: Андреев, Вербицкий, Воронцовы, Врангель, Гайдар, Катенин, Михалковы, Оболенские, Писемские, Трубецкие, Соловьёвы, Сумароков, Шаховские, Стюарты, Миллеры.

По составленной схеме, родословие Лермонтова содержит, кроме русской (Столыпины,), также шотландскую (Лермоны), литовскую (Рыкачевы) и татарскую (Арсеньевы) ветви.

Просхождение фамилии лермонтоведы относят к 1057 году. С историей рода Лермонтовых связаны многие достопримечательные места Шотландии - Эрлстон, Бервик, Данбер, Дерси, Сент-Эндрюс, Балькоми. Род Лермонтовых восходит к средним векам и легендарен в своих истоках - он начинается с шотландского поэта Томаса Лермонта, прозванного рифмачом или Томасом Стихотворцем из Эрсильдауна. Вальтер Скотт посвятил этой легендарной личности поэму «Томас-певец». По словам писателя, "мало кто так прославлен в преданиях, как Томас из Эрсильдауна". Его творчество и жизнь окутаны завесой тайны, ибо в личности этого значительного человека своего времени соединились поэтический талант и дар предвидения. Он представлял собой нечто вроде тогдашнего Нострадамуса, ведуна и прозорливца и предсказал трагическую и неожиданную смерть короля Александра III. Томас предрек союз Шотландии и Англии, который суждено было осуществить потомку из рода Брюсов:

То будет сын французской королевы,
Он править станет всей Британией до моря;
Из рода Брюсов будет он по крови
В девятом поколенье, я предвижу. 2

Имя пророка - одно из первых в ряду поэтов, прославивших национальный шотландский эпос. Как пишет В.Скотт, "память о нем сохраняется и почитается. Дерева Эйлдон, под сенью которого он произносил свои предсказания, сейчас уже больше не существует, но это место помечено большим камнем. До сих пор сохранились развалины древней башни, известной как Башня Томаса».

Существует древняя мистическая шотландская легенда, повествующая о том, что в юном возрасте Томас был похищен Королевой Волшебной Страны в Эльфляндию, где он приобрел все свои знания, которые сделали его столь знаменитым. Спустя семь лет он был отпущен на землю, чтобы просветить и изумить шотландцев силой пророчеств, при условии, что вернется к своей повелительнице, как только она этого пожелает. Прошло много лет. И вот однажды, когда бард пировал с друзьями в замке Эрсильдаун, человек, испуганный и удивленный, вбежал в зал, заявляя, что из ближнего леса вышли олень и олениха и спокойно и медленно шествуют по улицам селения. Прорицатель поднялся, покинул свое жилище и последовал за удивительными

зверями. Его больше никто и никогда не видел. Народное предание гласит, что он до сих пор "несет свою судьбу" и может опять вернуться на землю.

Замок Дерси, древняя резиденция могущественных и воинственных родов, был живописно и удобно расположен на вершине крутого склона в глубокой излучине реки Иден. Здесь решались государственные дела, проводились политические диспуты, и даже заседал Парламент Шотландии 1335 году. Лермонты появились в Дерси в середине XV века. Вполне вероятно, что род получил имение через церковь из-за своего политического влияния. На протяжении длительного времени они были мэрами Сент-Эндрюса. На гербе этого города девиз рода Лермонтов: "Dum spiro spero" ("Пока дышу - надеюсь"). В наши дни можно увидеть лишь руины древнего замка. В последние годы они стали привлекать внимание историков, архитекторов, археологов и просто патриотов своего края. Многовековая история замка Дерси продолжается.

Древняя резиденция могущественных и воинственных родов была живописно и удобно расположена на вершине крутого склона в глубокой излучине реки Идеи. Замок был собственностью епископа Сент-Эндрюса Арнольда, когда он передал его монастырю в 1160 году. В документальных источниках есть ссылки на Дерси как на поместье епископа, относящиеся к XIII веку и, возможно, к более раннему времени. Замок Дерси был местом, где решались государственные дела: здесь проводились политические диспуты в 1315-1316 гг., в 1335 году заседал Парламент Шотландии.

Лермонты появились в Дерси в середине XV века, когда один из потомков семьи Лермонтов из Эрсильдауна женился на наследнице рода Дерси, Джанет де Дерси. Лермонты в это время были достаточно влиятельны и имели большой вес в церкви. На протяжении длительного времени они были мэрами Сент-Эндрюса. На гербе этого города тот же девиз, что и на гербе Лермонтов: "Dum spiro spero" ("Пока дышу - надеюсь").

Один из известных в истории Лермонтов из Дерси, сэр Джеймс Лермонт, мэр Сент-Эндрюса в 1546 г. был управляющим при королевском дворе, хранителем сокровищ Шотландии, мудрым дипломатом и советником короля Джеймса V. Сэр Джеймс одним из первых в Шотландии принял протестантство и участвовал в убийстве кардинала Битона в Сент-Эндрюсс в 1546 году. Одному сыну сэра Джеймса перешел замок Балькоми, а второму – Дерси.

В наши дни можно увидеть лишь руины древнего замка. В последние годы они стали привлекать внимание историков, архитекторов, археологов и просто патриотов своего края. Начато изучение этого исторического памятника археологами Сент-Эндрюсского университета. Создано Общество по возрождению замка Дерси. Его представитель Дэвид Скотт недавно побывал в России по приглашению ассоциации "Лермонтовское наследие" и рассказал об истории замка Дерси, работах по его восстановлению, передал интересные фотографии и материалы. Среди них - изданные в Эдинбурге в 1791 году "Стихотворения. Пасторальные, сатирические, трагические и комические" Джона Лермонта, "садовника по профессии, поэта по призванию, как он сам о себе пишет. Многовековая история замка Дерси продолжается. Его новый владелец Кристофер Расселл намерен вернуть замок к жизни, разрабатывается проект его реставрации.

По мнению современных исследователей истории, изучающих генеалогию Лермонтов, предок русского поэта М.Ю. Лермонтова - Георг Лермонт - произошел из Лермонтов Балькоми. В пятнадцати милях к юго-востоку от замка Дерси расположен замок Балькоми, принадлежавший другой ветви Лермонтов. Вальтер Скотт, исследуя архивные судебные дела, обнаружил материалы о Лермонтах из Балькоми, которые были известны в основном своей судебной и юридической деятельностью. В XVI веке здесь жил предок Джорджа Ноэла Гордона Байрона, королевский адвокат Гордон, женой которого была Маргарет Лермонт. Таким образом, Лермонтовы оказываются связанными родственными узами с родом Байрона. К сожалению, сам Лермонтов не знал, что является дальним родственником своего кумира Байрона.

В конце XVI - начале XVII веков многие Лермонты из Балькоми стали "солдатами удачи" - военными наемниками. Судьба развела их по разным странам. Один из них, Георг Лермонт, воевал в составе польской армии против России в 1613г. и был взят в плен (по другим данным сам остался в России). Он поступил на службу, ему были пожалованы земли в Костромской губернии. Это и был родоначальник русских Лермонтовых.

Хорошо известно, что Лермонтова с юных лет волновал вопрос его происхождения. Сведения о родословии были необходимы ему для самопознания и самовыражения. Особое внимание он уделял преданию об испанском гранде графе Лерме, будто бы бежавшем от мавров в Шотландию и там положившем начало роду Лермонтов. Юная фантазия Лермонтова колеблется между этим чарующим преданием о родоначальнике-шотландце и другой, также пленительной для него мечтой - о родстве с испанским герцогом Лерма. Он называет Шотландию "своей", считает себя "последним потомком отважных бойцов", но в то же время охотно подписывается в письмах M. Lerma. В стихотворении «Желание» (1831) поэт пишет:

Последний потомок отважных бойцов
Увядает средь чуждых снегов;
Я здесь был рожден, но нездешний душой...
О! зачем я не ворон степной?... 1

В ранних опытах Лермонтова привлекают внимание работы, образующие "испанский цикл". Обращение к Испании, традиционное для тогдашнего искусства, связано с драматической историей испанской революции,

но в лермонтовском увлечении присутствуют и личные мотивы. Стремление к свободе - главному романтическому идеалу - молодой поэт выражает на испанском материале. В 1830 году была создана трагедия "Испанцы". Акварели и рисунки "Испанец с кинжалом", "Испанец", "Испанец с фонарем и католический монах", "Испанец в белом кружевном воротнике", портретная миниатюра Эмилии - героини "Испанцев" представляют собой авторские иллюстрации к ней. Самое значительное в этом цикле - "Портрет герцога Лермы" (1832-1833), первое известное живописное произведение Лермонтова. Своему легендарному предку художник придал автопортретные черты. Резкий боковой свет подчеркивает напряженную скорбь в темных глазах, в складке плотно сомкнутого рта. "Испанская страсть", в соответствии с романтическим каноном, - потаенная, сдерживаемая усилием воли, подобно тому, как скрывается тело под глухим покровом одежды.

Плохой репутацией правление Филиппа III в основном обязано стилю его осуществления. Если во время Филиппа II утвердилась система коллегиальных органов, советов и особых специальных комиссий, то новый правитель в первую очередь полагался только на одного советника, который в качестве особого канцлера или премьер-министра принимал на себя разнообразные служебные обязанности - тенденция, которая начала проявляться уже в конце правления Филиппа II. Занимал это новое положение первого доверенного герцог Лерма.

Влияние Лермы, который в качестве главного конюшего сопровождал инфанта на прогулках верхом и на охоте, начало сказываться, к мелочной ревности его коллег по двору, еще во время Филиппа II. После этого он был назначен вице-королем Валенсии (1595) и тем самым отстранен от двора, однако уже через два года возвратился в Мадрид.

На следующий день после вступления на престол Филипп III дает указание членам королевских советов о том, чтобы весь поток документов впредь проходил через руки его privado - герцога Лерму. В декабре 1598 года к должности конюшего Лерма получает не менее важную должность камергера, позволяющую в любое время входить в королевские покои. Отныне Лерма следует за монархом по пятам и таким образом контролирует всю деятельность и контакты Филиппа.

По мере сил Лерма старался очистить двор от нежелательных критиков. Среди бывших близких доверенных лиц Филиппа II немногим удалось сохранить видное положение при дворе. Само собой разумеется, он пользовался своей властью, чтобы поставить на важные государственные посты своих доверенных лиц. Лерма целенаправленно создавал свою группировку, где определяющую роль играли семейные и родственные связи. Чтобы в первом же году оградить молодого короля от влияния двора, опытный, почти в два раза старше его, сорокапятилетний Лерма организовывал для монарха поездки. Однако едва ли privado мог в полную силу использовать, таким образом, полученную свободу действий. Ему самому недоставало тех качеств, которые необходимы человеку, занимающему столь ответственное место. Его склонность к самообольщению не осталась незамеченной современниками. Он был столь же восприимчив к лести и похвалам, как нерасположен к изучению документов. Решения часто откладывались в долгий ящик. Господство Лермы сопровождалось бесконечными финансовыми скандалами.

В начале XVII века, когда Шотландия переживала смуту. Георг Лермонт с несколькими соотечественниками покинул родину и поступил на службу к польскому королю Сигизмунду. Ратная служба и привела Георга в составе наемного отряда в крепость Белую для защиты ее от наступающих русских войск.

В августе 1613 года полки князя Черкасского окружили крепость. Гарнизон оказался в безвыходном положении. Отряд шотландских добровольцев начал переговоры с русскими и перешел на службу к московскому царю. В их числе был и Георг Лермонт. "Шацкий" (шотландский) воин был принят с почестями и признанием дворянского достоинства. Георг стал именоваться Юрием.

В 1617 году он вновь в числе "бельских сидельников" защищает крепость. Теперь уже от поляков. Сохранилась челобитная Лермонта царю. "Мы холопы твои с выезда Бельского по се поры твоими царскими великипоместными окладами .и готовым денежным жалованием не верстаны"... К сей челобитной "руку приложил поручик роты Юшко Лермонт". Царь Михаил принял поручика Лермонта в русское подданство я "верстал его поместным и денежным окладом": в Галичском уезде он получил девять деревень с пустошами.

Георг Лермонт служил верой и правдой новому отечеству. Он сражался под Белым, Можайском и в Москве у Арбатских ворот, куда прорвались отряды королевича Владислава и погиб в сражении под Смоленском в 1634 году. После его смерти осталось трое сыновей. Средний из них - Петр окончательно обрусел, принял православную веру. У него было два сына - Евгений и Петр. Петр, впоследствии воевода Саранский, принял в 1653 году крещение в православную христианскую веру. От Георга (Юрия) Лермонта следуют по прямой линии: Петр Юрьевич, Евтихий Петрович, Петр Евтихиевич, Юрий Петрович, Петр Юрьевич, Юрий Петрович и, наконец, Михаил Юрьевич Лермонтов. Прапрадед Михаила Юрьевича Лермонтова служил при Петре I, выполнял его личные поручения.

Пришедшие в Россию представители этих иностранных фамилий женились на русских женщинах, перенимали язык и обычаи страны, переходили в православную веру. Они не за страх, а за совесть служили своему новому отечеству, за что верстались поместьями и награждались вотчинами, создавали на пожалованных им земельных угодьях очаги хозяйствования и культуры, способствуя тем самым процветанию России. В одном из таких очагов и вырос гений Лермонтова.

В заключении мы хотели бы привести слова Л. И. Савелова: "Редкий русский род древ-него происхождения не имеет в основании своем какой-нибудь легенды (об иноземном предке), ни на чем не

основанной и не могущей быть проверенной, но часто до того входящей в сознание представителей рода, что считается вполне достоверной".

Можно предположить, что интерес Лермонтова к легенде о графе Лерме являлся также выражением своеобразной психологической реакции "преодоления" суждений об относительной бедности и захудалости рода Лермонтовых, распространяемых его родственниками со стороны матери (Столыпиными и Арсеньевыми).

Работа над изучением рода великого русского поэта продолжается и сегодня. Функционирует Ассоциация «Лермонтовское Наследие", офис находится в Москве. Президентом Ассоциации является Михаил Юрьевич Лермонтов, сопредседателем - Татьяна Павловна Молчанова – канд. биолог. наук, автор книг и публикаций о роде Лермонтовых. В оргкомитет "Ассоциации Лермонтовское Наследие" входит филиал в Мэриланде (США). С помощью Ассоциации удалось выявить новых членов большой лермонтовской семьи.

Некоторые фамильные истории – настоящая драма. В 1944 году на Балканах встретились два кузена – дети царских офицеров, разбросанные по миру революцией и Гражданской войной. Один Лермонтов штурмовал армию генерала Власова, другой - партизанил в Югославии; Лермонтовых нашли в Рио-де-Жанейро, США.

Нынешние члены фамилии поставили перед собой практическую задачу – восстановление усадьбы Середниково как музея-заповедника памяти Лермонтова-поэта. Взятое в долгосрочную аренду Середниково стало центром для сбора членов фамилии. Сюда ежегодно съезжаются Лермонты-Лермонтовы, чтобы по-семейному отметить важные события в истории рода.

В 2007 г. Ассоциация отметила празднование 950-летия фамилии. К юбилею у русских Лермонтовых нашелся особый подарок. Род получил шотландский символ клана – клетку-тартан. Тартан – это не просто клановый узор на шерстяной ткани, а одновременно герб и флаг, на основе которого изготавливают традиционные шапочки, шарфы и юбки-килты, символизирующие принадлежность к роду. Черные, желтые, красные и серые полоски на лермонтовском тартане повторяют цвета семейного герба шотландских Лермонтов. Голубая и белая полосы - цвета креста Святого Андрея, почитаемого и в Шотландии, и в России.

На международном торжестве собрались потомки Лермонтовых со всего мира: русские, английские, австралийские, канадские, американские, ново-зеландские. Род Лермонтов-Лермонтовых теперь един.

ЛИТЕРАТУРА:

1. Лермонтов М.Ю. Собр соч. в 4 тт.М., 1975, т.1., с. 86
2. В. И. Загорулько "Лермонтовы". С–Пб, 1998, с.2
3. http://lermontov.niv.ru/lermontov/family/

ჰუმანიზმი „ვეფხისტყაოსანში“

ნინო სოზიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **შოთა ქურდაძე,** სრული პროფესორი

რუსთველოლოგთა (ალექსანდრე ბარამიძე, კორნელი კეკელიძე, ელგუჯა ხინთიბიძე და სხვ.) ნაშრომებში ჰუმანიზმი „ვეფხისტყაოსანში“ გაგებულია პოემის ავტორის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად. ცხადია ასეთი მიდგომა ყველასათვის გასაგებია, მაგრამ თანამედროვე პირობებში, როცა ვსწავლობთ პოემის იდეურ-თემატიკურ მოტივებს, ვფიქრობთ, რომ ჰუმანიზმი გავიგოთ ისე, როგორც დასახელებულ მოტივთა საფუძველთა საფუძველი, რადგან გლობალიზაციის პირობებში უფრო ნათელი და გასაგები იყოს მკითხველისათვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადსაკაცობრიო იდეებისა და ეროვნული სულიერების ურთიერთობას, რადგან, როგორც დიდი ვაჟა ამბობდა: „ეროვნული სულიერება და ჰუმანისტური იდეალები კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, არამედ უნდა ავსებდეს და ავითარებდეს“. ამიტომაც, შეიძლება ვთქვათ, რომ პოემის იდეურ-თემატიკურ მოტივთა შორის ერთ-ერთი უპირველესი ზოგადშემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ჰუმანიზმს.

ვაჟა-ფშაველა თავის ერთ-ერთ ნაშრომში "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" ამბობს: "ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად... "ჰამლეტით", მეფე ლირით", ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურ ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებს. შორს რად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება "ვეფხისტყაოსნით" და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს ან უნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არას დროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, სიყვარული, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება". [2, გვ.53]. ეს მართლაც ასეა, რუსთაველის შემოქმედებითი გენია შეუდარებელია, რადგან როდესაც შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანს" კითხულობ, რწმუნდები, სად გადის ადამიანების შესაძლებლობების ზღვარი: ჩვენს ქვეყანას საბედნიეროდ მრავლად ჰყოლია ისეთი შემოქმედნი, ნებისმიერი ეპოქისა და ხალხის ხელოვნებას რომ დაამშვენებდნენ, მაგრამ ქართველ კაცს არ უძნელდება უკვდავთა შორის უპირველესის დასახელება.

"ვეფხისტყაოსანი" ჩვენთვის არ არის მხოლოდ წიგნი. ის ჭეშმარიტების ისეთი წყაროა, რომელიც საკუთარ თავს შეგვაცნობინებს. მასში ასახულია ქართული კულტურის წარსული, აწმყო და მომავალი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთაველი გენიაა, ამიტომ მისმა შემოქმედებამ ბევრი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. მათ შეისწავლეს "ვეფხისტყაოსნის" თემატიკურ-იდეური შინაარსი, მისი აღმზრდელობით-განმანათლებლობითი მნიშვნელობა და დღესაც ბევრი მეცნიერია დაინტერესებული მისი შესწავლით, რადგან მასში ჩადებული იდეა ამოუწურავია და მაინც, დადასტურებულია ის ფაქტი, რომ პოემის მსოფლმხედველობის საფუძველია ჰუმანიზმი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ.

ალ. ბარამიძის აზრით: საერთოდ და მთლიანად რუსთაველი დგას ამქვეყნიური, რეალური, მატერიალური ცხოვრების ნიადაგზე და შთამაგონებლად უმღერის ადამიანსა და ადამიანობას. "ვეფხისტყაოსანი" ასახავს გამოგონილ პერსონაჟთა განცდებსა და სურვილებს, მათს ვნებებსა და მიდრეკილებებს, მათს სიხარულსა და ტანჯვას, მათს შეუდრეკელ ბრძოლასა და სწრაფვას საამქვეყნიო, უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად და კიდევ უფრო უკეთესი მერმისის დასამყარებლად. რუსთაველი გვიჩვენებს ადამიანური ცხოვრების დამამშვენებელი ზნეობრივი სრულყოფილების იდეალებს.

ქართული საქრისტიანო მწერლობის განსაზღვრების თანახმად, „ამქვეყნიური" მატერიალური ანუ "ხილული" წარმავალია და მარადიულია "საიქიო" ქვეყანა და "საიქაო" ცხოვრება. რუსთაველმა შექმნა ცოცხალ პერსონაჟთა ინდივიდუალიზებული სახეები, რომელთა მოქმედება სრულიად არ არის შეზღუდული ღვთაებრივი განჩინებით ან ბედისწერით.

რუსთაველის პერსონაჟები უზენაესის მორწმუნეებიც არიან და აგრეთვე რეალური ცხოვრების აქტიური გარდამქმნელნიც. ასე რომ, რუსთაველის ინდივიდუალიზებული სახეები ატარებენ ზოგადობის, ტიპიურობის ნიშანდობლივ თვისებებს. პოეტმა წამოაყენა გონების კულტი, მაგრამ მან გონება და გრძნობა ერთიანობასა და მთლიანობაში წარმოადგინა. რუსთაველმა იქადაგა გრძნობისა და ნებისყოფის თავისუფლება და შეაქო ჭკუა და სიბრძნე.

ჰუმანისტურად ხედავს რუსთაველი ადამიანთათვის შექმნილსა და უთვალავი ფერებით ლამაზად შემკობილ მატერიალურ სამყაროს, ბუნებას. ჰუმანისტურია რუსთაველის მოძღვრება ზნეობაზე და მისი ეთიკური იდეალები, ჰუმანისტურია რუსთველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, ჰუმანისტურად წყვეტს პოეტი ქალთა საკითხს. ჰუმანისტურად აისახა ვეფხისტყაოსანში ძმადნაფიცობა, ხალხთა მეგობრობა და სამშობლოს სიყვარული. ჰუმანისტურია სიყვარულის ის სახეობა, რომლის წარმტაც ჰიმნს თვითონ პოემა წარმოადგენს. ჰუმანისტურადაა გაგებული რუსთველის დამოკიდებულება ქართული ენისადმი. ამის საბუთია პოეტის ხალხურობისაკენ, საეკლესიო სქოლასტიკური სამწიგნობრო ნორმების უარყოფა და ხალხის სამეტყველო-სასაუბრო ენასთან დაახლოება, მაგრამ მაინც... რუსთველს მსოფლმხედველობა ამით არ შემოიფარგლება. პოეტს აინტერესებს არა მხოლოდ XII საუკუნის ქართველი კაცის ნება და სურვილი საქართველოს გეოგრაფიული ჩარჩოს ფარგლებში გაგებული, არამედ ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისითაც, ამიტომაც მას პოემაში ასახული მოქმედება გადატანილი აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ: ინდოეთში, არაბეთში და სხვ. პოემაში ასახული ამდაგვარი წარმოსახვით რუსთველისებური ჰუმანისტური იდეალები მახლობელი და გასაგებია სხვა ხალხებისთვისაც, ამიტომ პოემის გმირებს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვთ.

ცნობილია რომ, ილია ჭავჭავაძემ, წინააღმდეგ აკაკი წერეთელის შეხედულებებისა, სწორედ ამგვარად დაინახა პოემაში ავტორის პერსონაჟთა ზოგადსაკაცობრიო ღირებულება, ამიტომაც, ჩვენი

აზრით, მართალია ის მოსაზრება, როდესაც რუსთველს მსოფლმხედველ ჰუმანისტად მიიჩნევენ რუსთველოლოგიაში.

თანამედროვე მსოფლიოში მეცნიერულ-ტექნიკური მეცნიერების განვითარებასთან ერთად შეიმჩნევა დიდ სახელმწიფოთა ურთიერთქიშპიც და ძალადობაც, რაც თავისთავად დამღუპველი შეიძლება გახდეს მსოფლიოსათვის. ამდენად, მიგვაჩნია, რომ პოემის იდეურ-თემატიკური მოტივების ჩამონათვალიდან შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს პოემაში ასახულ მგზნებარე ჰუმანიზმის რუსთველისებურ გაგებას.

ნათქვამის საილუსტრაციოდ დავიმოწმოთ პოემიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი: მაგ., მეფე როსტევანი თინათინის სამეფო ტახტზე დასმას ძალადობრივი გზებით კი არ წყვეტს, არამედ თავისი დარბაზის წევრებისა და ხალხის საგანგებო განწყობილების შექმნის საფუძველზე.

“მისი სახელი – თინათინ, არს ესე საცოდნარია!
 რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია.
 მეფემან უხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და წყნარია,
 გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.” [3, გვ. 38.]

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხის ამგვარი განწყობილებისათვის ქართულ ლიტერატურაში განხორციელდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, შეიქმნა ნინოს ცხოვრების რამოდენიმე რედაქცია. ამ რედაქციებით ხალხი ეცნობოდა ნინოს, მდედრს, სუსტი არსების მაღალსარწმუნოებრივსა და გონებრივ შესაძლებლობებს. ამით უვითარდებოდათ მათ გარკვეული შეხედულება იმისა, რომ ქალსაც შეიძლება ეხელმძღვანელა სახელმწიფოსათვის, რის ტრადიციაც საქართველოში მაშინ არ იყო.

დაიწერა ნიკოლოზ გულაბერიძის “საკითხავნი სუეტისა ცხოვლისანი”, სადაც დადასტურებულია რატომ იქადაგა ნინომ ქრისტიანობა საქართველოში. ცხადია ნინოსადმი, როგორც ქალისადმი ასეთი ლიტერატურული და მსოფლმხედველობითი დამოკიდებულება ფსიქოლოგიურად ამზადებდა ქართველ ხალხს იმისათვის, რომ მართებულად ჩაეთვალა როსტევანის გადაწყვეტილება თინათინის სამეფო ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით. რასაკვირველია როსტევანისა და მისი მხარდამჭერების – სოკრატის და ავთანდილის ამგვარი ქცევა ჰუმანიზმით აიხსნება და არა მეფის იმპერატიული მოთხოვნით. ჰუმანიზმით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ როდესაც თინათინის გამეფებით ნასიამოვნებია როსტევან მეფე და მისი მხლებლებიც, ამ დროს გამოჩნდება უცხო მოყმე, რომელიც დანაღვლიანებულია და ტირის:

“ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
 შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
 ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
 ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.” [3, გვ. 47.]

როსტევან მეფე დაინტერესდება ამ პიროვნებით, მიუგზავნის მას თავის ყმებს, მაგრამ უცხო მოყმე არავის მოუსმენს და როდესაც დააპირებენ მის ძალით მიყვანას მეფესთან, განრისხდება და ფიზიკურად გაუსწორდება მათ, თვითონ კი გაუჩინარდება.

როსტევანი დიდად დაინტერესებულა უცხო მოყმით, ამიტომ მისი მოძებნა დაევალება ავთანდილს. იგი სამი წლის განმავლობაში ეძებს მას და იპოვის კიდეც. ისიც ვიცით, რომ გარკვეული დროის შემდეგ ავთანდილი მოიწადინებს კვლავ წავიდეს და დაეხმაროს მას, მაგრამ როსტევანს არ სიამოვნებს მისი გადაწყვეტილება, ამიტომ ავთანდილი იძულებული ხდება გაიპაროს მზისსადარი გმირის დასახმარებლად. ბუნებრივია, ავთანდილის გადაწყვეტილება ჰუმანისტურია. ამას ადასტურებს მისი ანდერძი მეფისადმი მიწერილი, სადაც თავის გადაწყვეტილებას ასაბუთებს ცნობილ ფილოსოფოსთა ცოდნის მიხედვით.

“ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა გაზრახულსა,
 კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
 მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
 “სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა”. [3, გვ. 170.]

სხვათაშორის, ზოგიერთი მკვლევარი ტარიელის და ავთანდილის ქმედებას მათი მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ არაჰუმანურად თვლის, მხედველობაში გვაქვს მათი მოქმედება ხატაელთა მეფის შვილისა და ჭაშნაგირის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი ქმედება პირველ რიგში იძულებითი ხასიათისაა და ამდენად არ შეიძლება შევაფასოთ, როგორც მათივე სურვილი, მოწოდება კანიბალიზმის იდეების განხორციელებისა.

მაშასადამე, დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, რუსთველის მგზნებარე ჰუმანისტური იდეები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე მკითხველისათვის, ვიდრე მიჯნურობა და სხვა ნებისმიერი ქმედებანი, რადგან იქ, სადაც ჰუმანიზმია თავისთავად ადამიანთა

სხვა, სულიერი თვისებებიც პატივდებული და დასაფასებელია. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ "ვეფხისტყაოსანში" ჰუმანიზმი განვიხილოთ არა როგორც ავტორის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი, არამედ როგორც პოემაში ასახულ დანარჩენ მოტივთა საფუძველთა საფუძველი, რადგან, თუ ამ გრძნობით არ იქნებოდნენ გამსჭვალულნი პოემის პერსონაჟები, ისინი ვერ გადაწყვეტდნენ მიჯნურობის პრობლემას, არ იქნებოდნენ მხურვალე პატრიოტები საკუთარი ქვეყნისა და ბოლოს, ვერ გამოდგებოდნენ მსოფლიო ხალხების სურვილების, იდეების მნიშვნელოვან მისაბაძ მაგალითებად.

ლიტერატურა:

1. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1958.
2. თამაზ ვასაძე, ქართული ლიტერატურა, თბ., 2006.
3. შოთა რუსთაველი, "ვეფხისტყაოსანი", რედაქცია, შესავალი წერილი და ლექსიკონი სარგის ცაიშვილისა, თბ., 1986.
4. შოთა ქურდაძე, დიდაქტიკურ-მეთოდიკური ეტიუდები I, გორი, 2006.

უსამშობლობის განცდა (როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია „თვითმკვლელობა გარდაუვალი მოვალეობა" და ედუარდ ჰეილის მოთხრობა „უსამშობლო კაცი")

თეონა ქურთაული
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე**, სრული პროფესორი

ადამიანმა შეიძლება ადვილად აიტანოს შიმშილი, სიცივე, უსახლკარობა, მაგრამ სამშობლოს, საკუთარი მამულის გარეშე, ის საკუთარ სიცოცხლეს არარაობად თვლის და უსამშობლოდ ან კვდება, ან იბრძვის საკუთარ მიწაზე ფეხის დასადგმელად.

ჩემი ნაშრომიც სწორედ ამ თემას შეეხება, სამშობლოდან მოშორებულებს და მათ ტკივილ-განცდებს, კერძოდ კი ორ პერსონაჟს - კარლო ჩხეიძეს და ფილიპ ნოლანს, რომელთა ბედისწერაც თითქოს რაღაცით დაახლოებია ერთმანეთს.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე დაიბადა 1864 წლის 9 მარტს, ზემო იმერეთის სოფელ ფუთში. მან დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და შევიდა ოდესის უნივერსიტეტში, ფიზიკა- მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ არ დაუმთავრებია, რადგან სტუდენტთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის გამორიცხეს. ასეთივე ბედი ეწია მას ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლისას. ამრიგად, კარლო ჩხეიძე საბოლოოდ უმაღლესი განათლების გარეშე დარჩა და სახელმწიფო სათათბიროს ცნობარებში იგი საშუალო განათლების მქონე ჟურნალისტ-ლიტერატორად არის გატარებული.

1907 წლიდან კარლო ჩხეიძე III და IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატია თბილისის გუბერნიიდან, ამასთან III და IV სათათბიროში მენშევიკური ფრაქციის ლიდერი.

კარლო ჩხეიძის ნათელმა გონებამ, ორიგინალურმა ნიჭმა და ორატორულმა მონაცემებმა ფართოდ გაუთქვეს სახელი. სახელმწიფო სათათბიროს რეაქციულ წრეებს კარლო ჩხეიძეზე მიჰქონდათ განუწყვეტელი დამამცირებელი იერიშები.

1921 წლის თებერვალში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კარლო ჩხეიძე ემიგრაციაში (საფრანგეთში) წავიდა. თან წაიყვანა მეუღლე- ალექსანდრა ტაგანოვა და მასთან შეძენილი უმცროსი ქალიშვილი ვერონიკა.

„კარლო ღრმად აზროვნებდა, ის იყო მეტად მწიგნობარი, განათლებული მოღვაწე, ჩუმი და ოხუნჯი, საზოგადოების მოყვარული და მარტოობას ჩვეული, კაბინეტის კაცი და ტრიბუნი, თბილი გულის და ცივი გარეგნობის, ნაზი ნერვების და მშრალი გონების კარლო ერთობ რთული მორალური პიროვნებაა, ბევრისათვის ბლომად უცნობად დარჩენილი". [2; 341].

კარლო ჩხეიძემ დიდხანს ვერ აიტანა სამშობლოდან მოშორება, ვერ შეეგუა უცხოეთში ცხოვრებას და 1926 წლის ივნისში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა: „მოხდა წარმოუდგენელი ამბავი, კარლომ თავისი ხელით გადაიჭრა სიცოცხლის ძარღვი, თავის ნებით

დააბოლოვა თავის დღენი... ბრძენმა უარყო ბრძნული აზრი - „ სიკვდილამდე არ მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა''. მან კი თავი მოიკლა შუა გზაზე, ბრძოლის და ტანჯვის მიწურულში და დაგვტოვა ობლად უცხოეთში''- წერდა ჟურნალი „ბრძოლა'' (პარიზი, 1926).

თანამედროვეთა გადმოცემით, 1926 წლის 7 ივნისს, დილის 8 საათზე, კარლო ჩხეიძემ უბრალო მაგიდის დანით, საბნის ქვეშ სცადა ყელის გამოჭრა. მეუღლემ მისი შეჩერება სცადა, თუმცა მან მეორედაც სცადა თვითმკვლელობა. იგი მაშინვე ვოჟირარის კლინიკაში მოათავსეს, სადაც იგი ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

იდუმალებაში ჩაინთქა კარლო ჩხეიძის სახელი, მისი პუბლიცისტური სტატიები კი აკრძალულ ლიტერატურას შორის აღმოჩნდა.

როსტომ ჩხეიძე თავის მონოგრაფიაში ამაყად ამბობს - „მხიბლავდა, ჩემს საგვარეულოს ასეთი კაციც რომ გამორეოდა, სხვა შტოდან, მაგრამ რაც უნდა იყოს, გვარი გვარია''.

სამი ტრაგიკული აღსასრული განსაკუთრებით აღელვებდა მიხეილ ჯავახიშვილის გულსა და გონებას: დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის და კარლო ჩხეიძის.

მართალია, ცოტა უცნაურად გამოიყურება ეს სამეული, ილიას და დიმიტრის კლავენ, კარლო კი თვითმკვლელობით გასცილდა წუთისოფელს.

კარლო ჩხეიძემ თავი მოიკლა, მიზეზი ცხადია - თავგანწირულობა, სასოწარკვეთილება, უიმედობა. „ძლივს არ გამოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი საქართველოში! არის ჟამი ერის - ადამიანის ცხოვრებაში, ოდეს მაუზერის გავარდნა ერთადერთი ვაჟკაცური აქტია: ან სხვას უნდა დაუმიზნო, ან საკუთარი თავი გაიხვრიტო. დღეს ასე უნდა მოიქცეს ყოველი პატიოსანი ქართველი და ვინც ამას ვერ გაჰბედავს- პირწავარდნილი თეიმურაზ ხევისთავია. დღეს თვითმკვლელობა გარდაუვალი მოვალეობაა''- წერს მიხეილ ჯავახიშვილი.

ძლივს არ გამოჩნდა ერთი პატიოსანი კაციო... მეტი გასიმბოლოება და ამაღლება რაღა იქნება. ერის დაცემული ზნეობა, დარღვეული სეგნება ერთი კაცის თავგანწირვამ უნდა აღადგინოს და შეადუღაბოს.

ნეტა ამას ყელის გამოჭრა ჰქვია თუ ყელის დაღრჯნა? ულმობელი გადაწყვეტილების ახსნა ერთფრაზიან ბარათს მიენდობოდა: - ჩემს სიკვდილში ბრალი არავის დასდვან.. და გულმოდგინედ გამოყვანილი ფაქსიმილე, თარიღი დ აიმ ადგილის სახელწოდება, სადაც ეს ტრაგიკული აქტი უნდა აღსრულებულიყო.

კარლო ჩხეიძე, ივნისი, 1926 წელი, სოფელი ლევილი.

ჩემს სიკვდილში ბრალი არავის დასდვანო... ახსნა იდუმალებით მოცული გახლდათ, კაცმა რომ თქვას, ახსნა არც ეთქმოდა, მაგრამ უფრო გამკაფიოებას არ მოინდომებდა. მტავარია, ფარული მკვლელის ძებნით არავინ დამშვრალიყო, არც შანტაჟზე მიეტანათ ეჭვი, საწუთროს ნებაყოფილებით ეთხოვებოდა და დაე სიკვდილისათვის ეს მზადყოფნა, საკუთარი თავისადმი გამოტანილი უმკაცრესი განაჩენით დაედასტურებინა ყველასათვის, ვინც აფორიაქდებოდა მისი ამ საბედისწერო გადაწყვეტილებით- წერს როსტომ ჩხეიძე.

აფორიაქებას ქართულ ემიგრაციაში რა თქმა უნდა გამოიწვევდა, დაიბადებოდა მრავალი კითხვა, ამოუცნობ ენიგმებად დარჩებოდათ კარლო ჩხეიძის მოღვაწეობის, მსოფლიო-ისტორიულ პოლიტიკურ მოვლენათა შუაგულში და სულაც წინამძღოლთა შოეის ტრიალს, აღზევებისა და დაცემის, ფანატიზმისა და იმედგაცრუების მაინცდამაინც ასეთი დასასრული.

შესაძლოა, ეს სასოწარკვეთილის აჩქარება იყო, დროულად გაცლოდა თავზარდამცემ რეალობას.

კარლო ჩხეიძე თანამებრძოლებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ სისასტიკე მის გულს არ ეკარებოდა და რევოლუციონერიისათვის უცნაურ შემწყნარებლობასა და ლოიალობას იჩენდა ხოლმე ყველაზე კრიზისულ ჟამსაც, როდესაც სხვანი დაუფიქრებლად მიერეკებოდნენ პოლიტიკურ მოწინაარმდეგეებს გასაჟუჟად თუ ციხე-კატორღაში გადასაკარგად, კარლო ჩხეიძე თავშეკავებას ამჯობინებდა, გვამებით გაფენილ გზას გაურბოდა.

მწვერვალზე ატყორცნილიყო კარლო ჩხეიძე. პოლიტიკური შეხლა-შემოხლებისას არაერთხელ ეწვნევინებინა ლენინისა და მისი პარტიელებისათვის მარცხი და ცხადლივ დაემტკიცებინა მისთვისაც და ყველასთვის, რას ნიშნავდა ორატორული ელოვნება, ცეცხლი და გზნებაც და რკინისებური ლოგიკაც; და ისიც, ლენინი, ასეთი ძუნწი და ხელმოჭერილი შეფასებისას, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან კი სულაც სიზულვილით ანთებული, კარლო ჩხეიძეს ხშირად მოიხსენიებდა ქებით, ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწედ აღიარებდა სახელმწიფო სათათბიროში და ხან ისეც მოჰქონდა თავი მისი წარმატებით, როდესაც ფრაქციის თავკაცი დაუთმობლად უტევდა ხელისუფლებას, თითქოს თანაპარტიელები იყვნენ..

უკანასკნელ წუთებში წარმოთქმული მისი სიტყვები ბურუსით მოცულს ტოვებს მის სიკვდილს. „შენ არაფერი იცი,შენ არაფერი იციო, - მეუღლეს შესჩიოდა იმ სიმწარით, ნეტავ მეც არ მცოდნოდა, მაშინ ხომ ავცდებოდი ამ ტანჯვა-წამებასო''.

„თვითმკვლელობის მოტივია, კარლო ჩხეიძის გაორებულ პიროვნებასა და ბედდანავსულ ცხოვრებას აზრსა და მნიშვნელობას რომ სძენს შთამომავლობის თვალში და ზნეობრივი მატიანის ერთ-ერთ სიმბოლოდ ხდის, მოტივი- 1924 წლის აგვისტო- სექტემბრის ჟლეტვით შთაგონებული, ესეც თუ გამოვაცალეთ და მის მაგივრად, ყელის დაღრჟნა-გამოჭრის აქტი მასონების ფიცის დარღვევას მივაკერეთ, რაღა შერჩება ხელთ, მის არსებობას რომ გაამართლებს?!''[2;351]

კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობის საიდუმლო ასე გაცხადდა..

ყველამ მძიმედ განიცადა მისი დაღუპვა, „ობლად დაგვტოვა უცხოეთშიო''- ეს ერთი და ორი კაცის ან „ბრძოლის'' რედაქციის, ან თუნდაც მენშევიკების აზრი კი არ ყოფილა მხოლოდ, არამედ მთელი ქართული ემიგრაციისა. პარტიული ჩარჩოები დაემსხვრია ყელის იმ გადასერვით, უკანასკნელი ამოსუნთქვაც ეროვნული განცდით ამიტომ გაიჟღინთებოდა და მისი ნეშტი მარტოდენ მენშევიკებისა კი არა, ყველას გამოსაგლოვი ამიტომაც შეიქნებოდა, დასახელი- უკვე ყველასათვის ერთნაირად ძვირფასი. [2; 337]

კარლო ჩხეიძის ბედთან ძალიან ახლოს დგას ედუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცი'' ფილიპ ნოლანი.

ფილიპ ნოლანი „ლევანტის'' ბორტზე 11 მაისს გარდაიცვალა..

„ჰერალდის ფურცლებზე სამგლოვიარო განცხადებებში გამოქვეყნებული იყო განცხადება- „11მაისს გარდაიცვალა უსამშობლო კაცი''.სწორედ უსამშობლო კაცად იყო ცნობილი ეს საბრალო ოფიცერი ფილიპ ნოლანი, რომელიც 50 წლის განმავლობაში იყო დასჯილი.

ეს ამბავი ტაბუდადებული იყო 1817 წლიდან. ამ საიდუმლოს მკაცრად შენახვა ითვლებოდა ღირსების საქმედ სამხედრო საზღვაო ფლოტის ოფიცერთა შორის, რომელთაც რიგრიგობით ევალებოდათ მეთვალყურეობა საბრალო ნოლანზე.

ვინაიდან აღარანაირ აუცილებლობას მოითხოვს ამ ამბის კვლავ მიმალვა, ედუარდ ჰეილიმ გადაწყვიტა დღის სინათლეზე გამოეტანა ტრაგიკული ბედის მქონე ნოლანის ამბავი და ეჩვენებინა ახალგაზრდა ამერიკელებისათვის თუ რას ნიშნავს და რამხელა ტრაგედიაა „უსამშობლი კაცად'' ყოფნა.

„ფილიპ ნოლანი გახლდათ უებრო ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც მსახურობდა „ დასავლეთ ლეგიონში, იგი გახდა მსხვერპლი სხვისი ამბიციებისა (აარონ ბარის ამბიციების).. სამხედრო სასამართლოს გადასცეს ოფიცრები და სია რომ სრულყოფილი გამხდარიყო, ლეიტენანტი ნოლანიც მიატვალეს. მის წინაარმდეგ კი საკმარისად მოგროვდა საბუთები- ბრალდებით: სამსახური მობეზრებული ჰქონდა, მზად იყო ღალატისათვის.. მასთან ერთად დაკავებულმა რამოდენიმე ადამიანმა თავი დაიხსნა, იქნებ ნოლანსაც დაეღწია თავი, რომ არა ისევ მისი სიტყვები კითხვაზე: „ხომ არ გსურთ რაიმე თქვათ იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველთვის ერთგული იყავით შეერთებული შტატებისაო'', ნოლანმა კი პასუხად გააფთრებით იყვირა: „ეშმაკმა დასწყევლოს თქვენი შეერთებული შტატები! არასოდეს აღარ გამაგონოთ შეერთებული შტატების სახელი!''

მართლაც, აღარასოდეს გაუგონია ერთი შემთხვევის გარდა... 1807 წლის 23 სექტემბრიდან ვიდრე 1863 წლის 11 მაისამდე, როდესაც სული დალია. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ნოლანი იყო „უსამსობლო კაცი''.

სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოუტანა ნოლანს, „თუ კი პრეზიდენტი დასტურს მოგვცემს, აღარასოდს აღარ გაიგონებთ შეერთებული შტატების სახელს''.

განაჩენი მართლაც დამტკიცდა და ნოლანი „უსამშობლო კაცად'' იქცა. ნოლანი მოათავსეს სამხედრო გემზე, რომელსაც ხანგრძლივი კრუიზი ჰქონდა, მას აღარასოდეს უნდა ენახა სამშობლო და აღარასოდეს გაეგონა მისი სახელი. ყოველივე რა თქმა უნდა მიზნად ისახავდა, რომ ნოლანის სასჯელს ჭკუა ესწავლებინა ყველასათვის.

სასჯელი საკმაოდ სასტიკი აღმოჩნდა, მას მართალია ეცვა სამხედრო მუნდირი, მაგრამ ნებას არ რთავდნენ ეტარებინა სამხედრო ღილები, სადაც აღბეჭდილი იქნებოდა ინიციალები ან ემბლემ მისი სამშობლოსი, რომელსაც განუდგა. მას არასოდეს აძლევდნენ ნებას გადასულიყო ნაპირზე, არ აძლევდნენ გაზეთებს და წიგნებს ისე, ჯერ თუ არ გადაიკითხავდა ვინმე, რომ მასში არ ყოფილიყო გამოქვეყნებული რამე ამერიკაზე. ნოლანს რუკების საუცხოო კომპლექტი ჰქონდა, საიდანაც შეერთებული შტატები ამოჭრილი იყო.

სიკვდილის წინ ნოლანი კაპიტანს ეუბნება: „მთელს ამერიკაში- ღმერთმა აკურთხოს იგი!- არ მოიძებნება კაცი, ჩემზე მეტად რომ იყოს ერთგული სამშობლოსი. არ მოიძებნება კაცი, ვისაც

ჩემსავით უყვარდეს ჩემი ნაომარი დროშა და ჩემსავით ლოცულობდეს მასზე ანდა ჩემსავით სჯეროდეს მისი''.[3; 80]

მან ანდერძად დატოვა რომ- მას უყვარდა თავისი სამშობლო ისე, როგორც არ ჰყვარებია არავის, მაგრამ ისი იყო ყველაზე უღირსი მის შვილთაგან.

კარლო ჩხეიძის ნატვრაც, ოცნებაც, სოფლის სამდურავიც ასეთია და ასეც გამოუცხადა სასთუმლის თავზე მდგომ მეგობრებსა და ქართველ ექიმებს: „ ვფიცავ ჩემს სამშობლოს, მე მინდა სიკვდილი. მინდოდა მენახა ჩემი დედა სამშობლო, მარა ვერ ვეღირსე. არ დამივიწყო ჩემო ქვეყანავ შენი უღირსი შვილი!''

თითქოს უცნობია და ასე გასაგები ჩვენთვის ორივე გმირის გადაწყვეტილება, რატომ მოიკლა თავი კარლო ჩხეიძემ და რატომ გამოუტანა ასეთი მკაცრი განაჩენი ნოლანმა თავის თავს?!

დავეთანხმები როსტომ ჩხეიძის სიტყვებს და ვიტყვი, რომ ალბათ სწორედ ასეთ ტრაგიკულ აღსასრულს უნდა დაედასტურებინა მათი პიროვნების გადასვლა იმ იდუმალებაში, რაც გამორჩეულ ისტორიულ პერსონაჟთა ხვედრი ყოფილა...

ლიტერატურა:

1. შარაძე გ., „უცხოეთის ცის ქვეშ'', თბ., 2001.
2. ჩხეიძე რ., „ერი და ბედისწერა'', თბ., 2010.
3. ჰეილი ე., „უსამშობლო კაცი'' თბ., 2004.

აშოტის სახე, დანახული ოთარ ჩხეიძის მიერ (პიესა "მეფე აშოტ დიდი კურაპალატი", რომანი და ისტორია - „ვასილ ბარნოვი“)

მარიამი შატაკიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე**, სრული პროფესორი

ოთარ ჩხეიძეს თავისი მარადიული ტემპი აქვს - წერს მაკა ჯოხაძე, ტემპი ღირსეული მოღვაწე მამულიშვილისა, დიდი მწერლისა, მიუხედავად ამისა მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი მისი ახალი ტრაგედია „მეფე აშოტ დიდი კურაპალატი“. მას გამაოგნებელად მიაჩნია, რომ იმ პერიოდის საყოველთაო მსოფლიო გამოფიტვის, აღრევის, აპოკალიფსური ჟამის ეპოქაში, როცა გახარჯული, გაცვეთილი, გაფლანგული და გადამწვარია ყველა მარადიული ღირებულება, გასრესილია ზნეობა, მშვენიერების განცდის ესთეტიკა და მგრძნობელობა, უცებ, „ამ დანგრეულ, დაჩეხილ, დაქცეულ, დამხობილ და გაღატაკეულ ქვეყანაში, ასეთ ასაკში იწერება ეს საოცარი ნაწარმოები“. მასში შექსპირისეული ვნებებია და ენერგიით მოდის, თითქოს ხელახლა გაცოცხლებული და მკვდრეთით აღდგენილი ქართული ენის ჯადოსნური სტიქია და ზედ გულზე გადადის ნიაღვრებათ. რა ქვისა უნდა იყოს ეს გული, წერს მაკა ჯოხაძე, რომ არ გააცვიფროს, არ ააღელვოს. ყოველი პასაჟი ამ პოემა-ტრგედიისა არის მოვალეობისა და სიყვარულის ჭიდილი. ცალკერძ საყვარელი ქალისა და ცალკე სამშობლოს სიყვარულიდან გამომავალი მეფის მოვალეობისადმი ტყვეობა. ამ მარადიულ მოცილეობას, ამ სტიქიებს შორის თავგანწირულ ბრძოლას, რაღა თქმა უნდა უსამშობლო კოსმოპოლიტები ვერ მიხვდებიან.

ოთარ ჩხეიძეს არ გაუჭირდა აშოტ დიდის დანახვა როგორც მეფისა, არ გაუჭირდა და სურვილიც გაჩენია დაანახოს უბრალო მკითხველს, რომელიც შესაძლოა ვერც მიმხვდარა აშოტის დიდ პიროვნებას ბოლომდე და, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ამ დიდი მეფის უკან ადამიანი იდგა, თავისი ვნებებით და მისწრაფებებით, სიყვარულით და არა ავხორცობით. „ტრფობა წამებულში“ ყველა წინააღმდეგობამ მოიყარა თავი, ერთმანეთს შეეხალა და გადაეკვანძა. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ უნდა შევძლოთ დანახვა და შეფასება ღირსებისა, სიყვარულისა, თავმოყვარეობისა, პასუხისმგებლობისა და ერისკაცობისა, ეს ყველა თვისება მეფე აშოტ კურაპალატისაა, მხოლოდ მისი და იმიტომ გამხდარა დიდი, რომ ასეთ ცხვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავება მხოლოდ დიდების ხვედრია.

აშოტის ტრფობაში საპირისპირო არაფერი ამოჩენილა. ის იზრდებოდა, როგორც წარმოედგინა, როგორცა სჯეროდა(ოთარ ჩხეიძე,რომანი და ისტორია, 1997, გვ. 189), რუსთაველსაც ასე სწამდა, ოღონდ უფრო ფრთხილად ამბობდა, უფრო მოკრძალებითა სიყვარული აგვამაღლებსო. ვასილ ბარნოვის აშოტს ასე დაემართა:დამარცხებული, სულიერად მოდრეკილი ილტვოდა. მწარედ განიცადა ეს უღვთო მარცხი ყოველთვის გამარჯვებას მიჩვეულმა. უნდა გამოცოცხლებულიყო, უნდა გამოფხიზლებულიყო თორემ მთლად გაიწირებოდა ისედაც ბედისწერას მისული ერი. თანამებრძოლნი ბევრს ცდილობენ რომ როგორმე გამოაცოცხლონ ბუმბერაზი, კვლავ შემართონ იმისი გამჭრიახი გონება და ძლიერი მარჯვენა და ერთი შებრძოლებისთვის კიდევ აანთებენ, მრავალრიცხოვან მდევარს გააპობენ, გამუსრავენ-გაგულისებულთა...გამარჯვებას მიულოცავს ხალხი, ზეიმით შეხვდბა საყვარელ მეფეს, ვიღაცა უცნობი ქალი ყვავილებს მიუუთანს მეფეს, ყვავილებს გადმომდგარი აღტაცებული თვალების შუქი ხელახლა აღძრავს ბუმბერაზ ძალას, აღაგზნებს სიყვარულს, ააგიზგიზებს რწმენას სამშობლოს გადარჩენისა და წაღმა დაბრუნდება ბედი ჩარხისა, წაღმა წავა ქვეყნის ბედი.

ოთარ ჩხეიძე ხაზგასმით მიუთითებს თავის პიესაში „აშოტ დიდი კურაპალატი“, რომ სიყვარული არის გადამრჩენი ძალა მეფისა და შესაბამიისად ქვეყნისა, მეფეს უხარია და ქვეყანა ხარობს, ომში მიუხარია იმიტომ, რომ საიმისო საჩუქარი ამოარჩიოს, არტანუჯის აღება უნდა იმიტომ, რომ მეფის სასახლესთან იმასაც მოუწყოს მყუდრო სავანე, მონასტერრების მშენებლობას გაუტაცნია იმიტომ, რომ ზეცამ აკურთხოს იმისი სიყვარული.ყველაფერი იმისთვის უნდა, ყველაფერში იმიტომ ღვივის სიხარული აღსდგა მასში ხატება ღვთისა და კვლავ აღორძინდა იმისი სამშობლო. ასე შეერთდა ოთარ ჩხეიძის აშოტის სახეში სიყვარული და სამშობლოს ბედნიერება.

ამ ამაღლებული გრძნობის გვერდით „ტრფობა წამებულში“ აშკარა შეპირისპირებაა საერო და საღვთო ცხოვრებისა, ღვთისკაცისა და ერისკაცისა. ფარულად თუ აშკარად ვერ ვიტყვით,მაგრამ მხატვრულმა სახეებმა რომანში, ხაზი გაუსვა იმას, რომ ერისკაცობამ გადაუსწრო ღვთისკაცობას თუნდაც ერთ ნაბიჯით, ამას მხოლოდ ფებრონიას და კურაპალატის მაგალითზე ვამბობთ, იმ ფებრონიასი რომლის ხელითაც უნდა აღსრულდეს გრიგოლის მიერ გამოტანილი განაჩენი. ის გამოკეტავს შუქურის სამონასტრო სენაკში და ის გადაუდგება წინ ქალის წასაყვანად მისულ აშოტს, როცა გრიგოლი „თავგამეტებული შეუპოვრობით“ ელოდა მეფის შემდგომ ნაბიჯს (რ. ჩხეიძე, მზის ამოსვლის წინ, 1997, გვ. 65)

ფებრონიც იყო შეყვარებული, მაგრამ უარყვეს მისი სიყვარული და ისიც ღვარძლით აივსო სავარდე დიდებული. აშოტიც დაეცა სიყვარული დაკარგა თუ არა, მაგრამ ფებრონიასავით არა, მხოლოდ მოდუნდა როგორც მეფე და სარდალი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ერისკაცობამ გადაასწრო ერთი ნაბიჯით ღვთისკაცობასთქო, გნებავთ ახალა ასე განსაჯეთ ერისკაცის სიყვარულმა აჯობა ღვთისკაცის სიყვარულს. ამ ორიდან ვინც ღირსეულად ეწამა, დიდიც ის არის, მეფის სიყვარული არ უარყვეს. გამოვიდა ისე, რომ თავად თქვა მან უარი გრძნობაზე, არსებობს აზრი როსტომ ჩხეიძისა რომ წინა პლანზე კანონოს უზენაესობა დააყენა აშოტმა, არ დაარღვია თავის მიერ შექმნილი სახელმწიფოს საძირკველი. თუმცა კი იბრძოდა მაინც, იცოდა მამა გრიგოლს ვერ გასვამდა ძელზე მაგრამ „შეგვიწყნარებს მამა გრიგოლი, მამა გრიგოლი ღვთის კაცი, ღვთიურ გარდასწყვეტს. ბოლოსდაბოლოს სიყვარული ღვთის განგებაა“- ამბობს შუქურისთან საუბარში კურაპალატი (ოთარ ჩხეიძე, მეფე აშოტ დიდი კურაპალატი, 1991, გვ 9).

მართალია სიყვარული ღვთის განგებაა, მაგრამ არა მეფისათვის, რომელიც სამაგალითო უნდა ყოფილიყო ქვეყნისთვის და ნუ დაგვავიწყდება დედოფალი, რომელიც:

„ვეღარ განვუძლებ, ღირსებას რომ ფეხქვეშ თელავენ,
ღირსებას ჩემსას, უფლებას და მოვალეობას
ვეღარ განვუძლებ; დაბრუნდება მეფე ზეიმით
წართმეულ დროშას, იქ მიიტანს, მას ეახლება.“(ოთარ ჩხეიძე, მეფე აშოტ დიდი კურაპალატი, 1991, გვ. 54).

აშოტი მსხვერპლია ეკლესიისა, მეფის სტატუსის მსხვერპლი ნაკლებად მგონია,მეფეს შეეძლო სიყვარული უზარმაზარი, მაგრამ კურთხეული არ იყო ღვთისაგან, ვფიქრობ ამიტომ გახდა მსხვერპლი ეკლესიისა, აკი აღნიშნავდნენ კიდეც ეს სულ გრიგოლ ხანძთელისაგან სჭირდაო.

ოთარ ჩხეიძე თავისი ნაწარმოებით ცხოვრების მკაცრ ხვეულებში გვახედებს და ცდილობს იმაზე მეტი დაგვანახოს, ვიდრე მშრალი ისტორიული ფაქტები მოგვოთხრობენ.

მწერალი თავის ვალს პატიოსნადიხდის მკითხვრლის წინაშე და დანარჩენი კი ჩვენზედ არის მონდობილი.

ლიტერატურა:
1 ოთარ ჩხეიძე, რომანი და ისტორია ვასილ ბარნოვი, თბ., 1997.
2 ოთარ ჩხეიძე, პიესა მეფე აშოტ დიდიკურაპალატი, თბ., 1991.
3 როსტომ ჩხეიძე, მზის ამოსვლის წინ, თბ., 1997.

სიყვარული და გმირული მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“

თამარ ცერაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **შოთა ქურდაძე,** სრული პროფესორი

„ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-თემატიკური მოტივების გაგებას რუსთველოლოგიაში თითქმის ყველა რუსთველოლოგი ეხება. მათ შორის უმრავლესობა მაგ., აკად. ალექსანდრე ბარამიძე, კორნელი კეკელიძე და სხვანი ამ მოტივებს ცალ-ცალკე განიხილავენ. ამის საწინააღმდეგოდ პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე სიყვარულსა და მეგობრობას ერთ განუყოფელ მოტივად მიიჩნევს.

ჩვენი აზრით, პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძის მოსაზრება უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგან ცნება „სიყვარული“ და ცნება „მეგობრობა“ მოტრფიალეთა შორის თავიანთი სურვილების გადაწყვეტას ხელს კი არ უშლის, არამედ პირიქით, უფრო საფუძვლიანსა და მტკიცეს ხდის მას. ამიტომაც ვთვლით, რომ სასურველია პოემის მოტივთა ანალიზისას პოემაში მიჯნურობა და მეგობრობა ერთ მთლიან მოტივად განვიხილოთ, როგორც ამას გვთავაზობს პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე.

საქართველოში XII საუკუნეში შეიქმნა მნიშვნელოვანი პირობები ხელოვნების განსავითარებლად. ვგულისხმობთ მხატვრობის, პროზის, პოეზიის და სხვა დარგების განვითარებას. საკმარისია დავასახელოთ შოთა რუსთაველის უკვდავი გენია. მხატვრული იდეები ასახულია პოემაში “ვეფხისტყაოსანი”.

ადამიანის უპირველეს მოვალეობად რუსთაველს სიყვარული და მეგობრობა მიაჩნია. მისი უკვდავი პოემაც ხომ სიყვარულის ჰიმნია. “სიყვარული აგვამაღლებსო” გვასწავლის გენიოსი პოეტი.

შუა საუკუნეებში რუსთაველმა გამოხატა ეს იდეები როგორც სიყვარულში, ასევე მეგობრობაში.

“ვეფხისტყაოსანში“ ასახული იდეები ხალხმა აითვისა და იგი კულტურის მოქალაქეობრივი ქცევის ნორმად მიიჩნია.

პოემამ გაუძლო ჟამთა სვლას, დღესაც იდეური და ესთეტიკური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მკითხველთა ფართო მასისთვის.

ქართველმა კაცმა ყოველთვის კარგად იცოდა “ვეფხისტყაოსნის” ფასი და საუკუნეთა მანძილზე იცავდა მას.

რუსთველი მხურვალედ უმღერის ადამიანის გამაკეთილშობილებელსა და ამაღლებულ თავისუფალ სიყვარულს. იგი ასაზრდოებს მიჯნურთა აქტივობას, მის ბრძოლისუნარიანობას. უმახვილებს ადამიანს საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობას. სიყვარული აწრთობს ვაჟკაცის ნებისყოფას, მის ხასიათს, მისი მკლავის სიმკვეთრეს. “შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისა” - ეუბნება ავთანდილი თინათინს. მისთვის სიკვდილი და თავის გაწირვაც ბედნიერებას მიანიჭებდა ავთანდილის სიყვარულით გამსჭვალულ გულს.

სიყვარული აცხოველებს მიჯნურის ყველა საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. იგი აფაქიზებს მგრძნობელობას, ენერგიას მატებს და პასუხისმგებლობის გრძნობას უმძაფრებს როგორც მამაკაცს, ისე ქალს. მაგ., ნესტანს ამოქმედებდა არა ყმაწვილური ქალური გატაცება, არა ოდენ პატრიოტული შეგნება. ხატაელებმა მუხთლურად დაარღვიეს პირობა, შელახეს ინდოეთის სუვერენული უფლებები. ამის გამო ნესტანი ტარიელს ავალებდა ინდოეთის სახელმწიფოებრივი ღირსების დაცვას. მიჯნური ქალი მიჯნურ ვაჟს მოუწოდებდა საქვეყნო სამსახურისთვის.

რუსთველის გაგებით მიჯნურებს გრძნობების გონებისადმი დაქვემდებარება ესაჭიროება. ნესტანის სახით რუსთველმა უკვდავყო პოეზიაში ქმედითი სიყვარულის იდეა. “ვეფხისტყაოსანში”

ასახული სიყვარული უაღრესად ადამიანური და მაღალზნეობრივია. ამ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო არც აღმოსავლურ სუფისტურ-მისტიურ მიჯნურობასთან ან ეროტიკასთან და არც დასავლურ უსაგნო რაინდულ ტრფიალებასთან ან ეგრეთწოდებულ პლატონურ ტრფიალებასთან. მართალია რუსთველისათვის უცხო არ არის ნეოპლატონური იდეები მიჯნურობაში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იგი მხარს უჭერს მიწიერ მიჯნურობას: "ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიანო". [1, გვ. 132.]

მაშასადამე, პოემა სიყვარულის წარმტაცი საგალობელია და პოეტიც სწორედ ურყევ, მტკიცე სიყვარულს უთმობს ყველაზე მეტ ადგილს. ამ დიდ გრძნობას რუსთაველზე არანაკლებად უგალობენ მგოსნები, მაგრამ რუსთველის დამსახურება ის არის, რომ შუა საუკუნეების ბნელეთში, რელიგიის არტახებით შემოჭრილ ადამიანთა საზოგადოებაში გენიალურმა პოეტმა ამ გრძნობას უმღერა ისეთი სიყვარულით, რომლის ბადალი ძნელად თუ მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში.

პოეტის აზრით ჭეშმარიტ სიყვარულს მოეთხოვება გრძნობათა დაფარვა. პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს ჭეშმარიტ სიყვარულსა და წუთიერ, წარმავალ გრძნობას, სიძვას. მოითხოვს მსმენელთაგან, რომ ეს ორი გრძნობა ერთმანეთისგან განასხვაონ.

"მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გარევთ ერთმანერთსა! გესმის ჩემი ნაუბარი?" [4, გვ. 36.]

პოეტი მიიჩნევს, რომ სიყვარული მარადიული უნდა იყოს და არა წუთიერი და წარმავალი.

"ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში...
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლუში." [4, გვ. 36.]

პოემა თვალნათლივ გვიჩვენებს მიჯნურთა ურთიერთობას. შეყვარებულ წყვილთა ნესტან-ტარიელის და თინათინ-ავთანდილის ყოველი შეხვედრა სიყვარულის დიადი ზეიმია. პოემაში უპირველეს ღირსებად ითვლება ქალის პატივისცემა და თაყვანისცემა. სწორედ ეს თვისება განასხვავებს პოემის გმირებს შუასაუკუნეების ცნობილ ნაწარმოებთა გმირი რაინდების – ამირან-დარეჯანიანისა და რამინისაგან. მათთვის ქალი მხოლოდ ხორციელი ტრფობის საგანია, რუსთაველის გმირებისთვის კი მიჯნური ქალი გმირობისა და მაღალი სულიერების წყაროა.

რუსთველური სიყვარული საფუძვლად ედება მეუღლეობას. პოეტი აყენებს და თანმიმდევრულად ავითარებს ურთიერთ სიყვარულზე დამყარებული თავისუფალი, ძალდაუტანებელი მეუღლეობრივი კავშირის იდეას. ზრდილი და თავდაჭერილი თინათინიც ფიცით არწმუნებდა თავის მიჯნურს:

"ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი." [4, გვ. 56]

პოემაში აღწერილი ადამიანური ტრაგედიის ამბავი გამოიწვია ძალდატანებითი მეუღლეობის განხორციელებამ.

მეფე ფარსადანი ძველ, დრომოჭმულ თვალსაზრისზე იდგა. ამ თვალსაზრისით ქალს არ ეკითხებოდა საკუთარი ბედ-იღბლის საქმე. შუა საუკუნეებში ყველგან, მათ შორის საქართველოშიც, ქალისთვის საქმროს არჩევა მშობლების პრეროგატივას შეადგენდა.

რუსთველი არ იზიარებს შუასაუკუნეობრივ თვალსაზრისს ქალის გათხოვების საკითხში. ქართველმა პოეტმა დაგმო და ამხილა ამ თვალსაზრისის მანკიერება. რუსთველის სამიჯნურო იდეები იმ დროისთვის "გაუგონარ ამბავს წარმოადგენდა. ანდა მხოლოდ ოცნებაში, რომანტიკაში არსებობდა.

"ვეფხისტყაოსანში" ასახული მრავალზნეობრივი სიყვარულის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა მეგობრული თანაგრძნობისა და მიჯნურთა გმირული ქმედების გარეშე. პოემაში მხატვრულად ასახულია წრფელი ტრფობისა და ამ გრძნობის პერსონაჟთა საგმირო ეპიზოდები, რომლის წყალობითაც ადვილად ვპოულობთ მისასვლელს ადამიანთა გულებთან.

"ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად."

აცხადებს დიდი პოეტი, რომელსაც ყოველი ადამიანის სასახელო მოვალეობად მიაჩნია, საკუთარი სიცოცხლეც არ დაიშუროს მეგობრისათვის, დაეხმაროს მას, რითაც კი შეუძლია.

რუსთველმა უბადლოდ გამოძერწა მშვენიერი ამხანაგების, ტარიელისა და ავთანდილის ჭეშმარიტად განუმეორებელი სახეები. პოეტის შეხედულებით ძმადნაფიცობის საფუძველს ქმნის მხოლოდ გაჭირვების ვითარებაში ერთგული თანამეგობრობა.

ძმადნაფიცი რაინდი და მიჯნური რაინდი ორივ ერთი და იმავე გაგებით წარმოჩნდება მკითხველისთვის. "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით ძმობა-მეგობრობისა და სიყვარულის ეთიკური საფუძვლები. ესაა მაღალადამიანური და მაღალზნეობრივი მისწრაფება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სიკეთისაკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსთველური სიყვარული და ძმობა-მეგობრობა ოდნავადაც არ ატარებს ვიწრო პირადულს, ინდივიდუალისტურ ხასიათს.

"ვეფხისტყაოსნის" სიდიადე ისაა, რომ აქ ასახული ძმობა მეგობრობა ამ გრძნობის მატარებელ პერსონაჟთა ინდივიდუალური ურთიერთობის ფარგლებით არ იზღუდება. "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა ძმობა-მეგობრობა ბუნებრივად გადაიზარდა ხალხთა მეგობრობაში. ტარიელი იყო ინდოელი, ავთანდილი არაბი, ფრიდონი – მულღაზანზარელი.

პოემის გმირ მამაკაცებს მხარს უმშვენებენ ნესტანი, თინათინი, ასმათი – უაღრესად დიდი სულიერი სილამაზით დაჯილდოებული ასულები. მათ ამოძრავებთ სიყვარულისა და მეგობრობის მაღალი და უფაქიზესი გრძნობები. უაღრესად თვალშისაცემია ის დაუოკებელი სწრაფვა, რასაც მეგობრები გრძნობენ ერთმანეთის მიმართ და არა მარტო გრძნობენ, არამედ გონების თვალით სწვდებიან ერთმანეთის გასაჭირს.

ავთანდილის სახით რუსთაველმა ხოტბა შეასხა მეგობრულ თავგანწირვას, რის გარეშეც ცხოვრება კარგავს თავის აზრს, სილამაზეს.

ავთანდილი განსახიერებაა ღრმა მეგობრობისა, რისთვისაც არ უშინდება მსხვერპლის გაღებას. მისი ცხოვრების დევიზი და მამაკაცური ღირსების საზომია მისივე ბრწყინვალე სიტყვები:

"არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა,
ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა."

ამრიგად, დიდი პოეტი მრავალგზის ადასტურებს იმ გარემოებას რომ მხოლოდ ერთი დიდი და უანგარო მეგობრობითაა შესაძლებელი მიზნის მიღწევა.

პოემაში გვხიბლავს და გვიტაცებს გასაოცარი ქალის – ასმათის მხატვრული სახე, მისი დამოკიდებულება ტარიელთან. ქალისა და ვაჟის ასეთი უანგარო და თავდადებული მეგობრობა, როგორც პოემაშია მოცემული, იშვიათი, უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში. ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს, ალბათ, ზოგჯერ სიკვდილის აშკარა საფრთხის წინაშეც კი, არ უფიქრია ასმათს ტარიელის მიტოვება.

შესანიშნავი მეგობრობით გვხიბლავს აგრეთვე მესამე გმირი რაინდი – ფრიდონი, რომელსაც ბიძაშვილებმა ღალატით წაართვეს სამეფო ტახტი. მას დიდი დახმარება გაუწია ტარიელმა. არც ფრიდონი დარჩენილა ვალში. ის ბოლომდე მეგობრის გვერდით იყო, როდესაც ტარიელმა ქაჯეთის ციხე აიღო.

მეგობრობის უმაღლესი გამოვლინება პოემაში ისაა, რასაც ჩვენში ძმადნაფიცობას უწოდებენ. ამ გრძნობას ღრმად აქვს ფესვები გადგმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ძმადნაფიცობა, რომელსაც ასეთი დიდი ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსანში", ქართველი ხალხის ნაციონალური ყოფის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მოვლენაა. [1, გვ. 156.]

"ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები სხვადასხვა იდეურ საწყისებს ასახიერებენ: მაგალითად, ავთანდილი გამოხატავს ძმობა-მეგობრობის იდეას, ხოლო ტარიელი სიყვარულისას. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსთველი ერთიმეორეს არ უპირისპირებს ძმობა-მეგობრობასა და სიყვარულს, რომ ეს გრძნობები ერთიმეორეს გულისხმობს და ერთი მეორის წყაროა. [1, გვ. 149.]

„ვეფხისტყაოსნის" იდეურ-თემატიკური მოტივები შეფასებული უნდა იყოს იმის მიხედვით, თუ მკითხველისათვის დროის, ეპოქის მოთხოვნილების მიხედვით, რომელია უპირველესად საყურადღებო მოტივი და ამგვარი პოზიციით ზოგი მკვლევარი, სიმონ გაჩეჩილაძე, ელგუჯა ხინთიბიძე, შოთა ქურდაძე და სხვანიც ერთ-ერთ უპირველეს მოტივად მიჯნურობის მოტივს კი არ თვლიან, არამედ ხალხთა ურთიერთობისა და გმირობის მოტივს. პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე თვლის, რომ პოემაში მიჯნურობა და მიჯნურ პერსონაჟთა გმირული ქცევა ურთიერთკავშირში უნდა განვიხილოთ. ჩვენი აზრით ამგვარი პოზიცია მართებულად მიგვაჩნია, რადგან წრფელი მიჯნურობა, როგორც პოემაში ვეცნობით, მოტრფიალეთა გმირული ქცევით ხორციელდება.

მაშასადამე, ეს ორი გრძნობაა ჩვენთვის ნამდვილი და წმინდა, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ და მუდამ მაგალითის მომცემი იყოს ჩვენთვისაც და ყველა თაობისთვისაც დროისა და სივრცის ფარგლების განურჩევლად.

ლიტერატურა:
1. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1966.
2. შოთა ქურდაძე, დიდაქტიკურ-მეთოდიკური ეტიუდები, გორი, 2006.
3. კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1958.
4. შოთა რუსთაველი, "ვეფხისტყაოსანი", რედაქცია, შესავალი წერილი და ლექსიკონი სარგის ცაიშვილისა, თბ., 1986.

ЛИТЕРАТУРНЫЕ КАФЕ САНКТ-ПЕТЕРБУРГА НАЧАЛА XX ВЕКА – "БРОДЯЧАЯ СОБАКА"

Софио Ханишвили,
Софио Нозадзе
ст. 2 к. спец. англ. филология гуманит. фак.
рук. проф. **Н.Хинчагашвили**

Данная работа ставит своей целью воссоздать историю кабаре "Бродячая собака", так как она являлась своеобразными литературно-артистическим клубом для непринужденных встреч писателей, поэтов, художников и артистов в Санкт-Петербурге конца 19-нач. 20 века, кабаре, иллюстрирующее духовный и культурный подъем жизни России конца XIX века и начала XX и его трагическое завершение.

Действительность русской жизни рубежа 10-х г.г. XX в. многим казалась совершенно нереальной. Все в ней представлялось неустойчивым, временным. Охватившее художников в те годы чувство скрытой тревоги, непонятного беспокойства возникало независимо от личной устроенности. Оно исходило из глубоких слоев сознания. Его источником была российская действительность тех лет, вызывающая у чутких людей апокалипсические предчувствия.

"Бродячая собака" была порождением именно таких настроений. Организаторам кабаре хотелось создать приют для художников, поэтов, который мог бы их защитить в хаосе и дисгармонии. Название "Бродячая собака" символизировало в иронической форме бесприютность и потерянность в жизни посетителей кабаре. Они пытались создать себе теплое пристанище, противостоять дисгармонической действительности за его стенами.

Для создания такого клуба, как "Бродячая собака", нужен был энтузиаст, который вложил бы в заведение всю свою душу. И такой энтузиаст нашелся. Это был Борис Пронин – мечтатель, энтузиаст, фантаст, отличавшийся бескорыстностью, энергией и влюбленностью в мир и людей. Он обладал исключительным обаянием и умением сплачивать всех и из ничего создавать прекрасное. Самое замечательное в Борисе Пронине - его неувядаемая молодость, которая сохранилась в нем на многие годы. Он, как исправный служака, приходил к открытию кабаре и неотлучно оставался в нем, пока не уходил последний посетитель, часто засыпал где-нибудь в углу на диване и оставался в подвале до следующего дня.

Помещение Пронин искал долго. И вдруг его осенило: подходящим помещением может быть подвал в том самом доме, в котором он живет. Ему легко удалось арендовать подвал за сравнительно небольшую цену. Владельцем клуба был Б.К.Пронин, но жизнью "Собаки" распоряжались члены-учредители: писатель А.Н.Толстой, художники С.Ю.Судейкин, Н.Н.Сапунов, М.В.Добужинский, архитектор И.А.Фомин, режиссеры Н.Н.Евреинов, Н.В.Петров и актер В.А.Подгорный.

Алексей Толстой сочинил Устав "Бродячей собаки": "Никому ни за что не выплачивается никакого гонорара. Все работают бесплатно".

Странное название для кабаре родилось совершенно случайно. В один из последних дней Декабря , когда вся компания скиталась в поисках подвала , чтоб , встретить в нем Новый , 1912 год , А.Толстой неожиданно сказал: А не напоминаем ли мы сейчас бродячих собак, которые ищут приюта? Вы нашли название нашей затее, - воскликнул кто-то , -пусть этот подвал называется "Бродячей собакой".

Артистическая богема с давних времен уподоблялась бродячим собакам. В стихотворении "Славные псы", которое было напечатано в России в 1909 году, Шарль Бодлер прямо уподоблял артистическую богему беспризорным псам, тощим, голодным, наводящим страх на обывателя.

Разумеется, "Бродячая собака" была артистическим клубом, куда сходились посидеть в кругу своих, отдохнуть и повеселиться. Устраивались вечера поэзии, музыкальные и театральные вечера, лекции, чествование русских и зарубежных деятелей искусств. Для многих из посетителей "Собака" была чем-то гораздо большим, чем просто местом веселого времяпрепровождения.

В "Собаку" стекались разные бродяги от искусства на различных путях творческих исканий. В кабаре заглядывали футуристы (В. Каменский, А.Крученых, В. и Д.Бурмаковы, Б.Лившиц, В.Гнедов, В.Маяковский,

В.Хлебников), друго-враги футуристов акмеисты (Н.Гумилев, О.Мандельштам, А.Ахматова), символисты (Ф.Сологуб, А.Бальмонт, Гиипиус, Мережковский). Любили бывать здесь актеры Мариинского и Александринского театров, часто посещавшие ночной кабачок, а также художники Н,Сапунов и С.Судейкин.

Здание кабачка находилось в самом центре столицы. Дом на Итальянской улице еще в XVIII веке был включен в ансамбль Михайловской площади. Сейчас в этом здании находится один из самых богатых музеев России - Русский музей. Он строился учеником знаменитого Карла Росси профессором архитектуры Полем Жако.

Низкий подвал с нависшими сводами грозил задавить смельчаков, "которые дерзнули забыть в тепле ярко горящего очага о петербургской сырости". Однако, толстые подвальные своды одновременно отгораживали, защищали кабаретьеров от жизни. В укромном убежище исчезало напряжение, рассеивались дневные страхи, возникало чувство безопасности и покоя. В немыслимой тесноте подземного погребка, душного и прокуренного, рождалось совершенно новое ощущение – свободы и тесной братской связанности и близости с другими.

В первый год кабаре открывалось, как правило, два раза в неделю – по средам и субботам, потом немного чаще, на масленой неделе, когда устраивались "капустники" – каждый день. Но проводимое в "Собаке" время было необычайно интенсивно и создавало в сознании представление деятельного.

Особый смысл был заключен и в том, что "собачий душный кров" ожидал после полуночи. Ночной художественный быт в Петербурге тех лет вообще гораздо интенсивнее дневного; здесь, в романтическом подземелье жрецов искусства, он казался более истинным. Все это потом, с насмешливой нежностью вспоминала Анна Ахматова:

Да, я любила их – те сборища ночные,
На низком столике – стаканы ледяные,
Над черным кофием голубоватый пар,
Камина красного тяжелый зимний жар,
Веселость едкую литературной шутки…

Подвал "Бродячая собака" Художественного общества интимного театра был торжественно открыт в новогоднюю ночь с 31 декабря 1911 года на 1 января 1912 года. Всем приглашенным были разосланы пригласи тельные письма.

К открытию подвала Всеволод Князев сочинил "собачий гимн:

Во втором дворе подвал,
В нем – приют собачий.
Каждый, кто сюда попал
Просто бес бродячий.
Но в том гордость, но в том честь,
Чтобы в тот подвал залезть! Гав!

На дворе метель, мороз,
Нам какое дело!
Обогрел в подвале пес
И в тепле все тело.
Нас тут палкою не бьют,
Блохи не грызут! Гав!

Открытие "Бродячей собаки" почти совпало по времени с днем рождения Алексея Николаевича Толстого – за два дня до открытия подвала графу исполнилось 29 лет. Толстой помог Пронину созвать на новогодний вечер, открывающий жизнь подвала, многих из петербургских знаменитостей. Несмотря на то, что ремонт подвала был полностью не завершен, туда явился цвет петербургских любителей искусства в роскошных туалетах. Билеты на вход для посторонних были очень дорогие. Таким образом была подведена материальная база под клуб. Один из организаторов в буфете подавал, а другой тут же расплачивался с представителями магазинов… Каждый из организаторов клуба должен был внести свою лепту, как то: художники разрисовывали стены, поэты, музыканты, литераторы демонстрировали свои новые произведения, а артисты и режиссеры занимались всевозможными импровизациями.

Большой зал вмещал до восьмидесяти человек. Самые простые, деревянные неокрашенные столики и табуреты довершали меблировку главного зала. Посредине стоял круглый стол с тринадцатью табуретами вокруг. В правом углу помещалась небольшая эстрада. Камин Фомина и роспись потолка Судейкиным довершали романтическое убранство подвала.

Концертная программа новогоднего вечера была подготовлена заранее. Посетители ""Собаки"" в тот вечер представляли собой цвет аристократического бомонда Петербурга

Кроме "сред" и "суббот", которые проводились регулярно, устраивались исполнительские вечера с разработанной программой, о которых членам Общества и приглашенным сообща лось особыми повестками.

Один из первых вечеров правление решило посвятить 25-летию поэтической деятельности К.Д.Бальмонта. Ему был посвящен доклад С.Городецкого, затем читали свои стихи Н. Гумилев, А.Ахматова, О.Мандельштам, В.Гиппиус.

На вечере было много народу, с трудом умещавшихся в небольшом зале кабаре. Юбиляр был избран кавалером ордена "Собаки" и получил почетные знаки ордена для ношения: бумажный ошейник с длинной цепью и лавровый венок.

Некоторые вечера в "Собаке" были целиком музыкальными, другие драматическими или поэтическими.

У наружных дверей кабаре висели молоточек и доска, в которые входящему надлежало стучать. Справа у входа в большой зал стояла тумба с лежащей на ней "Свиной книгой". Название книге дало качество кожи, которой она была обтянута. Её заказал у переплетчика и принес в подвал А.Толстой для записи, как это принято в закрытых клубах, гостей. Но очень скоро книга стала играть весьма важную роль, превратившись в летопись подвала: в стихах Маяковского, Мандельштама, Ахматовой, Гумилева, Хлебникова, Бальмонта, Кузьмина, Саши Черного, Леонида Андреева, собственноручно ими записанных, в рисунках Сапунова, Судейкина, Петрова-Водкина, Добужинского, в ней запечатлевается каждый момент "собачьей жизни": страницы "Свиной книги" были испещрены шаржами, рисунками, карикатурами, нотами музыкального экспромта.

Приход нового гостя возвещали ударом в огромный турецкий барабан, который стоял в большом зале. Обязанности "стражника" часто исполнял Маяковский. Обычаи придумывал комитет "Собаки". Кабаре имело свой герб, который висел над входом в подвал (М.Добужинский), выпускало гербовую бумагу, на которой печатали приглашения, извещения, программы, афиши и афишки, был орден Собаки с надписью "Care canem" ("Бойтесь собаки). В подвале, кстати, бегал пудель. С люстры свисали две перчатки – белая женская и черная мужская. Все эти ритуалы и эмблематика – была романтическая игра, будоражащая нервы, вспенивающая веселость.

Поверхность стен и одной из комнат – а их было две – ломала кубистическая живопись Н. Кульбина, дробившие ее плоскость разноцветные геометрические формы хаотически налезали друг на друга. Другую комнату от пола до замыкающих сводов расписал Судейкин, фигурами женщин, детей, изогнувшимися в странном изломе, невиданными птицами, прихотливо переплетенными с фантастическими цветами. Их болезненно-избыточная роскошь, сталкивающая лихорадочно-красное с ядовито зеленым, вызывала в памяти образы "Цветов зла" Бодлера. Пестрые, как юбка тарелки, стены, потолки и занавес (его сделали из толстого сукна, окрашенного в красный цвет) сцены действуют, как кумач на быка.

В кабаре устраивались так называемые "необычные среды и субботы", "вечера веселого мракобесия", маскарады, участникам которых предписывалось являться только в карнавальных костюмах. Иногда в "Собаку" не переодеваясь и не разгримировываясь, приезжали сразу после спектаклей, актеры, смешиваясь с ночной публикой.

Маскарады; вечера художественной пластики; чествование поэтов, драматургов, писателей, актеров; капустники; гала-концерты; вечера "магии"; вечера песни и танца; поэтические вечера; лекции и диспуты; выставки; праздничные банкеты и застолья – все это жило непрерывной чередой, прерываясь лишь на летние месяцы.

Эта бурная кипящая художественная деятельность была лишь одной стороной жизни подвала. Другой, не менее важной, было колдовское чувство свободы. Здесь впервые зазвучал во всю силу голос Мандельштама, и голос Ахматовой. Здесь были впервые написаны и прочитаны многие замечательные строки М.Кузмина и Н.Гумилева, В.Хлебникова и И.Северянина.

Но у каждой медали есть и оборотная сторона. И, помогая людям раскрыться, узнать себя, донести до других свои сокровенные чувства, некоторых "собачий" быт, "собачья" ночная жизнь вели к трагедии, к гибели или к нравственному надлому. Трагические судьбы покончивших собой Всеволода Князева, Алексея Лозина-Лозинского, моральная деградация поэта Александра Тинякова, начавшаяся с апоев в "Собаке".

Здесь цепи многие развязаны,-
Все сохранит подвесный зал.
И те слова, что ночью сказаны,
Другой бы утром не сказал…

– говорится о "Собаке" в стихах Кузьмина.

Круг посетителей подвала был обширен и разнообразен. Основу его составляли действительные члены "Бродячей собаки" - устроители и организаторы подвала, члены правления, артисты, художники, музыканты: "Общества интимного театра". К ним примыкали "друзья "Собаки"" - постоянно посещавшие подвал поэты, писатели, драматурги, искусствоведы, критики, актеры и художники других театральных коллективов, композиторы и исполнители – одним словом, люди искусства, а также меценаты, помогавшие "Собаке" как в финансовом отношении, так и в ее взаимоотношениях с государственными и общественными организациями.

Но среди посетителей подвала, особенно во второй период его существования было и большое количество любопытствующих, желающих понаблюдать, как отдыхают и развлекаются артисты и литераторы, посетителей отдаленно причастных к миру художественной интеллигенции. Вот этих посетителей Николай Сапунов назвал "фармацевтами", и это название за ними закрепилось.

Формально “Бродячая собака” была устроена по образцу петербургских клубов, представленному градоначальству. Был председатель, были действительные члены, которые имели право на каждое исполнительное собрание дать два пропуска, как в клубах, при этом на каждого в книжку записывалось, что такой-то, рекомендует такого-то и такого-то.

В “Собаке” были определены официально вечера поэтов, на которых подвизались обычно Кузьмин и Гумилев. Они считались арбитрами, они судили молодых поэтов. Гумилев был одним из любимых поэтов в “Собаке”. Ахматова была замужем за Гумилевым, жили они в Царском Селе, в аристократическом доме родителей Гумилева. Там же было венчание в церкви, там родился у нее сын. Ахматова тоже выступала с чтением стихов в “Собаке”.

Маяковский появился в “Собаке” в конце 1913, начале 1914 года, его рекомендовал Хлебников. Маяковский был строптив, но “Собака” ему понравилась и он стал посещать кабаре. Появление Маяковского с его сильнейшей индивидуальностью и революционностью шокировало эстетов-поэтов Кузьмина и Гумилева. Любя выступать, Маяковский в Петербурге имел одну – единственную арену – “Собаки”. Маяковский, Каменский и Хлебников появлялись всегда вместе. Это была признанная группа, их называли футуристами. Маяковский очень дружественно относился к Каменскому, нежно и глубоко – к Хлебникову. У Хлебникова никогда не было ни гроша, а у Маяковского изредка появлялась копейка, и тогда он требовал вина и угощал друзей. Каменский вел себя шумно, говорил за всех, лез вперед, из троих он был самый многоречивый.

Важными вехами жизни “Бродячей собаки” были проводившиеся в ней чествования знаменитых поэтов, писателей и актеров: К.Д.Бальмонта, Ф.Маринетти, Э.Верхарна, П.Фора и др.

Следует отметить ту роль, которую сыграла “Бродячая собака” в расширении и укреплении контактов между русской и французской культурами. Многочисленные вечера французской музыки и французского искусства, проводившиеся в “Собаке”, были дополнены торжественными чествованиями Эмиля Верхарна и “короля поэтов” Поля Фора.

Многие организуемые в “Собаке” вечера проводились в пользу лазаретов и больниц города, иногда на благотворительные цели отчислялась вся выручка, но чаще – ее часть.

30 апреля 1912 года был проведен вечер, на котором были подведены итоги первого “собачьего сезона”. Был сделан юмористический доклад о первом сезоне “Собаки”, затем вручены медали и почетные грамоты исполнителям. Летом 1912 года на берегу Финского залива была снята просторная дача. Жили коммуной. Вместе завтракали, обедали, пили чай и вино. Совместная жизнь сблизила и сдружила его членов, поистине превратила их в одну большую семью.

С 1914 года “Собака” была открыта почти каждую ночь. Мировая война, разразившаяся летом 1914-ого года, первоначально не очень отобразилась на жизни и быте “Собаки”. После летнего сезона, подвал открылся позже обычного, только в начале ноября. Открыт он был ежедневно, и впуск был существенно облегчен. Продажа и потребление спиртных напитков были официально запрещены, но неофициально спиртное в подвале обычно можно было получить. Но это делалось со дня на день все более опасным. И вскоре действительность внесла существенную корректировку в жизнь кабаре. Скрытая конфронтация, глухая вражда порой вырывалась наружу, взрываясь скандалами. Так было на одной из последних вечеров существования “Собаки” 11 февраля 1915 года. По программе должны были читать свои стихи Игорь Северянин, Давид Бурлюк и Василий Каменский, а декорации выполнили А.Радаков, С.Судейкин, и Д.Бурлюк. В публике появляется известный своими скандалами на диспутах поэт Маяковский: “Здесь падалью не питаются”,- заявляет он, а затем читает свое стихотворение “Вам!”. Это имело действие грома, были даже обмороки. Положение спасли литературные выступления князя М.Н.Волконского и К.И.Чуковского. Назревшую драку предотвратить удалось, но кто-то поехал в полицию и составил протокол.

“Собака” осталась на заметке у полиции. Пронин испытывал тревогу, ведь затронуты сердцу его дорогие интересы, а “Собака” была его любимым детищем. В “Собаке” стали соблюдать “осторожность”. Очень скоро в подвале был произведен обыск, и обнаружены дюжины бутылок запрещенных спиртных напитков, после чего градоначальник распорядился закрыть подвал. Имущество “Собаки” описали, и оно было продано за 37 тысяч рублей. Приятель Пронина, Виктор Крушинский (он был директором большого завода) заплатил 37 тысяч и спас доброе имя “Собаки” и ее директора.

ЛИТЕРАТУРА:

1. Ю. Алянский. Увеселительные заведения старого Петербурга. С.П. 1996 г.
2. С. Шульц. “Бродячая собака” С.П. 1997 г.
3. А.Ахматова “Поэма без героя” Москва 1989 г.
4. С. Гуткевич. Нужна “Бродячая собака”. 1985 г.
5. С.Судейкин. “Бродячая собака”. Воспоминания. М., 1984 г.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ – მოდერნისტული თუ რეალისტური

მარიამი ხარიბეგაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე,** სრული პროფესორი

კონსტანტინე გამსახურდია მრავალი რომანის, ნოველისა და ლექსის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე კრიტიკული წერილების მთელი სერია, ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევები, ესეები და ა.შ.

კ. გამსახურდიას მსოფლმხედველობა ფორმირდებოდა რთულ პირობებში. მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი იგი წერდა ისე, როგორც გრძნობდა, როგორც შინაგანი ხედვა კარნახობდა.

XX ს-ის 30-იანი წლების II ნახევარში კ. გამსახურდია მუშაობას იწყებს ისტორიულ თემებზე. პირველი ისტორიული რომანი, რომელიც მან შექმნა, არის „დიდოსტატის მარჯვენა“. ნაწარმოებმა უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭა. რომანში გაანალიზებულია საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს.

ყველა მწერალი, რომელიც გადაწყვეტს დაწეროს ისტორიული რომანი, განსხვავებულად უყურებს წარსულის ათვისების საქმეს, ყველას თავისებური წარმოდგენა აქვს ამ ჟანრის დანიშნულებაზე.

ნაწილი მწერლებისა ეწევა წარსულის გაღმერთებას. წარსული მათ სჭირდებათ მხოლოდ თანამედროვეობისათვის დასაპირისპირებლად. ხშირად კი ისტორიული რომანის ავტორებისათვის წარსული არსებობს როგორც მასალა თანამედროვე საკითხთა შესახებ არსებული შეხედულებების მოსათავსებელი სფერო. ამგვარი ტიპის მწერლები, როგორც წესი, არჩევენ თავისი აზრები, მსოფლმხედველობა გამოთქვან და ჩამოაყალიბონ განსხვავებულ გარემოში, ახდენენ მათ ტრანსპოზიციას.

„კ. გამსახურდიამ თავს იდო საპატიო საქმე - მხატვრულ ჩარჩოებში მოექცია საქართველოს წარსული, შეექმნა ისტორიული რომანების მთელი სერია. მათ განხორციელებას მწერალი წლების განმავლობაში ეწეოდა. მან განიზრახა მატიანეების, ქრონიკებისა თუ ფანტაზიის საშუალებით, უტყუარი სინამდვილის გრძნობით, ისტორიული ფაქტოგრაფია ექცია ხელოვნების დოკუმენტად და ამგვარად დაახლოვებოდა ისტორიულ დოკუმენტს“ - წერს გ. კანკავა.

დაწერილი რომანების პასუხად მხოლოდ გინება და მტრობა. „მეც ხომ ამირანი არა ვარ, დავიღალე“. ჰონორარს არ აძლევენ, საზღვარგარეთ წასვლისა და ჟურნალის ან გაზეთის გამოცემის ნებას არ აძლევენ. „პირზე ბოქლომი მაქვს, ხელფეხი შეკრული მაქვს... ათასწილად მირჩევნია ციხეში ვყავდე“. ასეთ პირობებში იწერება მისი საუკეთესო ნაწარმოებები. ამიტომ ახსოვს ელგუჯა მაღრაძეს ის მუდამ დარდიანი. ახსოვს და თვით გოლგოთას მიმავალი მწუხარე სახის განკაცებული ქრისტე სწორედ ისეთად ჰყავს წარმოდგენილი, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია იყო [4; 87].

ძნელია, დაინახო ის რთული პერიოდი, როდესაც კონსტანტინე გამსახურდია ქმნიდა თავის შედევრებს. „როგორ უნდა ავხსნათ, რომ 1973 წელს გამოცემული ათტომეულის წინასიტყვაობაში კრიტიკოსი ბესო ჟღენტი მწერლის შემოქმედებაში ხედავს ანარეკლს ახალი ეპოქის სუნთქვისა. მას მიაჩნია, რომ ეს ყველა ნაწარმოები მხოლოდ იმიტომ შექმნა ავტორმა, რომ ნათლად ეჩვენებინა „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით წარმოშობილი ახალი სოციალისტური ატმოსფერო“ [4; 88].

მწერალმა „დიდოსტატის მარჯვენაში“ მიზნად დაისახა ეჩვენებინა საქართველოს ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი - X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დასაწყისის პერიოდი. ეს არის საქართველოს გაერთიანების ადრეული წლები. ყოველივე ახალს ბრძოლა უხდება დამკვიდრებისათვის. ნაწარმოებში ცენტრალური ადგილი უკავია არსაკიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მწერლისათვის სვეტიცხოველი და მისი ამშენებელი წარმოადგენს ხელოვნების უკვდავების სიმბოლოს. ხელოვნება უკვდავია, სვეტიცხოვლის შექმნით აღსრულდა დიდი საქმე, მაგრამ ხელოვანი განწირულია, რაც გამოწვეულია დროთა მსვლელობით და იმ წინააღმდეგობებით, რაც დროს ახასიათებს.

საინტერესოა, რომელი მიმართულებით დაწერა კ. გამსახურდიამ „დიდოსტატის მარჯვენა“, მოდერნისტულია თუ რეალისტური რომანი?

თ. კიკაჩეიშვილი წერს: „XIX ს-ის ლიტერატურაში, სადაც გაბატონებულია რეალიზმი, განსაკუთრებულად გამოკვეთილადაა შესამჩნევი მსოფლმხედველობრივი ნიშან-თვისებები. მწერლის შემოქმედების რეალიზმი წარმართავს და მოითხოვს მისგან მხატვრული აზროვნების გარკვეული

პრინციპების დაცვას. რეალისტი მწერლის ორტატობას, მის ხასიათს განაპირობებს რეალისტური მეთოდი, რეალისტური მეთოდი იქვემდებარებს მას“. [3; 25].

კ. გამსახურდიას ლიტერატურული მოღვაწეობა რთული გზებით წარიმართა. მისი შემოქმედება რეალისტური და დეკადენტურ-მოდერნისტული სკოლების ნიშან-თვისებებით იყო შეზავებული. მწერლის იდეური მსოფლმხედველობა მხოლოდ რეალიზმის გზაზე საბოლოოდ დადგომის შემდეგ გამოიკვეთა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში.

მხოლოდ რეალიზმის პრინციპებით შეიარაღებულ მწერალს შეეძლო სწორად გამოეხატა რომანში გიორგი I-ის, მელქისედეკის და სხვათა სახეები. გიორგი I, რომელიც მწერლის საყვარელი გმირია, რეალიზმის პრინციპების მეშვეობითაა მართლად შეფასებული.

თავისი მწერლური პრაქტიკის პირველ პერიოდში კ. გამსახურდიას მსოფლმხედველობა, ესთეტიკური იდეალი, აღსავსეა უცხოური მოდერნისტული ხელოვნების ზეგავლენით. მაგრამ ამ პერიოდშიც არ ყოფილა დაცლილი მისი შემოქმედება ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ზეგავლენისაგან. მწერლის შემოქმედებაში თანდათან იჭრება რეალისტური ნაკადი. „დიდოსტატის მარჯვენაშიც“ მწერალი შელამაზების, იდელიაზაციის გარეშე გვიჩვენებს შუა საუკუნეების საქართველოს ცხოვრებაში ჭეშმარიტ სურათებს. [2; 148].

როგორც ჩანს, თ. კიკაჩეიშვილი „დიდოსტატის მარჯვენასაც“ წმინდა რეალისტურ ნაწარმოებად მიიჩნევს. შევუპირისპიროთ მას ზ. სარიას მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. ზ. სარია რომანში ექსპრესონიზმის ნიშნებს ეძებს და პოულობს კიდეც.

როგორც ცნობილია, მოდერნიზმის შემდეგ ლიტერატურაში შემოდის ნეომოდერნიზმი. ნეომოდერნიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა, სწორედ, ექსპრესიონიზმია როგორც ჩანს, ექსპრესიონიზმი მოდერნიზმის ერთ-ერთი განშტოებაა. ექსპრესიონიზმისათვის დამახასიათებელია საგნების ბუნებრივი ფორმის შეცვლა. ფორმას განსაზღვრავს არა რეალობა, არამედ მწერალი. ქართულ სალიტერატურო სივრცეში ექსპრესიონიზმის იდეოლოგებად კ. გამსახურდია და გრ. რობაქიძე იქცნენ. ეს მიმდინარეობა 1921 წ. გამოჩნდა ჩვენში.

კ. გამსახურდიასათვის ექსპრესიონიზმი ახალ რელიგიად იქცა, რომლის ფესვებსაც იგი უძველეს კულტურებში ეძებდა. მისი დამოკიდებულება ექსპრესიონიზმის ესთეტიკის მიმართ კარგად გამოჩნდა მწერლის ესეებში: „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი“, „თეატრი და ექსპრესიონიზმი“, „ახალი რელიგია“ და სხვა. ასევე, ნოველებში „ფოტოგრაფი“, „ტაბუ“, „ზარები გრიგალში“ და ა.შ.

გამოვარკვიეთ, რომ კ. გამსახურდია ექსპრესიონისტი მწერალია, მაგრამ რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ „დიდოსტატის მარჯვენა“ ექსპრესიონიოსტულ ნაწარმოებად? ზ. სარია მასში სწორედ ექსპრესიონისტულ ნიშნებს ხედავს და წერს:

„რასაკვირველია კ. გამსახურდია არ იყო სოციალიზმის პრინციპებით მომუშავე მწერალი, რასაც „დიდოსტატის მარჯვენაც“ გვაგრძნობინებს. აქაც, როგორც სხვა ნაწარმოებებში, უფრო ექსპრესიონისტული ტენდენციები მჟღავნდება“ [3; 32].

თუ „დიდოსტატის მარჯვენაში“ ექსპრესიონისტული ნიშნები ჭარბობს, უპირველესად რა ნიშანი უნდა მოვიძიოთ მასში?

საინტერესოა, დავრწმუნდეთ არის თუ არა ადამიანი ამაოების ასპექტში დანახული? ამ თვალსაზრისით დავაკვირდეთ პერსონაჟთა აღსასრულს.

პირველი შემზარავი ფაქტი ჭიაბერის სიკვდილია, ის დაიღუპება მეფისა და ზვიად სპასალარის მიერ გაგზავნილი მოწამლული ძელისცხოველის ჯვრის ამბორის შემდეგ. შემდეგი გირშელია, იგი მტერს შეატოვა გიორგი მეფემ და ასო-ასო აკუწეს ფხოველებმა ყველისციხის პატრონი. ასეთივე აღსასრული აქვს თალაგვა კოლონკელიძეს, მას თვალთა ნათელი დაუშრიტა მეფემ. მოკლეს მამამზე ერისთავი და ტოხაისძეც.

ცუდად დაამთავრა სიცოცხლე შორენამაც. ბაგინეთის მონასტერში აღკვეცილმა ენაჭარტალა მონაზვნის მოყოლილი საკუთარი ისტორია მოისმინა, ქარაფისკენ წაბარბაცდა და უფსკრულში გადაეშვა.

ფარსმანიც წამებაში შემოაკვდათ, არ გათქვა ჯავარდანების წრთობის საიდუმლო. გიორგი მეფე კი, პირად ცხოვრებაში გაუხარელი მეფე უიღბლო გამოდგა სიკვდილშიც,

ზ. სარიას აზრით, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ამდენი ადამიანის ასეთი ტრაგიკული აღსასრული. საფიქრებელია, რომ აქ ავტორის მსოფლმხედველობა ვლინდება: ცვალებადია ცისქვეშეთში ყოველივე და არაფერია მყარი ქვეყნად.

განა ამ ნაწარმოებებში არ არის ნაჩვენები ადამიანის დამთრგუნველი სინამდვილე, ყოფიერების აბსურდულობის იდეა, ტირანია, ფანდების დაგების ოსტატობა, შემზარავი რეალობა და არ იბადება მკითხველს უღრმეს წიაღში ყვირილის განცდა? „დიდოსტატის მარჯვენაში“ ადამიანი დანახულია ამაოების ასპექტში, ნაჩვენებია ინდივიდის შინაგანი უმწეობა, იკვეთება განწირულების ტენდენცია, რაც სწორედ ექსპრესიონისტული ნიშნებია.

ადამიანი უმწეოა. იგი ამაოების ასპექტში იხილა ავტორმა. უმწეოა ადამიანურ ცოდვებში გახლართული გვირგვინოსანიც, უნატიფესი სიყვარულით აღძრული ქალიც, უკვდავებასთან წილნაყარი ხელოვანიც. [3; 27].

რომანი სადაა კომპოზიციურად, წარმოადგენს ეპიკურ თხრობას და ამბის მიუკერძოებელ გადმოცემას. რომანის ამ მხარეს ჭარბად ავსებს ის უზომო ემოციურობა, აზრისა და სახეების პოეტურობა, განწყობილების სიუხვე და ზემოქმედება, რომელიც „დიდოსტატის მარჯვენას“ ქართული პროზის შედევრად ხდის. კონსტანტინე გამსახურდიას პროზა რიტმულია და ფერადოვანი.

კ. გამსახურდია არ არის ერთფეროვანი მწერალი. იგი წერს სხვადასხვა ჟანრში. ასე, რომ გასაკვირი სულაც არ არის თუ „დიდოსტატის მარჯვენას“ მოდერნისტული თვალსაზრისითაც განვიხილავთ.

ლიტერატურა:

1. კანკავა გ., ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1964.
2. კიკაჩეიშვილი თ., კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ პრობლემატიკისა და მწერლის მხატვრული ოსტატობის საკთხები, თბ., 1974.
3. სარია ზ., კ. გამსახურდია და ექსპრესიონიზმი, თბ., 2010.
4. ცერცვაძე მ., „კონსტანტინე გამსახურდიას რომანების „დიონისოს ღიმილი“ და „მთვარის მოტაცება“ სწავლების ზოგიერთი პერიპეტია“, გორის სასწავლო უნვიერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №2, 2011.

ი ს ტ ო რ ი ა

საბჭოთა კავშირის დანალექი – ადამიანთა საბჭოური აზროვნება

მარიკა ბალიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა თოგოშვილი**, ასოცირებული პროფესორი

დღესდღეობით საზოგადოების გარკვეული ნაწილი (გამოკითხულთა დაახლოებით 10%) აზროვნებს საბჭოთა რეჟიმის სასიკეთოდ. გლეხობის ზოგიერთ ნაწილს აქვთ აღნიშნული პერიოდის ნოსტალგია, რაც გამოიხატება დასაქმების მასშტაბურობაში. ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა უზარმაზარი საწარმოები, სადაც დასაქმებული იყო მოსახლეობის დიდი ნაწილი, ხოლო გლეხები მუშაობდნენ კოლექტიურ მეურნეობებში, ამჟამად ისინი ფიქრობენ, რომ სახელმწიფო მათ უზრუნველყოფდა სამუშაოთი და სამსახურით, ასაქმებდა მათ და ჰქონდათ პირადი შემოსავალი. სინამდვილეში ეს განპირობებული იყო იმით, რომ კერძო საკუთრება არ არსებობდა, მიწის მესაკუთრე იყო სახელმწიფო, ეკონომიკას განაგებდნენ ცენტრალური მგეგმავები და ამიტომ ხალხის ცხოვრება იმართებოდა სახელმწიფოს მიერ. იმის გამო, რომ ამ ადამიანებს არ შეხებიათ გადასახლებები, რეპრესიები, გამოსასწორებელ ბანაკებში გაძევება, მათთვის მიუღებელია საბჭოთა მოვლენების კრიტიკული შეფასება.

საბჭოთა იდეოლოგიის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ახალგაზრდათა დიდმა ნაწილმა ირწმუნა ამ იდეოლოგიის ჭეშმარიტება, ჩაება ახალი წყობილების მშენებლობაში და მალევე მოხდა საბჭოთა მოქალაქის მორალური სახის ჩამოყალიბება, რაც დღესაც დარჩენილია ნალექის სახით

ადამიანთა ფსიქიკასა და მეხსიერებაში. მიზეზია ის, რომ კომუნისტური პროპაგანდა საბჭოთა ახალგაზრდას ზრდიდა საბჭოთა იდეოლოგიის საფუძველზე, უნერგავდა ეროვნულის უარყოფისა და სოციალისტური იდეოლოგიისადმი ერთგულებას, სადაც ყველას ერთნაირი მიზნები და სურვილები უნდა ჰქონოდა ის, რაც მოსწონდათ მმართველ ორგანოებს.

რატომ წარმოადგენს დღევანდელი ადამიანის საბჭოთა სასიკეთოდ აზროვნება ეროვნულ პრობლემას და სახელმწიფოებრივ ტრაგედიას საქართველოსთვის და რატომ გახდა ეს ჩემთვის საკვლევი საკითხი? მიზეზი ამისა ის არის, რომ კვლავ არსებობს რეალური საფრთხე რუსეთის პოლიტიკის ხელშეწყობისა, რადგან 70–წლიანი რეჟიმის დანალექი ისევ არსებობს... საბჭოთა კავშირის დეკლარირებულმა დანგრევამ მიგვიყვანა მის ფაქტობრივ გაქრობამდე, მაგრამ, ვფიქრობთ, რუსეთის სახელმწიფოში იმპერიული აზროვნება არ გამქრალა, რუსეთი კვლავაც განაგრძობს მისთვის ჩვეული დიქტატის პოლიტიკას. რუსეთის გაფართოების და მიწადაპყრობის პროცესი XXI საუკუნეშიც გრძელდება, ისინი დღესაც ვერ ეგუებიან საქართველოს დამოუკიდებლობას და ხელყოფენ ტერიტორიულ მთლიანობას, რისი ნათელი მაგალითიცაა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული ღია აგრესია საქართველოს მიმართ, მოტივით სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვა. ამ ომის შემდეგ საქართველომ ზემო აფხაზეთად წოდებული კოდორის ხეობა, ლიახვის ხეობა და ახალგორის რაიონი დაკარგა და თუ არ მოხდება მასზე სერიოზული რეაგირება საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციების მიერ, რუსეთის აგრესიული ქმედება ქართული ტრაგედიიდან მსოფლიო ტრაგედიად გადაიქცევა.

ჩვენი ქვეყნის ერთ–ერთ ეროვნულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში ავტონომიური ერთულების არსებობა (აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ავტ. ერთეულები), სადაც რუსეთის პოლიტიკის გატარება წარმოადგენს საყრდენი პუნქტების შექმნას და იმ ძალების მოძებნას, რომლებიც შეძლებენ მხარი დაუჭირონ რუსეთის ქმედებებს.. საქართველოში მათ მოძებნეს ასეთი ძალები ოსი და აფხაზი სეპარატისტების სახით. საქართველოს წვრილ ავტონომიურ ერთეულებად დაყოფა გარკვეული მიზნისთვისაა განკუთვნილი, ქვეყნის შინააშლილობის ფონზე მისი მარტივი კონტროლის მიღწევით და უფრო დანაწევრებით ეს ერთეულები იოლად დაექვემდებარებიან რუსეთის გავლენას.

როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს დაარსდა და 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა. ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ მისი დაშლა იყო „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა“, დასავლეთის ქვეყნები მას „ბოროტების იმპერიას“ უწოდებდნენ, მოკავშირე რესპუბლიკები – „ძალადობრივ ერთიანობას“, მმართავი სისტემები „მოძმე რესპუბლიკათა კავშირს“. თავად ისტორიის კანონზომიერება ასეთია – „ნებისმიერი იმპერია ადრე თუ გვიან უნდა დაინგრეს“, საბოლოოდ ის მაინც დაიშალა, რადგან მისი არსებობის ღირებულებითი მნიშვნელობა არ არსებობდა.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მითითების თანახმად, აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთ ოსეთი გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, შემდეგ კი ავტონომიურ ოლქად, ეს ნაბიჯი კი საქართველოს მიმართ კვლავაც დიდი მიწათშეკრებისა და დიდი დაპყრობის პოლიტიკა იყო. ამ პოლიტიკის არსი მისი შეგნებულად დასუსტება და იმ დონემდე მიყვანაა, როდესაც ქვეყანა თავად გახდება იძულებული და თავად შევა იმპერიის შემადგენლობაში, როგორც მხსნელისა და გადამრჩენის მფარველობაში.

რატომაა საჭირო წარსულის გახსენება და ისტორიის ცოდნა? იმიტომ, რომ უკეთ გავიაზროთ თუ როგორი სისტემა ჰქონდა საბჭოთა კავშირს, თუ გადავავლებთ თვალს საბჭოთა პერიოდს მივხვდებით რომ ეს დრო სანატრელი არაა, რადგან მას ახასიათებდა ადამიანის პიროვნული უფლებების არცნობა, ყოველი განსხვავებული აზრი იდევნებოდა, მასობრივი საშუალებები მუდმივად კონტროლდებოდა, საბჭოეთის სახელმწიფო დოქტრინას ათეიზმი წარმოადგენდა, რელიგიის მიმდევრობა ან იკრძალებოდა ან სახელმწიფოებრივ შეზღუდვას განიცდიდა, ხდებოდა საპროტესტო დემონსტრაციების სისხლიანი ანგარიშსწორება, მაგალითად, 1989 წლის 9 აპრილი, როდესაც ეროვნული მოძრაობა ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ რუსეთმა მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბია, შედეგი მსხვერპლით დასრულდა, ამის შემდგომ ეროვნული მოძრაობის აღმავლობა მოსკოვმა ვერ შაჩერა და 1989 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა იზეიმა. ტრაგედიამ გამოხმაურება ჰპოვა როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე მთელს მსოფლიოში, რითიც ხელი შეეწყო მის დაშლას.

1924 წელს, როდესაც თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების რეალური თუ ეჭვმიტანილი მოწინააღმდეგეები, ხალხის არჩევანის უფლება მხოლოდ ქაღალდზე იყო გარანტირებული, საოკუპაციო ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ხალხს არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხშირად ხდებოდა სიმართლის დამალვა, მაგალითად, 1986 წელს 26 აპრილს ჩერნობილის (უკრაინა) ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარია, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ინფორმაციის დამალვამ ხელი შეუწყო დაავადებების გავრცელებას, რადგან ხალხმა არ იცოდა აღნიშნული პრობლემის შესახებ. რეპრესიები ეხებოდა განსაკუთრებით ინტელიგენციას, რომელიც ყველაზე ნათლად ხედავდა საბჭოთა რეჟიმის უარყოფით ტენდენციებსა და შედეგებს.

ჩვენ გვმართებს ერთიანობა, რათა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“... ჩვენი ქვეყნის ისტორიას მწარედ ახსოვს სხვაზედ დამორჩილების დროს ნებით თუ უნებლიედ როგორ გვიწევდა სხვებისთვის გვერდში დგომა საკუთარი ხალხის სიცოცხლის ფასად, თუ გავიხსენებთ პერიოდს, როცა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვიყავით, საქართველოს ყოფნას საბჭოთა კავშირში ჰქონდა კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი. როდესაც 1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და საქართველო, როგორც საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკა, ომში ჩათრეული აღმოჩნდა, შემდგომ გადაიზარდა მეორე მსოფლიო ომში, რის გამოც საქართველოდან დაიღუპა 300 000 ქართველი, რამაც უაღრესად გააუარესა საქართველოს დემოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობა. ომში ჩაბმული მოსახლეობა მოსწყდა მეურნეობას, ამან გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი, ფასების ზრდა და ცხოვრების დონის გაუარესება...

რატომ გვინდა ამ ყოველივეს გახსენება? იმიტომ, რომ არ დავივიწყოთ როგორ ვიყავით საბჭოთა კავშირში, რომ არ უნდა მივტიროდეთ იმ დროს, რადგან ასეთ სისტემაში ხალხი კარგავს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, განსხვავებული აზრი არ არსებობს, მეცნიერება წინ ვერ მიიწევს, ისადგურებს ერთფეროვნება და სხვა.

როგორც ვიცით, ჭეშმარიტება კამათში იბადება. თუ არ იქნება სიტყვის თავისუფლება და ადამიანებს არ ექნებათ საშუალება თქვან სიმართლე, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში იყო, მაშინ რაღაა სანატრელი და რაღაა მოსაწონი იმ დროში, როცა ბატონობს იდეოლოგია და ერთი იდეის გარშემო მოქმედებს ყველა და ყველაფერი, იდეა, რომელიც ყოველგვარ უსამართლობასა და სისასტიკეზეა აგებული.

რატომ არსებობს ადამიანებში საბჭოთა ნოსტალგია? რატომღაც ამ კატეგორიის ადამიანებს იმ პერიოდის ცხოვრება უფრო იოლი ეგონათ, რადგან მათ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას სხვა მართავდა, ისინი შეეგუვნენ დამორჩილებას, ამიტომ ის პერიოდი კომფორტის დროდ აღიქმებოდა, ამიტომ მათი მენტალიტეტი გამორიცხავდა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას, მათი მომავალი გათვლილი იყო როგორც იაფი მუშახელი, განათლების დაბალი დონით აშკარად გამორიცხავდნენ წინააღმდეგობის დაძლევის უნარს.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ საბჭოთა პერიოდში საფრთხე დაემუქრა საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს - ენის შენარჩუნებას. მაგალითად, როდესაც 1978 წელს მიღებულ კონსტიტუციაში მოსკოვის ნების თანახმად აღარ იყო მუხლი, რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებდა. საქმე ეხებოდა მშობლიური ენის დაკარგვას და გარუსების საფრთხეს, რის გამოც გამოვიდა ქართველთა ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია, საბედნიეროდ იგი მშვიდობიანად და შდეგიანად დამთავრდა. ეს იყო საქართველოს პირველი თვითგამოხატვა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

რატომ უნდა გვახსოვდეს ეს ყოველივე? რათა აღარ გავიმეოროთ იგივე შეცდომები და მაგალითი იყოს თითოეულისთვის. რატომ დაიშალა საბჭოთა კავშირი? იმიტომ, რომ მისი ძალადობრივი სისტემა მიუღებელი იყო ბუნებით თავისუფალი ადამიანისთვის. რატომ უნდა ვიცოდეთ ეს ყოველივე? იმიტომ რომ საფრთხე დღესაც არსებობს, დღესაც შეიძლება დავკარგოთ ჩვენი ქვეყანა, თუ არ გვეცოდინება წარსული, თუ არ გავიაზრებთ მას, ვერასოდეს დავშორდებით და შეიძლება ერთი ადამიანის მოქმედებამ გადაწყვიტოს ჩვენი ქვეყნის – საქართველოს ბედი, ამიტომაა საჭირო საბჭოთა პერიოდის რეალური გააზრება, ერთიანობა ხალხისა და საკუთარი შესაძლებლობების მზარდი რწმენა, მხოლოდ ესაა ჭეშმარიტი გზა და იმედი ერთიანი, მშვიდობიანი და ღვთივწილხვდომილი საქართველოს გადარჩენისა.

მას შემდეგ, რაც საქართველო საბჭოთა კავშირიდან გამოვიდა, მას გააჩნია დამოუკიდებელი პარლამენტი, დამოუკიდებელი რეფორმირებული სასამართლო, თავისუფალი პრესა, არასამთავრობო ორგანიზაციების საკმაოდ დიდი ქსელი...

იმისთვის, რომ იმპერიული ეპოქა არ განმეორდეს, საჭიროა საბჭოთა მენტალიტეტის შეცვლა და ცხოვრების აგება დემოკრატიულ პრინციპებზე. ამგვარ პრობლემებთან გამკლავება კი საერთაშორისო ხელშეწყობითაა შესაძლებელი, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის გაწევრიანება მსოფლიო თანამეგობრობებში და ორმხრივი ურთიერთობების განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს საერთაშორისო აღიარებას და დიპლომატიური ურთიერთობების გამყარებას მსოფლიო მოწინავე ქვეყნებთან, ერთობლივი მოლაპარაკება კი დასაბამს მისცემს ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნებას.

მთავარი საზოგადოებრივი პრობლემა საქართველოში უმუშევრობაა, სწორედ ესაა ცალკეულ ადამიანთა უკმაყოფილების მიზეზი და საბჭოთა ტრადიციით კოლექტიურ მეურნეობებში მასობრივი დასაქმების ნოსტალგია. საჭიროა ეროვნული წარმოების ხელშეწყობა, ამიტომაა საჭირო პრობლემურ საკითხებზე ხშირად საუბარი რათა ვიცოდეთ რა დავტოვეთ წარსულში სამაგალითო და რა შეცდომა არ უნდა გავიმეოროთ.

მთავარი პრობლემა სწორედ ესაა, რომ იმპერიის არსებობამ კვალი დატოვა – მან ჩაილექა ადამიანთა გონებაში, ფსიქიკაში და აზროვნებას გადასწვდა. საჭიროა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება ქართული ტრადიციების, ენის, ქვეყნის, კულტურისა და სარწმუნოების შენარჩუნება.

ლიტერატურა:
1. ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 2000.
2. ე. შევარდნაძე, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, 2006.
3. http://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_საბჭოთა_სოციალისტური_რესპუბლიკა
4. http://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_გარდამავალი_პერიოდის_ეკონომიკური_დოქტრინა
5. http://ka.wikipedia.org/wiki/საბჭოთა_სოციალისტური_რესპუბლიკების_კავშირი

ზერად აღკვეცილი ქართველი მეფეები

თამარ გელაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი**, ასისტენტ პროფესორი

სიცოცხლე არის უდიდესი და უძვირფასესი ნიჭი, რომელიც ღმერთმა კაცს უწყალობა. ამ ქვეყნად თითოეულ ადამიანს საკუთარი ჯვარი აქვს სატარებელი.

კაცის დანიშნულება ის არის, რომ განავითაროს ღვთისგან მონიჭებული ძალი და ნიჭი, მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას, მიიღოს მეტი მონაწილეობა საიდუმლო საღმრთო ნეტარებაში. სულ უკანასკნელი მისწრაფება კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი მისწრაფება ღმერთთან, როგორც ღვთის სახედ და მსგავსად შექმნილ არსებას, კაცს არ შეუძლია არ ეძიოს ერთობა ღმერთთან...

ჩვენი თემა ზერად აღკვეცილ ქართველ მეფეებზეა. მეფე ხომ ღვთისგან ცხებულია, ამდენად მისი როლი საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე ოდითგან გადამწყვეტი და მაცოცხლებელი ძალა იყო. სწორედ მეფეა საძირკველი, ქართველობა კი მასზე დაფუძნებული ორგანიზმია, რა თქმა უნდა, უფლის მადლითა და მისდამი სასოებით.

მთელი სამყარო ხომ ,,უსასრულო ღვთის ტაძარია, და ქრისტეს რჯული კი დედაო-ზარი”...

მეფეს ევალებოდა არამარტო ერის სოციალურ-პოლიტიკური თუ ეროვნული აღზრდა-განვითარებაზე ზრუნვა, არამედ სულიერი საზრდოს მიცემაც.

მეფეს, რა თქმა უნდა, მეტი პასუხისმგებლობა აკისრია უბრალო მოკვდავ კაცთან შედარებით, რადგან მასზეა დამოკიდებული ერის არსებობა, მისი წარმატება და წარუმატებლობა. მეფეს თავდადებული და გმირული საქციელით მაგალითი უნდა მიეცა თითოეული თანამემამულესათვის.

სამწუხაროდ, საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მრავალი უბედურების გადატანა მოუხდა, უამრავი ქარტეხილი გადალახა.... გაუძლო ხოცვას, დამცირებას, სისხლისმსმელ მტრებს.... ოთხი მხრით ხმლისმქნევი ქართველი ერი, მიუხედავად ყველაფრისა, დღემდე მოვიდა, რაც უფლის რწმენის და ქართველთა დაუმორჩილებლობის შედეგია.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ ქართველი მეფეები არც-თუ იშვიათად, ქვეყნის მართვის სადავეებს ხელიდან უშვებდნენ და ზერად შედგებოდნენ ხოლმე? პირველი მეფე, რომელზეც ვისაუბრებთ, დემეტრე -I-ა (1125-1156). იგი ძე იყო დავით აღმაშენებლის, მეფისა, რომელმაც შეძლო დაქცეული ქვეყანა აღედგინა, გაეძლიერებინა და ერი გაემთლიანებინა.

დემეტრე მეფემ, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, ,,შეიმოსა ჩოჯა და სქემა“, ზერად შედგა და ,,დასუა ძე მისი დავით მეფედ, იმეფა ექუს თჳე და მოკუდა”.

უცნობია, როგორ მოახერხა დავითმა მამის ტახტიდან გადაგდება. ისტორიკოსის მშრალ სიტყვებში ძნელია იმ ვნებათაღელვის ამოკითხვა ასაკისაგან სისხლდაკარგულ დემეტრეს ტახტიდან გადაყენებას რომ უნდა მოჰყოლოდა. ისიც კი არ არის ცნობილი დემეტრე თვითონ, საკუთარი სურვილით აღიკვეცა ზერად თუ აიძულეს. მისი თანამედროვე წყაროები თავს არიდებენ ამ საჩოთირო ამბავზე ლაპარაკს. ხანდახან ისეთი რამ წამოსცდებოდათ, რის თქმასაც ალბათ, არც აპირებდნენ და სწორედ ეს შეცდომა ხდება ხოლმე ჩვენთვის კვანძისგამხნელი იარაღი. გავიხსენოთ, თამარის ისტორიკოსის ცნობა იმის

შესახებ, რომ დემეტრე მეფე ღმერთს ევედრებოდა დავითს სიცოცხლე შეუმოკლეო, უეჭველია იგი ასე, ტახტიდან შვილის მიერ ნაადრევად გადაგდებამ გაამძვინვარა.

ერთი სიტყვით, უფროსმა ვაჟმა დავითმა დემეტრე ტახტიდან გადააგდო და ბერადაც აღკვეცა. მეორე მხრივ, შესაძლოა დავითის გაღიზიანება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ მეფე და მამა-დემეტრე ,,მარჩევალი ძისა უმცროსისა" იყო.

საინტერესოა რას აკეთებდა მეფედყოფილი მონასტერში? რით იმშვიდებდა აბობოქრებულ სულს? ლექსებს წერდა, დიახ დემეტრე, აწ უკვე ბერი, იამბიკოებს თხზავდა. მონასტერში მცირე ხანს ყოფნისას მან ისეთი პოეტური ქმნილებები შეთხზა, რომ უნებურად გული გწყდება, ადრე რომ არ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. ჩვენამდე მოაღწია მეფე-ბერის რამდენიმე იამბოკომ. მისი ,,შენ ხარ ვენახი" დღესაც ცოცხალი საგალობელია.

როგორც ითქვა, დემეტრეს მონაზნობის დროს სამეფო ტახტზე მისი ვაჟი დავითი ავიდა, დემეტრე ღმერთს მისგან ხსნას ეაჯებოდა. ვერა და ვერ ეთმობოდა ტახტი, გვირგვინი, უფლებები... როგორც ჩანს, თამარის ისტორიკოსმაც სწორედ მისი სულიერი მდგომარეობის ფიქსაცია მოახდინა, როცა გვაუწყა, შვილის სიკვდილს ნატრულობდაო. დემეტრე დიდხანს არ დარჩენილა უდაბნოში, დავითმა მხოლოდ ექვს თვეს იმეფა და მიიცვალა. თამარის დროინდელი ისტორიკოსი წერს: დემეტრეს "ვედრებისა შემსმენელმან ღმერთმან დავითსა დღეთა შემცირებიდა სრულ ყო პირველ მამისაო". იგივეს გვაუწყებს ლაშა-გიორგის დროინდელი ისტორიკოსი.

სომეხი მემატიანეების ცნობებით, მეფე დავითი სუმბატი და ივანე ორბელების ღალატის გამო დაიღუპა, რადგანაც დავითმა მათ ადგილზე თირქაში დანიშნა. ყოველივე ამის შესახებ ისინი წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი დავითის ძმა გიორგისთანო.

დასაშვებია, რომ გიორგის საქმიანობის შესახებ დემეტრეს არაფერი სცოდნოდა?! დავითი გარდაიცვალა თუ არა, დემეტრემ ბერული ჩოხა გაიხადა, კვლავ ტახტზე დაბრუნდა და ,,ძე ტკბილი შემგუარი მამისა, გიორგი აღამაღლა თავისა თანა და თჳსა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა". განა ეს გიორგისთან წინასწარ შეთანხმებულ მოქმედებაზე არ მიუთითებს?...

დაისმის კითხვა: დემეტრეს მიერ მონასტრის დაუტოვებლად და ტახტზე დაუბრუნებლად გიორგის გამეფება არ შეიძლებოდა? გარდაცვლილ დავითს დარჩა ვაჟი დემნა. იგი მცირეწლოვანი იყო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა - ტახტზე ყველა შემთხვევაში ის უნდა აეყვანათ. როგორც სტეფანოზ ორბელი გვამცნობს, მომაკვდავმა დავით მეფემ დარბაზი მოიწვია, დემნა საქართველოს მეფედ გამოაცხადა და დარბაისლებს მისი აღზრდა, ტახტის შენარჩუნება უანდერძა. თავის ძმა გიორგისაც, პატივი მიაგო - დემნას გაზრდაზე მისი სახელით ქვეყნის მართვა სთხოვა, მაგრამ დღეს თუ ხვალ დემნა სრულწლოვანი გახდებოდა, ტახტზე ავიდოდა და გიორგის ხელისუფლებას ჩამოართმევდა. გიორგის შთამომავლებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ისინი მეფობას ვერასოდეს ეღირსებოდნენ, გიორგის წინაშე აღმართული ამ წინააღმდეგობების გადალახვაზე დემეტრეს უეჭველია ბერობისას ნაფიქრი ჰქონდა, როდესაც უდაბნოდან დაბრუნებული კვლავ ტახტზე დაჯდა და თანამოსაყდრედ გიორგი აღიარა. ამით დავითის მეფობაც კანონგარეშედ გამოაცხადა და მის ვაჟ დემნასაც სამუდამოდ გადაუკეტა ტახტისაკენ მიმავალი გზა.

დავუბრუნდეთ ისევ დემეტრეს ბერად ყოფნის პერიოდს. კორნელი კეკელიძეს მიაჩნია, რომ ,,ტახტმიხდილი და ბერად აღკვეცილი დემეტრე დამიანეს სახელწოდებით, დავით-გარეჯის უდაბნოში მოღვაწეობდა". აღსანიშნავია, რომ დავით-გარეჯის მონასტრის კედელზე ყოფილა დემეტრეს სახე, რაც თავისი თვალით უნახავთ ანტონ კათოლიკოსსა და პლატონ იოსელიანს. ამრიგად იქ მისი მოღვაწეობა უტყუარი ფაქტია. მაგრამ თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული აქვს გელათური ხელნაწერიდან ამოღებული ერთი ფრაგმენტი, რაც სხვაგვარად აყენებს დემეტრეს ბერად აღკვეცის საკითხს. ამ ამონაწერში ნათქვამია: ,,დავით მეფისა, აღმაშენებლისა დიდისა და მისი (გელათის) ეკლესიისა და ძისა მისისა მეფისა დანიილ მონაზონისა საუკუნო არს სახსენებელი".

ამრიგად ირკვევა, რომ დემეტრე გელათის მონასტრის ბერი ყოფილა. ეს საბუთი 1158 წლით თარიღდება და მისი სისწორე ეჭვს არ იწვევს. მაშ, სად აღიკვეცა დემეტრე ბერად დავით-გარეჯის უდაბნოში თუ გელათის მონასტერში? ან რა სახელს ატარებდა ბერობაში დამიანეს თუ დანიილს? ამ საკითხის გადაჭრა ძნელია დამატებითი ცნობების უქონლობის გამო.

როგორც ცნობილია, დემეტრე პირველად დავითის გადაყენების შემდეგ აღიკვეცა ბერად. უფროსი შვილის გარდაცვალების შემდეგ მან ბერის ჩოხა გაიხადა, ეკლესია დატოვა და კვლავ ტახტზე დაჯდა. ამასთან ერთად, გიორგი თანამოსაყდრედ აიყვანა და მიზანს მიაღწია, ტახტზე დასვა თავისი საყვარელი ვაჟი. ამის შემდეგ, რაღა აზრი ჰქონდა ტახტზე ჯდომას? ისევ ხომ არ დაუბრუნდა იგი ეკლესიას? იქნებ სწორედ ამის შემდეგ წავიდა იგი გელათში. მონაზვნადაც ხელახლა აღიკვეცა და ახალი სამონაზვნო სახელი მიიღო?

დემეტრე გელათთან მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე გვატყობინებს, რომ გარდაცვალების შემდეგ იგი მის მიერვე კურთხეულ გელათს გადაასვენესო. თუ გელათი მართლა დემეტრეს ნაკურთხი იყო, ამ მონასტერში მისი ბერად აღკვეცა ეჭვს არ იწვევს. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა დროს დემეტრეს უნდა ემოღვაწა ჯერ დავით-გარეჯს და შემდეგ გელათის მონასტერში.

ასევე საინტერესოა ალექსანდრე I დიდის ბერად აღკვეცის საკითხიც. ალექსანდრე იყო ერთიანი საქართველოს მეფე 1412-1442 წლებში. ის იყო კონსტანტინე I-სა და ნათია ამირეჯიბის ძე. ალექსანდრე I-ს საკუთარ ოჯახშიც კი მოცილეები თუ არა, ყოველ შემთხვევაში თანამონაწილენი უკვე აღმოუჩნდნენ. თავის მთავრობასა და ვაზირებთან ერთად მას უკვე აღარ შეეძლო ისევე თავისუფლად ემოქმედა, როგორ წინად, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ მეფეები განაგებდნენ. ალექსანდრე მეფე, უკვე იძულებული იყო, თავისი ძმებისა და ცოლ-შვილისთვისაც გაეწია ანგარიში, მათი აზრი და სურვილი უმნიშვნელო აღარ იყო. ხოლო, რაკი საქართველოს მეფე ცოლად უწინდებურად უცხო სამეფოების ასულებს ვეღარ ირთავდა, არამედ რომელიმე თავისი ქვეშევრდომის ასული მოჰყავდა ცოლად. ცოლის ნათესავებიც, როგორც მეფესთან უფრო დაახლოებულნი, სხვებზე მეტი გავლენით სარგებლობდნენ.

რასაკვირველია, ყოველივე ამან მეფის ხელისუფლების დასუსტებას და გავლენის შემცირებას შეუწყო ხელი. ეს გარემოება იმდროინდელ ძეგლებში გარეგნულადაც კი არის აღბეჭდილი. ალექსანდრეს მეფობის დროიდან მოყოლებული, საქართველოს მეფეები თავიანთ სიგელებს მარტო საკუთარი სახელით კი აღარ წერენ, არამედ შიგ თანამეცხედრე, ძმები და შვილები არიან დასახელებულნი, რომელთაც რასაკვირველია, არავითარი უფლება არ ჰქონდათ სამეფო საქმეებში ჩარეულიყვნენ.

ასეთ პირობებში, ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ თვით მეფის ოჯახშიც საკუთარ შვილთა შორის ისეთებიც აღმოჩნდებოდნენ, რომელთაც მხოლოდ ბატონიშვილობა აღარ დააკმაყოფილებდათ და უფლისწულობას მოინდომებდნენ. ალექსანდრე I-ის საბუთებში მისი უფროსი ვაჟი - ვახტანგი მეფედ აღარ იხსენიება, მაგრამ, ის გარემოება, რომ ალექსანდრე იძულებული იყო თავისი ვაჟიშვილი ვახტანგი, მეფედ მისივე სიცოცხლეშივე ეკურთხებინა, იმას გვაფიქრებინებს, რომ მეფის ოჯახში რაღაც ისეთი განხეთიქლება მომხდარა, რომელმაც აიძულა იგი ,,არაჩვეულებრივად" მოქცეულიყო და თავისი სიცოცხლის დროსაც ვაჟიშვილი მეფედ მოეხსენიებინა. ამიტომ, შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, რომ 1442 წელს საქართველოს მეფემ ალექსანდრემ ქვეყნის მესაჭეობას თავი დაანება და ბერად აღიკვეცა ათანასეს სახელით. ამის შემდეგ, მეფედყოფილი ალექსანდრე სვეტიცხოვლის ეკვდარში ცხოვრობდა. 1442 წელს იგი 62 წლის იყო და რასაკვირველია ჯერ კიდევ კარგა ხანს შეეძლო სამეფო საქმეებს გაძღოლოდა. ფიზიკური და გონებრივი ძალაც ამისთვის მას ჯერ კიდევ ექნებოდა. თუ მეფის ენერგიულ მოღვაწეობას გადავხედავთ, მისი ენერგიული ბუნებაც უმოქმედო ბერ-მონაზვნად ძნელი წარმოსადგენია. ამიტომ, საფიქრებელია, რომ თავის საკუთარ ოჯახშივე ჩამოვარდნილი უთანხმოების გამწვავებას ამჯობინა, პატივმოყვარე შვილისთვის მეფობა თვითონვე დაეთმო, ვიდრე განხეთქილება ჩამოეგდო და საქართველო განსაცდელში გაეხვია.

შემდეგი ბერად აღკვეცილი ქართლის მეფე დავით X-ა. 1525 წელს იგი გადადგა და ბერად აღიკვეცა ,,ტბილისსავე მონასტერსა შინა" დამიანეს სახელით.

ამას თვით მისივე სიტყვებიც ცხადყოფენ: ,,მე შენ მიერ შემოსილმან პორფირითა და გუირგუინითა სამეფოთა და აწ შენძლითვე ღირსქმნულმან სახესა მონოზონობისა დავით ბაგრატიონმან ნებითა ღმრთისაითა მეფემან ქართუელთამან და აწ მონაზონმან დამიანე".

რამ აიძულა მეფე დავითი სახელმწიფო საჭეთმპყრობლობისათვის თავი დაენებებინა, საბუთებიდან არ ჩანს.

ვახუშტის ბატონიშვილს 1523 წლის ამბების აღწერისას ნათქვამი აქვს: ,,შემდგომად ამისა განიხადა მეფემან დავით სოფლისა სიმუხთლით და უსვეობა (უიღბლობა - თ. გ.) თვისი, დაუტევა მეფობა და იქმნა მონაზვნად".

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით მეფე დავითმა ,,მისცა მეფობა ძმასა თვისსა გიორგის და თვითონ მეფე შევიდა თბილისსავე მონასტერსა შინა და შემდგომად მოკუდა".

სხვა წყაროებში არაა ნახსენები, რომ მისი შემონაზვნების მიზეზი ,,უსვეობა" იყო, არც ის დასტურდება, რომ თავისი ძმისთვის გადაეცეს მეფობა. თვით გიორგი თავის სიგელში არც ერთხელ მეფეს არ უწოდებს საკუთარ თავს: "მე გიორგი ბაგრატიონიანმან... ძემან მეფედ-მეფისა კონსტანტინესამან ვცან ვითარმედ სოფელი წუთიერი და მსწრაფლ წარმავალ არს... ამისთუის დაუტევე ყოველივე ამაოება და დიდება მისი და შევიმოსე საღვთო მონაზვნობა... მე გიორგი ყოფილმან გერასიმე".

ქართლის ცხოვრების მიხედვით: ,,პატრონმან მეფემან დავით თჳისი შვილი რამაზ გაგზავნა და ყაენს წინა მიაგება და დაიხსნა საქრისტიანო. დაყო რაოდენიმე ხანი და მერმე დღითა აღსავსემან აღირჩია კეთილი ნაწილი და იქმნა მონაზონ და უწოდა სახელად დამიანე. ესხნეს ძენი სამნი: ლუარსაბ, დიმიტრი და რამაზ". მოყვანილი ცნობა ეწინააღმდეგება ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისს. ეს ორი

ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებაა, ამიტომ ზუსტად ვერ დგინდება თუ რა იყო მიზეზი დავითის გამონაზვნებისა.

ახლა დავითის ,,მოძალადე“ ძმას გიორგი IX-ს მივუბრუნდეთ, რომელიც უთუოდ გარკვეულ როლს ითამაშებდა უფროსი ძმის იძულებით, ან ,,ნებაყოფლობით“ ბერად აღკვეცაში, მაგრამ არსთა-გამრიგემ მას მეფობა მხოლოდ ორ წელს - 1525-1527 წლებში არგუნა. ამის შემდეგ გიორგი საბოლოოდ ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს და აღიკვეცა ბერად გერასიმეს სახელით ,,ამასვე ჟამსა მონაზონ იქმნა გიორგი, ძმა დავით მეფისა და უწოდეს სახელად გერასიმე და ბაგრატცა, ძმა მეფის დავითისა და გიორგის, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა და უწოდეს სახელად ბარნაბე”.

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I მეფობდა 1606-1648 წლებში. ცხოვრებამ მას ძალზე მძიმე ტვირთი არგუნა. მტარვალი შაჰის ხელით დაიღუპნენ დედამისი - ქეთევან დედოფალი და ძეები: ლევანი და ალექსანდრე. 1648 წელს როსტომ ხანთან ბრძოლაში დაიღუპა უკანასკნელი ძე დათუნა ბატონიშვილი. ვერც რუსეთისგან მიიღო დახმარება და გასაკვირი არ არის, რომ 1661 წელს იმერეთში დაბრუნებული და ცხოვრებაზე საბოლოოდ გულგატეხილი თეიმურაზი ბერად აღიკვეცა და სკანდას ციხეში განმარტოვდა. თუმცა, ბედმა საკუთარ სამშობლოში სიკვდილიც არ არგუნა მთელი ცხოვრება ყიზილბაშების წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს. ბოლოს ირანში აღმოჩნდა. მაჰმადიანობის მიღებაზე უარის თქმის შემდეგ, მეფე ასტრაბატის ციხეში გამოკეტეს და 1663 წელს 74 წლის ასაკში იქვე გარდაიცვალა. ქართველებმა მისი ნეშტი მხოლოდ მოგვიანებით გადმოასვენეს და ალავერდის ტაძარში დაკრძალეს.

როგორც ზემოთ მოტანილი ფაქტები ცხადყოფს, მეფეთა ბერად აღკვეცა მხოლოდ საკუთარი სურვილით არ ხდებოდა. ზოგჯერ შვილებს ესწრაფებოდათ მამის ტახტზე ასვლა, სხვა შემთხვევაში სამეფო კარი და დიდებულები აიძულებდნენ. არც ის იყო უცხო, როდესაც სამეფო გვირგვინი სრულიად სხვაგვარ გადაწყვეტილების მიღებას აიძულებდა მეფე კაცს, ვიდრე იგი უბრალო მოკვდავის შემთხვევაში იქმოდა. ალბათ ამიტომ ათქმევინებს კონსტანტინე გამსახურდია გიორგი პირველს სიკვდილის წინ: ,,მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია, ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი და ხვიარის ფესვებისა მეშინოდა...”

,,ასეთი რა ცოდვა გაქვს მეფეო, მიუტევები?
ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს, რაი გადარდებს?
გასწიე იგი ”ნიკოფსიით დარუბანდამდე”,
თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ მეფეო რაღა ქნან ცოდვილთ?
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის ვერსით მპოველთა”?

გაოცებული ეკითხება დავით აღმაშენებლის სულს ანა კალანდაძე და პასუხს უიმედოდ ელის.

რას იზამ, ხალხსაც ერის წინამძღოლი გმირები სჭირდებოდა და არა გვირგვინს თავშეფარებული უბრალო მოკვდავნი.

აკი ამიტომაც ვერ უძლებდნენ გვირგვინის სიმძიმეს მავანნი და ბერის ანაფორაში ეძიებდნენ სულის სიშვიდეს.

ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1958.
2. ნინიძე დ., პროვინციის მეფეები, თბ., 1995.
3. ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., ”საქართველოს მეფეები”, თბ., 2007.
4. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, II, IV

„ქაჯეთი“, „ქაჯნი“ „ვეფხისტყაოსანში“ და ისტორია

რეზო მარნაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** სრული პროფესორი

,,ვეფხისტყაოსნის'' მკითხველი ქაჯებსა და ქაჯთა სამეფოს პირველად ეცნობა პოემის შემდეგ თავში: ,,ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა. ფატმანისაგან მბობა ავთანდილთანა'', რომლის თანახმად, ფატმანმა შემთხვევით მოისმინა ხანაგაში ჩამომხდარ მგზავრთა საუბარი. ქაჯთა მეფის მონა თავის თავგადასავალს მოუთხრობდა გზაში გაცნობილ თანამგზავრებს, რომლიდანაც ირკვევა, რომ ნესტან-დარეჯანი მოუტაციათ ქაჯებს!

ფატმანის სიტყვებით, ქაჯებს ჰყავთ თავისი მეფე, ვაზირნი, მონები, ლაშქარი; ისინი ძარცვავენ ქარავნებს, იტაცებენ ქალებს და ხანაგაში ჩერდებიან ჩვეულებრივი მგზავრებივით. ,,ვეფხისტყაოსნის'' ქაჯები არ არიან უცხო ავსულნი. ამას ეჭვმიუტანლად ადასტურებს თვით პოემის ტექსტი.

თუ ერთხელ და სამუდამოდ ვენდობით რუსთველის მოწმობას (,,არ ქაჯნია, კაცნიაო'') და მისტიფიკაციად არ მივიჩნევთ, მაშინ იბადება კითხვა: პოემის ფანტაზიის ნაყოფია ,,ქაჯებად'' წოდებული ადამიანები თუ შეესაბამებიან რომელიღაც სინამდვილეში არსებულ ხალხს, რა ვიცით ქართული და უცხოური საისტორიო წყაროებიდან ქაჯეთის და ქაჯების შესახებ. არსებობს თუ არა ამ სახელწოდების ტოპონიმები და ეთნონიმები.

ქაჯეთის ციხე პირველად ასურულ-ლურსმულ წყაროებში იხსენიება, როგორც ,,ქარმანი'', ისინი მას ურჩხულთა ციხეს უწოდებდნენ. შემდეგ იგი მოხსენიებულია ძველ ბერძნულ წყაროებში, ძვ.წ. მე-6 საუკუნის ანონიმი ავტორი მას ახასიათებს, როგორც მსოფლიოს უმძლავრეს ციხეს ,,მასთან ტროას ლეგენდარული კლდეებიც ვერ მოვა ახლოს''. ასე ახასიათებს ბერძენი ავტორი ამ ციხეს და მას ,,აპორდუსს'' - მაგიის მცოდნე ხალხით დასახლებულ ციხეს უწოდებს. ის ასევე მოგვითხრობს, რომ ამ ციხის მცხოვრებნი ფლობენ უძლიერეს სამხედრო ტექნიკას და ნებაყოფლობით არიან კოლხეთის სამეფოს ვასალები. თვითონ კოლხები ციხეს ,,საარონს''- ,,ქაჯთა ციხეს'' ეძახდნენ. ამ ხანის წყაროების მიხედვით ქაჯეთის ციხე სამხრეთ კოლხეთის მთიანეთში (მესხეთი და ჭანეთი) მდებარეობდა.

,,ქართლის ცხოვრების'' ავტორი ლეონტი მროველი ფარნავაზისა და აზოს შებრძოლების ადგილად ასახელებს ,,ქაჯთა ქალაქს'', რაც მკვლევართა აზრით, არტაანია. სწორედ ,,ქაჯთა ქალაქთან'' ბრძოლის დროს დაიღუპა აზო და ამის შემდეგ ფარნავაზი გამეფდა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ქაჯეთის ციხე-სიმაგრე საქართველოს ისტორიულ პროვინციაში ტაო-კლარჯეთში მდებარეობს, დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის დაბა ჩილდირიდან რამდენიმე კილომეტრში, სოფელ ილდირიმთეფესთან (მისი ძველი სახელი).

ვახუშტი ბატონიშვილი ამ ციხეს შეცდომით ციხე-ქალაქ წუნდასთან აიგივებდა. ეს ციხე მოუნახულებია ექვთიმე თაყაიშვილს და მისთვის ,,მრისხანე ციხე'' უწოდებია, რომელიც ციხესთან რაბათის არსებობას ადასტურებს. აქვე უნდა ყოფილიყო სოფელი საბადური. ამჟამად ეს ტოპონიმი დაკარგულია. ჯერ კიდევ 1943 წელს ლევონ მელქისეთ-ბეგი ვარაუდობდა, რომ ეს ციხე უნდა ყოფილიყო ,,ვეფხისტყაოსნის'' ქაჯეთის ციხის პროტოტიპი და არა ალამუთის ციხე.

,,დავთარში'' სოფ. საბადურის ქაჯისციხესთან ახლოს მოხსენებულობის ფაქტი სავსებით ადასტურებს ექ. თაყაიშვილის მიერ ქაჯისციხისთვის განსაზღვრულ მდებარეობას. თურქებმა, როგორც ექ. თაყაიშვილი შენიშნავს, ქართული ,,ქაჯისციხე'' თარგმნეს და უწოდეს შაითან კალა. ი. ჰამერმა, რომელიც თურქული წყაროებით სარგებლობდა, ქაჯისციხის სახელი გერმანულადაც თარგმნა. აკად. ივ. ჯავახიშვილი ემყარება ი. ჰამერის ისტორიის ამ ადგილს და წერს, რომ ,,ჩილდირი უდრის ქაჯისციხეს''. მართლაც, ი. ჰამერი წერს, რომ ჩილდირის ციხეს ქაჯისციხეც ერქვაო, მაგრამ ეს სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ჩვენ ამჟამად არ გვაქვს შესაძლებლობა შევამოწმოთ ჰამერის წყაროების სათანადო ადგილები, მაგრამ ,,დავთარში'', როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, ჩილდირის ციხის რაბათი ცალკეა აღწერილი და ქაჯის ციხისა კიდევ ცალკეა დასახელებული სოფ. საბადურთან.

,,მესხურ დავითნის ქრონიკაში'' ქაჯეთის ციხე აქტიურ მოქმედებათა ობიექტია: ,,კოკოლა თავის ძმის-წულსა და ბატონს მანუჩარს შემოჰფიცა, ქაჯის-ციხე უკმოუჭრა, მერმე ფიცი გაუტეხა''..., ''...გავილაშქრეთ ენკენისთუს ნახევარს და ქაჯის-ციხეს მივადეგით...'', ''ბატონი მანუჩარ ჯავახეთს წავიდა, ფოსო და ჯავახეთი დაარბივა და გურჰაქს ქაჯისციხე გაუბარაქნია...''. ამ წყაროში საუბარია სწორედ იმ ქაჯის-ქაჯეთის ციხეზე, რომელმაც, როგორც ექვთიმე თაყაიშვილმა შენიშნა, დიდი როლი

ითამაშა თურქების მიერ საქართველოს ამ ნაწილის დაპყრობის დროს. საბოლოოდ ქაჯეთის ციხე თურქებმა დაიპყრეს ლალა-ფაშას საქართველოში გამოლაშქრების დროს 1578 წელს, როდესაც ქაჯის ციხის მთელი გარნიზონი განადგურებულ იქნა. ამ დროიდან არის, ალბათ, ქაჯის ციხე აოხრებული და მისი რაბათი უმოსახლოდ დარჩენილი. მას შემდგომში თურქებმა შაითან კალა - ეშმაკის ანუ ქაჯთა ციხე უწოდეს.

შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი'' მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას. ის არა მხოლოდ პოეზიის, არამედ მეცნიერების საკუთრებაცაა. ტექსტში მოცემულია ქვეყანათმცოდნეობითი, საბუნებისმეტყველო და კოსმოლოგიური მასალა.

კარტოგრაფიული ცოდნა და მასთან დაკავშირებული ტერმინების გამოყენება ქართველებს ადრეც უნდა სცოდნოდათ. ამას ადასტურებს შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანში'' მოხსენიებული გეოგრაფიული ტერმინოლოგია. მათ შორის ინტერესს მოკლებული არაა ,,ვეფხისტყაოსანში'' ხმარებული ტერმინი რ უ კ ა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი სივრცესთან მიმართებაში ნახსენები ტერმინია. ,,მოგნახეს გძებნეს ყოველგან, მათ რუკა დაუწერია''. ამ შემთხვევაში რუკა ბრძანების წერილის ცნებით არ უნდა იყოს გამოყენებული, არამედ ტერმინ „რუკის“ ხატოვანი ფორმაა გადმოცემული და ასახავს შოთასდროინდელ კარტოგრაფიულ ფენომენს. შოთა რუსთაველი ამ ტერმინს ისე უნდა იყენებდეს, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი XVIII საუკუნეში და ჩვენ დღეს.

კობა ხარაძის აზრით, შოთა რუსთაველის ,,უკვდავი პოემიდან'' ნათლად ჩანს, რომ პოეტი კარგად იცნობდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ იმ დროს მსოფლიოში არსებულ ყველა მნიშვნელოვან ქვეყანას. იგი თავისი პოემის დაწერის დროს ეჭვმიუტანლად იყენებდა სხვადასხვა ქვეყნების რუკებს, რაც კარტოგრაფიის კარგად ცოდნას მოითხოვდა. ეს კი პოეტის გეოგრაფიულ აზროვნებაზე მიგვითითებს. ,,ვეფხისტყაოსნის'' მოქმედება გაშლილია რეალური ქვეყნების, ქალაქებისა და ხალხების ფონზე და მოიცავს უზარმაზარ ტერიტორიას - დედამიწის სამ ვრცელ კონტინენტსა და ინდოეთის ოკეანეს.

პოეტს ,,ვეფხისტყაოსანში'' გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორგვარი ჯგუფი აქვს მოცემული: ერთი, რომელსაც ახლაც ის სახელები ჰქვია და მათი ადგილმდებარეობის დადგენა ეჭვს არ იწვევს - ინდოეთი, არაბეთი და ა.შ. მართალია, დღეს უკვე ეს სახელი აღარ ჰქვია, მაგრამ მაშინდელ მსოფლიოში ცნობილი იყო ხატაეთი, რომელიც ჩინეთის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა, მაგრამ გვაქვს მეორე ჯგუფის სახელწოდებანი, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, მაგალითად, დღეს აღარ არსებობს სახელწოდებები: მულღაზანზარი, გულანშარო, მაგრამ პროფესორმა ლევან მარუაშვილმა ძველი რუკების საფუძველზე ამ სახელწოდებების მქონე ქალაქების ადგილმდებარეობა დაადგინა. მულღაზანზარი აფრიკაში, კერძოდ სომალის ნახევარკუნძულზე იყო განლაგებული, იქვე იყო ტარიელის ქვაბოვანი.

პოემაში მითითებულია ბუნებრივი პირობების ისეთი თავისებურებანი, რომლებიც აფრიკისთვის მკვეთრადაა დამახასიათებელი. ამავე დროს, პოემაში შოთა რუსთაველი როცა მონა-ზანგებზე საუბრობს, სწორედ აფრიკის მონა-ზანგებს უნდა გულისხმობდეს. პოემაში მრავალჯერ გვხვდება ,,დიდი ზღვა'', ანუ ოკეანე, რაც იმდროინდელი რუკების მიხედვით მხოლოდ ინდოეთის ოკეანეა, გულანშარო ლოკალიზებული უნდა ოყოს მადაგასკარის ჩრ. ნაწილის სანაპიროზე, ქაჯეთის ციხეც - იმავე კუნძულის ცენტრალურ, ამაღლებილ ნაწილში.

ა. სვანიძე „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული, ტფ., 1934) ,,ვეფხისტყაოსნის'' არეალს ევროპისა და აზიის გარეთ ვერ ხედავდა და პოემაში მოხსენიებულ დღეისათვის უცხო ტოპონიმებს ამ კონტინენტზე ათავსებდა. მკვლევარი მულღაზანზარის ქვეშ ტრაპიზონს გულისხმობდა, გულანშაროში იტალიის ვენეციას, ქაჯეთად კი გიბრალტარი ჰქონდა წარმოდგენილი. მისივე აზრით, ნესტან-დარეჯანი ზღვით წაიყვანეს ტიგროსისა და ევფრატის გავლით ტრაპიზონში, საიდანაც ჯერ ვენეციაში, ხოლო შემდეგ გიბრალტარის სრუტეში მოხვდა.

ლ. მარუაშვილმა უარყო ა. სვანიძის თეორია და საკმაოდ მყარი არგუმენტების მოტანით უცნობ ტოპონიმთა ლოკალიზაცია აფრიკის კონტინენტსა და ინდოეთის ოკეანეში გადაიტანა (რუსთაველის გეოგრაფიული თვალთახედვა, ჟურნალი ,,მეცნიერება და ტექნიკა'', 1965, N9). ა. სვანიძის მოსაზრების უარსაყოფად მთელი რიგი ფაქტები და შეუსაბამობა მოიტანა აგრეთვე დ. ქუმსიშვილმაც (ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემო, ჟურნალი ,,მნათობი'', 1964, N12).

პროფესორმა ლევან მარუაშვილმა გამოიკვლია სხვადასხვა ლიტერატურა, რუკები, გემების მოძრაობა, ქარების მიმართულებები და განსაზღვრა ქაჯეთის ციხის ადგილმდებარეობა - ესაა კუნძულ მადაგასკარის ცენტრალური ნაწილი, სადაც ახლაცაა ციხე.

თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა ავტორთა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მაგალითად, ხმელთაშუა ზღვით ატლანტის ოკეანეში რომ გადიხარ გიბრალტართან კლდეებია და ზოგს ის მიაჩნია ქაჯეთის ციხედ, მაგრამ პოემაში ნახსენებია მუსონები, ხმელთაშუა ზღვაში კი მუსონები არ არის. ასევე ქაჯეთის ციხე ვახუშტი ბაგრატიონს აღნიშნული აქვს ქობულეთთან ახლოს, ციხისძირთან იქ აწერია კიდეც - ,,ქაჯეთის ციხე...''. შესაძლებელია შევადაროთ საქართველოში

არსებული ბევრი ციხე ქაჯეთის ციხეს, მაგალითად ადიგენის რაიონში მდებარე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ციხე, რომელსაც ,,ოქროს ციხე'' ჰქვია; ქართული გეოგრაფიული სახელის ,,ოქროს-ციხის'' თურქული თარგმანია უდავოდ ,,ა ლ თ უ ნ - კ ა ლ - ა'' (Altun-kal-a). აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს ცენტრალური არქივის თურქულ საბუთთა ფონდებში დაცულია რამდენიმე ბარათი (ფირმანი), რომლებშიც სხვათა შორის ,,ალთუნკალა'' ზუსტად ისევეა დასახელებული, როგორც დავთარში. ქაჯეთის ციხეს შეგვიძლია შევადაროთ ასევე მიუდგომელი და აუღებელი ბირთვისის ციხე, აქ სულ კლდეებია გარშემო და ისიც შეიძლება მივიჩნიოთ ქაჯეთის ციხედ, მაგრამ ,,ვეფხისტყაოსნის'' სტროფებში წერია, თუ რამდენი დღე იარეს გმირებმა, რამდენი ხანი დაჰყვეს წყალში, რამდენი ხანი ხმელეთზე, რათა ქაჯეთის ციხემდე მისულიყვნენ. პოემის გეოგრაფიული მარშრუტი სინამდვილეზეა აგებული და განსაკუთრებული სიზუსტითაა მოცემული. პოემის გმირთა მოქმედება რეალურ გეოგრაფიულ სივრცეზეა გაშლილი.

... ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს ქართველმა ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმა სცადა დაემტკიცებინა, რომ ,,ვეფხისტყაოსანში'' ქაჯების სახით გამოყვანილი არიან მულიდები ანუ ასასინები. ეყრდნობოდა რა ვებერის ,,მსოფლიო ისტორიაში'' მოტანილ ცნობებს ამ სექტის შესახებ, მ. ჯანაშვილი ასკვნიდა, რომ რუსთველის პოემის ქაჯებსაც სწორედ ის თვისებები აქვთ, რითაც მულიდნი განირჩეოდნენ სხვა რწმენის ხალხისაგან.

შემდგომში ეს მოსაზრება გაიზიარა და უფრო საფუძვლიანად დაასაბუთა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ. იგი გვაწვდის მულიდთა საოცარი საქმიანობის ცოცხალსა და მჭევრმეტყველ სურათს: ,,ასასინები მეტად მოხერხებული ადამიანები იყვნენ; არ იყო ისეთი დაბრკოლება, რომელიც მათ არ გადაელახათ თავიანთი მიზნის განხორციელებისას. არ იყო ისეთი საქმე, რომელიც მათ არ სცოდნოდათ მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან. არ იყო ისეთი საჯარო ადგილები და დაწესებულებები, სადაც ისინი შეუმჩნევლად, როგორც უხილავი სული და გრძნეული არსება არ შესულიყვნენ და ისიც არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც''.

კ. კეკელიძის დასკვნით, ,,ვეფხისტყაოსნის'' ქაჯები თავისი ყოფაცხოვრებითა და ხასიათით ზედმიწევნით გვაგონებენ მულიდებს.

ზოგიერთი მკვლევარი ,,ვეფხისტყაოსნის'' ქაჯებსა და ქაჯეთს მიიჩნევს რომელიმე ტომისა და მათი ქვეყნის სახელწოდების დამახინჯებულ ფორმად (მაგ. ,,ქალჯები'' - სამხრეთ ავღანეთში, ,,კაჩარ'' - ინდოეთში, ,,კაჯე'' - ნიგერიაში და სხვ.). ასეთი მსჯელობა სამართლიანი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს ქართულ ენაში სიტყვა ,,ქაჯი'', რომელიც თავისი პირველადი მნიშვნელობით (ავსული, ეშმა) გვხვდება თვით ,,ვეფხისტყაოსანის'' ფურცლებზე. პოემის დასაწყისში როსტევანი ამბობს ტარიელის შესახებ: ,,ვითა ეშმა დამეკარგა''. რასაკვირველია, პოეტს თავისუფლად შეეძლო ეთქვა: ,,არ ეშმაკნია, კაცნიაო'', ან ,, არ ავსულნია, კაცნიაო''.

მაშასადამე, მცდარი არ უნდა იყოს ,,ქაჯის'' ფონეტიკურად შესატყვისი ტომისა თუ ქვეყნის ძიება აზია-აფრიკის ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკაზე. ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტი იძლევა ერთადერთ პასუხს: პოემის ქაჯნი და ქაჯეთი დამკვიდრებულ ეთნიკურ-გეოგრაფიულ ცნებათა სახეცვლილება კი არ არის, არამედ პოემაში აღნიშნული მეტსახელი რომელიღაც ხალხისა და მისი ადგილსამყოფელისა.

კ. კეკელიძე მულიდთა გაცნობას საქართველოში უკავშირებდა მონღოლებთან ერთად ქართველ მხედართა მონაწილეობას ალამუთის ომში და, შესაბამისად, XIII საუკუნის შუა წლებისათვის გადაჰქონდა ,,ვეფხისტყაოსნის'' დაწერის თარიღი. მისი აზრით, ის დეტალური აღწერილობა ქაჯთა ანუ მულიდთა ცხოვრებისა, ხასიათისა, ზნე-ჩვეულებათა და ციხე-სიმაგრისა, რომელიც გვხვდება ,,ვეფხისტყაოსანის'' ფურცლებზე, შესაძლებელი უნდა გამხდარიყო მხოლოდ მონღოლ-ქართველთა შვიდწლიანი ომისა და ალამუთის აღების შემდეგ.

ასეთი დასკვნა მეტ-ნაკლებად მისაღები იქნებოდა მაშინ, როდესაც ცნობილი იყო მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებებში მოტანილი ინფორმაცია, მაგრამ ამჟამად ხელთ გვაქვს რაშიდ ედ-დინის უტყუარი ცნობები საქართველოში მულიდთა მოღვაწეობის გაძლიერებასა (XII საუკუნის 20-იან წლებში) და თბილისის ყადის მკვლელობაზე. დღეისათვის ნათელია, რომ შოთა რუსთაველსაც შესანიშნავად ეცოდინებოდა, თუ ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ მულიდები, ვინაიდან ,,ვეფხისტყაოსნის'' ავტორი, კ. კეკელიძის გამოთქმით, იყო ღვიძლი შვილი თავისი დროისა. ,,ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან'' თავისი ეპოქისა. მულიდთა ანუ ასასინთა პოპულარობაზე იმდროინდელ აღმოსავლურ თუ დასავლურ სამყაროში მკაფიოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა აღმოსავლური საისტორიო წყარო მოგვითხრობს მულიდთა შესახებ და ისინი გვხვდებიან თითქმის ყველა ჯვაროსნული ქრონიკის ფურცლებზე, აგრეთვე იმ პოემებში, სადაც აღწერილია ჯვაროსანთა ცხოვრება და ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპიზოდები.

,,ვეფხისტყაოსანში'' ქაჯთა ქვეყანას ეწოდება ,,ქაჯეთი''. როცა ქაჯთა მეფის მონა რამდენჯერმე ახსენებს ,,ქაჯეთს'', ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გეოგრეფიულ რუკაზე ვეძებოთ ,,ქაჯეთი''.

ასეთივე ამაო შრომა იქნებოდა ძებნა ,,მულიდეთისა''. მსგავსი სახელწოდება ქართულ წყაროებში არ არის დამოწმებული (ჟამთააღმწერელი ასე მოიხსენიებს მულიდთა სამფლობელოს: ,,ქვეყანა ალამუთისა''), მაგრამ ადვილი დასაშვებია მისი არსებობა, ვინაიდან რამდენიმე უცხოური წყარო მულიდთა ისტორიას აღნიშნავს არა მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, ვთქვათ დეილემი ან ყოჰესთანი ანდა ჟამთააღმწერლის მსგავსად - ქვეყანა ალამუთისა, არამედ იმ სახელწოდების შესაბამისად, რომლითაც ისმაილიტები ცნობილი იყვნენ მაჰმადიანურ სამყაროში.

ევროპელი მოგზაურები გიიომ რუბრუკი, მარკო პოლო, აგრეთვე სომეხი ისტორიკოსები მოიხსენიებენ მულიდთა სახელმწიფოს ერთიმეორის მსგავსი სახელებით, რომელთა ყველაზე მართებული ვარიანტია ,,მულიდისტანი'' ანუ ქართულად რომ ვთარგმნოთ ,,მულიდეთი''.

ასასინთა ანუ მულიდთა ორდენი დაარსდა ისმაილიტთა მიერ XI საუკუნის დამლევს ირანში. ისმაილიტების სექტა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში იყო შექმნილი და მრავალი აქტიური მომხრე ჰყავდა მაჰმადიანურ სამყაროში. ისმაილიზმი გახდა ასასინთა ორდენის იდეოლოდია. ორდენს სათავეში ჩაუდგნენ ირანელი ფეოდალები, რომლებმაც ირანში თურქ-სელჩუკთა გაბატონების შედეგად დაკარგეს თავისი მიწები და ახლა გამქრალი ძალაუფლების აღდგენაზე ოცნებობდნენ.

ასასინთა ორდენის ფუძემდებელი იყო ჰასან საბაჰი. იგი სიჭაბუკეშივე ეზიარა ისმაილიტურ რჯულს ირანელ ხელოსანთა წრეში. შემდგომში გაემგზავრა ეგვიპტის ფატიმიანთა სახალიფოში, რომელიც წარმოადგენდა ისმაილიტური პროპაგანდის ცენტრს. ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ჰასან საბაჰმა ირანის მრავალი ოლქი შემოიარა, ეწეოდა პროპაგანდას და ეძებდა შესაფერის ადგილს მმართველობის ცენტრის დასაარსებლად. საბოლოოდ არჩევანი შეაჩერეს ალამუთზე (არწივის ბუდე). ციხეზე, რომელიც მდებარეობდა დეილემში. დეილემის მთიანეთში მრავლად იყო სხვა ციხეები, მაგრამ ალამუთი წარმოადგენდა ყველაზე ძლიერსა და მიუდგომელ ციხეს.

ჰასან საბაჰის აგენტებმა ისმაილიტურ რჯულზე მოაქციეს ციხის გარნიზონი. გარნიზონი დანებდა და კომპენსაციად მიიღო 3000 ოქროს დინარი. ეს მოხდა 1090 წელს. აქედან იწყება ასასინთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა. ამის შემდეგ მათ ხელთ იგდეთ კიდევ რამდენიმე ციხე ჩრდილო-დასავლეთ ირანის მთიან რაიონებში და თავის საყრდენ პუნქტებად გადააქციეს. ზოგი ძალით დაიპყრეს, ზოგი ცბიერებით, ზოგიც თვითონ ააშენეს. მალე 50-მდე ციხე ეკუთვნოდათ მთელს ირანში XII საუკუნის დამდეგს ასასინებმა დაიკავეს სირიის მთებიც.

არ არის აუცილებელი ,,ვეფხისტყაოსნის'' ფინალში აღწერილი ქაჯეთის ციხის აღება მივიჩნიოთ ალამუთის აღებით შთაგონებულ სურათად. მხატვრული თვალსაზრისით ,,ვეფხისტყაოსნის'' გმირთათვის საგმირო საქმედ ჩაითვლებოდა სწორედ აუღებელ ციხედ აღიარებულ ქაჯეთის (ანუ ალამუთის) ციხის აღება და გაცილებით მკრთალად გამოიყურება სინამდვილეში მომხდარი ამბის (ალამუთის დაპყრობა მონღოლთაგან) გადატანა პოემის ფურცლებზე და, რაც მთავარია, ქაჯეთის ციხის აღების გაიგივებას ალამუთის აღებასთან ფაქტიურად გამორიცხავს შემდეგი გარემოება: მონღოლებს იერიშით არ აუღიათ ალამუთი და არავითარი სისხლის ღვრა არ დასჭირვებია მულიდთა მთავარი ციხე-ქალაქის დამხობას, არც მისი დამცველნი ამოუწყვეტიათ სასტიკ შეტაკებაში (როგორც ამას გვიხატავს რუსთველი). სინამდვილეში ალამუთის უკანასკნელმა მბრძანებელმა როქნედინ ხურშაჰმა, მიუხედავად მულიდთა ერთი ნაწილის უკმაყოფილებისა, უსიტყვო კაპიტულაცია ამჯობინა თავგანწირულ წინააღმდეგობას, თავისი მთავარი ციხეები ჩააბარა ჰულაგუ-ყაენს და მიიღო უსაფრთხოების გარანტია. ასე რომ, მონღოლები უომრად დაეუფლნენ ალამუთს! ალამუთის მბრძანებელთა გავლენა ვრცელდებოდა უფრო დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე სელჩუკიანი სულტნებისა და ხვარაზმშაჰებისა. განსაკუთრებულ ძრწოლას იწვევდა მულიდთა მრავალსახეობა, ისინი იყვნენ მიუვალ ციხეთა მცველები, გამოცდილი ტერორისტები და ამასთან ჩვეულებრივი ადამიანებივით ცხოვრობდნენ ქალაქად და სოფლად, გათქვეფილნი მოსალხეობის მაღალსა და დაბალ ფენებში. უპოვარი და მდიდარი, სუსტი და ძლიერი, გულკეთილი და გულბოროტი, ახალგაზრდა და მოხუცი, ისინი არაფრით აღარ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როდესაც ეზიარებოდნენ ჰასან საბაჰის რჯულს და ერთგულებას შეჰფიცავდნენ ალამუთის მორიგ მბრძანებელს.

ფიდაები ინიღბებოდნენ ვაჭრად თუ მსახურად, მათხოვრად თუ დერვიშად; ისინი ახერხებდნენ შეეღწიათ ყველგან: სულთნის სასახლეში, სარდლის სამხედრო ბანაკში, მოქალაქის სახლში. გარდასახვის ხელოვნებას საუცხოოდ დაუფლებული ორი ფიდაი ჯვაროსანთა ბანაკში ცხოვრობდა მთელი 6 თვის მანძილზე. ისინი თავს ასაღებდნენ ქრისტიან ბერებად! ისწავლეს ფრანკთა ენა და ზნე-ჩვეულება, მოიპოვეს თვით იმ კაცის ნდობა, ვისაც იერუსალიმის მეფე ერქვა და ვისი მოკვლაც ევალებოდათ. აბასელი ხალიფას მკვლელები მისივე ამალის წევრებად იყვნენ გადაცმულნი!

ფიდაების მიერ დახოცილთა შორის არიან ისეთი მსხვილი ფიგურები, როგორიცაა, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს სახელგანთქმული ვეზირი ნიზამ ალ-მულქი, ფატიმიანი ხალიფა ალ-ამირი, აბასელი ხალიფა ალ-მუსთარშიდი, იერუსალიმის ჯვაროსანთა სამეფოს გამგებელი კონრად მონფერატი.

ვარაუდობენ,რომ მათივე მსხვერპლი გახდა მალიქ-შაჰი, ყველაზე გამოჩენილი სულთანი სელჩუკიან სულთნებს შორის.

ფიდაების საოცარ გამბედაობას და თავგანწირვას ადამიანები ხსნიდნენ გრძნეულებით, ჯადოსნობითა და უფრო ხშირად ჰაშიშის ზემოქმედებით. სამოთხის ბაღის ლეგენდას თუ მოვაშორებთ ზღაპრულ საბურველს, დაგვრჩება შემდეგი სურათი: ასასინთა მბრძანებელი ათრობს და აძინებს თავის ერთგულ ფიდაებს ჰაშიშის ნახარშით. სამოთხის ბაღი წარმოადგენს ნარკოტიკით გამოწვეულ ჰალუცინაციებს. გამოიღვიძებდა ჭაბუკი და სამოთხიდან ისევ ცოდვილ დედამიწაზე ამოყოფდა თავს.

ქალაქ ბანიასას (სირია) მიდამოებში ასასინთა დამკვიდრების გამო ერთ ნაყოფიერ ველს შეარქვეს ,,ვადი ალ-ჯინ'' (ჯინთა ანუ არაბული ზღაპრების ავსულთა ველი). სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინი ხშირად აჯილდოებს მულიდებს ახალი მეტსახელით: ,,შაითან'', ხოლო ალამუთის დაპყრობას მონღოლთა მიერ მოიხსენიებს როგორც ,,შაითანის ბუდის'' დამხობას.

ჯინი და შაითანი ქართულად რომ ვთარგმნოდ, ზუსტად ,,ქაჯი'' იქნება. მაშასადამე, მაჰმადიანურ სამყაროში ქაჯებად მიაჩნდათ მულიდაბი! არ უნდა გამოგვრჩეს კიდევ ერთი საყურადღებო მსგავსება ,,ვეფხისტყაოსნის'' ქაჯებსა და ალამუთის მულიდებს შორის. ორივენი აქტიურად ეწევიან მეკობრეობას. მოეპოვებათ საერთო ანალოგიაც, სახელდობრ, შუა საუკუნეების ევროპაში არსებული ,,მეკობრე რაინდები'', რომლებიც ისხდნენ თავის ციხე-სიმაგრეებში და დროდადრო გადიოდნენ დიდ შარაგზაზე საყაჩაღოდ. სწორედ ამ ,,მეკობრე რაინდებს'' შეუდარა აღმოსავლეთის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ალამუთში მოკალათებული მულიდები, ხოლო ცნობილმა რუსთველოლოგმა - ,,ვეფხისტყაოსნის'' ქაჯები!

მაჰმადიანურ სამყაროს ისე ჰქონდა მოდებული შიში, რომ ყადის მკვლელობა იქნებოდა თუ მეჩეთის დაწვა, მყისვე მულიდები ახსენდებოდათ და ზოგჯერ უსამართლოდაც მიაწერდნენ სხვათა მიერ ჩადენილ დანაშაულს. მულიდთა მიერ დათესილ პანიკას განსაკუთრებით მკაფიოდ ასახავს ისპაანის ამბები (XII საუკუნის დამდეგს), რომელიც მოთხრობილია მემატიანე რავენდის თხზულებაში. რავენდის მტკიცებით, ისპაჰანში მულიდებმა თავის რჯულზე 30 000 კაცი მოაქციესო, მაშინ როდესაც თვით რავენდის სიტყვით, ისპაანის მოსახლეობა შეადგენდა 100 000 კაცს. შიშთან ერთად გავრცელებული იყო ზიზღი. ზიზღით მოიხსენიებდნენ მულიდებს გამოჩენილი პოეტები ხაყანი და ნიზამი. ხვარაზმშაჰ ჯალალ ედდინის სარდალი მულიდებმა მოკლეს განჯაში და სომეხი ისტორიკოსი აღნიშნავს, მტარვალი მტარვალთა ხელით დაიღუპაო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონღოლებმა აიღეს ალამუთის ციხე, ეს მოხდა 1256 წელს. მონღოლებმა გაძარცვეს და დაანგრიეს იგი. გამარჯვებული ჰულაგუ-ყაენი ავიდა ციხის დასათვალიერებლად და ამ დიდებული სანახაობის მნახველმა, რაშიდ ედ-დინის სიტყვით, ,,განცვიფრებისას თითზე იკბინა''. მონღოლებმა დედაწულიანად ამოწყვიტეს ასასინები ისე, რომ მათი კვალიც არ დარჩენილა. ისმაილიტთა სექტა, როგორც ვთქვით, მანამდეც არსებობდა და დღესაც არსებობს აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგრამ ასასინთა ორდენი ალამუთის დაცემისთანავე სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას.

ცხადია ,,ვეფხისტყაოსნის'' ფურცლებზე ისტორიული ფაქტები პირდაპირ არ არის ქრონიკებიდან გადმოწერილი, მოსალოდნელია მათი მსგავსება პოემის მხატვრულ ქსოვილთან. თუ ამ კუთხით შევხედავთ ,,ვეფხისტყაოსანში'' აღწერილ ამბავსა და მულიდთა ისტორიის ზემოხსენებულ ეპიზოდს, მსგავსება ფრიად მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

...მულიდებთან ქაჯთა გაიგივების შედეგად კიდევ ერთხელ მტკიცდება რუსთველის შემოქმედებითი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ვინაიდან ,,ვეფხისტყაოსნის'' ქაჯებსა და ქაჯთა სამეფოს ანალოგია უჩნდება აღმოსავლეთის ისტორიულ სინამდვილესთან.

დასკვნის სახით დავძენთ, რომ შოთა რუსთაველის პოემის გმირების სამოქმედო ასპარეზი, რომელიც ფართო გეოგრაფიულ არეალს მოიცავს, მისი ავტორის მრავალმხრივი ცოდნისა და პოეტური ფანტაზიის ნაყოფია; თუმცა ,,ვეფხისტყაოსნის'' თემა, სიუჟეტი და ფაბულა მაშინდელი საქართველოს სინამდვილესთანაა მჭიდრო კავშირში და ძირითადად ჩვენს ქვეყანაში არსებულ რეალიებს ასახავს.

ლიტერატურა:

1. ნატროშვილი თ., მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1978.
2. ,,ქართლის ცხოვრება'', ტაქსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
3. ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, თბ., 1958.
4. კუდავა ბ., კუპატაძე გ., საითიძე გ., სამუშია ჯ., სამეცნიერო ექსპედიცია ართვინის, არდაჰანის, ყარსისა და არზრუმის ვილაიეთებში., (ინტერნეტ მასალა, ka.wikipedia.org)
5. მარუაშვილი ლ., გამოჩენილი მოგზაურები და გეოგრაფები, თბ., 1954.

6. მარუაშვილი ლ., რუსთველის გეოგრაფიული თვალთახედვა, ჟურნალი ,,მეცნიერება და ტექნიკა'', 1965, N9.
7. ქუმსიშვილი დ., ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემო, ჟურნალი ,,მნათობი'', თბ., 1964, N12.
8. სვანიძე ა., ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული, თბ., 1934.
9. ხარაძე კ., XII-XIII ს.ს. ქართველი და უცხოელი მოგზაურები, თბ., 1987.
10. ხარაძე კ., გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში, თბ., 1988.

სურამის ციხე და გივი ამილახვრის აჯანყება (1742-1745 წწ.)

თინათინ მახათაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი**, ასისტენტ პროფესორი

ლეგენდა ცოცხალი ადამიანის სურამის ციხის კედელში ჩაშენების შესახებ ბავშობიდანვე შემოდის ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ბევრმა არ იცის ის სინამდვილე, რაც დაკავშირებულია მასთან. სურამის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა იმას განაპირობებდა, რომ საუკუნეების განმავლობაში იგი ერთ-ერთი ძლიერი ციხეთაგანი ყოფილიყო და მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით - გვიანფეოდალურ ხანაში. სურამის ციხე „ამაყად სდარაჯობდა თურმე მთელს ზემო ქართლის ხეობას გორიდან დაწყებული ვიდრე ლიხის მთებამდე''.[1]

ვახუშტი ასე აღგვიწერს სურამის ციხეს: ,,არს სურამსა ...საშუალს ციხე მაღალსა კლდესა ზედა მტკიცე. არს ჰავითა მშვენიერი და მხიარული"[2] .

თუ როდის არის აშენებული სურამის ციხე, ისტორიულად არაა ცნობილი. თ. ლაცაბიძის ცნობით, სურამი და მისი ციხე-სიმაგრე აშენებულია მეფე ფარნაჯომის მიერ (ძვ.წ. აღ-ის II ს -ის I ნახევარში).[3]

თამაზ ლაცაბიძისა და სხვა მეცნიერთა აზრით, სურამის დღევანდელი ციხე-სიმაგრე განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისში აიგო (XII ს)[4].

სურამის ციხის მნიშვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად (XV ს) და განსაკუთრებით, როცა სამხრეთ საქართველო ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა (XVI ს). მან საუკუნეების მანძილზე მთელი რიგი ცვლილებები განიცადა გარეგნული თვალსაზრისით. იგი არაერთხელაა შეკეთებული XVII-XVIII ს.ს. განმავლობაში და ჩვენამდე მოაღწია თითქმის ისე, როგორც XIX ს -ის 30 წ.წ გამოიყურებოდა, მაგრამ ადრინდელთან შედარებით დაზიანებულია.

სურამის ციხე-სიამგრე კომპლექსს წარმოადგენდა. მასში შედის: გალავანი, ციხე, წმ. გიორგის ეკლესია, სასახლე.

XVI–XVIII საუკუნეების განმავლობაში დიდი ბრძოლები წარმოებდა სურამის ციხე-სიმაგრის ირგვლივ. იგი ოსმალეთის და სპარსეთის სადავო ობიექტი იყო, რადგან, ვის ხელშიც იქნებოდა ეს ციხე-სიმაგრე, ზემო ქართლსაც ის აკონტროლებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1742-45 წ.წ. აჯანყების ერთ-ერთი გამოკვეთილი მეთაურს - გივი ამილახვარს იგი შემთხვევით არ გაუმაგრებია, ეს „ციხე მტკვრისა და ბორჯომის ხეობით შემოსული მტრისაგან იცავდა ქართლს. ამასთან სურამი გორისაკენ მომავალ გზასაც კეტავდა"[5] გარდა ამისა, ყიზილბაშების და ქართლის მეფე თეიმურაზთან დაპირისპირებული ქართლის ერისთავი დამარცხების შემთხვევაში, მოკავშირე ოსმალეთთან უკან დასახევ გზას იტოვებდა.

XVIII ს -ის 20-იან წლები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩდა ქართლის სამეფოსთვის. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ოსმალებმა და 1723 წ. თბილისი დაიპყრეს. ვახტანგ VI 1724 წ.

[1] .თამაზ ლაცაბიძე, სურამისა ციხეო, გვ.3
[2] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფესო საქართველოსა, გვ. 37 .
[3] თამაზ ლაცაბიძე, სურამისა ციხეო, გვ. 10.
[4] თამაზ ლაცაბიძე, სურამისა ციხეო, გვ. 11.
[5] იოსებ ალიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII ს -ის II ნახევარში, გვ. 94.

იძულებული გახდა, რუსეთში წასულიყო. ოსმალებმა ქართლის სამეფო ვახტანგის ძმას - იესეს მისცეს. მისი გამეფებიდან ინტენსიურად იწყება ქართლში ოსმალობა.

ქვეყანაში მძიმე სიტუაცია სუფევდა. ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი, მათ შორის გივი ამილახორი, ოსმალებს პირველ ხანებში არ ურიგდება.

1726-27 წ.წ. ოსმალების მიერ ქართლის აღწერისა და უმძიმესი ხარკის დაწესების შემდეგ, ქართველი ხალხი ხშირად ჯანყდება მათ წინააღმდეგ, ამ ბრძოლამ XVIII ს-ის 30-იან წლებში ფართო ხასიათი მიიღო. ამას თან დაერთო ირანის გააქტიურება. 1735 წ. ,,ოსმალობა" ,,ყიზილობაშობით" შეიცვალა, მაგრამ ქართლის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.[1]

XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართლში გივი ამილახორის ხემძღვანელობით მოეწყო აჯანყება ყიზილბაშების წინააღმდეგ. სურამის ციხე ქართლის სხვა ციხეებთან ერთად წარმოადგენდა გივი ამილახორის დასაყრდენს ზემო ქართლში, აჯანყების ბოლო პერიოდში ერთადერთ დასაყრდენსაც, სადაც თავად იყო გამაგრებული.

სურამის ციხის მედგარმა წინააღმდეგობამ, რომელიც თითქმის სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული როლი ითამაშა ქართლიდან ყიზილბაშების განდევნასა და სამეფო ხელისუფლების აღდგენის საქმეში, როგორც ქართლში, ასევე კახეთში.

ქართლში აჯანყება ასე დაიწყო.

ოსმალების განდევნის შემდეგ, 1735 წ-დან ქართლში ირანელები გაბატონდნენ და მოსახლეობა მძიმე გადასახადებით დაბეგრეს, ქართლს ყიზილბაშების სასარგებლოდ სამიათას სამასი თუმანი უნდა გამოეღო. რაც აჯანყების ერთერთი მიზეზიც გახდა. აჯანყებას სათავეში გივი ამილახორი და შანშე ქსნის ერისთავი ჩაუდგნენ. სეფი ხანმა აჯანყების მეთაურთა გათიშვა შეძლო. მან ,,მოიტყუვნა გორს ქართველნი, შეიპყრა თეიმურაზ, გივი ამილახორი, ბარძიმ ერისთავი და სხვანი. ხოლო შანშე ივლტოდა და წარუინა ისპაჰანს შაჰ ნადირს".[2] შეპყრობას გადაურჩა შანშე ერისთავი, რომელიც თავის მამულში მივიდა და იქიდან აგრძელებდა წინააღმდეგობას.

1738 წ. შაჰმა ტყვე ქართველები, მათ შორის გივი გაათავისუფლა. აჯანყებულ შანშე ერისთავის გასატეხად ნადირმა, ქსნის საერისთავო ამილახორს გადასცა და დასვა იმ ქვეყნის ბელადად.[3]

1741 წ. ყიზილბაშებმა მთელი ქართლი აღწერეს და კვლავ მძიმე გადასახადები დაადეს: ,,ამა ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისი ხელი კაფდის და აოხრებდის '' [4].

1742 წ. აპრილში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ, ქართლში აჯანყების ახალი ალის ავარდნა განაპირობა. ამჯერადაც აჯანყებას ამილახორი ჩაუდგა სათავეში. გივიმ შეძლო ქართლის დიდებულების მიმხრობა. არაგვის ხეობისა და საამილახოროში მდებარე ციხე-სიმაგრეები გაამაგრა, მათ შორის - სურამის ციხეც. გარდა იმისა, რომ ქართლში ხელსაყრელი პირობები იყო აჯანყების დაწყებისათვის, ამას ზედ დაერთო საგარეო პირობებიც. კერძოდ, ირანს დაღესტანში ლეკებთან გაურთულდა საქმე და ვერ დაამარცხა, ჩრდილოეთიდან რუსეთი ამოქმედდა, ხოლო დასავლეთიდან ოსმალეთი.

პირველ ხანებში ირანის შაჰი მშვიდობიანი გზით აპირებდა გივი ამილახორის დამორჩილებას, მაგრამ ვერ მოახერხა. ამის შემდეგ შაჰი ძალისმიერ მეთოდებზე გადავიდა. ყიზილბაშები გორს მოადგნეენ და მახლობელი სოფლების რბევა დაიწყეს. ამილახორმა ჯერ ზემო ქართლის (სურამის, პეტრეს) ციხეები გაამაგრა, ახალციხიდან ტყვია-წამალი გადმოიტანა და სხვილოს ციხეში გამაგრდა. ხანი ჯარით ჭალას მიადგა და ერთმანეთს მებძოლები შეახოცეს.[5]

ქართლის ხანმა ამ ღონისძიებების პარალელურად უკუმდგარი თავადები ქრთამ-საჩუქრებით მოისყიდა. ანგარებით დაბრმავებული ზოგი თავადი მტრის წისქვილზე წყალს ასხამდა და ძმათა სისხლით იბანდა ხელებს. ზაალ ავალიშვილი იმამ ყული ხანისაგან საჩუქარს იღებს, შედის ბორჯომის ხეობაში, გასტეხს პეტრეს ციხეს, გამოიყვანს ამილახორის კაცებს და თავისიანებს ჩააყენებს .[6]

ქართლში დატრიალებული მოსალოდნელი შედეგი მალე გააცნობიერეს ყიზილბაშების მხარეზე გადასულმა თავადებმა. ისინი მიხვდნენ, რომ ყიზილბაშები კარგს არაფერს უქადდნენ მათ და კვლავ ამილახორის მხარეზე გადავიდნენ.

---

[1] იოსებ ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ.63.
[2] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 338.
[3] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 346.
[4] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი,გვ 349.
[5] იოსებ ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში,გვ,71.
[6] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 352.

ნადირ შაჰი დარწმუნდა, რომ შაჰაბაზისეული გეგმით საქართველოს ვერ დააჩოქებდა და დათმობის გზა აირჩია. შუამავლად თეიმურაზ კახთა მეფე შეარჩია. თეიმურაზი ამ მიზნით მცხეთას, მიბრძანდა, მაგრამ გივი არ ეახლა. ამილახვარს 7 ათასი ლეკი ჰყავდა დაქირავებული, რომელთაც ულიფას აძლევდა. ისინი ამით არ კმაყოფილდებოდნენ და თავს ესხმოდნენ მოსახლეობას, ამილახორმა მიზეზად ეს მოიდო. ,,ამდენი ლეკი შინ მიდგასო ეს გამაცალეთ და მე ჩამოვალო''.[1]

როცა გივისთან მშვიდობიანი გზით შაჰმა ვერ მოახერხა, მისი დამორჩილება ძალისმიერი გზით სცადა. შაჰმა აჯანყებული ამილახორის წინააღმდეგ აზერბაიჯანის სარდალი ფათალი ხანი გამოგზავნა. აჯი ხანი გივიმ ჭალასთან დაამარცხა და ,,სირცხვილეული'' უკან გააბრუნა.

ფათალი ხანი მეტეხს მივიდა და ამილახორს მოსალაპარაკებლად შუამავლები მიუგზავნა თავადმა მოსაფიქრებლად სამი დღის ვადა ითხოვა. ამილახორმა ,,იეშმაკა'', ლეკის ჯარი გაჰყო, რაც ლეკებს ნაშოვარი ჰქონდათ, ერთ ნაწილს გაატანა და დაღესტანში გაისტუმრა, ხოლო მეორე კი დატოვა და ხანს შეუთვალა, ,,ლეკთ ამდენი ნაშოვარი მიაქვსო, მაგათ დახვდით დაამარცხეთ და ,,მეც თქვენს სამსახურში მოვალო''[2]. გივის ხერხმა გაჭრა და მასზე მოსული ლეკები ყიზილბაშებს დაუპირისპირა.

ამილახორის აჯანყება გრძელდებოდა, მაგრამ პერსპექტივა არ ჩანდა. მის მომხრე ფეოდალებს ზარალი მოსდიოდათ, ყიზილბაშთა ჯარები დაეხეტებოდნენ მათ მამულში. გივი ცდილობდა შინაური უკმაყოფილება ჩაექრო. იგი სასტიკად გაუსწორდა არაგვის საერისთაოში არსებულ შეთქმულებს.

ამილახორი ქერიმ ხანის წინააღმდეგ საბრძოლო სამზადის შეუდგა და სხვილოს ციხის ჩრდილოეთით დაბანაკდა. აქ ყიზილბაშთა ერთი რაზმი გივიმ დაამარცხა: ,,იყო ბრძოლა ყოველდღე შიგნით მეციხოვნეთაგან და აქეთ ყიზილბაშთაგან''[3].

ნადირმა ქართლის ხანობა ყოჯა ხანს მისცა. გივიმ მასთან მოლაპარაკება სცადა, აცნობა, რომ მზად არის სპარსელებს დაეზაოს და მძევლებიც გაუგზავნა. შაჰი ამილახორს ენდო და მძევლები უკან დაუბრუნა.

ამის პარალელურად, შაჰმა თეიმურაზი გაიერთგულა, რის შედეგადაც იგი სპარსეთის მხარეზე გადადის და გივის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს.

ამის შემდეგ აჯანყების მეორე ეტაპი დაიწყო. 1743 წ. ივნისში არაგვის ხეობის მოსახლეობა აჯანყდა. მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: ,,ბეჟან ერისთავმა არაგველებს ბეგარა-სამსახური დაუძიმა, რამაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია'', ამას თან დაერთო თეიმურაზის დანაპირები ,,ხარჯისაგან'' გათავისუფლების თაობაზე.[4] აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ მთიულ-მოხევენი: პაპა ღუდუშაური, ნადიბაიძე და სხვა. აჯანყებულებმა ბეჟან ერისთავი და მისი ბიძაშვილი მოკლეს და მათი საქონელი იავარჰყვეს. არაგვის საერისთავო გივი ამილახორის მომხრეთა ბანაკიდან მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა. ეს იყო აჯანყების პირველი სერიოზული მარცხი.

ამილახორმა ისღა მოახერხა, რომ გაუსია ლეკის ჯარი არაგვის ერისთავის მამულს - რაც ქართლში ჰქონდა; ტირძნისი, შინდისი და სულ წაახდინა''[5].

მალე ამილახორის მდგომარეობა დამძიმდა, კერძოდ ქართლში მისი ძალმომრეობისაგან შეწუხებული გლეხების მასიური აჯანყება დაიწყო. აჯანყებულები ამილახვრის მამულს მისდგომიან და დაურბევიათ. ეს ამბები გადმოცემულია ამილახორის მიერ ძმისწულების ბარძიმისა და ლუარსაბისადმი მიწერილ წერილში, საიდანაც ირკვევა რომ ივნისის თვეში შიდა ქართლი ბრძოლების ცეცხლშია გახვეული: ,,ოცს თიბათვეს მეჯვრისხევს ჩავედით გაგვცეს ქართველებმა. აჯიხან სარდალი, ალი ხან ავღანი, რაც ყიზილბაშთა ჯარი იყო დაგვიმალეს. წინა დილა რომ ინათა მოვიდნენ ჩვენზედ, ამვის ვენახებთან ვიყავით ჩამომხდარი... შვიდს საათს ომი იყო... ბევრი კაცი და ცხენი დაუმარცხეთ. გაბრუნდა... ცხვილოს მოვედით 23 თიბათვესა, წირვის დრო იყო. კაცი მოგვივიდა ერისთავი ბეჟან და ოტია თავის კაცებმა ღალატით დახოცესო. ყიზილბაშების ჯარი ზემო ქართლზე წავიდა''[6]. ასევე წერს ძმისწულებს: ,,ამის შემდეგ ჩვენ წავედით ,,ზემო ქართლს'' რათა ყიზილბაშებს არ წაეხდინათ. ,,მთიულეთს კაცი გავაგზავნეთ, ხიზანს მივეშველეთ (ხიზანში იგულისხმება გივის სახლ-კარის დარბევის დროს გამოქცეული მისი ცოლ-შვილი) ...შემდეგ ამილახორი ძმისწულებს მისი დროშის ქვეშ მებრძოლი ლეკებისაგან ყიზილბაშებზე გამარჯვებას აუწყებს: ,,ლეკის ჯარი ყაზახსა, ბორჩალოსა და ბარბაკში მოვიდა და ძალიან წაახდინეს, ბევრი იშოვეს. ამბავი მოუვიდათ აქა ხანებსა. აჯიხან და ალიხან გამოუდგნენ დმანისს ზეით მივიდნენ კარგა შორს დაუღამდათ. იქ სხვა ლეკის ჯარი შეეყარა; დაესხა

---

[1] იოსებ ალიმბარაშვილი,ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში,გვ. 71.

[2] იოსებ ალიმბარაშვილი,ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 71-72.

[3] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 356.

[4] იოსებ ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსვლეთ საქართველოში, გვ. 73.

[5] იოსებ ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 74.

[6] იოსებ ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 74-75.

თავსა და დიდათ დაუმარცხეს... ოცდა ექვს მკათათვეს აქ ჩვენთან მოვიდნენ სხვილოსა, ნაშოვარიც აქ მოიტანეს''[1].

ოსმალები არაფერს ზოგავდნენ, გივის ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლა რომ არ შეეწყვიტა.

ოსმალთა ჯარითა და ხაზინით ამილახორმა თეიმურაზი წინააღმდეგ გაილაშქრა. ბრძოლა აჩაბეთს მოხდა, ამ ბრძოლაში თეიმურაზ-ერეკლემ გაიმაჯვა. ამილახოს იმედი არ გაუმართლდა. ოსმალთა მაშველი ჯარი ახალციხეში დაბრუნდა. მარტო ლეკებით რაიმე წარმატება უპერსპექტივო ჩანდა. მა დამარცხებას ქსნის ხეობის დაკარგვა (1744 წ.) მოჰყვა.

თეიმურაზმა და ერეკლემ ამილახორის მომხრეებსაც შეუტიეს. წირქოლის ციხეს 1744 წ. იანვარში მოლაპარაკების გზით დაიმორჩილეს რევაზ ამილახორი და შესაბამისად მეფემ: ,,უბოძა ხალათი, დაპირდა უმეტესა წყალობასა''[2]. ამგვარად ციხე შიგნიდან გატყდა.

ამილახორის მოქმედების არე თანდათან ვიწროვდება, მან არაგვი და ქსანი დაკარგა. ამის შემდეგ ამილახორს დარჩა: სხვილოს ციხე, ქვემო ჭალა, სურამი, კეხვი, ქრცხინვალი და ქართლის ციხე''[3].

ნადირ შაჰის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისას ამილახორი ქართლში ოსმალთა შემოყვანას არ ფიქრობდა, რადგან იგი ქართლში ,,ქართველების'' დაცვისათვის ებრძოდა ,,ოსმალობასაც'' და ,,ყიზილბასაც''. დამხმარედ რუსეთი მოიაზრებოდა, მაგრამ რეალურად არც მას აღმოუჩენია მისთვის რაიმე დახმარება. ქართლის ფეოდალური წრე სულ უფრო ორ ბანაკად ნაწილდებოდა. ერთი ნაწილი თეიმურაზის მხარეზე იყო, მეორე ნაწილი კი აჯანყებული გივის მხარეზე იდგა.

ორივე მხარე განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდა ,,მოწინააღმდეგის'' დასუსტებას და საამისოდ დაქირავებულ ძალასაც არ იშურებდა. მაგ., ამის გამო, რომ მაჩაბელი თეიმურაზს მიემხრო ,,რაც ამილახვართან ლენი იყვნეს მიუხდნენ მაჩაბელს აუოხრეს ქვეყანა,...ჩამოაყენა ამილახორმა ჯარი ლეკისა და მუდამ აოხრებდნენ მაჩაბლის ქვეყანას. მეფე მაჩაბელს მიეშველა, ამილახვრის ლეკები აჩაბეთში გამაგრდნენ. თეიმურაზის ხალხი აჩაბეთს შემოადგა''... ლეკებმა კი ამით დრო იხელთეს და სურამის ციხეში გამაგრებულ ამილახორთან მივიდნენ[4].

ამილახორი ხედავდა, რომ ქართლის თავადები თეიმურაზს უსმენდნენ და ოსმალებს სთხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას. ოსმალეთმა მომენტი სერიოზულად შეაფასა და სურსათ-სანოვაგე და ჯარი მიაშველა ამილახორს.

ახალციხის ფაშა და გივი ამილახორი სურამს შეეყარნენ ერთმანეთს.

ამილახორ-ოსმალთა და თეიმურაზ-ყიზილბაშთა შორის ბრძოლა გორს ახლო ლიახვის პირას მოხდა, ბრძოლაში თეიმურაზ-ყიზილბაშნი დამარცხდნენ, ოსმალნი ქართლის სოფლებს დაერივნენ-რუისსა და ურბნისში მათ შებილწეს მონასტრები, დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი''[5]. მიუხედავად ამილახორის გამარჯვებისა, დრო მაინც თეიმურაზის სასარგებლოდ მუშაობდა.

1744 წ. ივლისში ნადირ შაჰმა თეიმურაზი ქართლის მეფედ ცნო, ხოლო კახეთის მეფედ მისი შვილი - ერეკლე. ეს იყო გივი ამილახორის ხელმძღვანელობით ყიზილბაშების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რადგან აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ აიძულა ნადირ შაჰი სავსებით უარეყო საკუთარი გეგმა საქართველოს მიმართ და ,,ყიზილბაშობა'' აქ თანდათანობით ,,ქართველობით" შეიცვალა.

ნადირ შაჰმა თეიმურაზს ამილახორის შემორიგება დაავალა.

3 დეკემბერს თეიმურაზი სურამს მიადგა, გივის ციხე საგანგეოდ ჰქონდა გამაგრებული. თეიმურაზმა ციხის მოშორებით ჯარი და სანგრები გამართა. მეფემ ,,გააგზავნა ყაფლან ორბელიანი გივის შვილთან - დემეტრესთან, რომელიც ახალდაბის ციხეში იყო გამაგრებული''[6]. ყაფლანმა ადვილად გადაიბირა დიმიტრი და ახალდაბის ციხეც გადასცა.

თეიმურაზს ციხის აღება გაუჭირდა, ,,გივის კი იმედი ჰქონდა ციხის სიმაგრის, ლეკების და ამასთანავე ,,კარგად დაწყობილი ჰქონდა სანოვაგე''.

კეხვის ციხეში სარიდან ერისთავის შვილი ყავდა ჩაყენებული გივის, თეიმურაზმა იერიში მიიტანა ციხეზე და იყო ბრძოლა 4 თვის განმავლობაში. კეხვის ციხის მეციხოვნეებმა ხანგრძლივ იერიშებს ვერ გაუძლეს და სარიდანი დანებდა, ციხე დაეცა.

შაჰი ხედავდა, რომ გივის წინააღმდეგ წარმოებული ომები ძვირი უჯდებოდა და მიუგზავნა უსეინ-ბეგი და დააბარა რომ დამორჩილებოდა და შესაბამისად ყველაფერს აპატიებდა.

---

[1] იოსებ ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში,გვ. 75-76.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ.ც., გვ.263

[3] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა ქც., გვ. 63.

[4] იოსებ ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 78.

[5] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, გვ. 367.

[6] პ.ორბელიანი, ამბავი ქართლისა, გვ. 375.

ამილახორი კი მეფესთან მოლაპარაკებას თხოულობდა. გივიმ თეიმურაზს ერთგულება შეჰფიცა ,,ოღონდ უთხრა: ხელმწიფისაგან ერთი ასეთი რაყამი მომიტანეო, ჩემი გული შესჯერდესო და ციხეს მაშინვე მოგართმევო''... შაჰმა შეუთვალა: შენი დანაშაული და სისხლი... გვიპატიებიაო''[1].

გივის შაჰის სიტყვებში მაინც ეჭვი ეპარებოდა და მეფეს არ დანებდა. გივის ბრძანებით თეიმურაზის მიერ ციხისათვის გაკეთებული ნაღმები მოშალა. ამის შემდეგ მეფე შეტევაზე გადავიდა ,,შეიქნა... ბრძოლა... იყო ყოველთვის ომი ფიცხელი უმეტეს პირველის''[2].

თეიმურაზმა სურამის ციხეზე შეტევა გაახშირა. ,,მისცეს სურამის ციხეს ერთი ნაღმი და ვერა ავნო რა, მისცეს მეორე ნაღმი და ციხის ნახევარი სულ დაინგრა''[3]. როდესაც დარწმუნდა ამილახორი, რომ მარცხდებოდა გადაწყვიტა მოლაპარაკება გაემართა და მეფეს უთხრა: ,,ბატონი დედოფალი მობრძანდესო და იმას მივენდობიო"[4].

დედოფალი თამარი სურამის ციხეს მივიდა და ამილახორს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. გივი დანებდა და ერთგულება შეჰფიცა. ამილახორის აჯანყება დამთავრდა.

სურამის ციხე 5 თვიანი ალყის შემდეგ 1745 წ. გაზაფხულზე დაეცა. მიუხედავად დადებული პირობისა, თეიმურაზმა ამილახორი მაინც ირანში გააგზავნა ,,შაჰის მოთხოვნით''. რეალურად, ძლიერი მოწინააღმდეგის თავიდან მოცილება თეიმურაზის ინტერესებშიც შედიოდა.

შანშე ერისთავისა და ამილახორის აჯანყებამ, მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, თავის საქმე გააკეთეს. ქართლის აჯანყების მეთაური თავადები დამარცხდნენ, მაგრამ ამით ქართლის ბრძოლა არ დამარცხებულა. პირიქით, მათმა მხნე ბრძოლამ აიძულა ნადირ შაჰი სავსებით უარეყო თავისი პირვანდელი გეგმა საქართველოს მიმართ და ,,ყიზილბაშობა'' აქ თანდათანობით ქართველობით შეიცვალა[5].

ლიტერატურა:

1. ალიმბარაშვილი ი., ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011.
2. ალიმბარაშვილი ი., აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII ს.II ნახევარში, თბ., 2008.
3. ლაცაბიძე თ., სურამისა ციხეო, თბ., 2003.
4. ორბელიანი პ., ამბავი ქართლისანი, თბ., 1981.
5. ბატონიშვილი ვ., ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
6. გვრიტიშვილი დ., ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. I ნახევარში, საქართველო სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტი, ,,მიმომხილველი'', ტ. III, თბ., 1953.
7. ზაქარია პ., ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, თბ., 2002.
8. ზაქარია პ., საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988.

მესხების ისტორიისათვის

ხატია ტეტუნაშვილი, ციცინო ღუღუნაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **დავით ჩოჩიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

მესხეთ-ჯავახეთი ჩვენი სამშობლოს მნიშვნელოვანი კუთხეა, რომელმაც ისტორიულ წარსულში დიდი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული დაწინაურების საქმეში. საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში მესხი ისეთივე ქართველია, როგორც კახი, იმერი და სხვა.

---

[1] პ.ორბელიანი, ამბავი ქართლისა, გვ. 377.
[2] პ.ორბელიანი, ამბავი ქართლისა, გვ. 377.
[3] პ.ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ.379.
[4] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საქართველოს ისტორიიდან, მასალები, გვ. 209.
[5] ი.ალიმბარაშვილი,ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში,გვ,81.

ჩვენი მიზანია, მცირე წვლილი შევიტანოთ იმაში, რომ მესხების პრობლემას სათანადო ყურადღება დაეთმოს და ეს საკითხი საქართველოს შიდა და საერთაშორისო რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პოლიტიკის ცენტრში მოექცეს.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს საზოგადო სახელად ეწოდება ზემო ქართლი, საკუთრივ კი უფრო ხშირად მესხეთს ეძახდნენ. მესხეთის საზღვარი იწყება აღბაბის მწვერვალიდან და ძველად ყარსის მთებად წოდებული მთავარი წყალგამყოფელი მთების ქედს მისდევს და რომელიც მტკვრისა და ჭოროხის შემდინარეების აუზს არეზის აუზისაგან ჰყოფს და რომელნიც ჯერ ყარსის გუბერნიის არტაანის ოლქისა, ხოლო მერე ოლთისის ოლქის სამხრეთ აღმოსავლეთ საზღვარს ქმნის. (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1996, გვ. 31-32)

მესხეთ ჯავახეთის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი იბერიის წარსულთან. იგი მდებარეობდა საბერძნეთის საზღვარზე, ამიტომ, როგორც სანაპირო მხარე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმ დიდ ბრძოლებში, რომელსაც აწარმოებდა ირან-ბიზანტია იბერიაში. ამ ბრძოლამ გასტანა I-V საუკუნეები.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი ჭოროხის ხეობიდან გადადის მტკვრის ხეობაში, ზემო ქართლის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად ხდება მესხეთი და ამ მხარესაც ეწოდება სამცხე ან მესხეთ-ჯავახეთი, მონღოლთა შემოსევებიდან კი მას ეწოდებოდა სამცხე-საათაბაგო. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა მესხეთ-ჯავახეთში წმინდა ქართული იყო. იგი მეტყველებდა ქართულ კილოზე და არ განსხვავდებოდა შიდა და ქვემო-ქართლის მოსახლეობისაგან.

კულტურულმა, დაწინაურებულმა მესხეთ-ჯავახეთმა ამ პერიოდში წარმოშვა მთელი რიგი გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა: კირიონ კათალიკოზი, კათალიკოზი არსენ I დიდი, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ოშკელი, ექვთიმე მთაწმინდელი, შოთა რუსთაველი, რომელიც წერს: ,,ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“. (სერგი მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938, გვ. 11-24)

XV საუკუნეში აღმოსავლეთში გაძლიერდნენ თურქები, გაძლიერებული თურქეთი დიდ საფრთხე უქმნიდა უპირველესად სამცხე-საათაბაგოს და შემდეგ დასავლეთ საქართველოს. სწორედ აქედან მოყოლებული ოსმალეთის ძალმომრეობით სამცხე-საათაბაგო მოექცა ოსმალეთის პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიური გავლენის ქვეშ. ეს მნიშვნელოვანი მხარე მთლიანად გამაჰმადიანდა.

მოგვიანებით, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან 50-იანი წლების დასაწყისამდე საბჭოთა კავშირის ლიდერები რეგულარულად იყენებდნენ მრავალეროვანი სახელმწიფოს მოსახლეობის იძულებით გადასახლებას, როგორც რეპრესიულ ზომას მათზე ზედამხედველობის დაწესებისა და დაშინების მიზნით. ისტორიკოსების ცნობით, ამ პერიოდში მშობლიური ადგილებიდან შუა აზიაში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი, მათ შორის რვა ეთნიკური ჯგუფი მთლიანად. ამგვარი კოლექტიური დეპორტაციის მსხვერპლნი გახდნენ ვოლგისპირეთში მცხოვრები გერმანელები, ასევე, კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონებში მცხოვრები ბალყარელები, ყარაჩაელები, ყალმუხები, ჩეჩნები, ინგუშები, ყირიმელი თათრები და მესხები, ძირითადად იმ ბრალდებით, თითქოს ისინი ჰიტლერთან თანამშრომლობდნენ. მესხებთან დაკავშირებით კი სტალინი შიშობდა, რომ თურქეთთან ომის შემთხვევაში ისინი ამ ქვეყანას დაუჭერდნენ მხარს.

მესხი ხალხის ისტორია ისეთივე არაერთგვაროვანია, როგორიც ამ ხალხისათვის შერქმეული სახელები. ხშირად მათ უწოდებენ ,,თურქ მესხებს“, ,,მაჰმადიან მესხებს“, ,,ახისკა თურქებს“.

თურქების მიერ მესხეთის მიტაცების შემდეგ მას დაარქვეს ,,გურჯისტანის ვილაიეთი“, სხვანაირად ,,ახალციხის საფაშო“. თურქები მესხებს ,,გურჯი ოღლის“ (,,ქართველის შვილი“) უწოდებდნენ. 1870 წ. გამოცემული ,,თბილისის გუბერნიის აღწერების კრებულში“ მესხეთის მაჰმადიანი მოსხლეობის ძირითადი ნაწილი ჩაწერილია, როგორც ,,ქართველი-სუნიტი“. (კლარა ბარათაშვილი, მაჰმადიანი მესხების ქართული, 1997)

მესხების წარმომავლობასთან დაკავშირებით მეცნიერებს შორის, განსაკუთრებით კი ქართველ და თურქ ისტორიკოსებს შორის, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ქართველი მეცნიერების უმრავლესობის მტკიცებით, მესხეთის მუსლიმი მოსახლეობა თავდაპირველად ქრისტიანი იყო და მიეკუთვნებოდა ქართულ ტომს, რომელსაც მესხები ერქვა. ამ მოსაზრების მიხედვით, 1578 წელს ოსმალოთა მიერ რეგიონის დაპყრობის შემდეგ დადგა მასობრივი გათურქებისა და ისლამიზაციის პერიოდი. ეს კულტურული ტრანსფორმაცია საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა და მესხი მოსახლეობის უმრავლესობამ მაჰმადიანური სარწმუნოება მიიღო. ისინი საუბრობდნენ თურქული ენის აღმოსავლეთ ანატოლიურ დიალექტზე, თუმცა ხშირად პარარელურად ქართულიც იცოდნენ. 1828 წელს ეს რეგიონი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა. ამ თვალსაზრისის საწინაღმდეგოდ თურქი მეცნიერები, ზოგიერთ მესხ ლიდერთან ერთად ამტკიცებენ, რომ მესხეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად ეთნიკური თურქი იყო, თუმცა მათზე იგრძნობა ქართული კულტურისა და ადათ-წესების ზეგავლენა.

ვახუშტი ბაგრატიონი მესხებს ასე ახასიათებს: „... თუმცა რამდენიმე საუკუნეა გავლილი მას შემდეგ, რაც მესხნი საქართველოს განშორებულნი იყვნენ, მაგრამ აქამდე ისინი თითქმის არ განსხვავდებიან ქართველებისაგან არც ხასიათით, არც ზნეობითა და ჩვეულებით და არც შინაური ყოფა-ცხოვრებით... საზოგადოდ ხალხი მეტად შრომის მოყვარულია... ქონებით მესხნი შემძლებელი ხალხია. ოჯახობა და სახლ-კარი ლაზათიანად და ფაქიზად აქვთ მოწყობილი. უცხო კაცს უკვირს და მოსწონს იმათი სიფაქიზე და სისუფთავე... კეთილს ცხოვრებას აქ უფრო შეჩვეულია ხალხი, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილებში“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი, 1745)

1828 წლიდან რუსეთის ადმინისტარცია ატარებდა პოლიტიკას, რომლის უმთავრესი მიზანიც იყო საზღვრის გასწვრივ მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება, ხოლო მათი ასიმილირება და გაქრისტიანება ნაკლებად აინტერესებდა. საბოლოოდ, ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის დიდი ნაწილი ზოგიც საკუთარი ნებით და ზოგიც იძულებით, გადასახლდა ოსმალეთში. ამის შედაგადაც რუსეთის მმართველობის ქვეშ მყოფი მესხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა თანდათან გაქრისტიანდა, ხოლო ოსმალოთა დაქვემდებარებაში მყოფი მესხეთის ტერიტორიაზე უფრო და უფრო მეტი ადამიანი იღებდა ისლამს.

იყო ასეთი დევიზი: ,,ყველა თურქულად მოლაპარაკე მაჰმადიანი თურქია“, არანაირად აღარ მოიაზრებოდა სამხრეთ საქართველო ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სხეულის ორგანულ ნაწილად. ამ იდეოლოგიაში არანაირი გზა ქართველ მაჰმადიანებში ქართველობის და მაჰმადიანობის მორიგებისა აღარ რჩებოდა. (მარინა ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, 2005, გვ. 27)

იმპერიული რუსეთის მთავრობის მიერ ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში, რომელიც დაახლოებით ემთხვევა დღევანდელ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, მოსახლეობის 31-35% ლაპარაკობდა თურქულად, 48% იყო სომეხი, 12%-ქრისტიანი ქართველი, 5% - რუსი და 2% კი - ქურთი.

1921 წელს საბჭოთა რევოლუციონერი ლიდერის ვლადიმერ ლენინისა და თურქეთის პირველი პრეზიდენტის მუსტაფა ათათურქის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ყარსის ხელშეკრულებას, რის საფუძველზეც მესხეთი გაიყვეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ და მალევე შექმნილმა თურქეთის რესპუბლიკამ. საბჭოთა ხელისუფლებამ მესხებს მიაწერეს ,,აზერბაიჯანელის“ იარლიყი და მიაკუთვნა ეთნიკური აზერბაიჯანელების დიდ ჯგუფს.

აღმოსავლეთის ფრონტზე მეორე მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა, როცა იოსებ სტალინმა წამოიწყო ხალხთა დეპორტაციის კამპანია სამშობლოს ღალატისა და მტერთან თანამშრომლობის ბრალდებით. 1944 წელს დაახლოებით 3 240 ადამიანი, უმეტესად ქალაქებში უნებართვოდ მცხოვრები აზერბაიჯანელები და ქურთები, იძულებით გადაასახლეს შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

დეპორტაციის პროცესს ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. მესხეთში მცხოვრები მოსახლეობა იძულებით აყარეს თავიანთი სახლებიდან და პირუტყვის გადასაყვანი ვაგონებით გაუყენეს შუა აზიის გზას. მოგზაურობა 18-20 დღე გაგრძელდა, ამ დროის განმავლობაში სიცივისაგან, შიმშილისა და ავადმყოფობისაგან დაახლოებით 3 000 ადამიანი გარდაიცვალა. საბოლოო ჯამში, უზბეკეთში ყაზახეთსა და ყირგიზეთში გადასახლებულმა რიცხვმა 100 000-ს გადააჭარბა. 1945 წელს მესხეთიდან დეპორტირებულ მაჰმადიანთა სახლებში იძულებით ჩაასახლეს დაახლოებით 30 000 ქრისტიანი ქართველი საქართველოს სხვა რეგიონებიდან.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, 92 307 დეპორტირებული პირიდან, რომლებმაც შუა აზიას მიაღწიეს, 53 163 ჩაასახლეს უზბეკეთში, 28 598 - ყაზახეთში და 10 546 ყირგიზეთში. მათ აიძულებდნენ ეცხოვრათ სპეციალურ დასახლებულ ზონებში, სადაც მუშაობდნენ მიწის მუშებად და მუდმივ გაჭირვებაში იმყოფებოდნენ.

სტალინის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშოვმა გააუქმა დეპორტირებულ ხალხზე დაწესებული ზოგიერთი შეზღუდვა. მესხებს რეპატრიაციის უფლება არ მიეცათ. მათი სამშობლო, რომელიც საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრის გასწვრივ მდებარეობდა, გეოპოლიტიკურად სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია გახდა, რადგან ესაზღვრებოდა თურქეთს და ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის (ნატო-ს) სამხედრო ბლოკს.

მოგვიანებით, სპეციალურ ზონებში მცხოვრებ დეპორტირებულებს შეზღუდვების დიდი ნაწილი მოუხსნეს. მდგომარეობის ამგვარი გაუმჯობესების შემდეგ ბევრმა მესხმა დაიწყო მზადება აზერბაიჯანში გასამგზავრებლად.

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების ამგვარი პოლიტიკისა, 60-იანი წლების ბოლოდან 80-იანი წლების დასაწყისამდე მესხთა რამდენიმე ასეული დეპორტირებული ოჯახი დაბრუნდა საქართველოში, უმთავრესად აზერბაიჯანიდან და ყაბარდო-ბალყარეთიდან. ისინი დასახლდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მაგრამ კვლავ უარს ეუბნებოდნენ მესხეთში დაბრუნებაზე.

1989 წელს ეთნიკურმა ძალადობამ თავი იჩინა ე.წ. ფერღანის ველის რეგიონში. ურთიერთობა გამწვავდა უზბეკ ახალგაზრდებთან, რომლებიც თავს დაესხნენ ამ რეგიონში მცხოვრებ მესხებს. თავდასხმის შედეგად ათეულობით ადამიანი დაიღუპა. მდგომარეობა ძალიან გამწვავდა, ამ ყველაფერმა ბევრი მესხი აიძულა საკუთარი ნებით დაეტოვებინა ქვეყანა. მათი უმრავლესობა განასახლეს აზერბაიჯანსა და რუსეთში, ნაწილი უკრაინაში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში გაემგზავრა.

მესხეთის დაბრუნების მიმართ კეთილგანწყობილ დისიდენტებს შორის იყო ზვიად გამსახურდია.

ქვეყანაში პოლიტიკური არეულობა თანდათან ჩაცხრა. 1992 წელს ხელისუფრების სათავეში მოვიდა ედუარდ შევარდნაძე, ხოლო 1995 წელს ის საქართველოს მეორე პრეზიდენტად აირჩიეს, რის შემდეგაც მესხებთან დაკავშირებით სიტუაცია თანდათან გაუმჯობესდა. მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძე ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი, ზოგადად, არ ემხრობოდა მესხების რეპატრიაციის იდეას, ქვეყნის მიერ აღებულმა კურსმა, შეერთებოდა საერთაშორისო თანამეგობრობას აუცილებელი გახადა ამ ვალდებულების შესრულება.

მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა, მესხთა რეპატრიაციის საკითხი მისი მთავრობის ოფიციალურ ვალდებულებად გადაიქცა. რასაც საქართველოს მთავრობა სრულიად გულგრილად შეხვდა, მიუხედავად მისი ვალდებულებებისა ევროპის საბჭოს წინაშე.

2003 წლის ნოემბერში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი ღიად პროევროპული და რეფორმებზე ორიენტირებული პოლიტიკური ელიტა მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. მთავრობის შეცვლამ შესაძლებელი გახადა საქართველოსთვის ხელახლა გამოეცოცხლებინა ურთიერთობა ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროპის საბჭოსთან.

2007 წელს მიიღეს საქართველოს კანონი ,,ყოფილი სსრკ-ს“ მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებულ გადასახლებულ პირთა შესახებ“. 2008 წლიდან დეპორტირებულ პირებსა და მათ შთამომავლებს ეძლეოდათ რეპატრიაციის უფლების მიღება. საქართველოში რეპატრიაციის თხოვნით განცხადება შეიტანა 5 841 ოჯახმა. საერთო ჯამში განაცხადი შეიტანა 8 900-მა ადამიანმა. თუმცა მათ წარსადგენი დუკუმენტაციის თაობაზე პრობლემები ექმნებოდათ, რადგან მათი შეგროვება თითქმის შეუძლებელი იყო. (ტომ ტრიერი, თარხან-მოურავი, ფორესტ კილიმნიკი, მესხები: გზა შინისაკენ..., 2011, გვ. 1-50)

იმის გამო, რომ საქართველოს სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური და სხვა მატერიალური რესურსები დაბრუნებული მესხების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად, ეს პროცესი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საერთაშორისო დახმარებაზე.

საქმეს ისიც ართულებს, რომ ზოგიერთ ქართველს არასწორი დამოკიდებულება აქვთ მესხების მიმართ, ამიტომ მესხების რეპატრიაციისა და ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესისადმი საჭიროა მრავალმხრივი და სტრატეგიული მიდგომა, რათა თავიდან ავიცილოთ ეთნიკური შუღლი და პოტენციური განხეთქილება მიწის თაობაზე. მათი დაბრუნება უნდა მოხდეს ეტაპობრივად და არა სპონტანურად, ასევე ისინი არ უნდა დაასახლონ კომპაქტურად, უნდა დასახლდნენ სხვადასხვა რეგიონებში. ყოველივე ამის გათვალისწინებით დაცული იქნება როგორც ქართველი მოსახლეობის, ასევე მესხების ინტერესებიც და ნაკლები პრობლემები შეიქმნება.

თუ მესხი ხალხის თუნდაც მცირე ნაწილი, ბოლოს და ბოლოს, მაინც დაბრუნდება საქართველოში, მათი რეპატრიაცია იქნება არა მხოლოდ მორალური გამარჯვება და დიდი წვლილი სტალინის ეპოქის სასტიკი რეპრესიების შედეგების გამოსწორების საქმეში, არამედ იმის ნიშანიც, რომ საქართველო მზად არის იმოქმედოს, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ქვეყანამ, რომელსაც შეუძლია სისრულეში მოიყვანოს საკუთარი მისწრაფებები დასავლური სტილის დემოკრატიულ ქვეყნად გარდაქმნასთან დაკავშირებით.

ლიტერატურა:

1. მარინე ბერიძე, პირდაპირი რეპორტჟები წარსულიდან, თბ., 2005.
2. კლარა ბარათაშვილი, მაჰმადიანი მესხების ქართული, თბ., 1997.
3. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი, 1745.
4. სერგი მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938.
5. ტომ ტრიერი, თარხან-მოურავი, ფორესტ კილიმნიკი, მესხები: გზა შინისაკენ..., 2011.
6. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ. 1996.

ქვეყნიერების შვიდი საოცრება

თათია უმეკაშვილი, თეონა შავლოხაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ბადრი რაზმაძე**, სრული პროფესორი

- **შესავალი**

ქვეყნიერების შვიდ საოცრებაზე ბევრს გაუგია ყურმოკვრით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათი ცოდნა ამოიწურება მათი ჩამოთვლით.

ჩვენ არ ვიცით სწორად ჩამოთვალა თუ არა ეგვიპტელმა ყმაწვილმა ეს შვიდი სასწაული: არც ის ვიცით როგორ შეაფასა მასწავლებელმა მისი ნაშრომი. პაპირუსის ფურცელმა, რომელზეც შესრულებული იყო ძველი ეგვიპტის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლის ნაწერმა ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია.

მეცნიერისათვის, რომელმაც ძველ პაპირუსზე ნახევრად წაშლილი სტრიქონები პირველად ამოიკითხა, სულაც არ იყო უცხო ეს სიტყვები ,,შვიდი სასწაული''.

ყველაფერი რაზეც ახლა გვინდა მოგითხროთ, ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც სასწაული იყო და ყველაზე უფრო სასწაულებრივი მათში ისაა, რომ ყოველივე ეს ადამიანის ხელსა და გონებას შეუქმნია.

- **ეგვიპტის პირამიდები**

დაახლოებით ორმოცდახუთი საუკუნის წინ, ძვ.წ IV ათასწლეულში, ეგვიპტეს მართავდნენ მეოთხე დინასტიის უძველესი ფარაონები. მათ შესახებ ბევრი ცნობა არ შემონახულა. ფარაონების დიდებასა და ძლევამოსილებას ადასტურებდნენ მათივე, სამუდამო განსასვენებლები, რომლებიც კაცობრიობამ აღიარა მსოფლიოს ყველაზე დიდ და იდუმალ საოცრებად. ესენია გიზის ცნობილი პერამიდები გაკვირვებას იწვევს არა მხოლოდ მათი ფორმა, ზომა და საინჟინრო ტექნიკა, არამედ ისიც, რომ პირამიდა ადამიანის მიერ შექმნილი ქვის პირველი ნაგებობაა. აღსანიშნავია ისიც, რომ გიზის პირამიდები ძველი მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთია, რომელმაც თითქმის თავდაპირველი სახით მოაღწია ჩვენამდე.

პირველი პირამიდის აგება ფარაონ ჯოსერის სახელს უკავშირდება. მისი არქიტექტორი იმჰოტეპი ეგვიპტელებმა ღვთაებადაც კი შერაცხეს. ყველაზე დიდი პირამიდა ფარაონ ხუფუსთვის ააშენეს. ეს ფარაონი უფრო ხეოფსის სახელით არის ცნობილი. ეგვიპტელების რწმენით, ხეოფსის პირამიდა უნდა ყოფილიყო ყველა ადრინდელზე მაღალი და დიდი. მის მშენებლობაში უთვალავი მონა მონაწილეობდა. პირველი ათი წელი მოსამზადებელ სამუშაოებს დასჭირდა - გაჰყავდათ გზა მშენებლობის ადგილისაკენ, თხრიდნენ მიწისქვეშა საიდუმლო გვირაბებს, ხოლო მდინარე ნილოსის დასავლეთ ნაპირზე აღმოსავლეთ ნაპირიდან გადაჰქონდათ ქვის სამტეხლოებიდან ლოდები. პირამიდა ოცი წლის განმავლობაში შენდებოდა. იგი ხეოფსის მმართველობის 31-წელს დასრულდა. დაახლოებით ორი მილიონ სამასი ათასი ქვის ლოდი, თითოეული 2,5 ტონამდე სიმძიმის, სპილენძის იარაღებით გახეხეს და მჭიდროდ მიამაგრეს ერთმანეთს.

პირამიდის სიმაღლე 147 მეტრს აღწევდა, დროთა მსვლელობამ 10 მეტრი მტვრად აქცია და დღეისთვის 137 მეტრია. გათლილი ქვის ფილები ისეა ერთმენეთთან მიდგმული, შიგ ნემსის გატარებაც ჭირს. პირამიდას შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. ვიწრო დერეფანი შედის სამარხში, სადაც ფარაონის კუბო იდგა. იგი ჩვენემდე არ შემონახულა. გვერდითი დერეფანი დედოფლის აკლდამაში გადიოდა. ხეოფსის სიკვდილის შემდეგ მისი ცხედარი გაკვეთეს, ტვინი და შიგნეულობა ამოაცალეს, სხეული 70 დღე მარილიან წყალში შეინახეს, სურნელოვანი ფისი წაუსვეს და გამზადებული მუმია სუდარაში გაახვიეს.

- **ბაბილონის დაკიდული ბაღები**

ძვ.წ. 604-562 წლებში ბაბილონს მართავდა დიდი მეფე ნაბუქოდონოსორ II. მისი სამეფო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე, მდინარე ევფრატის ნაპირზე მდებარეობდა. მეფემ იზრუნა, რათა ბაბილონი უმშვენიერესი და აყვავებული ქალაქი ყოფილიყო. გაოცებას იწვევდა ქალაქის შესასვლელი, რომელიც ქალღმერთ იშთარის კარიბჭედ მოიხსენიებოდა. კარიბჭის კოშკები მოპირკეთებული იყო სხვადასხვა ფერის მოჭიქული შორენკეცით. მუქ ლურჯ ფონზე გამოსახული იყო თეთრი და ყვითელი ფერის ხარების, დრაკონების თუ ოქროსფერფარფლიანი ლომების ფიგურებით. იშთარის კარიბჭიდან იწყებოდა და მთელ ქალაქს კვეთდა პროცესიის ქუჩა, რომელსაც ამშვენებდა სამეფო სასახლე და მთავარი ტაძარი. სასახლის კედლის მიღმა მოჩანდა ე.წ. დაკიდული ბაღები. ტერასებად აგურდადებულ თაღებზე

ნოყიერი მიწა ეყარა. დარგული იყო აზიის სხვადასხვა კუთხიდან მოზიდული ხეები, ბუჩქები და ყვავილები. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ბაღები ჰაერში ეკიდა. ბაღები ირწყვებოდა ევფრატის წყლით, რომელიც იქ საგანგებო წყალსაქაჩი ბორბლებითა და ტყავის ჭურჭელით აჰქონდათ.

ბაღები ნაბუქოდონოსორის ბრძანებით ააგეს მისი უსაყვარლესი ცოლისთვის. ამიტასისათვის, რომელიც მთიანი ქვეყნიდან, მიდიიდან იყო, ბაბილონის გაშლილ ვაკეზე აგებული დაკიდული ბაღები კი მას სამშობლოს ახსენებდა.

დაკიდული ბაღების გაშენებას დღესაც შეცდომით მიაწერენ დედოფალ სემირამიდას, რომელიც ნაბუქოდონოსორამდე ორასი წლით ადრე განაგებდა ბაბილონს. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია, რომ ნაბუქოდონოსორის მიერ შექმნილ ბაღებს ბევრი სემირამიდას ბაღებად მოიხსენიებს. ბაბილონის დაკიდული ბაღებისაგან დღეს აღარაფერია დარჩენილი, მაგრამ თუ როგორი იყო იგი, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ძველ ასურულ რელიეფზე გამოსახული ბაბილონური შენობა-ნაგებობების მიხედვით.

- **არტემიდას ტაძარი ეფესოში**

ქალაქი ეფესო მცირე აზიაში, დღევანდელი თურქეთის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს.

ძვ.წ VI საუკუნეში ეფესო ლოდიის სამეფოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იყო. ლოდიის სამეფომ განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია უკანასკნელი მეფის კრესეს დროს, მან გადაწყვიტა, ნადირობის მფარველი ქალთაღვთაების სახელზე ტაძარი აეგო. ბერძნები ამ ღვთაებას არტემიდას უწოდებდნენ, ხოლო რომაელები - დიანას. ტაძარი დაახლოებით ძვ.წ. 560 წლისათვის აშენდა. ტაძარი 120 წლის მანძილზე შენდებოდა, მისი არქიტექტორი თავდაპირველად იყო ქერსიფრონი, შემდეგ მისი ვაჟი მეტაგენი და ა.შ.

იგი აგებული იყო კირქვითა და მოპირკეთებული იყო მარმარილოთი. ტაძრის სახურავი და ფრონტონი ეყრდნობოდა 20 მეტრი სიმაღლის მარმარილოს 120 კოლონას. ტაძარი შემკული იყო ათასგვარი ორნამენტითა და სკულპტურით. ცენტრში იდგა არტემიდას ქანდაკება. არტემიდას ტაძარი კლასიკური ეპოქის ყველაზე დიდი ნაგებობა იყო. მისი სიგრძე 131, ხოლო სიგანე 79 მეტრს აღწევდა.

დიდებული ტაძარი დაწვა ვინმე ჰეროსტრატემ, რომელსაც სურდა, რომ ამ გზით თავისი სახელი სამუდამოდ დაეტოვებინა კაცობრიობის ისტორიაში. ამ ძეგლის რესტავრაციის შესახებ მოგვითხრობს ძველი ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი, რომელიც წერს, რომ ცეცხლისაგან განადგურებული ტაძარი აღუდგენიათ და აღდგენილი ნაგებობა პირვანდელზე გაცილებით ლამაზი და წარმტაცი ყოფილა. თუმცა, არტემიდას ტაძარი მაინც ვერ გადაურჩა განადგურებას. III საუკუნეში იგი მომთაბარე გოთებმა ძირფესვიანად გაანადგურეს. მრავალი წლის შემდეგ არქეოლოგებმა ეფესოში აღმოაჩინეს არტემიდას ტაძრის ნაშთები, ამ დიდებული ნაგებობიდან მხოლოდ ერთი კოლონაღაა შემორჩენილი.

- **ზევსის ქანდაკება ოლიმპოში**

ოლიმპია ძველი საბერძნეთის მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრს წარმოადგენს. სწორედ ამ ქალაქთან არის დაკავშირებული ძვ. წ. 776 წელს პირველი ოლიმპიური თამაშების ჩატარება, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. თამაშების დროს საომარი მოქმედებებიც კი იკრძალებოდა, რათა შეჯიბრის მონაწილებსა და მაყურებლებს ოლიმპიადაზე მოხვედრა შეძლებოდათ.

ძვ.წ. V საუკუნეში ბერძნებმა გადაწყვიტეს, ოლიმპიაში აღემართათ ღმერთების მეფის ზევსის ქანდაკება. ამისთვის ჯერ უზარმაზარი ტაძარი ააგეს, ხოლო ქანდაკების შექმნის საპატიო საქმე დიდი მოქანდაკეს, ფიდიასს, მიანდეს. ფიდიასმა ზევსის ქანდაკებაზე მუშაობა ძვ.წ. 435 წელს დაასრულა. ზევსი იჯდა ოქროს ტახტზე. მისი ფიგურა გამოკვეთილი იყო ოქროსა და სპილოს ძვლისაგან. ზევსს თავზე ედგა ოქროს დაფნის გვირგვინი და ხელთ ეპყრა ოქროს კვერთხი. ქანდაკების წინ იატაკი მოპირკეთებული იყო შავი მარამარილოთი. ზევსის ქანდაკება დაახლოებით 800 წლის მანძილზე აოცებდა მნახველს თავისი სიმდიდრით.

I საუკუნეში რომის პატივმოყვარე იმპერატორამა კალიგულამ განიზრახა ოლიმპიელი ზევსის ქანდაკების რომში გადატანა. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად მუშებიც კი გააგზავნა ოლიმპიაში. მაგრამ, თანახმად ლეგენდისა, ქანდაკებას მასთან მისული მოქანდაკეები რომ დაუნახავს, ხარხარი დაუწყია, რასაც დამთრგუნველი ზემოქმედება მოუხდენია რომაელ მუშებზე და ისინი უკან მოუხედავად გაქცეულან.

391 წელს რომის იმპერატორმა თეოდოსმა ოლიმპიური თამაშები აკრძალა, რადგან მიაჩნდა, რომ სპორტული შეჯიბრებები ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიანულ მორალსა და კანონებს, თუმცა, ინტერესი ზევსის ქანდაკებისადმი მაინც დიდი იყო. V საუკუნეში იგი გადაიტანეს ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში, მაგრამ 462 წელს სასახლეს, სადაც ქანდაკება იდგა, ხანძარი

გაუჩდა, რამაც ეს ხელთუქმელი განძი დაანგრია. დრამატულად წარიმართა ოლიმპიის ბედიც. VI საუკუნეში აქ მოხდა დიდი მიწისძვრა.

ზევსის ტაძარი და სტადიონი ნანგრევებად იქცა. ისინი მიწამ და მტვერმა დაფარა. ჩვენამდე ვერც ამ მსოფლიო საოცრებამ მოაღწია.

- **ჰალიკარნასის მავზოლეუმი**

ჰალიკარნასი იყო კარიის მთავარი ქალაქი. კარია ძვ. წ. IV საუკუნეში სპარსეთის იმპერიაში შედიოდა. ამ დროს კარიას მართავდა მავსოლე. იგი დაქორწინდა საკუთარ დაზე, რომელსაც ერქვა არტემისია. მავსოლემ გადაწყვიტა თავისი და მეუღლის სამუდამო განსასვენებლად აეგო ისეთი აკლდამა, მანამდე რომ არ ღირსებია მოკვდავთაგან არც ერთ დიდებულს.

აკლდამის აგება მავსოლეს სიცოცხლეშივე დაიწყეს. კარიის მმართველმა მისი დასრულება ვერ მოასწრო. იგი დაახლოებით ძვ.წ. 350 წელს გარდაიცვალა. დაკრძალეს მის მიერვე აგებულ აკლდამაში, რომელსაც მავსოლეს პატივსაცემად მავზოლეუმი უწოდეს. მავზოლეუმი საბოლოო სახით არტემისიამ დაასრულა.

მავზოლეუმი წარმოადგენდა ბერძნული ტაძრის მსგავს ნაგებობას, რომელიც შემკული იყო მარმარილოს კოლონებითა და ქანდაკებებით. რელიეფური სამკაულები ტაძრისთვის შექმნეს იმდროინდელმა საუკეთესო სკულპტორებმა - სკოპამ ლეოქარემ, ბექსისმა და ტიმითეოსმა. ნაგებობების თავზე მდებარეობდა საფეხურებიანი პირამიდა, ხოლო მასზე აღმართული იყო მავსოლესა და არტემისიას სკულპტურები. მავსოლეუმს დარაჯობდა ქვის ლომების ქანდაკებების რიგი.

XIV საუკუნეში მავზოლეუმი მიწისძვრამ დაანგრია. XV საუკუნეში წმ. იოანეს ჯვაროსნული ორდენის რაინდები მავზოლეუმის ქვებს იყენებდნენ ციხე-სიმაგრეების ასაშენებლად. სამარხებსაც მიაგნეს განძის მაძიებლებმა, სამარხები გაძარცვეს და გაანადგურეს.

XIX საუკუნის 50-იან წლებში არქეოლოგებმა მავზოლეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე გათხრებისას აღმოაჩინეს მავზოლეუმის ნაშთები, რელიეფებისა და ქანდაკებების ფრაგმენტები.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევდა ორი დიდი ქანდაკება, რომლებიც მიჩნეულ იქნა მავსოლესა და არტემისიას სკულპტურებად. მთელი ეს მონაპოვარი გადაიტანეს ლონდონში და ამჟამად დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში.

- **როდოსის კოლოსი**

კუნძული როდოსი ეგეოსის ზღვაში მდებარეობს.

მრავალი საუკუნის განმავლობაში როდოსი დამოუკიდებლად არსებობდა, მაგრამ ძვ.წ V საუკუნეში იგი დაიპყრო მასზე ძლიერმა ათენმა. ათენელების ბატონობა თითქმის ორმოცდაათ წელიწადს გაგრძელდა, ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისში კუნძულის მცხოვრებლებმა შეძლეს როდოსის გათავისუფლება ბერძენთაგან. გამარჯვება მათ დაუკავშირეს მზის ღმერთს ჰელიოსს და გადაწყვიტეს მადლიერების ნიშნად მისთვის მანამდე არნახული ძეგლი აეგოთ. გადაწყვიტეს და შეასრულეს კიდეც.

ძვ.წ. 280 წელს სკულპტორმა ქარესმა დაასრულა ჰელიოსის ბრინჯაოს გიგანტური ქანდაკება. მისი სიმაღლე 35 მეტრს აღწევდა. გადმოცემით ქანდაკება ქალაქის შესასვლელში იდგა და ზღვას გადაჰყურებდა. სკულპტურა თავდაპირველი სახით დიდხანს არ შემორჩენილა. აქედან სამოცი წლის შემდეგ კუნძულზე მოხდა დიდი მიწისძვრა და ქანდაკება მიწაზე დასცა. როდოსელმა წინასწარმეტყველმა ხალხს მისი აღდგენის ნება არ მისცა და კუნძულელები დაარწმუნა, რომ რაც მოხდა, თვით ჰელიოსის ნება იყო, ამოტომ ქანდაკება იქ უნდა დააეტოვებინათ, სადაც დაეცა.

ძეგლი ასეთ მდგომარეობაში დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. დაახლოებით ცხრაასი წლის განმავლობაში უამრავი ხალხი ჩადიოდა როდოსში, რათა დაცემული ქანდაკება ეხილათ. VII საუკუნეში როდოსი არაბებმა დაიპყრეს. მათ ქანდაკება ნაწილებად დაჭრეს და მის წასაღებად ცხრაასი აქლემი გამოიყენეს.

როდოსის კოლოსისაგან აღარაფერი შემორჩა, მისი რეკონსტრუქცია მოხდა თანამედროვეთა და თვით მხილველთა აღწერილობის მიხედვით.

- **ალექსანდრიის შუქურა**

ალექსანდრიის შუქურა ძველი მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან უძველესი ძეგლია. იგი ააგეს ძვ.წ. III საუკუნეში ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიის მახლობლად კუნძულ ფაროსზე.

ეს იყო მსოფლიოში პირველი შუქურა. პირამიდების შემდეგ, ძველ საოცრებათა შორის ალექსანდრიის შუქურამ ყველაზე მეტად გაუძლო დროს. თითქმის 1500 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა და სიბნელეში გზას უჩვენებდა ფაროსის უბისკენ მიმავალ ხომალდებს.

ქალაქი ალექსანდრია ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა. იგი თავიდანვე იქცა ხალხმრავალ ნავსადგურად, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ვაჭრები, ხელოსნები და მოგზაურები. გემების შეუფერხებული მოძრაობისათვის გადაწყდა ხმელთაშუა ზღვის ნაპირებთან შუქურის აგება. მის მშენებლობას თითქმის ოცი წელი დასჭირდა. შუქურა დასრულდა ძვ.წ. 280 წელს დასრულდა ამ პერიოდისათვის ეგვიპტეს მართავდა პტოლემაოს სოტერი.

ალექსანდრიის, იგივე ფაროსის, შუქურა ნაგები იყო მარმარილოს ფილებით, სიმაღლე 120 მეტრს აღწევდა. შუქურა შედგებოდა მარმარილოს სამი კოშკისაგან. ქვედა, პირველი კოშკი, სწორკუთხა ნაგებობა იყო და მასში ის ხალხი ცხოვრობდა, ვინც შუქურას ემსახურებოდა მის ზემოთ იდგა შედარებით პატარა, რვაკუთხოვანი კოშკი, საიდანაც სპირალური კიბეებით მესამე კოშკში ადიოდნენ. ზედა კოშკს ცილინდრის ფორმა ჰქონდა. მის თავზე მუდმივად ენთო ცეცხლი, რომელიც გზას უნათებდა ხომალდებს. შუქურას თავზე აღმართული იყო ზევსის ქანდაკება. ზღვიდან შუქურის დანახვა 50 კმ-ის მანძილიდანაც შესაძლებელი იყო.

დროთა განმავლობაში ალექსანდრიის უბე ზღვის მიერ მოტანილი სილით აივსო. XII საუკუნეში სილის რაოდენობამ ისე მოიმატა, რომ პორტში ხომალდების შესვლა შეუძლებელი გახდა. პორტი გაუქმდა, ხოლო შუქურა უმოქმედოდ დარჩა. XIV საუკუნეში იგი ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია. შუქურას ბრინჯაოს ფირფიტები, მონეტებისა და სარკეების დასამზადებლად გამოიყენეს, ხოლო ქვებით სამხედრო პორტი ააშენეს. ეს ნაგებობა დღემდე დგას ყოფილი შუქურის ადგილზე.

ბერძენი მწერალი ლუკიანე სამოსატელი გვატყობინებს, რომ არქიტექტორმა, რომელმაც შუქურა ააგო, თავისი სახელი აღბეჭდა ერთ-ერთ ქვაზე რომელზეც ეწერა: ,,სოსტრატე კნიდოსელმა აგაგო შენ!''.

ამრიგად, გავეცანით რა მსოფლიოს შვიდ საოცრებას, ნათელი გახდა, თუ რა უსაზღვრო ძალა გააჩნია ადამიანის შემოქმედებით გენიას. რა თქმა უნდა, რაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე რეალურად იყო საოცრება, დღეს, XXI საუკუნეში, დაჩრდილა ისეთმა მეცნიერულ-ტექნიკურმა ისეთმა მიღწევებმა, როგორიცაა: ატომგულის გახლეჩა, კოსმოსის ათვისება, კომპიუტერიზაცია და სხვა მრავალი, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ თავის დროზე, თითქმის შუა საუკუნეების ბოლომდე, განხილული შვიდი საოცრება სამართლიანად ატარებდა ამ სახელს.

ლიტერატურა:

1. ა. ნეიჰარდტი, ი. შიშოვა, ქვეყნიერების შვიდი საოცრება, გამომცემლობა ,,განათლება'' თბ., 1966.
2. გ. ქავთარია, მსოფლიოს შვიდი საოცრება, თბ., 1997.
3. მსოფლიოს უდიდესი საოცრება გამომცემლობა ,,გლობუსი'', 2002.

ზემო სვანეთში გავრცელებული გვარების ისტორიიდან (სოფელ ლატალის მაგალითებზე)

მეგი ფარჯიანი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი**, ასისტენტ პროფესორი

სამწუხაროდ, სვანეთის მოსახლეობის შესახებ ოფიციალური მონაცემები XIX საუკუნემდე არა გვაქვს. აშკარად გადაჭარბებული უნდა იყოს იოჰან გიულდენშტედტის ცნობა, რომელიც XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის სვანეთის მოსახლეობას 17 ათასი კაცით განსაზღვრავს[1].

ამის საფუძველს გვაძლევს 1886 წ. ოფიციალური ცნობა, რომლის მიხედვით, სვანეთის მოსახლეობა არ აღემატებოდა 15-ათას სულს[2]. ძნელი წარმოსადგენია, რომ 1770-1886 წწ. მატების ნაცვლად კლება

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 293-329

[2] Свод статистических данныхъ о населеніи Закавказского края извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ 1886 года, Тифл., 1893

განეცადოს, უფრო მოსალოდნელია, რომ მოსახლეობა დაახლოებით ერთ დონეზე იდგა და XIX-ის II-ნახევარში იმატებდა კიდეც, ამაში გვარწმუნებს შემდეგი ფაქტი:

1855 წ. სტატისტიკური მონაცემებით, სვანეთის მოსახლეობა შეადგენდა 12-ათას სულს, ამ ფაქტების გათვალისწინებით ვვარაუდობთ, რომ სვანეთის მცხოვრებთა რიცხვი 1770 წ. არ აღემატებოდა 12-14 ათასს.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის 1855 წლის მონაცემები შესაბამისი პროპორციით არ იქნება მართებული. მაინც საეჭვოა, მართალია ზემო სვანეთი უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული ქვემო სვანეთისგან განსხვავებით, რადგან ამ პერიოდში იგი სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა და მეტად სუსტად იყო დასახლებული, სვანეთის მოსახლეობა 30 ათასს შეადგენდა, ეს ცნობა არაა მართებული და გადაჭარბებულია, რადგან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც კი - 1926 წ. სვანეთის მთელი მოსახლეობა არ აღემატებოდა 18,8 ათასს, ხოლო 1886 წლისათვის - 15 ათასს, უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან 1855 წ. სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით, სვანეთის მოსახლეობა შეადგენდა 12 ათასს. სვანეთის მაშინდელი მდგომარეობა ნაკლებად ხელსაყრელი იყო მოსახლეობის მატებისთვის, ამიტომ 1800 წლისათვისაც იმავე 12 ათასის[1] რაოდენობით უნდა ვივარაუდოთ. ასევე რამდენადმე ეჭვს იწვევს სვანეთის მოსახლეობის მატების მაღალი ტემპი. გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ 1926 წელს მოსახლეობა არ იყო სრულად აღრიცხული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ, 1926-1939 წლებში სვანეთის მოსახლეობის საშუალო წლიური ნამატი 3%-ს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის, ბუნებრივი მატების ასეთი მაღალი ტემპი რეალურად არ მიგვაჩნია.

რაც შეეხება ჩემს მშობლიურ სოფელ - ლატალს, იგი მდინარე ენგურის ხეობაში, ბალს-ზემო და ბალს-ქვემო სვანეთის გასაყარზე მდებარე ერთ-ერთი მთაგორიანი სოფელია. მას ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება სოფელ ლენჯერის ტერიტორია (ჩანეშსა და ლაჰრამში), ხოლო ბეჩოსა და ცხუმარს ემიჯნება ბალის მთის ზოლით (ტირბიშსა და ნაფგილდის) მიდამოებით.

ლატალს ქვემო სვანეთისგან სვანეთის ქედი ყოფს ორი ვიწრო, მოუხერხებელი, ფეხითაც ძნელად სავალი გადასასვლელით. თვითონ ლატალი სოფლის სახელია. მისი ფუძეა ,,ტალა", რაც ნიშნავს ,,მოგზაურთა დარაჯად მდგომს".

ლატალი ,,ბალს-ზემო" სვანეთის ე.წ. ,,თავისუფალი სვანეთის" პირველი სოფელია, მის დასავლეთ საზღვარზე, სადაც მას ,,ბალს-ქვემო" ანუ საბატონო სვანეთი ესაზღვრება (აქვე მივანიშნებთ, რომ ბალი ეს არის ქედის სახელი, რომელიც ლატალის დასავლეთით არის განთავსებული).

ლატალი მართლაც რომ გუშაგის როლს ასრულებდა და მას სვანეთის სხვა სოფლებიც უწევდნენ ანგარიშს. ლატალი და სვანეთის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე სოფელი ,,უშგული" საიმედოდ კეტავდნენ შემოსასვლელ ზე-კარებს და თავისუფალ ,,სვანეთში" გაბატონების მსურველთათვის მრისხანე და აუღებელ ,,ბასტილიონს" წარმოადგენდა მისი ,,ციხე-კოშკებით". თავისუფალი სვანეთის სახელწოდებით ლატალსა და უშგულს შორის მდებარე ტერიტორიაა ცნობილი.[2]

ამჟამად ლატალში ცხოვრობს 340 კომლი (1198 სული). ლატალის უბნებს შორის შემდეგი თანაფარდობაა:

მაცხვარისში-(შყალერთან ერთად) - 99 კომლია (278 კაცი);

იენაშში (ლამთან ერთად) 79 კომლი (318 კაცი);

ჯიქანქა: ანუ ,,ზედა უბანი" (იფხი, ლეშუკი, ლელბაგი, და სიდიანარი ერთად) 59 კომლს შეადგენს ანუ (53 კაცს);

ლეშგვანი - 16 კომლი;

კვაჭიანარი - 33 კომლი;

ლახუშდი -24 კომლი;

ლაჰილი - 6 კომლი.

თუ შევადარებთ გასული საუკუნის ბოლო მეოთხედის აღწერის მასალებს, კომლთა რაოდენობა საუკუნის მანძილზე ლატალში თითქმის 30%-ით გაიზარდა: იყო 119, არის 340, ხოლო მოსახლეობა 10%-ით (იყო 994, არის 1198). ასეთი დიდი სხვაობა, აისახება ბოლო წლებში დაწყებული მიგრაციის თავისებურებებით, ზვავთა და ღვარცოფთა საბაბით ბევრი არ მოშლილან, მხოლოდ განაყარი ძმები გადმოვიდნენ.

რაც შეეხება მათ მეტყველებას, მაგ: ბალს-ზემო და ბალს-ქვემო მოსახლეობის მეტყველება ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ბალს-ზემო მცხოვრებნი იყენებენ გრძელ ხმოვნებს, ბალს-ქვემონი კი

---

[1] ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX სს, გვ. 64-238

[2] თეიმურაზ მიბჩუანი, ,,დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა, და კულტურის შესახებ", გვ. 20

მოკლე ხმოვნებს. მაგალითად, თუ ბალს-ქვემონი ამბობენ ,,დემეგ“ (ანუ არა) ბალს-ზემონი ამბობენ ,,დეესა“.

ლატალური მეტყველების ნიმუშები მცირე რაოდენობით არის დაბეჭდილი. ტექსტები გამოქვეყნებულია სვანური ენის ქრესტომათიაში, ასევე სხვადასხვა სახის ინფორმაციები გვხვდება სამეცნიერო თუ სხვა ხასიათის ნაშრომებში, პავლე ინგოროყვას ,,სვანეთის წერილობით ძეგლებში“ და სხვ[1].

რაც შეეხება გვარებს, აქ ფიქსირდება 20-მდე გვარი, თითოეული გვარის შიგნით განირჩევა საძმოები ანუ (სამხუბარ) და თემები (თემარ). ამ ტერმინთა კონკრეტული გვარების მიხედვით გამიჯვნა ცალკე გამოკვლევის თემაა. გვარები უბნების მიხედვით შემდეგნაირად არიან განსახლებულნი:

1-იენაშში-(ფარჯიანები). მისი შტოები გახლავთ:

ა)-აბიშა
ბ)-ლათუარ
გ)-ფაჩიარ
დ)-სინჩარაშა
ე)-ჯიდოშა
ვ)-ნარსაუშა
ზ)-ეზაშა
თ)-ჯახიარ

2-ხვინთელანის შტოები არიან:
ა)-ხვინთელანშა
ბ)-დოქაშა
3-წერედიანის შტოები არიან:
ა)-მგზრაშა
ბ)-ხასშა
გ)-ჯაკუთაშა
4-ჩარკვიანის მხოლიდ ერთი შტოა-გელაშა.
5-კვანჭიანის შტოები:
ა)-ფიფიშა
ბ)-ბაკაშა
გ)-ქაუზაიშა
დ)-ბედანაშა
ე)-აბრამშა
ვ)-უზანშა
6-ლახუშდში არის შემდეგი გვარები:
ა)-ასუმბანი
ბ)-გუაშა
გ)-ჯანყუათშა
დ)-ფიფიშა-(რომელიც მხოლოდ ორი კომლისგან შედგება)
ე)-ფირცხელანი-(ბაკუაშა)
ვ)-ნიკოლოზიანი-(ბექუარ)
ზ)-ჩამგელანი-(ნახუაშშა)
თ)-ლაჰილი-პაკელიანი მისი შტოები არიან (ჯიდოშა და აბრამშა)
7-გურგულიანი-(მანაშა. რომელიც ორი კომლისგან შედგება)
8-მაცხვარიშში არიან- გირგვლიანები და მისი შტოები:
ა)-გუაიარ
ბ)-ფუთაიარ
გ)-სარგშა
დ)-ჯუაბარ
ე)-კვატიარ
ვ)-ჯულაბშა
ზ)-ჩანხუარშა
თ-სგაშარ
ი)-პიკიარ

[1] ,,ქართველთა მემკვიდრეობა,” ტომი I, გვ. 92

კ)-ნამყმარ

ლ)-თამლიანი (კუკუაშა)

მ)-გურგულიანი (ივანიშა)

ნ)-სუბელიანი (ფილოშა-ერთი კომლი)

ო)-ჯიქანქა (ზედა უბანი) იფხი, ლეშუკი, ლელბაგი, სიდიანარი ესენი ერთად აღებული, (აბდელანი, ედაუშა)

14-ნანსყანი (უოტაშა)

15-ივეჩიანი (თამარაშა, ქემეზაშა)

16-გვიჩიანი (ჯარაშა, გუიჭიანშა)

17-სიდიანი (ბაღათარშა)[1]

ამ გვარებიდან ლატალში ყველაზე მეტად გავრცელებულია ფარჯიანების გვარი, რომლის ფესვები შორეული წარსულიდან მოდის.

ფარჯანიანი და ფარჯანიშვილი ფუძეა საკუთარი სახელი ფარჯანასი. იგი საკმაოდ ძველი გვარია, XIII ს-ის II-ნახევარში ცნობილია ლიხთ-იმერეთის დიდებული სარგის ფარჯანიანი. ვახტანგ ფარჯიანს ,,წიგნი წამებისა წმ. გიორგისი და წმ. თეოდორესი“ შეუკვეთია ,,სუეტსა ზედა ჭყონდიდისა“.

ვახტანგ ფარჯიანის საქმიანობა მისმა შვილებმა ივანემ და აბულახტარმა განაგრძეს. მათ 1050 წ. მარტვილში გადაუწერინებიათ ერთ-ერთი ოთხთავი, რომელშიც აღნიშნულია: ,,სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, მეოხებითა წმ. ღვთისმშობლისათა და წმ. იუანე ნათლისმცემლისა წმ. მთავარანგელოზთა, წმ. მოციქულთა წინასწარმეტყველთა, გიორგის მთავარანგელოზთა და წმ. თეოდორე მოწამისათა, მე გლახაკმან ივანე მესვეტემ, ავღწერე წამება ესე წ-თა მოწამეთა გიორგი და თეოდორესი და სასწაულნი სალოცველად ადიდენ ღმერთმან, ვახტანგ ფარჯიანისა და ღვთივმონიჭებულთა შვილთა მისთა ივანე და აბულახტარს აწ ვინ იკითხვიდენ გულსმოდგინედ ულოცევდით” დაიწერა ,,სვეტსა ზედა ჭყონდიდისა” ,,ადიდენ მეფობა ბაგრატ კორაპალატისა” ინდიქტიუნსა: დ ქორონიკონსა: ს:ნ:ა:პ: იუანე მესვეტისა. ღმერთმან დაგაჯერესთ ლოცვა ყავთ”.

გარდა ამისა, ფარჯიანები ლატალში სიმამაცითაც გამოირჩეოდნენ. მათზე დღესაც საუბრობენ. ერთ-ერთი მათგანი იყო 1875 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე გინადურყ ფარჯიანი, მასთან ერთად ღირსეულად იბრძოდნენ გირგვლიანების გვარის წარმომადგენლებიც. ფარჯიანების მსგავსად, ეს გვარი სვანეთში დღეისათვის საკმაოდ გავრცელებულია. ქავზაი და პიკი გირგვლიანებს უშუალო შეტაკება ჰქონდათ რუსეთის საოკუპაციო ჯართან, გაუხსნეს საპასუხო ცეცხლი და იმსხვერპლეს რუსის რამოდენიმე ჯარისკაცი, მაგრამ თვითონაც ზარბაზნების ცეცხლის შედეგად, კოშკების დანგრევის დროს დაიღუპნენ[2].

გარდა დოკუმენტური მასალებისა, ფარჯიანების შესახებ უამრავი თქმულება და გადმოცემა შემორჩა შათამომავლობას. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი გაზვიადებულია, მაგრამ მაინც საინტერესოა.

გიორგი ფარჯიანი იყო 1924 წ. აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და სოფელ ჯვარში დახვრეტილ იქნა სხვა ქართველებთან ერთად. როგორც ამბობენ, ის ფიზიკურად საკმაოდ ტანადი და ძლიერი იყო. როდესაც მისი თანამოძმეები დახვრიტეს და მიწაზე ეყარნენ გიორგის 28 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა. ამის გამო, ბოლშევიკები იძულებული გახდნენ, მის მიმართ საკონტროლო გასროლა ,,ტყვიამფრქვევიდან” განეხორციელებინათ, რათა იგი წაქცეულიყო და მომკვდარიყო.

გარდა ამისა, ფარჯიანები გამოირჩევიან ხელოვნებათმცოდნეობით, განსაკუთრებით კი ხატვის ნიჭით, ამის ნათელი მაგალითია - ირაკლი ფარჯიანი, რომელიც დღეისათვის საკმაოდ ცნობილი მხატვარია. მისი ნახატების შექმნის მთავარი მუზა - სვანეთია, მისი ნახატები სვანეთივით ლამაზი და ჰაეროვანი ფერებით არის შესრულებული.

სამწუხაროდ, დღეისათვის სვანეთში უამრავი გვარია გამქრალი. მოსახლეობის დიდი ნაწილის ნამოსახლარებიც კი აღარ არსებობს, ამას თან ერთვის ხშირი სტიქიური მოვლენები და მოსახლეობის მძიმე სოციალური ფონი, რის გამოც ბარში მიგრაცია ძალიან მაღალია. თუმცა, უკანასკნელ წლებში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით დაწყებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და საკურორტო ზონად გამოცხადების გამო, ეს პროცესი მნიშვნელოვნად შენელდა, რაც ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად იძლევა.

[1] „ქართველთა მემკვიდრეობა“, ტომი II, გვ. 243.

[2] გერონტი გასვიანი, „დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან”, გვ. 45.

ლიტერატურა:
1. გიულდენშტედტი, ,,მოგზაურობა საქართველოში“, ტომი I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ, გამოსცა და გამოკვლება დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 293-329
2. ვახტანგ ჯაოშვილი, ,,საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში“, გამომცემლობა ,,მეცნიერება“, თბ., 1984, გვ. 64-238
3. თეიმურაზ მიბჩუანი, ,,დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1989, გვ:20
4. ,,ქართველთა მემკვიდრეობა“, ტომი I, გამომცემლობა ქუთაისი, 1996. გვ. 92
5. ემიგრანტული ნაშრომები, ტომი II, ,,დაბრუნება“, თბ., 1961, გვ. 345
6. გერონტი გასვიანი, ,,დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“, თბ., 1973, გვ. 45.
7. Свод статистических данныхъ о населеніи Закавказского края извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ 1886 года, Тифл., 1893.

რიჩარდ III - მითი და რეალობა

ანა ფსუტური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გურამ კუტალია**, დოქტორი

ბრიტანეთის ისტორიაში ალბათ არ არსებობს რიჩარდ III-ზე ნეგატიური ფიგურა. შექსპირის წყალობით, რომელმაც თავის დრამაში "რიჩარდ III ისტორია" შექმნა განუმეორებელი სახე ბოროტმოქმედის. რიჩარდ III-ის სახელი გახდა ათასწლეულების განმავლობაში სასკოლო-ქრესტომათიული გამოხატულება ბოროტებისა და ყველანაირი დანაშაულისა. მაგრამ სინამდვილეში იყო თუ არა რიჩარდ III ისეთი, როგორიც ცნობილმა დრამატურგმა წარმოგვიდგინა? ადრე უცნობი დოკუმენტების აღმოჩენამ და პუბლიკაციამ აიძულა მეცნიერები კიდევ ერთხელ გადაეხედათ ლეგენდისთვის "სისხლიან ტირანზე", გაჩაღდა მწვავე დებატები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ედუარდ IV-ს (1460-1483) უმცროსი ძმა რიჩარდ იორკელი, ჰერცოგი გლოსტერისა, დაიბადა 1452 წლის ოქტომბერში, "ვარდების ომის" დაწყებამდე. გაჩაღებული პოლიტიკური წინააღმდეგობების პირობებში იგი რჩებოდა ედუარდის ერთგული. დინასტიისათვის კრიტიკულ დღეებშიც კი, როდესაც დიდებულების უმეტესი ნაწილი, ჰერცოგ კლარენსის ჩათვლით, რომელიც რიჩარდის ძმა იყო, გადავიდნენ ლანკასტერების მხარეზე, რიჩარდი რჩებოდა მეფის ერთგული და მასთან ერთად იყოფდა იძულებითი გაგდების სიძნელეებს. გადამწყვეტ ბრძოლებში ტიუკსბერისა და ბარნეტთან 1471 წელს, რომლებშიც იყო განადგურებული ლანკასტერების ძირითადი ძალა, ახალგაზრდა ჰერცოგი იბრძოდა დიდი სივაჟკაცით და მეთაურობის ნიჭიც გამოიჩინა.

გლოსტერის ერთგულება, გამოხატული დევიზით "ერთგულება-უპირველეს ყოვლისა" იყო სათანადოდ დაფასებული მეფის მიერ: მას საცოლედ შეურჩიეს ყველაზე მდიდარი პატარძალი ინგლისში ანა ნევილი და იმავდროულად დაინიშნა ჩრდილოეთი საგრაფოების წარმომადგენლად. სწორედ იქ, სამეფოს ყველაზე არასტაბილურ კუთხეში, რომელიც ითვლებოდა ტრადიციულად ლანკასტერების საყრდენად. გლოსტერმა გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა და ადმინისტრატორმა. იქ ყოფნის დროს, მან არამარტო დააწყნარა ქვეყნის ჩრდილოეთი, არამედ გადააქცია იგი იორკების მთავარ საყრდენ წერტილად. ის რეალური რიჩარდი სრულიად არ გავდა შექსპირისეულ ჰერცოგს, რომელსაც ღრნიდა პატივმოყვარეობა და რომელიც ცდილობდა ყველანაირი გზით სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას. თანამედროვენი ერთ ხმაში ამტკიცებენ, რომ "გლოსტერი არ იყო დაინტერესებული პოლიტიკური ინტრიგებით და ყველანაირად ცდილობდა თავი შორს დაეჭირა სამეფო ოჯახისაგან და უპირატესობას ანიჭებდა ჩრდილოეთში „წყნარ იორკში" ცხოვრებას. ბოლო ხუთი წელი ედვარდის მეფობისა გლოსტერი რჩებოდა თავისი გულფიცხი და ეჭვიანი ძმის მარჯვენა ხელად, გლოსტერი იყო საკმაოდ გავლენიანი და პოპულარული, მან დატოვა შტაბეჭდილება ჭკვიანი და საქმიანი მმართველისა. როგორ მოიქცა გლოსტერი მეფის სიკვდილის შემდეგ? 1483 წლის თებერვალში ედუარდ IV-ის ანდერძის თანახმად სამეფო ტახტი უნდა მიეღო მის 12 წლის შვილ უფლისწულ ედუარდზე და გლოსტერი უნდა

ყოფილიყო რეგენტად. მაგრამ დედოფალი ელიზაბედ ვუდვილი თავის მრავალ ნათესავთან ერთად შეეცადა მოეწყო გადატრიალება. ტაუერისა და სამეფო ხაზინის ხელში ჩაგდების მიზნით და ასევე ძმის სიკვდილის შესახებ გლოსტერისათვის არაფერი უნდა ეთქვათ, მათ გადაწყვიტეს უფლისწულ ედუარდის გვირგვინკურთხევის დაჩქარება და რეგენტად ელიზაბეტის დანიშვნა. ამ მიზნით სასახლე ლუდ-ლოუში, სადაც იმყოფებოდა მემკვიდრე, გააგზავნეს 2 ათას კაციანი შეიარაღებული ჯარით ლორდები რივერსი და გრეი ანუ ელიზაბეტის ძმა და შვილი.

როდესაც გლოსტერმა შეიტყო მეფის სიკვიდილის შესახებ, ლონდონში გამგზავრების მაგივრად, რაც დამახასიათებელი იქნებოდა ადამიანისთვის, ვისაც ძალაუფლების ხელში ჩაგდება უნდა, იგი გაემგზავრა იორკში, სადაც ედუარდ V-სთვის მორჩილება უნდა გამოეცხადებინათ იქაურ დიდებულებს.

მაშინაც კი, როდესაც გაიგო ჰასტინგსისგან, ცხონებული მეფის ლორდ - კამერგერისაგან, ლონდონში მომხდარი ამბები, გლოსტერმა არ გამოიძახა დახმარება და გაემგზავრა მცირე რიცხოვანი ჯარით 600 კაცით მემკვიდრის დასახვედრად. და მხოლოდ სტრატფორდში ჰერცოგ ბეკინგემთან შეხვედრის შემდეგ, რომელმაც დაამტკიცა ინფორმაცია გადატრიალების შესახებ, გლოსტერმა მკაცრ ზომებს მიმართა: დააპატიმრა შეთქმულების ავტორები რივერსი და გრეი და ედუარდ V-სთან ერთად გაემართა ლონდონისკენ.

გადატრიალების მცდელობა ჩაიშალა. დიდებულების უმეტესობამ, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილნი, "მეტიჩარა" ვუდვილების მიმართ, მხარი გლოსტერს დაუჭირეს. ელიზაბეთმა თავის უმცროს ვაჟსა და ხუთ ქალიშვილთან ერთად თავი შეაფარეს ვესტმინსტერის სააბატოს. 4 მაისს გლოსტერი შევიდა დედაქალაქში, სადაც იყო გამოცხადებული სამეფოს ლორდ-პროტექტორად. ეს იყო პოზიტიურად აღქმული მოსახლეობის მიერ. შემდგომი ქმედებები გლოსტერისა, როგორც რეგენტისა, ამტკიცებენ მის განზრახვას უფლისწულის მეფეთ დაყენებისა. ყველა აუცილებელი ბრძანება 22 ივლისის კორონაციის შესახებ გაცემულ იქნა ლონდონში ჩასვლისთანავე. მემკვიდრე სათანადო პატივისცემით იყო მიბრძანებული ტაუერში, რომელიც იმ დროს სამეფო რეზიდენციის როლსაც ასრულებდა. ტრადიციისამებრ იქ უნდა დარჩენილიყო კორონაციამდე.

მაგრამ 9 ივლისის მოვლენებმა შეცვალეს სიტუაცია და წარმოქმნეს ახალი პოლიტიკური კრიზისი. იმის შესახებ თუ რა მოხდა, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ქრონისტები კი დუმან ამის შესახებ. როგორც ვიგებთ ეპისკოპოს ტ. ლენგტონის წერილიდან, სამეფო საბჭოს სასწრაფო შეკრებისას უელსის ეპისკოპოსმა რ. სტილინგტონმა გააკეთა მოულოდნელი განცხადება იმის შესახებ, რომ ცხონებული მეფე ელიზაბეტთან ქორწინებამდე იყო იდუმალად დანიშნული ლედი ელეონორა ტალბოტზე. ეს ნიშნავდა, რომ ელიზაბეტის შვილები იყვნენ არაკანონიერნი და არ შეეძლოთ ტახტის მიღება. ამიტომ მეორე დღეს გლოსტერმა გააგზავნა წერილები იორკში და სთხოვდა "გამოეგზავნათ ჯარი ელიზაბეტსა და მის მომხრეებთან ბრძოლისთვის, რომლებიც აპირებენ ჩემს და ჩემი ბიძაშვილის ბეკინგემის მოკვლას" და ისევ "გადასცენ სასამართლოს დაპატიმრებულები: გრეი და რივერსი, ახალ გარემოებების გამო.

დრამატული ეპიზოდი "ივლისის კრიზისის" ისტორიაში მოხდა 13-ში, კიდევ ერთი სამეფო საბჭოს სხდომის დროს. ქრონისტების მწირი ინფორმაციის თანახმად "სხდომის დროს დააპატიმრეს არქიეპისკოპოსი როტერგემი, ეპისკოპოსი მორტონი,ლორდები სტენლი და ჰასტინგსი" , გასტინგს იქვე მოკვეთეს თავი ტაუერის ეზოში. როგორც ჩანს, სტილინგტონის აღმოჩენამ, რომელიც ნიშნავდა ვუდვილების იმედების დამსხვრევას, უბიძგა დედოფლის პარტიას ახალი შეთქმულების ორგანიზებისაკენ. ამ ახალ შეთქმულებაში ჯეინ შორის, ედუარდ IV-ის საყვარლის მიერ, ჩათრეულ იქნა ლორდი ჰასტინგსი. მართლა შედგა თუ არა ედუარდ IV-ის და ლეიდი ელეონორას ნიშნობა, თუ სტილინგტონის ჩვენებები იყო ტყუილი გამოგონილი რომელიმე რიჩარდის მომხრის მიერ, რომელსაც არ სურდა მცირეწლოვანი მეფის მმართველობა იმიტომ, რომ ეს მოიტანდა ძალაუფლებისათვის ბრძოლას სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის და შესაძლებელია გადაზრდილიყო სამოქალაქო ომში? ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა შეუძლებელია. უმეტესი მკვლევარები, ედუარდ IV-ის სიყვარულში თავშეუკავებლობის გათვალისწინებით, ემხრობიან პირველ ვერსიას. რიჩარდის ძმამ კლარენსმა პასუხი საკუთარი თავით აგო, როდესაც შეეცადა მეფის რაღაც "საიდუმლოს" გამხელას. შექმნილ სიტუაციაში სტილინგტონის აღმოჩენა აწყობდა დიდებულების უმეტესობას და მოქალაქეებსაც, რომლებსაც სურდათ მშვიდობა სახელმწიფოში. გასაკვირი არაა, რომ პარლამენტმა, რომელიც შეიკრიბა 22 ივლისს, ედუარდ IV-ის ორცოლობის შესახებ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სპეციალური აქტით ედუარდის ყველა შთამომავალი გადააყენა ტახტიდან, როგორც არაკანონიერად დაბადებულნი, ხოლო გვირგვინი გადაეცა რიჩარდ გლოსტერს.

6 აგვისტოს 1483 წლისა ყველა დიდებულის დასწრებით შედგა კორონაცია რიჩარდ III-სა და მისი ცოლისა ანასი. მისი მოკლევადიანი მმართველობის პერიოდში ჩატარდა მრავალი რეფორმა, რომელთა უმეტესობა შემდგომში იყო გათვალისწინებული ტიუდორების კანონმდებლობაში. რიჩარდის

მოწინააღმდეგებიც კი აღიარებდნენ, რომ ის იყო კარგი კანონთმცოდნე და ბევრი რამ გააკეთა ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. გასაკვირი არაა, რომ ხალხის მეხსიერებაში რიჩარდი დარჩა „კეთილ მეფედ, რომელიც ღალატის მეშვეობით მოკლეს, რამაც ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.'' მაგრამ, რიჩარდი არ იყო საკმარისად შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, რომ ტახტი შეენარჩუნებინა. იგი იყო მეტისმეტად მიმდობი ხალხის მიმართ, გამოუცდელი ინტრიგებში და არ ჰქონდა ელემენტარული სიფხიზლე, რომელიც ასე აუცილებელია სახელმწიფო მოღვაწისთვის. რიჩარდის უახლოესი წრის წარმომადგენლების ღალატი ამ მისი ნაკლოვანებების ნათელი მაგალითია.

რიჩარდის კორონაციის ერთი თვის შემდეგ მის წინააღმდეგ წამოიწყო აჯანყება მისმა ბიძაშვილმა ბეკინგემმა. ამ შეთქმულების მონაწილენი, რომელთაც მოუძღოდა გამოცდილი და პატივმოყვარე ინტრიგანი ეპისკოპოსი დ. მორტონი, მოქმედებდნენ ჰენრი ტიუდორის დინასტიის ინტერესების გათვალისწინებით, ჰენრი იყო ერთადერთი გადარჩნილი წარმომადგენელი ლანკასტერების გვერდითი შტოს და მის დაქორწინებას აპირებდნენ ედუარდ IV-ის ქალიშვილზე ელიზაბედზე და ამით გაეერთიანებინათ ორი მებრძოლი პარტია. აჯანყების ჩახშობის შემდეგ რიჩარდი შემოიფარგლა ჰერცოგის მოკვლით და გაანთავისუფლა შეთქმულების თითქმის ყველა მონაწილე, მათ შორის მთავარი ინტრიგანი გრაფინია სტენლი ჰენრის დედა. ასეთი ქმედებები აჩვენებენ, რომ რიჩარდი არ იყო დესპოტი ან ტირანი, რასაც მას აბრალებენ. რაც შეეხება რიჩარდის ბრძანებას „პატარა უფლისწულების“ მოკვლის შესახებ, “ლონდონის დიდი ქრონიკის'' თანახმად, უფლისწულები ბოლოს ნახეს რიჩარდის კორონაციამდე ტაუერის ეზოში მოთამაშენი. ხოლო მათი შემდგომი ბედის შესახებ არ არის ინფორმაცია არც ერთი რიჩარდის თანამედროვის ქრონიკაში. საეჭვოა, რომ რიჩარდი იყო დაინტერესებული თავის ძმისშვილების მოკვლაში კორონაციის შემდეგ. თან საეჭვოა რომ მათი დედა ელიზაბეტი შეეგუებოდა შვილების ასეთ მოკვლას. ასეთი არ იყო ეს ენერგიული, პატივმოყვარე და ინტრიგებში დაუღლელი ქალბატონი.

არის მონაცემები იმის შესახებ, რომ უფლისწულები ცოცხლები იყვნენ რიჩარდის მმართველობის დროს: ტაუერის კომენდანტის წიგნში აღმოჩენილი 9 მარტის 1485 წლის ჩანაწერი „ლორდ –არაკანონიერი შვილის“ შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებზე (ამას უწოდებდნენ იმ დროს ოფიციალურ დოკუმენტებში ახალგაზრდა ედუარდ V). უფლისწულების მოშორება უფრო ეხამება ჰენრი ტიუდორის დინასტიურ ინტერესებს და არა რიჩარდის: მათი სიკვდილი ზრდიდა პრეტენდენტის შანსებს ტახტისთვის ბრძოლაში. სწორედ ჰენრიმ და მისმა მომხრეებმა, რომლებმაც მოიპოვეს თავშესაფარი საფრანგეთში,დაიწყეს ჭორების გავრცელება ედუარდ IV-ის შვილების სიკვდილის შესახებ. ინგლისიდან გაქცეული ეპისკოპოსის მორტონის ჩვენებებზე დაყრდნობით ფრანგმა კანცლერმა გილიომ დე როშფორმა თავის სიტყვაში გენერალური შტატების გახსნისას (იანვარი 1484) რიჩარდს დააბრალა ძმისშვილების მკვლელობა. აქტიურად პროპოგანდისტული კამპანია რიჩარდის წინააღმდეგ იწარმოებოდა 1484 წლის გაზაფხულზე, რაც შემთხვევითი არ იყო. სწორედ მაშინ გარდაიცვალა რიჩარდის ვაჟიშვილი და ქვეყანა ისევ აღმოჩნდა დინასტიური პრობლემის წინაშე. 1484 წლის აღდგომის შემდეგ, როგორც წერდა კროულენდის მონასტერისა ანონიმური ქრონისტი, ძალიან ბევრი ჭორი წარმოიშვა მეფე რიჩარდის ბრძანებით უფლისწულების მოკვლის შესახებ და როდესაც მომდევნო წელს გარდაიცვალა დიდი ხნის ავადმყოფი რიჩარდის ცოლი დედოფალი ანნა, საფრანგეთიდან იყო გავრცელებული ჭორი, თითქოს იგი მოწამლული იყო რიჩარდის მიერ, რომ მას შესძლებოდა ცოლად მოეყვანა თავისი ძმისშვილი ელიზაბეტი. რიჩარდს მოუხდა სახალხოდ უარყოფა ამ ბრალდების. 7 აგვისტოს 1485 წლისა ჰენრი ტიუდორი დაქირავებულ ფრანგ მებრძოლებთან ერთად გადმოვიდა ინგლისის დასავლეთ ნაპირზე. უელსის დიდებულების მხარდაჭერაზე და ლორდ სტენლის ჯარზე დაყრდნობით, რომელიც იყო ყველაზე გავლენიანი მაგნატი სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში და რომელიც აუჯანყდა რიჩარდს, პრეტენდენტი გაემართა ლესტერისაკენ, სადაც მეფის ჯარი იმყოფებოდა. 22 აგვისტოს ორივე ჯარი, რომლებშიც თითქმის ერთი რაოდენობის მებრძოლები იყვნენ (5 ათასამდე) შეხვდნენ ბოსვორტის ველზე. ბრძოლის დასასრული წინასწარ განსაზღვრა ლორდი სტენლის ღალატმა, რომელიც თავისი ჯარით არ ჩაერთო ბრძოლაში. ყველა მხრიდან გარშემორტყმულმა რიჩარდმა უარი თქვა ბრძოლის ველიდან გაქცევაზე და დაიღუპა იარაღით ხელში: ასეთი საქციელი ერთადერთია ასეთი ინგლისის მონარქების ისტორიაში, თუ არ ჩავთვლით ნახევრად ლეგენდარულ რიჩარდ ლომგულს, რომელიც დაიღუპა ციხის აღებისას. საბრძოლო ნაჯახით გატეხილი მეფის გვირგვინი იპოვეს კუნელის ბუჩქებში და მაშინვე ჰენრი ტიუდორს თავზე დაადგეს.

30 წლის ჰენრი VII გამოირჩეოდა სწორედ იმ უნარით, რომელიც აკლდა რიჩარდს: მახვილი გონებით, ფარული ინტრიგების მოწყობის ნიჭით და წინდახედულობით. პირველ რიგში, მან გადაწყვიტა იურიდიულად გაემართლებინა თავისი საეჭვო მოსვლა ქვეყნის სათავეში. მისი მოთხოვნით პარლამენტმა გააუქმა ძველი წესი ტახტის გადაცემისა და მიიღო აქტი „რიჩარდისა და მისი მომხრეების ღალატის შესახებ“: რიჩარდს ბრალად ედებოდა: “ტირანია, ტახტის უზურპაცია და უამრავი მკვლელობა“,

მაგრამ პარლამენტის აქტში არ იყო არანაირი ბრალდება პრინცების მოკვლის თაობაზე, „ბავშვების სისხლის დაღვრაზე“. თავისი ტახტის მიღების უფლების გასამტკიცებლად ჰენრისთვის აუცილებელი იყო იმის დამტკიცება, რომ პლანტაგენეტების დინასტიის მამაკაცური ხაზი დასრულდა ედუარდ IV-ის შვილების სიკვდილით. წინაანღმდეგ შემთხვევაში პრინცები იქნებოდნენ პირდაპირი მემკვიდრეები, მით უმეტეს, რომ ედუარდ IV–ის შვილები იყვნენ ლეგიტიმირებული სპეციალურ საპარლამენტო აქტით. სხვანაირად ჰენრი ვერ დაქორწინდებოდა პრინცესა ელიზაბეტზე.

მაგრამ არანაირი განცხადება ამის თაობაზე არ გაკეთებულა. წირვაც არ იყო ჩატარებული პრინცების გარდაცვალებაზე. ახალი მონარქი ინახავდა საიდუმლოს პრინცების ბედის შესახებ, მაგრამ საეჭვოა ის თეორიაც, რომ ჰენრი ტიუდორი არის დაკავშირებული პრინცების სიკვდილთან. თუ მართლა ასე იყო, პირველს ტიუდორს შეეძლო ადვილად გადაებრალებინა დანაშაული რიჩარდისათვის და მტკიცებულებად გამოეყენებინა სხვა პრინცების ასაკის ბავშვების ნაშთები. ჰენრი VII-ს სიჩუმე უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რომ ჰენრიმ თვითონაც დანამდვილებით არ იცოდა რა მოუვიდა პრინცებს და ცოცხლები არიან თუ არა. ასეთი სიტუაცია, ახალი მონარქის არაპოპულარობის ჩათვლით, რომელსაც როგორც ირწმუნება მისი კანცლერი ტ. ბეკონი „თითქმის მთელი სამეფო ვერ იტანდა“, სავალალო შედეგების მომტანი იყო. ორჯერ, 1487 და 1491 წლებში, ინგლისში ხორციელდებოდა თვითმარქვიების გამოსვლები, რომლებიც საკუთარ თავებს ედუარდ IV შვილების სახელით ასაღებდნენ, რამაც საფრთხე შეუქმნა ჰენრი VII-ს მეფობას. თუ პირველი თვითმარქვია პრეტენდენტის პურის მცხობელ ლ. სიმნელის 11–წლის შვილის ვინაობა ადვილად დაადგინეს, მეორე ტახტის მიღების მსურველის პ. ვარბეკის ვინაობა აქამდე დაუდგენელია. რიგი მკვლეველების მოსაზრება იმაზე დაყრდნობით, რომ ვარბეკი გავდა ედუარდ IV-ს, აგრეთვე ვარბეკმა კარგად იცოდა ყველა სამეფო სასახლის საიდუმლოებები, ხოლო ჰენრი VII აკეთებდა ყველაფერს, რომ ელიზაბეტი და მისი ქალიშვილები არ შეხვედრილიიყვნენ ვარბეკს, შეიძლება მართლა იყოს ვარბეკი ჰენრი IV-ს უფროსი ვაჟი.

„პრინცების პრობლემის მოგვარებისათვის“ და პრეტენდენტებისაგან ტახტის დასაცავად ჰენრის მთავრობას უნდა დაერწმუნებინა ყველა პრინცების სიკვდილში, თითქოს ისინი იყვნენ მოკლულნი უზურპატორ რიჩარდის მიერ. ერთი სიტყვით ჰენრის დასჭირდა ლეგენდა „დამნაშავე ტირანზე“ და საქმეს შეუდგნენ დამჯერი ქრონისტები, რომლებმაც დაიწყეს ახალი ისტორიის წერა რიჩარდ Ш–ის მმართველობის შესახებ. პირველი ქვა ამ ლეგენდის საფუძველში ეკუთვნის რიჩარდის თანამედროვეს ბერს დ.როუზს. იგი არის ავტორი ილუსტრირებული ისტორიისა გრაფ ვორვიკების შესახებ, რომელმაც აჩვენა მაგალითი პოლიტიკური მოქნილობისა. როდესაც ჰენრი გამეფდა, დ. როუზმა გადააკეთა თავისი „ისტორია“. მან გადააკეთა რიჩარდი „ყველაზე პატიოსანი და სამართლიანი მმართველიდან დედამიწაზე,ანტიქრისტეს წარმოსახვაში, რომელმაც მოკლა უდანაშაულო უფლისწულები“. აგრეთვე მან პირველმა მიუთითა რიჩარდის ფიზიკურ სიმახინჯეზე, რომელმაც გამოხატა იგი, როგორც გამხმარხელიანი, კუზიანი ქონდრისკაცი დემონური სახით. ეს აღწერა რიჩარდის გარეგნობისა, რომელიც გახდა ტრადიციული ტიუდორების ისტორიაგრაფიაში, არის მხოლოდ კარიკატურა. არც შენახული პორტრეტული გამოსახულება რიჩარდისა და არც მისი თანამედროვეების აღწერა არ ემთხვევიან როუზის დახასიათებას. როგორც ირწმუნება გერმანიის იმპერატორის შიკრიკი ფონ პოპელაუ, რომელმაც მიიღო მეფესთან აუდიენცია 1485 წლის გაზაფხულზე, „რიჩარდი იყო საშუალო სიმაღლის ადამიანი, რომელსაც გააჩნდა დიდი ფიზიური ძალა... მისი სახე გამოხატავდა ტვინის სიუხვეს, ენერგიას, სულისკვეთებას და არ აკლდა მას მომხიბვლელობა“.

სამეფო კარის ქრონისტმა დ. ფაბიანმა დაამატა კიდევ ერთი დანაშაული რიჩარდის მიერ ჩადენილი დანაშაულების სიას. ფაბიანმა დააბრალა რიჩარდს ძმის ჰენრი VI-ის მოკვლა. ასე თანდათანობით შეიქმნა მეფე ტირანის პერსონაჟი და ოფიციალური ვერსია „პრინცების ისტორიისა“. ეს ისტორია უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, აკლდა მხოლოდ რიჩარდის ამ დანაშაულებების მოწმეები. 1502 წლის გაზაფხულზე ბრალდებით „ტახტის მტრებთან საიდუმლო მიმოწერაში“ დააპატიმრეს დ. ტირელი, გინეს ციხის კომენდანტი – ერთ-ერთი დასაყრდენი ბაზა ინგლისელებისა საფრანგეთში. რიჩარდის ერთგულ მსახურს ტირელს ჰენრის გამეფების შემდეგ წაართვეს თანამდებობა და სამფლობელოები, მაგრამ უეცრად მას მოუვიდა თხოვნა, რომ დაბრუნებოდა გინეში იმ თანამდებობაზე, რომელზეც მანამდე იყო და რომელსაც იკავებდა დაპატიმრებამდე. მას მიუსაჯეს სასიკვდილო განაჩენი და ტირელმა აღიარა, რომ მოკლა პრინცები რიჩარდ III-ის ბრძანებით. ტირელის აღსარების თანახმად, გამეფების შემდეგ, 1483 წლის აგვისტოში, რიჩარდმა გააგზავნა შიკრიკი ტაუერის კომენდანტ რ. ბრაკენბურთან საიდუმლო წერილით პრინცების მოკვლის ბრძანებით, მაგრამ კომენდანტმა უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე. მაშინ რიჩარდმა გადასცა საქმე ტირელს და გადასცა მას ტაუერის ბრძანებლობის სრული უფლება ერთი დღით. როდესაც ტირელმა მიიღო ტაუერის გასაღები მან და მისმა თანამზრახველმა ლაქიამ დაიქირავეს მკვლელები, რომლებმაც ღამე მოახრჩვეს უფლისწულები. მოკლულების სხეულები ჩამარხეს კიბის ქვეშ, ხოლო მოგვიანებით, რიჩარდის ბრძანებით, სხვაგან გადაამარხინეს უცნობ მღვდელს, რომელიც მალევე

გარდაიცვალა. ტირელის აღსარების მომენტისთვის ტრაგედიის სამი მონაწილიდან მხოლოდ ორი იყო ცოცხალი: თვითონ ტირელი და ლაქია. ლაქია თავის ბატონის სიტყვების დადასტურებისთვის იყო განთავისუფლებული და აგრეთვე მიენიჭა სამუდამო პენსია თუ იგი იცხოვრებდა საფრანგეთში. ტირელის აღსარება არის დიდი სიყალბე, გამოგონილი ჰენრი VII–ის გულის მოსაგებად. პირველი, რაც თვალში გვხვდება, ეს არის პრინცების მოკვლის შესახებ ბრძანების გაცემის უცნაური ხერხი. უფრო მარტივი იქნებოდა გაეცა ზეპირი განკარგულება და არ დაეტოვა ისეთი მნიშვნელოვანი სამხილი, როგორიც წერილია. აგრეთვე საეჭვოა, რომ კონსტებლი ტაუერისა, რომელმაც უარი თქვა განკარგულების შესრულებაზე, აგრძელებდა თავის თანამდებობაზე მსახურს და არ იყო მოშორებული, როგორც სახიფათო მოწმე. აგრეთვე ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ტაუერის გასაღების გადაცემა, თუნდაც ერთი ღამით, დარჩა შეუმჩნეველი მსახურების მიერ და რომ მათ არაფერი არ შეატყობინეს ჰენრის დაკითხვის დროს 1486 წელს და, საბოლოოდ, ჰენრის ხელისუფლებამ რატომ არ ჩაატარა ოფიციალური გამოძიება პრინცების სიკვდილისა? ტრაგედიის მთავარი მონაწილე, რატომ იყო მოკლული სულ სხვა დანაშაულის გამო? ან უფრო მეტიც, ჰენრი VII–მ თავის სიკვდილამდე მაინც ვერ გაბედა ტირელის აღსარების საჯაროდ გამოტანა. მეფის არც ერთი ქრონისტი არ ახსენებს ტირელის „აღსარებას“. აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი რიჩარდის ლეგენდარული პერსონაჟის შექმნაში მიიღო სახელმწიფო მოღვაწემ თომას მორმა, რომელმაც ამ ლეგენდას ლიტერატურული ელფერი შემატა. 1513 წელს დაწერილი „რიჩარდ III“ არის მაგალითი ჰუმანისტური ნაწარმოებისა, რომელიც ყველანაირი ტირანიის წინააღმდეგია. ძირითადი მოვლენები რიჩარდის მმართველობისა, რომლებიც აღწერილია ცნობილი უტოპისტის მიერ, არის დაწერილი ჰენრი VII–ის კარდინალის და კანცლერის დ. მორტონის მოგონებებზე დაყრდნობით. სწორედ ამიტომ მორის ნაწარმოების სინამდვილე ეჭვს იწვევს მეცნიერებში, მაგრამ მორის ავტორიტეტი და რეპუტაცია, როგორც მეცნიერისა, იმდენად მაღალი იყო ასწლეულების განმავლობაში, რომ მისი „ისტორია“ გადაიქცა ერთადერთ წყაროდ რიჩარდის მეფობის შესახებ და სწორედ ამ წყაროდან იღებდნენ ინფორმაციას მომდევნო ავტორები: ქრონისტებით დაწყებული და შექსპირით დასრულებული. სწორედ მორის „ოქროს ბუმბულმა“ მიანიჭა რიჩარდ III-ის ლეგენდას უკვდავება და დაასრულა ტიუდორების მითის გაფორმება „სისხლიანი ტირანის“ შესახებ. 1933 წელს ისტორიკოსები მოულოდნელად ელოდნენ „პრინცების ნაშთების“ გაკვეთის შედეგებს. პრინცების ნაშთები აღმოაჩინეს ჯერ კიდევ 1674 წელს ტაუერის თეთრი კოშკის ქვეშ რემონტის დროს და დაკრძლეს ვესტმინსტერის საბატონოში. გაკვეთის შემდეგ დადგინდა, რომ ნაპოვნი ნაშთები ეკუთვნოდათ 10–12 წლის ბავშვებს, მაგრამ მათი სქესის დადგენა ვერ მოხერხდა. ექსპერტიზამ ასევე ვერ დაადგინა, რომელ წლებს მიეკუთვნება ეს ნაშტები. ნაპოვნი ძვლები, პირიქით, გვაჩვენებს, რომ ეს ძვლები პრინცების არ იყო. ასე რომ ყოფილიყო, მათ იპოვნიდნენ ჯერ კიდევ ჰენრი VII დროს, ტაუერის დათვალიერებისას. აგრეთვე ის ფაქტი, რომ ძვლები იპოვეს 10 ფუტის სიღრმეზე, ეწინააღმდეგება ლეგენდას ბებერ მღვდელზე, რომელმაც გადამარხა პრინცები.

გაკვეთის შედეგებმა მოლოდინი არ გაამართლეს და კიდევ უფრო გაამწვავეს სამეცნიერო კრიტიკა. პრინცების ბედი მაინც გაურკვეველი რჩება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ნამდვილი რიჩარდი განსხვავდება „სისხლიანი მკვლელისა და ტირანის“ ხატისაგან. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ავტორის მსგავსად მისი იდეალიზება საჭირო არ არის, რომლების მას სახავენ ლამის „უკანასკნელ კეთილშობილ ინგლისელ რაინდად“. თაობა, რომელიც გაიზარდა სისხლიანი წინააღმდეგობების პერიოდში, გულგრილად უყურებდა სისხლს და რიჩარდიც არ იყო გამონაკლისი, მაგრამ, ამასთან ერთად, მართალი იქნება, თუ დემონიურ თვისებებს, რომლებიც ტრადიციამ მიანიჭა რიჩარდს, დავტოვებთ ლეგენდის წიაღში, ხოლო ისტორიაში დავტოვებთ ნიჭიერ, მამაც და პატივმოყვარე ადამიანს.

ლიტერატურა:

1. Richard the Third. Lnd. 1956; LAMB V. The Betrayl of Richard III. Lnd. 1973; KENDALL P. Richard the Third. Lnd. 1972.
2. Ungulph's Chronicle of the Abbey of Croiland. Lnd. 1854
3. KENDALL P. Op. cit.
4. ЛОЖКИНА Т. Г. К вопросу о социальных и политических отношениях в Англии в период правления Ричарда III. В кн.: Проблемы социальной структуры и идеологии средневекового общества. Вып. 2. Л. 1976
5. http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A0%D0%B8%D1%87%D0%B0%D1%80%D0%B4_III
6. http://annals.xlegio.ru/evrope/small/richard3.htm

რომაული კულტურა

ხატია ღვინიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ბადრი რაზმაძე**, ასოცირებული პროფესორი

„მარადიული ქალაქის" - რომის დაარსების ტრადიციულ თარიღად ძვ. წ. 753 წელია მიჩნეული.

რომი ქალაქ-სახელმწიფოდან გადაიქცა ჯერ რესპუბლიკის დედაქალაქად, ხოლო ძვ. წ. 31 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 476 წლამდე მსოფლიო იმპერიას ედგა სათავეში, რომელსაც თავისი სახელწოდება მისცა.

შესაბამის ეტაპად იყოფა რომაული კულტურის ისტორიაც. თუ ჩვენს წარმოდგენებში ბერძნები ცოცხლდებიან, როგორც ნატიფი კულტურის შემქმნელნი, უბადლო ფილოსოფოსები თავისუფლად მოაზროვნე შემოქმედი ხალხი, რომაელები მათი უშუალო მემკვიდრეები არიან. რომაელებმა თავისი სულიერი კულტურა, მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება შექმნეს.

რესპუბლიკურ პერიოდში ქვეყანას მართავდნენ სენატი და სენატორების მიერ არჩეული კონსულები, არისტოკრატული ელიტის წარმომადგენლები.

შვიდ ბორცვზე განლაგებული პატარა ქალაქი ჯერ ყველასათვის უცნობი ქვეყნის ცენტრი გახდა, მერე მძლავრი სახელმწიფოსა და, შემდგომ, მსოფლიო იმპერიის დედაქალაქი. ამ დროს რომაელი ინჟინრები აგებდნენ კომფორტულ ქალაქებს, გასართობ სისტემებს და საგზაო კომუნიკაციებს, სწორედ მაშინ გაჩნდა ფრთიანი ფრაზა „ყველა გზა რომში მიდის". აქედან იწყებოდა კილომეტრების ათვლა, იდგმებოდა გზის მაჩვენებლები. რომაელებმა გაიყვანეს 372 გზა, თითოეულს ჰქონდა თხრილები და იყო მოკირწყლული. რომის ცენტრში იდგა უზარმაზარი მარმარილოს სვეტი და ზედ ეწერა „სამყაროს ცენტრი". ავგუსტუსი ამაყად აცხადებდა, რომ მას მემკვიდრეობით ერგო აგურისაგან ნაგები ქალაქი და დატოვა მარმარილოსი. მის სახელთანაა დაკავშირებული რომში აგებული „მშვიდობის საკურთხეველი", ლათინთა საზოგადოებრივი და წმინდა ადგილი. ქვეყნის სტაბილური მდგომარეობისათვის საჭირო იყო სამხედრო ძალა. რეგულარული არმიის შემადგენლობა რომში 400 000 იყო. ძვ. წ. 450 წლით თარიღდება რომაული კანონები ე.წ. „თორმეტი ტაბულა", რომელიც ლათინურ ენაზე იყო ამოტვიფრული ბრინჯაოს დაფებზე.

ლათინები იტალიის ერთ-ერთი უძველესი წარმომავლობის ტომია, რომლებიც ინდოევროპულ ენათა ჯგუფს განეკუთვნებოდნენ. გადმოცემით, მისი სახელი წარმოდგება მითიური მეფის ლათინუსის სახელიდან. ლათინები სახლობდნენ ლაციუმის ოლქში. ლათინები ჯერ ლაციუმის მკვიდრებს ეწოდათ, ხოლო შემდეგ რომის მოქალაქეებს. ტრადიცია ლათინური დამწერლობის წარმოშობას მეფეთა ეპოქას უკავშირებს. ახ. წ. I საუკუნის ისტორიკოსი დიონისე ჰალიკარნასელი თავის „რომაულ სიძველეებში" აღნიშნავდა, რომ ქალღმერთ დიანას სახელზე, ავენტინზე აგებულ ტაძარში ინახებოდა ბრინჯაოს სტელა ლათინური ტექსტით. ეს იყო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომის მეექვსე მეფის სერვიუს ტულიუსსა და ლაციოს ლათინურ ქალაქებს შორის.

რომაელები თავიანთ დამწერლობის შექმნისას ეყრდნობოდნენ ე.წ. დასავლურ ბერძნულ ანაბანს. ძვ. წ. III საუკუნეში ლათინური დამწერლობა საბოლოოდ ჩამოყალიბდა. წერდნენ მარცხნიდან მარჯვნივ, ჰორიზონტალური მიმართულებით. კლასიკური ლათინური შეიცავს 23 ასოს, ხოლო ლათინური ციფრები გამოირჩეოდა უბრალო მოხაზულობითა და სიმარტივით.

თავდაპირველად რომაელები მთვარის კალენდარს იყენებდნენ, რომელიც ათი თვისაგან შედგებოდა. ის იწყებოდა მარტში და მთავრდებოდა დეკემბერში, შემდეგ მეფე ტარკვინიუსის დროს გადავიდნენ მთვარის თორმეტთვიან კალენდარზე, რომელიც 355 დღეს ითვლიდა. მზის კალენდართან მისი შესატყვისობისათვის საჭირო ხდებოდა დროდადრო მეცამეტე თვის დამატება. საბოლოოდ რომაული კალენდრის მოწესრიგება დაკავშირებულია იულიუს კეისრის სახელთან. მან მზის კალენდარული წელი შემოიღო 365 დღით, ყოველ ოთხ წელიწადში ერთი დღის დამატებით (ე.ი. ნაკიანი წელიწადი). აღსანიშნავია ისიც, რომ თვეების სახელწოდება ივლისი და აგვისტო, იულიუს კეისრისა და ავგუსტუსის პატივისცემად იქნა შემოღებული, მანამდე ისინი რიგითი ნომრებით მოიხსენიებოდა. ყოველი თვის პირველი დღე, რომელიც ახალი მთვარის დადგომას ემთხვეოდა, კალენდად იწოდებოდა. რომაელები წლის ათვლას იწყებდნენ რომის

დაარსებიდან ძვ. წ. 753 წ., ხოლო წელი კონსულების სახელით აღინიშნებოდა. დღე-ღამეს 12-12 საათად ყოფდნენ.

დაწყებითი სკოლები რომში საკმაოდ ადრეული ხანიდანაა ცნობილი, რომში ქალაქის მთავარ მოედანზე, ფორუმზე, არქეოლოგებმა მიაკვლიეს ძვ. წ. V საუკუნის სკოლას. აგრეთვე პომპეისა და ჰერკულანუმში აღმოჩენილი მრავალრიხცოვანი წარწერა, მათ შორის გრაფიტოები, ადასტურებს წერა-კითხვის მცოდნეთა მაღალ პროცენტს ქალაქების მოსახლეობაში.

საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები დაკომპლექტებული იყო მაღალი კვალიფიკაციის პროფესორებით. იქ, ფიზიკურ ვარჯიშთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდნენ ისტორიის, რიტორიკის, ლინგვისტიკის, ბერძნული ენის, ლიტერატურის, გრამატიკის, გეოგრაფია-ფილოსოფიის, მითოლოგიის, პოეტიკის და სხვა მეცნიერებების შესწავლას. ცნობილია, რომ მარტო რომში, რესპუბლიკური პერიოდის მიწურულს, ოცზე მეტი ასეთი სასწავლებელი არსებობდა და მათი რაოდენობა სულ უფროდაუფრო იზრდებოდა. იყო სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებლები, სადაც დეკლამატორ-ორატორებს ამზადებდნენ. ორატორები საკმაოდ მძლავრ პოლიტიკურ ძალას შეადგენდნენ, მათი მოღვაწეობის ძირითად ასპარეზს სასამართლოები შეადგენდა, სადაც ისინი ან მსჯავრდებლების, ან დამცველების როლში გამოდიოდნენ.

გამოჩენილი რომაელი ორატორების რიცხვს მიეკუთვნებიან: გაიუს გრაკხუსი, მარკუს ანტონიუსი, ლუციუს-ლიცინიუს კრასუსი, გაიუს იულიუს კეისარი, მარკუს იუნიუს ბრუტუსი და სხვა.

რომაელი რიტორიკის ფუძემდებლად ციცერონია მიჩნეული, დიდია მისი ღვაწლი ლათინური ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავებაში, წერდა ნაწარმოებების მჭერმეტყველების შესახებ.

რომაული, ლათინური ცნება „რელიგია" გამოხატავდა ღვთიური ძალებისადმი დამოკიდებულების გრძნობასა და მისი მფარველობის მოდელს, რაც წეს-ჩვეულებების, რიტუალის ზუსტ დაცვაში და მის უნაკლო შესრულებაში გამოიხატებოდა. საზღვრების გაფართოებასთან ერთად, რომაული პოლითეისტური რელიგია სულ უფრო და უფრო განიცდიდა სხვა კულტურების ზეგავლენას, კერძოდ, ბერძნული და ეტრუსკული რწმენა-წარმოდგენებისა. მისთვის არც ე.წ. აღმოსავლური ნეყოფიერების კულტები უცხო იყო.

ღვთაებებთან დაკავშირებული წესები და რიტუალი მკაცრად იყო განსაზღვრული ე.წ. საღვთისმეტყველო წიგნებში, რომლებიც ქურუმთა განკარგულებაში იყო. ბერძნული გავლენით ვრცელდებოდა რომში „წინასწარმეტყველთა წიგნები", „ორაკულები" და სხვა.

რესპუბლიკის პერიოდისთვის განსაკუთრებით ძლიერდება ბერძნული კულტურების შემოჭრა რომაულ რელიგურ რწმენა-წარმოდგენებში.

რომაული ღვთაებებიც იღებენ ადამიანურ იერს, იგება დიდებული ტაძრები, შესაბამისი დადებული ლიტურგიკით.

რომაულ რელიგიაში ელინიზაციის პროცესი ბერძნული ოლიმპიური პანთეონის ოფიციალური ცნობით დამთავრდა.

თორმეტ ოლიმპიურ რმერთს მიეკუთვნებოდნენ: იუპიტერი, იუნონა, ნეფტუნი, მინერვა, მარსი, ვენერა, დიანა, ვულკანი, ვესტა, მერკური, ცერერა და აპოლონი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ რომში.

რელიგიური წესები სენატში კანონდებოდა ე.წ. ცივილური წიგნების საფუძველზე.

უზენაესი ღვთაება, იუპიტერი განაგებდა ყველა დიდი მნიშვნელობის საქმეს კოსმოსის მაშტაბით ის, ისევე, როგორც ბერძენთა ღვთაება ზევსი, არ გამოირჩეოდა ზნეობრივი სრულყოფით. რომაელები მხოლოდ მის ძალას ეთაყვანებოდნენ.

იუპიტერის ეპითეტი „სიხარულის მომნიჭებელი" მიანიშნებს მის დიდ მნიშვნელობაზე, რომაელთა ცხოვრებაში.

მინერვა - იუპიტერის ქალიშვილი. იყო მეომრული ბუნების, სიბრძნისა და რთვა-ქსოვის ბერძნული ღვთაება.

მერკური – ვაჭრებისა და ქურდების მფარველი. მას რომაელები თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთების უბრალო თანაშემწეს, რადგან ოლიმპიურ იერარქიაში დაბალი საფეხური დაიკავა.

იუნონა – კონკრეტულ შემთხვევაში იუპიტერის დაც და ცოლიც, ის ისეთივე ეჭვიანი და შურისმაძიებელია, როგორც ბერძნული ჰერა.

ვენერა - სიყვარულის ქალ-ღმერთი. შეესაბამება ბერძნულ ქალ-ღმერთს აფროდიტეს.

რომაელთა ღმერთებიც ოლიმპოს მთაზე ბინადრობდნენ, თუმცა აიდი, ბერძნული ჰადესი, მიწისქვეშეთში ბინადრობდა. მიწისქვეშეთში ბინადრობდა მკვდრეთის მეუფე პლუტონიც.

რომაელების რწმენით, თუ კარგად და კეთილსინდისიერად შეასრულებდნენ რიტუალების მათ ვედრება შესმენილი იქნებოდა.

რომის მმართველებს კარგად ესმოდათ რელიგიის მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ავგუსტუსი თავად ჩაუდგა სათავეში ქურუმთა კოლეგიას, როგორც „პონტიფექს მაქსიმუს ავგური" და დაამყარა პირდაპირი კავშირები რელიგიასა და საიმპერატორო ხელისუფლებას შორის. დაიწყო იმპერატორების გაღმერთების პროცესი, ასტროლოგიებისა და მისტერიების პოპულარიზაცია, რამაც რომი სახელმწიფო რელიგიის დაცემისა და ქრისტიანობის აღზევებამდე მიიყვანა ახ. წ. IV ს-ში.

ძვ. წ. III-II ს.ს. რომაულ არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების მზარდი განვითარების პერიოდია. რომაული არქიტექტურის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენდა ქალღმერთ ვესტას მრგვალი ტაძარი, რომელიც არა მარტო ეტრუსკული მონუმენტური საფლავების დაგეგმარებას ეხმაურებოდა, არამედ ენეოლითური ეპოქის ოვალურ საცხოვრებლებსაც მოგვაგონებდა.

ეტრუსკული ტრადიციების მიხედვით აშნდა იუპიტერის ტაძარი კაპიტოლიუმზე, რომაული არქიტექტურა ადრეული ეტაპიდანვე განიცდიდა ბერძნული ხუროთმოძღვრების გავლენასაც. საინტერესოა ავენტინის ბირცვზე აშენებული ტაძარი, რომელიც პლმბეურ სამეულს – ცეცერას, ლიბერსა და ლიბერას მიეძღვნა. ტაძარი თავისი გეგმარებით ეტრუსკულ-იტალიკურია, ხოლო დეკორირებულია ბერძნულ სტილში.

ასევე ადრეულ ხანაში დაიწყო რომში პრაქტიკულ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა.

უფრო ადრე, ჯერ კიდევ მეფეების ეპოქაში, რომაელებმა მთავარი საკანალიზაციო არხი გაიყვანეს. აშენდა აკვადუკები, ხიდები, გაიყვანეს გზები.

ძველი რომაული სახლი ერთსართულიანი იყო, მის ცენტრში მდებარეობდა დიდი ოთახი - ატრიუმი, რომელშიც განთავსებული იყო ოჯახის სალოცავები და კერა, ეწყობოდა აუზი წვიმის წყლის შესაგროვებლად, ატრიუმის გარშემო კი საძინებელი ოთახები იყო განლაგებული. ძვ. წ. II ს-ში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა ძირეულად შეცვალა რომაული სახლისა და თვით ქალაქის იერი, სახლები უკვე ორ და სამსართულიანი შენდებოდა, ატრიუმი სასტუმრო ოთახად იქცა, რომლის უკან განლაგებული იყო სასადილო, საძინებლები, აბაზანა და კოლონებითა და ქანდაკებებით შემკული ეზოები. რომაული სახლების კედლები გამოირჩეოდა მოხატულობით და ფრესკებით.

შესაბამისად შეიცვალა ქალაქის განაშენიანება, ფორუმმა დაკარგა სოფლური ბაზრის იერი და გადაიქცა დიდი ქალაქის ცენტრალურ მოედნად. ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში აიგო ბაზილიკები - საზოგადოებრივი ნაგებობანი, სადაც იმართებოდა სასამართლო სხდომები, იდებოდა სავაჭრო გარიგებები, პოლიტიკური თავყრილობები.

რომის საქმოქალაქო ცხოვრების ცენტრს ფორუმი წარმოადგენდა. მისი სიგრძე 640 მ. იყო, ხოლო სიგანე 215 მ. აქ ტარდებოდა სადღესასწაულო, საზეიმო შეხვედრები და სხვა.

რომაული არქიტექტურის წარმატებებზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ფაქტითაც, რომ ძვ. წ. 174 წ. რომაელემა არქიტექტორმა კოსუტიუსმა დაასრულა ათენის ოლიმპიონის რეკონსტრუქცია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აბანოებს. აბანოების შენებაში ყველას აჯობა იმპერატორმა კარაკალამ, რომელმაც ააშენა ერთ-ერთი აბანო 1800 კაცისათვის. ბიჭვინთაში, ქართველმა არქეოლოგებმა აკადემიკოს ანდრია მელიტონის ძე აფაქიძის მეთაურობით აღმოაჩინეს რომაული აბანო, რომელიც აგებული იყო XV რომაული ლეგიონისათვის. ეს ლეგიონი ძვ.წ. I-II ს-ში განსახლებული იყო ბიჭვინთაში.

ამასთანავე, რომაელებმა ვერ შექმნეს ვერცერთი ორგანული ქანდაკება, ისინი ბერძნული ქანდაკებების ასლების დამზადებით კმაყოფილდებოდნენ.

რომაელთა დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს სკულპტურის ორი მიმართულების - „დაბურული ქანდაკებისა" და რეალისტური პორტრეტის განვითარება. ბერძნული გაშიშვლებული სკულპტურების საწინააღმდეგოდ რომაელები ქმნიან ე.წ. „დაბურულ ქანდაკებებს".

აღსანიშნავია პომპეუსის მიერ აშენებული უზარმაზარი, 10 000 მაყურებელზე გათვლილი, მთლიანად მარმარილოთი მოპირკეთებული თეატრონი. ავგუსტუსის დროს ქალაქს 800 საცურაო აუზი ჰქონდა, ამ დროს შეიქმნა მთელი რიგი ისტორიული პირების შესანიშნავი ქანდაკებები – პომპეუსის სკულპტურული პორტრეტი, ციცერონის ბიუსტი, იულიუს კეისრის ბიუსტი და სხვა.

ძვ. წ. I ს-დან სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა კედლის დეკორატიული მოხატულობა, რაზეც მეტყველებს ამ ეპოქის კედლის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები, კამპანიის ქალაქ პომპეიდან, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

იმპერატორ ავგუტუსის დროს აშენებულ ძეგლებს შორის გამოირჩევა: „მშვიდობის საკურთხეველი", „მავზოლიუმი" - ავგუსტუსისა და მისი ოჯახის ხის აკლდამა.

რომში აშენებულ მრავალ თვალსაჩინო ნაგებობას შორის აღსანიშნავია მშვიდობის ტაძარი და კოლიზეუმი – უზარმაზარი ამფითეატრი, რომელიც 90 000-მდე მაყურებელს იტევდა.

ფასდაუდებელია რომაული არქიტექტორის ვიტრუვიუსის ნაშრომი „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ", სადაც კუთვნილი ადგილი აქვს დათმობილი კოლხური კუს ბაკანის ფორმის საცხოვრებელ სახლს. დღეს მსოფლიოს გამოჩენილი არქიტექტორები თვლიან, რომ ოვალური ფორმის ნაგებობა, რომელიც ძველმა კოლხებმა შექმნეს, ფრიად პრაქტიკულია, სეისმურად მდგრადია, ადამიანის თვალს არ ღლის ასეთი ფორმა და ა.შ.

იურისპრუდენციისათვის მთელ მსოფლიოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს რომაულ სამართალს, რომელიც. ახ. წ. II-III-IV საუკუნეებში ჩამოყალიბდა სასამართლო სამართლის წიგნების წერა დაიწყეს ძვ. წ. III-IV ს.ს. სამართალი რამდენიმე მოსამართლისგან შედგებოდა. ყველაზე მძიმე დანაშაულად სამშობლოს ღალატი ითვლებოდა, რისთვისაც სიკვდილით სჯიდნენ. მათი პრინციპი ასეთი იყო: „დანმაშავე უნდა დაისაჯოს".

უდიდესი პოეტი იყო ვერგილიუსი, რომელმაც ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დაწერა პოემა „ენეიდა", სადაც ის ლექსად გადმოგვცემს რომის ისტორიას დიდი პატრიოტიზმით გამოირჩევა კიდევ ერთი ბრწყინვალე პოეტის კვინტუს ჰორაციუს ფლავიუსის ნაწარმოებები ძვ. წ. 65-86 წ.წ.

არისტოკრატიული წრეების მწერლებს შორის პოპულარობით გამოირჩევა პლინიუს უმცროსი. მისი „წერილები", თავისი ღრმა შინაარსითა და მრავალფეროვნებით, გამორჩეულია. ხელოვნებას და ლიტერატურასთან ერთად ფართოდ გავრცელდა სცენური ხელოვნება - ცირკი და თეატრი. II ს-ში, სადღესასწაულო დღეების რაოდენობამ წელიწადში 180 დღეს მიაღწია. წარმოდგენები კლასიკურ ტრაგედიებსა და კომედიებზე შეიცვალა პანტომიმებით, რომლებიც წარმოადგენენ „ჰეროიკული ბალეტის" კომედიისა და მელოდრამის ნაზავს: იმ დროს თეატრალური ხელოვნების დევიზი იყო: ნაკლები სიტყვები და რაც შეიძლება მეტი მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, მიმიკა.

რომაულ ლიტერატურაში პირველხარისხოვანი როლი ენიჭებოდა ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებს. II ს-ის ეპიკურ ნაწარმოებებს მიეკუთვნება: ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა", 8 წიგნად დაწერილი.

ისტორიულ-ლიტერატურული ჟანრის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები".

„პარალელურ ბიოგრაფიებში" იგი მხატვრული ხერხებით გვიხატავს საბერძნეთისა და რომის უმნიშვნელოვანესი ისტორიული პიროვნებების ცხოვრებას.

ამრიგად ძველმა რომაელებმა შექმნეს უმდიდრესი კულტურა, რომელიც ძველი ბერძნების კულტურაზე დაყრდნობით, ფრიად მრავალმხრივი და სრულფასოვანია. მარტო კოლიზეუმი რად ღირს, რომელიც დღეს სამართლიანადაა აღიარებული რომის სიმბოლოდ.

ლიტერატურა:

1. კულტუროლოგია, ნაწილი II, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001.
2. ალ. წერეთელი, ძველი რომის ისტორია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.
3. ალ. წერეთელი, ძველი რომი, ტომი I, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოცემა, 1957.
4. ლ. სანიკიძე, რომის იმპერია, II გამოცემა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984.

თინათინ დი ძიბა

სოფიო ხორგუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** სრული პროფესორი

,,მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარნა და მოაოხრნა“, - ასე გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი შაჰ-აბასის შემოსევას კახეთში. ამ რომაელთა აფორიზმივით ლაკონურ ფრაზაში ჩატეულია ათასობით ადამიანთა ტკივილი და ტანჯვა.

თვით სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის სიტყვით, ისლამის გაჩენის დღიდან ასეთი ხოცვა-რბევა, ნგრევა ქვეყნისა, რაც თავს დაატყდა კახეთის მოსახლეობას, არ ყოფილა. მისი გადმოცემით, დაღუპულთა რიცხვი სამოცდაათი ათასს სჭარბობდა, ხოლო ტყვედ ასი ათასზე მეტი იქნა წაყვანილი ირანის სხვადასხვა პროვინციებში. რა თქმა უნდა, კარგი არაფერი ელოდათ ტყვედ წაყვანილ ქართველებს უცხო მხარეში. მათ შორის მხოლოდ რჩეულნი და იღბლიანნი ავსებდნენ ყიზილბაშთა ჰარამხანებსა და ლაშქარს.

მაგრამ ყველაზე უჩვეულო თავგადასავალი წილად ხვდა ერთ ქართველ ქალს, რომელიც ჩვენში თინათინ წიბას (ან ძიბას, ციბას) სახელით არის ცნობილი და რომელიც შემდგომში ცნობილი იტალიელი მისიონერის პიეტრო დელა ვალეს მეუღლე გახდა.

პიერტო დე ლა ვალე (1586-1652 წწ.) ძალზედ განათლებული პიროვნება იყო. 1614-1626 წწ-ში მან იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში, დიდხანს იმყოფებოდა ირანში (1614-23 წლებში) თავის შთაბეჭდილებებს წერილობით უზიარებდა ნეაპოლელ მეგობარს მარიო სვიპანოს, რომლის რჩევით, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ეს წერილები 1650-58 წწ-ში ოთხ ტომად საკუთარ ,,მოგზაურობა თურქეთში, სპარსეთსა და ინდოეთში“ გამოაქვეყნა. მან შირაზში გაიცნო ქეთევან დედოფალი, რომლის წამება შემდგომ ქალაქ ბასრაში გაიგო. ის დიდი რუდუნებით აგროვებდა წამებული დედოფლის ნაწილებს და სურდა ვატიკანს ეღიარებინა მისი მოწამებრივი აღსასრული (თუმცა თვითონ საქართველოში არასოდეს ყოფილა). ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის დადგენილი თუ რომელი გვარის შემოკლებულ ფორმას წარმოადგენს გამოჩენილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს წიგნის ფურცლებზე დამოწმებული ,,Ziba”? იტალიელი მკითხველისათვის ეს მართლაც ,,ციბა“ ან ,,ძიბა“ უნდა იყოს, მაგრამ არ არის გამორიცხული რომ წავიკითხოთ, როგორც ,,ზიბა“, ვინაიდან ქართული სახელების გადმოცემისას იტალიელი ავტორები და მათ შორის დელა ვალეც, იყენებენ იმავე თანხმოვანს, (Z), რომელიც იტალიურ ენაში მხოლოდ ,,ძ-ც“ ბგერათა გამომხატველია. შესაძლოა თინათინ და ზიბა ნიშნავდეს თინათინ ზიბას ასულს. თინათინის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს მოგვითხრობს თვით პიეტრო დელა ვალე თავის ცნობილ წიგნში ,,მოგზაურობანი“.

1617 წელს იტალიელი მოგზაური ჩავიდა ისპაჰანში, თან ახლდა მეუღლე, სირიელი ქრისტიანი, სახელად მაანი. სეფიანთა ირანის სატახტო ქალაქში იმავე წლის გაზაფხულზე მათ გაიცნეს ქართველი ქალი (ალავერდელი მიტროპოლიტის დები) და ძლიერ დაუახლოვდნენ.

ამ ქალებმა სთხოვეს პიეტროს, თავშესაფარი მიეცა პატარა ქართველი გოგოსთვის, რომელსაც მამა დაეღუპა ყიზილბაშებთან ომში შაჰ-აბასის შემოსევისას, ხოლო დედა - ირანში გადმოსახლების შემდეგ. მიტროპოლიტის დები მისი შორეული ნათესავები იყვნენ, მაგრამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილთ მისი დაცვა-შენახვა არ ძალუძთ. ხოლო პიეტრო დელა ვალე, რომის ეკლესიის არაოფიციალური დესპანი, სტუმარი იყო შაჰ-აბასისა და არა ქვეშევრდომი. ასე რომ მის ოჯახში დაბინავებულ გოგონას ხელს აღარ ახლებდნენ შაჰისა თუ რომელიმე წაჩინებული ყიზილბაშის ჰარამხანაში წასაყვანად.

პეტრო და მისი მეუღლე სიამოვნებით დათანხმდნენ მიტროპოლიტის დების წინადადებაზე და გადაწყვიტეს აღეზარდათ თინათინი, რომელიც ამ დროს 7 წლის იყო. ქალბატონმა მაანიმ მას საალერსო სახელი შეარქვა ,,მარიუჩა“. იზრდებოდა მარიუჩა პიეტროსა და მაანის ოჯახში, როგორც მათი შვილობილი, არ აკლდა მოვლა-პატრონობა და სიყვარული. ძიძა ქართველი ჰყავდა მარიუჩას. ეს იყო ახალგაზრდა ქართველი ქალი, სახელად მარინე, რომელმაც იცოდა წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე. ასევე ქართველი იყო პიეტროს ოჯახის დიასახლისი, სახელად მზისთანდარი - დაახლოებით ორმოცი წლის ქალი, მხნე, კარგი შესახედაობისა. მეტად ძვირფასი პიეტროსა და მისი მეუღლესთვის და უძვირფასესი მარიუჩასთვის, ვინაიდან უწევდა დედობას დაობლებულ ქართველ გოგონას.

1621 წელს იტალიელ მოგზაურს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ისინი ქალაქ მინაბში იმყოფებოდნენ (მდებარეობდა სამხრეთ ირანში), როცა ქალბატონ მაანის ავი ციება შეეყარა და ვეღარ გამოკეთდა. ლოგინად ჩავარდნილა მარიუჩაც.

მარტოდმარტო იჯდა პიეტრო მომაკვდავ მეუღლესთან და ხედავდა, როგორ ქრებოდა მის თვალწინ უსაყვარლესი არსება. უმწეოდ უსმენდა მაანის უკანასკნელ სიტყვებს და უკანასკნელ ამოსუნთქვას. გათენებამდე ორი საათით ადრე, პიეტროსა და მარიუჩას მკლავებზე დალია სული ოცდასამი წლის მაანიმ. პიეტრომ შეჰფიცა, რომ ყოველთვის უპატრონებდა მარიუჩას, ჭირშიც და ლხინშიც მასთან იქნებოდა, პირნათლად შეასრულებდა მაანის ანდერძს.

1622 წლის ივნისი იდგა. იტალიელმა მოგზაურმა კარგად იცოდა ისიც, რომ შირაზში მძევლად ჰყავდათ ,,დედა სახელგანთქმული ქართველი მეფის თეიმურაზისა“ - ქეთევან დედოფალი.

შირაზში ჩასული პიეტროს დიდი სურვილი ჰქონდა გაეცნო მისი რომელიმე მხლებელი. ბედმა გაუღიმა პიეტროს. ერთ მშვენიერ დღეს სეირნობდა და უცებ დაინახა ვიღაც დარბაისელი კაცი, თუმცა იგი თურქულად და სპარსულად ლაპარაკობდა, პიეტრომ მყისვე მიიჩნია ქართველად, რადგანაც უცნობს თავზე ეხურა წოწოლა ბუხრის ქუდი და მოგრძო წვერი ჰქონდა მოშვებული, როგორც ქრისტიან სასულიერო პირთ. დაეწია ქუჩაში უცნობს და შეაჩერა. მაგრამ ხალხმრავალ ადგილას ვეღარ გაბედა თავის გუნებაზე გამოსაუბრება: იცოდა, რომ მაჰმადიანები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ქეთევან დედოფლის მხლებლებს. გამოთქვა სურვილი, რომ სხვა დროს შეხვედროდნენ ერთმანეთს. დათქმული შეხვედრა 27 ივნისს შედგა. გიორგი დილაადრიან ეწვია პიეტროს. ხუცეს გიორგის სიტყვით, ოცამდე კაცი და ქალი ახლდა დედოფალს შირაზში. არაფერი აკლდათ არც მას და არც მის მხლებლებს. პიეტრომ აუხსნა სტუმარს თავისი ვინაობა. აუწყა თუ რომელი ქვეყნიდან იყო, რა მიზნით მოგზაურობდა აღმოსავლეთში და ბოლოს სთხოვა, რომ მისი მოწიწებული მოკითხვა გადაეცა ქეთევან დედოფლისათვის. პიეტრომ კარგად იცოდა, რამდენი ტანჯვა გადაიტანა მთელ ქართველ ხალხთან ერთად დედოფალმა მაჰმადიანთაგან.

პიეტრომ ხუცეს გიორგის დააბარა დედოფალთან, რომ იტალიაში დაბრუნებას აპირებდა კონსტანტინოპოლის გზით და ალბათ შეხვდებოდა მის შვილს თეიმურაზ მეფეს და ღირსეულ პატივს მიაგებდა. საუბრის დასასრულს პიეტრომ სთხოვა ხუცეს გიორგის, რომ ეუწყებინა დედოფლისათვის შემდეგი: ,,ჩემთან იმყოფება თინათინ დი ზიბა, დედოფლის თვისტომი და ქვეშევრდომი, შვილი იმ მშობლებისა, მისი უდიდებულესობა ჩემზე უკეთ რომ ცნობს“. ამასობაში მარიუჩაც დაბრუნდა შინ. იგი მაშინვე გამოელაპარაკა ქართველ ხუცეს გიორგის მშობლიურ ენაზე. პიეტრო და ხუცესი გიორგი შეთანხმდნენ, რომ მარიუჩა უახლოეს ხანში ეახლებოდა ქეთევან დედოფალს.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოეფერებოდა ქეთევანი დაობლებულ მარიუჩას. დედოფალს მშვენივრად ახსოვდა, ვისი შვილიც იყო ეს გოგონა და ისიც ახსოვდა, რომ მარტო მისი მამა, არამედ ყველა წინაპარი ქართველი მეფეების განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა.

დედოფალმა დაწვრილებით გამოჰკითხა მარიუჩას მისი აღმზრდელის ვინაობა. ისიც აინტერესებდა, თუ ვინ იყვნენ პიეტროს ქართველი მეგობრები ისპაჰანში. მთელი დღე დაჰყო მარიუჩამ დედოფალთან და გვიან საღამოს დაბრუნდა შინ. კიდევ რამდენჯერმე განმეორდა მისი ვიზიტი და ქეთევან დედოფალი მუდამ სიყვარულითა და ალერსით ხვდებოდა დაობლებულ ქართველ გოგონას.

მაანის სიკვდილის შემდეგ პიეტრო, როგორც ჩანს, აპირებდა მარიუჩას დატოვებას ქართველ დედოფალთან, მაგრამ თვით მარიუჩას სხვანაირად ჰქონდა დაგეგმილი გულში საკუთარი მომავალი. დედოფალმა ჰკითხა მარიუჩას, იტალიაში გაჰყვები შენს აღმზრდელს თუ ჩემთან გირჩევნია დარჩეო. მარიუჩამ დიდი მადლობა გადაუხადა ქეთევან დედოფალს და განუცხადა, ირანში დარჩენას რომ ვაპირებდე, თქვენთან ყოფნა ყველაზე უკეთესი ხვედრი იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ სანამ ქრისტიანები ვართ, გაგვიმწარდება სიცოცხლე ურჯულოთა ხელშიო. დასასრულს მარიუჩამ მოკრძალებით მიმართა დედოფალს, თუ თქვენი წყალობა იქნება, მზად ვარ წავიდე რომში ჩემს კეთილისმყოფელთან ერთად. ქეთევან დედოფალი აღტაცებული დარჩა მარიუჩას გონიერი სიტყვა-პასუხით. პიეტრომ შეუთვალა დედოფალს, თვალის ჩინივით მოვუვლი მარიუჩას, რამეთუ თქვენგან ჩავიბარე თქვენი პატარა ქვეშევრდომის ბედიო. შირაზიდან გამგზავრების წინა დღეს, პიეტრომ მარიუჩას ხელით, საჩუქარი უძღვნა ქეთევან დედოფალს. ეს გახლდათ ოქროთი მოვარაყებული მედალიონი, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იყო ღვთისმშობლის მიძინება, ხოლო მეორეზე - წმ. ჯიროლამო, ლომთან ერთად. დედოფალს ძალიან მოეწონა საჩუქარი. დადგა განშორების ჟამი. ცხადია, არც პიეტრომ იცოდა და არც მარიუჩამ, რომ ზუსტად ორი წლის შემდეგ მრავალტანჯული ქეთევანის ტყვეობას სასტიკი სასჯელი დაუსვამდა წერტილს.

სამუდამოდ ემშვიდობებოდა ქართველი გოგონა ექვსი წლის წინათ დაკარგულ სამშობლოს, რომელიც აქვე ირანის მეზობლად მდებარეობდა და ძალზე შორს იყო იტალიიდან. ამიერიდან მხოლოდ

სიზმარში მოუწევდა ნახვა საქართველოსი. 1625 წელს ქალაქ ბასრაში შეიტყვეს ქეთევან დედოფლის წამების ამბავი. 1625 წლის მარტში ჩავიდნენ რომს.

პიეტრო დელა ვალემ მოახსენა რომის პაპს, ქართველები გამუდმებით ებრძვიან ქრისტიანობის უდიდეს და უძლიერეს მტრებს - ოსმალებსა და სპარსელებს, რომლებიც არაერთხელ დაუმარცხებიათ, ამირტომ რომის ეკლესია დიდად დავალებულია ქართველებისაგან და ისინი ღირსნი არიან გამხნევებისა და შემწეობისა.

1630 წელს პიეტრო დელა ვალემ იტალიელ მისიონერებს არქანჯელო ლამბერტის და ჯუზეპე ჯუდიჩეს საქართველოში გამოატანა საჩუქრად თეიმურაზ მეფისათვის ოქროთი შემკული მშვენიერი ხატი და მისი მეუღლისათვის - ძვირფასი კრიალოსანი.

... ძალზე განიცდიდა პიეტრო საყვარელი მაანის დაკარგვას. მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა, დრო მალამოდ დაედო ჭრილობას. თვალწარმტაცი მარიუჩაც უკვე აღარ იყო ,,ფაჩულა“ და მოსახდენი მალე მოხდა (ეს ქორწინება მოხდა 1629 წელს).

პიეტრო დელა ვალე და თინათინ დი ზიბა დაქორწინდნენ. მათი ოჯახური ბედნიერება დაამშვენა მრავალრიცხოვანმა შთამომავლობამ. არსებობს ცნობა, რომ მათ თოთხმეტი შვილი შესძენიათ.

1652 წელს სამოცდაექვსი წლის ასაკში პიეტრო დელა ვალე გარდაიცვალა.

... მრავალი უცხო ქვეყნის მნახველ იტალიელ მოგზაურს თანამედროვეებმა უწოდეს ,,რომაელთა ულისე" ანუ ოდისევსი. რაც შეეხება მის ქართველ მეუღლეს ჩვენთვის ცნობილია, რომ მას ათიოდე წლის შემდეგ სტუმრად ეწვია პიეტრო ბელორი (პიეტრო დელა ვალეს ერთ-ერთი ბიოგრაფი), რომელიც წერს: ,,ზიბა, მისი მამა (იგულისხმება მარიუჩას მამა) სახელგანთქმული კაცი მეფის მხედრობაში, გმირულად დაიღუპა ყიზილბაშთა შემოსევისას“. სამწუხაროდ, საიდუმლოებად რჩება ვინ იყო სახელგანთქმული მხედარი იტალიურ ენაზე ,,ზიბად“ რომ მოიხსენიებენ. სტუმრობისას თინათინს თავისი ქმრის მიერ დახატული პორტრეტები გადაუცია პიეტრო ბელორისათვის. ერთზე გამოსახული ყოფილა ქალბატონი მაანი, ხოლო მეორეზე ქართულ სამოსელში გამოწყობილი თინათინი. ბელორს ჩამოთვლილი აქვს პიეტრო დელა ვალეს ნაშრომები, რომელთა რიცხვშია 1644 წელს დაწერილი, თავგადასავალი სინიორა მარია თინათინ დი ზიბასი, პიეტრო დელა ვალეს მეორე მეუღლისა“. რაც შეეხება თინათინის შემდგომ ბედს და სიცოცხლის ბოლო დღეებს, ჩვენთვის უცნობია.

ლიტერატურა:

1. გულბეკიანი რ., ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ., თბ., 1987.
2. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია II, თბ., 2011.
3. ნატროშვილი თ., მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1978.
4. ნატროშვილი თ., მოყვასი შორეული რომიდან, თბ., 2004.
5. Жордания Г. Гамезардашвили З. Римско – Католическая миссия и Грузия, Тб., 1984.
6. ტაბაღუა ი., საქარველოს ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ნაწილი II-III, Тb., 1987.
7. ჩიქობავა არნ., ვათეიშვილი ქ., პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge